ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

VII

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

VII

გამომცემლობა „მერიდიანი“
Meridian Publishers
თბილისი
Tbilisi
2013

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
გიორგი ჟუჟუნაშვილი
შალვა გლოველი
ქეთევან მირზიკაშვილი
აკაკი ჩიქობავა
ეკა კვირკველია

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Giorgi Zhuzhunashvili
Shalva Gloveli
Ketevan Mirzikashvili
Akaki Chikobava
Eka Kvirkvelia

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge

© ტექსტი – ავტორები, 2013
© შედგენა – თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, 2013

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

ნათია ფიფია
ფიჭვნარი – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI-II საუკუნეები) 9

Natia Phiphia
Pichvnari Settlement in Western Georgia – Genesis and History (the 6th-2nd cc. B. C.) (Summary) 39

თემურ თოდუა
ქიოსელების დეპორტაცია კოლხეთში 40

Temur Todua
Deportation of the Chians to Colchis (Summary) 45

თედო დუნდუა
დევნილი პაპი კლემენტი (Clemens Romanus) და მისი „კოლხური“ პროზელიტიზმი 46

Tedo Dundua
Banished Pope Clement (*Clemens Romanus*) and his "Colchian" Proselytism (Summary) 49

გურამ კუტალაძე
ჯავახეთის ადმინისტრაციული ცენტრები 51

Guram Kutaladze
Administrative Centers of Javakheti (Summary) 65

როლანდ თოფჩიშვილი
ხანძთის მონასტრის ლოკალიზაციისა და შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი 66

Roland Topchishvili
On the Issue of Khandzta Monastery Localization (Summary) 81

აკაკი ჩიქობავა
ვასალიტეტის საკითხი განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოში 83

Akaki Chikobava
The Issue of Vassalage in the High Feudal Epoch of Georgia (Summary) 89

მამუკა წურწუმია
შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია 90

Mamuka Tsurtsumia
Military Personnel of the Medieval Georgian Army (Summary) 128

ნესტან სულავა
მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ქართულ ჰიმნოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაში 129

Nestan Sulava
Subject of Divine Icon of Christ in Georgian Hymnography and Historical Writings (Summary) 139

ოქროპირ ჯიქური
ერკეთის გულანი (ცაიშის I გულანი) და მისი ანდერძ-მინაწერები 140

Okropir Jikuri
Gulani from Erketi (Gulani I From Tsaishi): Its Testaments and Colophons (Summary) 153

ნიკო ჯავახიშვილი
1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის 155

Niko Javakhishvili
For Identification of the Participants of the Conspiracy of 1765 (Summary) 184

ჯაბა სამუშია
თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVIII საუკუნეში 185

Jaba Samushia
Tbilisi Teritory and Population in the 18th C. (Summary) 213

აპოლონ თაბუაშვილი
მასალები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის 215

Apolon Tabuashvili
Material for the Georgian Military History of Late Feudal Period (Summary) 226

ხათუნა ბაინდურაშვილი
„ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი...“ (H-394) როგორც ისლამმცოდნეობითი წყარო 227

Khatuna Baindurashvili
"Muhammad Story Given in the Translated Psalms... " (H-394). As the Source of Islamic Studies (Summary) 246

დიმიტრი შველიძე
1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა (და არა – შეთქმულება) 247

Dimitri Shvelidze
Conspiracy of 1832 (Was it Really a Conspiracy) (Summary) 260

ანა ჭეიშვილი
თეოფილე დეიროლის მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში 261

Ana Cheishvili
The Journey of Théophile Deyrolle in Tao-Klarjeti (Summary) 275

თენგიზ სიმაშვილი
დიმიტრი ჯაშის – თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტ „სლუჩაინის“ გამჟღავნების ისტორია 277

Tengiz Simashvili
History of Uncovering of "Okhranka" Tbilisi Department's Agent "Sluchaini" – Dimitri Jashi (Summary) 297

მიხეილ ბახტაძე
გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე 298

Mikheil Bakhtadze
General-Lieutenant Ilia Odishelidze (Summary) 328

ვლადიმერ კეკელია
ესმა მანია
ქართულ-კავკასიური მულტიკულტურული ვარიაციები (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით) 329

Vladimer Kekelia
Esma Mania
Georgian-Caucasian Multicultural Variations (According To Material Preserved at the National Centre of Manuscripts) (Summary) 338

მერაბ კალანდაძე
ისტორიის თეორიული პრობლემების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში 339

Merab Kalandadze
The Oretical Problems of History in the 20th Century Georgian Historiography (Summary) 373

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Teimuraz Papaskiri
Zurab Papaskiri
Conflicts in Abkhazia and Tskhinvali Region: the Continuing Russian Occupation of Georgia 374

რეცენზია

ლერი თავაძე
ნოდარ ლომოური.
საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა.
ნაწილი I (IV-IX სს.) საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი". თბილისი. 2011. 280 გვერდი, ინგლისური რეზიუმე გვ. 281-296, საძიებელი გვ. 297-306, ნ. ლომოურის ნაბეჭდი შრომების სია გვ. 307-316. ISBN 978-9941-401-96-1 384

პოლემიკა

როლანდ თოფჩიშვილი
„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს" (იძულებითი პასუხი „კრიტიკოსებს") 403

მარიამ ჩხარტიშვილი
როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია?
პროფ. დიმიტრი შველიძის რეცენზიის პასუხად 434

დიმიტრი შველიძე
პასკვილი – პასუხისა და პასუხისმგებლობის ნაცვლად 483

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ნათია ფიფია

ფიჭვნარი – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI-II საუკუნეები)

ფიჭვნარის ისტორიის საკვლევად ჩვენს ხელთ, პრაქტიკულად, მხოლოდ არქეოლოგიური წყაროებია. ნარატიულ წყაროებში ეს ახალშენი საერთოდ არ არის მოხსენიებული. მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ „პომპონიუს მელას კიკნოსი და პლინიუს უფროსის კიგნუსი, შესაძლოა, ფიჭვნარია",[1] მაგრამ ორივე ტოპონიმი და ჰიდრონიმი დამაჯერებლადაა გაიგივებული გიენოსთან. ამ საკითხს შესაბამის ადგილას განვიხილავთ. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ Tabula Peutingeriana-ს Portus Altus ფიჭვნარი უნდა იყოს,[2] მაგრამ საკმაოდ არგუმენტირებულად არის დასაბუთებული, რომ ეს ქალაქი ბათუმია,[3] შესაბამისად, როგორც ჩანს, ფიჭვნარი ჯერჯერობით ისევ რჩება ნარატიულ წყაროებში საერთოდ დაუფიქსირებელ ბერძნულ ახალშენად.

ფიჭვნარის წარმოშობას თავისი ზოგადი და კონკრეტული მიზეზები ჰქონდა. ამასთან, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ კოლონიის დაარსება „უფრო პროცესი იყო, ვიდრე ერთჯერადი აქტი"[4] და აქაც კოლონისტთა რამდენიმე, მეტ-ნაკლებად ძლიერი, ნაკადის გამოყოფაა შესაძლებელი, ყოველ ჯერზე მათი მოსვლის კონკრეტული მიზეზები იკვეთება.

ფიჭვნარის პირველი დასახლების გაჩენა იონიურ კოლონიზაციას უკავშირდება. ამის დასტურია ფიჭვნარში აღმოჩენილი იონიური იმპორტი. *„ფიჭვნარში იონიური იმპორტი ძვ. წ. VI ს. II ნახევრით თარიღდება და V საუკუნეშიც გრძელდება. ფიჭვნარის ქვიშაზვინულებთან ახლოს აღმოჩნდა ძვ. წ.*

---

[1] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია. ფიჭვნარი I. ბათუმი – ოქსფორდი. 2004, გვ. 16.

[2] ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ. 1962, გვ. 82.

[3] თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური წყაროები ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVI. თბ. 1987, გვ. 114.

[4] Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 B. C.-A. D. 562 by D. Braund. Clarendon Press. 1994, გვ. 86.

VI ს. I ნახევრის ჰორიზონტალური ზოლებით მოხატული ქიოსური ამფორების ნატეხები. ძვ. წ. V საუკუნისთვის ამ ცენტრის ნაწარმი ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ფიჭვნარის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში. საერთოდ, აშკარაა, რომ გვიანარქაულ ხანაში ფიჭვნარში, უპირატესად, იონიურ ცენტრებში დამზადებული პროდუქცია გავრცელებული".[5] ფიჭვნარის იონიური პერიოდის კერამიკიდან ცნობილია „*ე.წ. ძაბრისებრძირიანი კილიკოსის ფრაგმენტები, ოინოხოიის ტანის, ძირისა თუ ყელ-პირის ზოლებიანი ნატეხები*",[6] სავარაუდოდ, როგორც მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ესეც მილეტელების დაარსებული ახალშენი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ მილეტის გარშემო ფიჭვის ტყეებია და მისგან გამომდინარე ახლომდებარე პატარა ქალაქსაც თურქულად ეწოდება Çamiçi ანუ „ფიჭვებში".[7] პლინიუსის მიხედვით, მილეტის კარიული სახელია Pityusa,[8] რომელიც დაერქვა ფიჭვებით მდიდარი ტერიტორიის გამო. მცირეაზიული ტოპონიმები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხშირად დასტურდება, მაგ. სიდე/სიდა, კამანი/კომაგენე. მილეტელებს ტოპონიმი შეიძლებოდა გადმოეტანათ კოლხეთშიც, მათ მიერ დაარსებულ ახალშენში, მით უფრო, თუ ტოპონიმის შექმნის საფუძველი დაემთხვეოდა ერთმანეთს. შესაძლებელია, სწორედ ამგვარად გადმოტანილი იყოს ტოპონიმი ფიჭვნარიც, რომელმაც, როგორც ჩანს, შემდგომ ქართული ფორმა მიიღო. ერთი შეხედვით, ფიჭვნარის სახელწოდების ქართულად შემორჩენა ტოპონიმის ამ პრინციპით გადმოტანას გამორიცხავს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მილეტის კარიული სახელიც – Pityusa, ჩვენამდე თარგმანით – თურქული ვერსიით შემორჩა. ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევარში თუ ტოპონიმის ასეთი „მიგრაცია" მოხდა, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ფიჭვნარი და არა ბიჭვინთა, რადგან ამ დროისთვის ბიჭვინთა ჯერ კიდევ არაა დაარსებული. მეორე მხრივ, ასეთი კავშირი, ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევრის ფიჭვნარის დაარსებას მილეტთან აკავშირებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნარატიულ წყაროებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოხსენიებულ Pityusa-ს ყველა შემთხვევაში ჩვენ ბიჭვინტასთან ვაკავშირებთ. ანტიკური პერიოდის

[5] მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 98.
[6] ა. კახიძე. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. IV. 1965, გვ. 77; ა. კახიძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. 1971, გვ. 50.
[7] Alan M. Greaves. Miletos: A History. London. 2002, გვ. 13.
[8] Plin. NH. 5.112.

არც ერთი ავტორის[9] მიერ მოხსენიებული Pityusa ფიჭვნარი არ არის. მით უფრო, რომ ძვ. წ. II საუკუნიდან, როცა იწყება ტოპონიმ პიტიუნტის მოხსენიება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ფიჭვნარი სწორედ ამ პერიოდში წყვეტს არსებობას.

იონიური ხანის ფიჭვნარის მასშტაბები, როგორც ჩანს, საკმაოდ მცირეა. ზოგადად, იონიური კოლონიზაციის სისუსტეს აღნიშნავს ა. კახიძეც: *„ჩვენ მიერ გამოყოფილ იქნა, ბერძნული კოლონიზაციის ადრეული, ე. წ. იონიური ეტაპი, რომელიც შეზღუდული მასშტაბების მომცველი ჩანს კოლხეთის სინამდვილეში“*.[10] ამასთან, ფიჭვნარის იონიური პერიოდის დასახლება კოლხეთის იონიური ხანის სხვა ახალშენებთან შედარებითაც მცირეა. როგორც ჩანს, ამ მხრივ სიმპტომატურია, რომ ბერძნული წყაროებისთვის მილეტური პერიოდის სხვა ახალშენებისაგან განსხვავებით, ფიჭვნარი სრულიად უცნობია. სავარაუდოა, რომ ახალშენის დაარსება ძვ. წ. VI საუკუნეში უშუალოდ ნედლეულის მიღების სურვილით იყო განპირობებული. საინტერესოა, რომ სწორედ ამ მოვლენის წინ, ძვ. წ. VII საუკუნეში, არსებობას წყვეტს ფიჭვნარის ქვიშაზვინულების დასახლებაც[11], ზოგადად, „დიუნური სადგომები“ გაქრა, შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული ახალშენების გაჩენამდე, ძვ. წ. VII-VI საუკუნის დასაწყისში“[12] და შემდგომ პერიოდშიც აღარ შეინიშნება. მათი გაქრობა, როგორც ჩანს, სწორედ ბერძნების მოსვლით გამოწვეულ ცვლილებებს უკავშირდება. როგორადაც უნდა გადაწყდეს დიუნური სადგომების ფუნქციური დანიშნულების საკითხი – რის საწარმოებლად გამოიყენებოდა ისინი – ფაქტი ერთია – იონიელი ბერძნების მოსვლამ სხვა დანიშნულება შესძინა ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობას. ისინიც, როგორც ჩანს, ბერძნების მიერ შემოთავაზებულ პირობებს დათანხმდნენ და მოერგნენ მათ მოთხოვნებს. საფიქრებელია, ფიჭვნარის შემთხვევაშიც ასე მოხდა და გვიანარქაულ ხანაში, იონიური კოლონიზაციის ბოლო ეტაპზე, აქ გაჩენილმა ახალშენმა ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო პროფილი შეცვალა. ძნელია დაზუსტებით საუბარი, რით დაუკავშირდა ბერძნების და კოლხების ინ-

---

[9] Strabo XI. 2. 14; Plin. NH. VI. 16; Arr. PPE 27; Ptol., V. 6. 6

[10] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2. ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი. ბათუმი-ოქსფორდი. 2007, გვ. 203.

[11] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 3.

[12] მ. მახარაძე, მ. წერეთელი. საირხე. თბ. 2007, გვ. 18

ტერესები ერთმანეთს ამ ხანაში. ქიოსური ამფორების ფრაგმენტების აღმოჩენის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ ვარაუდი იმისა, რომ ღვინის წარმოებით განთქმული ამ ცენტრის პროდუქცია შემოდიოდა აქ, მაგრამ რა გადიოდა სანაცვლოდ, უცნობია.

შემდეგი ეტაპი ქალაქის ისტორიაში უკვე ძვ. წ. V საუკუნეში იწყება და უკავშირდება ათენის საიმპერიო პოლიტიკას. კონკრეტულად, ფიჭვნარის სამოსახლო შეიძლებოდა დაარსებულიყო ან ძვ. წ. V საუკუნის II მეოთხედში ან V საუკუნის შუა ხანებში[13].

ატიკური პერიოდის ფიჭვნარის სამოსახლოს დაარსების ზოგადი მიზეზია ათენის გაძლიერება. ძვ. წ. 494 წლის შემდეგ მილეტი აღარ აარსებს კოლონიებს და აქტიურდება ათენი. *„ძვ. წ. V საუკუნის 70-იანი წლებიდან (ძვ. წ. 476-5), ათენელთა მიერ ქალაქ ბიზანტიონის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ, იწყება ათენელთა განუყოფელი ბატონობა შავი ზღვის სრუტეებზე და მათი უპირატესი როლი მთელ შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაში“*.[14]

ამ დროისათვის მიიჩნეოდა, რომ *„ელინთა ჰეგემონი ათენი უნდა ყოფილიყო“*.[15] თ. დუნდუას აზრით, ეს იყო შეცდომა: *„მართლაც, საერთოდ რა უნდა გამოსულიყო, საუკეთესო ქალაქს სამრეწველო კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი კოლონისტებად რომ გაეგზავნებინა?!“*[16] ამავდროულად, *„ეს შეცდომა ათენმა კარგად გამოიყენა – ხელთ იგდო ბაზრები და მოკავშირეებს გადასახადი დაადო*[17]. შავიზღვისპირეთში გააქტიურებისას ათენის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს იყო. *„ათენს შავიზღვისპირეთი თავისთვის უნდოდა“*.[18] თუ რატომ, ეს ჩანს, პერიკლეს პონტოური ექსპედიციის წინა პერიოდში მიმდინარე მოვლენებიდან.

---

[13] მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ. 1982, გვ. 160; ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ. 2002, გვ. 204; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ტ. I. თბ. 2006, გვ. 47.

[14] ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ. 2002, გვ. 203.

[15] თ. დუნდუა. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში. თბ. 2009, გვ. 14.

[16] თ. დუნდუა. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში, გვ. 14.

[17] თ. დუნდუა. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენების დასავლეთ საქართველოში, გვ. 15.

[18] თ. დუნდუა. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენების დასავლეთ საქართველოში, გვ. 15.

რადგან ფიჭვნარის ატიკური სამოსახლოს გაჩენა სწორედ პერიკლეს უნდა უკავშირდებოდეს, საჭიროდ მიგვაჩნია მის ქრონოლოგიასა და პერიპეტიებზე ყურადღების გამახვილებაც. პლუტარქეს ცნობის თანახმად, „*შევიდა თუ არა ბრწყინვალედ აღჭურვილი ფლოტით პონტოში, პერიკლემ ელინურ ქალაქებს აუსრულა ყველაფერი, რასაც კი მოითხოვდნენ და საერთოდ, კაცთმოყვარეობით მოექცა მათ. გარშემო მოსახლე ბარბაროსულ ტომებს, მათ მეფეებსა და მთავრებს კი აჩვენა დიდი ძლიერება, უშიშროება და მამაცობა, რის წყალობითაც ათენელებს ძალუძდათ ეცურათ, სადაც მოისურვებდნენ და მთელი ზღვა საკუთარ ნებაში მოექციათ. სინოპელებს პერიკლემ ტირან ტიმესილეოსის წინააღმდეგ საბრძოლველად ცამეტი ხომალდი და ჯარისკაცები დაუტოვა ლამაქეს მეთაურობით. ხსენებული ტირანისა და მის თანამოსაგრეთა განდევნის შემდეგ პერიკლემ კენჭისყრის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება სინოპში საკუთარი სურვილით გამგზავრებულიყო ექვსასი ათენელი, მათ სინოპელებთან ერთად უნდა ეცხოვრათ და გაეანწილებინათ სახლები და მიწა, რაც უწინ ტირანებს ეკავათ*“.[19] ამ ექსპედიციის დათარიღების ფართო დიაპაზონი არსებობს: ძვ. წ. 455 წლიდან 435-34 წლებამდე[20] მისი მოწყობის ერთ-ერთი მიზეზი ეგვიპტის კამპანიის ჩავარდნა უნდა ყოფილიყო. ძვ. წ. 460/459 წ. ეგვიპტე აჯანყდა სპარსელების წინააღმდეგ. ამბოხის მეთაური იყო ლიბიის მეფე ინაროსი. მან დაიკავა მარეა (მოგვიანებით ამ ქალაქის ახლოს ალექსანდრია დაარსდა). ინაროსი იძულებული გახდა, დახმარება ათენისთვის ეთხოვა. მართლაც, ძვ. წ. 456 წელს ათენელებმა ეგვიპტეში ექსპედიცია გაგზავნეს ქარიტიმიდესის ხელმძღვანელობით. სპარსელებმა თავიანთ ჯარს მეგაბიქსესი უსარდლეს, რომელმაც გაანადგურა ათენელები. ექსპედიცია გაგრძელდა 6 წელი და ათენისთვის კატასტროფით დამთავრდა. ქალაქმა და მისმა მოკავშირეებმა დაკარგეს 250 ხომალდი და 50 000 კაცი[21]. სავარაუდოდ, ფლოტის განადგურების გამო, პერიკლე დაინტერესდა გემთსაშენი ხე-ტყით მდიდარი პონტოთი. მუხას და ფიჭვს გემების ასაშენებლად იყენებდნენ[22], აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, ზოგადად, ათენის შავიზღვისპირეთით დაინტერესება.

---

19 Plut. Per. 20.

20 И. Б. Брашинский. Понтийская экспедиция Перикла. ВДИ (Вестник древней истории). №3. 1958, გვ. 113.

21 Cambridge Ancient History. vol. V. 1964, გვ. 84.

22 David M. Robinson. Ancient Sinope. I. American Journal of Philology. vol. XXVII. 2. 1906, გვ. 141.

ათენელების საკოლონიზაციო მოძრაობის პერიკლეს ხანაში გაძლიერების კიდევ ერთი ზოგადი მიზეზი, როგორც ჩანს, არის პერიკლეს რეფორმაც მოქალაქეთა სტატუსის შესახებ. ძვ. წ. 451 წლიდან ათენის მოქალაქედ ითვლებოდა პირი, რომელსაც ორივე მშობელი ათენელი ჰყავდა. მოსახლეობის ნაწილი ამ რეფორმით კარგავდა მოქალაქეობას, შესაბამისად, მათ ნაწილს სურვილი გაუჩნდებოდა კოლონისტებად წასულიყვნენ და მათ მიერ დაარსებული ქალაქების სრულუფლებიანი მოქალაქეები გამხდარიყვნენ. თუმცა, ამ კატეგორიის ადამიანები კლერუხიების დაარსებაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას, რადგან კლერუხები ათენის მოქალაქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ და თუ მათ ათენში ყოფნისას არ ეკუთვნოდათ მოქალაქეობა, არც ახლად დაარსებულ კოლონიაში ეჭნებოდათ ეს სტატუსი. ფიჭვნარი კლერუხია არ ყოფილა (იხ. ქვემოთ), მაგრამ, ამასთან, მაინც საეჭვოა, რომ ფიჭვნარის დაარსებაში მონაწილეობა მიეღოთ ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს მოქალაქეობა პერიკლეს რეფორმის შედეგად. ფიჭვნარის სტატუსი რამდენადმე სპეციფიკურია, რაც დეტალურად განხილულია იქნება ქვემოთ.

კიდევ ერთი მიზეზი ფიჭვნარში ათენის მიერ ახალშენის დაარსებისა, როგორც ჩანს, არის ადგილობრივი მოსახლეობის მზადყოფა მიმდინარე პროცესებისათვის. ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლში პრაქტიკულად იარაღი არაა აღმოჩენილი. *„ეს მიუთითებს იმას, რომ შეჯახებებს აქ ადგილი არ ჰქონია, როდესაც ბერძნები ცდილობდნენ დამკვიდრებას“*[23]. როგორც ჩანს, მოსახლეობა წინააღმდეგობით არ შეხვედრია ბერძნების მოსვლას და არც ბერძნები ელოდნენ პრობლემებს. ა. კახიძეც აღნიშნავს, რომ ქალაქის დაარსების ატიკურ პერიოდში ფიჭვნარი მშვიდობიანად დაარსდა[24].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფიჭვნარის დაარსების გრძელვადიანი მიზეზია ზოგადად ათენის ინტერესი – გახდეს ბერძნული სამყაროს ჰეგემონი, ამიტომ აცხადებს პრეტენზიას ყველა იონიურ კოლონიაზეც. *„ათენის კონცეფცია, რომ ყველა იონიური ქალაქის მეტროპოლია იყოს, შემუშავდა ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს და V საუკუნის დასაწყისში, რათა გაემართლებინა მათი იმპერიის არსებობა. თუმცა, მიუხედავად გაზვიადებისა, ის მაინც შეიცავდა სიმართლის მარცვალს. რადგან სოლონი უთითებს, რომ ათენი უძველესი იონიური მიწაა და არქეოლოგიურადაც ათენური გეომეტრიული*

[23] Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 B. C.-A. D. 562 by D. Braund. Clarendon Press, 1994. გვ. 140.

[24] ა. კახიძე. ფიჭვნარის წითელფიგურიანი კრატერი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 69. №2. 1973, გვ. 507.

კერამიკის გავრცელებაც ამას ადასტურებს".[25] ფიჭვნარში კი დასტურდება ატიკურ კოლონიზაციამდელი მცირე მასშტაბის იონიური ახალშენი. მეორე მოკლევადიანი მიზეზია, ათენის მიერ წარმოებული ეგვიპტის კამპანიის კატასტროფა, დაბოლოს, უშუალო მიზეზია პერიკლეს ექსპედიცია და ადგილობრივი კოლხების მზადყოფნა აქ ათენის ახალშენის დაარსებისათვის.

ფიჭვნარის დაარსებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ ასპექტს განვიხილავთ: შემორჩენილი იყო თუ არა იონიური კოლონიზაციის პერიოდის მოსახლეობა ამ დროისთვის. როგორც გრეჰემი აღნიშნავს, „ათენი მეხუთე საუკუნეში ბევრ იმ ტერიტორიაზე აცხადებდა პრეტენზიას, სადაც მანამდე კოლონია არ დაუარსებია, მისი მთავარი არგუმენტი იყო არსებობა ბერძნული მოსახლეობისა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა მას"[26]. ფიჭვნარში ძვ. წ. VI ს. II ნახევრის უმნიშვნელო იონიური იმპორტი და, პრაქტიკულად, ქრონოლოგიური წყვეტა ძვ. წ. V ს. I ნახევარში იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ ათენელების მოსვლისთვის აქ იონიური სამოსახლო აღარ იყო მოქმედი და, ამდენად, გრეჰემის მიერ დასახელებული მიზეზი უარყოფილია. ფიჭვნარში ძვ. წ. V საუკუნის როგორც ბერძნულ, ისე კოლხურ ნეკროპოლში ძვ. წ. V ს-ის მხოლოდ I ნახევრით მყარად დათარიღებული მასალები არის: 1) პანტიკაპეიონის მონეტა (ძვ. წ. 475-450 წწ.) ბერძნული ნეკროპოლიდან (სამარხი №5), ასკოსი შავფიგურული ორნამენტით (ძვ. წ. 475-450 წწ.) ასევე ბერძნული ნეკროპოლიდან (სამარხი №15), 1 სამოსური ლეკითოსი კოლხური ნეკროპოლიდან (სამარხი №305) და 1 შავლაკიანი ატიკური კილიკოსი (სამარხი №310), ძვ. წ. 480-470 წწ.-ით დათარიღებული. ოთხივე სამარხში უხვადაა სხვა ნივთები, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება, ერთ-ერთში კი (სამარხი №15) ძვ. წ. V ს. III მეოთხედით დათარიღებული შავლაკიანი თასია აღმოჩენილი. შესაბამისად, ეს არ არის ძვ. წ. V საუკუნის I ნახევარში შემოტანილი ნივთები, ეს არის I ნახევარში წარმოებული და II ნახევარში შემოსული მასალები. ამდენად, ძვ. წ. V ს-ის I ნახევარი, პრაქტიკულად, ფიჭვნარის ისტორიაში მცირე ქრონოლოგიური წყვეტაა, შესაბამისად, ათენი აქ იონიელების წინააღმდეგობის ჩახშობის მიზნით არ მოსულა.

---

[25] Mary E. White.Greek Colonization. The Journal of Economic History. Vol. 21. No. 4 (Dec., 1961), გვ. 444.

[26] A. J. Graham. Colony and Mother City in Ancient Greece. Manchester University Press. 1964, გვ. 188.

ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ისტორიის შესახებ ძირითადად ბერძნული და კოლხური ნეკროპოლების მონაცემების საფუძველზე შეიძლება მსჯელობა. ფიჭვნარის სამაროვანი წარმოიქმნა ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებში და იარსება ძვ. წ. IV ს-ის დასასრულამდე, ე. ი. „*ფუნქციონირებდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ათენს დომინირებული მდგომარეობა ეკავა კოლხეთთან ვაჭრობაში. ამიტომაც იგი ათენელი მოახალშენეების კუთვნილებადაა მიჩნეული*".[27]

პირველ რიგში, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ იმპორტის რაოდენობა კოლხურ ნეკროპოლში ძალზე მცირეა. 100-მდე გათხრილ სამარხში აღმოჩენილი 230-მდე ნივთიდან იმპორტული ნაწარმი 20-ს არ აღემატება. ამასთან, 16 სამარხი უინვენტაროა, ბერძნული ნეკროპოლის 250 სამარხიდან ასეთივეა 26. კოლხურ სამაროვანზე პროცენტულად სამჯერ მეტი უინვენტარო სამარხია, ვიდრე – ბერძნულზე. ამასთან, ბერძნულ ნეკროპოლთან შედარებით კოლხური სამაროვანი მოკრძალებულად გამოიყურება.

საინტერესოა ფაქტი, რომ ფიჭვნარის სამოსახლოზე ბერძნები და კოლხები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. მიუხედავად ამისა, კოლხური ნეკროპოლი ღარიბია და ბერძნული იმპორტიც მცირეა. საერთოდ, იმპორტის საფუძველზე მსჯელობას ბერძნული ეთნიკონის არსებობის შესახებ ზოგჯერ სკეპტიკურად უყურებენ[28], თუმცა, ფიჭვნარის მაგალითიდან შეიძლება შემდეგი დაკვნების გამოტანა:

1. ბერძნული კერამიკის მცირე რაოდენობით აღმოჩენაც კი მიუთითებს ადგილობრივების ინტენსიურ ურთიერთობაზე ბერძნებთან.

2. მიუხედავად ადგილობრივებთან სავაჭრო ურთიერთობისა, ბერძნებისთვის გაცვლის საგანი ყოველთვის არ იყო მათი ძვირფასი ღვინო. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, თაზოსური, ქიოსური, ქალკიდიკის ღვინოები შემოდიოდა მხოლოდ ბერძნებისთვის. კოლხურ სამაროვანზე ამფორების არარსებობა ნიშნავს იმას, რომ ძვირფასი ბერძნული ღვინის იმპორტის სამიზნე მეზობელი კოლხური მოსახლეობა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ მდიდარი ჰინტერლანდის, მაგ., ვანის, მოსახლეობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქიოსის პროდუქციის ჩვენთან ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით შემოსვლა მას ორმაგად აძვირდებს, ამიტომ ხელმისაწვდომი ხდება

27 ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ. 2002, გვ. 204.

28 Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 B. C.-A. D. 562 by D. Braund. Clarendon Press, 1994. გვ. 93.

მხოლოდ მაღალი წრისთვის. ამის დასტურია ვანში მათი შედარებით დიდი რაოდენობით აღმოჩენა, ასევე, მცირე რაოდენობით კოლხეთის სხვა ჰინტერლანდურ ძეგლებზე (მაგ. დაფნარი, მთისძირი) მათი არსებობა. ა. კახიძეს დასაშვებად მიაჩნია „*კოლხეთსა და ქიოსს შორის პირდაპირი ურთიერთობის არსებობა. ეს კავშირი უწყვეტი ჩანს ძვ. წ. VII ს-ის ბოლოდან ძვ. წ. III საუკუნემდე*“,[29] მაგრამ ეს ზოგადი ხასიათის დასკვნაა და ყველა პერიოდს არ შეესაბამება. ძვ. წ. V ს. II ნახევრის კონიუნქტურა მაინც ათენის საშუამავლო ვაჭრობას გვავარაუდებინებს. ამ მხრივ სიმპტომატურია ისიც, რომ „*ატიკური სტანდარტი კოლხეთში დაინერგა, სადღაც, ძვ. წ. 450 - 414 წწ. ასეთი სტანდარტიზაცია კი იგივეა, რაც ევროს რეალიზაცია დღევანდელ ევროპაში... თუ ადრე დასავლეთ საქართველოში ფული მილეტური, ეგინური და სპარსული სისტემების საფუძველზე იჭრებოდა, ახლა აქ ატიკური სტანდარტი გაბატონდა*“.[30] შესაბამისად, ამ დროისათვის მართლაც ათენის საშუამავლო ვაჭრობაზე არიან დამოკიდებული ფიჭვნარელი ბერძნები და იგივე ქიოსური პროდუქცია კიდევ უფრო ძვირდება მათთვის. ასევე „*საბერძნეთის მატერიკული ცენტრის ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით უნდა იყოს შემოზიდული ე. წ. პროტოთაზოსური, თაზოსის წრისა თუ საკუთრივ თაზოსის ამფორები*“.[31] აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა, თაზოსი ათენს ხელში ჩაუვარდა ძვ. წ. 463 წ.[32] მართალია, ის როგორც ქალაქი ფუნქციონირებდა, მაგრამ 463 წლის ზავის შემდეგ ხარკსაც კი უხდიდა ათენს. ამიტომ ნებისმიერ იქ წარმოებულ პროდუქციას თავად ათენელები შემოიტანდნენ კოლხეთში, ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად ძვირი და შედარებით ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძვ წ. V ს. ბერძნულ ნეკროპოლში რაოდენობრივი თანაფარდობა ქიოსური (31 ცალი) და თაზოსური (24 ცალი) ამფორებისა გვაფიქრებინებს, რომ დაახლოებით თანაბრად ძვირი ჯდებოდა ფიჭვნარში მათი ჩამოტანა. აღსანიშნავია, რომ თაზოსთან საშუამავლო ვაჭრობას არც ფიჭვნარის ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. კახიძეც უარყოფს[33].

---

[29] ა. კახიძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, გვ. 62.

[30] თ. დუნდუა. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენების დასავლეთ საქართველოში. თბ. 2009, გვ. 18.

[31] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 200.

[32] Cambridge Ancient History, vol. V. 1964, გვ. 68.

[33] ა. კახიძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, გვ. 47-48.

საინტერესოა ერთი საკითხიც – უხდიდა თუ არა რაიმე სახის გადასახადს ფიჭვნარის ბერძნული მოსახლეობა ათენს. *„ამფიპოლისი და ათენის სხვა კოლონიები, რომლებიც ბერძენ-სპარსელთა ომის მერე დაარსდა, ფოროსს არ იხდიდნენ. არ ვიცით, რატომ“*.[34] ამის გათვალისწინებით შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა: ჩვენ ვიცით, რომ თაზოსი ათენის კონტროლის წინააღმდეგ, კერძოდ, ოქროს სახით ფოროსის გადახდასთან დაკავშირებით შეუთანხმებლობის გამო ათენს აუჯანყდა. იმავე წელს ათენმა ამფიპოლისი დააარსა, რომელიც ფოროსს საერთოდ არ იხდიდა. მისთვის ამფიპოლისის დაარსება უფრო საკუთარი პანათენური იდეის კონსტატაციის საშუალება იყო, ვიდრე შემოსავლის მიღებისა და, როგორც ჩანს, ამით მას სხვებისთვის, თუნდაც თაზოსისთვის, ამის ხაზგასმა უნდოდა. ჩანს, რომ ათენი, იმ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სარგებელს ვერ იღებდა, ფოროსს არ ითხოვდა და უფრო საკუთარ პრიმატს უსვამდა ხაზს. ფიჭვნარის შემთხვევაშიც, შესაძლოა, ასეა. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ სამოსი, ლესბოსი და ქიოსი ფოროსს არ იხდიდნენ საზღვაო კავშირში წევრობისათვის, მაგრამ უზრუნველყოფდნენ გემებით და ჰოპლიტებით[35]. თუ ფიჭვნარელი ბერძნები ფოროსს იხდიდნენ, შესაძლოა, ფოროსის ფორმა გემთსაშენი ხეტყით უზრუნველყოფა იყო. ა. კახიძე წერს, რომ შესაძლებელია *„ხე-ტყესთან ერთად იალქნებისთვის საჭირო ქსოვილებისა და ბაგირების გატანის ფაქტი დაკუშვათ“*.[36] ესეც, შეიძლებოდა, ფოროსის გარკვეული ფორმა ყოფილიყო.

ფიჭვნარელი ბერძნების ეკონომიკური კავშირების კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი საკითხი – რატომ არის ფიჭვნარში აღმოჩენილი ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები, მაგრამ არ არის სატრანზიტო ჭურჭელი ან თუნდაც ყოველდღიური მოხმარების ნივთები?! აქაური ბერძნები კმაყოფილდებიან ან თავისივე ნაწარმით, ან ადგილობრივად დამზადებული ჭურჭლით, ე. წ. ფიჭვნარული დოქებით, *„ფიჭვნარული დოქები ბერძნულ მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობენ“*.[37] არც კოლხურ სამაროვანზეა ჩრდილო შავიზღვისპირეთში ნაწარმოები ნივთები ძვ. წ. V საუკუნიდან, გარდა მონეტებისა. ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლში აღმოჩენილი 4 მონეტა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან – 2 ცალი თეოდოსიის ვერცლის

[34] A. J. Graham. Colony and Mother City in Ancient Greece. Manchester University Press. 1964, გვ. 201.
[35] История Древней Греции. ред. В. Кузищин. Москва. 2005, გვ. 191.
[36] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 76, 142.
[37] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 133.

მონეტა, პანტიკაპეიონისა და ნიმფეიონის ვერცხლის დიობოლი,[38] ასევე დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან 1 ცალი აპოლონიის მონეტა – ფიჭვნარელი ბერძნების ჩრდილო შავიზღვისპირეთთან პირდაპირ კონტაქტზე მეტად იმაზე მიანიშნებს, რომ პერიკლეს ექსპედიციის შემდეგ, როცა ათენის საზღვაო კავშირში გაერთიანებული იყო სინოპე, ამისოსი, აპოლონია და, სავარაუდოდ, ისტრიაც დასავლეთ სანაპიროსი, ასევე, ნიმფეიონი და, შესაძლოა, ოლბიაც[39], ეს მონეტები მიმოიქცეოდა მთელ შავიზღვისპირეთში და შეიძლებოდა ნებისმიერი ქალაქის, თუნდაც სინოპის, გავლით მოხვედრილიყო ფიჭვნარში. თუმცა, არც სამხრეთ შავიზღვისპირეთთან ჩანს ინტენსიური კონტაქტი მაინცდამაინც – ძვ. წ. V საუკუნის სინოპური მონეტაც სულ 2 ცალია აღმოჩენილი, მაგრამ, ზოგადად, ეს ფულები ტრიალებს ერთ სივრცეში – ათენის საზღვაო კავშირის სივრცეში. ის შეიძლება ათენის მეშვეობითაც შემოდიოდეს ქალაქში. თუკი თაზოსის პროდუქცია ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით შემოდის, საკვლევია, საზღვაო კავშირის წევრი სხვა ქალაქების მონეტებიც მისი გავლით შემოდიოდეს. ა. კახიძის აზრით, ფიჭვნარის როლი საგარეო ურთიერთობებში შემდეგია: „*არაა გამორიცხული, რომ ათენსა და კოლხეთს შორის ადრეანტიკურ ხანაში არსებულ მსგავს ინტენსიურ ურთიერთობებში ზოგჯერ შუამავლის როლში სინოპელებიც გამოდიოდნენ. ფიჭვნარსა და სინოპეს შორის მჭიდრო, უშუალო და პირდაპირი კონტაქტების არსებობა მთელი კლასიკური და ელინიზმის ეპოქისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს. ფიჭვნარში მსხდომი ბერძენი მოახალშენეები არეგულირებდნენ სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს არა მარტო ატიკასთან, არამედ ისინი გამოდიოდნენ ასევე შუამავლის როლში ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ პოლისებს შორის არსებულ ურთიერთობათა სფეროშიც*“[40]. სინოპელების შუამავლობა ათენთან ურთიერთობაში ძვ. წ. V საუკუნეში ძალზედ საეჭვოა, ამ მხრივ სინოპური ნაწარმის პრაქტიკულად არარსებობა და მხოლოდ 2 მონეტის აღმოჩენა ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლში სწორედაც რომ საწინააღმდეგოს გვაფიქრებინებს. ჩრდილო შავიზღვისპი-

[38] ა. კახიძე, ი. იაშვილი. შავიზღვისპირეთის საქალაქო ვერცხლის მონეტები ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის სამაროვნიდან. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი. დამატებანი. I. 1999. გვ. 21.

[39] История Древней Греции. ред. В. Кузищин. Москва. 2005, გვ. 195-196.

[40] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 141.

რეთთან პირდაპირი ინტენსიური ურთიერთობაც ძვ. წ. V საუკუნეში ნაკლებად მოსალოდნელია. ნიმფეიონში, მართალია, აღმოჩენილია კოლხური პითოსები[41], მაგრამ ეს, ძირითადად, ძვ. წ. IV საუკუნის პროდუქციაა. კახიძის აზრით, ფიჭვნარის კავშირის მიზანი ნიმფეიონთან კოლხეთის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებითაა გამოწვეული: „*V-IV სს. ფიჭვნარი გამოიყურება, როგორც საყრდენი პუნქტი, როგორც საზღვაო გზა, რომელიც არეგულირებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ანტიკური სამყაროს ცენტრებს შორის ურთიერთობას. ასეთივე იყო ნიმფეიონი და ამისოსი. არაა შემთხვევითი, რომ ნიმფეიონში აღმოჩენილია კოლხური პითოსები და მონეტები, ხოლო ფიჭვნარში – ნიმფეის და ამისოს მონეტები*“,[42] მაგრამ აქ დასაფიქრებელია ერთი რამ – ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთში იყო პირველადი საჭიროების ისეთი რამ, რაც კოლხეთში არ მოიძებნებოდა და არც ათენში, რომ ფიჭვნარელ ბერძნებს შესძლებოდათ ადგილობრივ კოლხებთან ვაჭრობისთვის მათი დაკმაყოფილება. მაგრამ თავისთავად კოლხურის სამაროვნის ბერძნული იმპორტის სიმწირე საეჭვოს ხდის ფაქტს, რომ ბერძნებს ადგილობრივების ინტერესით რაიმე ჩამოეტანათ ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრიდან.

კონტრარგუმენტად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლში არც ბევრი კიზიკინია ნაპოვნი – სულ 2 ცალია აღმოჩენილი 500-მდე ბერძნულ და კოლხურ სამარხში. კიზიკინები „*ასრულებდნენ საერთაშორისო, ინტერლოკალური მონეტების ფუნქციას*“,[43] „*ათენმა კიზიკის ზარაფხანა არათუ გააუქმა, არამედ თავისი სამონეტო კარის ფილიალადაც კი აქცია*“.[44] მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ კიზიკინებს მსხვილი სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად იყენებდნენ[45], ამდენად, ამ ფულის გამოყენება მაინც უფრო მსხვილ ოპერაციებთანაა დაკავშირებული და ფიჭვნართან სწორედაც რომ მსხვილი ოპერაციებით უნდა ყოფილიყო ინტენსიური ურთიერთობა – ხე-ტყის ექსპორტის სახით. თანაც მსხვილი ფულის სამაროვნებზე

[41] А. Ю. Кахидзе. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой колонизации Восточного Причерноморья. Проблемы Греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Тбилиси. 1979, გვ. 315.
[42] А. Ю. Кахидзе. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой колонизации Восточного Причерноморья, გვ. 316.
[43] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 138.
[44] ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ. 2002, გვ. 202.
[45] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ტ. I. თბ. 2006, გვ. 48.

დაუნჯება უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი თუ, რა თქმა უნდა, რაიმე საშიშროებით გამოწვეულ ტეზაურიზაციასთან არ გვაქვს საქმე. ამასთან, ჩვენ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ მხოლოდ მონეტების მიმოქცევა, თუ მას თან არ ახლავს სხვა ნაწარმის შემოსვლა (კერამიკის მასობრივ მონაპოვარში თუ არ მოიძებნება არც ერთი ნივთი კონკრეტულ ცენტრთან დაკავშირებული), არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, კონკრეტულ პერიოდში კონკრეტულ ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობა. ათენთან ინტენსიურ ურთიერთობას ამტკიცებს ის იმპორტული კერამიკული მონაპოვარი, რომელიც აღმოჩენილია ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლებზე, მათ შორის, კოლხურ ნეკროპოლშიც (ატიკური თასები, კილიკები, ლეკითოსები) და არა მხოლოდ მონეტები. აქვე აღვნიშნავთ ერთ საკითხსაც. ის ფაქტი, რომ კიზიკინები ბერძნულ ნეკროპოლშია აღმოჩენილი, მიუთითებს ფიჭვნარელი ბერძნების საშუამავლო როლზე – ისინი ყიდულობდნენ ნედლეულს ადგილობრივებისგან და შემდეგ ჰყიდდნენ ათენელებზე. ეს საკითხი საინტერესოა ფოროსის ასპექტითაც, გამოდის, რომ ფიჭვნარი ან არ იხდიდა ფოროსს და ჰყიდდა ათენელებზე კოლხებიდან გამოზიდულ ნედლეულს, ან ფოროსს იხდიდა ნედლეულით. ეს ნედლეულიც არ იყო საკმარისი – უფრო მეტს ითხოვდნენ ამ რეგიონიდან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბერძენ-სპარსელთა ომების შემდეგ დაარსებული ათენის კოლონიები, როგორც გრეჰემი აღნიშნავს[46], ფოროსს არ იხდიდნენ, მაშინ პირველი დასკვნა უფრო მართებულია და ჩვენც მას ვემხრობით.

ამრიგად, ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ფიჭვნარს, ჩვენი აზრით, ძვ. წ. V საუკუნეში მხოლოდ თავის მეტროპოლია ათენთან ჰქონდა. დასტურდება შავიზღვისპირეთის სხვა ბერძნულ ცენტრებთან (ნიმფეიონი, პანტიკაპეიონი, სინოპი) ურთიერთობაც, სავარაუდოდ, ნაკლებად ინტენსიური. ადრეული სინოპური მონეტების, ერთი – ძვ. წ. 500 წლით დათარიღებული[47] და მეორე – ძვ. წ. 500-453 წწ. (ძვ. წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლი, სამარხი 104)[48] აღმოჩენის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რიგ შემთხვევებში სინოპიც თამაშობდა ათენსა და ფიჭვნარს შორის ურთიერთობებში საშუამავლო რგოლის როლს.

საინტერესოა ეტრუსკულ ნაწარმად მიჩნეული ბრინჯაოს დოქის აღმო-

[46] A. J. Graham. Colony and Mother City in Ancient Greece. Manchester University Press. 1964, გვ. 201.

[47] ი. იაშვილი. ადრეული სინოპური ვერცხლის დრაქმა ფიჭვნარიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVI. 1987, გვ. 44.

[48] ი. იაშვილი. ადრეული სინოპური ვერცხლის დრაქმა ფიჭვნარიდან, გვ. 45.

ჩენა ძვ. წ. V ს. ბერძნულ ნეკროპოლში[49]. რა თქმა უნდა, ეს არ ადასტურებს დასავლეთის ბერძნებთან პირდაპირ სავაჭრო ურთიერთობას, ის ჩვენთან შეიძლებოდა მოხვედრილიყო მხოლოდ ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით.

ცალკე საკითხია, რამდენად ინტენსიურია ფიჭვნარელი ბერძნების ვაჭრობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მ. ინაძის აზრით, „ძვ. წ. V ს-ში ფულადი ურთიერთობა ბევრად უფრო ინტენსიურია ფიჭვნარის ადგილობრივ მოსახლეობასა და ბერძენ ვაჭართა ფენას შორის, ვიდრე აქაურ ელინთა წრეში".[50] ამას მ. ინაძე ასკვნის ბერძნულ ნეკროპოლში ჩატანებული მონეტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ერთი მხრივ, მართლაც, ბერძნებს ადგილობრივებთან ვაჭრობის და აქედან ნედლეულის გაზიდვის ინტერესი უფრო უნდა ჰქონოდათ. ბერძნების მიერ ელინური ექსპერიმენტის ფარგლებში ტერიტორიების ათვისებისას ერთ-ერთი ეტაპია, როცა *„საექსპერიმენტო მხარეები საბერძნეთს ამარაგებს სურსათით და ნედლეულით"*.[51] ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარი ფიჭვნარის ახალშენისთვის ელინური ექსპერიმენტისთვის სწორედ ის ეტაპია, როცა საექპერიმენტო მხარე მეტროპოლიას აწვდის ნედლეულს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ძვ. წ. V საუკუნის კოლხურ ნეკროპოლში 40-მდე მონეტის აღმოჩენა ბერძნული ნეკროპოლის 11 მონეტის საწინააღმდეგოდ, მაგრამ, ფაქტია, უფრო მრავალფეროვანი ბერძნული ნეკროპოლის მონაპოვარია. რაც შეეხება, ფიჭვნარელ ბერძნებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას, საინტერესოა, რომ უკნინესი ნომინალები, ჰემიტეტარტემორიონები, სწორედ მათთანაა აღმოჩენილი. ისინი, მ. ინაძის აზრით, *„მსხვილი ფულის დაბურდავების მიზნით იჭრებოდა და მისი ერთადერთი დანიშნულება იყო ფიჭვნარ-ქალაქში მცხოვრებ ადგილობრივ და ბერძნულ მოსახლეობას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგება"*.[52] ცნობილია, რომ ფრაქციული ფულის მიმოქცევა სწორედაც საქალაქო ცხოვრებასთან არის დაკავშირებული – წვრილი სერვისის არსებობასთან[53] – სხვა რა უნდა ყოფილიყო ასე იაფი. და თუკი არაფერი არ იყიდება ისეთი, რასაც ჰემიტე-

[49] ა. კახიძე. ანტიკური ტორევტიკის ნიმუშები ფიჭვნარიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVI. 1987, გვ. 47-49.
[50] მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 206.
[51] თ. დუნდუა. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენების დასავლეთ საქართველოში, გვ. 8.
[52] მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია.
[53] თ. დუნდუა. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში, გვ. 11; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. საქართველოს ისტორია, თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი? თბ. 2000, გვ. 5.

ტარტემორიონი შეიძენს, მისი მიმოქცევაში ჩაშვება რა საჭიროა? სხვა საკითხია, რომ ჰემიტეტარტემორიონის აღმოჩენა მისი წონის გამო რთული საკითხია და ის სამი მონეტაც არ იქნებოდა აღმოჩენილი, დახურულ კომპლექსში ერთად რომ არ აღმოჩენილიყო. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მეტი არაა აღმოჩენილი, არ ნიშნავს იმას, რომ ცოტა მოიჭრა. თუ გავითვალისწინებთ ამ მონეტის აღმოჩენის სირთულეს, მათი ცუდი დაცულობიდან გამომდინარე *argumentum ex silentio*, რომ ისინი უფრო მეტი მოიჭრა და, ყოველ შემთხვევაში, საკუთრივ ელინური ქალაქებისთვის მაინც ჰქონდათ მათ ეკონომიკური მნიშვნელობა, მაინც ძლიერია. მ. ინაძეც მიიჩნევს, რომ ჰემიტეტარტემორიონები, რომელიც *„მხოლოდ ფიჭვნარი-ქალაქის ფარგლებში ტრიალებენ, მართლაც წმინდა საქალაქო მონეტად შეიძლება ჩაითვალოს“*.[54]

ამასთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც – ჰემიტეტარტემორიონების ემისიას. თ. დუნდუას აზრით, ის ფაზისის მოჭრილია: *„მხოლოდ ერთხელ სცადა ფაზისმა წვრილი ფულის ემისია და ეს ცდა დაკავშირებული იყო ისევ და ისევ კარგად აპრობირებულ ვერცხლთან – სამი უკნინესი ჰემიტეტარტემორიონი ექსპერიმენტის წარუმატებლობის მკაფიო ილუსტრაციაა“*.[55] ხოლო ა. კახიძის აზრით, *„შესაძლოა, ფიჭვნარშიც იჭრებოდა ე. წ. ავტონომიური მონეტები. ამაზე უნდა მიუთითებდეს კოლხური ჰემიტეტარტემორიონების აღმოჩენები ფიჭვნარში“*[56].

ახლა კი ფიჭვნარის სტატუსისა და პოლიტიკური დამოკიდებულების შესახებ მეტროპოლიასთან. გრეჰემი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის ურთიერთდამოკიდებულების ფორმები სხვადასხვა დროს, აღნიშნავს: მეხუთე საუკუნეში ბერძნული კოლონია შეიძლებოდა უბრალოდ ყოფილიყო მოქალაქეების დასახლება სხვაგან. ან სრულიად ათენურია, კლერუხიაა და პატარაა. ამასთან, შედარებით ახლოს მდებარე ან შერეული კოლონიაა[57] და შორს და თან ნაკლებად ექვემდებარება მეტროპოლიას[58]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ათენის განსაკუთრებულ და-

[54] მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 163.
[55] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ტ. I. თბ. 2006, გვ. 34
[56] ა. კახიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის იონიური და ატიკური ეტაპები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XI. 1982, გვ. 70.
[57] იგულისხმება ათენთან ერთად სხვა ქალაქების მონაწილეობა კოლონიის დაარსების პროცესში თურიუმის დაარსების მსგავსად.
[58] A. J. Graham. Colony and Mother City in Ancient Greece. Manchester University Press. 1964, გვ. 210.

ინტერესებას შავიზღვისპირეთით, ამ შემთხვევაში დისტანციის ეფექტი – ნაკლები დამოკიდებულება მეტროპოლიასა და ახალშენს შორის – ნაკლებად სავარაუდებელია. ა. კახიძის აზრით, შესაძლებელია „*ფიჭვნარი იყო კლერუხია (ამის ზუსტად განსაზღვრა ჯერჯერობით ჭირს)*".[59]

მ. ინაძეც მსჯელობს ათენური კოლონიზაციის ხანაში ახალშენების სტატუსებზე და აღნიშნავს, რომ „*ათენის მიერ დაარსებულ კოლონიათა ნაწილი კლერუქიებს წარმოადგენდა, ნაწილი ეპოიკიებს, ზოგიერთი მათგანი კი შეიძლება ჩვეულებრივი სავაჭრო ქალაქიც ყოფილიყო*".[60] ამრიგად, ათენის მიერ ძვ. წ. V საუკუნეში დაარსებული ახალშენები პოლისებად – რომლებიც დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ, თუ მყისიერად არა, სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია – არ განიხილება.

კლერუხია, განსხვავებით სხვა სახის კოლონიებისგან, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ ინარჩუნებდა მეტროპოლიისგან. კლერუხიის მაცხოვრებლები პოლიტიკურად დამოკიდებულები იყვნენ. ამასთან, საინტერესოა, რომ ისინი ინარჩუნებდნენ ათენის მოქალაქეობას. ისინი ვალდებულები იყვნენ ემსახურათ ჰოპლიტებადაც. მ. ინაძე კოხის მასალების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ფიჭვნარში ჰოპლიტთა მცირე ჯგუფიც გადმოასახლეს, „*მათ შესაძლოა კიდეც გადასცემოდათ მიწის ნაკვეთი, მაგრამ ჩვეულებრივ ასეთი ნაკვეთები ათენის დასახლებებში იჯარით გადაეცემოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელნიც ნაკვეთის დროებით მფლობელებს უხდიდნენ გარკვეულ ფულად გადასახადს, ხოლო მიწის შემოსავლის ნაწილს თავისთვის იტოვებდნენ*".[61] კლერუხიის მცხოვრებნი თვითონ იყვნენ ვალდებული ჰოპლიტები ყოფილიყვნენ. ამდენად, თუ ფიჭვნარი კლერუხია იყო, მაშინ ესენი უბრალოდ ქალაქის მაცხოვრებლები არიან, რომელთაც ათენისთვის ჯარში მსახურება ევალებოდათ. საინტერესოა მ. უაიტის კლასიფიკაცია ძვ. წ. V საუკუნის კოლონიებისა: „*ბერძნული კოლონიზაციის ორი სხვა მოდელიც არსებობდა – კორინთოელებმა ტირანების მმართველობის ხანაში ძვ. წ. 625 წლის მერე დაარსეს კოლონიები კორინთოს ყურის დასავლეთ სანაპიროზე, რათა დასავლეთისკენ მიმავალი გზა დაეცვათ და ნედლეული მოეპოვებინათ. ათენიც მის მსგავსად*

[59] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 205.
[60] მ. ინაძე. ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. №1. 1975, გვ. 62.
[61] მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ. 1982, გვ. 161.

მეხუთე საუკუნის განმავლობაში აარსებდა კოლონიებს და გარნიზონებს ტოვებდა ყველგან მთელს იმპერიაში. ისინი უკვე არსებული ქალაქებისგან მიწას ითხოვდნენ კოლონისტები ათენელები იყვნენ და რომელ ქალაქშიც იყვნენ, იმის იურისდიქციას არ ექვემდებარებოდნენ. არცერთმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა. კორინთოს კოლონიებმა ნამდვილი ქალაქების სტატუსამდე ვერასდროს ვერ აღწიეს, ხოლო ათენელი კოლონისტები პელოპონესის ომის დამთავრებისთანავე დაბრუნდნენ ათენში".[62]

ჩვენი აზრით, ფიჭვნარი კლერუხია არაა და უაიტის მიერ შემოთავაზებულ ამ მოდელს ექვემდებარება. ის უშუალოდ სამხედრო მიზნებით არ ყოფილა დაარსებული. პირველ რიგში, ამის არგუმენტია ის, რომ ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლში იარაღები არ არის აღმოჩენილი. ფიჭვნარის ფუნქცია გემსაშენი ხე-ტყით მომარაგება უფრო ჩანს. ამას ჯარისკაცები არ სჭირდებოდა, მით უფრო, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან მტრულ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია. პელოპონესის ომი ქალაქის დაარსების მხოლოდ გრძელვადიანი განმაპირობებელი მიზეზია. ფიჭვნარელი ბერძნების უშუალო მონაწილეობა, როგორც ჩანს, არ მოიაზრება სამხედრო ქმედებებში.

საინტერესოა ერთი ფაქტიც. განსხვავებით ათენის მიერ დაარსებული ძვ. წ. V საუკუნის კოლონიებისგან, რომელთაგან ზოგიერთი მართლაც წარუმატებელი ექსპერიმენტი გამოდგა, მაგ., ამფიპოლისისგან, რომელიც მალევე გაანადგურეს თრაკიელებმა, ფიჭვნარი არსებობას განაგრძობს ელინისტურ ხანაშიც კი. ამ თვალსაზრისით, ფიჭვნარი ათენელების წარმატებული ექსპერიმენტია თურიუმის მსგავსად. ოღონდ, თუკი თურიუმის წარმატება განაპირობა იმან, რომ მის დაარსებაში მონაწილეობას იღებდა ათენის თაოსნობით ბევრი ბერძნული ქალაქი და ეს აქტი გამოხატავდა პანელინურ იდეებს[63], ფიჭვნარი მხოლოდ ათენის დაარსებულია.

ატიკური პერიოდის ფიჭვნარი არც კლასიკური ემპორიაა. ჯერ ერთი, მისი დაარსების პერიოდისთვის არსებული კონიუნქტურა გამორიცხავს ამას, ათენი ემპორიონებს, როგორც პერიოდული ბაზრობების ადგილებს, არ აარსებდა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ემპორიის ფუნქცია ადგილობრივებთან ინტენსიური ვაჭრობაა, ფიჭვნარის ემპორიონობა საეჭვო

---

[62] Mary E. White. Greek Colonization. The Journal of Economic History. Vol. 21. No. 4. Dec. 1961, გვ. 453.

[63] S. Perlman. Panhellenism, the Polis and Imperialism. Historia: Zeitschrift fur Alte Geschichte. Bd. 25. H. 1. 1st Qtr. 1976, გვ. 7.

ხდება, რადგან თვით ფიჭვნარელი ბერძნების მეზობლად მცხოვრები კოლხები არ ვაჭრობდნენ ინტენსიურად მათთან. რაც შეეხება ჰინტერლანდს, მდიდარი ქალაქი ვანია, მაგრამ ძნელია თქმა, რომ მაინცდამაინც ფიჭვნარი ამარაგებდა მას. უფრო მოსალოდნელია, რომ ეს ფუნქცია ფაზისის პრეროგატივა იყო.

ფიჭვნარი, როგორც ჩანს, იყო ქალაქი, რომელშიც ათენელები ინტენსიურად მოძრაობდნენ, რეზიდენტები იყვნენ, მაგრამ აქაური მოქალაქეები არ იყვნენ. ეს ჰგავს კლერუხების მდგომარეობას იმით, რომ ისინი არ ჰკარგავდნენ ათენის მოქალაქეობას და ხშირად მოძრაობდნენ მეტროპოლიას და კოლონიას შორის, ამასთან, ჰგავს ემპორიონსაც იმით, რომ სავაჭრო ადგილია. თუმცა, რადგან მიიჩნევა, რომ კლერუხები მიწის მფლობელები იყვნენ და, ამასთან, მეომრებიც და ფიჭვნარში იარაღი საერთოდ აღმოჩენილი არაა, ძვ. წ. V საუკუნის ფიჭვნარი არც კლასიკური კლერუხია არაა.

ერთი საკითხის დაზუსტების მიზნით შეეხებით შემდეგ მოვლენას: შეიძლება თუ არა ნეკროპოლებში ინვენტარის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელოთ კოლონისტთა პირველი ნაკადის ქონებრივი შესაძლებლობის შესახებ?! ფიჭვნარის კოლონისტებთან დაკავშირებით ა. კახიძე აღნიშნავს: *„ჩანს, რომ პირველი მოახალშენეების კონტიგენტი ძირითადად ღარიბი ფენებითაა დაკომპლექტებული.“* ამ მოსაზრების გაზიარებამდე საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მოახალშენეებს გარკვეულწილად ეზღუდებოდათ მნიშვნელოვანი ქონების წაღება თან. შეიძლებოდა ჰქონოდათ ქონება, მაგრამ ძირითადად მეტროპოლიაში ოჯახისთვის უნდა დაეტოვებინათ. მაგალითად, ნავპაქტოსის დაფუძნების დეკრეტის მერვე მუხლში წერია: *„ნავპაქტოსის კოლონისტებიდან ისინი, ვინც მამს და თავის ქონებას მამასთან ერთად დატოვებს მეტროპოლიაში, მამის სიკვდილის შემთხვევაში ნებადართულ იქნება, რომ მიიღოს მისი წილი მემკვიდრეობა“*.[64] ამდენად, თუკი გარკვეული თვალსაზრისით მცირეა ის ქონება, რომელიც ჩატანებულია ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლში, ეს არ არის განპირობებული იმით, რომ ისინი ღარიბები იყვნენ, უფრო იმით, რომ კოლონისტებისთვის შეზღუდული იყო მნიშვნელოვანი ქონების თან წაღება.

ძვ. წ. V ს. ბოლოდან, მას შემდეგ, რაც ათენი მარცხდება პელოპონესის ომში, *„ფიჭვნარელ ელინთა ეკონომიკური შესაძლებლობანი თანდათანობით იზღუდება“*.[65] ფიჭვნარის ძვ. წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი ძვ.

---

[64] A. J. Graham. Colony and Mother City in Ancient Greece. Manchester University Press. 1964, გვ. 228.

[65] ა. კახიძე, მ. ეიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 168.

წ. V საუკუნის ნეკროპოლთან შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. *„მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაკავების შემდგომ (V ს. 30-იანი წლები) ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი საერთოდ წყვეტს ფუნქციონირებას“.*[66] ბერძნები წავიდნენ თუ განაგრძეს აქ ცხოვრება, ამაზე პირდაპირი პასუხი ა. კახიძეს არ გაუცია. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება იხ. ქვემოთ.

V საუკუნის ბოლოდან IV საუკუნის 30-იან წლებამდე ფიჭვნარის განვითარება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) ნაკლებად ინტენსიური ურთიერთობა მეტროპოლიასთან, 2) ღვინის იმპორტის შესუსტება, 3) სამხრეთ შავიზღვისპირეთთან კონტაქტების გაძლიერება, განსაკუთრებით შედარებით ინტენსიური კავშირის დამყარება პონტოს ჰერაკლეასთან, 4) ძვირფასი ჭურჭლის შემოტანა თითქმის იმავე ინტენსივობით, 5) ფიჭვნარელი ბერძნების მიერ ეთნოგრაფიული იერსახის შენარჩუნება.

მეტროპოლიასთან შესუსტებული კავშირის ან საერთოდ კავშირის გაწყვეტის მანიშნებელია ატიკური ნაწარმის ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლთან შედარებით რაოდენობრივი შემცირება. მართალია, ატიკური ნაწარმი შემოდის ფიჭვნარში და, ამასთან, ატიკური კერამიკული ნაწარმი სამარხეული ინვენტარის წამყვან ნაწილს ქმნის[67], მაინც მცირეა წინა საუკუნესთან შედარებით. ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია პელოპონესის ომში ათენის დამარცხებასთან[68].

ამ დროისათვის ღვინის იმპორტიც შემცირებულია. ის ფაქტი, რომ ამფორების რაოდენობა შემცირებულია, ნიშნავს ზოგადად ვაჭრობისა და, განსაკუთრებით, ღვინით ვაჭრობის დაქვეითებას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფიჭვნარში შემოტანილი ღვინის ფუნქცია მეტწილად ადგილობრივი ბერძნების ან ჰინტერლანდის დაკმაყოფილება იყო, ვიდრე ფიჭვნარელი კოლხებისა. ძვ. წ. IV საუკუნეში, აქ ბერძნული ან მაგ., ვანში კოლხური მოსახლეობა, რომელსაც ძვირფასი ბერძნული ღვინო დასჭირდებოდა, რა თქმა უნდა, ჯერ ისევ სახლობს, მაგრამ კავშირები უკვე ისეთი ინტენსიური აღარ არის.

ფიჭვნარის დასახლებამ სამხრეთ შავიზღვისპირეთთან გააძლიერა კონტაქტები, თავდაპირველად, როგორც ჩანს, უფრო პონტოს ჰერაკლეასთან. ა.

---

[66] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 168.

[67] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 96.

[68] А. Ю. Кахидзе. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой колонизации Восточного Причерноморья, გვ. 178.

კახიძის აზრით, ამის შედეგია დასახლების თავიდან აყვავება[69]. თუკი ატიკური პროდუქცია სუფრის ჭურჭლის ან ლეკითოსების სახით ყველაზე მეტია ზოგადად იმპორტში, სატრანსპორტო კერამიკაში წამყვან ადგილს ჰერაკლეის ამფორები იკავებდა[70]. ეს პირდაპირ მიუთითებს ჰერაკლეასთან ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობებზე. ჰერაკლეასთან არის დაკავშირებული, როგორც ჩანს, ნაცრისფერკეციანი კერამიკის გაჩენაც, რადგან *„ფიჭვნარში ნაცრისფერკეციანი კერამიკა ჩნდება ჰერაკლეურ ამფორებთან ერთად და ქრება მათთან ერთად“*.[71] ასევე ჰერაკლეიდან ხდება კრამიტის იმპორტიც. ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალაც ამის დასტურია. მაგრამ ზოგადად *„ჰერაკლეას ამფორების იმპორტის ხანგრძლივობა არცთუ ისე დიდია“*.[72] მას საკმაოდ მალე ჩაენაცვლება სინოპი.

საინტერესოა, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ნეკროპოლში, სადაც ზოგადად უცხოური მონეტები მწირია, აღმოჩენილია პანტიკაპეიონის ჰემიდრაქმა (სამარხი №87), ისიც გახვრეტილი[73]. საინტერესოა, რომ პანტიკაპეიონში აღმოჩენილია კოლხური პითოსების და ლანგრების ნაშთები ძვ. წ. VI-V სს. კულტურულ ფენებში[74], თუმცა კონკრეტულად ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრისთვის მაინც ეს კავშირი არც წინა და არც შემდგომ ელინისტურ ხანასთან შედარებით ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო.

ატიკური მოხატული ვაზების ძვ. წ. IV საუკუნეში შემოტანა პრაქტიკულად იმავე ინტენსივობით, როგორც ეს ძვ. წ. V საუკუნეში იყო,[75] მიუთითებს, რომ ფიჭვნარელს ბერძნებს აქვთ საშუალება, თავის თავს უფლება

---

[69] А. Ю. Кахидзе. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой колонизации Восточного Причерноморья, გვ. 179.

[70] ა. კახიძე. ფიჭვნარის ძვ. წ. IV ს. ბერძნულ ნეკროპოლზე 1976 წელს განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VIII. 1979, გვ. 52.

[71] А. Ю. Кахидзе, Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой колонизации Восточного Причерноморья, გვ. 171-173, 176.

[72] ა. კახიძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971. გვ. 51

[73] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 103.

[74] ა. კახიძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, გვ. 64.

[75] თ. სიხარულიძე. ატიკური მოხატული ვაზები ფიჭვნარის სამაროვნიდან (ძვ. წ. V-IV სს.). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVI. 1987, 67, 77, 90, 102.

მისცენ და შეიძინონ ამ ტიპის ფუფუნების საგნები.

ბერძნულ ნეკროპოლში შენარჩუნებულია მხოლოდ ბერძნებისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესი – აღმოსავლეთისკენ დამხრობა[76]. ეს მიუთითებს, რომ მათ ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი გარკვეული ელემენტების შენარჩუნება ძვ. წ. IV საუკუნეშიც შეძლეს. თუკი თავიდან, ძვ. წ. V საუკუნეში, ყველა სამარხი ძირითადად მიმართული იყო აღმოსავლეთისკენ, მაგრამ ჰქონდა უმნიშვნელო გადახრები, ძვ. წ. IV საუკუნის ბერძნული სამარხების დიდი ნაწილი ზუსტად აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. ა. კახიძე აღნიშნავს, რომ ეს ფიჭვნარის ნეკროპოლის მორიგი თავისებურებაა. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს წელიწადის ნებისმიერი დროისთვის უკვე ისწავლეს მხარეთა გამოცნობის ზუსტი ხერხები[77]. აქ საინტერესოა ერთი ფაქტი, ცნობილია, რომ ბერძნების ასტრონომიული ცოდნის გაზრდის შედეგად ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნაზე მათ ღია ზღვაში ცურვა ისწავლეს[78]. როგორც ჩანს, ეს ასტრონომიული ცოდნა ეხმარება მათ მხარეების ზუსტად განსაზღვრაშიც. აქედან გამომდინარე, ჩანს, ბერძნების ერთმანეთთან ურთიერთობისას არა მხოლოდ ვაჭრობის საგნები იცვლებოდა, არამედ ინფორმაციაც ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ.

ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში ვითარება იცვლება. ამ თვალსაზრისით ფიჭვნარის ისტორიაში მნიშვნელოვანი ძვრებია: 1) ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი წყვეტს არსებობას, როგორც ჩანს, „მას მერე, რაც მაკედონია ამარცხებს საბერძნეთს“,[79] 2) იწყება ყავისფერკეციანი ამფორების და სხვა კერამიკული ნაწარმის დამზადება ადგილობრივად ბერძნების მიერ, 3) მყარდება ინტენსიური ურთიერთობა სინოპესთან და, როგორც ჩანს, ამისოსთანაც.

ელინისტური ხანის ფიჭვნარის ისტორიის შესასწავლადაც უმთავრეს წყაროს ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე მოპოვებული მასალები წარმოადგენს. პირველ რიგში, აღვნიშნავთ იმას, თუ ვისი უნდა ყოფილიყო ეს სამაროვანი. ა. კახიძე ამ საკითხს ღიად ტოვებს და მხოლოდ სამარხეულ ინვენტარს შეისწავლის. გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავებით ძვ. წ. V

[76] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 92.
[77] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 25.
[78] М. И. Золотарев. Новые данные о древных морских путях в Понте Эвксинском. Проблемы Греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Тб. 1979, გვ. 94-100.
[79] А. Кахидзе. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой колонизации Восточного Причерноморья, გვ. 314.

და IV საუკუნის სამაროვნებიდან, სადაც მიჯნის გავლება ადვილია ბერძნულსა და კოლხურ სამარხებს შორის, ელინისტური ხანის სამაროვანზე ეს უფრო რთულია. ერთი მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის 305 სამარხიდან მხოლოდ ხუთია კრემაციული. ამასთან, „*კრემაციის წესი ფიჭვნარში ელინთა მიერ უნდა იყოს შემოტანილი*“.[80] კრემაციული სამარხები ელინისტური ხანის სამაროვანზეცაა აღმოჩენილი. „*ანტიკური ხანის კრემაციული სამარხები ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობას უნდა უკავშირდებოდეს. ძვ. წ. VI საუკუნიდან მათი რაოდენობა მცირდება*“,[81] როგორც ჩანს, აქ მხოლოდ ბერძნებისგან დაკრძალვის წესის გადმოღებაზე არაა საუბარი. ელინისტური ხანის სამაროვანი ან შერეულია, ან საერთოდაც ბერძნულია. ელინისტურ ხანაში, ძვ. წ. III საუკუნეში, სრულიადაც მოსალოდნელია, რომ აქ იმპორტი ცოტა იყოს და ბერძნები მაინც იყვნენ. ეს ერთი, და ამასთან, ფიჭვნარელი ბერძნების მცირედი ბარბარიზებაც ამ დროისთვის ლოგიკურია, შესაბამისად, ლოგიკურია, მათ კოლხებთან საერთო სასაფლაო გაეჩინათ კიდეც. თუმცა მარტო კრემაციული სამარხების არსებობა, რა თქმა უნდა, საკმარისი არგუმენტი არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ მართალია, კრემაცია ბერძნებისთვის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება, მათში ინჰუმაციური დამარხვის წესიცაა გავრცელებული.

მაშინდელი ბერძნებისა და დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალს შორის მსგავსებაც მიუთითებს დროის გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში კოლხების მიერ ბერძნებისგან ამ წესის სესხებაზე. ასეთი პერიოდი სავსებით შესაძლებელია ყოფილიყო ელინისტური ხანა. საინტერესოა ერთი ასპექტი – სააღაპო მოედნების არსებობა. მართალია, ძვ. წ. VI ს. დამდეგიდან სოლონმა აკრძალა ფუფუნებით დაკრძალვა, მაგრამ განსხვავებული სურათია ანტიკური სამყაროს პერიფერიებში[82]. კლასიკური ხანის კოლხურ ნეკროპოლში აღაპები არაა. სამაგიეროდ ამ რიტუალს იყენებდნენ ფიჭვნარელი ბერძნები.[83] ფიჭვნარში არის სააღაპო მოედნები[84]. სააღაპო მოედნებზე აღმოჩენილია კერამიკის ნატეხები, რაც მიუთი-

[80] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ 26.
[81] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 26.
[82] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 31.
[83] ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი. ბათუმი – ოქსფორდი. 2010, გვ. 118.
[84] ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წელს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VIII. 1979, გვ. 83.

თებს იმაზე, რომ მიცვალებულს აკითხავდნენ გარდაცვალების შემდეგ. „დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჭირისუფალს მისაკითხიც მიჰქონდა".[85] მაშინ არსებობდა ასეთი წესი: მესამე დღის რიტუალის (ტატრიატა) შესრულების შემდეგ მგლოვიარენი ბრუნდებოდნენ გარდაცვლილის სახლში, რომელიც გლოვის დღეებში ნიშანდებული იყო კარებთან დადგმული ჭურჭლით. გარედან მოტანილი წყლით წასვლისას დაკრძალვის მონაწილენი განიბანებოდნენ[86]. ეს წესი ძალიან ჰგავს დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილ წესს – დაკრძალვის შემდეგ, როდესაც მიცვალებულს გამოემშვიდობებიან, ქელეხის წინ ხელს იბანენ იმ ოთახის წინ, სადაც მიცვალებული იყო დასვენებული, აუცილებლად ჭურჭლიდან დასხმული წყლით, ხელსაბანიც აუცილებლად რაიმე სახის ჭურჭელი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში ონკანი. ეს ფაქტი პირველი შემთხვევა არ არის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბერძნების დროინდელი წესების შემორჩენისა. ცნობილია, რომ *„აპოლონიის (სოზოპოლი, ადგილი კალფატა) ნეკროპოლში შემორჩენილია ჭურჭლის დამტვრევის წესი, რომელიც დღევანდელ ბულგარელთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც შემორჩა"*.[87] ამდენად, მიუხედავად დიდი ქრონოლოგიური სხვაობისა, პარალელი სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ესეც ადასტურებს, რომ კოლხები და ბერძნები გარკვეული პერიოდის განმავლობაში კულტურული თვალსაზრისით იზოლირებულად არ ცხოვრობდნენ, პირიქით, ისინი იზიარებდნენ ერთმანეთის ტრადიციებსაც. ელინისტური ხანის სამაროვანიც, როგორც ჩანს, უკვე წესებგაერთიანებული ადგილობრივი კოლხებისა და უკვე მათთან დაახლოებული ბერძნების საერთო სამაროვანია.

დაკრძალვის წესების შესახებ ა. კახიძისა და ნ. ვაშაკიძისეული ინტერპრეტაცია შემდეგია: *„ელინიზმის ხანაში თანდათანობით გაქრა ადრინდელი კოლხური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესები. ელინთა მიბაძვით წამყვანი ხდება თავით აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული სამარხები. იშვიათად გამოერევა ფიჭვნარის ადრეული ეპოქებისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ჩრდილოეთისკენ თუ დასავლეთისკენ დამხრობილი სამარხები"*.[88] ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ აქ ისევ და ისევ ბერძნული და-

[85] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 29.
[86] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 41.
[87] ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი 2, გვ. 58.
[88] ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 117.

მარხვის წესია გაბატონებული და, მცირე გამონაკლისის გარდა, სამარხები აღმოსავლეთისკენაა მიმართული[89], რაც ტიპურად ბერძნულ რიტუალადაა მიჩნეული,[90] მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამარხები ძირითადად ბერძნულია, მცირე გამონაკლისის გარდა, რომლებიც, სავარაუდოდ, მათ გვერდით მოსახლე კოლხებისა უნდა იყოს.

ასევე ის ფაქტიც, რომ ე. წ. ქარონის ობოლებს ისევ აყოლებენ მიცვალებულს, რაც ცალსახად ბერძნული გავლენაა[91], მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამაროვანი უფრო ბერძნებისაა ან შერეული მაინცაა. თუმცა ეს ფაქტორიც, ისევე როგორც კრემაცია, სიმპტომატურად მხოლოდ ბერძნებისთვის არაა დამახასიათებელი, მათი გავლენით ვრცელდება სხვაგანაც და ამიტომაც თავისთავად მხოლოდ ეს არგუმენტიც არ არის საკმარისი.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ *„დაკრძალვის ეს წესი გვხვდება ძვ. წ. V-IV სს.-ის ფიჭვნარის ბერძნულ ფენებს შორის. იგი თანადროულ კოლხურ სამაროვანზე არაა დადასტურებული. ელინიზმის ეპოქაში ეს წესიც ბერძნებიდან უნდა იყოს შემოსული“*[92]. ამრიგად, კრემაციაც ფიჭვნარში უფრო ბერძნებთან უნდა დავაკავშიროთ, ვიდრე ადგილობრივებთან. შესაბამისად, ელინისტური ხანის სამაროვანიც უფრო ბერძნული ჩანს.

ერთადერთ კონტრარგუმენტად შეიძლება დასახელდეს ელინისტური ხანის სამაროვანზე იმპორტის შემცირება. აქ აღმოჩენილი კერამიკის უმრავლესობა ადგილობრივი პროდუქციაა, მცირე ნაწილი შემოტანილია[93]. თუმცა ათენური იმპორტი არც არის ამ დროისათვის აქ მოსალოდნელი, რადგან ათენური თალასოკრატიის პირობებში ბევრად უფრო ინტენსიური კონტაქტები იყო – მაშინ ეს იყო მუდმივი მოგზაური ვაჭრების ქალაქი. ძვ. წ. V და IV საუკუნეების ბერძნულ ნეკროპოლში ფარდობითად მეტი რაოდენობის იმპორტი და მასთან შედარებით ელინისტური ხანის სამაროვნის სიღარიბე არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ ელინისტური ხანის სამაროვანზე ბერძნები არ არიან დაკრძალული, სხვა დანარჩენი არგუმენტი, რითიც უნდა მოხდეს

---

89 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 21.

90 ბერძნების რწმენით, ღმერთების ადგილსამყოფელი აღმოსავლეთის მხარეს, ხოლო მზერა კი დასავლეთისკენ, ჰადესისკენ იყო მიმართული.

91 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 119.

92 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 117-118.

93 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VI. 1977, გვ. 32.

სამაროვნის მიკუთვნება ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისთვის, ბერძნების სასარგებლოდ საუბრობს. მით უფრო, რომ ელინისტური ხანის სამაროვანზე იმპორტული ნაწარმი რაოდენობრივად აჭარბებს ძვ. წ. V-IV სსაუკუნეების კოლხურ სამაროვანზე შემონახულ იმპორტს.

ელინისტურ ხანაში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ურთიერთობები სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან[94]. ფიჭვნარელი ბერძნები აფართოებენ თავიანთ კავშირებს, განსაკუთრებით სინოპთან. საინტერესოა ერთი ასპექტიც – თუკი ჰერაკლეასთან უფრო ინტენსიური კავშირები დადასტურებულია ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევარში, ელინისტურ ხანაში ეს კონტაქტი სუსტდება და ფიჭვნარელებთან ურთიერთობების მონოპოლიზებას სინოპი ახერხებს. ამას ადასტურებს აქ აღმოჩენილი კერამიკა სინოპური დამღებით, მაგ., ასტინომ პოსიოსის სახელით[95]. სინოპთან სავაჭრო ურთიერთობა ძვ. წ. IV საუკუნეში ელინისტურ ხანამდეც ჰქონდა ფიჭვნარს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სინოპური მონეტების განძი ნაპოვნია ფიჭვნარის ტერიტორიაზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 103 სინოპური დრაქმა[96]. ასევე ელინისტური ხანის სამაროვანზე ნაპოვნია სინოპური დრაქმებიც[97]. საინტერესოა, რომ მცირე რაოდენობის სინოპური დამღებია აღმოჩენილი კოლხეთში, ხოლო სინოპური მონეტები (ძვ. წ. 360-320) დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ქობულეთი-ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე. ჟ. დე ბოერის აზრით, *„ეს ადასტურებს მჭიდრო კონტაქტებს, მაგრამ არა ამფორებით ვაჭრობას“*[98]. უფრო სწორი ინტერპრეტაციაა, ალბათ, რომ კოლხეთი არაფერს ყიდულობდა სინოპისგან, ყიდიდა მხოლოდ, ნედლეულის ბაზა იყო ისევ, ოღონდ ამჯერად სინოპისთვის. საინტერესოა, რომ ის, რაც მანამდე გაჰქონათ ათენელებს (ხე-

---

[94] А. Ю. Кахидзе. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой колонизации Восточного Причерноморья, გვ. 316; Д. А. Хахутаишвили, А. Ю. Кахидзе. Пичвнари в эллинистическую эпоху. Причерноморье в эпоху Эллинизма. Тбилиси. 1985, გვ. 517.

[95] ი. იაშვილი. სინოპური დამღა ფიჭვნარიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XI. 1982, გვ. 96.

[96] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ტ. I. თბ. 2006, გვ. 44.

[97] ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წელს, გვ. 73; ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, გვ. 28, 31.

[98] ჟ. ბოერი. სინოპური და კოლხური ამფორების დამღები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში: საერთო ბაზარი? შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი. დამატებანი. XI. 2005, გვ. 13.

ტყე), სინოპს თავისთავად ჰქონდა. ამასთან, ხე-ტყე ათენს ბევრად უფრო დიდი რაოდენობით სჭირდებოდა სამხედრო მიზნებისთვის, მით უფრო, რომ მათ ბრძოლების დროს რამდენჯერმე გაუნადგურდათ ფლოტი და აღდგენა მოუხდათ. სინოპი, ათენიანთ საზღვაო იმპერია არ ყოფილა, მისთვის სამშენებლო ხე-ტყე საჭირო იყო ძირითადად სავაჭრო გემებისთვის, შესაბამისად, ფართო ხასიათი ამ დროს ფიჭვნარიდან ხე-ტყის ექსპორტს, წესით, არ უნდა ჰქონოდა.

1966 წ. ქობულეთში შემთხვევით იპოვეს ამისოს-პირეოსის[99] (?) მონეტა. მონეტა ჩვეულებრივი სპარსული სტანდარტის სიკლია. მონეტას ბრაშინსკი ძვ. წ. IV საუკუნით ათარიღებს, ალექსანდრეს ლაშქრობებამდე პერიოდით.[100] მისი აზრით, *„ამ მონეტის აღმოჩენა ქობულეთში მიუთითებს ძვ.წ. მე-4 საუკუნეში ამისოსისა და კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობების არსებობაზე“*.[101] ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი მონეტის საფუძველზე ამგვარი მოსაზრების გამოთქმა არ იქნებოდა სწორი. მიუხედავად იმისა, რომ ამისოსი ტერიტორიულად უფრო ახლოს მდებარეობს ფიჭვნართან და საერთოდ რეალური პირდაპირი კავშირი რომ ჰქონდეთ ერთმანეთთან, მეთოდურად უფრო გამართლებულია მივიჩნიოთ, რომ ეს მონეტა სინოპის საშუამავლო გზით შემოვიდა ფიჭვნარში.

მეგარული თასების მიხედვით ა. კახიძეს შესაძლებლად მიაჩნია ურთიერთობა კუნძულ დელოსთანაც[102], თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეგარული თასები საბერძნეთის ბევრ ცენტრში მზადდებოდა, ამ მხრივ შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება და კონკრეტულად რომელიმე ცენტრის გამოყოფა ძნელია.

თაზოსთანაც ჩანს სუსტი ურთიერთობა ფიჭვნართან — ფიჭვნარში აღმოჩენილია ერთადერთი თაზოსური ამფორა ელინისტური ხანის სამაროვანზე[103].

---

[99] ძვ. წ. V ს. I ნახევარში ამისოსი ათენელებმა დაიპყრეს და პირეოსი უწოდეს. პირეოსი ეწოდებოდა მას ძვ.წ. IV ს. 30-იან წლებშიც, ალექსანდრემდე.

[100] И. Б. Брашинский. К истории экономических связей восточного Причерноморья в античную эпоху (по нумизматическим материалам). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XLVII. №3. თბ. 1967, გვ. 759-760.

[101] И. Б. Брашинский. К истории экономических связей восточного Причерноморья в античную эпоху (по нумизматическим материалам). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XLVII. №3. თბ. 1967, გვ. 760.

[102] ა. კახიძე, ნ. ეაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 123.

[103] ა. კახიძე, ნ. ეაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 120.

რაც შეეხება არაპირდაპირ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს, ფიჭვნარში შემოდიოდა ეგვიპტური ნაწარმიც. ამ დროისათვის სინოპიდან უკვე სახმელეთო გზებითაც უკავშირდებოდნენ ნავკრატისს და, შესაბამისად, პროდუქცია ამ გზითაც მოდიოდა, თუმცა ვარაუდობენ როდოსის საშუამავლო როლსაც ამ ნავკრატისთან ვაჭრობაში. ელინისტური ხანის სამაროვანზე ცისფერი მინის სკარაბეოიდია აღმოჩენილი[104].

ფიჭვნარში შემოდის ფინიკიური მინის ნაწარმიც, აღმოჩენილია ალაბასტრები[105]. თუმცა ცნობილია, რომ ფინიკიური მინის სახელოსნო, შესაძლოა, ათენშიც იყო და სუსტად, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია კავშირი ათენთან. ძნელია გადაჭრით თქვა, საიდან უნდა იყოს შემოსული ეს ნაწარმი, საბერძნეთიდან თუ სირიიდან.

ელინისტურ ხანაში გარდატეხაა ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუკი აქამდე ეს ქალაქი ძირითადად ნედლეულის ექსპორტით იყო დასაქმებული, როგორც ჩანს, ელინიზმის დასაწყისიდან იწყებს საკუთარი პროდუქციის შექმნას. ამ ფუნქციით უნდა დაწყებულიყო ფიჭვნარშიც ე. წ. ყავისფერკეციანი ამფორების წარმოებაც. ყავისფერკეციანი ამფორები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა ნაპოვნი, მათ შორის ჰინტერლანდში. ეს არის ბერძნული ტიპის კერამიკა – ამფორები. ასევე, აქ ადგილობრივი ფორმისა და ორნამენტაციის ჭურჭელი ჩნდება ბერძნულის მიხედვით, ხშირად წითელლაკიანი კერამიკის მიბაძვით. ტრადიციულად ისინი კოლხური ორნამენტითაა შემკული[106]. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „ყავისფერკეციანი" ამფორები შემდეგში ფართოდ მზადდებოდა კოლხეთის შიდა რაიონებშიაც (ვანი და სხვ.) სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ყავისფერკეციანი" ამფორების წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ფიჭვნარი უნდა ყოფილიყო[107] და მათ დამზადებაში თავდაპირველად მონაწილეობა უნდა მიეღოთ სინოპელ ხელოსნებს[108]. ყავისფერკეციანი ამფორების წარმოება ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან, ელინიზმის ეპოქის საწყისი საფეხურიდან იწყება.

---

104 ა. კახიძე. ფიჭვნარის ძვ. წ. IV ს. ბერძნულ ნეკროპოლზე 1976 წელს განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები, გვ. 80.

105 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, გვ. 28.

106 О. Д. Лордкипанидзе. Античный мир и Восточное Причерноморье (Колхида, Иберия). Тбилиси. 1975, გვ. 19.

107 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 38.

108 მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ. 1982, გვ. 214.

რაც შეეხება ამ ამფორების გავრცელების არეალს: ისინი მოპოვებულია თითქმის ყველგან დასავლეთ საქართველოში და ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველომდეც კი აღწევს. ისტორიულ კოლხეთში პრაქტიკულად არ არის ანტიკური ხანის ნამოსახლარი თუ ნაქალაქარი, სადაც ყავისფერკეციანი კერამიკა არ იყოს აღმოჩენილი[109].

ამფორების ფუნქცია, როგორც ცნობილია, საქონლის ტრანზიტია. გამომდინარე იქიდან, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კოლხური ამფორები ფართოდაა გავრცელებული, ვარაუდობენ, რომ სწორედ იქ გადიოდა აქაური პროდუქცია. საინტერესო ჩანს ისიც, რომ ფიჭვნარის ერთ-ერთ სამარხში დოქი-ამფორა – ტარასაწყაულია აღმოჩენილი. სხვა ჭურჭელზე ტევადობის წარწერაცაა მოცემული. ჩვენი აზრით, ეს საცალო ვაჭრობის განვითარების ნიშანია[110] და იმისაც, რომ აქაური ბერძნები თავად ვაჭრობდნენ თავიანთი პროდუქციით.

ბერძნების ოდნავი ბარბარიზაცია ამ ხანაში გამოიხატა მათ მიერ ადგილობრივი რესურსების გამოყენებით, ბერძნული სტილის შენარჩუნებით, ნაკლებად ხარისხიანი კერამიკის წარმოებაში. აქ აღმოჩენილია კანთაროსისებრი, არიბალისებრი, ადგილობრივი წარმოების ჭურჭლები, ასევე, ლუთერიებიც[111], სინოპურის მიბაძვით შექმნილი, ელინიზირებული ფორმის იხთიაც,[112] ასევე აღმოჩენილია ამფორისკი, რომელსაც კოლხური ამფორის მსგავსი ტანი და ძირი აქვს. ამ მონაპოვარს პარალელი არ ეძებნება[113]. ყველა ეს ნაწარმი ადგილობრივი ბერძნების მიერ უნდა იყოს შექმნილი აქაური ნედლეულის გამოყენებით. საინტერესოა, რომ გვიანელინისტური ხანის ბერძნული ფორმის ჭურჭელი ჰინტერლანდშიცაა აღმოჩენილი. მაგ., ფარცხანაყანევში კანთაროსისებრი ჭურჭელია ნაპოვნი[114]. ეს ნიშნავს, რომ ბერძნები მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას თავისუფლად ყიდიან ჰინტერლანდშიც.

---

109 ა. კახიძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. 1971, გვ. 55.

110 ალტერნატიული აზრის არიან ამირან კახიძე და ნინელი ვაშაკიძე. მათ ტარასაწყაოს აღმოჩენა საბითუმო ვაჭრობის განვითარების ნიშნად მიაჩნიათ. იხ. ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 119.

111 ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წელს, გვ. 71, 73, 76.

112 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 119-120.

113 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი, გვ. 41.

114 შ. მამულაძე. ფარცხანაყანევში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VIII. 1979, გვ. 87.

საინტერესოა, რომ, კლასიკური ხანის კოლხური კერამიკული ნაწარმისგან განსხვავებით, *„ამ პერიოდის თიხის ჭურჭლებიც არ გამოირჩევიან მაღალმხატვრულობით, ჩნდება დეგრადაციის ნიშნები, რაც კიდევ უფრო საგრძნობია მომდევნო ეპოქებისთვის“*.[115] ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, რომ ეს ბერძნების მიერ შექმნილი კერამიკაა, რომელიც განიცდის კოლხების გავლენას, მაგრამ, ამასთან, ბერძნული კერამიკისთვის დამახასიათებელ ფორმებს ინარჩუნებს, თუმცა ეს არაა ლაკით დაფარული ჭურჭელი.

ელინისტურ ხანაში კიდევ უფრო განვითარდა საფეიქრო საქმე. თუკი ამ დარგის დანიშნულება ადრე შეიძლებოდა ყოფილიყო გემებისთვის საჭირო იალქნებისთვის ქსოვილის წარმოება, როგორც ამას ა. კახიძე ვარაუდობს[116], ელინისტურ ხანაში, როდესაც ფიჭვნარელები ათენს აღარ აწვდიან ნედლეულს, როგორც ჩანს, ეს დარგი უფრო ადგილობრივი მომხმარებელს ემსახურება. თუმცა აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: კვირისთავების რაოდენობა ელინისტური ხანის სამაროვანზე გაცილებით მეტია. თუკი ძვ. წ. V ს-ის როგორც კოლხურ, ისე ბერძნულ ნეკროპოლებზე ერთად სულ 1 ცალია აღმოჩენილი, ელინისტურ ხანიდან რამდენიმე თიხის კვირისთავია ცნობილი[117].

ფიჭვნარში განვითარებულია თევზჭერა. სავარაუდოდ, საკბილტაჟო თევზჭერა[118]. ამის დასტური უნდა იყოს დიდი ზომის ქვის საწაფის აღმოჩენა. თუმცა ელინისტურ ხანაში მისი ფართო ექსპორტი ნაკლებადაა მოსალოდნელი. სავარაუდოდ, იგი თვითონ ქალაქის მოსახლეობისთვის იყო გამიზნული. როგორც ჩანს, თევზი, ისევე როგორც ღორის ხორცი, ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური რაციონის ნაწილი იყო. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ოსტეოლოგიურ მასალაში საკმაოდ ბევრი ღორის ძვალია აღმოჩენილი.

ძვ. წ. II სს-ის დასასრულისთვის ქალაქი ფიჭვნარი წყვეტს თავის არსებობას. მ. ინაძის აზრით, *„საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის მოშლა ფიჭვნარის ტერიტორიაზე გამოიწვია სწორედ მწარმოებლური საზოგადოების*

---

115 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, გვ. 50.

116 ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 142.

117 ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წელს, გვ. 71, 77.

118 ა. კახიძე, მ. ვიკერსი. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 142.

საბოლოო გაჩანაგებამ და მოშლამ'[119]. დ. ხახუტაიშვილის აზრით, ფიჭვნარის მიტოვება გეომორფოლოგიურ ცვლილებებს, კერძოდ, ლაზურ ტრანსგრესიას უკავშირდება.[120] საინტერესოა, რომ, განსხვავებით რიგი ბერძნული ქალაქებისგან, კოლხეთის ტერიტორიაზე (დიოსკურია, ფაზისი), ფიჭვნარი მითრიდატეს ხანაში აქტიური აღარ არის. მითრიდატეს შემოსვლით გამოწვეული დროებითი ეკონომიკური აღორძინება ფიჭვნარს აღარ შეეხო. როგორც ჩანს, ამ მხარით არ დაინტერესდა პონტოს მმართველი და ელინისტური ხანის ფიჭვნარის საბოლოო კვდომაც ამან გამოიწვია.

ამრიგად, ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე ფიჭვნარი არსდება როგორც იონიური კოლონია. ამ კოლონიის დაარსების უშუალო მიზეზი, მილეტის იმ პერიოდის საჭიროებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ამ რეგიონში ოქროს ძიებაა, შემდეგი ეტაპი ფიჭვნარის ცხოვრებაში ათენელების მოსვლაა, ქალაქი იქცა მუდმივი მოგზაური-ვაჭრების ქალაქად, სპეციფიკურ ემპორიად, სადაც თავს იყრიდნენ მუდმივად მოგზაური ბერძნები, ამასთან, ნაწილი, შესაძლოა, ცხოვრობდა კიდეც აქ. ესენი იყვნენ არა პოლის-ფიჭვნარის მოქალაქეები, ვინაიდან ფიჭვნარი პოლისი არ ყოფილა, არამედ ათენისა, და ისინი მუდმივად ინარჩუნებდნენ კავშირს ათენთან. ამით აიხსნება ბერძნულ ნეკროპოლში უჩვეულოდ დიდი რაოდენობის იმპორტული ნაწარმის არსებობის ფაქტი. ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში აქ სინოპელები მოდიან, ამის დასტურია მათი დიდი გავლენა ადგილობრივი კერამიკის წარმოებაზე. ელინისტური ხანის სამაროვანი მათი და, ალბათ, მცირე რაოდენობით კოლხების სასაფლაოა. ძვ. წ. II საუკუნეში ქალაქი საერთოდ წყვეტს არსებობას და მითრიდატეს ხანაში ის არც აღორძინებულა, განსხვავებით ფაზისისა და დიოსკურიისგან.

---

[119] მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ. 1982, გვ. 208.

[120] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ. 1986, გვ. 340.

Natia Phiphia

PICHVNARI SETTLEMENT IN WESTERN GEORGIA – GENESIS AND HISTORY (THE 6TH- 2ND CC. B. C.)

Summary

Like other Greek settlements in Western Georgia, Pichvnari was founded by the Milesians. Archaeological evidences prove Ionian presence in Pichvnari in the 6th c. B.C. Also, onomastic similarity between Miletus and Pichvnari ("the pine-trees") proves it: there are pine-trees around Miletus and town nearby is called *Çamiçi*, i. e. "in the pine-trees"; according to Pliny, Carian name of Miletus was *Pityusa*, since the surrounding territory was rich in pine-trees. Milesians could have transferred their toponym to Colchis, in their settlement, especially if the basis for creating such a toponym had coincided. Nowadays the toponym exists in Georgian form, like Carian name of Miletus, *Pityusa*, is preserved in Turkish form, *Çamiçi*.

Athenians came to Pichvnari in the middle of the 5th c. B.C. Existence of the Greek cemetery of the 5th-4th cc. B.C. here proves it. Pichvnari became the city of the sailors and traders in the 5th c. B. C. High percentage of the Greek import on Greek cemetery gives us the clue that the Greeks were Pichvnari residents, however they were travelling a lot, bringing Greek import quite often. They were citizens of Athens and Pichvnari was not a self-governing polis. It was a specific emporia with Athenian citizens.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

თემურ თოდუა

ქიოსელების დეპორტაცია კოლხეთში

ქიოსი იონიური საბერძნეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო მეგაპოლისს წარმოადგენდა. ის შავიზღვისპირეთის ბაზარზე ღვინის ყველაზე უფრო აქტიური მიმწოდებელი იყო.[1] ქიოსში მზადდებოდა ასევე სხვადასხვა ტიპის ამფორები. ძვ. წ. VII ს-დან II ს-მდე ქიოსური ამფორები დადასტურებულია მაროკოდან შავი ზღვის სანაპიროებამდე.[2] აღსანიშნავია, რომ ქიოსური ღვინო როდოსისა და კნიდოსის ღვინოებთან შედარებით საკმაოდ ძვირი იყო.[3]

ქიოსის პროდუქციის იმპორტი კოლხეთში ძვ. წ. VII ს-ის დასასრულსა და VI ს-ის დასაწყისიდან იწყება, მაგრამ მას ჯერ კიდევ არა აქვს რეგულარული ხასიათი.[4] ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებიდან, განსაკუთრებით კი ელინიზმის ეპოქიდან შეინიშნება ქიოსის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან. აღნიშნული პერიოდის ქიოსური ამფორების ფრაგმენტები საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს როგორც ზღვისპირა ასევე, ცენტრალურ რეგიონებში.[5]

რაც შეეხება ქიოსის პოლიტიკურ აქტივობას, მის შესახებ წერილობით წყაროებში საკმაოდ მწირი ცნობები არსებობს. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ათენაიოსისა და აპიანეს თხზულებებში დაცული ცნობები, რომლებიც პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორისა და ქიოსე-

---

1 ანტიკურ ავტორთა ცნობებით, პირველად შავი ღვინო ქიოსში ჩამოასხეს. იხ. Strabo. XIV. II. 18

2 J. Boardman. The Ancient City of Chios – ABSA. XLIX. 1952 ct. 24-25; თ. თოდუა. ანტიკური პოლისი. თბ. 2011, გვ. 77, 147.

3 Strabo. XIV. II. 19.

4 О. Лордкипанидзе. Древняя Колхида. Тб. 1978, გვ. 122.

5 Г. Лордкипанидзе. Колхида в VI-II вв. дон. Тб. 1978, გვ. 106; ნ. მათიაშვილი. ძვ. წ. III-I სს-ის კოლხეთის ქალაქები ეკონომიკური ისტორიიდან. თბ. 1977, გვ. 35.

ლების ურთიერთობას ეხება.

ახ. წ. III ს-ის ბერძენი ავტორის – ათენაიოსის გადმოცემით, „მითრიდატე კაპადოკიელმა ქიოსელები დაიმორჩილა და შებორკილები გადასცა საკუთარ მონებს, რათა კოლხთა ქვეყანაში დაესახლებინათ".[6] ეს ცნობა ათენაიოსისეული არ არის, არამედ აღნიშნულ ავტორს ის ნიკოლოზ დამასკელის (ძვ. წ. I ს.) და პოსიდონიოსისაგან (ძვ. წ. 128-45 წწ.) აქვს აღებული.[7] ცნობილი ისტორიკოსის, აპიანეს, თანახმად კი – დასჯილი და შეურაცხყოფილი ქიოსელები მითრიდატემ ექვსინის პონტოსკენ გაგზავნა.[8]

მოტანილი ცნობები ძვ. წ. 86 წლის მოვლენებს ასახავს და მრავალმხრივ საინტერესოა. ჯერ ერთი, წყაროდან ჩანს, რომ პონტო-რომის ომში ქიოსის წარჩინებული ფენა პრორომაული ორიენტაციისა, ხოლო მოსახლეობის ღარიბი და უუფლებო მასა მითრიდატეს უჭერდა მხარს. მეორე, კოლხეთი პონტოს სამეფოს სისტემაში არა მარტო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ როლს ასრულებდა, არამედ ის მითრიდატესთვის საექსორიო ქვეყანასაც წარმოადგენდა. სხვა მხრივ, ეს ფაქტი, ძვ. წ. I ს-ში საკოლონიზაციო პრაქტიკის რეანიმაციაზეც მიანიშნებს.

ძნელია ახლა გადაჭრით ითქვას იმის შესახებ, თუ რატომ იყო პონტოელთათვის კოლხეთი საექსორიო, სადეპორტაციო ქვეყანა, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელია.

სტრაბონის ცნობის თანახმად, მითრიდატე გემთმშენებლობისათვის ყველა საჭირო ნედლეულით (ხე-ტყე, სელი, ცვლილი, ფისი) ძირითადად კოლხეთიდან მარაგდებოდა.[9] ამავე დროს ის პონტოელთა არმიის საპროვიანტო ბაზადაც ითვლებოდა.[10] ყოველივე ეს მრავალრიცხოვან, დამატებით მუშახელსა და სპეციალისტებს მოითხოვდა, რის ნაკლებობასაც პონტოს მეფე ხშირად განიცდიდა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მითრიდატე, აპიანეს ცნობით, მეზობელი ქვეყნებიდან მენიჩბეებსა და მეზღვაურებს იწვევდა.[11]

---

[6] Athen. I. 3. 160.

[7] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ. 1976, გვ. 72.

[8] App. Mithr. XII. 47.

[9] Strabo. XI. 2. 17-18.

[10] მემნონის ცნობით, ძვ. წ. 70 წ. ბოსფორის მმართველი მახარე კოლხეთში იმყოფებოდა და ალყაშემორტყმული სინოპელთათვის პროვიანტს ამზადებდა. იხ. Memn. 53-54.

[11] App. Mithr. XII. 57.

ვფიქრობთ, ქიოსელებიც მითრიდატეს ამგვარი სამუშაოების შესრულებისათვის უნდა გამოეყენებინა; არც ისაა გამორიცხული, რომ მათი ჩამოსახლება კოლხეთის მძიმე ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაციის რეაბილიტაციითაც ყოფილიყო განპირობებული. როგორც ცნობილია, ძვ. წ. II-I სს-ში კოლხეთი ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. მისი საქალაქო ცენტრები, რიგითი დასახლებები დაცემულ-დაქვეითებულია, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები გარესამყაროსთან თითქმის შეწყვეტილია.[12] მართალია, კოლხეთში მითრიდატეს ბატონობის პირველ ეტაპზე, ამ მხრივ გარკვეული სასიკეთო ძვრები შეინიშნება, მაგრამ მისი სრული რეანიმაციისათვის საამისო რესურსები არ იყო საკმარისი. ეს კი, შესაძლოა, ქიოსელებით შევსებულიყო, თუმცა მათი დეპორტირება კოლხეთში, ბუნებრივია, გარკვეულ დემოგრაფიულ დისბალანსს გამოიწვევდა. იქნებ, ძვ. წ. 85 წ. პონტოელთა წინააღმდეგ კოლხთა აჯანყების[13] ერთ-ერთი მიზეზთაგანი ქიოსელთა ჩამოსახლება ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, როგორც ეს მოტანილი ცნობებიდან ჩანს, კოლხეთში თავისუფალი, დაუსახლებელი ტერიტორიები ყოფილა, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს.

როგორც აღინიშნა, ძვ. წ. II-I სს-ში კოლხეთში საქალაქო ცხოვრებისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის კრიზისის პროცესი შეინიშნება. ეს ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, შეეხო ქალაქების გარშემო არსებულ დასახლებებს. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, კოლხეთის ზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის – დიოსკურიის – „ხორაზე" არსებული დასახლებების რაოდენობა მკვეთრად შემცირებული ჩანს. მაგალითად, სოხუმის მთის, მაჭარის, კელასურის, ბაგრატის კარიბჭის კულტურულ ფენებში წარმოდგენილია მხოლოდ კლასიკური და ადრეელინისტური ეპოქის კერამიკა, ხოლო გვიანელინისტური ხანის არტეფაქტები საერთოდ არ დაფიქსირებულა.[14] ანალოგიური სიტუაცია დასტურდება დიოსკურიის ერთ-ერთ მასშტაბურ მონაკვეთზე – „წითელი შუქურის" ნამოსახლარზე, სადაც მხოლოდ ძვ. წ. IV-III სს-ის ფენაა დადასტურებული, ხოლო ძვ. წ. II-I სს-ის ფენა საერთოდ არ ჩანს.[15]

---

[12] იხ. Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства. Тб. 1990, გვ. 85-92.

[13] იხ. App. Mithr. 64.

[14] А. Каландадзе. Археологические памятники сухумской горы. Сухуми. 1953, გვ. 46.

[15] М. Трапщ. Археологические раскопки в окрестностях Сухуми. ТАИЯЛИ. XXIX. Сухуми 1958, გვ. 189 შმდ.

კრიზისის ნიშნები კოლხეთის ცენტრალურ რეგიონებში შეინიშნება. ასე მაგალითად, დაბლაგომის დასახლება და მისი სამაროვანი აქტიურად ფუნქციონირებდა ძვ. წ. IV-III სს-ში, მაგრამ ძვ. წ. III ს-ის დასასრულს არსებობას წყვეტს.[16] ძვ. წ. II ს-დან, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებენ მთისძირისა და ციხე-სულორის დასახლებები.[17] როგორც ჩანს, კოლხეთში ბევრი თავისუფალი ტერიტორია ყოფილა, რომ აქ მითრიდატეს დეპორტირებული ქიოსელები დაესახლებინა.

მოტანილი ცნობებიდან, განსაკუთრებით კი ათენაიოსის ინფორმაციიდან, არ ჩანს, შედგა თუ არა რეალურად ქიოსელთა დეპორტაცია კოლხეთში. ამ მხრივ გარკვეული სიცხადე შეიძლება შეიტანოს რომაელებსა და მითრიდატეს შორის დადებულმა ხელშეკრულების პირობებმა. გამარჯვებულმა სულამ მითრიდატეს ერთ-ერთ პირობად წაუყენა რომაელთა მოკავშირე ქიოსელთა სამშობლოში დაბრუნება. ეს ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. 84 წელს აღსრულდა, როდესაც რომაელებმა ქიოსელებს „თავისუფლება" მიანიჭეს და ზარალიც აუნაზღაურეს.[18] ცხადია, ქიოსელთა დეპორტაცია კოლხეთში რეალურად განხორციელებულა, რასაც დამატებით მოწმობს აპიანეს ზემომოტანილი ცნობა, რომლის თანახმადაც, მითრიდატემ „დასჯილი და ძალით აყრილი ქიოსელები ევქსინის პონტოსკენ გ ა გ ზ ა ვ ნ ა".[19]

სიმპტომატურია, რომ ქიოსური პროდუქციის მოზღვავება კოლხეთში სწორედ ძვ. წ. I ს-ში შეინიშნება. ამ დროს ქიოსური ამფორები მრავლად გვხვდება დასავლეთ საქართველოს როგორც ზღვისპირა, ასევე ცენტრალურ რეგიონებში;[20] ქიოსელთა დეპორტაციას შეიძლება დაუკავშირდეს ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. II-I ს-ის ფენაში მრავალრიცხოვანი რაოდენობით წარმოდგენილი ე.წ. თითისტარისებრი ბალზამარიები,[21] რომლებიც წინა საუკუნეების კოლხეთის ნაქალაქარებისა თუ ნამოსახლარების კულტურულ ფენებში საერთოდ არ დაფიქსირებულა. ვანური ბალზამარიების იდენტური ეგზემპლარები აღმოჩენილია ქიოსის ძვ. წ. II-I სს-ის კრამიტსამარხებში. აქ თითქმის ყველა

[16] ვანი. II. თბ. 1976, გვ. 67; ვანი. VII. თბ. 1983, გვ. 131.

[17] გ. გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ. 1979, გვ. 90 შმდ.

[18] Т. Моммзен. История Рима. II. М. 1937, გვ. 278-279, 281.

[19] App. Mitr. XII. 47.

[20] ნ. მათიაშვილი. ძვ. წ. III-I სს-ის კოლხეთის ქალაქები ეკონომიკური ისტორიიდან, გვ. 52, 101.

[21] Н. Хоштария. Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952. მსკა. II. 1959. გვ. 62, ტაბ. VII, 2.

სამარხში რამდენიმე ასეთი ბალზამარია ელაგა.[22] სპეციალისტები მათ პატარა სანელსაცხებლე „ბოთლებს" უწოდებენ.[23] როგორც ჩანს, ვანში აღმოჩენილი ბალზამარიებიც სურნელოვანი სითხისათვის გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ბალზამარიებში ტანის დასაზელი ზეთიც ინახებოდა. ქიოსში, მოზარდის სამარხში, ბალზამარიასთან ერთად სტრიგილიც აღმოჩნდა.[24]

ვანური ბალზამარიების კეცი მოყვითალო და მონაცრისფროა, კარგად განლექილი. მართალია, აღნიშნული ბალზამარიების წარმოების ცენტრის გამოყოფა ძალზე რთულია,[25] მაგრამ, ვფიქრობთ, მათი დამზადების ერთ-ერთი ცენტრი ქიოსი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, პონტოს სამეფოს სისტემაში კოლხეთი, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული, იგი არა მარტო მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ როლს ასრულებდა,[26] არამედ, ჩვენი აზრით, მას საექსორიო ქვეყნის ფუნქციაც ეკისრებოდა.

შემოკლებათა განმარტება:

მსკა – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის.

ВДИ – Вестник древней Истории.

ТАИЯЛИ – Труды Абхазского института языка, литературы и истории.

ABSA – The Annals of the British school at Athens.

---

22 J. Boardman. The Ancient City of Chios, გვ. 26.

23 J. Anderson. Excavations on the kofina ridge, Chios – ABSA. XLIX. 1954, გვ. 55-57, ტაბ. 18.

24 J. Anderson. Excavations on the kofina ridge, Chios – ABSA. XLIX, გვ.74

25 ზოგიერთი სპეციალისტი ამგვარი ბალზამარიების წარმოებას ზოგადად მცირე აზიის ცენტრებს უკავშირებს. იხ., H. Tompson. Two centuries of Hellenistic pottery. Hesperia. II. 1933, გვ. 326; В. Гайдукевич. Мирмекий. Варшава. 1960, გვ. 62.

26 Г. Лордкипанидзе. Колхида в VI-II вв., გვ. 23, 25, 68, 94-95; Д. Шелов. Колхида в системе Понтийской державы. ВДИ. 3. 1980, გვ. 31-32; Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 83-84.

Temur Todua

DEPORTATION OF THE CHIANS TO COLCHIS

Summary

Athenaios and Appian record about Chians' deportation to Colchis by Mithridates VI Eupator, king of Pontus. These notes show the Chian upper-classes as pro-Roman while Mithridatic Wars; lower classes support the Pontic king. Perhaps, due to bad economic and demographic situation in Colchis, practice of colonization was restored. Archaeology confirms that there were still a lot of uninhabited lands in Colchis.

So, while in Pontic kingdom, Colchis had political and economic functions, as well as that of place for exile.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

თედო დუნდუა

დეენილი პაპი კლემენტი (Clemens Romanus) და მისი „კოლხური“ პროზელიტიზმი

Διὰ ταύτην οὖν τὴν φήμην, προσέδραμε πᾶσα ἡ ἐπαρχία· καὶ οἱ ἐληλυθότες ἅπαντες πρὸς τὴν διδαχὴν τοῦ ἁγίου Κλήμεντος ἐπιστρέφοντες πρὸς τὸν Κύριον· ὥστε καθ' ἡμέραν πενταχόσιοι καὶ περαιτέρω Βαπτιζόμενοι ἀνεχώρουν. Ἐντὸς δὲ ἑνὸς ἔτους, γεγόνασιν ἐκεῖσε παρὰ τῶν πιστῶν ἑβδομηκονταπέντε ἐκκλησίαι, καὶ πάντα τὰ εἴδωλα κατεθρύβησαν, πάντες οἱ ναοὶ τῆς περιχώρου καθῃρέθησαν, πάντα τὰ ἄλση ἐπὶ τριακόσια μίλια διόλου ἐν κύκλῳ κατεκόπησαν καὶ κατεστρώθησαν.[1] „მან ქადაგებით მთელი პროვინცია შემოიკრიბა; და თითოეული, მისული წმ. კლემენტთან, უფლის შესახებ კლემენტის მოძღვრებაზე მოიქცეოდა; ყოველდღიურად ის 500-ზე მეტ კაცს ნათლავდა და უშვებდა. ერთ წელიწადში კი იქ, ჭეშმარიტი რწმენით, 75 ეკლესია აიგო, და ყველა კერპი დაიმსხვრა, მეზობელ მხარეებში მდებარე ყველა წარმართული ტაძარი დაინგრა, მისი მუდმივი ღვაწლით 300 მილის გარშემო ყველაფერი დაინგრა და მიწასთან გასწორდა.“ ეს აგრესიული და აშკარად გადაჭარბებული პროზელიტიზმი რომის III თუ IV ეპისკოპოსის (პაპის), კლემენტის (92 - 101 წწ.), „აპოკრიფული“ მოღვაწეობაა. კონკრეტული პასაჟი სწორედ რომ IV ს. ბერძნული აპოკრიფული თხზულებიდან არის მოტანილი. კლემენტი იმპერატორ მ. ულპიუს ტრაიანეს (98 - 117 წწ.) ქერსონესში (ყირიმი) გადაუსახლებია და ქვის სამტეხლოებში სამუშაოდ გაუმწესებია. მან კი იქ დიდი ქრისტიანული მოღვაწეობა გააჩაღა.[2]

კლემენტის წარმატებანი იმ მხარეებში ქრისტიანული ორგანიზაციების გენეზისის ასპექტით ლოგიკური ჰიპოთეზაა. სამაგიეროდ, აშკარად დაუჯერებელია I ს-ში, მისი შთაგონებით, წარმართული კერპების მსხვრევა და წარმართული ტაძრების ნგრევა. ან რა სახსრებით, ან ვისი პროტექციით უნდა

[1] Martyrium S. Clementis. XXII. Patrologiae Graecae Tomus II. Paris. 1886, გვ. 630.
[2] Martyrium S. Clementis, გვ. 627-630.

ეშენებინათ ქრისტიანული ეკლესიები?! როგორც ვხედავთ, მთელ ამ ამბავში რაღაც უნდა დავიჯეროთ, რაღაც – არა. მაშ, რა ვუყოთ იმ 300 მილს (რომაული მილი უდრის დაახლ. 1480 მ.), რომელიც ზემოაღნიშნულ ციტატაში იხსენიება?! პროზელიტიზმის არეალში ხომ, პრაქტიკულად, პიტიუნტის მხარეც ექცევა. თუმცა, ჯერ, ალბათ, ძირითადი პრობლემა უნდა გადაწყდეს: იყო კი, საერთოდ, კლემენტი ყირიმში?! IV ს-მდე ხომ ყირიმში მისი გადასახლების და იქ მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ (კლემენტი, ღუზაზე მიბმული, ზღვაში დაახრჩვეს) არაფერს წერენ. ეს ამბავი არც ევსევისთანაა.[3] მეორე მხრივ, არც რაიმე ტრადიცია არსებობს, რომ მისი საფლავი რომშია.[4] ე.ი. კლემენტი მაინც გადაუსახლებიათ.

არა კონკრეტულ ფრაზაზე დაყრდნობით, სადაც აღნიშნული მანძილია მოცემული, არამედ იმ ზოგადი კონიუნქტურიდან გამომდინარე, რომ კლემენტი ქერსონესში იყო გადასახლებული, ხოლო ქერსონესი ახლოს არის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან, ზოგიერთმა სპეციალისტმა ადრეც გამოთქვა ვარაუდი, რომ კლემენტის მიერ მოქცეულნი, მისივე კურთხევით, კოლხეთ/ლაზიკაშიც მოღვაწეობდნენ. ასე ფიქრობდნენ მ. საბინინი[5] და მ. თამარაშვილი.[6] ახლა, ზოგად კონიუნქტურასთან ერთად, პირდაპირ მინიშნებაზეც გამახვილდა ყურადღება პროზელიტიზმის რადიუსთან დაკავშირებით.

არის კიდევ ერთი რამ – თვით ქალაქ პიტიუნტის ისტორია. რომ არა ქრისტიანული თემის არსებობის ფაქტი პიტიუნტის ხორაში, განა საჭირო იქნებოდა პიტიუნტში III ს. დასაწყისიდან განლაგებული a priori მითრაისტი ლეგიონერების[7] პროვიდენციული სულისკვეთების ამაღლება მითრაისტული

[3] Ph. Schaff. History of the Christian Church. Vol. II: Anti-Nicene Christianity. A.D. 100 - 325. First Published 1882. Third Edition, Revised. http://www.ccel.org/ccel/schaff/hcc2.html, გვ. 399-405; Clement of Rome. The Oxford Dictionary of the Christian Church. Edited by F. L. Cross. Third Edition Edited by E. A. Livingstone. Oxford University Press. 1997, გვ. 360; Eusebius. HE. III. IV. 6-11, III. XI. XV, III. XX. XXI, III. XXXVII. XXXVIII, Eusebius. The Ecclesiastic History. With an English Translation by K. Lake. In Two Volumes. I. London: W. Heinemann, New York: G. P. Putnam's Sons. MCMXXVI, გვ. 197, 233, 235, 241, 289.

[4] Ch. G. Herbermann. Pope St. Clement I. The Catholic Encyclopedia. Volume 4: Clandestinity – Diocesan Chancery. New York. 1913, გვ. 36.

[5] М. Сабинин. Полные жизнеописания святых грузинской церкви. В 2-х частях. СПб. 1871. Ч. 1, გვ. 33-34. http://krotov.info/libr_min/18_s/ab/inin_01.htm.

[6] მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. 3. თბ. 1995, გვ. 189-190.

[7] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 545, 549.

პროპაგანდით, კერძოდ, ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებით, რომლებზეც, უმეტესად, მითრაა გამოსახული და რომლებითაც ჯარისკაცებს „ჯიბის ფულს" უხდიდნენ. რა თქმა უნდა, კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადი მაინც ის არის, რომ კაპადოკიის ლეგატს დაქვემდებარებული ეს გარნიზონი სწორედ რომ ამ პროვინციის სისტემაში ჩართული მუნიციპალიტეტის (ე.ი. ტრაპეზუნტის) სპილენძის ფულით მარაგდებოდა, ალბათ, ფისკის ლოკალური განყოფილებიდან,[8] მაგრამ პროვიდენციული მომენტებიც გასათვალისწინებელია. სადაც ძლიერი მითრაისტული პროპაგანდაა, იქ ქრისტიანებიც არიან, როგორც ამ რელიგიის ყველაზე ძლიერი ოპონენტები, ამ შემთხვევაში, „სოციალისტი" ოპონენტები.[9] სიმპტომატურია ისიც, რომ დოკუმენტურად დადასტურებული ყველაზე ადრეული ეპარქია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ რომ პიტიუნტისაა.[10]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ IV ს. აპოკრიფული თხზულების ცნობა კლემენტის პროზელიტიზმის ფართო მასშტაბის შესახებ მეტად თუ ნაკლებად ანგარიშგასაწევია.

აქვე, დამატების სახით, დავძენთ:

I - II სს. მიჯნაზე ჰენიოხების მიერ ნახევარი საუკუნის წინ დანგრეული პიტიუნტის (Plin. NH. VI. 16) მიდამოებში, ალბათ, სანიგებს უნდა ეცხოვრათ. ყოველ შემთხვევაში, ცოტა უფრო გვიან, კერძოდ, 131 წლისთვის თითქოს ასეთი სიტუაციაა (Arr. Periplus. 11). რაც შეეხება რომაული იურისდიქციის თანადროულ გავრცელებას ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ანუ იქ, სადაც კლემენტი გადაასახლეს, ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი – I - II სს. ქერსონესი რომზე ძლიერ დამოკიდებული ოლიგარქიული რესპუბლიკაა.[11]

---

[8] T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999, გვ. 3-4; T. Dundua. Influx of Roman Coins in Georgia. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions. Proceedings of the ESF/SCH Exploratory Workshop. Radziwill Palace, Nieborow (Poloand). 3-6 September. 2005. Moneta 82. Wetteren. 2008, გვ. 309-319.

[9] T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story.

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 186.

[11] В. А. Анохин. Монетное дело Херсонеса. Киев. 1977, გვ. 64-67, 74-79.

Tedo Dundua

BANISHED POPE CLEMENT (*CLEMENS ROMANUS*) AND HIS "COLCHIAN" PROSELYTISM

Summary

"He assembled the whole province by preaching; everyone coming to Clement was converted to his doctrine about the Lord; more than 500 persons used to be baptized by him daily and then – dismissed. 75 churches were built there in one year by the true faith, and all the idols – destructed, all the temples in neighbouring regions – demolished, 300 miles around everything being destroyed and leveled due to his permanent work." This aggressive and obviously exaggerated proselytism is "apocryphal" deed of either the third, or the fourth Bishop of Rome (the Pope), Clement (92 - 101). Indeed, this is amalgam from apocryphal Greek acts of martyrdom, dated by the 4th c. Clement was banished from Rome to Chersonesus (Crimea) by Emperor Trajan (98 - 117) and set to work in a stone quarry. Still, he managed to go on with his Christian propaganda.

Clement could really inspire a creation of Christian organizations in those regions. But nobody could have ever believed the story about destruction of the idols and the temples in the 1st c. A.D., stipulated by Clement. And under whose protection and by whose money could be those churchies built?! So, the whole story is to be believed only partly. Then, what is about 300 miles (Roman mile is equal to approximately 1480 m.) mentioned there?! If it is true, then Pitius, city in Colchis/Lazica, and its outskirts come within it. Still, there is the main problem to be solved for Clement – was he in Crimea, or is this again a fiction? The narrative of his martyrdom in Crimea is not older than the 4th c. (Trajan orders Clement to be thrown into the sea with an iron anchor). Even Eusebius writes nothing alike. But the lack of tradition that he was buried in Rome is in favour of him having died in exile.

Mikhail Sabinin and Mikhail Tamarashvili thought of Clement's converts working hard in Colchis/Lazica for the faith, both of them having in mind a proximity of Northern and Eastern Black Sea coasts, and not these 300 miles from the narrative. Very likely, the note about the exact distance is not to be ignored.

History of Pitius provides more arguments. If not an existence of early Christian communities in the outskirts of Pitius, nobody would ever think to strengthen the Mithraistic propaganda among the soldiers of the local garrison (stationed from the 3rd c. A.D.), *a priori*, Mithra-worshippers, at the point when even pocket-money, distributed among them, was Mithra-type municipal copper of Trapezus. Municipal coins used for a payment first went to a local *fiscus* as a taxes from individuals, only then – to a camp ascribed to a province. Both, Pitius and Trapezus were the cities of Roman province of Cappadocia. Thus, Mithra-type municipal copper coins of Trapezus in the pockets of the Roman soldiers of Pitius could mean nothing, but money paid to the soldiers. Still, some providential measures are not to be denied. The place with strong Mithraistic propaganda is the same place for strong Christian propaganda, for Mithraism was destined to lure the lower classes to enter its well-cenzored ranks, and not the Christian communities. And Eparchy of Pitius is the first ever recorded one for Lazica.

So, apocryphal acts of martyrdom show Clemet's large-scale missionary labour.

Appendix of the research is as follows: the Sanigs, Lazi people, dwelt in the outskirts of Pitius in the time of Trajan; at least, they are at the spot a bit later, in 131 (Arr. periplus. 11). Pitius itself was in ruins after attack of the Heniokhs towards the midst of the 1st c. A.D. (Plin. NH. VI. 16), restored only in the 3rd c. As to Chersonesus, the place of Clement's banishment, it was ruled by local oligarchy under strict Imperial control.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

გურამ კუტალაძე

ჯავახეთის ადმინისტრაციული ცენტრები

ჯავახეთის თავდაპირველი ადმინისტრაციული ცენტრი, ფარნავაზის სამეფო სახლის ერთ-ერთი რეზიდენცია, ამავდროულად, ერისთავის საჯდომი, ჯავახოსის წუნდა ქალაქია, ქვემო ჯავახეთში[1] მტკვრის ხეობის მარჯვენა სანაპიროს გაშლილ ვაკეზე ნაგები, მალევე დაწინაურებული, ქართლის უპირველეს და უმტკიცეს ციხე-ქალაქთა რიცხვში მდგარი უკვე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროისათვის; მართალია, ლეონტის ამ ცნობას არ იზიარებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე, მაგრამ, ვფიქრობთ, უპირატესობა ამ შემთხვევაში საქართველოს ისტორიის უძველესი სახელმძღვანელო წიგნის პირველ ავტორ-რედაქტორს უნდა მიენიჭოს. მისი ცნობის უტყუარობა დასტურდება წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური კულტურისა თუ ტოპონიმიკური მასალის მონაცემებით.

წუნდა, როგორც საქალაქო ცენტრი ძველ ქართლში (იბერია), საქალაქო ცხოვრების დასაწყის ხანაშივე – ძვ. წ. V-IV საუკუნეებიდან ჩანს. ჩვენს მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, პირველ ქართულ ქალაქს „გენეტიკური" კავშირი აქვს უძველეს გორა-საცხოვრისთან, მისი განვითარებისა და გაფართოების პროდუქტს წარმოადგენს. ქალაქი სტრატეგიული პუნქტია, ბუნებრივად რამდენადმე მიუვალი და ხელოვნურადაც მოზღუდულ-გამაგრებული (ძველქართული – ზღუდერი), უბნებად დანაწევრებული და სამეურნეო რაიონის მომცველი.

გაქალაქების ძირითად პირობად გეოსტრატეგიული მდებარეობა უნდა ქცეულიყო; უპირატესობა, ამ თვალსაზრისით, გორა-დასახლებებს ქალაქებად გარდაქმნიდა. წუნდისგორა-საცხოვრისი, სწორედ ასე დაწინაურებულ-გამს-

[1] იხ.: გ. კუტალაძე, გ. ჟუჟუნაშვილი. ქვემო ჯავახეთი. „ისტორიანი". სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ. 2009. გვ. 617-624.

ხვილებული, თავისი მარჯვე და ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით მალე-ვე ანტიკური ქართლის უმთავრეს ქალაქთა შორის იმკვიდრებს ადგილს.

მაინც რა უპირატესობა გამოარჩევდა წუნდისგორას სხვა ასეთ დასახ-ლებათა შორის?

პირველი – მდებარეობა; იბერიის (ძველი ქართლი) ქალაქები, ძირითა-დად მტკვრის ხეობაშია მოქცეული. მტკვრისპირეთი უძველეს ხანაშივე უმ-თავრესი სასიცოცხლო არტერია იყო მთელი სამხრეთი კავკასიისათვის, მისი გაელით ურთიერთობდნენ კავკასიური სამყაროსა და წინა აზია-ანატოლიის კულტურები ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებისათვის, როცა „უკვე მოხაზულია ამიერკავკასიის ძირითადი სავაჭრო გზების კონტურები", მტკვარს მიდევნილი გზა საკვანძო ფუნქციას ინარჩუნებს,[2] სადაც წუნდა სატ-რანზიტო მარშრუტის მაგისტრალური პუნქტია, გზათა თავშეყრის ადგილი.

მეორე – მტკვრის ხეობის მოცემულ მონაკვეთზე წუნდას ეკონომიკური თვალსაზრისითაც უპირატესობა აქვს. მდინარის ვიწრო კანიონი წუნდის მი-დამოებში საგრძნობლად ფართოვდება და ინტენსიური მეურნეობისათვის საუცხოო პირობებით გამორჩეულ (ირიგაციის შესაძლებლობა და სხვა) და-ვაკებას წარმოქმნის, რაც, ამ მხრივ, შეზღუდული რესურსების მქონე ხეობის სხვა პუნქტებთან შედარებით მის პოტენციალს საგრძნობლად ზრდის, შესა-ბამისად, სამეურნეო უპირატესობას განამტკიცებს. წუნდა კისრულობს გარკ-ვეული ეკონომიკური რაიონის ცენტრობას; მის გარშემო ჯგუფდება დაბა-აგა-რაკთა რაოდენობა, ყალიბდება ვრცელი ეკონომიკურ-ტერიტორიული სივრცე – „ქვეყანა", ერთგვაროვანი ეთნო-რელიგიურადაც. წუნდა ვითარდება, რო-გორც მნიშვნელოვანი კულტურულ-პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი საკუთარი „ქვეყანით", საკმარისად ვრცელი ტერიტორიით; თავდაპირველად, მეცნიერთა ვარაუდით, კანიონი ხერთვისიდან ვარძიის ზემოთ მგელციხემდე, შემდეგ ქვემო ჯავახეთი და ბოლოს, მთელი ჯავახეთი – ასე ეტაპებად უნდა მომხდარიყო წუნდის „ქვეყნის" ფორმირება,[3] რაც საბოლოოდ წუნდის „ქვეყ-ნის" საერისთაოდ რეფორმირებაში აისახა. „ქართლის ცხოვრება" ერთგან, II საუკუნის ამბების თხრობისას, ამბობს: „დაუტევნა მას შინა ლაშქარი შემწედ

[2] გ. მელიქიშვილი. ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 442.

[3] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიი-დან (ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი). თბ. 1985, გვ. 78.

წუნდელთა და მბრძოლად ოძრხეველთა და წარვიდა".[4] აქ აღბეჭდილი „წუნდელთა" – ზემორე წარმოდგენილი დაშვების დადასტურება, კონკრეტულ შემთხვევაში წუნდის საერისთაოს მაგულისხმებელი, წუნდა ქალაქის განსაკუთრებული სტატუსის მადასტურებლადაც გამოდგება.

წუნდა – ტოპონიმი პირველად IX-XI საუკუნის წყაროებში გვხვდება და დღეისათვის დაუსახლებელ, მოზრდილ „ტერასებიან გორას" მიემართება ვარძიის სიახლოვეს, სოფლების, ნაქალაქევისა და თმოგვის, გარემოცვაში. წუნდის ამ ტერასების ასაკი დაუზუსტებელია. გამორიცხული არაა, ისინი უძველესი, წუნდის გაქალაქებამდელი მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური კულტურისა და სამეურნეო გერგილიანობის შედეგიც აღმოჩნდეს, რომელიც ანტიკურობიდან მოკიდებული, შემდეგაც, მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა.

ნაქალაქარი გორა ჯავახეთის ზეგნის მტკვრისაკენ გაზიდულ ქედს აბოლოებს, ბუნებრივი რელიეფური მთლიანობა, აშკარად ჩანს, ხელოვნურად დაუნაწევრებიათ; თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით ქედისთვის გორა მოუკვეთიათ. არაა გამორიცხული, უძველეს ქალაქს დამატებით თხრილი და გალავანიც იცავდა.[5] საქალაქო დასახლების სანახები, როგორც ვთქვით, ჯავახეთის ზეგნიდან მტკვრისაკენ მიმართულ ქანობზეა გაშლილი, რომელიც ზეგანის ძირზე გამომავალ (კუმურდოს ქვემოდან) ორ, წისქვილის წყლებად წოდებულ, ნაკადს დაუსერავს, რომელთაგანაც ერთი, მეცნიერთა დაკვირვებით, გასარწყავიანებისთვის გაყვანილი რუ უნდა იყოს. თუმცა იმის გამორიცხვაც არ შეიძლება, რომ თავდაპირველად იგი ქალაქის თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტის, თხრილის შესავსებადაც გამოიყენებოდა.[6]

უძველეს ქალაქთა ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამეურნეო რაიონს. როგორც წუნდის მიდამოების არქეოლოგიურმა შესწავლამ დაადასტურა, ინტენსიური, მაღალეფექტური მეურნეობა აქ ჯერ კიდევ

[4] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955, გვ. 47.

[5] ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. წ. I. თბ. 1968, გვ. 26.

[6] აღსანიშნავია, რომ მორწყვის კულტურა ძველ საქართველოში მეევნახეობის დაწინაურება-ინტესიფიკაციასთანაა გადაწნული (ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. თბ. 1963, გვ. 52); მუხრანის, ნასტაგისისა და ურბნისის გვერდით წუნდა და მისი მიდამოები ირიგაციისა და ინტენსიური (ვაზის კულტურა) სამეურნეო ცხოვრების ურთიერთ განპირობებულობის თვალსაჩინო ძეგლად უნდა ვცნათ, რაც 1964 წელს აქ ქვევრ-სამარხის აღმოჩენის ფაქტით უფრო დამაჯერებელია.

ადრებრინჯაოს ხანიდან შეინიშნება, რასაც ხელოსნობის შესატყვისი დონეც ეთანადებოდა. წუნდა-ქალაქი მრავალუბნიანი დასახლება ყოფილა, მომცველი თანამედროვე წუნდისგორასი, ესაა საქალაქო ცენტრი და ციტადელი, შემდეგ ნაქალაქევის, ბერთაყანისა და ჯიუტ-მალას ტერიტორია; წუნდა, მეცნიერის დასკვნით, „მტკვრის ზემო წელის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიური და სტრატეგიული პუნქტი იყო. ის თავისი უბნებით, გამაგრების სისტემით, ციხით (ხერთვისი) ამ რაიონში თითქმის ერთადერთია, რომელიც ქალაქად ჩაითვლება“.[7]

ჯავახეთს, უკვე წუნდის ქვეყანას, მისი გეოსტრატეგიული და ეკონომიკური სიტუაცია-პოტენციალის გამოისობით არასდროს დაჰკლებია ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება. ის თანაბრად მიმზიდველი, საჭირო და მნიშვნელოვანი იყო როგორც ქვეყნის ერთიანობა-განმტკიცების მოსურნე, ისე ცენტრალური მთავრობის მოშურნე თუ გარეშე, ქვეყნის დაპყრობისა და ასიმილაციის მოსწრაფე ძალთათვის. მცხეთა-გაჩიანი-წუნდა ქართლის სამეფოს ის უძველესი პუნქტებია, საიდანაც ლეონტი მროველის მიხედვით, ხორციელდებოდა მთელი ქართლის – შიდა, ზემო და ქვემო ქართლის მართვა: ფარნავაზი, როგორც ლეონტი მროველი გადმოგვცემს, „თვენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი და ყვნის მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი და ყვნის გაჩიანთა; ხოლო თვენი ზაფხულისანი – წუნდას. და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმედ აშლილი“.[8]

ქართული წყაროების მიხედვით, ჯავახეთის ერთიანობა წუნდის საერისთაოში ყოველთვის უცვლელი არაა, ჟამითიჟამად იგი დანაწილებულია ხოლმე; მაგალითად: ვახტანგ გორგასლის მემკვიდრე დაჩი, მამისავე ანდერძის თანახმად, ფლობს ტერიტორიას ტაშისკარამდე და წუნდამდე; წუნდის ერისთავი ნასარიკი დაჩის ძმათა მორჩილების ქვეშაა. გამყოფი ხაზი, საავარაუდოა, ჯავახეთის ზეგანის პირზე გადიოდა, რაც ცხადლივი მოწმობაა იმ ფაქტისა, რომ ჯავახეთის ნაწილი, „რომელიც დაჩის დაუტოვა ვახტანგმა“ (ჯავახეთი წუნდამდე, მთელი ზემო ჯავახეთი – გ.კ.), განსაკუთრებით საინტერესოა ცენტრალური მთავრობისათვის, ვითარცა „უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი საძოვარი სამეფო დომენისა“.[9] წუნდის საერისთაო – ჯავახე-

[7] ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. წ. I, გვ. 30.
[8] ლეონტი მროველი ცხოვრება მეფეთა, გვ. 25.
[9] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 77.

თი, კოლა და არტანი – საერისთაოთა მსხვილი გაერთიანების „დასავლეთი ქართლისას", როგორც მას მოიხსენიებს საისტორიო წყარო, შემადგენლობაშიც შედიოდა. იგი „ფარავნიდან და ტასის კარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა" მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა.

ფარნავაზის დაარსებული წუნდის საერისთავო ქვეყნის სანაპირო რეგიონს წარმოადგენდა, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკურ თავგადასავალში განსაკუთრებული წილის დამდებს, რასაც ძველ მატიანეთა არა ერთი მონაცემი ადასტურებს. სუმბატ ბივრიტიანის მიერ ქართლის დალაშქრა-დაწიოკების (II ს-ის 70-იანი წლები) ამბავთა მთხრობელი ისტორიკოსი წერს: „გამარჯვებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი, რომელი პოვა ციხეთა და ქალაქთა გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა არა ჰბრძოდა, რამეთუ არამზა იყო მსწრაფლ გამოსვლისაგან. არამედ აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრხევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსა და დაუტევნა მას შინა ლაშქარი შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრხეველთა და წარვიდა".[10] „წუნდელთა" აქ ამაზე უკვე ითქვა, სათემო-საერისთაო ქვეყანას გულისხმობს, მის მნიშვნელობასა და როლს გაზაზავს. ამასვე მიუთითებს წუნდაში სამეფო რეზიდენციის არსებობაცა და ის გარემოებაც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი „მთავართა მათ ძველთანის" გვარების ჩამოთვლისას წუნდის ერისთავსაც მოიხსენიებს. ივიეე ვითარების მამოწმებლად მიგვაჩნია ვახტანგ გორგასლის მიერ შვილებისადმი სამკვიდროსაუფლისწულო მამულებისა და ყოფის უწყებაც: გორგასალმა დაჩის, პირმშოობის ძალით ტახტის მემკვიდრეს, უბრძანა: „შენდა მომიცია გურგენი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცია ტასისკარიდან და წუნდიდან, ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე... და მოუწოდა ნასარს ერისთავსა წუნდისასა, და არტავაზს ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრხისასა და მათ მიათუალა ცოლი თვსი ელენე და შვილნი მისნი". ლეონისა და მირდატის (ვახტანგის ამ შვილების) რეზიდენციას წუნდა და ოძრხე წარმოადგენდა, ასე გადმოგვცემს მემატიანე.[11]

საერისთაოსა და მის ცენტრს, წყაროთა მოწმობით, არასდროს აკლდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება: „დაჯდა მეფედ არშაკ (ლეონტის მიხედვით, ქართლის მეხუთე მეფე ქრისტემდე II საუკუნის I ნახევარში –

[10] ლეონტი მროველი. ცხოვრება მეფეთა, გვ. 47.
[11] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 204.

გ.კ.), და დაიპყრა ყოველი ქართლი და მეფობდა იგი ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას".[12]

ქრისტიანობის გავრცელების ხანაში კიდევ უფრო გაზრდილ-დაწინაურებული ჩანს წუნდის ციხე-ქალაქი, შესაბამისად, საერისთაო ქვეყანა,. ის ერთ-ერთი იმ პირველთაგანი პუნქტია, სადაც კონსტანტინე ბიზანტიის იმპერატორის მიერ მეფე მირიანთან წარმოგზავნილმა ეპისკოპოსმა იოანემ იმპერატორის წადიერებითა და საფასით დაუტევნა „ხურონი და განძი, და რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა" გზა მანგლისისაკენ გააგრძელა.[13] წუნდის ეკლესიის შემკობა-გაშენებისათვის სახსარი არც მირდატ ბაქარისძეს, მირიანს, პირველი ქრისტიანი მეფის შვილიშვილს დაუზოგია. მოგვიანებით კი ვახტანგ გორგასალმა წუნდის საჭიროების გათვალისწინებით „დასუა" ეპისკოპოსი „ჯავახეთს, წუნდას", რამაც ქვეყნის ცხოვრებაში მისი როლი და ფუნქცია გაზარდა და გაამდიდრა, ჯავახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი და ერისთავის რეზიდენცია მხარის რელიგიურ-იდეოლოგიურ ცენტრადაც იქცა.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, წუნდის ასეთ დაწინაურებასა და მის მიმართ ცენტრალური ხელისუფლების მოუკლებელ ყურადღებას, უწინარესად, პუნქტის გეოსტრატეგიული მდებარეობა განაპირობებდა. როგორც ვთქვით, იგი მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და ეკონომიკურ მაგისტრალზე იდო, რაც IV საუკუნის რომაულ საგზაო რუკას, მეცნიერების ვარაუდით, ადრეულ, I-II საუკუნეების მასალებზე დამყარებულ კასტორიუსის ცნობილ „ტაბულა პეუტინგერიანას" აღუბეჭდავს, რომელიც უჩვენებს გზას სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან სებასტოპოლისისაკენ (სოხუმი), გამავალს „ჯავახეთსა და სამცხეზე, ქართლის უძველესი ცენტრების, წუნდასა და ოძრხეს მახლობლად. წუნდაში ამ გზის ერთი ტოტი ქართლის შიდა რაიონებისაკენ უხვევდა".[14] იგივე გარემოება ამ მნიშვნელოვან სანაპირო საერისთაოს, მის ცენტრს –წუნდა ქალაქს, შინა და გარე მტრის ხშირი ცილობისა და დაპირისპირების თეატრონად აქცევდა ხოლმე; შეიძლება ითქვას, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების გართულება და გამრავალფეროვნება ასეთ შიდა პოლიტიკურ თუ სხვა საფუძველზე დამყარებული ქიშპი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამხრობის ცვლილება, უხიფა-

[12] ლეონტი მროველი. ცხოვრება მეფეთა, გვ. 30.
[13] ლეონტი მროველი. ცხოვრება მეფეთა, გვ. 117.
[14] გ. მელიქიშვილი. საქართველო ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I, გვ. 535.

თო, იაფი, მოკლე სავაჭრო-სატრანზიტო გზების ძიება, მათი მიმართულების ცვალებადობა და სხვა, საბოლოოდ, ახალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცენტრების გაჩენას უწყობდა ხელს.

თამარის ისტორიკოსისათვის ჯავახეთი უკვე ორი პუნქტითაა განსაზღვრული, რასაც მისი ფრაზა – „გააგეს პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგვისა და ახალქალაქისა" – ცხადად ამოწმებს, რაც თავის მხრივ, მადასტურებელია იმისა, რომ ჯავახეთი დანაწევრებულია ორი ცენტრის ირგვლივ – ზემო ჯავახეთი ახალქალაქის ქვეყანაა, ქვემო კი – თმოგვისა,[15] თამარის დროისათვის ეს შემდგარი ფაქტია,[16] მაგრამ როდის შეიძლებოდა პროცესი ახალი ცენტრების გაჩენისა დაწყებულიყო?

დაჩი მეფის ძმებს, ზემოთ ეს უკვე ითქვა, მამისაგან ერგოთ ქვეყანა „...ტასის კარიდან და წუნდიდან, ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე". გამოდის, რომ წუნდამდე ჯავახეთი, ე.ი. მთელი ზემო ჯავახეთი, ისევ სამეფო დომენს წარმოადგენს, რომელსაც უშუალოდ აკონტროლებს ცენტრალური ხელისუფლება. ვვარაუდობთ, რომ ამ დანაწილებას ზემო ჯავახეთში ახალი პუნქტის ადმინისტრაციულ ცენტრად დაწინაურება უნდა მოჰყოლოდა. წუნდა რეგიონის სამეურნეო-ეკონომიკური და მაგისტრალური კვანძია, მაგრამ, როგორცა ჩანს, პოლიტიკურ ლიდერობას ნელ-ნელა ახალწარმოქმნილ ცენტრებს უთმობს, სავარაუდოდ, VIII საუკუნისათვის ეს პროცესი დასრულებული ჩანს. ბატონიშვილი ვახუშტის ცნობა იმის თაობაზე, რომ „პირველ იყო ჯავახეთი, არტანი და კოლა ერთი საერისთაო და შემდგომად იქმნა ორ საერისთაოდ ბაგრატიონობასა შინა – წუნდისად და არტანისად", იმას ამოწმებს, რომ წუნდის საბოლოო დამცრობა ბაგრატიონების გახელისუფლებას, შესაძლოა, შემდგომ ახალი პოლიტიკური ერთეულების, მათ შორის, ქართველთა საკურაპალატოს გაჩენას უკავშირდება. ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ამ დროისათვის „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანა საქართლოსასა... იქმნეს მტერ ურთიერთას", რაც, რასაკვირველია, ციხერეზიდენციათა რიცხვს გაზრდიდა; წყაროს ცნობით, უკვე გვარამ მამფალს (IX ს.) „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტაანი, და ბრძოდა სარკინოზთა...ხოლო გუარამ განუყო ქვეყანანი ძმათა თუისთა

[15] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 103.

[16] საწინააღმდეგოდ იმ მოსაზრებისა, რომ ჯავახეთის პოლიტიკური ცენტრი „სხვადასხვა დროს ხან წუნდა იყო, ხან თმოგვი, ხან ახალქალაქი" (მ. ბერიძე. ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი). თბ. 1992, გვ. 13).

ადარნასეს და ბაგრატს",[17] ასეთ პირობებში წუნდის, როგორც პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრის, როლი სრულიად მოშლილი და დამცრობილია, ჩნდება ახალ-ციხეები, ახალქალაქები, რაც, თავისმხრივ, გაცხოველებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შედეგია. მტკვრის ხეობის ვაკეზე ნაშენი, თავისდროს სწორედაც რომ გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო დაწინაურებული პუნქტი, მისი ციხე-ციტადელი, ალბათ, ვერანყალა, რომელიც ივანე როსტომაშვილის აქ ყოფნისას კიდევ ყოფილა შემორჩენილი, ახალ, გართულებულ მოთხოვნებს, ჩანს, ველარ აუდის. მოშლილ-დამცრობილი წუნდის საერისთავო გაიხლიჩა, როგორც ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, ჯერ, გამოეყო არტაანის ქვეყანა, რასაც საკუთრივ ჯავახეთში რამდენიმე ადმინისტრაციული ცენტრის გაჩენაც მოჰყვა.

პირველი ასეთი, სტრატეგიულად მოხერხებული პუნქტი წუნდისავე მახლობლად ჩამოყალიბდა – **თმოგვის** ციხე-ქალაქი; „ურთიერთას" შემტერებულ მთავრებს ციხე-საციხისთაო ერთეულების გაზრდაზე უნდა ეფიქრათ, რაც, ცხადია, არ წაადგებოდა ახალი ადმინისტრაციული ცენტრის რეგალიის მთელს ჯავახეთზე გავრცობას. ამან განაპირობა თმოგვის მიერ ოდესღაც ვრცელი წუნდის ქვეყნის მხოლოდ ნაწილის, ქვემო ჯავახეთის, ნიალისა და ბუზმარეთის მიკროქვეყნების ჩათვლით, პყრობა. ყალიბდება თმოგვის ციხის შესავალი, თმოგვის „ქვეყანა". ასეთი დასკვნის საფუძველს, ვიმეორებთ, თამარის ისტორიკოსის ზემორე დამოწმებული ფრაზა, „გააგეს პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგვისა და ახალქალაქისა", იძლევა. ახალ მზარდ ციტადელს ეპოქის მოთხოვნებთან შესაბამისი განუზომელი უპირატესობა გააჩნდა, პირველ რიგში, ეს სტრატეგიულ-საფორტიფიკაციო უპირატესობა იყო.

თმოგვის ციხის პირველმხსენებელი ჩვენი მემატიანე, 914 წელს აბულ-კასიმ „აგარიანი ამირას" საქართველოში ლაშქრობის ამბების მთხრობელი, საგანგებოდ აღნიშნავს ციხის მიუვალობას: ქართლის შემოვლა-მოოხრების შემდეგ „აბუ საჯის ძე" შევიდა სამცხეს, „მოაოჴრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგჳსასა. და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყო ბრძოლად". მთელს ჯავახეთზე თმოგვის „პრეტენზია", ჩვენის აზრით, კარგად იკითხება ბაგრატ III და „კლარჯ ხელმწიფეთა" ურთიერთობის ეპიზოდში: ამან ბაგრატმაო, – გადმოგვცემს სუმბატ დავითის ძე 1010-1011 წლის ამბებს, – მოიყვანა „სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწული-

[17] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოერება. ტ. I, გვ. 257.

სანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრა იგინი. და აღიხუნა ქვეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შინა თმოგჳსასა. და მუნ ციხესა შინა თმოგჳსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი.... და ეგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმა სუმბატისი.... ხოლო შვილნი ამათნი წარვიდეს კონსტანტინეპოლედ, ძე სუმბატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე, ბასილი მეფისა წინაშე, და მათნივე შვილნი კლარჯთა მეფეთანი რომელ დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრეს ყოველნი სიკვდილითა პატიმრობასა შინა." მოტანილი პასაჟიდან ცხადად ჩანს, რომ სამეფოს შემომტკიცება-გაფართოების მოსწრაფე ბაგრატ III თმოგვის სტრატეგიულ შესაძლებლობებს სათანადოდ აფასებს, მას მთელი ჯავახეთის მაკონტროლებელ პუნქტადაც განიხილავს და, ამდენად, თავისად, სამეფო ციხედ იჭერს. არტანუჯელ ხელისუფალთა აქ პყრობა-გამომწყვდევის ფაქტში ეს ცხადად იკითხება. მაგრამ ახალი, ზემოთ უკვე ნახსენები სოციალ-ეკონომიკური, შიდა და საგარეო საკომუნიკაციო პროცესები, სხვა გეოეკონომიკური ფაქტორები გამორჩეული მდებარეობის პუნქტების (ახალქალაქები) აღმოცენებასა და დაწინაურებას იწვევს. თმოგვი, საბოლოო ჯამში, როგორც ვთქვით, ქვემო ჯავახეთის „ქვეყანაზე" ბატონობით იფარგლება, სადაც შედიოდა ნიალის მიკროქვეყანა ცენტრით ნიალაში, მტკვრის მარცხენა მაღალმთიანი პლატოს, ნიალისა და ქარზამეთის (ხინგრის) წყლის აუზების მომცველი, შემოფარგლული კასრის, გუმბათისა და ბუზმარეთის მთებით: „ეს იყო მთიანი ჯავახეთის ტიპიური სასოფლო – სამეურნეო რაიონი, მესაქონლეობის, მემინდვრეობის და ზეთის წარმოების მაღალი დონით, ამით იგი ძლიერ წააგავდა მეზობლად მყოფ ბუზმარეთის მიკროქვეყანას",[18] გამოკვეთილ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონს თმოგვის ქვეყანაშივე, მოქცეულს „თავთავას, ვანის, გელენის, ჯინის, დიგრასა და სათოელის მთებს" შორის, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრად ბუზმარეთი უნდა ყოფილიყო. ამ სახელით მოგვიანებით სამი დასახლებული პუნქტი აღინიშნებოდა (ბუზმარეთი = ბუზმარის მამული).

ვფიქრობთ, თმოგვი და „მიმდგომი მისი" მაინცადამაინც VIII-IX სს. მიჯნიდან უნდა დაწინაურებულიყო; გვარამ მამფალს, რომელსაც „დაეპყრა ჯავახეთი" (ვუშვებთ, იმისდა მიუხედავად, რომ რაიმე ისტორიული ცნობა ამის შესახებ არ მოგვეძევება), ხელს აძლევდა წუნდის წილ ახალი ცენტ-

[18] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 82.

რის გაძლიერება საყრდენად და სტრატეგიულ ცენტრად, მით უმეტეს, ამ მხრივ, საუცხოო პერსპექტივის მექონის. ადრეული წერილობითი ცნობების მიხედვით, თმოგვი მხოლოდ ციხედ მოიხსენიება, მაგრამ მატერიალური კულტურის ნაშთები აქ ციხის თანადროული ქალაქის არსებობაზე მიგვითითებს (გ. გაფრინდაშვილი, ვ. ციხკარიშვილი).

„ცხოვრება მეფეთა" წუნდა ქალაქის გვერდით ხერთვისსაც იხსენიებს; „მოქცევაჲს" მიხედვით კი, ლ. ჭილაშვილს ხერთვისი „წუნდის ხევისა და, შესაბამისად, წუნდა-ქალაქის" ჩამკეტ, მის თანამედროვე ციხედ მიაჩნია, რომელიც „უფლისციხესთან და ციხე-დიდთან ერთად უფრო ციხეების ჯგუფშია მოთავსებული".[19] ხერთვისის წუნდის ციხედ, მისი შესავალის დამცველად განხილვა, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმას, რომ წუნდა-ქალაქს საკუთარი ციხე-ციტადელი აქვს (ასეთად, როგორც ვთქვით, ვერანყალა იგულისხმება). პროფესორი დ. ბერძენიშვილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას იმ არგუმენტით, რომ ხერთვისი, თავიდანვე „წუნდის ციხედ წარმოშობილი, წუნდასთან ერთად დაეცემოდა" და დამოუკიდებელ არსებობას შეწყვეტდა. ხოლო ხერთვისთავის „შესავალ" ქვეყანაზე საბატონოდ წარმოშობილად თვლის, „რამაც მისი დამოუკიდებელი არსებობა განაპირობა წუნდის დაცემის შემდეგაც – X საუკუნეში თუ გვიან ხანაში".[20]

იმით, რომ ხერთვისი წუნდასთან ერთად არ დაეცა, ვერ აიხსნება მისი თავდაპირველი წარმოშობა-დაქვემდებარების გარემოება. წუნდა, როგორც ითქვა, მტკვრის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე – ხერთვის-მგელციხეს შორის ყველა საჭირო პარამეტრით გამორჩეული პუნქტია, მსგავსი მდებარეობა-მნიშვნელობის არც ქვემოთ, ასპინძამდე, და არც ზემოთ – მგელციხემდე წუნდის ქალაქობის ხანაში არ ჩანს. მგელციხეს იქით ლეონტის ჯავახოსის დაარსებული მეორე ცენტრი ეგულება – არტანი – თავისი „შესავლითურთ". წუნდის „შესავალი" ხეობის ამ მონაკვეთის გასასვლელებში საგანგებოდ ამისთვის და, ამდენად, ციხე-ქალაქის თანადროულად ნაგებ სიმაგრეს უნდა ეკონტროლებინა, ასეთად ზემოთ მგელციხე და ქვემოთ ხერთვისი ჩანს.

თმოგვის ქვემო ჯავახეთზე ბატონობის ხანაში ხერთვისის სტატუსი უცვლელი რჩებოდა, როგორც თმოგვის ქვეყნის საციხისთაო ერთეულისა. ესაა ხერთვისის „შესავალი", რომელშიც შედიოდა „უშუალოდ ციხეს დაქვემდებარებული ქვეყანა. ასეთი იყო ვიწრო ხეობა მტკვრიდან მერმინდელ

[19] ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. წ. I, გვ. 30.
[20] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 82.

ახალქალაქამდე, უმნიშვნელოვანესი მაგისტრალით, რომელიც ჯავახეთის ზეგანზე განტოტდებოდა. ამას გარდა, მტკვრის ხეობის ნაწილი ნაქალაქევიდან დაახლ. ასპინძამდე, საიდანაც უკვე სხვა ერთეული იწყებოდა",[21] ხერთვისის ციხის ქვემოთ ასპინძისაკენ ხეობის კიდევ რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გამოიყოფოდა: ტოლოშის ხეობა, სხვანაირად ქვაბიხევი, რომლის გავლითაც გზა ხერთვისის საპატრონოში შემავალ ბუზმარეთისაკენ გადის. როგორც დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, „ეს უნდა ყოფილიყო ამ და მეზობელი ხევების ცენტრი, რეზიდენცია ტოლოშელი აზნაურისა, რომლის ერთი შთამომავალი XI ს. იხსენიება (ისაკ ტოლოშელის ძე)".[22]

ცალკე ერთეულად ჩანს სალოშეთის ხევი, როლის „ადრეული ხანის ნასოფლარების" გავლით ისევ ბუზმარეთისაკენ მივდივართ; „ხეობის ცენტრი, ჩანს, სოფ. ალანძიასთან იყო", რასაც შემორჩენილი ნაციხარი და შესანიშნავი დარბაზული ეკლესია VII საუკუნისა და სახიზარი, ზოგან კედლებამოშენებული გამოქვაბულები ადასტურებს.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქუნცის ხეობაც, შემავალი მცირე ხევებითა და ნასოფლარებით (დადეში, აძგვიტა, ქუნცა, ბნელა, როკეთი), ასეთ ცალკე ერთეულად გამოიყურება. დ. ბერძენიშვილი ხერთვისისადმი ამ ერთეულების დაქვემდებარებას შესაძლებლად თვლის „მთელი ჯავახეთის, თუ ქვემო ჯავახეთის ერთიანობის პირობებში, როდესაც მეტი მნიშვნელობის ციხე სხვა უფრო მცირე მნიშვნელობის ციხეს გაუბატონდებოდა („თავადი ციხე")".[23]

XIV საუკუნიდან თმოგვის ქვეყნის ერთიანობა დარღვეულია. ქვემო ჯავახეთში მრავლდება და მტკიცდება საგვარეულო-საციხისთაო ერთეულები; ხერთვისიც, უნდა ვიფიქროთ, თმოგვის, როგორც „თავადი" ციხის საპატრონოდან გამოდის, მისგან დამოუკიდებელ ერთეულს ქმნის.

IX-X საუკუნეები ქართულ სამყაროში საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით საეტაპო მიჯნადაა მიჩნეული, როცა ძველ, ტრადიციულ დასახლებათა ნაწილი მათი გეოეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე გაქალაქებას იწყებს, საფუძველი ეყრება და შენდება

[21] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 81.
[22] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 81
[23] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 82.

ახალი ქალაქები, ამიტომაც ეს ხანა ქართული ქალაქების ისტორიაში „ახალქალაქობის" ეპოქადაა მონათლული.[24] ამ დროიდან იწყებს ქალაქური ცხოვრების ისტორიას სხვა მრავალთა შორის **„ახალქალაქი ჯავახეთისა"**. მისი ზემო ჯავახეთის ცენტრად ქცევა კი მაინცადამაინც, ბაგრატ IV ინიციატივას უნდა მივაწეროთ.

წყაროთა მოწმობით, ახალქალაქი IX-X საუკუნეებისათვის უკვე ქალაქურ დასახლებას წარმოადგენს, მაგრამ უგალავნოსა და გაუმაგრებელს. 1044-1045 წლებში მეფე ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების ამბების თხრობისას „მატიანე ქართლისა" წერს: „...გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა ლაშქრითა. და მიერთნეს სხვუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი... მოადგეს ატენს... და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თჳნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუ ხარისისა ერისთავისა. გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო".[25] ახალქალაქის ზღუდე-სიმაგრეთა მშენებლობის მოთავედ, მოტანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზოგიერთი მკვლევარი მეფეს შეორგულებულთ – ფარსმან თმოგველსა და ბეშქენ ჯაყელს მიიჩნევს.[26] დ. ბერძენიშვილი, იმოწმებს რა ზემოდასახელებულ კითხვასხვაობებს, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობასა[27] და ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანს, დაასკვნის, რომ ციხე-გალავნის მაშენებელი მეფეა; ახალქალაქის გალავნის კარიბჭეზე აღმოჩენილი წარწერის – მარიამს[28] – მკვლევარი ბაგრატ მეფის დედა-დედოფალ მარიამთან აიგივებს. ვფიქრობთ,

[24] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები. თბ. 2005, გვ. 257.

[25] მატიანე ქართლისაი, გვ. 298. სქოლიოში, იქვე, მითითებულია მატიანეს Mn ნუსხათა კითხვასხვაობა – „გავიდა მეფე ჯავახეთს და იწყეს... შენებად".

[26] ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. წ. II. თბ. 1970, გვ. 101; ეკ. ჯანდიერი. ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. ტ. I. თბ. 1969, გვ. 54; გ. აფრასიძე. ფეოდალური ქალაქების წარმოშობა საქართველოში. „საისტორიო კრებული" 4. თბ. 1974, გვ. 182; პ. ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები. თბ. 1988, გვ. 31.

[27] „...მოადგნენ ატენს.., ხოლო ბაგრატ მეფე მოვიდა ჯავახეთს, განამაგრა ახალქალაქი" (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 146).

[28] „ქრისტე, შეიწყალე მარიამ...".

არაა გამორიცხული ის გარემოება, რომ ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც ამ ამ-ბების შემდეგ მთელი აღმოსავლეთი საქართველოს, მათ შორის, ჯავახეთის მფლობელად გამოდის, იწყებს ახალქალაქის გამაგრებაზე ზრუნვას, რამდენა-დაც ახალი ქალაქი, მისი მოხერხებული მდებარეობისა და პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური რეზერვის წყალობით, ჯავახეთში სამეფო კარის ძველ რეზიდენციებს (ღრტილა, ბოჟანო, ალასტანი, დლივი) უპირისპირდება და ამ საქმეს მის ხელქვეით და ერთგულ დიდებულებს ანდობს. ხოლო მას შემდეგ, რაც სამეფოს დიდგვაროვანთ, „მატიანე ქართლისა"-ს ცნობით, „მოეწყინა" გაამპარტავნებული ერისთავის ძალაუფროსობა და 1057 წელს „სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს დლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე.... და მსწრაფლ გაგზავნა სულა მეფისა წინაშე სულთაზედა მჴმობელნი. ხოლო გურანდუხტ და გიორგი, ძე ბაგრა-ტისი, დგეს ღრტილას, და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალ-ქალაქს და მუნ მოილოდინეს ბაგრატ... მოვიდა მეფისა წინაშე სულა ჯავა-ხეთს და მოჰგუარნა ლიპარიტ და ივანე პყრობილნი და მოახსენა".[29] ახალ-ქალაქის მოზღუდვის სამუშაოები დააჩქარა და დაასრულა ცენტრალურმა ხე-ლისუფლებამ, საფიქრებელია, უკვე შემორიგებული, პატივ და დიდება დაუკლებელი ფარსმან თმოგველის ზედადგომითა და მოთავეობით, რასაც ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მირაშხანის წარწერის მიხედვით, 1065 წელს ალფ არსლანის მიერ ახალქალაქის მოოხრება-გადაწვისას დაღუპულთა შორის მოხსენიებული ფარსმან თმოგველი კვლავ ერისთავის სახელოს მფლობელი და, ამდენად, უკვე მეფის სამსახურში მდგომი ყოფილა.

ასეა თუ ისე, ახალქალაქი ზემო ჯავახეთის ცენტრად, მის უპირველეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ პუნქტად დაწინაურდა, რომელიც მთელს ზემო ჯავახეთს თავის ქვეყნად აქცევს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ პრო-ცესებამდე გაცილებით ადრე წუნდას საეკლესიო ცენტრის ფუნქციაც დაუთ-მია, მაშინ ნათელი გახდება, რომ წუნდის წილ ახალციხე-ქალაქების აღზე-ვება დროში გაწელილ, მაგრამ შეუქცევად პროცესს, პოლიტიკური, ეკონომი-კური და რელიგიური ხასიათის ფაქტორებით განპირობებულს, ასახავს. ფაქ-ტია, რომ კუმურდოს კათედრალმა იტვირთა მთელი ჯავახეთის რელიგიური ცენტრობა; წუნდის, ჩვენის აზრით, დაქცეულ-გავერანებული ეკლესიის ად-გილზე კი, მოგვიანებით ახალ, საუცხოო ტაძარს აღმართავს მხარის ფეო-დალი იჩქით გურგენიძე.

[29] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 304-305.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯავახეთის ადმინისტრაციული ცენტრების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ, ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიასთან, ამ საფუძვლიდან აღმოცენებულ სოციალ-ეკონომიკურ და სატრანზიტო-სტრატეგიულ თავისებურებებთან. მომთაბარე მესაქონლეობის ეპოქაში ზემო ჯავახეთის უპირატესი ფუნქციები იკვეთება, ის ქართლის ბარის საზაფხულო სადგომ-საძოვარის ფუნქციას ტვირთულობს, შესაბამისად, პოლიტიკურად მასზეა მიბმული; ინტენსიური მიწათმოქმედების გავრცელება, საირიგაციო სისტემაზე გადასვლა, რაც ჩვენში ვაზის კულტურას უკავშირდება, ქვემო ჯავახეთის მნიშვნელობას გამოკვეთს და აქ არტანულას კანიონში წუნდა-ქალაქი წინაურდება, რომელიც ქართლის სახელმწიფოს წარმოშობისთანავე მთელი ჯავახეთის მაერთიანებელ ცენტრად იქცევა; ყალიბდება წუნდის საერისთაო – წუნდის „ქვეყანა", „წუნდელნი" წუნდის საერისთაოს „ლაშქარს" გულისხმობს, წუნდის ქვეყნის კრებულის სახელწოდებაა.

ცხოვრების პირობების, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ცვლილება მხარის მთლიანობასთან ერთად, რასაკვირველია, ადმინისტრაციული ცენტრის ცვლასაც იწვევს. იქმნება და ფართოვდება ახალი პუნქტები თავისი „მიმდგომით" ქვეყნით. განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისიდანვე წინაურდება თმოგვი, რომელიც პრეტენზიას, როგორც ჩანს, მთელი ჯავახეთის ცენტრობაზეც აცხადებს, მაგრამ „საქართველოს გაერთიანებამ, საგარეო-პოლიტიკური ვითარების შეცვლამ და მტკვრის მოყოლილი ძველი გზის სამხრეთით გადანაცვლებამ ყურადღების ცენტრში ისევ ზემო ჯავახეთი მოაქცია. სწორედ აქ წარმოიშვა ახალი ცენტრი – ჯავახეთის ახალქალაქი; აქეთ გადმოინაცვლა სამეფო სადგომმაც".[30] ზემო ჯავახეთი სამეფო დომენად იქცა აღმოსავლეთ საქართველოს ბართან ერთად მაშინ, როცა თმოგვი ქვემო ჯავახეთს „ეპატრონება" (ჯავახეთის მიმართ ხმარებული ტერმინები „ზემონი" და „ქვემონი" ამას ნიშნავს). მოგვიანებით, დაახლოებით XIV საუკუნის ბოლოდან, ქვემო ჯავახეთში სამამულო მიწისმფლობელობაზე დაფუძნებული საგვარეულო სახლები ვითარდება, შესაბამისად, საგვარეულო ციხე-ქვეყნებით. საბოლოოდ კი, „ოსმალობამ" მთლიანად შეცვალა სამამულე-ფეოდალური ურთიერთობები სამცხე-ჯავახეთში.

---

[30] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 129.

Guram Kutaladze

ADMINISTRATIVE CENTERS OF JAVAKHETI

Summary

History of Javakheti's administrative centers is very closely bound with political, physical, and economic geography.

During the nomadic epoch, the superior functions of Upper Javakheti was formulated, it had a function of summer pasture for the plain of Kartli, hence it was politicaly tied with Kartli region. Intensive land cultivation and creation of irrigation raises importance of Lower Javakheti and here, in the canyon of Artanula, city of Tsunda was founded, which became the center of whole Javakheti towards the 3rd c. B.C. Dukedom of Tsunda was established.

The changes of political, economic and living conditions of the region mean, of course, the change of administrative center. The new settlements had been established and enlarged. Starting from the epoch of Developed Feudalism, city of Tmogvi had a pretension to become the center of whole Javakheti region, but "unification of Georgia, and the changes of foreign political situation and the reversal of the old road leading through the river Kura to the South put Upper Javakheti in the center of attention... this led to establishment of the new center – Akhalkalaki of Javakheti; royal seat had been removed there (one of the royal residences)". Upper Javakheti had become the royal property together with the plain of Eastern Georgia, at the same time Tmogvi became center of the Lower Javakheti. Later, approximately from the end of 14th century, feudal families had established themselves in the Lower Javakheti, with the dynastic castles and lands. Finally, the Ottoman rule totally changed the feudal system in Samtskhe-Javakheti region

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

როლანდ თოფჩიშვილი

ხანძთის მონასტრის ლოკალიზაციისა და შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, ენობრივი ვითარების კვლევა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და საქართველო-თურქეთის მეგობრული ურთიერთობის შედეგად ბოლო ოცი წლის განმავლობაში ფრიად გააქტიურდა. ცნობილია, რომ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია. ამ ქვეყანაში XVI-XX საუკუნეებში ერთიან საქართველოს მოწყვეტილმა ქართულმა ეთნიკურმა ერთობამ სახელმწიფოებრივი და რელიგიური ბერკეტების გამოყენებით, ფაქტობრივად, მნიშვნელოვანი დეეთნიზაცია განიცადა — ძირითადად გაქრა საუკუნეების განმავლობაში არსებული ქართული ენა, ეთნოსფერა, ეთნიკური კულტურა, მოისპო და განადგურდა მაღალი ხელოვნებით შექმნილი ქართული საეკლესიო და საერო არქიტექტურის ბევრი შედევრი. საბედნიეროდ, აქა-იქ ქართული ენა და კულტურის არაერთი ელემენტი გაქრობას გადაურჩა, რაც წარსული ცხოვრების არაერთი მოვლენის შესწავლის საშუალებას იძლევა.

ქართველ მეცნიერებს საშუალება მიეცათ „სამუსლიმო საქართველოს" მხარეების მონახულებისა, დადგინდა ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრესი საეკლესიო ხუროთმოძღვრების კვლევის სფეროში, ეთნოლოგიურად კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები პირველად იქნა შესწავლილი.[1] ცნობილია, თუ რა ფართო მასშტაბის სამონასტრო მშენებ-

[1] იხ. რ. მალაყმაძე. ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). თბ. 2008; რ. გუჯეჯიანი. ტრადიციული ქართული კულტურის მოტივები ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. თბ. 2010, გვ. 163-182; რ. გუჯეჯიანი. მინდიეთის თემი (ზედა მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-

ლობა იყო გაჩაღებული ადრე შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ქართული კულტურის არაერთმა ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია, ბევრიც ისე განადგურდა, რომ მათი ადგილმდებარეობის გარკვევა ჭირს, სათუოა ზოგიერთის ლოკალიზაცია. სამართლიანადაა შენიშნული, რომ თურქეთში „ძველი ქართული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი — კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე — გავერანებულა, ბევრი ძეგლი დანგრეულა, ზოგიერთი ძველად არსებული პუნქტები მოსპობილა, ზოგის ძველი სახელი დავიწყებას მისცემია. ამის გამო კლარჯეთის ზოგიერთი ძველი სავანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა საძიებელი ხდება".[2] დავძენთ, რომ ანალოგიური ვითარებაა არა მხოლოდ *კლარჯეთის,* არამედ თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცეულ ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.

წინამდებარე სტატია სწორედ *კლარჯეთის* თორმეტ სავანეთაგან ერთ-ერთს — *ხანძთას* — ეხება. ქართულ მეცნიერებაში კამათია დაახლოებით 782 წელს დაარსებული დიდი საგანმანათლებლო და კულტურული კერის — *ხანძთის* მონასტრის შესახებ, რომლის აგების ინიციატორი გახლავთ დიდი საეკლესიო მოღვაწე *გრიგოლ ხანძთელი* (ახალი ტაძარი კი უფრო მოგვიანებით — X საუკუნის პირველ ნახევარში აუგიათ). **დღეს ძირითადად, გაზიარებულია *ჰ. ინგოროყვას* შეხედულება, რომ *ხანძთის* მონასტერი ესაა სოფელ *ფორთაში* არსებული ტაძარი.**[3] *ჰ. ინგოროყვას შავშეთ-კლარჯეთი* და აქ მდებარე ძეგლები საკუთარი თვალით ნანახი არ ჰქონდა; ის *ფორთის* საეკლესიო კომპლექსის *ნ. მარისეულ* აღწერას დაეყრდნო. სხვათა შორის, *ნ. მარი* ერთ-ერთი პირველი მეცნიერი გახლდათ, რომელმაც *შავშეთ-კლარჯეთის* სავანეები 1904 წელს მოინახულა, აღწერა და ამავე დროს შეეცადა მიუკვლეველი ძეგლების ადგილმდებარეობაც დადგინა; კერძოდ, მან იმის გამო, რომ *შატბერდსა* და *ხანძთას* ვერსად მიაკვლია, **შატბერდად მიიჩნია ფორთა, ხოლო ხანძთად — ნუკას საყდარი.**[4] მიუხედავად იმისა, რომ შავშეთ-კლარჯეთში

წიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI. თბ. 2012, გვ. 357-371; რ. თოფჩიშვილი. ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში. კრებ. "სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში". ბათუმი. 2009; თ. ფუტკარაძე. შავშეთის ეთნოგრაფია. კრებ. „შავშეთი". თბ. 2011, გვ. 92-142.

[2] ჰ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ. 1954, გვ. 305.

[3] ჰ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 311-339.

[4] Н. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. кн. VII, СПб. 1911, გვ 124-125, 130.

მოგზაურობისას ნ. მარმა *არტანუჯის* მხარეში, სოფელ *ჭიდალის* მახლობლად, შემაღლებულ ადგილზე ნანგრევების სახელწოდებად დაადასტურა ტოპონიმი „შატბერდი“,[5] ის მაინც *შატბერდს* სხვაგან ეძებდა. *ფორთა ხანძთად* მიაჩნია არაერთ სხვა მკვლევარსაც.[6]

ბოლო დროს მკვლევართა ნაწილმა *ფორთის ხანძთასთან* გაიგივება გამორიცხა. ამ თვალსაზრისით საგულისყუროა *მ. ფაღავას* სტატიები, თუმცა ის იმეორებს *ნ. მარის* შეხედულებას, რომ *ხანძთა ნუკას* საყდარია.[7] 2009 და 2010 წლებში ვწერდით, რომ *ხანძთის* მონასტერს ჩვენამდე არ მოუღწევია, რომ *ხანძთა* არსებობდა *იმერხევის* სოფელ *უბესთან*. ამის დამადასტურებელი ყველაზე არსებითი, მთავარი არგუმენტი სოფელ *უბეს* სიახლოვეს დადასტურებული ტოპონიმი „ხანძთაა“: „იმერხევშია ტოპონიმი „ხანძთა“ — სოფელ უბესთან. გადმოცემით, აქ ეკლესია და სასწავლებელი ყოფილა. დღეს ხანძთის მონასტრად ფორთის გუმბათოვან ტაძარს მიიჩნევენ. მიგვაჩნია, რომ ხანძთის მონასტერი იქ იყო, სადაც ტოპონიმი „ხანცთა“ დასტურდება. არქიტექტურულმა ძეგლმა უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია; აქ ხომ სხვა არაერთი ეკლესია და ტაძარი მოისპო. „დიობნიდან უბეში რომ გადავიართ ძველად ავადმყოფების სახლი ყოფილა და ხანძთა იმიტომ დაურქმევით“.[8] უფრო ადრე იგივე ივარაუდა *შ. ფუტკარაძემ*. „იქნებ დღევანდელი ჭალა არის ის დავაკება, სადაც პირველად ააშენეს *ხანძთის* მონასტრის ხის სენაკები და ხის ეკლესია, შემდეგ კი დიდი ტაძარი“.[9] ტოპონიმი „ხანძთა“ სოფელ უბესთან სხვა მკვლევრებსაც აქვთ დადასტურებული.[10] *ხანძთის* ადგილმდებარეო-

---

[5] Н. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, გვ. 113-114. ნ. მარის ზოგიერთი მთხრობელი ტოპონიმს „შაბერდი“-ის ფონეტიკური ვარიანტით გამოთქვამდა.

[6] ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ. 2006, გვ. 53-54; ი. გიეიაშვილი, ი. კოპლატაძე. ტაო-კლარჯეთი. თბ. 2004.

[7] მ. ფაღავა. ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟურნ. „მნათობი“. №1, 2007; მ. ფაღავა. კვლავ ხანძთის ლოკალიზაციის საკითხისათვის. „ჩვენი სულიერების ბალავარი“. II. ბათუმი. 2010, გვ. 44-49.

[8] რ. თოფჩიშვილი. ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში. კრებ. „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“. ბათუმი. 2009, გვ. 205; საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. თბ. 2010, გვ. 143.

[9] შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. თბ. 1993, გვ. 189.

[10] ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია. ბათუმი. 2000, გვ. 59, 237; ტ. ფუტკარაძე. იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი. I. ქუთაისი. 2007, გვ. 42.

ბა ნებისმიერმა უბელმა და ახლო-მახლო სოფლების მკვიდრმა იცის.

მკვლევარნი ეყრდნობიან *გიორგი მერჩულის* თხზულების შემდეგ ადგილს: „და ერთობით ჯვარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყანისა დავაკებად, რამეთუ კლდეი იგი ხანძთისაი უფიცხლეს არს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი".[11] მართლაც, ხანძთად მიჩნეული *ფორთის* ტაძარი ფრიად დაქანებულ ადგილასაა აღმართული. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, *კლარჯეთის* ის არეალი, სადაც თორმეტი სავანე არსებობდა, ყველა დაქანებულ და ვიწრო ადგილებშია აგებული. წყაროში პირდაპირ წერია, რომ დიდი შრომის შედეგად *ხანძთის* ფიცხელი ადგილი მოასწორეს და დაავაკეს. *გრიგოლ ხანძთელს* პირველად ძველი ეკლესია აუშენებია და „შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირეი და სენაკი საოსტიგნედ დიდი".[12] ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ „ნეტარმა გრიგოლ ადგილი იგი საეკლესსიოი დაავაკა".[13] უფრო მეტიც, მხოლოდ ერთხელ მოვაკებით არ დასრულებულა საქმე: დავაკება ახალი ეკლესიის მშენებლობის დროსაც მომხდარა.[14] ამდენად, ორი ეკლესიის აშენებამ მოზრდილი ტერიტორიის დავაკება გამოიწვია. სოფელ *უბესთან* ადგილი „ხანძთა" მართლაც დავაკებულია. ხოლო ამ დავაკებული ადგილის უკან კი მაღალი კლდეა. ვინ დაადასტურებს, რომ ამ დავაკებულ ადგილზე თავის დროზე „უფიცხლესი" გორაკი არ იყო? მონასტრის აშენებამდე მშენებლებმა ბერებისათვის ჯერ სენაკები ააგეს. *ხანძთის* მოვაკებული ტერიტორია კი მონასტერთან ერთად სენაკებისათვისაც საკმარისი გახლდათ, ხოლო *ნუკას საყდარი*, როგორც ცნობილია, მცირე მოცულობისაა, ის მთის შვერილზეა აგებული და იქ ჰორიზონტალურ განფენილობაში სენაკების აგება შეუძლებელი იყო. თვით *მ. ფალავას*, რომელიც *ხანძთას ნუკას საყდართან* აიგივებს, სოფელ *უბეში* მთხრობელისაგან ჩაუწერია, რომ *ხანძთაში* „პეტრივნი წყარონი", „ქილისა" ყოფილა, რომელიც „დაფლატულა, დანგრეულა". იქვე „ჯვრიანი ქვაც" უპოვიათ.[15]

---

[11] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. — ქართული პროზა. წ. I. თბ. 1981, გვ. 227.

[12] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 227.

[13] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 232.

[14] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 257-258.

[15] მ. ფალავა. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები შავშეთში. — „ჩვენი სულიერების ბალავერი" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები). III. თბ. 2011, გვ. 168-169.

2012 წლის საექსპედიციო საქმიანობამ ადრე გამოთქმული მოსაზრება უფრო გაგვიმყარა: *ხანძთის* მონასტერს ჩვენამდე არ მოუღწევია (ისევე როგორც *შატბერდს*). ის იმერხევის სოფელ უბესთან არსებობდა და დროთა განმავლობაში დაინგრა. ტაძრის არსებობის ერთ-ერთ მატერიალურ დადასტურებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქვის ლოდი, რომელზედაც ხელია გამოხატული (ამის გამო ლოდის მიმდებარე ტერიტორიას ადგილობრივები „ნეფის ხელსაც“ უწოდებენ). უფრო ადრე ხელის გამოსახულება *ტ. ფუტკარაძესაც* აქვს დადასტურებული: „წყაროსთან ახლოს, ძველი გზის პირას, დიდ, ბრტყელ ქვა-კლდეზე ამოკვეთილია ჭელი//ხელი. ეს გზა გაივლის სეფეყანის თავზე, შემდეგ უღელტეხილის ძირში (იქ კიდევ არის ერთი ჭელი დიდ ქვაზე)... სეფეყანაში ყოფილა დიდი ეკლესია“. „სათავესთან ახლოს არის ხანძთა, სადაც ძველი უნივერსიტეტი იყო; ახლა იქ ნაქილისვარი ალაგებია“...[16] ცნობილია, რომ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე ხშირი იყო ხელის გამოსახულება. საამისოდ სვეტიცხოვლის დასახელებაც კი საკმარისია. ასეთი ფაქტი არაერთია; მაგალითად, ხელი / ხელის მტევანი გამოკვეთილია *დიღმის* წმინდა გიორგის ეკლესიის სამხრეთ კედელზე, დიღმის ხეობის *მაჩხანის* (ახლა ნასოფლარი) ეკლესიაზე, *ზემო მლეთის* ეკლესიაზე, შიდა ქართლის სოფელ *კოშკების* ეკლესიაზე, იმერეთში სოფელ *საკარიას* ტაძარზე, სამეგრელოში სოფელ *ტყვირის* ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, ლეჩხუმის სოფელ მცხეთის ეკლესიაზე, თანამედროვე აფხაზეთში *ბედიის* ტაძარზე, ზემო სვანეთის სოფელ *წვირმის* თარანგელოზის ეკლსიაზე, მცხეთასთან *არმაზის* მონასტერზე... ხელის მტევნის ყველა გამოსახულება სპეციალისტების მიერ, ძირითადად, IX-XI საუკუნეებითაა დათარიღებული.[17] სტელებზე ხელის მტევნის გამოსახულება საერო პირების უფლების, საკუთრების სიმბოლოს წარმოადგენდა. რას ნიშნავდა ხელის გამოსახულება ეკლესია-მონასტრებსა და ტაძრებზე? ხელის გამოსახულება ეკლესია-მონასტრებსა და ტაძრებზე

[16] ტ. ფუტკარაძე. იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი. I. ქუთაისი. 2007, გვ. 46, 66. ინფორმატორთაგან ხანძთის შესახებ მოპოვებული საგულისხმო მასალების მიუხედავად, ტ. ფუტკარაძე მაინც ნ. მარის მოსაზრებას ანიჭებს უპირატესობას, რომელსაც მიაჩნდა, რომ ხანძთა ნუკას საყდარია (გვ. 48).

[17] Л. М. Меликсет-бек. Рельефы на памятниках материальной культуры феодальной Грузии. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“. თბ. 1957. ტ. 9, გვ. 109-130; გ. ოთხმეზური. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1981.

იმას ნიშნავდა, რომ მათზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძალაუფლება ვრცელდებოდა. XVI საუკუნის საბუთში „კათალიკოზის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“ ჩამოთვლილი ეპარქიებისა და მათი საზღვრების შესახებ ნათქვამია: **„ამ ეპისკოპოსთა მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოსი არის და იმის ჴელთ არის ყოველივე“.**[18] ეს წინადადება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს კათოლიკოსს ჰქონდა ჴელი (უფლება, მფლობელობა) სამწყსოში შემავალ ყველა ეპარქის ეკლესია-მონასტერზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომ *ხანძთის მონასტერი იმერხევის* სოფელ *უბესთან* იყო, კერძოდ იქ, სადაც ტოპონიმი „ხანძთაა“, ქართული ტაძრების / მონასტრების სახელდებაა. ეს სახელდება ყოველთვის გეოგრაფიულ პრინციპს ეყრდნობოდა, საილუსტრაციოდ აურაცხელი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: სოფელ *გელათში* არსებულ საეკლესიო კომპლექსს „გელათი“ ეწოდებოდა და ეწოდება, სოფელ *სამთავისში* არსებულს — „სამთავისი“, სოფელ *ფიტარეთში* არსებულს — „ფიტარეთი“, სოფელ *ყინწვისში* არსებულს — „ყინწვისი“, სოფელ *ოშკში* არსებულს — „ოშკი“, სოფელ *ხახულში* არსებულს — „ხახული“, სოფელ *პარხალში* (და პარხლის ხეობაში) არსებულს — „პარხალი“, სოფელ *ატენში* (და ატენის ხეობაში) არსებულს — „ატენი“, სოფელ *ბედიაში* არსებულს — „ბედია“, სოფელ *ზარზმაში* არსებულს — „ზარზმა“, სოფელ *ლარგვისში* არსებულს — „ლარგვისი“. ჩამონათვალი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია და პირდაპირ კითხვას დავსვამთ: რატომ უნდა სახელდებულიყო სოფელ *ფორთაში* ან *ნუკში* არსებული საეკლესიო კომპლექსები ხანძთად? რატომ უნდა ეწოდებინათ *ფორთის* ან *ნუკას* ტაძრებისათვის ხანძთა? გვაქვს ასეთი ანალოგიური შემთხვევები საქართველოში ტაძრისათვის სახელის შეცვლისა? ტოპონიმი *ხანძთა* ერთ ადგილას არსებობდა და *ხანძთის* მონასტერი სხვაგან, სხვა სოფლის ტერიტორიაზე დააარსეს? ეს ხომ საქართველოში არსებულ ტრადიციას ეწინააღმდეგება. თვით *კლარჯეთის* თორმეტივე სავანე / მონასტერი ხომ ადგილის / სოფლის სახელს ატარებდა, იმ სოფლისას, რომელშიც ის მდებარეობდა: **ოპიზა, მერე, დაბა, პარეხთა, შატბერდი, მიძნაძორი** („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით მდებარეობდა *შავ-*

[18] ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 246.

შეთში), *წყაროსთავი, ბარეთელთა, ბერთა, ჯმერკი, დოლისყანა.*[19] ამ სოფლების სახელწოდებათა / ტოპონიმთა ნაწილი ბოლო დრომდე არსებობდა და მხოლოდ გვიან – XX საუკუნის 80-იან წლებში ქართული ტოპონიმები თურქულით შეიცვალა. ამრიგად, არც *ფორთა* და არც *ნუკას საყდარი* ანონიმიური არაა, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს.[20]

კლარჯეთ-შავშეთის თორმეტ სავანეთაგან ჩვენამდე უმრავლესობას არ მოულწევია, თუმცა მათი ლოკალიზაცია ხერხდება. *ხანძთისა* და *შატბერდის* ბედი აქვს გაზიარებული *მერეს* დედათა მონასტერ-სავანესაც, რომელიც ასევე *იმერხევში – ხანძთის* მონასტრის სექტორში მდებარეობდა. მის შესახებ *გიორგი მერჩულეც* მიუთითებდა, რომ *მერე ხანძთის* მეზობლად იყო და არა ხანძთად მიჩნეულ *ფორთის* მიდამოებში, როგორც ამის შესახებ მიუთითებენ.[21] მართლაც, *ხანძთიდან მერემდე* მცირე მანძილი იყო და არის; ის *იმერხევში* არსებობდა და ტოპონიმი „მერე" დღესაც არსებობს. *მერე იმერხევში* სოფლების – *წყალსიმერის, იფხრეველისა* და *დიობანის* სიახლოვესაა.[22]

კიდევ ერთი არგუმენტის მოყვანა შეიძლება *ხანძთის* სოფელ *უბესთან* არსებობის დასადასტურებლად. ცნობილია, რომ *გრიგოლ ხანძთელმა* თავისი საეკლესიო აღმშენებლობა დასავლეთ საქართველოშიც – „აფხაზთა სამეფოშიც" გააგრძელა, 826 წელს მეფე *დემეტრე II-ის* მოღვაწეობით დააარსა *უბის* სავანე (თანამედროვე *უბისა* ზემო იმერეთში): „მაშინ მამამან *გრიგოლ*, სარწმუნოებისაებრ მეფისა, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბეი".[23] ვფიქრობთ, რომ *გრიგოლ ხანძთელს ზემო იმერეთში* აგებული მონასტრისათვის შემთხვევით არ უწოდებია *უბე / უბისა*, რადგან მან სოფელ *უბესთან* ადრე დაარსებული *ხანძთის*, იმავე *უბის* მონასტრის ანალოგიური ძეგლი ააშენა.

---

[19] 1886 წლის საოჯახო სიებში დაბა და ჯიმერკი ერთი სოფლის სახითაა წარმოდგენილი: „დაბა-ჯიმერკი". ეს სოფელი ბერთის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა ბერთასთან, დოლისყანასთან, ფორთასთან და წყალთეთრასთან ერთად. ამავე საოჯახო სიებით ოპიზა ბერთას უბანი იყო. 1886 წლის საოჯახო სიებით ამ სოფლებში თურქები ცხოვრობდნენ (სულ ერთად 340 კომლი), თუმცა 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარის" მიხედვით ფორთისა და წყალთეთრის მოსახლეობა ქართველი მაჰმადიანები იყვნენ.

[20] ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, გვ. 62.

[21] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 344.

[22] ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია. ბათუმი. 2000, გვ. 46, 48-49, 195.

[23] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 244.

ახლა ორიოდე სიტყვით *ჭორობის* აუზის / ტაო-შავშეთ-კლარჯეთის საეპისკოპოსოთა რაოდენობასაც უნდა შევეხოთ. განვითარებულ შუა საუკუნეებში *ტაოსა* და *კლარჯეთში* ოთხი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ტაოში **ბანელისა** და **იშხნელის** სამწყსოები და კლარჯეთში — **ანჩელისა** და **მტბევარის** სამწყსოები. როგორც ირკვევა, საქართველოს ამ დიდ კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრში საეპისკოპოსოთა რაოდენობა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა იყო. *პ. ინგოროყვას* მიხედვით, *კლარჯეთში* IV-IX საუკუნეებში ოთხი საეკლესიო მეტროპოლია ყოფილა: **თუხარისის, ახიზის,**[24] **ფორთის** და **ანჩის.**[25] „მე-5-მე-6 საუკუნეთა საზღვარზე იბერიის ამ ახლად დაარსებულ საეპისკოპოსოთა რიცხვს ეკუთვნოდა *კლარჯეთის* მეორე საეპისკოპოსო — ფორთა. 506 წელს კავკასიის ხალხთა ეკლესიების გაერთიანებულ კრებას დასწრებია იბერიის (ქართლის) 24 ეპისკოპოსი, ქართლის კათალიკოზთან ერთად. იბერიის (ქართლის) ამ ეპისკოპოსთა შორის მოიხსენიება ეპისკოპოსი ფორთისა".[26] დასახელებული ავტორის ვარაუდით, *ახიზისა* და *ფორთის* ძველი საეპისკოპოსოები VIII საუკუნის 30-იან წლებში დაცლილა და გაუქმებულა. დარჩა მხოლოდ *ანჩის* საეპისკოპოსო, რომლის ფარგლებშიც სამივე საეკლესიო ტერიტორია გაერთიანებულა. უფრო მოგვიანებით, IX-X საუკუნეებში, *შავშეთში* (ფართო გაგებით — *კლარჯეთში*) ახალი, მეორე საეპისკოპოსო — *ტბეთის* საეპისკოპოსო დაარსებულა, ხოლო *ტაოში* — *ბანისა* და *იშხნისა*.[27] ამრიგად, IX-X საუკუნეებიდან *კლარჯეთში / კლარჯეთ-შავშეთში* ორი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა — **ანჩის საეპისკოპოსო და ტბეთის საეპისკოპოსო.**

ფორთის საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ *კლარჯეთი / კლარჯეთ-შავშეთი* ორი საეპისკოპოსოს მომცველი იყო. *კლარჯეთის* თორმეტი სავანე სწორედ ამ საეპისკოპოსოთა ტერიტორიაზე მდებარეობს. *ანჩა კლარჯეთში, ტბეთი* კი — *შავშეთში.* სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს / სამცხე-საათაბაგოს სამწყსოთა საზღვრები მოცემულია XVI საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ დოკუმენტში. საბუთში

---

[24] ახიზა არტანუჯის ხევზე მდებარეობდა. 1886 წელს ამ სოფელში 27 კომლი ცხოვრობდა, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი ოჯახი იყო ეთნიკური ქართველი. 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარის" მიხედვით კი ახიზის მოსახლეობა ქართველი მაჰმადიანები იყვნენ.

[25] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 376.

[26] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 377.

[27] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 378-379.

ეკითხულობთ: „ანჩელის სამწყსო: **სამსწყალს**[28] აქეთი (აქ მძიმე უნდა იყოს დასმული – რ. თ.) **ხანძთასა** და **ოპიზას** შუა **დახატულა**. იმას ქვემოთ **ნიგალისხევი**, **გალმა** და **გამოღმართი**, **გონიის** სამზღრამდი. **მტბევარის** სამწყსო: **დახატულას** ზედათი, **ანაკერტს**[29] აქეთი, სულა **შავშეთი მიჭიხიანათ**,[30] ბატო-

[28] სამწყალი არტანუჯის მხარეში არტანუჯის-წყლის აღმოსავლეთით ერთ-ერთი ხეობის სახელია. მასზე მდებარეობდა ამავე სახელწოდების სოფელი. 1886 წლის საოჯახო სიებში სოფელი სამსხარ-წყალის ფორმითაა შეტანილი. ამ დროს სოფელში 114 კომლი ეთნიკური ქართველი მკვიდრობდა. სამსხარის-წყლის / სამსხარის საზოგადოებაში შედიოდა აგრეთვე სოფლები: ნორგიელი, ფეტობანი და ჭიდილი (ჭიდილის ერთ-ერთი უბანი იყო გუდათა. ნ. მარის დღიურის მიხედვით, ჭიდალში 1904 წელს ქართულად მხოლოდ ხანში შესულები ლაპარაკობდნენ), რომლებშიც ასევე ქართველები ცხოვრობდნენ. ამ სოფლების მკვიდრნი თურქეთის ხელისუფლებამ 1946 წელს ბურსის მხარეში გადაასახლა. სხვათა შორის, სოფელ ფეტობანში მცხოვრები 100 სული 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარში" მხოლოდ ქართველებად არიან აღრიცხულნი და მათ მაჰმადიანი არა აქვთ მიწერილი.

[29] 1886 წლის საოჯახო სიებით ანაგერტი არტანუჯის უჩასტკის ანჩის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა (ორივე სოფელი სამწყალის მარცხენა მხარეს იყო). სოფელში 52 კომლი ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა. ანჩის საზოგადოებაში შედიოდა კიდევ ორი სოფელი: ანჩკორა და ოფისჩალა. 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარში" ოფისჭალის მკვიდრ 109 სულს მიწერილი აქვს არა «Груз-маг», როგორც ჩვეულებრივ ქართველ მაჰმადიანებს აღნიშნავდნენ, არამედ «Грузины». 1946 წელს ქართველები აქედან გადაასახლეს ბურსის მხარეს და ორი-სამი თაობის მანძილზე ეთნიკური ცნობიერებაც დაკარგეს (ი. ღუტიძე. არტანუჯის ტოპონიმები – ისტორიული რეალიების მოწმენი. „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული". XIII. თბ. 2011, გვ. 107-126).

[30] მიჭიხიანი იგივე მაჭახლის ხეობაა. მაჭახელს იმერხევისა და კლარჯეთის იმ მონაკვეთისაგან, სადაც ფორთა, ოპიზა, პარეხთა, ბერთა, დაბა და ჯმერკი მდებარეობდა, კარჩხლის ქედი მიჯნავდა. თუმცა დასახელებულ ტერიტორიებს ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო-კულტურული კავშირები ჰქონდა. კარჩხალზე ჰქონდათ აქაურ ქართველებს საზაფხულო საძოვრებიც – ე. წ. „იაილები". კარჩხლის ქედიდან იღებს სათავეს დევსქელის ხეობაც, რომელიც ჭოროხს ბორჩხასთან ერთვის. ზემოხსენებული საბუთის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი მაჭახელს შავშეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა; „დასაელეთით შავშეთი შავ ზღვას აღწევდა თუ არა, არა ჩანს: ვიცით მხოლოდ „მიჭიხიანი", ანუ მაჭახელი შავშეთის საზღვრებში" (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1965, გვ. 62). ვფიქრობთ, მაჭახლის ტბეთის ეპარქიის შემადგენლობაში არსებობა არაა იმის არგუმენტი, რომ ის შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ. მიჭიხიანი სამხრეთ-დასაელეთ საქართველოს დამოუკიდებელი პატარა ტერიტორიული ერთეული იყო.

ნის უწმინდესის კათალიკოზის ყოფილა; იმ ქვეყნის ეპისკოპოზის იასაულიც ის ყოფილა; აჭარა დანდალოს ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა".[31] ამრიგად, საბუთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. *ანჩელის* სამწყსო მთლიანად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ *კლარჯეთს* მოიცავდა. მისი აღმოსავლეთი საზღვრის ერთი მონაკვეთი *არტანუჯიდან აღმოსავლეთით სამწყალის ხევზე გადიოდა* (თანამედროვე *სამსხარი*. ანჩის მონასტერი სამწყალის ხეობაში მდებარეობდა). აღმოსავლეთის საზღვრის მეორე მონაკვეთი *ოპიზასა* და *ხანძთას* შორისი გეოგრაფიული პუნქტი — *დაბატულა* (მთა ან ღელე) ყოფილა. *დაბატულას* დასავლეთით და *სამწყალს* ქვემოთ მთლიანად კლარჯეთში არსებული ჭოროხის აუზი მდინარის ორივე მხარეზე შავ ზღვამდე ანჩელის საეპისკოპოსოში შედიოდა. *დაბატულას* აღმოსავლეთი მხარე *ტბეთის* ეპარქიაში შედიოდა, რომლის (*ტბეთის*) დასავლეთით მდებარე მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა *ხანძთა* გახლდათ, ე. ი. *ტბეთის* ეპარქია მთლიანად მოიცავდა *შავშეთ-იმერხევს*. *იმერხევის* დასავლეთით უკვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე — *კლარჯეთი*[32] იყო. *ოპიზა* და *ფორთის* მონასტერი *კლარჯეთში* შედიოდა. *შავშეთის* გარდა, მტბევარის სამწყსო *მაჭახელსა* და *აჭარის* ნაწილსაც (*დანდალოს* ზემოთი) მოიცავდა. ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი *არსიანის* ქედი გახლდათ (*არტაა-*

[31] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 245.

[32] კლარჯეთში არტანუჯიდან სამხრეთ-დასავლეთით სოფელი კლარჯეთიც არსებობდა. სოფელი კლარჯეთი სამჯერაა მოხსენიებული 1705-1706 წლების თურქულ წყაროში (ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. 1694-1732 წწ. ც. აბულაძის გამოცემა, თბ., 1979, გვ. 116-117). მის სიახლოვეს იყო სოფლები: ვართხელი, ორტიზი და სახრე. სოფლის ასეთი სახელწოდება იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ თავდაპირველად კლარჯეთი მხოლოდ და მხოლოდ ოიკონიმი იყო და შემდეგ იქცა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სახელწოდებად. ანალოგიური შემთხვევები არაერთია მსოფლიოს მასშტაბით, როდესაც ერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდება არა მარტო მთელ მხარეს, არამედ ქვეყანასაც გადაეცემოდა ხოლმე. სოფლის სახელწოდება მთელ მხარეზე განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ვრცელდებოდა, როდესაც ეს დასახლებული პუნქტი ამ მხარის განაპირას იყო. კლარჯეთის შემთხვევაშიც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მეორე გზა დასახლებული პუნქტის მთელ მხარეზე / ქვეყანაზე გადატანისა იყო იმ შემთხვევაში, თუ მასში მხრის ხელისუფალი იჯდა. სოფელ კლარჯეთსა და მის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფლებში 1886 წლის საოჯახო სიებით თურქები ცხოვრობდნენ, თუმცა 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარი" გვიდასტურებს, რომ ამ სოფლების მკვიდრნი ქართველები იყვნენ. ამ დროს სოფელ კლარჯეთში 658 სული ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა, ვართხელში — 159 სული, ორტიზში — 95 სული.

ნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან *არსიანის* ქედით გადასასვლელია *არტანუჯის-წყლის* ხეობის სათავეში მდებარე სოფლებში *ხევასა* და *ლონგოთხევში*. აქედან მგზავრი სოფელ *ხერთვისში* შედიოდა, შემდეგ — *ახაშენში, შავგულარში* და *შუათა-ხევში*, ბოლოს კი უკვე — *არტანუჯში*.[33] *არტანუჯიდან ახიზისაკენ* მიმავალ გზაზე კი სამი სოფელი იყო: *მაცალა ხევი, ბოცა* და *ბიჭა*. *ახიზიდან* ახლოს *არტანუჯის-წყალი* მდინარე *შავშეთის-წყალს* მარცხენა მხრიდან უერთდება).

საძიებელია ტოპონიმი / მაკროტოპონიმი **დახატულა**, რომელიც *შავშეთ-იმერხევს შავშეთის-წყლის* მარჯვენა მხარეს *კლარჯეთისაგან* მიჯნავდა, შესაბამისად, მტბევარის სამწყსოს — ანჩელის სამწყსოსაგან. *ოპიზასა* და დღეს *ხანძთად* მიჩნეულ *ფორთის* მონასტერს შორის საზღვარი / მანძილი, ფაქტობრივად, მინიმალურია და *დახატულა* არ შეიძლება მათ შორის ყოფილიყო. ერთადერთი ავტორი, რომელსაც ტოპონიმი „დახატულა" აქვს დაფიქსირებული, *ნ. მარია*. მართალია, ავტორი მთლად ნათლად ვერ მიუთითებს მიკროტოპონიმ *დახატულას* ადგილმდებარეობას, მაგრამ ეს ახლად გატყვევებული ველური ადგილია *ფორთიდან* აღმოსავლეთით, უფრო სწორედ *შავშეთის წყლის* მარჯვენა შენაკადის მარჯვენა მხრეს, რომელიც *კარჩხლის* მთიდან ჩამოედინება და რომელზედაც *ნუკას საყდარი* მდებარეობს. *შავშეთის წყლის* (რომელსაც *ნ. მარი, ჰ. ინგოროყვა* და *ვ. ჯობაძე* შეცდომით მდინარე *იმერხევს* უწოდებენ. *იმერხევი შავშეთისწყალს* შერთულთან ერთვის) სიახლოვეს *დახატულას* დაბლა „სამაჭრეთი" (მიკროტოპონიმი) იყო, ხოლო დახატულას ზემოთ — „სარკინეთი" (ასევე მიკროტოპონიმი), „სარკინეთს ზემოთ — „ქორნი-ბუდა" (ესეც მიკროტოპონიმია).[34] ადგილმდებარეობის აღწერილობიდან, თუნდაც ფართობის მოცულობით, არ ჩანს, რომ *დახატულა* გამმიჯვნელ ადგილად გამომდგარიყო ანჩელისა და მტბევარის საეპისკოპოსოებს

[33] 1879 წელს ეს გზა გაიარა სოლომონ ბავრელმა, რომლის წერილებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული სოფლების მკვიდრნი გათურქებული ქართველები ყოფილან (ს. ასლანიშვილი-ბავრელი. წერილები „ოსმალოს საქართველოზე". თბ. 2008, გვ. 133-134). ლონგოთხევიდან არტანუჯისაკენ მიმავალ გზაზე, არტანუჯის-წყლის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს ენირაბათი, რომელშიც 1886 წლის მონაცემებით 18 ოჯახი ეთნიკური სომეხი ცხოვრობდა. 1907 წელს კი ენირაბათში მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები იყვნენ აღრიცხულნი.

[34] Н. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, გვ. 141-142. სიმართლეს არ შეესაბამება ჰ. ინგოროყვას მითითება, რომ, თითქოს, ნ. მარს ტოპონიმი „დახატულა" ქვემო ფორთის უსახელო სავანესა და ოპიზას შუა აქვს მითითებული (ჰ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 311).

შორის. პატარა ადგილს *დაბატულას* (მიკროტოპონიმის) ქვემოთ *სამჭრეთი* ერქვა, ზემოთ კი *სარკინეთი* და *ქორნი-ბუდა*. ვფიქრობთ, რომ *დაბატულა* თავის დროზე უფრო დიდი ფართობის მომცველი უნდა ყოფილიყო და ის მიკროტოპონიმს არ წარმოადგენდა (შეუძლებელია, მიკროტოპონიმით ორი დიდი სამწყსო ერთმანეთისაგან გაემიჯნათ), რომელიც *კარჩხლის* მთებიდან ჩამომავალ *კარჩხლის-წყალს* გასდევდა და ეს ხევი უნდა ყოფილიყო საზღვარი ანჩელისა და მტბევარის სამწყსოებს შორის (არც ისაა გამორიცხული, რომ *კარჩხლის-წყლის* ადრინდელი სახელწოდება სწორედ *დაბატულა* ყოფილიყო, რადგან *ნ. მარი* ამავე ჰიდრონიმით სხვა ხევსაც მოიხსენიებს, რომელიც ასევე *კარჩხლის* ქედს გამოედინება და რომელზედაც *დაბა, ბერთა* და *ჰარეხთა* მდებარეობენ; ნ. მარი მას მეორე *კარჩხლის-წყალს* („კარჩხალკას") უწოდებს. რეალურად ეს მდინარე (ან ამ მდინარეზე არსებული სოფელი *დაბატულა*) მართლაც იყო საზღვარი *შავშეთ-იმერხევსა* და *კლარჯეთს* შორის. ახლა, რაც მთავარია, ნათელია, რომ *ფორთაც* (რომელსაც *ხანძთად* მიიჩნევენ, *ნ. მარი* კი მას *შატბერდად* მიიჩნევდა) და *ნუკას საყდარიც* (რომელსაც *ნ. მარი* ხანძთად მიიჩნევდა) *დაბატულას* დასავლეთით იყო (*ნ. მარმა* ნუკადან ფორთამდე მისვლას ფეხით ერთი საათი მოანდომა), ე. ი. ანჩელის სამწყსოში შედიოდა, ხოლო დასახელებული გეოგრაფიული ადგილებიდან აღმოსავლეთით მტბევარის საეპისკოპოსო იყო. საყურადღებოა, რომ მთებით *ნუკას საყდრიდან იმერხევის* სოფელ *უბემდე*, რომლის სიახლოვეს რეალურად მდებარეობდა *ხანძთა*, არცთუ ისე დიდი მანძილია, ოღონდ არა თანამედროვე საავტომობილო გზით, არამედ იმ მოკლე გზებით, რომლებითაც ძველად სარგებლობდნენ და რომლებიც მთის თხემებს მიუყვებოდა და სადაც (მთების თხემებზე და მაღლა დაფერდებებზე) შუა საუკუნეებში ქართული სოფლები მდებარეობდა. აქ შეძლება კითხვა დაისვას: XVI საუკუნეში შედგენილი საბუთისათვის საზღვრების გამმიჯვნელ ორიენტირად რატომ მაინცდამაინც *ხანძთა* და *ოპიზა* აირჩიეს? პასუხი შემდეგია: ამ არეალში, ორი სამწყსოს საზღვარზე, ეს ორი მონასტერი ყველაზე ცნობილი და დიდებული იყო.

ამრიგად, კარჩხლის წყლის მარცხენა მხარე მტბევარის სამწყსოში შედიოდა, მარჯვენა — ანჩელის სამწყსოში (შესაბამისად, აქ გადიოდა საზღვარი შავშეთისა და კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის). ეს იყო ორ ეპარქიას შორის საზღვარი მდინარე შავშეთის წყლის მარჯვენა მხარეს. შავშეთის წყლის მარცხენა მხარეს საზღვარი თითქმის მარჯვენა მხარის საზღვრის მოპირდაპირე მხარეს იყო. როგორც ზემოთ მოხმობილი XVI საუკუნის დასაწყისის დოკუმენტით ირკვევა, ეს საზღვარი შავშეთის

წყლის მარცხენა შენაკადზე — სამწყალზე — გადიოდა. სამწყლის მარჯვენა მხარე მტბევარის ეპარქიაში შედიოდა, მარცხენა მხარე — ანჩელის ეპარქიაში (შესაბამისად, აქ გადიოდა საზღვარი შავშეთსა და კლარჯეთის არტანუჯის მხარეს შორის). ანჩის ტაძარი სწორედ ორი ეპარქიისა და ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის საზღვარზე იყო, ოღონდ, რა თქმა უნდა, დასახელებული სამწყალის მარცხენა მხარეს.

ხანძთისა და *ფორთის* ურთიერთმიმართების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ორი სახელით საქართველოში საეკლესიო ნაგებობა არ არსებობს. თურქეთის ოფიციალური ხელისუფლება მას *ფორთად* მიიჩნევს. მთავარი გზიდან ფორთისაკენ მიმავალ გზაზე ნიშნულია: „ფორთის მონასტერი". ასეთი იყო ტრადიცია — ტაძრები, მონასტრები საქართველოში ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით მოიხსენიებოდნენ. *ფორთის* სახელწოდების ხნოვანების შესახებ საკითხი *პავლე ინგოროყვამაც* დასვა. მანვე აღნიშნა, რომ „კულტურული ცენტრი ფორთაში უძველესი დროიდანვე არსებულა და ეს სახელწოდება „ფორთა" ადრეულ საშუალ-საუკუნეებიდანვე არის დამოწმებული. ფორთაში მე-5-7 საუკუნეებში საეპისკოპოსო კათედრა არსებულა. იბერიის (ქართლის) საკათალიკოსოს ცნობილ სიაში, რომელიც 506 წელს მიეკუთვნება, მოიხსენიება საეპისკოპოსო ფ ო რ თ ა".[35] მართლაც, ეპისტოლეთა წიგნში ქართველ ეპისკოპოსთა შორის მოხსენიებულია **„თეოდოროს ეპისკოპოსი ფორთის"**. *უხტანესი* ასევე ახსენებს **„თეოდოროს ფორთის ეპისკოპოსს"**.[36] ისმის კითხვა: *ფორთას* პარალელურად რატომ უნდა რქმეოდა მეორე სახელიც — *ხანძთა?* ორსახელიანი დასახლებული პუნქტები საქართველოში არ არსებობდა. არც უსახელო ადგილები ასებობდა, როგორც ამას პ. ინგოროყვა აღნიშნავდა.

გიორგი მერჩულის თხზულების თანახმად, *ხანძთის* მონასტრის მშენებლობაში *გრიგოლ ხანძთელის* შემწე ყოფილა შავშელი დიდებული, აზნაური **გაბრიელ დაფანჩული**. ამ საგვარეულოს სამფლობელოს ცენტრი შავშეთის წყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელი *გუნათლე* (გვიანდელი *გურნათე-*

---

[35] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 314. ავტორი უთითებს სომხურ წყაროებს: ეპისტოლეთა წიგნი („გირქ თღთოც"), 1901 წ., გვ. 182-183: შდრ.: უხტანეს ურაბელი, ქართველ-სომეხთა განყოფის ისტორია, 1871 წ., გვ. 86.

[36] ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ. 1968, გვ. 97; უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევითა გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ. 1975, გვ. 139.

ლი,[37] *სათლელის ციხის* სიახლოვეს) იყო. ბუნებრივია, შავშელი ფეოდალი *ხანძთის* მონასტრის აშენებით თავისი საფეოდალოს ტერიტორიაზე იქნებოდა დაინტერესებული. მეცნიერთა მიერ ხანძთად მიჩნეული *ფორთის მონასტერი* კი კლარჯეთის ტერიტორიაზეა. ასევე *გაბრიელ დაფანჩულის* სამემკვიდრეო ტერიტორიას წარმოადგენდა *მერეც. ხანძთის* წმიდა გიორგის მამათა მონასტერი, *მერეს* ღვთისმშობლის დედათა მონასტერი და *გუნათლეს* დედათა მონასტერი ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდა.

ზოგიერთი მეცნიერისათვის *ფორთის მონასტრისა* და *ნუკას საყდრის* დაუდგენელ სამონასტრო კომპლექსებთან — ხანძთასთან და შატბერდთთან გაიგივება იმიტომაცაა შესაძლებელი, რომ არც *ფორთა* და არც *ნუკას საყდარი* ქართულ მატიანეებში არ იხსენიება. სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერთაგან *ნუკას საყდარს* მოსვენება არა აქვს — მას *გუნათლესთანაც* კი აიგივებენ.[38] ზემოთ ვნახეთ, რომ *ფორთა* ქართულ წყაროებში არა, მაგრამ სომხურ წყაროებში ნამდვილად მოიხსენიება, რომლებშიც საუბარია V-VII საუკუნეებში ფორთის საეპისკოპოსოზე. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო არაერთი წერილობითი ძეგლი დაიკარგა; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე ვითარება იმ ტერიტორიებზე იყო, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ანალოგიური მდგომარეობა სხვა არქიტექტურულ ძეგლთა შემთხვევებშიც გვაქვს. მატიანეებში არაა ნახსენები თვით ისეთი დიდებული სამონასტრო კომპლექსები, როგორებიცაა *ოშკისა* და *ოთხთას ეკლესიები.* მხოლოდ ერთი ბედნიერი შემთხვევა გვაქვს ბიბლიის ერთ-ერთი ხელნაწერი ტექსტის ანდერძ-მინაწერში *ოშკის* მოხსენიებისა: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა...“.[39] ასევე, ერთხელაა ნახსენები *ოთხთა ეკლესია* ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთ მოსახსენებელში: „ვინცა წაიკითხოთ, ლოცვასა გევ(ე)დრები ცოდვილი ფ(რია)დ ავგაროზ, ოთხთა ეკლესიათა მონასტრის დეკანოზი მამა[ცე]-

[37] რუსული ადმინისტრაციის დროს, 1886 წელს, გურნათელი სათლელ-რაბათის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა. ამავე საზოგადოების სოფლები იყო: ვანთა, ველი (სოფელი ველი არტაანშიც იყო), მორგელი, საბუდარა, სამჯელი, სათლელი, სათლელ-რაბათი, სოფორი. ამ სოფლების მკვიდრნი უკვე ასიმილირებულნი იყვნენ. მხოლოდ სათლელსა და ველში ჰქონდა შენარჩუნებული რამდენიმე ოჯახს ქართველობა.

[38] იხ.: ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების რუკა. თ. ხუციშვილის რედაქტორობით, მეორე გამოცემა, 2008.

[39] ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თსუ გამომცემლობა, 2006, გვ. 155.

ლაშვილი".[40] წერილობით ძეგლებში არსად არ გვხვდება, აგრეთვე, *ტაოკლარჯეთში* მდებარე არაერთი სხვა ტაძარი. მაგალითისთვის მცირე გუმბათოვანი ტაძრის – *პეტრულის*[41] „მარმაწმინდისა" (დევსქელის ხეობა) და *თორთომის* მხარეში *ეკეკის* აწ დანგრეული გუმბათოვანი ტაძრების დასახელებაც საკმარისია.

როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან" ირკვევა, იმ დროს, როდესაც დიდმა საეკლესიო მოღვაწემ სამონასტრო აღმშენებლობა დაიწყო *კლარჯეთ-შავშეთში,* მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სხვა მონასტერი, *ოპიზის* გარდა, ფაქტობრივად, აღარსად იყო: „რამეთუ მას ჟამსა სხვაი მონასტერი არა შენ იყო მათ ქვეყანათა თვინიერ ოპიზისა და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქვეყანათაჲსა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ".[42] ლოგიკურად ისმის კითხვა: იმდროინდელი საქართველოს მთელი ჭოროხის აუზის სამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – *ტაოში, კლარჯეთსა* და *შავშეთში* – *ოპიზის* გარდა, სხვა მონასტერი არ არსებობდა და ასეთ ვითარებაში დიდმა საეკლესიო მამამ სხვა მონასტრის (*ხანძთის*) მშენებლობა რაღა მაინცდამაინც *ოპიზის* ყურის ძირში დაიწყო?

ამრიგად, ჩვენი აზრით, *ხანძთა* არც *ფორთის* მონასტერია და არც *ნუკას საყდარი. ხანძთის* სავანემ, ისევე როგორც სხვა არაერთმა სასულიერო-საგანმანათლებლო კერამ, უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ***ხანძთის*** **მონასტერი** ***იმერხევში,*** **სოფელ** ***უბის*** **სიახლოვეს არსებობდა, სადაც ადგილის სახელწოდება „ხანძთა" დღემდეა შემონახული.** ვფიქრობთ, მომავალი კვლევა-ძიება, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური, ჩვენს მოსაზრებას *ხანძთის* მდებარეობის შესახებ მატერიალურად დაადასტურებს.

40 ზ. სხირტლაძე. ოთხთა ეკლესიის ფრესკები. თბ. 2009, გვ. 35.
41 პეტრული ჭოროხისა და დევსქელის წყალგამყოფ ქედზეა. აქ დღესაც ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ.
42 გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 227.

Roland Topchishvili

ON THE ISSUE OF KHANDZTA MONASTERY LOCALIZATION

Summary

Research of history, ethnology, condition of language of historical South-West Georgia has become quite intensive within last twenty years. The main reason of this is restoration of Georgia's statehood and friendly relations between Georgia and Turkey. As it is known an important part of historical South-West Georgia is within present-day State of Turkey.

The Georgian scholars were given an opportunity to visit parts of "Muslim Georgia", in result of which many important historical-ethnographic facts were determined. It is worthy to mention the progress in the sphere of church architecture researches, while ethnological studies having been conducted actually for the first time. It is known what wide monastic building activities were underway in South-West Georgia of the early Middle Ages. Many monuments of the Georgian culture are preserved till nowadays, however many are so badly damaged that it is difficult to identify them and localize in relevant place. In the Georgian historiography the disputable topic is an issue about the Khandzta Monastery localization. The monastery was founded in ca 782, by the eminent Georgian ecclesiastical figure St. Grigol Khandzteli (Grigol of Khandzta). At present, P. Ingorokva's consideration concerning the above mentioned issue has mainly been shared: according to this scholar, the Khandzta Monastery is the cathedral existing in the village Porta.

P. Ingorokva was not able to visit the relevant region and make immediate observations of the Shavshet-Klarjeti monuments. He relied on the description of Porti church complex made by N. Marr. Some researchers has recently doubted consideration of Porti being Khandzta. ex., M. Paghava stresses that Khandzta is Nuka church. In 2010 we wrote that the Khandzta Monastery had not reached us, that Khandzta existed in the village Ube of Imerkhevi. The main argument proving this idea is toponym "Khandzta" in the vicinity of the village Ube. Any villager of Ube and any resident of surrounding villages are aware of the location of Khandzta. The activities of this

year expedition have strengthened the consideration expressed earlier: the Khandzta monastery has not reached us (as well as the Shatberdi Monastery). It existed at the village Ube and it was destroyed. One of the material proofs of the monastery existence can be considered a stone boulder, on which a hand is inscribed (due to this, the territory adjacent to the boulder is called by the local residents "hand of a nepe"). A majority of Shavshet-Klarjeti 12 churches has not reached us. The fate of Khandzta and Shatberdi has been shared by Dabi and Meresa monastery-churches as well, which were also located in the Khandzta Monastery sector in Imerkhevi.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

აკაკი ჩიქობავა

ვასალიტეტის საკითხი
განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოში

თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გრძელდება კამათი ფეოდალიზმის საკითხის ირგვლივ. კამათობენ როგორც ცნება „ფეოდალიზმის", ასევე მისი სახელწოდების შესახებ. იყო თუ არა ფეოდალიზმი უნივერსალური მოვლენა, თუ მხოლოდ დასავლეთ ევროპული სამყაროს კუთვნილება?[1]

მარკ ბლოკის აზრით, ფეოდალური პერიოდის ევროპა სინამდვილეში არ წარმოადგენდა ერთიან ფეოდალურ სივრცეს, რადგან იქ, ე.წ. თეთრი ლაქები ჯერ კიდევ არსებობდა სკანდინავიისა და ირლანდიის სახით. სივრცის და დროის მიუხედავად, ბლოკი არ გამორიცხავს ფეოდალიზმის არსებობას სხვა სახლელმწიფოებში, თუმცა ცენტრად მხოლოდ საფრანგეთს მონიშნავს.[2] ამერიკელი მედიევისტები, შტრაერი და კულბორნი, ფეოდალიზმს დროისა და სივრცის მიღმა განიხილავენ, წარმოაჩენენ რა უნივერსალურ ფორმაციად, დასაშვებად მიაჩნიათ მისი არსებობა სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში, თუ, რა თქმა უნდა, სახეზეა ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი.[3]

---

[1] R. J. Barendse. The Feudal Mutation: Military and Economic Transformations of the Ethnosphere in the Tenth to Thirteenth centuries. Journal of World History. Vol. 14. No. 4. (Dec. 2003). University of Hawai Press, გვ. 503-529; Stefen Morilo. A "Feudal Mutation"? Conceptual Tools and Historical Patterns in World History. Journal of World History. Vol. 14. No. 4. (Dec. 2003). University of Hawai Press, გვ. 531-550; Л. Ю. Кухенбух. «Феодализм»: о стратегиях одного неудобного понятия. Журн.: «Журнальный зал». М. 2006. N-68. http://magazines.russ.ru/nlo/2006/81/ku4.html. 2011 წელი.

[2] М. Блок. Феодальное общество (La Société Féodale). Перевод с французского М. Ю. Кожевниковой, Е. М. Лысенко. Том II. Книга II. М. 2003, გვ. 433, 429.

[3] "Feudalism in History". Ed. R. Coulborn. New Jersey. 1956, გვ. 50.

იყო თუ არა ფეოდალიზმი უნივერსალური მოვლენა და შეგვიძლია თუ არა მისი მისადაგება იმ სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისთვის, რომელსაც საქართველოში პატრონყმობა ეწოდება? ამაზე კარგა ხანია პასუხი გასცა ივანე ჯავახიშვილმა და ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურ წეს-წყობილებას, ე.წ. ფეოდალიზმს".[4] ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას ქართული პატრომყმობის და ფრანგული ფეოდალიზმის მსგავსების შესახებ, თუმცა მისი განვითარების ქრონოლოგიური ჩარჩო სხვანაირად წარმოგვიდგენია.

ე.წ. „ფეოდალური რევოლუციის" ხანად საქართველოში VIII-IX საუკუნეები მოვნიშნეთ.[5] ეს პროცესი ჩვენთანაც ისეთივე აღმნიშვნელებით მიმდინარეობდა, როგორითაც დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში. როდესაც ვიყენებთ ტერმინ „რევოლუციას", არ ვგულისხმობთ სწრაფ/დაჩქარებულ, არამედ დროში გაწელილ პროცესს, რომლის დასასრული უფრო თვალში საცემია, ვიდრე მისი მიმდინარეობა.[6] საქართველოში ეს პროცესი X საუკუნის დასაწყისისთვის დასრულებულია.

ფეოდალიზმი გვესახება როგორც ერთიანი სისტემა, მეფიდან, ანუ უმაღლესი სენიორიდან დაწყებული დამთავრებული მიწაზე მიმაგრებული გლეხით,[7] ამ სისტემაში ყველაფერი ჯაჭვის რგოლებითაა გადაბმული. მარკ ბლოკი სწორად შენიშნავს: „ფეოდალიზმი, ეს უფრო არათანაბართა საზოგადოებაა, ვიდრე იერარქიული, უფრო პატრონის (უფლის), ვიდრე არისტოკრატიის ან ყმების",[8] და როდესაც საქართველოში სენიორალური სისტემისა და ვასალიტეტის შესახებ ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთანაც ყვე-

[4] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკე. I. თბ. 1928, გვ. 93.

[5] აკ. ჩიქობავა. „ფეოდალური რევოლუცია" VIII–IX საუკუნეების საქართველოში და მისი განვითარების ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011, გვ. 92-108.

[6] Ж. Дюби. «Феодальная революция». Трехчастная модель или представления средневекового общества о самом себе. Перевод с французского Ю. А. Гинзбург. М. 2000, გვ. 138-155.

[7] М. А. Барг. Проблемы социальной истории. М. 1973, გვ. 45-46.

[8] М. Блок. Феодальное общество (La Société Féodale). Перевод с французского М. Ю. Кожевниковой, Е. М. Лысенко. (Том II. Книга II.). М .2003, გვ. 431-432.

ლაფერი დაახლოებით ისე ვითარდებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში.[9]

არჩილის ე.წ. „რეფორმა" კახეთში ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესში.[10] ამ რეფორმის შედეგად დ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ VIII ს-ის შუა ხანებში საბოლოოდ დამყარდა „სენიორალური რეჟიმი".[11] გ. ჯამბურიას აზრით, სამთავრო-სენიორალური სისტემა დასრულებულ სახეს ტაო-კლარჯეთში IX ს-ში იღებს.[12] ამ რეგიონში ფეოდალიზმისთვის, კონკრეტულად კი, სენიორალური სისტემისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნებია. თუ კახეთში ორ-სამ საფეხურიან ვასალიტეტთან გვაქვს საქმე, ტაო-კლარჯეთში, კურაპალატის, „მამფლების" და ე.წ. „დიდი მთავრების" მაგალითზე სამ-ოთხ საფეხურიანი ვასალიტეტის ფორმაა.[13]

მიუხედავად ზემოთქმულისა, იმსის კითხვა, კონკრეტულ რეგიონში გამოვლენილი ფეოდალიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნებისა შეგვიძლია თუ არა ის განვაზოგადოთ მთელ საქართველოს ტერიტორიაზე?[14] თუ ზოგადი აღმნიშვნელებით ვიხელმძღვანელებთ? ჩვენი აზრით, ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოს გაერთიანებამდელი პერიოდისთვის ყველა ქართულ სამეფო-სამთავროში დასრულებული უნდა იყოს, ხოლო ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის ხანაში, ვიდრე XIII საუკუნემდე ჩვენ შეგვიძლია, პირობითად განვითარებული ფეოდალიზმის მეორე პერიოდი გამოვყოთ.

ამ შემთხვევაში ორ კონკრეტულ წყაროზე გავამახვილებთ ყურადღებას. ერთი, რომელიც ე.წ დაქუცმაცებულობის პერიოდს[15] მიესადაგება, მეორე კი

---

[9] გ. ჯამბურია. სამთავრო სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007, გვ. 7-36.

[10] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. თბ. 1974, გვ. 180.

[11] დ. მუსხელიშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-IX). მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისდა ხელოვნების ისტორიის სერია. N. 2. თბ. 1980, გვ. 155.

[12] გ. ჯამბურია. სამთავრო სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007, გვ. 23.

[13] ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV-X საუკუნეებში. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. წ. I. თბ. 1973, გვ. 190.

[14] გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალური ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ. 1973, გვ. 27.

[15] ლ. ტუხაშვილი. „ყოველი საქართველოს" პოლიტიკური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი და პერიოდიზაციის პრობლემა. კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980.

ერთიანი სამეფოს არსებობის ხანას.

IX საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისის (უფრო სწორად, მის ბოლო ფაზად) პერიოდად მოვნიშნეთ, „მატიანე ქართლისაში" შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: „**შეიპყრა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე**".[16] ამ წყაროს მიხედვით გამოიყოფა ორი ძირითადი ნიშანი, რომელიც დასვლეთ ევროპის „ფეოდალური რევოლუციისათვის" არის დამახასიათებელი.

1. ეს არის **ომაჟის** („**იპატრონა დავით ბაგრატის ძე**") საკითხი,[17] რომელიც კლასიკური მაგალითია ახლადწარმოქმნილი ვასალური ურთიერთობის, რომლის საფუძველი არის შეთანხმება, სოციალური კონტრაქტი.[18]

2. „**აღაგო ციხე კლდეკართა**" – მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ბაღვაშები კლდეკარში მემამულე სენიორები[19], ციხის აგება კონკრეტულ რეგიონზე ბატონობის ნიშნად აღიქმება,[20] რომელიც, ასევე, ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ფეოდალიზმის ჩამოყალიბების და მას ევროპულ მედიევისტიკაში Incastelamento, ანუ გაციხოვნების პერიოდი ეწოდება.[21]

მეორე წყარო, რომელზედაც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, ეს არის XI საუკუნის ატენის სიონის ერთ-ერთი სამშენებლო წარწერა:

„ქ. სახელითა ღვთისათა, **მე გრიგოლ-მან მირიანის ყმა-მან თარხნის ძისა-მან, ატენის ციხის თავ-მან**, ავაგენ ატენს სახლნი და ქულბაქი მას ჟამსა ოდეს, ადიდენ ღმერთმან, ძლიერ-მან მეფეთა მეფე-მან **ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა** ქალაქის აშენებაი: გაუმარჯვა ღმერთ-მან და ბედ-მან მეფეთ მეფობასა მათისა-მან. ვითა

[16] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 258.

[17] М. Блок. Феодальное общество (La Société Féodale). Перевод с французского М. Ю. Кожевниковой, Е. М. Лысенко. (Т. I. часть I. Книга вторая). М. 2003, გვ. 144.

[18] გ. ჯამბურია. სამთავრო სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, გვ. 25.

[19] მ. ბახტაძე. ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ. საისტორიო კრებული (წელიწდეული). ტ. II. თბ. 2012, გვ. 13-25.

[20] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII. თბ. 1975, გვ. 155.

[21] Ю. Л. Бессмертный. «Феодальная революция» X-XI веков?. Журн.: «Вопросы истории». М. 1984. N-1, გვ. 59-60; Ж. Дюби, Средние века (История Франции) от Гуго Капета до Жанны Д'Арк 987-1460. Перевод с французкого Г. А. Абрамова, В. А. Павлова. М. 2000, გვ. 78-89.

სწადდა მეფობასა მათსა ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი: შეგვიწყალნა მეფობა-მან მათ-მან სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი მკუდრად, ნებიერობით გუბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაც შენებაჲ შეეძლო, მე ავაგე სახლი და ქულბაქი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა, საყოფელსა წმიდისა ღვთის-მშობელისსა, სალოცველად ჰგიანმცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთა მეფე[მ] ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისა-თჳს, დავდეე დღე თევდორობაჲ აღაპად გარდაიქცდეს მამასახლისი წინამძღვარი სიონისაჲ ვინც იყოს ქრისტე შეიწყალე".[22]

წარწერაში მოხსენიებული ბაგრატი და გიორგი საქართველოს მეფეები არიან, შესაბამისად, ბაგრატ IV და გიორგი II, მირიან თარხნის ძე კი ატენში მოღვაწე ერისთავთ-ერისთავი უნდა იყოს, გრიგოლი კი მირიანის ყმა და მოხელე.[23]

წარწერის მიხედვით რამდენიმე საკითხის გამოყოფა შეიძლება: 1. ეს არის ვასალიტეტის საკითხი და 2. მიწის, ანუ ფეოდის გადაცემა მემკვიდრეობით.

წყაროს მიხედვით სახეზეა ვასალიტეტის სამ საფეხურიანი ფორმა. მეფე როგორც უმაღლესი სენიორი, მეფისადმი დაქვემდებარებული მოხელე ერისთავი და ერისთავის მოხელე ციხისთავის, რომელიც მისი ყმაა. მირიანი სწორედ იმ მამულზე უნდა ყოფილიყო სენიორი, რომელიც „სეფესა ზუარსა შიდა" იმყოფება, მიუხედავად იმისა ჰქონდა მირიანს ფეოდი[24] თუ ის მხოლოდ მოხელე დიდებულს წარმოადგენდა. ჩვენ სენიორალური სისტემა წარმოგვიდგენია არა მხოლოდ მიწაზე დამყარებულ სოციალურ ფორმად, არამედ, როგორც პოლიტიკური ფორმაცია.[25]

მეორე საკითხი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, ეს არის მირიანისა და გრიგოლის პატრონ-ყმობის საკითხი. ატენის ციხისთავი მირიანს პატრონად და საკუთარ თავს მის ყმად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ მე-

---

22 ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო. აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XX-B. თბ. 1959, გვ. 72.

23 ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, გვ. 73-77.

24 გ. ძიძიგური. ზოგიერთი საკითხი საქართველოს ფეოდალური რენტის გენეზისის შესახებ. საისტორიო კრებული. VII. თბ. 1977,გვ 123-124.

25 М. Блок.Феодальное обшество (La Société Féodale). Перевод с французского М. Ю. Кожевниковой, Е. М. Лысенко. (Том II. Книга II.). М. 2003, გვ. 428-430.

ფემ მათ მკაცრად და ნებიერობით გადასცა მიწები გრიგოლი თავის პატრონად მაინც მირიანს ასახელებს. უცილობლად მეფე რჩება ყველას სენიორი, მაგრამ აქ ისმის შეკითხვა, როდესაც მეფემ გრიგოლს უბოძა ადგილები მკაცრობით, მეფე უნდა გამხდარიყო თუ არა მისი უშუალო სენიორი? დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი აუცილებელი ნიშანი არის ვასალის და უშუალო სენიორის მჭიდრო ურთიერთობა,[26] საიდანაც გამომდინარეობს ე.წ. ფრანგული ფეოდალზმისთვის დამახასიათებელი ფორმულირება „ჩემი ვასალის ვასალი, არ არის ჩემი ვასალი". ჩვენ არ ვამტკიცებთ ამ ფორმულის არსებობას ან მისი არსებობის აუცილებლობას საქართველოში და, ზოგადად, ქართული ფეოდალიზმის პირობებში, უბრალოდ ვსვამთ კითხვას, ხომ არ შეიძლება ეს ყოველივე ასე იქნას გაგებული?

მესამე საკითხი, ეს არის მკვიდრი ტერიტორიის შეწირვა ეკლესიისთვის. გრიგოლმა რომელმაც მკაცრად[27] მიიღო გარკვეული ტერიტორია, სურვილისამებრ განკარგავს მას, სავარაუდებელია სრული იმუნიტეტის არსებობაც, რაც ფავნელის დაწერილის მიხედვით, IX საუკუნეში მეფის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.[28]

აღნიშნული თემა უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს და მომავლის საქმეა, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები მხოლოდ დებულებებია და საკითხვის დასმას ემსახურება. დასკვნის სახით კი შეგვიძლია შემოგთავაზოთ:

1. VIII-IX საუკუნეები ეს არის განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდი.

2. ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოში მიმდინარეობდა ყველა იმ ნიშნის მიხედვით, რომლითაც დასავლეთ ევროპაში, ამიტომ ის უნივერსალურ ფორმაციად უნდა მივიღოთ.

3. X საუკუნე ეს არის განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქა, აღჭურვილი ყველა სოციალურ-პოლიტიკური საჭირო ატრიბუტით.

---

[26] M. Блок.Феодальное обшество (La Société Féodale), გვ. 432.

[27] ზ. ხიდურელი. სამეფო დომენის საკითხისთვის XI-XV საუკუნეების საქართველოში. საისტორიო კრებული. VII. თბ. 1977, გვ. 272.

[28] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფესორმა ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 3.

Akaki Chikobava

THE ISSUE OF VASSALAGE IN THE HIGH FEUDAL EPOCH OF GEORGIA

Summary

The paper deals with the issues of vassalage in the High Feudal epoch of Georgia, and how we understand the seigneurial system, and that kind of parallels are between the Georgian vassalage and the Western European feudalism, namely with the X-XI cc. Europe during "the Feudal Revolution". We share the conclusion that feudalism is the universal event and we see the same signs in Georgia, which is similar to French Feudalism. According to the specific historical source we have raised the question - If was in Georgia such a vassalage system that was formulated as follows: "vassal of my vassal is not my vassal". Article has no purpose for making any assumptions and serves for the raising the problem.

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

მამუკა წურწუმია

შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია

ყოველი ერის სამხედრო ორგანიზაცია მისივე სოციალურ წყობას ასახავს, ისე რომ, ერთის ცვლილების შემთხვევაში, მეორეც იცვლება: სოციალური ცვლილებები აისახება სამხედრო ორგანიზაციაზეც. სოციალური ორგანიზაცია განაპირობებს ერის სამხედრო კომპონენტის შემადგენლობას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ტაქტიკას.[1]

ცხადია, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური ორგანიზაციის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო საქმის კვლევისას. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი წყობა ჰგავს დასავლეთ ევროპულ ფეოდალიზმს.[2] ამ დებულებას ქართველი ისტორიკოსების დიდი ნაწილი იზიარებს.[3]

---

[1] ტაქტიკას ასევე განაპირობებს შეიარაღება და მოწინააღმდეგე.

[2] გ. აკოფაშვილი. ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და ტიპოლოგიის საკითხები. კრებ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. VI. თბ. 1990, გვ. 4; გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007, გვ. 5. ქართული ფეოდალიზმის კვლევის დასაწყისის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა იხ. ს. ჯანაშია. ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის (ისტორიოგრაფიული მიმოხილვა). შრომები. ტ. V. თბ. 1987, გვ. 276-309. ქართული პატრონყმობის კვლევის საკითხში, აკად. სიმონ ჯანაშია აკადემიკოს მარი ბროსეს ყველაზე დიდ დამსახურებად მიიჩნევდა, რომ მან პირველმა წარმოგვიდგინა საქართველოს სოციალური წყობა ფეოდალიზმის სახით და აღნიშნა მისი მსგავსება ევროპის ქვეყნებთან. იქვე, 283-284.

[3] ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს წესწყობილებას“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკე. I. თხზულებანი. ტ. VI. თბ. 1982, გვ. 249). მას ეთანხ-

ქართული ფეოდალიზმის ევროპულთან მსგავსება ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან მოყოლებული შენიშნეს ევროპელმა მოგზაურებმა და შემდგომ რუსმა მოხელეებმა.[4] მკვლევარი და მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი, რომელიც 1843 წელს იმყოფებოდა საქართველოში, წერდა, რომ „ქართველი ხალხის ორგანული დაყოფა და მთელი წყობა... ესაა ფეოდალური წყობა, მთლად გერმანულ-რომანულის ანალოგიური".[5]

რით ემსგავსება ქართული ფეოდალიზმი ევროპულს? მ. ბლოკის ფორმულირებით, საზოგადოებას მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს ფეოდალური, თუკი დადგინდება მისი მსგავსება ევროპული ფეოდალიზმის ძირითად ნიშნებთან.[6] ასეთ ნიშნებად ბლოკს მიაჩნდა დაქვემდებარებული გლეხობა, პროფესიონალ მეომართა კლასის ბატონობა, პირადი დამოკიდებულება მფარველობისა და მორჩილების პირობით (ვასალიტეტი), მიწა (ჯამაგირის ნაცვლად) მსახურების საზღაურად, ძალაუფლების ფრაგმენტაცია.[7]

უკლებლივ ყველა ეს ნიშანი სახეზეა ქართულ სინამდვილეში: ევროპის მსგავსად, შუა საუკუნეების საქართველოში ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული და მიწა საკუთრების უმთავრესი ფორმას წარმოადგენდა; მიწაზე მონოპოლიურ საკუთრებას ფეოდალები ფლობდნენ; დაყმევებული

მება სიმონ ჯანაშიაც, რომელიც თელის, რომ პატრონყმობა არის „ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე, სამხედრო სამსახურის პირობით" (ს. ჯანაშია. ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის. შრომები. ტ. II. თბ. 1952, გვ. 434). გურამ მამულიას და ედიშერ ხოშტარია-ბროსეს აზრით, ქართული პატრონყმობის ინსტიტუტი იგივე ევროპული ვასალიტეტია (გ. მამულია. პატრონყმობა. თბ. 1987, გვ. 5; ე. ხოშტარია-ბროსე. ქართული „პატრონყმობა"-„ბატონყმობა" (ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი). კრებ.: შოთა მესხია – 90. თბ. 2006, გვ. 89-90). ილია ანთელავა ქართულ ფეოდალიზმს ტიპოლოგიურად დასავლეთევროპულის მსგავსად თელიდა (ი. ანთელავა. ერთიანი მონარქიის დაშლა და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2. თბ. 1978, გვ. 169-170).

[4] გ. ყორანაშვილი. ქართული ფეოდალიზმის განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ (IV-XII სს.). ჟურნ. „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4. თბ. 1981, გვ. 125.

[5] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2011, გვ. 108.

[6] M. Bloch. Feudal Society. Chicago 1961, გვ. 441, 446.

[7] M. Bloch. Feudal Society, გვ. 443-446.

გლეხობა თავისი შრომით (ბეგარით) ინახავდა თავად-აზნაურთა კლასს, რომლებიც პროფესიონალ მებრძოლებს წარმოადგენდნენ; ჩამოყალიბებული იყო საერო და სასულიერო მიწათმფლობელობის სენიორალური სისტემა;[8] ქვეყანა დაქსაქსული იყო ფეოდალურ სამფლობელოებად („სიმრავლე მთავართა"); ფეოდალი ფლობდა იმუნიტეტს („შეუვალობა") ანუ საგადასახადო, სასამართლო და ადმინისტრაციულ პრივილეგიებს;[9] საქართველოში არსებობდა მრავალსაფეხურიანი განვითარებული ვასალიტეტი.[10]

---

[8] რისი უტყუარი ნიშანიც საქართველოს ტერიტორიაზე განფენილი ფეოდალური ციხესიმაგრეების ფართო ქსელია. დ. მუსხელიშვილი. ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-X საუკუნეები). ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2. თბ. 1980, გვ. 157; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკა და მისი კვლევის მდგომარეობა. ჟურნ. „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1. თბ. 1986, გვ. 171-172.

[9] ი. ჯავახიშვილი თელიდა, რომ დასავლეთ ევროპასთან შედარებით ქართული იმუნიტეტი ნაკლები მასშტაბებისა და უფლებების იყო (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 252). იგივე აზრისაა მ. დუმბაძეც, რომლის მიხედვითაც, ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში შეუვალობა ძირითადად საგადასახადო სფეროზე ვრცელდებოდა და მხოლოდ მოგვიანებით, სათავადოების გაჩენისა და გაძლიერების შემდეგ, გეხედება ხანდახან სასამართლო შეუვალობაც (მ. დუმბაძე. ვასალიტეტი XI-XII საუკუნეების საქართველოში. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4. თბ. 1980, გვ. 88-89). მათგან განსხვავებით, გიორგი ჯამბურიამ აჩვენა, რომ ქართული იმუნიტეტი თავისი შინაარსით ევროპულს უახლოვდებოდა (გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები, გვ. 46-64).

[10] ეს იერარქიული კიბე (კლდეკარის ერისთავი, აზნაური, მსახური) ერისთავთერისთავ ლიპარიტის ვასალების („ყოველნი ერთგულნი") მაგალითზე განხილული აქვს მამისა ბერძნიშვილს (მ. ბერძნიშვილი. საქართველო XI-XII საუკუნეებში (სოციალურ-ეკონომიური ნარკვევი). თბ. 1970, გვ. 59, 95). 1047 წლით დათარიღებული ხელნაწერის მინაწერში ეკითხულობთ: „უფალო, შეიწყალენ ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღდელნი და ყოველნი მსახურნი ერისთავთა ერისთვისა, მაკისტროზისა ლიპარიტისნი, და დაიცვენ". ასეთივე შინაარსის მინაწერია 1048 წლის ხელნაწერზეც: „უფალო იესუ ქრისტე, შეიწყალენ და დაიცვენ ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღდელნი და დიაკონნი, მსახურნი და, რასაღა განვამრავლებდე სიტყუათა, ყოველნი ერთგულნი, ადიდენ ღმერთმან, ძლიერისა ერისთავთა ერისთვისა და მაგისტროზისა ლიპარიტისნი" (ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები. კრებ.: "Dedicatio". ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 2001, გვ. 265, 272. ლიპარიტის „ერთგულნი" მისი ვასალები არიან.

ფეოდალიზმის, როგორც სისტემის, საფუძველი იყო პატრონსა და ქვეშევრდომს შორის პირად ურთიერთობებზე და მიწის ფლობაზე დაფუძნებული სამხედრო ვალდებულება.[11] ვასალიტეტი სენიორისა და ვასალის ურთიერთვალდებულებებს ემყარებოდა. მფარველობის წილ, სენიორი ვასალისაგან ერთგულებასა და სამსახურს ელოდა. სავსებით სწორად შენიშნავს მ. დუმბაძე, რომ ევროპის მსგავსად, საქართველოში ვასალიტეტი გამოიხატებოდა სენიორისადმი ერთგულ სამსახურში და, პირველ რიგში, მხედრულ სამსახურში: „ყოველი კარგი და „პატრონთაგან შეწყალებული" ყმა უნდა „მსახურებდეს... მონებით ყმებრივითა".[12]

ვასალური ხელშეკრულების გაფორმების (კომენდაციის) ქრესტომათიული აქტია IX საუკუნეში ლიპარიტ ბაღვაშის მიერ დავით I კურაპალატის პატრონად გამოცხადება: „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე".[13] ლიპარიტი კურაპალატის ვასალი ხდება დაპყრობილი მიწით, ამ აქტში გაერთიანებულია ფიეფი (ფეოდი) და ვასალობა, რაც სწორედ ფეოდალიზმისათვისაა დამახასიათებელი და ჩანს ვასალური კავშირის ორი მთავარი ელემენტი: „პიროვნული" (ყმობის აღიარება) და „რეალური" (მიწა, ფიეფი).[14] ვასალის (ლიპარიტის) უპირველესი მოვალეობა პატრონის (დავით კურაპალატი) წინაშე სამხედრო სამსახურია, რასაც ის ასრულებს კიდეც, როდესაც დავითის

[11] H. Nicholson. Medieval Warfare: Theory and Practice of War in Europe 300-1500. New York. 2004, გვ 46. ფეოდალიზმის თეორია დღეს მძაფრ კრიტიკას განიცდის ზოგიერთი ისტორიკოსის მხრიდან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ასეთი მოდელი ძალიან მარტივია შუა საუკუნეების ევროპაში სამხედრო ვალდებულების ყველა ასპექტის ახსნისათვის. მართლაც, მიწას ყოველთვის სამხედრო სამსახურის პირობით არ ფლობდნენ და ლაშქრად გამოსელას, მიწის გარდა, თანამდებობაც განაპირობებდა (H. Nicholson. Medieval Warfare, გვ. 44-46). ფეოდალიზმის კონცეფციის ყველაზე მძაფრი კრიტიკისათვის იხ. S. Reynolds. Fiefs and Vassals: The Medieval Evidence Reinterpreted. Oxford. 1994. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი დაშვებების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ფეოდალიზმის ტრადიციული თეორია მაინც რჩება ისტორიკოსის სამუშაო იარაღად.

[12] მ. დუმბაძე. ვასალიტეტი XI-XII საუკუნეების საქართველოში, გვ. 86.

[13] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 258.

[14] ვასალური კავშირის კლასიკური გაგებისათვის იხ. Jean-Pierre Poly and E. Bournazel. The Feudal Transformation. 900-1200. Translated by Caroline Higgitt. New York. 1991, გვ. 47.

მხარდამხარ იბრძვის ნასრას, გუარამ მამფლის ძის, წინააღმდეგ.[15]

შუა საუკუნეების საზოგადოებაში, რომელშიც სოფლის მეურნეობა დომინირებდა, მიწა იყო სიმდიდრისა და ძალაუფლების წყარო. მიწის, მამულის ფლობა კი პირდაპირ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურთან, რაც კარგად არის გადმოცემული XVII საუკუნის ერთ საბუთში: „მეფეს მამულიც ეძლია სადიდკაცო, რადგან მამულის მქონებელს ლაშქარი, პირობა და სამსახური მეფისა ქონიათ...“[16] მიწის ნაკვეთის მფლობელიდან იარაღით სამსახურს ელოდნენ, ამიტომაც, მიწის მიცემა-წყალობა უშუალოდ იყო დაკავშირებული ამირსპასალარის, უმაღლესი სამხედრო მოხელის, სახელოსთან: „ამირ-სპასალარი საბატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების“.[17] გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში ჩანს, რომ მამულის ფლობა დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან და ეს ვალდებულება მემკვიდრეს მამულთან ერთად გადაეცემოდა: თუ სიბერის გამო „მამას სამსახური არ შეეძლოს... შვილმან მამულით გუმსახუროს“.[18] იმავე სამართლის ნორმით, უპატრონოდ დარჩენილი მამულის („ბეითალმან პარტახტის“) მიმღებს „საჯარო და სალაშქრო“ სამსახური ეკისრებოდა.[19]

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ჯარის ფორმირების პრინციპი ფეოდალურ საზოგადოებაშიც არ იყო ერთგვაროვანი და მიწის ფლობის გარდა, სხვა ვალდებულებაზეც იყო დაფუძნებული. ასე მაგალითად, სამხედრო ვალდებულები იყვნენ და ომის დროს ლაშქარი გამოყავდათ ერთიანი ქართული მონარქიის დიდმოხელეებს – ერისთავებს, რომელთაც ეს ვალდებულება დაკავებული თანამდებობის კვალობაზე ჰქონდათ დაკისრებული.[20]

---

[15] მატიანე ქართლისა, გვ. 258-259; გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები, გვ. 26.

[16] ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 527.

[17] გარიგება ჭელმწიფის კარისა. ქართული სამართლის ძეგლები. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 96.

[18] ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ. ქართული სამართლის ძეგლები. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. I. თბ. 1963, გვ. 409.

[19] ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, გვ. 413.

[20] შუა საუკუნეებში თანამდებობასთან დაკავშირებული სამხედრო ვალ-

ფეოდალიზმის და მასთან დაკავშირებული სამხედრო ვალდებულების ზოგადი პრინციპების მიმოხილვის შემდეგ, უკვე შეგვიძლია გადავიდეთ ქართული ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის განხილვაზე.

ფეოდალთა წრე: დიდებული (თავადი) და აზნაური

სიტყვა „ერი" ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ხალხსაც აღნიშნავდა და ჯარსაც.[21] ადრეფეოდალურ საზოგადოებაში ჯარი ხალხის ფართო მასებისაგან გამოდიოდა, სადაც ყოველი მამაკაცი სამხედროვალდებულად განიხილებოდა. შემდგომში, ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, „ერი" ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს და მის ნაცვლად „სპა" და „ლაშქარი" შემოდის.[22] ა. ბოგვერაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ახალი ტერმინების დამკვიდრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ღრმა ცვლილებებს ასახავდა და ერის ზედა ფენების სოციალური დაწინაურება მათ უკეთესი შეიარაღების საშუალებას აძლევდა, რაც სამხედრო ორგანიზაციაშიც იწვევდა ცვლილებებს.[23] ადრეფეოდალურ ხანაში თავისუფალი მიწისმოქმედნი შეიარაღებული ძალების საფუძველს და ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ფეოდალურ ურთიერთობათა გაღრმავებას მოყვა მათი დაყმევება და ცხენოსანი ლაშქრის როლის და რაოდენობის ზრდა. ცხენოსანი ბრძოლის ტაქტიკის განვითარება და შეიარაღების შემდგომი გაუმჯობესება ანუ სიმძიმის და, შესაბამისად, ფასის ზრდა საზოგადოების სულ უფრო მცირე ნაწილს აძლევდა მისი ფლობის საშუალებას. **მიწის ნაკვეთის სიდიდე პირდაპირ იყო დაკავშირებული მისი პატრონის აღჭურვილობის ხარისხთან.** საზოგადოების ზედა ფენა (დიდებულ-აზნაურები) უპირველესი მიწისმ-

---

დებულება კაროლინგების მაგალითზე აღნიშნული აქვს ს. რეინოლდსს (იხ. S. Reynolds. Fiefs and Vassals, გვ. 111-114).

[21] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 192.

[22] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 193. სიტყვა „ლაშქარი" X საუკუნეში უკვე დამკვიდრებულია ქართულ მეტყველებაში, რის გამოც ივ. ჯავახიშვილი მის შემოსვლას IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარაუდობს (ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბ. 1962, გვ. 213-215). ეს დიფერენცირებული, ერისაგან გამოყოფილი სპა და ლაშქარი ივანე ჯავახიშვილს დასავლეთ ევროპულ რაინდობას აგონებს (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 223).

[23] ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 211.

ფლობელები იყო, რაც განაპირობებდა მათ სამხედრო პოტენციალს და ვალდებულებასაც. ამ წრისათვის სამხედრო საქმიანობა უკვე პროფესიას წარმოადგენს.[24]

შუა საუკუნეების ევროპას ხშირად უწოდებენ „საზოგადოებას, ორგანიზებულს ომისათვის", რაც იმას ნიშნავდა, რომ იმდროინდელი საზოგადოებისა და მისი ელიტისათვის ომი იყო ჩვეული, ყოველდღიური საქმიანობა.[25] ეს სიტყვები თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან მიმართებითაც. არისტოკრატიისათვის სამხედრო სამსახური, მოვალეობის გარდა, პრივილეგიაც იყო. არისტოკრატიის წევრი აზნაურნი, შერაცხილნი[26] სამეფო კარზე არიან წარმოდგენილნი და „მხედართა", მეომართა სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ეს კარგად ჩანს „მამათა სწავლანში", სადაც მხედართა წრეში ყოფნა აშკარა პრივილეგიაა, განსხვავებით იმათგან, „რომელი დივანსა მეფისასა არა დაწერილნ არნ და რიცხუსა მჴედართასა არა შერაცხილ არნ".[27] ლაშქარში ყოფნა, ევროპის მსგავსად, საქართველოშიც ყოველი კეთილშობილის საპატიო უფლება იყო. დასჯის მიზნით, დამნაშავეს ამ უფლებას ჩამოართმევდნენ ხოლმე. 1263 წლის საეკლესიო კრების ძეგლისწერის მიხედვით, შერისხული კაცი ხელისუფლების მიერ „ლაშქართა შიგან არ შეშუებულა".[28]

ერის დაწინაურებულ ფენას, არისტოკარტიას, საქართველოში აზნაური ერქვა. აზნაური, როგორც ცნობილია, ირანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ცნობილს, წარჩინებულს.[29] აზნაურის თავდაპირველი მნიშვნელობა

---

[24] მებრძოლის, როგორც პროფესიონალის ჩამოყალიბება იწყება მაშინ, როდესაც მისი აღჭურვილობის საფასური საგრძნობი ხდება (R. Barber. When is a Knight not a Knight?. in Medieval Knighthood V. Papers from the Sixth Strawberry Hill Conference. 1994. ed. by S. Church and R. Harvey. Woodbridge. 1995), გვ. 4.

[25] S. Morillo. Warfare under the Anglo-Norman Kings 1066-1135. Woodbridge. 1994, გვ. 19-20.

[26] შერაცხილის სოციალური შინაარსისათვის იხ. ტ. ახალაია. „შერაცხილის" სოციალური ისტორია. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4. თბ. 1987, გვ. 68-73.

[27] მამათა სწავლანი: X და XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ილია აბულაძემ. აკაკი შანიძის რედაქციით. თბ. 1955, გვ. 107; ტ. ახალაია. „შერაცხილის" სოციალური ისტორია, გვ. 72.

[28] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. 163; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 223-224.

[29] მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან. თბ. 1966, გვ. 220-221.

„თავისუფალი" იყო, როგორც ეს ჩანს ქართული ოთხთავისა და ბიბლიის უძველეს ტექსტებში.[30] დროთა განმავლობაში აზნაური კეთილშობილის მნიშვნელობით მკვიდრდება. ლეონტი მროველის ცნობაში საურმაგის მიერ აზნაურთა წარჩინებულებად გახდომის შესახებ („წარჩინებულ ყვნა აზნაურნი"),[31] უთუოდ არეკლილია თავისუფალთა (აზატთა) ერთი ნაწილის გაკეთილშობილების პროცესი სამხედრო სამსახურის გზით.[32]

აზნაურის უპირველესი მოვალეობა სამხედრო სამსახური იყო; ამიტომაცაა, რომ ვახუშტი აზნაურობის მთავარ მახასიათებლად, ჩამომავლობის (გვარის) შემდეგ, ციხეს („სიმაგრე რაიმე"), ცხენ-იარაღს („ძალ-ედვას გამოსვლა მარქაფითა") და კარავს („კარავითა და მათითა გაწყობილებითა") ასახელებს: „ხოლო აზნაურსა აქუნდა გუარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნენი, და ძალ-ედვას გამოსლვა მარქაფითა, კარავითა და მათითა გაწყობილებითა, და თუნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად".[33] ვახუშტის მიხედვით, აზნაურს, სულ ცოტა, ორი ცხენი, საბრძოლო და სათადარიგო (მარქაფა), უნდა ჰყოლოდა. მას მესამე ცხენიც — სატვირთო (სატალახე), რომელიც აღჭურვილობა-კარვის საზიდად იყო აუცილებელი, ეყოლებოდა.

მძიმე აღჭურვილობა (ლითონის მუზარადი, აბჯარი და ა.შ.) აზნაურთა წრის დამახასიათებელი ნიშანი იყო. ტ. ახალაიამ ყურადღება მიაქცია, რომ ოშკის ბიბლიის (X ს.) ქართველმა მთარგმნელმა მეფეთა პირველი წიგნის ბერძნულ ტექსტში აღწერილ შეიარაღებულ გოლიათში აზნაური „ამოიცნო" და ასეც თარგმნა ეს მონაკვეთი: „სახელი მისი გოლიად... აზნაურად ჭურვილი ჯაჭჯთ ჩაბალახითურთ" (I მეფეთა, 17.4-5). მკვლევრის სამართლიანი განმარტებით, „ის გარემოება, რომ ქართველმა მთარგმნელმა „ჯაჭვ-ჩაბალახოსან" მეომარში სოციალურად აზნაური შეიცნო, იმის უცილებელი მოწმობა

[30] ს. ჯანაშია. აზნაური. შრომები. ტ. V. თბ. 1987, გვ. 310; ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1961, გვ. 92-93.

[31] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 27.

[32] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 95.

[33] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 17-18.

უნდა იყოს, რომ „ჯაჭვ-ჩაბალახი“ ქართლის წარჩინებულთა სოციალური ფენის გარეგნული „მიუცილებელი“ ნიშანი იყო და რომ „ჯაჭვ-ჩაბალახში“ ჩაჯდომა „აზნაურული წესით“ შეჭურვას ნიშნავდა“.[34]

აზნაურთა ფენა IX-X საუკუნეებისათვის უკვე დიფერენცირებულია და მათში გამოირჩევა „დიდი აზნაური“.[35] „დიდი აზნაური“, „დიდებული აზნაური“ (დიდებული) მსხვილ ფეოდალურ არისტოკრატიას წარმოადგენდა და ეკონომიკური შეძლებით (დიდი მამული) და პოლიტიკური გავლენით (თანამდებობა, ციხეები, მრავალრიცხოვანი ყმა) ხასიათდებოდა. *მემამულე*, შთამომავლობით აზნაურთა გვერდით არსებობდნენ *მოსაკარგავე* აზნაურებიც, რომლებიც სამეფო ხელისუფლებიდან დროებითი მფლობელობის ფორმით და სამსახურის პირობით იღებდნენ *საკარგავს* (უმრავლეს შემთხვევაში, მიწის ნაკვეთს).[36]

XV საუკუნეში საქართველოში დიდებულები თავადთა წოდების სახით ჩამოყალიბდნენ. XV საუკუნის შემდეგ სათავადოთა სისტემაში მოქცეული აზნაურთა ფენა განიცდის დამცრობას და კარგავს დამოუკიდებლობას. აზნაური აღარ არის თავისი მამულის ერთადერთი მესაკუთრე და იყოფს ამ უფლებას ბატონთან.[37] XVI-XVII საუკუნეებში აზნაურობა საბოლოოდ მოექცა მეფის, თავადისა და ეკლესიის დამოკიდებულებაში.[38] საქმე იქამდე მივიდა, რომ დასავლეთ საქართველოში, ზოგ შემთხვევაში, აზნაურები, მსახურთა მსგავსად, მსუბუქად დაიბეგრნენ კიდეც გამასპინძლებით („პურის ჭამით“).[39]

---

[34] ტ. ახალაია. მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4. თბ. 1992, გვ. 54.

[35] მხოლოდ „შუშანიკის წამების“ XI ს. ხელნაწერის ცნობაზე დამყარებით, უფრო ადრე, V-VII საუკუნეებში, აზნაურთა დიფერენცირება უსაფუძვლო ჩანს, იხ. ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 97-101, 141-142.

[36] ს. ჯანაშია. „აზნაური“, გვ. 310-311.

[37] გ. აკოფაშვილი თვლიდა, რომ კახეთის სამეფოში აზნაურებმა, გამონაკლისის სახით, ძირითადად მოახერხეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება (გ. აკოფაშვილი. აზნაურთა ფენა XV-XVIII სს. კახეთში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. 3. თბ. 1968, გვ. 89-103). საწინააღმდეგო აზრი გააჩნია ამ საკითხზე გ. ჯამბურიას, რომელმაც დაასაბუთა, რომ კახეთის სამეფოშიც აზნაურები თავადებზე იყვნენ დამოკიდებულნი. გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები, გვ. 153-161.

[38] ს. ჯანაშია. აზნაური, გვ. 311-312.

[39] ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. I. თბ. 1928, გვ. 13; ს. კაკა-

ამ დროისათვის ვახტანგ VI-ის სამართალი სამი ხარისხის აზნაურს განარჩევს: დიდ, შუა და ცალმოგვ აზნაურს, რომელთა სისხლის ფასი ერთიორად აღემატება უფრო დაბალ საფეხურზე მდგომისას.[40]

ფეოდალურ საქართველოში აზნაურ-დიდებულთა ფენა მიწის ყველაზე დიდ ნაკვეთებს ფლობდა, რაც აპირობებდა მათ ფინანსურ კეთილდღეობას და, შესაბამისად, შეიარაღების მაღალ ხარისხს. შუა საუკუნეების საქართველოში აზნაურები და დიდებულები (თავადები) წარმოადგენდნენ შეიარაღებული ძალების ელიტას და ქართული ლაშქრის ყველაზე კარგად აღჭურვილ მებრძოლებს – მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსნებს. საბრძოლო წყობაში ისინი არავის დაუთმობდნენ წინა ხაზზე ბრძოლის პრესტიჟს, რასაც ხელს შეუწყობდა მათი საუკეთესო თავდაცვითი აღჭურვილობაც.

მსახური

დიდებულ-აზნაურთა ფენა საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო და კარგი შეიარაღებისა და ელიტარულობის მიუხედავად, შეუძლებელია დამოუკიდებლად შეესრულებინათ სახელმწიფოს წინაშე მდგომი სამხედრო ამოცანების მთელი სპექტრი. მეტიც, ისინი საკმარისი არ იყვნენ არმიის, თუნდაც მხოლოდ, ცხენოსანი კომპონენტის სრულფასოვანი დაკომპლექტებისთვის. ამისათვის მათ დამხმარე ესაჭიროებოდათ. თავად-აზნაურთა გარდა, ვინ იყო მოლაშქრე საქართველოში, ვინ შეადგენდა ქართული ფეოდალური ლაშქრის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს?

ნ. ბერძენიშვილის აზრით, XII საუკუნემდე ქართული ფეოდალური ლაშქრის ძირითად ნაწილს ე.წ. მდაბიორ-მოლაშქრენი ქმნიდნენ, რომლებიც, ერთი მხრივ, მატერიალური დოვლათის მწარმოებლები და პირადად თავისუფალნი იყვნენ, მეორე მხრივ კი, ლაშქრობა ევალებოდათ: „მდაბიორ-მოლაშქრის ფეოდალური მოვალეობის შესრულების საფუძველი სრულფუძიანობა იყო". XII საუკუნეში გაღარიბებულ მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენა გაქრა, ის გლეხობაში გადავიდა.[41] მდაბიორ-მოლაშქრეთა შესახებ ამ შეხედულებას

ბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. III. თბ. 1928, გვ. 28; მ. სანაძე. გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 163.

[40] სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

[41] ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XI-XVIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VI. თბ. 1973, გვ. 55-60.

იზიარებდა მ. ბერძნიშვილი.[42]

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება გააკრიტიკა ქ. ჩხატარაიშვილმა, რომელმაც მდაბიორ-მოლაშქრეს ხელოვნური ტერმინი უწოდა და ევროპელ მინისტერიალებთან ასოციაციით, მსახური, ქვედა ფენებიდან დაწინაურებული ცხენზე ამხედრებული მებრძოლი, ჩათვალა ქართული „ლაშქრის ძირითად, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან მასად".[43] ჩხატარაიშვილის პოზიცია გაიზიარა გ. აკოფაშვილმა, რომელმაც მსახური მიიჩნია ფეოდალური საქართველოს მოლაშქრედ. მისი ლოგიკური არგუმენტით, მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენა, რომც არსებულიყო, XII საუკუნეში ვერ გაქრებოდა, რადგანაც ეს ეპოქა ხშირი და წარმატებული ლაშქრობების ხანაა, რაც პირიქით, ხელს შეუწყობდა მოლაშქრეთა აღმავლობას (რაც მოხდა კიდეც მსახურთა ფენასთან მიმართებაში).[44] მსახურთა შესახებ იგივე აზრის იყო ზ. რატიანი: „მსახურთა ინსტიტუტმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. სწორედ მსახურნი ... იყვნენ საქართველოს სამხედრო პოტენციალის მთავარი ძალა".[45]

ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია დაიცვა ე. ხოშტარია-ბროსემ. ქართული წყაროების „ერი", „წვრილი ერი" ანუ ადრეფეოდალური ხანის თავისუფალი მიწისმოქმედნი მან გააიგივა *მდაბიორ-მოლაშქრესთან* და უარყო ამ ტერმინის ხელოვნურობა. მისი აზრით, XII საუკუნემდე, „სწორედ „ერი" („წვრილი ერი") იყო ამ ხანის ქართული ლაშქრის, კერძოდ, მისი „არაფეოდალური" ნაწილის „ძირითადი მასა".[46] ე. ხოშტარია-ბროსემ ეჭვი შეიტანა მსახურთა

[42] ნ. ბერძნიშვილი. საქართველო XI-XII საუკუნეებში, გვ. 25, 83.

[43] ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა" და მისი სოციალური არსი). თბ. 1979, გვ. 32, 107-119.

[44] გ. აკოფაშვილი. ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში. თბ. 1984, გვ. 69-71.

[45] ზ. რატიანი. მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3. თბ. 1974, გვ. 152.

[46] ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენილობის შესახებ). ჟურნ. „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4. თბ. 1981, გვ. 114, 118; ე. ხოშტარია-ბროსე. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში გამოყენებული ტერმინების „ერის" და მისგან ნაწარმოები „ერისაგანის", „ერისკაცის" და „საეროს" სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2. თბ. 1990, გვ. 123-124, 128.

წრის მრავალრიცხოვნებაში და ლაშქრის სოციალური შემადგენლობის განმსაზღვრელად რაოდენობრივი კრიტერიუმი შემოიტანა. მკვლევარი თვლიდა, რომ ევროპულისაგან განსხვავებით, ქართული ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო და ათეულობით ათას მეომარს მოითვლიდა: „ქართული ლაშქრის სოციალურ შემადგენლობაზე მსჯელობისას რაოდენობრივი მხარეც უნდა იქნეს გათვალისწინებული. მარტო მსახურები, ალბათ, ვერ შექმნიდნენ ამ ლაშქრის „ძირითად მასას".[47]

ბერძენიშვილის და ჩხატარაიშვილის პოზიციების მორიგება სცადა დ. გოგოლაძემ. მისი აზრით, ბერძენიშვილის „მდაბიორ-მოლაშქრე" იგივე „მსახურ-მოლაშქრეა".[48]

პასუხად, ქ. ჩხატარაიშვილი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ საქართველოში ადრეფეოდალური ურთიერთობების პერიოდი VIII საუკუნეში დამთავრდა და უარყო თავისუფალთა ფართო ფენის არსებობა შემდგომ ხანაში.[49] საბოლოოდ, კამათის არსი დავიდა ტერმინების (მდაბიორ-მოლაშქრე, წვრილი ერი, თავისუფალი) და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის (თუ როდის დამყარდა განვითარებული ფეოდალიზმი საქართველოში) განხილვამდე, იქამდე, იყვნენ თუ არა თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში XI-XII საუკუნეებში.[50]

---

[47] ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 114-115. ავტორის შეცდომის სათავე გახლავთ მოსაზრება, რომ აღმოსავლური არმიები ასობით ათას მეომარს ითვლიდა (ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 115).

[48] დ. გოგოლაძე. სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3. თბ. 1981, გვ. 161. მკვლევრის ეს მცდელობა არ ითვალისწინებდა ნ. ბერძენიშვილის მთავარ შეცდომას, როდესაც მას მოლაშქრე მიწისმოქმედად მიაჩნდა (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II. თბ. 1965, გვ. 51.

[49] ქ. ჩხატარაიშვილი. თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1991, გვ. 79-88. მან უარყო ნიკორწმიდელის დაწერილში თავისუფალთა მოხსენიება, თუმცა მისი არგუმენტები მ. ბერძნიშვილის მოსაზრებების კრიტიკას არ გასცდენია. იქვე, 79-82. ნიკორწმიდელის დაწერილში თავისუფალ მიწისმოქმედთა სახელობითი ჩამონათვალი და მათი განსაზღვრის კრიტერიუმები (იხ. მ. ბერძნიშვილი. საქართველო XI-XII საუკუნეებში, გვ. 26-28).

[50] მეთოდოლოგიურად სწორია გ. ძიძიგური, როდესაც მიიჩნევს, რომ განვითარებული ფეოდალიზმი არ გამორიცხავს თავისუფალთა გარკვეული

როგორც ვხედავთ, ქართული ფეოდალური ლაშქრის შემადგენლობის დადგენისას, მთავარი პრობლემა, რასაც ქართული ისტორიოგრაფია აწყდება, არის მოლაშქრის სოციალური შინაარსის განსაზღვრა. ყველა თანხმდება უმაღლესი ეშელონის – დიდებულ-აზნაურთა შესახებ, მაგრამ დავას იწვევს მოლაშქრის (მსახური თუ ე.წ. მდაბიორ-მოლაშქრე) ვინაობა და ადგილი ქართულ სამხედრო ორგანიზაციაში. საკითხის გადასაწყვეტად ჯერ უნდა გავარკვიოთ კამათის საგანი – თუ რას წარმოადგენდა მოლაშქრე და შემდეგ ვიმსჯელოთ მის სოციალურ შემადგენელზე. ფეოდალურ საქართველოში მოლაშქრე იყო მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი მებრძოლი, რომელიც ძვირადღირებულ აღჭურვილობას (თავდაცვით და შეტევით), ცხენებს და ბრძოლის სპეციფიკურ ხერხებს ფლობდა. ცხენზე ამხედრებული მძიმედ შეჭურვილი მებრძოლი კი შეუძლებელია მასობრივად გამოდიოდეს „ერისგან" ანუ თავისუფალი მიწისმოქმედებისგან, როგორც ეს მიაჩნდათ ნ. ბერძენიშვილს და ე. ხოშტარია-ბროსეს. იმდროინდელი სამხედრო რეალიების გათვალისწინებით, თავისუფალი მიწისმოქმედის მიერ მოლაშქრედ გასვლა პრაქტიკულად გამორიცხული იყო ორი ძირითადი მიზეზის გამო:

ა) VIII საუკუნიდან, უზანგის მასობრივი გავრცელების შემდეგ, ცხენოსნის აღჭურვილობა დამძიმდა და გაძვირდა. შეირაღების დამძიმებამ და გაუმჯობესებამ ის გახადა ძვირი და, ამავე დროს, ძნელად მოსახმარიც და კიდევ უფრო გააძნელა მისი ფლობა მათთვის, ვინც შეძლებული არ იყო.[51] საკმარისია ითქვას, რომ უკვე IX საუკუნის დასაწყისში მძიმედ შეჭურვილი მხედრის გამოსაყვანად საჭირო მიწის ოდენობა ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში 12 მანსს ანუ ადგილის მიხედვით, 120-216 ჰექტარს უდრიდა.[52] ყველაზე უფრო კარგად აღჭურვილობის სიძვირე ჩანს იმდროინდელ სასოფლო-სამეურნეო ფასებთან და რიგითი, თავისუფალი მიწათმოქმედის შესაძლებლობებთან შედარებით: რიპუარული კანონის (*Lex Ripuaria*) მიხედვით VIII საუკუნეში ფრანკთა სამეფოში ცხენოსნის აღჭურვილობის ფასი 45 სოლიდი

ნაწილის არსებობას და სულაც არ გულისხმობს ამ ფენის სრულ გაჭრობას (გ. ძიძიგური. ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში. კრებ.: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები". III. თბ. 1980, გვ. 62-63. საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისს, მკვლევარი XI საუკუნეში ვარაუდობს. გ. ძიძიგური. ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში, გვ. 64.

51 M. Bloch. Feudal Society, გვ. 290-291.

52 F. L. Ganshof. Feudalism. Toronto. 1996, გვ. 37.

იყო, რაც 45 ძროხას ან თითქმის 23 ხარს შეესაბამებოდა.[53] X საუკუნის ესპანეთში საშუალო ხარისხის შეიარაღების მქონე ცხენოსანიც კი 250 სოლიდის ღირებულების აღჭურვილობას ატარებდა, რაც 4 საშუალო სიდიდის მამულს ან 250 ცხვარს შეესაბამებოდა.[54] ეს მრავალრიცხოვანი მაგალითები იმიტომ მოვიხმე, რომ თვალნათლივ წარმოგვედგინა, თუ რა ძვირი ჯდებოდა ცხენოსანი მოლაშქრის აღჭურვა და როგორი წარმოუდგენელია ამ სიმდიდრის მატარებლად დავსახოთ XI-XII საუკუნეების თავისუფალი ქართველი მიწათმოქმედი, მეთემე, ჰეროვანი თუ წვრილი ერისგანი.[55] ქართველ მხედარს მოვალეობის სრულყოფილად შესასრულებლად ესაჭიროებოდა საბრძოლო და მარქაფა ცხენი, ხმალი, შუბი, ფარი, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქაფზე, საბარკულზე, კარავზე და საბარგო ცხენებზე (კარავი და ცხენი „მათითა გაწყობილებითა").[56] ყოველივე ეს კი დიდ სახსრებს მოითხოვდა. მ. ბლოკის ლაკონური თქმით, „საბრძოლო ცხენის ყოლა და თავით ფეხებამდე აღჭურვა შეეძლოთ მხოლოდ მდიდრებს ან მდიდრის დახმარებით".[57] შეიარაღების სიძვირე ქართული წყაროებშიც ჩანს. *ნიკორწმიდელის დაწერილიდან* ვიგებთ, რომ XI საუკუნეში მეომართა ფენა იძულებულია გაყიდოს მიწა, რათა შეიძინოს საჭირო აღჭურვილობა და შეინარჩუნოს პროფესიონალის სტატუსი: დებორიანის ძე ყიდის მიწას და გლეხებს და ყიდულობს ცხენს, ჯაჭვის აბჯარს, ქაფს და ჩაბალახს; ასევე, წორბელი და ვახტანგი მიწის სანაცვლოდ ორ ჯაჭვს ყიდულობენ; აბულათაიის ძე ვენახის და ყანის ნაცვლად კარგ ანუ საბრძოლო ცხენს ყიდულობს; ფარსმანისძენი ყანას თმობენ ჯაჭვის აბჯრის სანაცვლოდ; აბულახტარი გლეხს ცვლის ცხენებში

[53] Г. Дельбрюк. История военного искусства в рамках политической истории. Т. 3. СПб. 2001, გვ. 7; Ф. Кардини. Истоки Средневекового Рыцарства. Сретенск. 2000, გვ. 298-299; J. F. Verbruggen. The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. Woodbridge. 1997, გვ. 23.

[54] Ф. Кардини. Истоки Средневекового Рыцарства, გვ. 302.

[55] აქ, რა თქმა უნდა, ცალკეული ინდივიდუალური გამონაკლისი არ იგულისხმება, რასაც ყველა ეპოქაში შეიძლება ჰქონოდა ადგილი.

[56] დამატებით, მოლაშქრეს უნდა ჰქონოდა ცხენის ნალები ლურსმნებით, საგზალი და სხვადასხვა სამზარეულო (ქვაბი და სხვ.) და სამეურნეო (ნაჯახი და სხვ.) მოწყობილობა. J. F. Verbruggen, The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages, გვ. 26.

[57] M. Bloch. Feudal Society, გვ. 152; A. R. Brown. The Status of the Norman Knight. in War and Government in the Middle Ages. Essays in Honour of J.O. Prestwich, ed. by John Gillingham and J.C. Holt. Woodbridge. 1984, გვ. 28-29.

და რკინის ავშარაში; საწირეში ჯაჭვს და ჩაბალახს ცვლიან ყანაში.[58] XI-XII საუკუნეებში მძიმედ შეიარაღებული ქართველი მოყმის აღჭურვილობა დაახლ. 37-44 ოქრო ღირდა, რაც ამავე რაოდენობის ძროხის ღირებულებას შეესაბამებოდა.[59]

ბ) აღჭურვილობაზე უფრო ძვირი პროფესიონალიზმი ჯდებოდა. მხოლოდ იარაღისა და ცხენის ფლობა და მასზე ჯდომა არ იყო საკმარისი. მძიმე აღჭურვილობით დამძიმებულ მხედარს მუდმივად უნდა ევარჯიშა, რომ ბრძოლაში ცხენი ემართა და უნაგირიდან იარაღი ეფექტურად გამოეყენებინა.[60] ასეთ წვრთნასთან ერთად, ცხენოსანს მონაწილეობა უნდა მიეღო სხვადასხვა სპორტულ თამაშობებში, ნადირობაში და ა.შ. მძიმე აღჭურვილობის ქონასთან ერთად, კარგი წვრთნის გავლა შუა საუკუნეებში მმართველი კლასის სოციალურ მოვალეობადაც კი ითვლებოდა.[61] ცხენოსან მეომრად ყოფნა გულისხმობდა ადრეული ასაკიდანვე, მთელი ცხოვრების განმავლობაში შესაბამის წვრთნას, ცხენოსნობისა და იარაღის დაუფლებას და წყობაში ბრძოლის ათვისებას.[62] ხშირად დამოწმებული კაროლინგური ანდაზის მიხედვით, „მხედარი ყმაწვილობიდანვე თუ გახდები, შემდგომ ეს შეუძლებელია";[63] როგორც ცნობილი მინეზინგერი ჰარტმან ფონ აუე ამბობდა, „ვინც თორმეტ წლამდე სწავლობდა და ცხენი არ გაუჭენებია, მისგან მხოლოდ მღვდელი თუ დადგება".[64] საზოგადოებაში, რომელსაც არ გააჩნდა სახელმწიფო ყაზარმები და იქ წვრთნის სისტემა, ასეთ ინდივიდუალურ ვარჯიშს შესაბამისი სოციალური შედეგი მოსდევდა.[65] ცხენოსანი მებრძოლი თითქმის მთელ დროს პროფესიულ სრულყოფაზე ხარჯავდა და მას დრო არ რჩებოდა მიწის დასამუშავებლად. გამომდინარე, ის აუცილებლად საჭიროებდა სხვისი შრომის ექსპლუატაციას.[66]

---

[58] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 40, 42-43.

[59] შეიარაღების ფასებისათვის იხ. მამუკა წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით). იბეჭდება.

[60] M. Bloch. Feudal Society, გვ. 152, 184.

[61] M. Keen. Chivalry. New Haven. 1984, გვ. 226.

[62] A. R. Brown. The Status of the Norman Knight. გვ. 29.

[63] M. Bloch. Feudal Society, გვ. 152.

[64] M. Bloch. Feudal Society, გვ. 293-294.

[65] M. Keen, Chivalry, გვ. 25.

[66] ამიტომ არადამაკმაყოფილებელია ნ. ბერძენიშვილის პოზიციის ახსნის

როგორც ვხედავთ, თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენას არც შეეძლო ტიპური მოლაშქრის ანუ მძიმე ცხენოსნის გამოყვანა, ასე რომ, კამათი თავიდანვე საგანს იყო მოწყვეტილი: რომც დამტკიცდეს თავისუფალთა ფართო ფენების არსებობა XI-XII საუკუნეებში, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მათ შეეძლოთ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმების (სულ მცირე – ჯაჭვით, მუზარადით, ფარით, ხმლით, შუბით და მარქაფა ცხენით) დაკომპლექტება.[67] თავად ტერმინი „მდაბიორ-მოლაშქრე" შეიცავს თავის თავში წინააღმდეგობას: **მდაბიორი მოლაშქრე ვერ იქნებოდა, მას ამისათვის საჭირო მატერიალური შეძლება არ ჰქონდა.**

ამრიგად, საკითხის განხილვის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლაშქრედ თავისუფალი ვერ გამოვიდოდა და ეს მოვალეობა მხოლოდ პატრონის მიერ აღჭურვილ მსახურს შეეძლო ეტვირთა.

ვინ იყო და რას წარმოადგენდა მსახური? *მსახური* ნაწარმოებია სიტყვიდან „სახ-ლ-ი": მ-სახ-ური ანუ სახლის კაცი და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ფეოდალის კარზე სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სამხედრო-პოლიციურ საქმიანობას ეწევა.[68] ქართველი *მსახური* ივივეა, რაც ევროპელი *მი-*

მცდელობა დ. გოგოლაძის მიერ, რომელიც მიიჩნევდა, რომ მსახური მშვიდობიანობის პერიოდში სახლში თავის მეურნეობას უელიდა და როდესაც სალაშქროდ მიდიოდა, ამ საქმეს მისი ოჯახი აგრძელებდა (დ. გოგოლაძე. სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 159-160). აქ არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ პროფესიონალი მხედარი მშვიდობიანობის პერიოდშიც წვრთნას საჭიროებდა და, რაც მთავარია, მხოლოდ ერთი კომლის შემოსავალი საკმარისი არ იყო ცხენოსანი მეომრის შესანახად. ამისათვის, სულ ცოტა, 8 კომლის შემოსავალს თელიდნენ საჭიროდ. სხვადასხვა ქვეყანაში 9 საგლეხო მეურნეობიდან ერთი მებრძოლის გამოყვანის შესახებ (იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 19-21).

[67] აღსანიშნავია, რომ *ნიკორწმიდელის დაწერილის* თავისუფალ მიწისმოქმედებს საერთო არა აქვთ ომთან და შეიარაღებასთან, ისინი მხოლოდ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო საშუალებებს იძენენ.

[68] არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ. 1942, გვ. 147; გ. აკოფაშვილი. ყმა, მსახური, ტაძრეული (ისტორიულ-ტერმინოლოგიური ძიებანი). ჟურნ. „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2. თბ. 1981, გვ. 139. ბ. ლომინაძის საინტერესო შედარებით, მსახურის მოვალეობას ქრისტიანობაც მსგავსად განმარტავდა: „ზეცის იერარქიაში ანგელოზები ითვლებიან „მსახურებად", რომლებიც ღმერთის (პატრონის) „წინაშემდგომელნი" და მოლაშქრე-„მხედრები" არიან" (იხ. ბ. ლომინაძე. ცელილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 765, შენ. 4.

ნისტერიალი, ორივე ეს ტერმინი – *მსახური* და *ministerialis* – ერთი შინაარსის და წარმოშობისაა: *minister* ითარგმნება როგორც მსახური, თანაშემწე და ნიშნავს არათავისუფალ ან ნახევრად თავისუფალ ადამიანს, რომელიც სენიორის კარზე მსახურობს.[69]

მსახურები ადრეფეოდალურ ხანაშივე ჩანან დიფერენცირებულნი და მათგან „დაწინაურებულია სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის აღმასრულებელ „მსახურთა" ფენა".[70] ამ ხანაში მსახურთა კონტინგენტი ძირითადად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენიდან – „ერიდან" გამოდიოდა, შემდგომში კი დაწინაურებულ გლეხთა წრიდან.[71] 1084 წელს პეტრიწონის მონასტრისათვის შედგენილი გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის მიხედვით, მსახური ის პირია, ვინც თან ახლავს პატრონს ლაშქრობებში და ეხმარება მას ყოველდღიურ საქმიანობაში.[72]

აზნაურთა წოდება შევსებას მსახურებისგან იღებდა.[73] სამხედრო სარბიელზე თავის გამოჩენა მათ სოციალური დაწინაურების საშუალებას აძლევდა.[74] როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „საქართველოში ფეოდალური

---

[69] გ. აკოფაშვილი. ყმა, მსახური, ტაძრეული, გვ. 145. ქართულ ისტორიოგრაფიაში მსახურთა საკითხი შესწავლილი აქვს ქ. ჩხატარაიშვილს, (იხ. მისი ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. გერმანელი მინისტერიალების შესახებ იხ. B. Arnold. German Knighthood. 1050-1300. Oxford. 1985). აშკარაა ქართველი მსახურების და ევროპული მინისტერიალიტეტის მსგავსება წარმოშობის, შესრულებული როლის და ფუნქციების მიხედვით, რაშიც დ. გოგოლაძე ევროპული და ქართული ფეოდალიზმის სიახლოვის კიდევ ერთ დასტურს ხედავდა (დ. გოგოლაძე. სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 153).

[70] ალ. სარჯველაძე. მფარველობა-ბატონობისა და დაქვემდებარების აღმნიშვნელი ადრეფეოდალური ხანის სოციალური ტერმინები. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1. თბ. 1998, გვ. 102.

[71] ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 112.

[72] ვ. ბერძნიშვილი. ქართულ-ბიზანტიური სოციალური ტერმინოლოგიიდან. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1. თბ. 1977, გვ. 59.

[73] დ. გოგოლაძე. მსახურთა სოციალური ვინაობის საკითხისათვის, გვ. 61; ბ. ლომინაძე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს. გვ. 766-767.

[74] ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 75; ე. ხოშტარია-ბროსე. თანამედროვე ქართუ-

საზოგადოება კასტობამდის არასოდეს მისულა და აზნაურთა წოდებაში შესასვლელი არასოდეს დახშულა".[75]

თავისი პროფესიული მოვალეობის (მოლაშქრეობა) შესასრულებლად მსახური მძიმე და ძვირადღირებულ აღჭურვილობას საჭიროებდა. ის ან ბატონს უნდა აღეჭურვა და მუდმივ კმაყოფაზე ჰყოლოდა (სახლეული, ტაძრეული) ან თავისი პატრონისაგან მუდმივი შემოსავლის წყარო (მიწის ნაკვეთი) უნდა ჰქონოდა. საქართველოში ანაზღაურების ორივე მეთოდი ჩანს, თუმცა ნატურალური მეურნეობის სიჭარბის პირობებში, მიწის ნაკვეთით დაკმაყოფილება უფრო გავრცელებული იქნებოდა.[76]

მსახურთა ნაწილი როჭიკს (ფულად გასამრჯელოს) იღებდა, როგორც ამას „მამათა სწავლანის" X საუკუნის ტექსტში ვკითხულობთ: „მჴედარი, რომელმან დაიწერის თავი თჳსი დივანსა შინა მეფისასა და მიერითგან წამოიღებენ იგი განწესებულსა როჭიკსა ერის კაცთასა, ვერღა შემძლებელნ არნ იგი თავით თჳსით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან".[77]

1782 წლის ვახტანგ ბატონიშვილის *განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა* გარკვევით ამბობს, რომ მსახურს მიწას სამსახურის სანაცვლოდ, ბენეფიციუმის სახით აძლევენ, რათა თავისი მოვალეობის შესრულება შეძლოს: „მსახური თავის მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ რომ ის მამული, ჩვენის სამსახურის სანუქფოთა აქვს მიცემული".[78]

მსახურის მამულის შესახებ უნდა იყოს ცნობა დაცული დავით აღმაშენებლის XII საუკუნის სიგელშიც. საბუთის მიხედვით, არიშიანი დავით IV-სთან შუამდგომლობს ნიანია ნიანიასძეს, რომ მას მამული არ ჩამოერთვას: „გუეჰაჯა, რაითამცა გაუშუით და გავათავისუფლეთ ნიანია, გრიგოლ მაოჭრებელისა შვილი, მისითა მამულითა ვეძისჭევითა... ვინაითგან პირველცა ზითვად ჰქონებოდა და ჩუენიცა დიდად ნამსახური და ბერი კაცი იყო, ლაშქ-

ლი მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3. თბ. 1988, გვ. 184.

[75] ნ. ბერძენიშვილი. XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. თბ. 1974, გვ. 84.

[76] მ. სანაძის აზრით, მსახურის კარეოსნობა მამულის ქონაზე მიუთითებს (მ. სანაძე. გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 34). „მსახურის მამულისათვის" იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 94.

[77] მამათა სწავლანი, გვ. 120; ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 103-104.

[78] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 452.

რობაი აღარ შეეძლო".[79] ნიანია ნიანიასძე სიბერის გამო („ბერი კაცი იყო") ველარ ლაშქრობს, ვერ ასრულებს მიწისმფლობელის ძირითად მოვალეობას და კარგავს უფლებას თავის მამულზე. გამონაკლისის სახით, მისი წარსული დამსახურების გამო („ჩუენიცა დიდად ნამსახური"), მას მამულს უტოვებენ.[80] ჩანს, ნიანია მართლაც მსახურია (ალბათ, დომენის მსახური), როგორც ეს ფრთხილად ივარაუდა ქ. ჩხატარაიშვილმა.[81] ასე რომ არ იყოს, რა ხელი აქვს მის ნამზითვ მამულთან მეფეს? სიბერის გამო ნამზითვ მამულს ვერ ჩამოართმევდნენ აზნაურს. სხვა საქმეა მსახური, რომელიც, არა მარტო მამულით, არამედ პიროვნულადაც, პატრონს ეკუთვნოდა.[82]

XV საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაცემის და სათავადოთა ჩამოყალიბების შემდეგ, მსახურთა ფენა დაქვეითებას განიცდის.[83] XVI საუკუნიდან მათ, ცხენით სამსახურის გარდა, გარკვეულ გლეხურ ვალდებულებებსაც აკისრებენ (ძირითადად მასპინძლობა, ხანდახან უფრო მძიმე ბეგარაც).[84] ეს ასახავს ქვეყნის გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, როდესაც პატრონისათვის მხოლოდ სალაშქრო სამსახური არ იყო საკმარისი.[85] ცხადია, დაბეგრილი მსახური ნაკლებ დროს დაუთმობდა თავის პროფე-

[79] სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანიასძისადმი. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს. გვ. 50-51.

[80] ქ. ჩხატარაიშვილი. ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიიდან. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1. თბ. 1991, გვ. 95-96.

[81] ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 76. სოსო მარგიშვილი ცდებოდა, როდესაც ნიანიას დიდებულად თვლიდა (იხ. ს. მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. თბ. 2008, გვ. 228).

[82] მსახურის არათავისუფალი ხასიათისა და უფლებებისათვის იხ. B. Arnold. German Knighthood. 1050-1300. გვ. 54, 142-145.

[83] მათ დამცრობაში აუცილებლად გასათვალისწინებელია შეიარაღების კიდევ უფრო გაზრდილი ფასი, როდესაც XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მებრძოლებს დამატებით საწვევების, სამკლავეების და ფურცლოვანი ლითონისგან (პოლოტიკი) დამზადებული აბჯრის სხვადასხვა დეტალების შეძენა უწევთ.

[84] დასავლეთ საქართველოს მაგალითისათვის იხ. ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. III. თბ. 1928, გვ. 12-13, 15, 20.

[85] ასეთ ეკონომიკურ ვითარებას უნდა მოწმობდეს გლეხთა გადიდებული ბეგარაც XVI საუკუნეში. ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის, გვ. 19.

სიულ სრულყოფას და ნაკლებ ეფექტური იქნებოდა ბრძოლის ველზე. XVII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში მსახურთა ფენის დაკნინების გამო მნიშვნელობას კარგავს მსახურთუხუცესის თანამდებობაც. დასავლეთ საქართველოში ეს უფრო ადრე, XVI საუკუნეში ხდება. განსაკუთრებით სწრაფად ქვეითდება მსახურთა ფენა საქართველოში სათავადოების ჩამოყალიბების შემდეგ, როდესაც ისინი მეტად დამოკიდებულნი ხდებიან მიწის მეპატრონეზე, თავადზე.[86]

მიუხედავად ამისა, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ XV საუკუნის შემდგომ მსახურთა წოდება ქრება. ნ. ბერძენიშვილის დებულებებზე დაყრდნობით,[87] ბ. ლომინაძემ ჩათვალა, რომ გვიან შუა საუკუნეებში მსახურთა წოდება ქრება და მსახურის სალაშქრო მოვალეობას გლეხი ასრულებს: „XVI-XVIII სს. „მსახური" წოდებრივ-იურიდიული ცნება აღარ არის".[88] ასეთივე აზრისაა გ. აკოფაშვილიც, რომლის მიხედვით, მსახურთა წოდების დაშლა XIII-XIV საუკუნეში იწყება.[89] მსახურთა წოდების გაქრობის დებულებამ ასახვა ჰპოვა *საქართველოს ისტორიის ნარკვევების* მესამე ტომში, რაც ზედმეტად მკაცრ შეფასებად გვეჩვენება: მიუხედავად დაქვეითებისა, მსახურთა წოდება ბოლომდე შენარჩუნდა, რაშიც გვიანი შუა საუკუნეების დოკუმენტთა განხილვაც დაგვარწმუნებს.[90]

XV საუკუნეში მართლაც შეინიშნება მსახურის დაქვეითება, 1459 წლის სამთავისის სამწყსოს წიგნი განარჩევს „მართებულ" და „დაბალ" მსახურს, სადაც „დაბალი" მსახური უკვე მიწათმოქმედად ჩანს (მას ხარის საწირავი ევალება), თუმცა „მართებული მსახური" აზნაურის მსგავსად ცხენს

---

[86] კ. კახაძე. მსახურთა ფენა ქართულ ფეოდალურ ლაშქარში. ჟურნ.: „კლიო". 21. 2004, გვ. 27-31.

[87] ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ მსახურთა ვალდებულებები „უწყალოდ ანადგურებდა მას და გლეხობისაკენ მიერეკებოდა" და, რომ „დაბეგრილი მსახურები, – ყველა ესენი „გლეხებია". (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია XIII-XIV სს., გვ. 51).

[88] ბ. ლომინაძე. ცელილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს., გვ. 763, 770-771. თუმცა, დ. გოგოლაძე აღნიშნავდა, რომ ნ. ბერძენიშვილის ამ სიტყვებში მსახურთა ფენის გაქრობა არ იგულისხმებაო (დ. გოგოლაძე. სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 159).

[89] გ. აკოფაშვილი. ყმა, მსახური, ტაძრეული, გვ. 147-148.

[90] ამ საკითხისა და მსახურთა წოდებისა და გლეხთა კლასის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ასევე იხ. მ. სანაძე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 66-87.

და იარაღს ფლობს.[91] ამავე საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი „მცნებაᲘ სასჯულოᲘ" საერო პირთა ჩამონათვალში აზნაურებსა და გლეხებს შორის მსახურებს ასახელებს: „ანუ მეფეთა, ანუ მთავართა, ანუ აზნაურთა, ანუ აზნაურის შვილთა, ანუ მსახურთა, ანუ გლეხთა..."[92]

XVI საუკუნეში მსახურები ისევ ასრულებენ თავიანთ სალაშქრო მოვალეობას: 1570 წელს მუხათგვერდის ბრძოლაში მსახურებიც მოიხსენიება.[93] 1577 წლის ალექსანდრე მეფის მალის ამოკვეთის წიგნი განასხვავებს მსახურსა და მოყალნეს (მებეგრეს).[94] მსახურსა და მოყალნეს შორის სხვაობა ჩანს 1593 წლის ალექსანდრე II-ის *ჭიაურის ულუფის წიგნშიც*.[95] ამავე საბუთში ჩანს, რომ საყდრის ყმას (ანუ მსახურს) მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა მოეთხოვება.[96]

XVII საუკუნის დასაწყისიდან (1616-21) ჩვენამდე მოაღწია კათალიკოს მალაქია გურიელის მოლაშქრე კაცთა ნუსხამ, სადაც საგანგებოდ არის აღნუსხული მხოლოდ აზნაურთა და მსახურთა რიცხვი.[97] აღნიშნული საბუთი ეჭვს არ ტოვებს იმის შესახებ, რომ XVII საუკუნეშიც მოლაშქრეთა წრეს, აზნაურების გარდა, კელავინდებურად მსახურები მიეკუთვნებიან.[98] 1669 წლის წილკნის სამწყსოს წიგნის მიხედვით მსახური ცხენისა და იარაღის ფლობით განირჩევა:[99] მსახურები ცხენზე ამხედრებულნი ახლავენ თავიანთ სენიორს.[100] საბუთის შემდგენი „გამოჩენილი მსახურის" კატეგორიასაც კი

[91] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 207; მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI-XII საუკუნეებში, გვ. 101; ბ. ლომინაძე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს., გვ. 770.
[92] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 224.
[93] მუხათგვერდის ბრძოლაში „მოსწყდა თავადნი და აზნაურნი და მრავალნი მსახურნი" (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 367, 511.
[94] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 196.
[95] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 208.
[96] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 208.
[97] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 480-482.
[98] საყურადღებოა, რომ გურიელის გლეხთა საბეგრო დავთრებში ჩანს მათი სალაშქრო ვალდებულება, მაგრამ გლეხები არ არიან შეყვანილნი მალაქიას მოლაშქრეთა ნუსხაში, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მსახური გლეხისაგან განსხვავებული სოციალური ჯგუფია. მ. სანაძე. გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 70.
[99] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 543-63.
[100] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 548.

აღნიშნავს: ისინი სამუხრანბატონოს, არაგვის და ქსნის საერისთავოს ყველა სოფელში სახლობენ.[101] 1661-80 წლების აფხაზეთის კათალიკოსისადმი მიცემულ ფიცის წიგნში მსახური ცალკე წოდებადაა გამოყოფილი: „ან აზნაურის შვილი, ან მსახურისა, ან გლეხი."[102]

XVIII საუკუნეშიც იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე: 1706 წლის ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულების სიგელში მსახური კვლავ წოდებების ჩამონათვალშია;[103] ვახტანგ VI-ის *დასტურლამალი* (1707-09) განარჩევს მსახურსა და გლეხს, მსახური და თარხანი ერთ კატეგორიაში გადიან და მალის, ღალისა და კულუხის გადახდისაგან არიან გათავისუფლებულნი;[104] 1720 წლის *მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნის* ჩამონათვალში კვლავ ვხვდებით მსახურებს, რომლებიც გლეხთაგან გამოირჩევიან: „დარბაისელ-აზნაურიშვილ-მსახურ-გლეხნი".[105] 1717-19 წწ. ბაქარ მეფის *განჩინება გივი თუმანიშვილისა და მისი ბიძაშვილების გაყრის საქმეზე* გვიჩვენებს, რომ ცხენ-იარაღი ისევ მსახურთან და მის მოვალეობასთანაა დაკავშირებული („ცხენი და იარაღი მსახურს... გაყოლოდეს").[106] 1721 წლის დავით იმამყულიხანის *საწირავის გარიგების სიგელი ხარჭაშოსადმი* და 1722 წლის *ღმრთაების გუჯარი* კვლავ ადასტურებს, რომ მსახურის შესაწირავი ცხენია, მოყალნის კი – ხარი.[107] 1749 წლის ნიკოლოზ ალავერდელის განწესება განასხვავებს მსახურის და მოყალნე (მებეგრე) გლეხის მოვალეობებს, რომელთაც გადასახადი თავიანთი წოდების მიხედვით ეკისრებათ: „და რაც გამოსაღები ედოს იმ მამულს, მსახური იყოს თუ მოყალნე, იმგვარი ყალანი გამოართოს მოხელემ".[108] 1749

[101] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 553. საინტერესოა ამ გუჯრის იერარქიაც: „რაც ამ გუჯარში დიდი კაცი, აზნაურშვილი, მსახური, ღვდელი, სოფლის კაცი დაეწერო..." (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 563).

[102] საქართველოს სიძველენი. რედ. ე. თაყაიშვილი. ტ. I. ტფ. 1899, გვ. 43.

[103] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 650.

[104] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 304, 313.

[105] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 334.

[106] ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. IV. თბ. 1972, გვ. 283.

[107] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 335, 364.

[108] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 811. ქ. ჩხატარაიშვილი ამ ცნობაში მსახურის და გლეხის გადასახადის მსგავსებას ხედავდა. იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ

წელს თეიმურაზ II-ის მიერ დამტკიცებულ *მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი*, სადაც სვეტიცხოვლის ყველა ყმაა ჩამოთვლილი, მსახური კვლავ ცალკე წოდებადაა გამოყოფილი: „დარბაისელი, აზნაურშვილი, მსახური და გლეხნი“.[109]

უფლებების დაქვეითების და მატერიალური მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, მსახური ბოლომდე ინარჩუნებდა გარკვეულ პრივილეგიებს, როგორიცაა მემკვიდრეობითობა, ორჯერ მეტი სისხლის საფასური გლეხთან შედარებით და ყმის ყოლის უფლება.[110] თავად-აზნაურთა მსგავსად, სასისხლო სიგელებს აძლევდნენ მსახურებსაც, როგორც ამას ადასტურებს XIII-XVI საუკუნეებში გაცემული სიგელები.[111] მსახური ამოწმებს იურიდიულ დოკუმენტსაც, როგორც ამას ვხედებით 1661 წლის *ნასოფლარის ნასყიდობის წიგნში*, რომელიც პაპუნა ბარათაშვილმა მისცა მერაბ ყორღანაშვილს.[112] ქართული სამართალი რომ ბოლომდე განასხვავებდა მსახურსა და გლეხს, და რომ მსახური წოდებრივი ტერმინი იყო და არა მხოლოდ თანამდებობით განპირობებული, გლეხის დროებითი აღმნიშვნელი, კარგად ჩანს 1760 წლის *იესე ბარათაშვილის არზაში*, სადაც ის გაქცეული ყმების თაობაზე ჩივის: „ჩემი ნასყიდი კაცნი არიან კახეთს, არას მემსახურებიან, ზოგი მსახურია, ზოგი მსახლობელი გლეხი“.[113] საგულისხმოა, რომ ბარათაშვილი გაქცეულ ყმებში ასხვავებს მსახურსა და გლეხს: მსახური, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია მოვალეობას აღარ ასრულებს მის კარზე, მაინც მსახურად რჩება.

საქართველოში, გვ. 67-68. ჩემი აზრით, მათ შორის სხვაობა აშკარაა და ცნობა მსახურის სამასპინძლოსა და გლეხის ბეგარას შორის სხვაობას უნდა გულისხმობდეს.

[109] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 398.

[110] მ. სანაძე. გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 86.

[111] ამ გარემოებას, რომელიც თავის დროზე ს. კაკაბაძემ აღნიშნა, ყურადღება მიაქცია ქ. ჩხატარაიშვილმა. იხ. ს კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. 2. თბ. 1924, გვ. 3-6, 45-47, 105; ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 85.

[112] ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო არზა ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VIII. თბ. 1985, გვ. 843.

[113] ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო არზა ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VII. თბ. 1981, გვ. 42.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად გარკვეული დაქვეითებისა, მსახურთა წოდება ქართული ფეოდალური წყობის ბოლომდე არსებობდა და, რაც მთავარია, ბოლომდე ინარჩუნებდა სამხედრო ფუნქციას, ასრულებდა რა პროფესიონალი მოლაშქრის მოვალეობას. რაც შეეხება მათ ადგილს ბრძოლის ველზე, ქართულ საბრძოლო წყობაში, გასათვალისწინებელია, რომ შუა საუკუნეებში „მებრძოლთა" კატეგორიას, სოციალური სტატუსის გარდა, მათ ხელთ არსებული იარაღისა და ცხენების რაოდენობაც განსაზღვრავდა.[114] ბექას სამართალი ადგენს მსახურის სისხლის ფასს და, ამავე დროს, აღწერს მის დამახასიათებელ ნიშნებს: „ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, და კარვოსნისა, და პატრონთან რომ ხელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ამად რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სჭირს, და რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სჭირს, – ისრე სრულად".[115] ქოთლოსან-აბჯროსან-კარვოსანი მსახური აზნაურთა დარად მსახურებს ლაშქარში, იგი შეიარაღებული და აღჭურვილია (აბჯროსანი), სალაშქროდ კარავი მიაქვს და რამდენიმე ცხენი, მათ შორის *ქოთალი*, ჰყავს. ი. დოლიძის და ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, *ქოთალი* მარქაფა ცხენია.[116] ეს ტერმინი გამოწვლილვით შეისწავლა დ. გოგოლაძემ, რომელმაც დაადგინა, რომ სომხურ და სპარსულ ენებში *ქოთალი* სატვირთო ცხენს ნიშნავს.[117] მკვლევარი სავსებით მართალია, როდესაც თვლის, რომ მძიმედ შეჭურვილ მსახურს კარავის, საჭურველის და სურსათის საზიდად სატვირთო ცხენი სჭირდებოდა.[118] მიუხედავად ამისა, მაინც მიგვაჩნია, რომ *ქოთალი* ქართულ

---

[114] N. Housley. European Warfare, c.1200-1320. In Medieval Warfare: A History, ed. by Maurice Keen. Oxford, 1999, გვ. 126.

[115] სამართალი ბექასი და აღბუღასი. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 428. ფეოდალურ საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და პრივილეგიები გააჩნდა მეომარ ფენას. ეს კარგად ჩანს ბექა-აღბუღას სამართლის დიფერენცირებულ მიდგომაში სხვადასხვა ფუნქციების მქონე მსახურთა მიმართ: მსახურთა იმ ნაწილის, რომელიც მეომარი და მოლაშქრე იყო, სისხლის ფასი 6-12,000 თეთრია, სხვა საქმიანობით (ადმინისტრაციულ-პოლიციური) დაკავებულების კი – მხოლოდ 1000 თეთრი (ტ. ახალაია. მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში, გვ. 59).

[116] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 768; ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 100-101.

[117] დ. გოგოლაძე. „ქოთლოსნის" საკითხისათვის. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3. თბ. 1985, გვ. 142-143.

[118] დ. გოგოლაძე. „ქოთლოსნის" საკითხისათვის, გვ. 142.

ენაში სამარქაფო ცხენს ნიშნავდა, როგორც არის ის განმარტებული სულხან-საბას ლექსიკონში.[119] ეს მოსაზრება შუა საუკუნეების სამხედრო საქმის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეებში სატვირთო ცხენის ფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მარქაფა ცხენის ფასს.[120] ცხადია, რომ ბექას სამართალში კანონმდებელი აქცენტს უფრო ძვირ ცხენზე გააკეთებდა, რადგანაც უბრალო სატვირთო („სატალახე") ცხენის ფლობა არ იყო ისეთი პრივილეგია, რომ ის საბრძოლო და სამხედრო აღჭურვილობის („აბჯროსნობის" და „კარვოსნობის") რიგში მოეხსენებინათ. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებს, რომ ტ. ახალაიას დაკვირვებით, ბექას სამართლის წიგნის *ქოთალი* ვახუშტი ბატონიშვილის *მარქაფას* შეესაბამება.[121] ასეთ მსახურს უკვე სამი ცხენი გამოუდის: საბრძოლო, სამარქაფო და სატვირთო (სატალახე).[122] გასაკვირი არ არის, რომ ფეოდალური საზოგადოებისათვის მისი მნიშვნელობა (სისხლის ფასი) აზნაურისას ეთანადება.

მსახურთა აღჭურვილობაში საგანგებოდაა ხაზგასმული კარვის ფლობა, რაც ლაშქრობაში აუცილებელი იყო და მისი მფლობელის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს („კარვოსნობა აზნაურულია"). კარავი უკვე ნიშნავს, რომ მისი მფლობელი მარტო არ არის სალაშქროდ წასული, მას თან მხლებლებიც ახლავს.[123] ამ მხრივ, კარავი პიროვნების საბრძოლო შესაძლებ-

[119] ამ გარემოებაზე პირველად თავად დ. გოგოლაძემ მიუთითა. იხ. მისი, სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 158.

[120] ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით, მარქაფა ცხენი 3-ჯერ ძვირი იყო. მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის. იბეჭდება. კიდევ უფრო დიდი იყო ეს სხვაობა ევროპაში. R. H. C. Davis. The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment. London. 1989, გვ. 67.

[121] ტ. ახალაია. მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში, გვ. 55-56.

[122] დ. გოგოლაძე მიიჩნევს, რომ ასეთ მსახურს მხოლოდ ორი ცხენი – საბრძოლო და სატვირთო (ქოთალი) – ჰყავდა და არ გააჩნდა მარქაფა, რადგანაც მისი აზრით, სათადარიგო ცხენის ბრძოლაში გამოყენება მებრძოლს გაუჭირდებოდა (იხ. დ. გოგოლაძე. „ქოთლოსნის" საკითხისათვის, 143-144). ამ აზრს ვერ გავიზიარებ, რადგანაც სამარქაფო ცხენის არქონა ნიშნავს, რომ მეომარი საბრძოლო ცხენზე ამხედრებული გადაადგილდებოდა და ბრძოლაში უკვე დაღლილი ცხენით შედიოდა, რაც ძნელი წარმოსადგენია. ამასთან, მარქაფა ცხენი ბრძოლაში თავად მეომარს კი არ მიჰყავდა, არამედ მის დამხმარეს. მარქაფას მიდევნების წესი აღწერილია ქართულ ცხენის კარაბადინშიც (იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 196).

[123] ველზე აღმართულ კარავს, როგორც კეთილშობილის დროებით სა-

ლობების ერთგვარი ინდიკატორი იყო. ასეთივე სიტუაციაა XII საუკუნის ესპანეთში, სადაც ლეონის მეფეების ბრძანებით, სრულად აღჭურვილი და კარვიანი რაინდის ფისკალური პრივილეგიები 8 კაცზე ვრცელდებოდა, მაშინ როდესაც ფარით, შუბით და მუზარადით აღჭურვილი, მაგრამ უკარვო რაინდის – მხოლოდ ორზე.[124]

რა თქმა უნდა, ყველა მსახურს ვერ ეყოლებოდა მხლებელი და არც მისი აღჭურვილობა იქნებოდა ყოველთვის დიდებულ-აზნაურთა აღჭურვილობის დარი სისრულითა თუ ხარისხით. მსახურები შეადგენდნენ ქართული ცხენოსანი ლაშქრის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს, მაგრამ ფეოდალებთან შედარებით ნაკლები შეძლება ჰქონდათ და, შესაბამისად, მათზე ნაკლებად იყვნენ შეჭურვილნი (თუმცა, გამონაკლისიც მრავლად იქნებოდა). ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ბრძოლის დროს მსახურები თავად-აზნაურთა უკან იქნებოდნენ დაწყობილნი და ცხენოსანთა მომდევნო რიგებს შექმნიდნენ.

გლეხობა და სამხედრო საქმე

შუა საუკუნეების ცნობილი ფორმულა, – „სამღვდელოება ლოცულობს, რაინდები ომობენ, ერი მუშაობს", – რომელიც შემდგომ ასე აიტაცეს ლათინმა საეკლესიო მწერლებმა, პირველად, IX საუკუნის ბოლოს, უესექსის მეფე ალფრედ დიდმა ჩამოაყალიბა.[125] ალფრედ დიდი (871-99) ბოეციუსის თარგმანის კომენტარებში იხსენიებს იმ ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც მეფე მართავს: მათ ვინც ლოცულობს (*gebedmen*), ვინც იბრძვის (*fyrdmen*) და ვინც შრომობს (*weorcmen*).[126] ეს მოცემულობა, რომელიც სრულად ვერ ასახავს შუა საუკუნეების სინამდვილეს და კლასთა შორის რთულ ურთიერთობას, შემდგომში იდეალად იქნა მიჩნეული.[127] ამ ფორმულის სუფთა სახით

სახლეს, გარკვეული სოციალური ფუნქციაც ჰქონდა. უფრო ერცლად (იხ. ტ. ახალაია. მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში, გვ. 52-53).

[124] E. Lourie. A Society Organized for War: Medieval Spain. Past and Present. 35. 1966, გვ. 57.

[125] R. Barber. When is a Knight not a Knight?, გვ. 14.

[126] H. Nicholson. Medieval Warfare, გვ. 24.

[127] საქართველოს სინამდვილეში ეს ფორმულა შოთა რუსთაველთან გვხვდება: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს" (შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ. თბ. 2009, სტრ. 11). ამ შედარებისათვის იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან

განხორციელება შუა საუკუნეებში არასოდეს არ მომხდარა.[128] „სამი წოდების" სოციალური მოდელის თანახმად გლეხებს უნდა ეშრომათ და არ ებრძოლათ; მაგრამ, საკმაოდ ხშირად, ისინი იძულებულნი იყვნენ ებრძოლათ, თავიანთი პატრონის დაძახილზე ან თავის დასაცავად.[129]

განსხვავებული შეხედულება აქვს ამ საკითხზე ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილს, რომლებიც, სავსებით მართებულად, მიუთითებენ რა მოლაშქრეობის სოციალურ არსზე და მის პრივილეგირებულობაზე, თვლიან, რომ ასეთ ვითარებაში გლეხს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციაში და ეს კრიზისის ნიშნადაც კი მიაჩნიათ. გლეხის ლაშქარში მონაწილეობას ფეოდალიზმის თვალთახედვით „სიმახინჯეს" უწოდებს ქ. ჩხატარაიშვილი.[130] ის კატეგორიულად აცხადებდა, რომ გლეხი სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობას არ ღებულობდა.[131] ასეთივე შეხედულება აქვს ს. მარგიშვილსაც.[132] ქართული სამხედრო ორგანიზაციის კრიზისად მიიჩნევს ე. ხოშტარია-ბროსე „ერის" გაქრობასა და გლეხობის მონაწი-

ფეოდალურ საქართველოში, გვ. 19. მას იმეორებს ს. მარგიშვილი, რომელიც ასეთ სოციალურ დიფერენციაციას ფეოდალური სამყაროს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლადაც კი მიიჩნევს (ს. მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში, გვ. 36). რუსთაველის ეს სტრიქონები, გარდა საზოგადოების წოდებებად დაყოფისა, მათი შენარჩუნების აუცილებლობაზეც მიუთითებს. აქ მოცემულია შუა საუკუნეებში მოქმედი კიდევ ერთი დებულება, რომელიც პავლე მოციქულის, ნეტარი ავგუსტინესა და ტერტულიანის იდეებს ეფუძნებოდა და ჩამოყალიბებული იყო შარლემანის კანონებში: „უკლებლივ ყოველი ადამიანი უნდა მიჰყვეს თავის ცხოვრებისეულ დანიშნულებას და პროფესიას" (G. Duby. The Three Orders. New York. 2009, გვ. 70-71.

[128] ა. გურევიჩი აღიარებს, რომ „სამი წოდების" მწყობრი სქემა ძირეულად განსხვავდებოდა სოციალური ცხოვრების პროზისაგან (А. Я. Гуревич. Феодальное Средневековье: что это такое?. Избранные труды. СПб. 2006, გვ. 357.

[129] H. Nicholson. Medieval Warfare, გვ. 59-60. ავტორის ხატოვანი ფორმულირებით, სოციალური თეორიის მიუხედავად, შუა საუკუნეებში „ომში ყველა და ყოველი იყო ჩაბმული". იქვე, გვ. 65.

[130] ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 23.

[131] ქ. ჩხატარაიშვილი. თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში, გვ. 12. მკვლევარი მიიჩნევს, რომ გლეხი სამხედრო საქმიანობაში იშვიათად, მხოლოდ უკიდურესი გასაჭირის, თავდაცვითი ომის დროს მონაწილეობდა. იქვე, 10-11.

[132] იხ. ს. მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში, გვ. 35-36.

ლეობას ომში.[133]

ეს მოსაზრებები ზედმეტად მაქსიმალისტურია და არ ითვალისწინებს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: ქვეითთა ფაქტორს შუა საუკუნეების არმიებში და, რაც მთავარია, ქართულ ჯარში ქვეითი ნაწილების არსებობას და მათ სოციალურ შემადგენლობას. ჯარის დაყოფა ქვეითებად და ცხენოსნებად ასახავდა მათ, როგორც ფუნქციურ, ასევე, სოციალურ სხვაობას. აქ უნდა განვასხვაოთ გლეხის მოლაშქრეობა და ომში მონაწილეობა. მოლაშქრეობა ნიშნავდა ცხენზე ამხედრებულად ბრძოლას, ომში მონაწილეობა კი ქვეითადაც შეიძლებოდა. ქვეითის იარაღი საკმაოდ მარტივი იყო (შუბი ან მშვილდი), ძვირადღირებული ცხენი და აბჯარი აუცილებლობას არ წარმოადგენდა (საკმარისი იყო ფარი, დალიანდაგებული ქსოვილის აბჯარი, შესაძლოა – მუზარადიც), ამის შემლება კი გლეხთა გარკვეულ კატეგორიას ყოველთვის ჰქონდა. რა თქმა უნდა, მცირემასშტაბიან ბრძოლებში, შეტაკებებში თუ რეიდებში მონაწილე[134] მცირერიცხოვანი ფეოდალური რაზმების შემადგენლობაში, ძირითადად, სწორედ ცხენოსანი აზნაურ-მსახურებია საგულისხმო, მაგრამ ქვეითთა გარეშე შეუძლებელია ციხე-სიმაგრეთა ალყა, რომელიც შუა საუკუნეებში ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო.[135] საალყო მოქმედებების წარმოებისათვის, სხვადასხვა სახის სპეციალისტებთან (ინჟინრები, მესანგრეები) ერთად, საკმაო ოდენობით რიგითი ფეხოსნები იყო საჭირო. ასევე, მნიშვნელოვანი ბრძოლების დროს, როდესაც ბრძოლის ველზე მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოდიოდა, ჯარის ძირითად მასას ქვეითები ქმნიდნენ, რომლებიც მოსახლეობის დაბალი ფენის წარმომადგენლებით კომპლექტდებოდა (წვრილი ერი, გლეხობა).

თვით დასავლეთ ევროპაში, რომელიც კლასიკური ფეოდალიზმის სამშობლოს წარმოადგენს, სენიორი ყოველთვის ინარჩუნებდა თეორიულ უფლე-

---

133 მკვლევარი თვლის, რომ ერიდან ცხენოსანი გამოდიოდა და მისმა გადაშენებამ ლაშქრის რიცხვი შეამცირა. ე. ხოშტარია-ბროსე. ძველი ქართული საისტორიო წყაროების ტერმინთა „ერის“ და „წურილი ერის“ მნიშვნელობისა და შესაბამისი სოციალური ფენების ადგილის შესახებ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 120. №2. თბ. 1985, გვ. 435; ე. ხოშტარია-ბროსე. თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები, გვ. 183.

134 სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ფეოდალური ეპოქის სამხედრო მოქმედებები ხშირად ასეთი გახლდათ.

135 ამისათვის იხ. მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული პოლიორკეტიკა. საისტორიო კრებული. 2. თბ. 2012, გვ. 121.

ბას გაეწვია 16-დან 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი, მით უმეტეს, თუ ამას ადგილობრივი თავდაცვის საჭიროება მოითხოვდა. საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, რომელიც თავდაპირველად ყველგან (როგორც ევროპაში, ისე საქართველოში) მხოლოდ თავისუფალ ერს ეხებოდა, ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად გლეხებზეც გავრცელდა.[136] სენიორს შეეძლო მოეთხოვა მათი სამსახური, ადგილობრივის გარდა, ომის სხვა თეატრზეც. თუმცა, ეს სამსახური, მრავალი მიზეზის გამო, პრაქტიკაში ძალიან იყო გაძნელებული. უპირველესი ხელისშემშლელი ფაქტორი იარაღის ნაკლებობა ან სულაც უქონლობა იყო, რის გამოც რეკრუტთა რაოდენობა ბევრჯერ ნაკლები იყო სამობილიზაციო რიცხვთან შედარებით; გარდა ამისა, შუა საუკუნეების ეკონომიკა ვერ უძლებდა სამეურნეო ძალის დიდი ოდენობით მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, მითუმეტეს, რომ ეს მოქმედებები გაზაფხულ-შემოდგომაზე მიმდინარეობდა; თავის როლს თამაშობდა გლეხთა დაბალი საბრძოლო მომზადებაც. ყოველივე ამის გამო, გლეხთა მონაწილეობა ომებში საკმაოდ შეზღუდული იყო. თუმცა, ეს შეზღუდვები არ ნიშნავდა, რომ ისინი საერთოდ არ მონაწილეობდნენ ომებში, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიებზე, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. არავინ ელოდა მათგან პირველ ხაზში ბრძოლას, მაგრამ მეორეხარისხოვან როლებს ისინი ხშირად ასრულებდნენ, იქნებოდა ეს ადგილობრივი მცველების თუ ლაშქრის თანმხლები ქვეითების როლი.[137] ფეოდალურ საზოგადოებაში სენიორს ქვეითი ჯარი გლეხობიდან გამოჰყავდა;[138] შუა საუკუნეების არმიების ფეხოსნებს, ჩვეულებრივ, გლეხები შეადგენდნენ.[139] გლეხებზე ასეთი ვალდებულების დაკისრება საქართველოშიც მოხდებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან XII საუკუნის შემდეგ, ბატონყმობის გამარჯვებისა და დაბალი ფენების საბოლოო დაყმევების შემდეგ, ქვეითი ჯარის გამოსაყვან წყაროდ ბარის საქართველოში მხოლოდ გლეხი რჩება.[140] უფრო ადრე, XI-XII საუკუნეებში, შერეული იქნებოდა

[136] როგორც ს. რეინოლდსი აღნიშნავს, თავდაცვისა თუ სამხედრო სამსახურისათვის, გლეხს იმაზე უფრო ხშირად აიარაღებდნენ, ვიდრე იარაღის ტარებას უკრძალავდნენ. S. R eynolds. Fiefs and Vassals, გვ. 41-42.

[137] C. Gaier. Analysis of Military Forces in the Principality of Liege and the County of Looz from the Twelfth to the Fifteenth Century. Studies in Medieval and Renaissance History. 2. 1965, გვ. 25, 30-31, 35-36.

[138] M. Bloch. Feudal Society, გვ. 290.

[139] H. Nicholson. Medieval Warfare, გვ. 60.

[140] აღბუღას სამართალი, რომელიც XIV საუკუნის ძეგლია, იცნობს შემთხვევებს, როდესაც გლეხის ოჯახში აბჯარი ინახება და მემკვიდრეობით

ქვეითთა დაკომპლექტება ფეოდალთა რაზმებში, სადაც წვრილი ერის გარდა, გლეხიც მოხვდებოდა. შესაძლოა, ეს პროცესი უფრო ადრეც იყო დაწყებული, X საუკუნიდან მაინც, როდესაც გლეხთა რიცხვი საგრძნობი გახდა.[141] სენიორის (პატრონის) მიერ მოსახლეობის ყველა ფენის (მათ შორის, გლეხების) გაწვევის უფლება გარკვევით ჩანს ჩვენამდე მოღწეულ სალაშქრო ვალდებულებებათა ამსახველ დავთრებში. სამწუხაროდ, ასეთი ადრეული წიგნები არ მოგვეპოვება, მაგრამ სენიორის ამ უფლებას ვხედავთ გელათისადმი ბაგრატ მეფის 1545 წლის შეწირულების წიგნში, სადაც მეფის მიერ ეკლესიისათვის შეწირულ გლეხებს ლაშქარ-ნადირობა მაინც ევალებათ.[142]

გლეხების ომში მონაწილეობა სულაც არ ნიშნავდა ფეოდალური სისტემის კრიზისს: 1) ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, მათი მონაწილეობა ომში თითქმის ყოველთვის მოსალოდნელია შუა საუკუნეებში; 2) მეორეც, ქვეითი ჯარის გარეშე (რომელიც გლეხობისა და სხვა ქვედა ფენების წარმომადგე-

---

გადაეცემა: დაქვრივებულის ქონების განაწილებისას „გლეხთა ესე ქნან: ...თუ ეაჟიცა დარჩეს, აბჯარი ვაუსა, და საქონელი ქალსავე" (სამართალი ბექასი და აღბუღასი, გვ. 456-457). ბუნებრივია, სამართალი ზრუნავს, რომ აბჯარ-იარაღი გლეხის ვაუს გადაეცეს, რათა მომავალში მანვე გამოიყენოს ომსა და ლაშქრობაში.

[141] X-XI სს. ხელნაწერებში გლეხის ხსენებისა და მისი მნიშვნელობისათვის იხ. ი. აბულაძე. ძველი ქართულის ლექსიკიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. თბ. 1959, გვ. 169-75; მ. ბერძნიშვილი. გლეხთა კატეგორიები XI-XII ს-ში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. V. ნაკე. I. თბ. 1960, გვ. 139; ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 220-224. ქართული სოფლის სოციალური სურათის შესწავლისას დ. გოგოლაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ X საუკუნის შემდეგ, ანუ XI-XII საუკუნეებში მდაბიორთა მიწაზე მიმაგრება ძირითადად დასრულებულია და თავისუფალი მიწისმოქმედი უკვე გაგლეხებულია. X საუკუნიდან ტერმინ გლეხის გავრცელებაც ამ პროცესზე მიუთითებს (დ. გოგოლაძე. ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XV III სს.): სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია. თბ. 1992, გვ. 51-59.

[142] შეწირულების სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 185. ამ საბუთში ასახული მებეგრე გლეხთა სალაშქრო ვალდებულებების შესახებ იხ. მ. სანაძე. გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 149. გლეხების სალაშქრო ვალდებულება ჩანს ალექსანდრე II-ის 1579 წლის სიგელშიც, რომლითაც გლეხებს არაფერი არ ევალებათ „თვინიერ ლაშქარ-ნადირობისა" (იხ. მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოველისადმი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 201). სხვა ასეთი საბუთებისათვის იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 156.

ნელთაგან დგებოდა) რაინდული ტიპის არმია (რომელსაც ქართული ფეოდალური ლაშქარიც მიეკუთვნებოდა) წარმატებულად ვერ იბრძოლებდა,[143] განსაკუთრებით, აღმოსავლური ტიპის მომთაბარული არმიების წინააღმდეგ (როგორიც იყვნენ, უმრავლეს შემთხვევაში, ქართველთა მოწინააღმდეგენი). ასეთ შემთხვევებში, რაინდული არმიის ცხენოსნებს ბრძოლის ველზე აუცილებლად სჭირდებოდათ ქვეითთა მხარდაჭერა შეტევის თუ კონტრშეტევის მოსამზადებლად, წარუმატებელი შეტევის შემდეგ გადასაჯგუფებლად და მტრის ისრის წვიმისაგან დასაცავად.[144]

გლეხი ყოველთვის მონაწილეობდა შუა საუკუნეებში მიმდინარე ომებში, მხოლოდ მისი როლი და წილი მკვეთრად განსხვავდებოდა აზნაურისაგან. რა თქმა უნდა, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ომში გლეხთა ფართო ფენები მონაწილეობდნენ. **სამხედრო საქმიანობაში ჩართული იყო მათი მხოლოდ** მცირე ნაწილი, საერთო ჯამში, გლეხთა ფენის მეტად მცირე წილი.

მიუხედავად იმ უყურადღებობისა, რასაც, ჩვეულებრივ, მატიანეები იჩენენ გლეხთა მიმართ, მათში გაბნეული კანტი-კუნტი ცნობებიც ადასტურებს გლეხთა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დიდგორის ბრძოლაში გლეხებსაც კი დაუტყვევებიათ მუსლიმი დიდებულები: „და რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რამცა გჳნდოდა თქმად“.[145] ამ ცნობის საფუძველზე გ. მელიქიშვილი უთითებდა სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომთა (გლეხთა) მონაწილეობას სამხედრო ორგანიზაციაში („ზოგიერთ შემთხვევაში მაინც“).[146] ტაშისკარის ბრძოლის ანალოგიით, როდესაც გაქცეულ თათრებს დედაკაცებიც კი იჭერდნენ, ამის უარყოფას შეეცადა ქ. ჩხატარაიშვილი და ჩათვალა, რომ

[143] ეს არ იყო მომთაბარული ტიპის არმია, რომელიც მხოლოდ ცხენოსანთა ხარჯზე აღწევდა წარმატებებს.

[144] დასავლეთევროპული ლაშქარი ძირითადად რაინდულ-მსახურეული ჰგონია ე. ხოშტარია-ბროსეს, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს მცდარ დასკვნას ევროპული და ქართული ლაშქრის შედარებისას (ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 115; მისივე, თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები, გვ. 184-185.

[145] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 341-342.

[146] გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ. 1973, გვ. 74.

„დავითის ისტორიკოსის ამ სიტყვებიდან ... არ ჩანს, რომ გლეხები მოლაშქრეები იყვნენ...“ თავისი მოსაზრების შესამაგრებლად, მკვლევარმა მეტად უცნაური და არარეალური ტაქტიკური ხერხი მიაწერა დავით აღმაშენებელს: „გამორიცხული არც ისაა, რომ... დავითმა ლაშქართან ერთად გლეხობაც („ქუდზე კაცი“) გამოიყვანა და დიდგორის მიდამოებში რეზერვად დააყენა“.[147] საუბარს აღარ გავაგრძელებ სამხედრო თვალსაზრისით „რეზერვად დაყენებული“ გლეხთა მასის სრულ მიზანშეუწონელობაზე, მხოლოდ ვიტყვი, რომ წარმოდგენილი ანალოგია ვერ უარყოფს მემატიანის ცნობას ომში დაბალი ფენების მონაწილეობის თაობაზე: დავითის ისტორიკოსი გარკვევით (და სოციალური სტატუსის ერთგვარი დაპირისპირებით) ჩამოთვლის ქართული ჯარის წევრებს – გლეხებს და გოლიათებს (რაინდებს). მემატიანის ეს ცნობა არავითარ ეჭვს არ იწვევს ნ. ბერძენიშვილში, რომელიც მასზე დაყრდნობით პირდაპირ აცხადებს: „აქედან ცხადია, გლეხი მეომართა რიგებში არის“.[148] მეტიც, მკვლევარი იქვე განმარტავს, რომ ეს გლეხი არც თავისუფალი მიწისმოქმედია და არც მსახური, არამედ სოციალური კიბის უდაბლეს საფეხურზე მდგომი, დაბეგრილი და ომში მსუბუქი იარაღით გასული პირი.[149] ნ. ბერძენიშვილს კარგად ესმოდა, თუ რა ფორმით მონაწილეობდა გლეხი ომში: „გლეხის ლაშქრობა მარტივი იყო. ის ქვეითი იყო და ბატონის უშუალო მომსახურეობას ეწეოდა...“[150]

ქართულ ჯარში გლეხებს მოიხსენიებს არაბი ისტორიკოსი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადიც (1161/2-1231), რომელიც 1221 წელს მონღოლებთან ბრძოლაში ქართველთა დამარცხებაზე მოგვითხრობს: „და როცა [თათრებმა]

---

[147] ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 18.

[148] ნ. ბერძენიშვილი. მასალები ავტორის არქივიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. IX. თბ. 1979, გვ. 95.

[149] ნ. ბერძენიშვილი. მასალები ავტორის არქივიდან, გვ. 96.

[150] ნ. ბერძენიშვილი. მასალები ავტორის არქივიდან, გვ. 186. მართალია, ნ. ბერძენიშვილი ბევრგან წერს, რომ გლეხი მოლაშქრე არ იყო და ლაშქრობა არ ეეალებოდაო, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაცდინოს. მკვლევარი ერთმანეთისაგან ასხვავებდა მოლაშქრეობას (ცხენოსნად) და ომში მონაწილეობას (ქვეითად): „ომში გასვლას მოლაშქრეობა არ ეწოდებოდა. ომში ყველა შეეძლოთ გაეწვიათ. ამით ისინი მოლაშქრეები ვერ ხდებოდნენ... ლაშქარს წასვლა ან ლაშქრად წასვლა მჭედრ წასვლას გულისხმობდა. ცხადია, ლაშქრობა და ომში წასვლა ერთი და იგივე არაა. ლაშქრობა კი ნიშნავს ომში წასვლას, მაგრამ ყოველი მეომარი მოლაშქრე არაა“ (ნ. ბერძენიშვილი. მასალები ავტორის არქივიდან, გვ. 218).

ქართველთა ქვეყანას მიაღწიეს, ქართველებმა შეჰყარეს თავიანთი ჯარები და შეხვდნენ მათ, მაგრამ დამარცხდნენ. მოიკლა მათგან [ქართველთაგან] 8 ათასი რჩეული მეომარი და დიდძალი ქვეშევრდომი და გლეხი (*მინ ალ-ითმა ჯა ლ-ფალლაჰინა*)".[151] *რჩეული მეომარი* აქ აზნაურს შეესატყვისება, *ქვეშევრდომში* (*ალ-ითმა*) აზნაურულად მსახური უნდა ვიგულისხმოთ, *ალ-ფალლაჰუნა* კი გლეხებია,[152] რომლებიც ბრძოლის ველზე დაცემულთა შორის მოიხსენიებიან.

„ისტორიანი და აზმანის" ავტორი მოგვითხრობს ერთ შემთხვევაზე, როდესაც მუსლიმთა უეცარი თავდასხმისაგან დამარცხებული გიორგი III-ის ჯარი მძიმე დანაკარგების გარეშე გადარჩენილა: „არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ ლაშქართა შინა".[153] ამ ცნობის საფუძველზე, ნ. ბერძენიშვილი ჩამოთვლის ომში მონაწილეებს: დიდებული, აზნაური და აზნაურის ყმები, რომლებიც ორი კატეგორიის იყვნენ („ვარგი და საცნაური" და ჩვეულებრივი).[154] ჩემი აზრით, ეს აზნაურის ყმები მისი მსახურებია: 1) „ვარგი" – ცხენოსანი და 2) ჩვეულებრივი – ქვეითი. ორივე ეს კატეგორია დაბალი ფენიდანაა გამოსული – პირველ კატეგორიას ცხენით „აზნაურულად" სამსახური შეეძლო, მეორეს კი პატრონის სამსახური (კარვის გაშლა, ცხენების მოვლა, აღჭურვილობის მოვლა და შეკეთება, პატრონის შეჭურვა, საკვების მომზადება, ასევე, ბანაკის დაცემა, თხრილების („ხანდაკის") გათხრა, მესერის („სხრტის") შემოვლება, ბრძოლის ველის დათვალიერება, ტყვეთა მიხედვა, ნადავლის აკრეფა, დაჭრილი პატრონის მოვლა და ა.შ.[155] შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ამ „შავ სამუშაოს" აზნაურულად მებრძოლი მსახური ასრულებდა. მართა-

[151] გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. ჟურნ. „ცისკარი". 1. თბ. 1980, გვ. 135; მისივე, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. თბ. 2012, გვ. 237.

[152] შდრ. ზ. ბუნიატოვი, რომელიც ასევე თარგმნის – крестьян. З. М. Буниятов. Еще одна неизвестная страничка из истории средневековой Грузии. ჟურნ.: „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4. თბ. 1982, გვ. 162.

[153] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 14.

[154] მ. ბერძენიშვილი. მასალები ავტორის არქივიდან, გვ. 127.

[155] ასეთ მსახურებს „უჩინარ ადამიანებსაც" კი უწოდებენ, რადგან გლეხი მოსამსახურეების პოენა შუა საუკუნეების ლიტერატურაშიც და მხატვრობაშიც ძალიან ძნელია. R. Brzezinski. Polish Winged Hussar 1576-1775. Oxford. 2006, გვ. 61.

ლია, რიგ შემთხვევებში აზნაურებს (რაინდებს) კეთილშობილთა ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდა მეაბჯრე თუ საჭურველთმტვირთველი ემსახურებოდათ,[156] მაგრამ, ეს მხოლოდ რჩეულ და დიდგვაროვან აზნაურთა ხვედრი იქნებოდა. აზნაურ-რაინდთა ძირითად მასას, ისევე როგორც ევროპაში, მდაბიო წარმოშობის დამხმარე ეყოლებოდა.

ჩემი აზრით, თამარის ისტორიკოსის ფრაზაში, – „გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი“,[157] – იგულისხმება გლეხები („ქუეყანისა მოქმედნი“), რომლებიც სამხედრო სამსახურის წყალობით გახდნენ აზნაურნი. ე. ხოშტარია-ბროსე, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ფრაზით მემატიანე სამხედრო დამსახურების შედეგად გარკვეული ფენის სოციალურ წინსვლას აღნიშნავს, „ქვეყნისმოქმედნში“ რატომღაც ძველი „ერის“ წარმომადგენლებს („მდაბიორ-მოლაშქრეებს“) ხედავს და არა გლეხებს,[158] რომლებზეც, როგორც საზოგადოების მწარმოებელ („ქვეყნისმოქმედ“) ნაწილზე, პირდაპირ მიუთითებს წყარო. ი. ჯავახიშვილი გარკვევით ამბობდა, რომ „ქუეყანის-მოქმედი“ გლეხი იყო: „რაკი გლეხები სოფლის მუდმივი მკვიდრნი იყვნენ და მათი ერთადერთი საცხოვრებელი და მარჩენალი მიწისმოქმედება იყო, ამიტომაც არის, რომ ხშირად მათ მარტივად „ქუეყანისა მოქმედნი“ ეწოდებოდათ“.[159] როგორც ვხედავთ, ე. ხოშტარიას მცდარი დასკვნის მიზეზი ისაა, რომ მკვლევარი კატეგორიულად გამორიცხავდა XII საუკუნეში გლეხობის ომში მონაწილეობას, და შესაბამისად, გააზნაურების საშუალებას.

საყურადღებოა, რომ საბუთებში ხშირად მხოლოდ ცხენოსანი მოლაშქრენი გვხვდება და ქვეითად მებრძოლნი არ არიან ნახსენები, თითქოს ისინი არც არსებობდნენ.[160] ფეოდალური საზოგადოების დამოკიდებულება მდაბიო

---

[156] ასე მაგალითად, სამცხის ათაბაგის შვილი სარგისი „აღზრდილ იყო აბჯრისმტკურთველად“ (იხ. უამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბ. 1987, გვ. 207).

[157] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 34.

[158] ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 117.

[159] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 206.

[160] ქ. ჩხატარაიშვილმა ყურადღება მიაქცია ვახტანგ VI-ის ერთ საბუთს, სადაც „სამცხეთო ჯარში“ მხოლოდ „მსახურ-აზნაურიშვილები“ არიან მოხსენიებულნი, მაშინ როდესაც სალაშქრო დავთრები ზუსტად ასახავენ გლეხთა მასობრივ მონაწილეობას იმავე ჯარში (ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 23).

ქვეითებისადმი გასაკვირი არ არის,[161] მაგრამ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ისინი ქართულ ჯარში საერთოდ არ არსებობდნენ. ქვეითი ჯარი ქართული ფეოდალური ლაშქრის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა და იგი ყველაზე დაბალი ფენიდან (წვრილი ერი, გლეხობა) გამოდიოდა. გლეხის სისხლის ფასი ოთხასი თეთრი იყო, მაგრამ თუ მას „პატრონნი იცნობდენ სიკეთეზედა, მისიცა ათასი თეთრი იყოს".[162] ისეთი გლეხის სისხლი, რომელიც პატრონს ახლდა და „მსახურებდა", ჩვეულებრივ გლეხთან შედარებით ორნახევარჯერ ძვირი ღირდა.[163] „სიკეთეზედ ცნობა" პატრონის სასარგებლოდ გლეხის მრავალგვარ სამსახურს გულისხმობს და, ალბათ, ომში ხლებასაც.[164]

აზნაურისა და გლეხის დამოკიდებულება სამხედრო საქმისადმი

მიუხედავად გლეხის მონაწილეობისა ომში, სახელმწიფოს მიდგომა ფეოდალისა და გლეხის მიმართ განსხვავებული იყო. საქართველოში ყოველი აზნაური იყო ლაშქარვალდებული. საჭიროების შემთხვევაში, თავად-აზნაურებს „ტოტალურად" იწვევდნენ, გლეხებს კი „შეწერილის" მიხედვით: „შჰეკუეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა – სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან – წარსლვად ლაშკარსა შინა, ხოლო გლეხთა მზგავსად შეწერილებისად".[165] აზნაურთა „ტოტალურ გაწვევას" ჯერ კიდევ ჟამთააღმწერელი ადასტურებს, რომლის თანახმადაც, მონღოლთა მხარდამხარ გილანში ბრძოლისას დამარცხებული ქართველები „ესრეთ მოსწყჳდეს, მრავალნი აზნაურნი უმკჳდრო გახდეს, რამეთუ მამა, შვილი და ძმა, ყოველნივე მუნ ახლდეს".[166]

თავის მხრივ, ფეოდალს და გლეხს სრულიად განსხვავებული დამოკი-

---

161 შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელია, რომ საზოგადოების და არმიის მაღალ ფენებზე ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე უბრალო ჯარისკაცებზე (D. Nicolle. Saracen Faris 1050-1250 AD. Oxford. 1994, გვ. 5).

162 სამართალი ბექასი და აღბუღასი, გვ. 429.

163 დ. ფურცელაძე. „უხმარ გასრულისა" და „სისხლმცირე კაცის" საზოგადოებრივი სტატუსისათვის აღბუღას სამართალში. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. III. თბ. 1979, გვ. 40.

164 საყურადღებოა, რომ მ. სანაძის შეხედულებით, „სიკეთეზედ ცნობილი" გლეხი, „თავისი ვალდებულებითა და მდგომარეობით, უახლოვდება მსახურს" (მ. სანაძე. გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 123). მსახურთან დაახლოება კი, პირველ რიგში, გლეხის სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობას ნიშნავდა.

165 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 31.

166 ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 214.

დებულება ჰქონდათ სამხედრო საქმის მიმართ. აზნაურისათვის სამხედრო სამსახური ჩვეულ საქმიანობას წარმოადგენდა, გლეხისთვის კი – მეორადი, თავს მოხვეული ვალდებულება იყო. ეს განსხვავებული დამოკიდებულება ომისადმი კარგად ჩანს ერთ სბუთში (მართალია, გვიანდელ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის). 1798 წელს გიორგი XII წერს ოთარ ამილახვარს, ზემო ქართლის სადროშოს სარდალს: „გლეხმა კაცებმა იციან, ვისაც ცხენი ყავს, რომ შინ დააგდებენ-და შინ ცხენს ნურავინ დააგდებს, ვისაც ჰყვანდეს ცხენით წამოვიდნენ...“[167] დამახასიათებელია, რომ გლეხი ქონებას უფრო უფრთხილდება, ვიდრე საკუთარ თავს და ურჩევნია, მეურნეობისათვის საჭირო ცხენი შინ დატოვოს, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ცხენმა შეიძლება ომში სიკვდილისგანაც კი გადაარჩინოს.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები, ცხადია, ბარის საქართველოს ეხება, რომელიც ფეოდალური იყო. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ თავისუფალ მეთემეებს („ჰეროვანი“), მათი მონაწილეობა ფეოდალურ ლაშქარში გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებოდა. საქართველოს მთაში ფეოდალიზმმა ბოლომდე ვერ შეაღწია (ე.წ. „პროტოფეოდალიზმი“),[168] სასოფლო თემები ვერ მოსპო, სოციალური დიფერენციაცია სუსტი იყო და მოსახლეობამ თავისუფლება მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა.[169] მთის ლაშქარი „სამხედრო დემოკრატიის“ პრინციპებზე იყო აგებული, სადაც ყოველი მამაკაცი მოლაშქრე იყო. ეს განაპირობებდა მთიელთა ლაშქრის სახალხო ხასიათს და შედარებით მრავალრიცხოვნებას და, ამავე დროს, ქვეით ხასიათსაც.

---

[167] ა. კლიმიაშვილი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი. თბ. 1964, გვ. 131.

[168] ამ ტერმინისათვის იხ. გ. მელიქიშვილი. მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 1976, გვ. 169-170.

[169] მთიელთა სამხედრო ორგანიზაციის შესახებ იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 25-31; ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები. თბ. 1984, გვ. 97-108, 124-126. თავის მხრივ, მთის კუთხეებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სოციალური განვითარების დონით: მაგალითად, სვანეთში უფრო იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, გვ. 122.

მთიელთა მონაწილეობამ ფეოდალური საქართველოს ლაშქარში მეტი მნიშვნელობა შეიძინა ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგ, როდესაც ისინი აკომპლექტებდნენ აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს მეფეთა მცველ რაზმებს: „ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა... არღაცა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჭეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოკვეე-მთიულნი... ხოლო იმერთა – რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა – ქისიყი".[170]

ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობის განხილვის შემდეგ თვალსაჩინოა გარკვეული სიახლოვე და პარალელები ევროპულ სამხედრო საქმესთან. ეს მოსალოდნელიცაა, რადგან მსგავსი სოციალური წყობა მსგავს სამხედრო ორგანიზაციას შობს: ჩანს, რომ აზნაური შეესაბამება რაინდს, ლაშქრად გამოსული აზნაურულად მსახური (ქოთლოსან-აბჯროსან-კარვოსანი) კი – სერჟანტს.[171] ბუნებრივია, საბრძოლო მოწყობისას პირველობას არავის დაუთმობდნენ და წინა რიგს შექმნიდნენ ყველაზე კარგად აღჭურვილი დიდებულ-აზნაურები, რომელთა უკან, მეორე რიგში, მასობრივად დაწყობილი მრავალრიცხოვანი მსახურები იდგებოდნენ.[172] ასეთ მოწყობაზე მიუთითებს ჟამთააღმწერელის ერთი ცნობა. 1281 წელს მამლუქებთან ჰომსის ბრძოლაში, სადაც მონღოლთა რიგებში 5 000 ქართველიც იბრძოდა დემეტრე II-ის მეთაურობით, ქართველ წინამბრძოლთა რაზმი თითქმის მთლიანად განადგურდა: „იქმნა სასტიკობა ესევითარი, რომელ ორასი მჴედარი წინამბრძოლად განეწესნეს მეფესა და სრულიად მოისრნეს თჳნიერ მეფისა და სამთა კაცთასა და ცხენთასა".[173] ცხადია, ამ 200 კაციან წინამბრძოლს ყველაზე კარგად აღჭურვილი დიდებულ-აზნაურები შეადგენდნენ, რასაც ამ რაზმში

[170] ეახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 31.

[171] ომში რაინდების დამხმარე, დაბალი წარმოშობის მებრძოლებს სერჟანტებს უწოდებენ, რაც სიტყვა-სიტყვით „მსახურს" ნიშნავს: ფრანგული sergent ლათინური serviens-დან მომდინარეობს (H. Nicholson. Knight Templar 1120-1312. Oxford. 2004, გვ. 10.

[172] ევროპული კავალერიის მეორე რიგში მიმავალი სერჟანტები რეზერვს წარმოადგენდნენ, რომელთაც რაინდთა წარმატებული შეტევის განვითარება შეეძლოთ ანდა, წარუმატებლობის დროს ბრძოლაში ჩაბმით, რაინდებს გადაწყობის დროს და საშუალებას აძლევდნენ (M. Bennett. La Regle du Temple as a Military Manual or How to Deliver a Cavalry Charge. in The Rule of the Templars: The French Text of the Rule of the Order of the Knights Templar. Translated and introduced by J. M. Upton-Ward. Woodbridge. 1992, გვ. 186.

[173] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 170.

თავად მეფის ყოფნა მოწმობს.

საბოლოოდ, შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო მოწყობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. წამყვან როლს თამაშობდნენ აზნაურ-დიდებულები, რომლებიც ცხენზე ამხედრებულნი, მძიმედ შეჭურვილები გადიოდნენ ბრძოლაში; 2. მათი რიცხვი საკმარისი არ იყო ომის საწარმოებლად და მათ რიგებს ავსებდნენ ქვედა ფენებიდან დაწინაურებული მსახურები, რომლებიც ასევე ცხენით (აზნაურული წესით) იბრძოდნენ; 3. პატრონ-აზნაურებს ომში თან ახლდნენ დაბალი ფენის წარმომადგენლები („წვრილი ერი", გლეხობა), რომლებიც პატრონს ემსახურებოდნენ და ქვეით ჯარს შეადგენდნენ; ქვეითი ჯარის რიცხვს ავსებდა მთის სხვადასხვა თემიდან გამოსული ქვეითი მოლაშქრეებიც.

Mamuka Tsurtsumia

MILITARY PERSONNEL OF THE MEDIEVAL GEORGIAN ARMY

Summary

The present article examines the composition and military personnel of the Medieval Georgian army.

In the Georgian Medieval society, feudal noblemen (the Aznauris) were the largest landowners which contributed to their wealth and therefore, to their best armament. The Aznauris and Didebuli were the elite of armed forces and the best equipped warriors – heavily armed horsemen.

Servants (sergeants) were professional fighters who constituted the most part of the cavalry. Compared to nobles, they were less wealthy and consequently less armed. During the battle, servants were put behind the nobles and followed them.

The peasant class was also involved in the military activity but only to a very small percentage. A peasant as an infantryman was rather important on the battlefield for any knightly army such as the Georgian Medieval army.

Thus, the Medieval Georgian army was organized in the following way: 1) leading role was played by noblemen who constituted the most heavily armed cavalry; 2) their number was not sufficient and their ranks were filled with the servants who fought on horseback; 3) in the battle this feudal cavalry was accompanied by the peasantry who formed the infantry part of the army; various mountaineers also appeared to play considerable role in the Georgian infantry, especially in the later Middle Ages

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ნესტან სულავა

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ქართულ ჰიმნოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაში

XII-XIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში, კერძოდ, ჰიმნოგრაფიაში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანისა და საქართველოში დამკვიდრების ორი ვერსია არსებობს: ერთი ვერსიის მიხედვით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპი, რომლის ნიმუშია ანჩის ხატის სახელით ცნობილი ხატი, საქართველოში იეროპოლისიდან მოციქულთა თავს, ანდრია პირველწოდებულს, ჩამოუტანია საქართველოში; ამ თემას შეეხო იოანე ანჩელი „გალობანი ანჩისხატისანში", რომლის მიხედვით, წმ. ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში მოიტანა „პირი ღმრთისა", ანუ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ანჩის ხატის პროტოტიპი.

მეორე ვერსიით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, კერამიონი, რომელიც მარტყოფის მონასტერში ინახებოდა და მარტყოფის მაცხოვრის სასწაულთმოქმედი ხატის სახელითაა ცნობილი, საქართველოში მოაბრძანა წმ. ანტონ მარტმყოფელმა VI საუკუნეში. ამ ვერსიას იცნობენ და ასახავენ არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლები. ამავე ვერსიას იცნობს წმ. ანტონ მარტმყოფელის „ცხოვრების" სვინაქსარული რედაქცია. XIII საუკუნის 30-იან წლებში ძმების აბუსერ და ვარდან აბუსერისძეების „შეხუეწით" საქართველოს კათოლიკოსმა, არსენ ბულმაისიმისძემ, და მთავარეპისკოპოსმა, საბა სვინგელოზმა, შექმნეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები. მათი ვერსიით, მაცხოვრის თიხაზე, საგალობლის მიხედვით, „კეცზე" დატვიფრული ხელთუქმნელი ხატი, კერამიონი, საქართველოში VI საუკუნეში მოიტანა ასურეთიდან მოსულმა წმ. ანტონ მარტმყოფელმა. საისტორიო მწერლობაში, კერძოდ, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანმა მატიანემ" საგულისხმო ცნობები შემოგვინახა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სასწაულქმედების შესახებ. ცნობა დაცულია, აგრეთვე, XVIII საუკუნის

ღვთაების გუჯარში.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ ცნობებს გვაწვდიან უცხოელი ისტორიკოსები, ღვთისმეტყველი წმიდა მამები და სახელმწიფო მოღვაწეები: ევსევი კესარიელი (I წიგნი, XIII თავი), პროკოპი კესარიელი, ევაგრე სქოლასტიკოსი (PG, IV, 86, col. 2745-2748), წმ. იოანე დამასკელი, გიორგი სვინგელოზი, წმ. თეოდორე სტუდიელი, მოსე ხორენელი, კონსტანტინე პორფიროგენეტი. ამ უკანასკნელის ცნობების თანახმად, ედესიდან კონსტანტინეპოლში 944 წელს ჩააბრძანეს მანდილიონი, ხოლო 945 წელს კონსტანტინე VII-მ მას ქადაგება უძღვნა, რის შემდეგაც ბიზანტიაში შეიქმნა ამ ხატისადმი მიძღვნილი თხზულებები და დაწესდა დღესასწაული 16 (29) აგვისტოს. იგი ემთხვევა ქართული საეკლესიო კალენდრის დღესასწაულს, ანჩისხატობას, და მამა ანტონობას. ნ. ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ წმინდა მანდილის, ანუ საუფლო ხატის დღესასწაული, ლიტურგიკულ პრაქტიკაში წმ. გიორგი მთაწმიდელმა დაამკვიდრა.[1] ქართულ საეკლესიო ლიტურგიკულ პრაქტიკაში ეს დღესასწაული ტბელ აბუსერისძის მიერ არის დაწესებული.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიის წყაროდ მიჩნეულია ცნობილი აპოკრიფული ტექსტი ავგაროზ მეფისა და მაცხოვრის მიმოწერისა. ვარაუდით, ამბავი ავგაროზის შესახებ I-III საუკუნეებში უნდა გავრცელებულიყო სირიაში. ბიზანტიურ მწერლობაში მას დაემატა და მის წამყვან მოტივად იქცა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა. მისი სიმბოლური მხარე წარმოჩნდა ფერწერაში და შეიქმნა ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპი როგორც ფრესკულ ხელოვნებაში, ისე ხატწერაში.[2] სწორედ ამგვარი იკონოგრაფიული ტიპის ერთ-ერთი ნიმუშია ანჩის მაცხოვრის ხატი. გადმოცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, ანჩისხატის მაცხოვარი იკონოგრაფიულად მაცხოვრის კარგად ცნობილი, განსაზღვრული ტიპია.[3] მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპი, ჩამოყალიბებული IV-V საუკუნეებში სირია-პალესტინაში, წარმოადგენს მაცხოვრის თავის გამოსახულებას უბიუსტოდ, შუაზე გაყოფილი თმებითა და წვერ-ულვაშით.

ჩვენამდე შემონახულია უფლისა და ავგაროზის მიმოწერის შემცველი

[1] ნ. ჩხიკვაძე. ავგაროზის ეპისტოლის შესახებ, ჟურნ.: „გზა სამეუფო". №1. 1996, გვ. 43.

[2] ქ. მიქელაძე. ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება XII-XIII საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში. ჟურნ.: „ლიტერატურა და ხელოვნება". 1991. №3, გვ. 216.

[3] შ. ამირანაშვილი. ბექა ოპიზარი. თბ. 1956, გვ. 13.

აპოკრიფული თხზულების რამდენიმე ვერსია, რომლებიც ქართულად XI-XII საუკუნეებში ითარგმნა. ეპისტოლის სირიული ვარიანტის ისტორია I-III საუკუნეებიდან დაიწყო და საბოლოოდ VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე გაფორმდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეპისტოლის აპოკრიფულობა განაპირობა როგორც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის პოპულარულობის, ისე ხატის დღესასწაულის დაწესების დაგვიანებამ. მან კანონიკური ხასიათი შეიძინა X საუკუნის შუა წლებში, როდესაც ბიზანტიაში დამკვიდრდა ხატის დღესასწაული. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეპისტოლის მიხედვით, მანდილზე აღბეჭდილი ხატება ავგაროზ მეფეს ქრისტეს მოციქულმა თადეოზმა ამაღლების შემდგომ გადასცა, ეპისტოლემ აპოსტოლური მნიშვნელობა შეიძინა.

მოკლედ ეპისტოლეთა შინაარსის შესახებ: ეპისტოლეთა მიხედვით, ედესის წარმართმა დასნეულებულმა მეფემ ავგაროზ მეხუთემ მაცხოვარს ედესაში ჩასვლა სთხოვა, რათა განეკურნა იგი. თან დაჰპირდა უსაფრთხოებას, ვინაიდან წინასწარ იცოდა, თუ რა განსაცდელი მოელოდა იესო ქრისტეს იერუსალიმში. იესომ უარი განაცხადა ჩასვლაზე, მაგრამ დაჰპირდა, რომ ამაღლების დღესასწაულის შემდეგ გაგზავნიდა ერთ-ერთ თავის მოწაფეს და განკურნავდა მას იმ შემთხვევაში, თუ ავგაროზ მეფე ქრისტიანობაზე მოიქცეოდა. ავგაროზმა იერუსალიმში „წარავლინა მხატვარი (ანანია – ნ. ს.) გამოსახვად ხატისა უფლისასა და მიღებად მისა. და მი-რაჲ–იწია მხატვარი იგი... ბჭეთა იერუსალემისათა, შეემთხჳა მათ იესუ“,[4] მაგრამ მხატვარმა ვერ შეძლო უფლის ხატის ფერწერული გამოსახულების შექმნა, რის შემდეგაც იესო ქრისტემ „მიიღო ტილოჲ იგი და დაიდვა პირსა ზედა თჳსსა და მეყსეულად გამოისახა ხატი მისი მას ზედა“.[5] მაცხოვარმა ტილო გადასცა თავის მოწაფეს, თადეოზს, რომელსაც უანდერძა ტილოზე აღბეჭდილი ხატის ედესაში ჩატანა ამაღლების შემდეგ. ანანია და ქრისტეს მოციქული თადეოზი ასეც მოიქცნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ხატს ქრისტეს მტერთაგან საფრთხე ემუქრებოდა, დაცვის მიზნით, იერუსალიმიდან ედესაში გადატანისას, თადეოზმა „აღმართა კეცი წინა პირსა ხატისასა... ხოლო რომელი იგი კეცი საფარველად მის ხატისა აღმართებულ იყო, მას ზედა გამოსახულ იყო სხუა ხატი და მსგავსება წმიდისა მის საუფლოჲსა ხატისა“.[6] ასეთია აპოკრიფული

[4] ნ. ჩხიკვაძე. ავგაროზის ეპისტოლის შესახებ, გვ. 32-72.
[5] ნ. ჩხიკვაძე. ავგაროზის ეპისტოლის შესახებ, გვ. 37.
[6] ნ. ჩხიკვაძე. ავგაროზის ეპისტოლის შესახებ, გვ. 52.

თხზულებების მონათხრობი. ქართველმა მთარგმნელმა მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა მასში და დაამატა, რომ „კეცის“ ხატი, ანუ კერამიონი, ერეტიკოსთა, კერძოდ, ნესტორიანელთა ეკლესიიდან VI საუკუნეში გამოიხსნა წმ. ანტონ მარტყოფელმა: „ნისტორიანთა ეკლესიასა შინა იყვნეს საუფლონი იგი ხატნი და აღიყვანა კეცნი, რომელი საფარველად მის ხატისა ყოფილ-იყო და ხატ ქმნულ იყო“.[7] მან სასწაულმოქმედი ხატი საქართველოში, კერძოდ, მარტყოფში წაბრძანა და დაასვენა. კერამიონის ხატის აღწერილობა არ შემონახულა, წერილობით წყაროებში მის აღწერილობას ვერ ვხვდებით.

ჰიმნოგრაფიული თხზულებებიდან პირველად უნდა განხილულ იქნას იოანე ანჩელის საგალობელი. უნდა გაირკვეს ანჩის მაცხოვრის ხატის რაობა და სახეობა. ანჩის მაცხოვრის გამოსახულება, რომელმაც ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია, არის ხელთუქმნელი ხატი, რომელსაც ძველად საქართველოში, შალვა ამირანაშვილის სიტყვით, განსაზღვრული ტერმინით აღნიშნავდნენ და ეწოდებოდა ხატი ცვილოვანი, რომელიც შესრულებული იყო წმინდა სანთელში გახსნილი ფერების ფხვნილით. წერილობითი წყაროები და ხატის წარწერები ერთხმად მიუთითებენ, რომ ანჩის მაცხოვრის ხატი ხელთუქმნელი ხატის ტიპისაა, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპია, ჩამოყალიბებული IV-V სს-ში სირია-პალესტინაში; მას ეწოდება „ხატი განკაცებისა“, „პირი ღმრთისა“, „ედესის ხატი“. გადმოცემის თანახმად, აღნიშნული ხატი არის ედესის მაცხოვრის განთქმული ხელთუქმნელი ხატი, ტილოზე, ანუ მანდილზე გადატანილი ხატის ტიპი, რომელსაც ხატი მანდილისა, ანუ მანდილიონი ეწოდებოდა.[8] იოანე ანჩელის საგალობლით, წმ. ანდრია მოციქულმა საქართველოში ჩამოიტანა არა აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, არამედ თვით ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი. ანჩის მაცხოვრის ხატი კი არის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ტიპისა, რომელიც კლარჯეთის დიდებად იყო მიჩნეული. ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპი გავრცელდა IV-V საუკუნეებიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ხატმებრძოლეობის ხანაში, რადგან სწორედ ეს ხატი იყო ყველაზე მტკიცე საბუთი ხატთაყვანისმცემლებისა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ხელთუქმნელი ხატის შესახებ ცნობებისა და წყაროების მიჩქმალვას. იოანე ანჩელი გვაუწყებს: „ანდრია, თავი მოციქულთა, პირველწოდებული მოწაფე მეუფისა დიდისა,

[7] ნ. ჩხიკვაძე. ავგაროზის ეპისტოლის შესახებ, გვ. 38.
[8] შ. ამირანაშვილი. ბექა ოპიზარი, გვ. 2.

იდიდებოდენ ყოველთაგან უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა, იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ, მოსავთა მისთა, მოგუანიჭა".[9] „ქრისტე ღმერთო სახიერო, ხატი განკაცებისა შენისაჲ მოციქულისა ანდრიაჲს მიერ გამოგუბრწყინვე".[10]

სამეცნიერო ლიტერატურაში (შ. ამირანაშვილი, თ. საყვარელიძე) ანჩის ხატისადმი საგალობლის მიძღვნა ახსნილია მისი მოჭედვით ბექა ოპიზარის მიერ იოანე ანჩელ-რკინაელის მზრუნველობით. ვფიქრობ, საგალობლის შექმნა მესიანური იდეის გააქტიურებით უფრო უნდა აიხსნას, ვინაიდან იგი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ზეობის ჟამს ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითშემეცნების განსამტკიცებლად დაიწერა.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელთა მიხედვით, შესაძლებელი ხდება ხატის საქართველოში მოხვედრის ისტორიის დაზუსტება. ედესის მთავარს, დასნეულებულ ავგაროზს, მაცხოვარმა, ბუნებით სრულმა ღმერთმა და ბუნებით სრულმა კაცმა, განგებულებით უძღვნა თავისი სახის ხატი, რომელიც ქრისტეს ნების თანახმად, მოციქულმა თადეოზმა,[11] იერუსალიმში შეინახა ქრისტეს ვნებამდე და მხოლოდ ქრისტეს ვნებისა და ამაღლების შემდეგ გადასცა იგი ედესაში ავგაროზს, რომელიც მყისვე ღამით გზად შეჩერებულა იეროპოლისში, სადაც მანდილი ორ კეცს შუა შეუნახავს. მეორე დღეს უნახავთ კეცზე გამოსახული სახე ღვთისა, რომელმაც მოაღწია საქართველოში. ავგაროზის სიცოცხლეში მანდილს, ანუ ტილოს, რომელზეც ღვთის ხატება იყო აღბეჭდილი და რომელიც ქალაქის შესასვლელში გამოფინეს, უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ სხვა რჯულის წარმომადგენელთაგან, რომლებიც ქრისტიანობას ებრძოდნენ.

ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა III-IV საუკუნეებში; იგი სწორედ ამ დროიდან ჩამოყალიბდა სახელმწიფო რელიგიად რომის იმპერიაში, რომლის აღმოსავლეთმა ნაწილმა მოგვიანებით ბიზანტიის სახელწოდება მიიღო; შემდეგ კი მცირე აზიისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებშიც სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქრისტიანობას ბრძოლა უხდებოდა სხვადასხვა ერესის, კერძოდ, არიანობისა და ნესტორიანობის წინააღმდეგ. წერილო-

9 ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბ. 2003, გვ. 299.

10 ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 298.

11 ზოგი ვერსიით, თადეოზთან ერთად იმყოფებოდა თომა მოციქულიც (იხ. ნ. ჩხიკვაძე, ავგაროზის ეპისტოლის შესახებ, გვ. 32-72).

ბითი წყაროები კონკრეტულად უთითებენ VI საუკუნეს, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის კვლავ გამოჩენისა და ედესიდან წაბრძანების შესახებ, ვინაიდან ედესაში ამ ხანებში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. ედესა რელიგიური ბრძოლების ერთ-ერთი ცენტრალური მხარე იყო, ამიტომ საჭირო და აუცილებელი გახდა მანდილიონისა და კერამიონის (ეს უკანასკნელი იეროპოლისში ინახებოდა) ღვთისმბრძოლთაგან გამოხსნა. არსენ ბულმაისიმისძის საგალობელთა მიხედვით, შუამდინარეთიდან ამიტომაც მოვიდა მამა ანტონი ხელთუქმნელი ხატის ძიებად, იგი ჯერ ედესაში მივიდა, სადაც მანდილიონი ინახებოდა, და შემდეგ იეროპოლისში, სადაც კერამიონი იყო დაცული და რომელსაც განსაცდელი ელოდა მწვალებელთაგან. მან ნესტორიანელებს გამოსტაცა კეცზე გამოსახული ხატება, ანუ კერამიონი, და საქართველოში მოაბრძანა. მანდილზე გამოსახული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი კი ოთხი საუკუნის შემდეგ კონსტანტინეპოლში დამკვიდრდა. არსენ ბულმაისიმისძე არ ასახელებს, თუ როდის წაიყვანეს ხატი კონსტანტინეპოლში, უბრალოდ ფაქტს აღნიშნავს. ქრისტიანული აღმოსავლეთის დედაქალაქში, კონსტანტინეპოლში, რომელსაც არსენმა ქალაქთა მზე უწოდა, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მანდილზე დატვიფრული ხატების დამკვიდრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ კონსტანტინეპოლი, რომელიც IV საუკუნის I ნახევარში დაარსდა, მოციქულებრივი მემკვიდრეობის ქალაქი არ იყო, თუმცა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობაში იმყოფებოდა.

ასურელ მამათა ცხოვრების მიხედვით, წმ. ანტონ მარტმყოფელი საქართველოში VI საუკუნეში მოვიდა სხვა წმიდა მამებთან ერთად, რაც საფუძვლიანად ადასტურებს იმას, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის პირველსახეს, პროტოტიპს, კერამიონს, საქართველოში VI საუკუნეში მოულწევია. ამავე ვერსიას ასახავს საბა სვინგელოზის საგალობელიც. რაც შეეხება გვიანი შუა საუკუნეების ინფორმაციებს ხატის შესახებ, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მარტყოფში არსებობის ფაქტს მიუთითებს XVIII საუკუნის „ღმრთაების გუჯარი", რომელიც ხატს უხილავს უწოდებს.[12] ხატის გადამალვის შესახებ მიუთითებენ პლატონ იოსელიანი (Описание Маркопского Монастыря) და კათალიკოსი კირიონი (ეპისკოპოსობისას შექმნილი ნაშრომი: Жизнь и подвиги преподобного Антония Столпника). არ ჩანს, თუ რა

[12] ქართული სამართლის ძეგლები. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 367-369, 380.

წყაროებს ემყარებიან ისინი.

არსენ ბულმაისიმისძის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები შეიქმნა საგანგებო დანიშნულებით. მათში აღორძინდა და წარმოისახა ქართველი ერის რჩეულობის იდეა. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა მესიანური იდეის ერთ-ერთი ნაწილი გახდა, ქართველი ერი ამ დროისათვის უკვე იწოდებოდა „ერად საზეპუროდ" და არსენ ბულმაისიმისძე ქართველ ხალხს, რომელიც ღირსი გახდა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა, „ახალ ისრაელად", „ახალ ერად", „საზეპურო ერად" იხსენიებს. მის საგალობლებში ახსნილია ის მიზეზები, თუ რატომ იყო დაფარული VI საუკუნემდე ხატი იეროპოლისში და რატომ წამოაბრძანა ასურელმა წმიდა მამა ანტონმა იგი საქართველოში. „ახალი ერი" ზოგადად სულიერად განახლებულ ერს, ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე ერებს გულისხმობს. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამობრძანება წმ. ანტონ მარტმყოფელის ხელით, ვფიქრობ, დაკავშირებული უნდა იყოს დიოფიზიტური ცნობიერების გაძლიერებასთან. ხატის მობრძანებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ კირიონ I-მა ქართული ეკლესია გახადა დიოფიზიტური. აქედან გამომდინარე, არსენ ბულმაისიმისძის სიტყვები „ახალი ძღუენი",[13] რომელიც ახალმა ერმა დაიმკვიდრა, სიმბოლური აზრის მომცველია, ვინაიდან „ახალი ერი", ანუ ქართველი ერი, სულიერად განახლებულია.

სავარაუდოა, „ახალი ძღვენი" მესიანური თვალთახედვითაც იყოს საყურადღებო; მაცხოვრის კვართი, სამსჭვალი, ფიცარი, ღვთისმშობლის წილხვდომილობა, ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევა უშუალოდ ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნიშნებია მესიანიზმისა. ამავე რიგისად მიმაჩნია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ქართლში VI საუკუნეში დამკვიდრება, რომელიც რიგითობის თვალსაზრისით გვიან მოიპოვა ქართველმა ერმა. ჰიმნოგრაფს სწორედ ამიტომ უნდა ეწოდებინა მისთვის „ახალი ძღუენი", როგორც სულიერი განახლების გამოხატულება. ეს „ახალი ძღვენი" კი ამიერიდან მარადიულად გახდა ქართველთა საკუთრება. ქართველთა სამეფო კი ახალი ისრაელის ქალაქთა შორის უმრწემესი არ არის: „მ, ქართველთა სამეუფოო, არასადა უმრწემეს ხარ ქალაქთა შორის ახლისა ისრაილისათა, რამეთუ დაიუნჯე ზესთგამოთქუმისაჲ ნიჭი, ვითარ სხუამან არავინ".[14]

ქართველი ერის რჩეულობისა და საზეპურო ერად მიჩნევის იდეას აგ-

[13] ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 317.
[14] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 319.

ვირგვინებს არსენ ბულმაისიმისძის მიერ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ქალაქთა მზემ, კონსტანტინეპოლმა, მანდილზე აღბეჭდილი ხატი მაცხოვრისა დაიმკვიდრა, ხოლო ქართლმა კეცზე დატვიფრული ხატება მაცხოვრისა: „ქალაქთა მზემან ტილოჲ, ხოლო ქართლმან კეცი დაიმკჳდრა სიმდიდრედ საცხოვრებელად. შეეიტკბობ ჴელთა ანტონისთა სანატრელთა ქველისმოქმედთა მათ ჩემთა, რომელნი ამას მსახურ ექმნეს".[15] მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში შემობრძანება საგალობლებში შედარებულია ბზობის დღესასწაულზე მაცხოვრის „კიცუსა ზედა მჯდომარედ" იერუსალიმს შებრძანებასთან, რომელიც, თავის მხრივ, დანიელის წინასწარმეტყველებიდან სამი ყრმის ეპიზოდთანაა შედარებული.

ამავე ვერსიას ასახავს საბა სვინგელოზის საგალობელიც: „იქმნა საკუთარ ანტონი განთქუმული, სერაბინ ექმნა რა ხატსა ქრისტესსა აღმომყვანებელი ედესით ქართლად... ესე პირმშო ხატი აღმობრწყინდა და გამოაჩინა პირი სამოციქულოსა ნაწილსა უბიწოჲსა დედისა ქალწულისასა".[16]

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ხელთუქმნელი ხატის შესახებ მოგვითხრობს წმ. ანტონ მარტყოფელის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია, რომელიც, ე. გაბიძაშვილის თვალსაზრისით, განსხვავებით ტრადიციული შეხედულებებისაგან, არ არის ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შექმნილი რედაქცია, არამედ უფრო ადრეულია. ოღონდ იგი შედგენილი ჩანს არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლების შექმნის შემდეგ, რადგან მისი გავლენა აშკარად ემჩნევა წმ. ანტონ მარტყოფელის „ცხოვრების" სვინაქსარულ რედაქციას.[17]

თხზულება, რომელიც ხატის მარტყოფში არსებობას ადასტურებს, მე-14 საუკუნის ანონიმი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, თხზულებაა, რომელშიც შემონახულია ცნობები მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სასწაულთმოქმედების შესახებ. „ასწლოვან მატიანეში" მოთხრობილია, რომ მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს სასწაულებრივ განუკურნავს ავადმყოფი დავით ულუ: „დავით ვითარ მოეახლა მარტომყოფსა, მივიდა ხატსა მას ჴელითუქმარსა, რომელი თჳთ გამოისახა ტილოსა ხატისა მიერ კეც-

[15] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 321.
[16] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 339.
[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. IV. გამოსაცემად მოამზადა და გამოკელეეა დაურთო ე. გაბიძაშვილმა. თბ. 1968, გვ. 218-225.

სა ზედა. მოყვანება ბრძანა მარტომყოფისა ხატისა და ევედრა ცრემლითა და შეუვრდა და განკურნა, ვითარ უფლისა მიერ განკურნებული ცხედარსა ზედა მდებარე".[18] მეორედაც შესთხოვა განკურნება ამავე ხატს, მაგრამ რაკი ღვთისმსახურებას არ მისდევდა და მისი მეფობისას ეკლესიურმა ცხოვრებამ რღვევა იწყო, ღმერთმა მას წყალობის ხელი ააღო და მეორედ თხოვნა არ აღუსრულა: „და მგზავრ მომავალსა მეფესა შეედვა სალმობა მუცლისა და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ევედრა ხატსა მას მარტმყოფისასა და მივიდა მის წინაშე ვითარ ჩუეულ იყო, რამეთუ პირველ ამისა მუცლისა სნეულებისა შეპყრობილ იყო და, ვითარ მკუდარი, იდვა უსიტყვოდ, და აღედგინა ხატსა ჴორცთშესხმულისა ღმრთისასა. ხოლო აწ არღარა პოვა ლხინება ამისთჳს, რამეთუ მოაკლო ღმრთისმსახურება და იწყო რღუევად საყდართა და შლად, ამისთჳს აღიღო ღმერთმან ჴელი წყალობისა, და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო, გიორგი, სიკეთე აღმატებული, და აქა მიიცვალა დავითცა მწუხარებითა ძისათა".[19] ჟამთააღმწერელი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამომტანის სახელს, წმ. ანტონ მარტმყოფელს, რომელმაც არსენ ბულმაისიმისძის საგალობლის მიხედვით, ჩამოიტანა ხატი, არ ახსენებს. იგი არც იმ ფაქტს მიუთითებს, თუ როგორ მოხვდა ხატი საქართველოში. ჟამთააღმწერლის თხზულებაში დაცული ამ ცნობებიდან მნიშვნელოვანია ის, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ტილოზე, ანუ მანდილზე გამოსახულიდან „კეცზე" გადატვიფრული, ანუ მანდილიონიდან კერამიონზე გადასული, ინახებოდა მარტყოფში. სკეპტიკოს მეცნიერთა შეხედულებით, ხატის შესახებ დაცული ცნობები მხოლოდ ქრისტიანული იდეოლოგიის გამოხატულებაა, რეალურად კი ეს ხატი არ არსებულა. როგორც ზემოხსენებული წყაროები მოწმობს, ხელთუქმნელი ხატის მყოფობა, არსებობა ეჭვმიუტანლად დასტურდება. კვლევას მოითხოვს საკითხი, იყო თუ არა ხატთან დაკავშირებული დღესასწაული ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული მაშინ, როცა ჟამთააღმწერელი ქმნიდა თავის თხზულებას — ასწლოვან მატიანეს. ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციაა მოწოდებული ნ. ჩხიკვაძის ნაშრომსა და მის მიერ გამოსაცემად მომზადებულ აპოკ-

[18] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 256; ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. გამოსაცემად მოამზადა, გამოკელეა და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ. 1987, გვ. 142.

[19] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 267; ჟამთააღმწერელი. რ. კიკნაძის გამოც., გვ. 156.

რიფულ ტექსტში; მისი დაკვირვებით, ეს დღესასწაული წმ. გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარით უკვე დაწესებული ჩანს.[20] აგრეთვე, ყურადღებას იქცევს ტბელ აბუსერისძის ცნობა, რომ ფერისცვალების დღეს ქართველები ემთხვევიან მაცხოვრის კეცზე დატვიფრულ ხატებას, ანუ კერამიონს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტბელისთვის მისი ადგილსამყოფელი ცნობილია, თუმცა არ ასახელებს. წმ. ანტონ მარტმყოფელის სახელი ასურელ მამათა შორის მხოლოდ ერთხელ მოიხსენიება წმიდა შიოსა და ევაგრეს „ცხოვრებაში". ასურელ მამათა სხვა ცხოვრებები მის შესახებ არანაირ ცნობებს არ შეიცავენ. ამიტომ ძნელდება იმ პირველწყაროს მოძიება, რომელსაც დაამყარა ფაქტობრივი მასალა არსენ ბულმაისიმისძემ თავისი საგალობლების შექმნისას. ცხადია, არსენ ბულმაისიმისძე იცნობდა ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცულ ცნობებს, ქართულსაც, რომელთაც, ჩემი ვარაუდით, ჩვენამდე არ მოულწევია, გარდა ხსენებული აპოკრიფის ქართული თარგმანისა.

[20] ნ. ჩხიკვაძე, ავგაროზის ეპისტოლის შესახებ, გვ. 32-52.

Nestan Sulava

SUBJECT OF DIVINE ICON OF CHRIST IN GEORGIAN HYMNOGRAPHY AND HISTORICAL WRITINGS

Summary

There are two versions about bringing the divine icon of Christ to Georgia in the Georgian holy writings of the 12th-13th cc., especially in hymnography. According to one version, this type, prototype for famous Georgian icon Anchis-khati, was brought to Georgia from Hieropolis by St. Andrew. This is what Ioane Ancheli claims in his "Hymns of Anchis-khati".

According to the second version, the divine icon of Christ, Keramion, kept in Martkhopi monastery and known as miraculous icon of Christ from Martkhopi, was brought to Georgia by St. Anton Martmkopeli in the 6th c. This version is stressed in the hymns of Arsen Bulmaisimisdze and Saba Syncellos. The same version is known from the sinaxar version of "Life of St. Anton Martmkopeli". In the 30s of the 13th c. Cathalicos of Georgia Arsen Bulmaisimisdze and archbishop Saba Syncellos, on plead of the brothers Abuser and Vardan Abuserisdzes, created hymns dedicated to the divine icon of Christ, clay-work brought to Georgia from Syria by Anton Martmkopeli.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ოქროპირ ჯიქური

ერკეთის გულანი
(ცაიშის I გულანი) და მისი ანდერძ-მინაწერები

1873 წელს გურიაში მოგზაურობის დროს ქართველმა ისტორიკოსმა, დიმიტრი ბაქრაძემ, ერკეთის მონასტერში მიაკვლია დიდი ზომის ხელნაწერს – გულანს,[1] რომელსაც დაცულობის ადგილის მიხედვით ერკეთის გულანი უწოდა. დიმიტრი ბაქრაძემ ხელნაწერსა და მის ანდერძ-მინაწერებზე ერკეთის მონასტერში ყოფნის დროს იმუშავა, ხოლო ჩატარებული კვლევის შედეგები და შესწავლილი კოლოფონების ტექსტები 1878 წელს ქალაქ სანკტ-პეტერბურგში რუსულენოვან წიგნში «Археологическое путешествие по Гурии и Адчаре» გამოაქვეყნა.[2]

სამწუხაროდ, დიმიტრი ბაქრაძე პირველი და ჯერჯერობით, უკანასკნელი მკვლევარი იყო, რომელმაც ერკეთის გულანი საკუთარი თვალით ნახა. 1873 წლის შემდეგ ამ ხელნაწერის დაცულობის ადგილის შესახებ ყოველგვარი ცნობა გაქრა და იგი დაკარგული ქართული ხელნაწერი წიგნების სიაში აღმოჩნდა.

ერკეთის დაკარგული გულანის დაცულობის ადგილის დადგენა პირვე-

[1] „გულანი საღვთისმსახურო წიგნთა კრებულია, რომელიც მხოლოდ ქართულ ეკლესიას ჰქონდა. მასში შედის სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თვენი (12 თვის საგალობელი), მარხვანი და ზატიკი, საწინასწარმეტყველო, ფსალმუნი, ჟამნი, სვინაქსარი, ტიპიკონი და სხვ. გულანები, საერთოდ, უზარმაზარი მოცულობისანი არიან. ზოგი მათგანი რამდენიმე ათეულ კილოგრამს იწონის. მისი შეძენა მხოლოდ მდიდარ ეკლესიებსა და მონასტრებს შეეძლოთ... გულანები შედარებით გვიანდელი წარმოშობის კრებულებია, არა უადრეს XVI საუკუნის დასაწყისისა" (ე. გაბიძაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. რედაქტორი. ე. გაბიძაშვილი. ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი და ა. ღამბაშიძე. თბ. 2007, გვ. 226).

[2] Д. З. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. СПб. 1878, გვ. 370.

ლად ელენე მეტრეველმა სცადა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების Q კოლექციის „აღწერილობის“ I ტომში გამოთქვა მოსაზრება, რომ დიმიტრი ბაქრაძის მიერ მიკვლეული ერკეთის გულანი და Q კოლექციაში 87-ე ნომრით დაცული მარტვილის (იგივე მარტვილური) გულანი ერთი და იგივე ხელნაწერებია: *„დ. ბაქრაძე ამ ხელნაწერს უწოდებს „ერკეთის გულანს“.*[3] აღნიშნული მოსაზრება უპირობოდ გაიზიარა ლევან მენაბდემაც.[4]

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ელენე მეტრეველის მიერ გამოთქმული მოსაზრება სწორი არ არის. მართლაც, ერკეთის გულანსა და მარტვილის გულანს შორის მსგავსება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ხელნაწერი აფხაზეთის კათოლიკოსის, ექვთიმე საყვარელისძის,[5] დაკვეთით არის გადაწერილი, თორემ სხვა ნიშნების მიხედვით (ანდერძ-მინაწერების შინაარსი, გადამწერთა სახელები და სხვ.), ეს გულანები სრულებით სხვადასხვა ხელნაწერს წარმოადგენს და მათი გაიგივებისათვის რამე საფუძველი არ არსებობს.

ერკეთის გულანის ამჟამინდელი დაცულობის ადგილის შესახებ განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული თეა ქართველიშვილს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ერკეთის გულანი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q კოლექციაში 47-ე ნომრითაა დაცული.[6] ჩვენ საგანგებოდ გავეცანით თეა ქართვე-

---

[3] ელ. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. Q კოლექცია. ტ. I. შედგენილი ელ. მეტრეველის და ქრ. შარაშიძის მიერ. ი. აბულაძის რედაქციით. თბ. 1957, გვ. 99-102.

[4] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. ნაკე. II. თბ. 1962, გვ. 541.

[5] დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორია ექვთიმე საყვარელისძის სახელისა და გვარის მქონე აფხაზეთის ორ კათოლიკოსს იცნობს. აქედან ექვთიმე I საყვარელისძე საკათოლიკოსო საყდარს, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, 1578-1616 წლებში ფლობდა (თ. ქორიძე. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები. წგნ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. რედ.: როინ მეტრეველი. თბ. 2000, გვ. 142). ხოლო ექვთიმე II საყვარელისძე — დაახლოებით, 1669-1673 წლებში (ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. კრებ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკე. 31. თბ. 1954, გვ. 133). ქართველი მკვლევრები ხელნაწერის ანდერძებში გულანის დამკვეთად მოხსენიებულ კათოლიკოს ექვთიმე საყვარელისძეს აფხაზეთის კათოლიკოს ექვთიმე I საყვარელისძესთან აიგივებენ, რასაც სრულიად ვეთანხმებით.

[6] თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები). თბ. 2006, გვ. 42-43.

ლიშვილის მიერ მითითებულ Q-47 ხელნაწერს, თუმცა აღმოჩნდა, რომ Q კოლექციაში 47-ე ნომრით დაცულია 1875-1877 წლებში გადაწერილი „სწავლანი წმიდისა და დიდისა ორმოცისანი", რომელსაც ერკეთის გულანთან საერთო არაფერი აქვს და მათ გაიგივებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ამრიგად, ირკვევა, რომ ერკეთის გულანი კვლავინდებურად დაკარგულ ხელნაწერ წიგნს წარმოადგენს და ამიტომ მასზე საუბრისას იძულებული ვართ მთლიანად დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1878 წელს გამოქვეყნებულ რუსულენოვან ნაშრომს დავეყრდნობით.

დასახელებულ ნაშრომში დიმიტრი ბაქრაძე ხაზგასმით აღვნიშნავს იმ ფაქტს, რომ მას ერკეთის გულანიდან მოტანილი აქვს ხელნაწერისათვის დართული არა ერთი, არამედ რამდენიმე ანდერძ-მინაწერის ტექსტი. ამასთან, მკვლევარი დამატებით შენიშნავს იმასაც, რომ მას კოლოფონების ტექსტები არა სრული, არამედ მცირედ შემოკლებული სახით აქვს გამოქვეყნებული.

სამწუხაროდ, დიმიტრი ბაქრაძეს ერკეთის გულანის ანდერძ-მინაწერები მისთვის უჩვეულო, არაакადემიური სახით აქვს გამოქვეყნებული. მკვლევარს კოლოფონების ტექსტები ერთმანეთის მიყოლებით, თერთმეტი აბზაცის სახით აქვს მოტანილი. აქედან, არც ერთი აბზაცის თავსა და ბოლოში ამა თუ იმ ანდერძ-მინაწერის დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშანი — ბრჭყალი დასმული არ არის. გარდა ამისა, კოლოფონებს არც გამომცემლის რაიმე კომენტარი თუ შენიშვნა აქვს დართული. აღნიშნული მიზეზების გამო დღეისათვის ძალიან ძნელი გასარკვევია, სად მთავრდება ერთი კოლოფონი და სად იწყება მეორე, ან კიდევ, რომელი ანდერძია შესრულებული ხელნაწერის ძირითადი ტექსტის ხელით და რომელი მინაწერი ეკუთვნის მოგვიანო ხანას.

ასეთი სერიოზური ნაკლოვანების მიუხედავად, დიმიტრი ბაქრაძის 1878 წლის პუბლიკაცია მაინც გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ერკეთის გულანის სხვადასხვა ანდერძ-მინაწერის ტექსტები. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს ის ფაქტი, რომ დასახელებულ ნაშრომში ერკეთის გულანის ანდერძ-მინაწერები ქართული მხედრული შრიფტის პარალელურად რუსული თარგმანის სახითაც არის მოტანილი.

აქედან, ქართულ და რუსულ პარალელურ ტექსტებში წარმოდგენილი ყოველი აბზაცის დასაწყისი და დასასრული ზედმიწევნით ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა რუსულ ტექსტში, ქართული ტექსტისაგან განსხვავებით, ყოველი აბზაცი ბრჭყალით არის დაწყებული და დასრულებული. აღნიშნული

გარემოება, ვფიქრობთ, ცალსახად მიგვითითებს იმაზე, რომ ერკეთის გულანის ანდერძ-მინაწერები ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით რუსულ თარგმანში უფრო სრულყოფილად არის წარმოდგენილი და ამიტომ მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა-გამიჯვნის დროს სწორედ რუსული თარგმანის ჩვენებას უნდა მიეცეს უპირატესობა.

თუ ჩვენი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ დიდი ალბათობით დგინდება ისიც, რომ დიმიტრი ბაქრაძეს თავის 1878 წლის ნაშრომში გამოქვეყნებული აქვს ერკეთის გულანის თერთმეტი ანდერძ-მინაწერი, რომლებიც შემდეგი სახით იკითხება:

1. *„დ(იდე)ბა ღ(მე)რთსა სრულ-მყოფელსა ყ(ოვ)ლის კეთილისასა. სრულ იქმნა წ(მიდ)აი ესე გულანი ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა კ(ათალიკო)ზისა, პატრონისა ევთუმე საყვარელისძისათა. აკურთხნეს ღ(მერთმა)ნ ორთავე შ(ინ)ა ცხოვრებათა, ამინ“.*

2. *„დაიწერა და სრულ იქმნა თვესა 7Ყ (12)“.*

3. *„ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ცოდვილი იოანე ჩხატარაშვილი, ამისი მწერალი“.*

4. *„ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ამისი მწერალი ნ(ა)თანაელ კარგარეთელი“.*

5. *„ამის მწერალს, ცოდვილს გაბრიელს შ(ეუ)ნდნეს ღ(მერთმა)ნ“.*

6. *„ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე სულით და ჴორცით ფ(რია)დ ცოდვილი ამის მწერალი ი(ოან)ე სკმონისძე, ა(მი)ნ“.*

7. *„ამისს შემკრავს, ც(ო)დვ(ი)ლს მლვდელმონაზონს, მეიერუსალ(ი)მ(ე)ს გრიგოლს შენდობა ჰყოფდეთ (!) და ჩემთა დედა-მამათაჳს. ზამთარში გავაკეთე და ბევრი ჭირი და სიცივე ვნახე ჩაქუს“.*

8. *„შენ, ცათა უვრცელესო და ქერობინთა უზესთაესო, შვიდთა ცათა უმაღლესო, უხილავო, შენ, საშინელო ცაიშისა ღ(მრთ)ისმშობელო, ჩვენ, სასოებით ცვაი-ფარვათაი თქვენთაი მონაი-მოსავმან და მონდობილმან თქ(ვენ)თამან, ჩ(ვე)ნ, ქრ(ი)სტეს, ღ(მრთ)ისა მიერ კურთხეულმან აფხაზეთისა და ჩრდილოეთისა კათალიკოზმან ეფთუმე ს(ა)ყ(ვა)რ(ე)ლისძემან ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგწირეთ წ(მიდ)აი ესე და სულთა განმანათლებელი გულანი, სრული და უნაკლულო და ყოვლითურთ შემკობილი და დავდევით წ(მიდას)ა და პატიოსანსა ტაძარსა შენსა, ამა სოფლისა სადღეგრძელოდ და მას დღესა დიდსა განკითხვისასა საოხად და სახსრად სულისა ჩ(ვე)ნისათჳს, ა(მი)ნ, ა(მი)ნ, ა(მი)ნ“.*

9. *„დაიწერა და შემოიწირა წ(მიდ)ა ესე გულანი ეპისკოპოსობასა ცაიშელ მამათმთავრისა მაქსიმესსა“.*

10. „ქ(რისტ)ე, იესო, მეუფეო დიდებისაო და რანიცა წ(მიდა)ნი ამა პატიოსანსა სუნაქარსა შ(ინ)ა სწერიხართ, მათნო მადლო და ძალო და მეოხებანო, აცოცხლე, ადღეგრძელე და გაზარდე ძე ელენე დედოფლისა მანუჩარ და ჩემი ცოდვილი სული გამოიხსენ ჯოჯოხეთისან, ტკბილო ღ(მერ)თო".

11. „ქ. შენ, შვიდ ცათა უმაღლესო, ქერ(უ)ბინთა უზესთაესო, უხილავო, საშინელო ცაისშავო ღმ(რ)თისმშობელო, ჩვენ, მონდობილმან თქვენმან დედოფალმან ელენე, შემოგევსვეწეთ ჩვენის ულირსის ცოდვილის პირით, რათა შემწე და მცველ და მფარველ ეყენნათ ძესა ჩვენსა მანუჩარს, თქვენად ფერს მტკერად და მოსამსახურედ გაგვიზარდე, თქვენის ტკბილის ძის სიყვარულის მადლს ნურას კაცის დანაშავებას ნუ ჰკითხავ, წ(მი)დაო ღ(მ)თისმშობელო, შენს მოწყალესა ვეეედრები, შენ გაზარდე ჩემი მანუჩარ შენად მოსამსახურედ, შენის ტკბილის ძის სიყვარულის მადლს, მე ცოდვილი მიხსენ ცეცხლსა მს გაენიასა, ამ სოფელს ნუ მიზამ მტერის გულისას, შენ გეხვეწები, ცაიშისა ღ(მრ)თისმშობელო, საბრალო, ა(მი)ნ, ა(მი)ნ" (ტექსტების გამართვა, ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია — ო. ჯ.).[7]

როგორც ვხედავთ, ციტირებული თერთმეტი ანდერძ-მინაწერიდან რვა კოლოფონი (№1, №2, №3, №4, №5, №6, №8 და №9) შინაარსობრივად უშუალოდ ხელნაწერის გადაწერასთან და მისი ცაიშის ტაძრისათვის შეწირვასთან არის დაკავშირებული. ამ ნიშნით ეს რვა კოლოფონი აშკარად ერკეთის გულანის ანდერძებს წარმოადგენს. კიდევ ერთი კოლოფონი (№8) ხელნაწერის „შეკვრის" შესახებ მოგვითხრობს და ამიტომ თანაბარი წარმატებით შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ერკეთის გულანის ანდერძად, სადაც ახლადგადაწერილი ხელნაწერის აკინძვაზეა საუბარი, ისე მის გვიანდელ მინაწერად, სადაც სიძველისა თუ დაზიანების გამო ფურცლებად დაშლილი ერკეთის გულანის ხელმეორედ შეკვრის ამბავია გადმოცემული. რაც შეეხება ბოლო ორ კოლოფონს (№10 და №11), რომლებიც დადიანების სამთავრო სახლის წევრების სახელით არის შედგენილი, ისინი შინაარსობლივად ცაიშის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისადმი მიმართულ სავედრებლებს წარმოადგენს და ერკეთის გულანის ფურცლებზე მოგვიანებით, ხელნაწერის ცაიშის ტაძარში მოხვედრის შემდეგაა შესრულებული.

დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოქვეყნებული კოლოფონები, ერკეთის გულანის გადაწერისდროინდელი ანდერძებისა და მისი გვიანდელი მინაწერების გამოყოფა, საშუალებას გვაძლევს არგუმენტირებულად გავარკვიოთ ხელნა-

[7] Д. З. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, გვ. 220.

წერთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

დავიწყოთ იმით, რომ ერკეთის გულანის №1, №8 და №9 ანდერძების თანახმად, ხელნაწერი გადაწერილი იყო აფხაზეთის კათოლიკოს ექვთიმე I საყვარელისძის დაკვეთით, ცაიშელი ეპისკოპოსის, მაქსიმეს, მღვდელმთავრობის ჟამს, საგანგებოდ ცაიშის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საეპისკოპოსო საყდრისათვის. რაც შეეხება ერკეთის მონასტერს, ცხადია, რომ ხელნაწერი იქ შედარებით მოგვიანო ხანაში ჯერჯერობით დაუდგენელ ვითარებაში იყო მოხვედრილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუკი ერკეთის გულანს პარალელურად ცაიშის გულანის სახელითაც მოვიხსენიებთ, ხოლო ვინაიდან სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცაიშის ტაძრის კუთვნილი კიდევ ერთი, ცოტა უფრო მოგვიანო ხანის გულანიც არის ცნობილი, უპრიანი იქნება, თუკი ერკეთის გულანს ცაიშის I გულანის, ხოლო მეორე გულანს ცაიშის II გულანის სახელით აღვნიშნავთ (ამ ხელნაწერის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ერკეთის გულანის №3, №4, №5, №6 ანდერძების თანახმად, ხელნაწერის გადამწერები იყვნენ: იოანე ჩხატარაშვილი, ნათანაელ კარგარეთელი, გაბრიელი და იოანე სვიმონისძე. მწიგნობარ-კალიგრაფთა ამ ჯგუფს საქმე თანამიმდევრულად ჰქონდა განაწილებული. შესაძლებელია, მათ გულანის შეკვრა-აკინძვის საქმეში, №7 კოლოფონის ცნობით, მღვდელმონაზონი გრიგოლიც ეხმარებოდა.

დღეისათვის ერკეთის გულანის თარიღის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით, *„ერკეთის გულანი გადაწერილია XVII საუკუნის დამდეგს, კათოლიკოს ექვთიმე საყვარელისძის დროს“.*[8]

დიმიტრი ბაქრაძისაგან განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული თედო ჟორდანიას: *„1578-1590 წლებშუა უნდა იყოს დაწერილი ერკეთის გულანი, პირველად ცაიშისთვის აღწერილი, რომლის წარწერანი მოიხსენიებენ ცოცხლებში აფხაზთ კათალიკოზს ექვთიმეს (1578-1605 წ.), და ცაიშელს მაქსიმეს, რომელიც იყო წინამოადგილე მალაქიასი; ხოლო მალაქია ცაიშელი კათალიკოზად დაჯდა 1605 წ.“* .[9]

---

[8] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. რედ. ხარიტონ ახელედიანი. თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ. ბათუმი. 1987, გვ. 188.
[9] თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად გაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ. 436.

ერკეთის გულანს დიმიტრი ბაქრაძისა და თედო ჟორდანიასაგან განსხვავებულად ათარიღებს აბესალომ ტუღუში. მკვლევრის თქმით, *„კათოლიკოს ექვთიმე საყვარელისძის შეკვეთით იოანე ჩხატარაშვილის ნათანალ კარგარეთელისა და ვინმე გაბრიელის მიერ ცაიშის ეკლესიისათვის გურიაში, ჩაქვში, გადაწერილი და გვიან ერკეთში მოხვედრილი გულანის ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა და შემოიწერა წ(	d)ა ესე გულანი ეპისკოპოსობასა ცაიშელ მამამთავრისა მაქსიმესა“. ექვთიმე საყვარელისძე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსად იჯდა 1578-1605 წლებში და, ცხადია, მაქსიმე ცაიშელი ამავე ხანის მოღვაწეა. ეს გულანი, როგორც მის ანდერძში დაცულ სხვა ცნობაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, უფრო XVI საუკუნის მიწურულს ჩანს გადაწერილი“.*[10]

ზაურ ჯალაღონია დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიასა და აბესალომ ტუღუშის მიერ შემოთავაზებულ თარიღებს შორის უპირატესობას თედო ჟორდანიას მიერ დადგენილ თარიღს (1578-1590 წწ.) ანიჭებს.[11]

ზაურ ჯალაღონიას მსგავსად, თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებულ თარიღს (1578-1590 წწ.) იზიარებს გიორგი კალანდიაც: *„ცნობილია ისიც, რომ ერკეთის გულანი თავდაპირველად ცაიშისათვის შეადგინეს და იგი 1578-1590 წლებს შორის დაიწერა. მინაწერებში სხვა ისტორიულ პირებთან ერთად მოხსენიებული აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმე საყვარელიძე 1578-1605 წლებში მოღვაწეობდა. ამდენად, მაქსიმე I-ის ცაიშელობა 1590-1605 წლებით უნდა განისაზღვროს“.*[12]

თედო ჟორდანიას, აბესალომ ტუღუშის, ზაურ ჯალაღონიასა და გიორგი კალანდიასაგან განსხვავებული პოზიცია აქვს თეა ქართველიშვილს, რომელიც დიმიტრი ბაქრაძის მიერ შემოთავაზებულ თარიღს (XVII ს-ის დასწყ.) უფრო მართებულად მიიჩნევს: *„ერკეთის გულანი (Q-47) აფხაზთა კათალიკოსის ექვთიმე საყვარელისძის (1578-1616) ბრძანებით გადაუწერია. კათოლიკოს ექვთიმეს აღნიშნული გულანი ცაიშის საყდრისათვის შეუწირავს. ამ დროს ცაიშის ეპისკოპოსი მაქსიმე (1605-1612) ყოფილა. ექვთიმესა და მაქსიმეს ზეობის წლებით შეიძლება განვსაზღვროთ ერკეთის გულანის გადაწერის თარიღი და იგი XVII საუკუნის დასაწყისს მივაკუთნოთ“.*[13]

---

[10] ა. ტუღუში. ცაიშის საეპისკოპოსო. ზუგდიდი. 2001, გვ. 22
[11] ზ. ჯალაღონია. ცაიშის საკათედრო ტაძარი. ზუგდიდი-ცაიში. 2001, გვ. 12.
[12] გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები. თბ. 2004, გვ. 40.
[13] თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები, გვ. 42-43.

ამრიგად, ირკვევა, რომ დღეისათვის ერკეთის გულანის ქრონოლოგიის შესახებ სამი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული:

1. გულანი გადაწერილია 1578-1590 წლებში (თედო ჟორდანია, ზაურ ჯალაღონია, გიორგი კალანდია).

2. გულანი გადაწერილია XVI საუკუნის მიწურულს (აბესალომ ტულუში).

3. გულანი გადაწერილია XVII საუკუნის დასაწყისში (დიმიტრი ბაქრაძე, თეა ქართველიშვილი).

ჩვენ უკვე დავადგინეთ ზემოთ, რომ დიმიტრი ბაქრაძეს თავის 1878 წლის ნაშრომში შეტანილი აქვს ერკეთის გულანის თერთმეტი ანდერძ-მინაწერის ტექსტი. ამასთან, აღნიშნული საკითხი გავარკვიეთ ამ კოლოფონების არა ქართული მხედრული შრიფტით მოტანილ ტექსტებზე, არამედ მათ რუსულ თარგმანზე დაყრდნობით.

სამწუხაროდ, აღნიშნულ დეტალს ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო ყურადღება არ მიაქციეს დიმიტრი ბაქრაძის 1878 წლის რუსულენოვანი ნაშრომის ქართული თარგმანის ავტორმა არჩილ ტოტოჩავამ და ამ თარგმანის 1987 წლის პუბლიკაციის რედაქტორმა ხარიტონ ახვლედიანმა. მათ ერკეთის გულანის თერთმეტი სხვადასხვა ანდერძ-მინაწერი ერთ მთლიან ტექსტად მიიჩნიეს და კოლოფონის დასაწყის-დასასრულის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშნები – ბრჭყალები მხოლოდ პირველი კოლოფონის თავსა და მეთერთმეტე კოლოფონის ბოლოს დასვეს.[14]

აღნიშნული დეტალი არჩილ ტოტოჩავასა და ხარიტონ ახვლედიანის მსგავსად მხედველობიდან გამორჩათ სხვა მკვლევრებსაც: აბესალომ ტულუშს, გიორგი კალანდიას, თეა ქართველიშვილსა და სხვებს. მათ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო არ გაითვალისწინეს დიმიტრი ბაქრაძის პირდაპირი მითითება, რომ იგი საკუთარ ნაშრომში ერკეთის გულანის რამდენიმე მინაწერს აქვეყნებდა და თერთმეტი სხვადასხვა ანდერძ-მინაწერის ტექსტი შეცდომით ერთ მთლიან კოლოფონად მიიჩნიეს.

მაშასადამე, ირკვევა, რომ დასახელებულ მკვლევართა მიერ ერკეთის გულანის თარიღის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ხელნაწერის სხვადასხვა დროის კოლოფონებისა და ამ კოლოფონებში ასახული სხვადასხვა დროის ისტორიული რეალიების ერთმანეთში აღრევის შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ მოსაზრებების გაზიარება შეუძლებელია და ერკეთის გულა-

[14] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 186-187.

ნის ქრონოლოგიის დადგენაც სხვა არგუმენტაციის საფუძველზეა საჭირო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერკეთის გულანის გადაწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1579 წლით უნდა განისაზღვროს. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში, რომელიც 1579-1582 წლებით თარიღდება, ნათქვამია:

„წ. ღმრთისა საყდართა წინაშე მდგომარე ხარ განათლებული მოწამე გიორგი, ვითარცა გაქუს კადნიერება დიდი წინაშე ღმრთისა, მეოხ მეყავ მე მარადის, ყოველად სანატრელო, რათა მიჴსნა და მეოხ მექმენ დღესა მას განკითხვისასა შემამკობელი ხატისა შენისა მე, ბედიელ მიტროპოლიტი, კირილე ჟუანიძესა, ამინ.

წ. ადიდნეს ღმერთმან დადიანი გიორგი და თანამეცხედრე მათი დედოფალი თამარ და ძე მათი აღზარდნეს ღმერთმან, ამინ“.[15]

იმავე ხატის ზურგზე მოთავსებულ სხვა წარწერაში ვკითხულობთ:

„წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, ილორისაო, შეიწყ(ა)ლე სული ცაი(შ)ელ-ბ(ედიე)ლ მიტროპოლიტი კუ(ი)რილე ჟუანიძ(ი)სა, რომელმან ი(ნე)ბა შემკობ(ა) ხ(ა)ტისა ამის, ამინ“.[16]

გონელი არახამიას დაკვირვებით, სწორედ 1579 წელს დაიბადა ოდიშის მთავრის გიორგი III დადიანისა და მისი თანამეცხედრის, დედოფალ თამარის ვაჟი ლეონი.[17] სამივე ეს პირი ცოცხლად არის მოხსენიებული ილორის წმ. გიორგის ხატის ზემოთ მოტანილ წარწერაში. როგორც ვხედავთ, ამავე წარწერაში, გიორგი III-სა და მისი ოჯახის წევრების გარდა, ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტი კირილე ჟვანიძეც იხსენიება. შესაბამისად, ირკვევა, რომ აღნიშნული წარწერის შესრულების დროს, ანუ 1579-1582 წლებში ცაიშის საეპისკოპოსო საყდარს ჯერ კიდევ კირილე ჟვანიძე ფლობდა. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ ერკეთის გულანის გადაწერის დროს ცაიშის კათედრას უკვე სხვა მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი მაქსიმე განაგებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულებით ცხადი ხდება, რომ ერკეთის გულანი 1579 წლის შემდეგ იყო გადაწერილი.

ერკეთის გულანის გადაწერის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დადგენა-

[15] ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წ. II. ტფ. 1914, გვ. 195.

[16] გ. არახამია. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლის დათარიღებისათვის. გ. არახამია საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები. თბ. 2009, გვ. 186.

[17] გ. არახამია. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლის დათარიღებისათვის, გვ. 186.

ში ხელნაწერის ორი კოლოფონი, №10 და №11 მინაწერები, გვიწევს დახმარებას. აღნიშნულ მინაწერებში მოხსენიებულია ორი ისტორიული პირი: დედოფალი ელენე და მისი ვაჟი მანუჩარი.

დასახელებულ პირთა ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული.[18] მათ შორის ყველაზე უფრო მართებული გიორგი კალანდიას მიერ გამოთქმული მოსაზრებაა, რომლის თანახმადაც დედოფალი ელენე ოდიშის მთავრის – მამია IV დადიანის მეუღლეა, ხოლო მანუჩარი – მათი ვაჟი, შემდგომში ოდიშის მთავარი მანუჩარ I დადიანი.[19]

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მამია IV 1590 წელს გარდაიცვალა: *„შეიკრიბნა.... დადიანმან მამიამ სპანი თვისნი და მოვიდა ქუთათისს, სძლო დადიანმა და შეიპყრა მეფე ლევან ... წაიყვანა ოდიშს და პატიმარყო ციხესა შინა შხეფს და მოკუდა შემდგომად მეფე ლევან პატიმრობასა შინა. ამასვე ქორონიკონს მოკვდა მამია დადიანი და დაჯდა ძმა მისი მანუჩარ დადიანად. ესე მანუჩარ ეზრახა და ემზახლა კახ ბატონს ალექსანდრეს და მოიყვანა ასული მისი ნესტან-დარეჯან“.*[20]

ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობას არ იზიარებს თამაზ ბერაძე, რომელიც არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ მამია IV 1595 წელს გარდაიცვალა და ამავე 1595 წელს ოდიშის სამთავრო ტახტი მისმა ვაჟმა, მანუჩარ I-მა დადიანმა დაიკავა.[21]

ჩვენი დაკვირვებით, ერკეთის გულანის გადაწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად სწორედ მამია IV-ის გარდაცვალებისა და მანუჩარ I-ის სამთავრო ტახტზე ასვლის დრო, ანუ 1595 წელი უნდა ავიღოთ. მართლაც, ერკეთის გულანის მინაწერებში დედოფალი ელენე მეუღლეს საერთოდ არ ახსენებს და მხოლოდ ვაჟის, მანუჩარის, მშვიდობით აღზრდას შესთხოვს ცაიშის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატს, რაც აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ დედოფალ ელენეს მინაწერების შესრულების დროს მამია IV უკვე გარდაცვ-

[18] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 188; შდრ. თ. ჟორდანია. ქრონიკები. ტ. II, გვ. 437.

[19] გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები, გვ. 40.

[20] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 821.

[21] თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური სია. „ანალები“. №2. თბ. 2000, გვ. 27-28.

ლილი იყო, მანუჩარ I კი ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში იმყოფებოდა. ვფიქრობთ, ოდიშის სამთავრო კარზე აღნიშნულ ვითარებას სწორედ 1595 წელსა თუ ამ წლის ახლო ხანებში უნდა ჰქონოდა ადგილი და, შესაბამისად, ერკეთის გულანიც სწორედ ამ ვითარების ამსახველი მინაწერების შესრულებამდე, ანუ 1595 წლის წინარე ხანებში უნდა ყოფილიყო შესრულებული.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ერკეთის გულანი გადაწერილი უნდა იყოს 1579-1595 წლებში.

სხვათა შორის, ერკეთის გულანის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო საკითხი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერკეთის გულანი გადაწერილი იყო ცაიშელი ეპისკოპოსის – მაქსიმეს – მღვდელმთავრობის დროს.

დღეისათვის ქართული ისტორიოგრაფიისათვის სახელი მაქსიმეს მატარებელი ორი ცაიშელი მღვდელმთავარია ცნობილი. აქედან ცაიშელი მაქსიმე I კათოლიკოსი ექვთიმე I საყვარელისძის თანამედროვე იყო. იგი ცაიშის საეპისკოპოსო ტახტს, ჩვენი დაკვირვებით, 1590-იან წლებსა და XVII საუკუნის პირველ ათწლეულში ფლობდა. ცაიშელი მიტროპოლიტი მაქსიმე II ციხისთავი შედარებით უფრო მოგვიანო პერიოდში მოღვაწეობდა და ცაიშის საეპისკოპოსო კათედრას XVII საუკუნის ბოლოს განაგებდა.[22]

ვფიქრობთ, სრულებით აშკარაა, რომ ერკეთის გულანის №9 ანდერძში მოხსენიებული ცაიშელი ეპისკოპოსი მაქსიმე იგივე ცაიშელი მაქსიმე I იყო.

ეს უკანასკნელი, ერკეთის გულანის ანდერძის გარდა, ცაიშის სახარებისა და ცაიშის გულანის (ჩვენი დაკვირვებით, ცაიშის II გულანის) ანდერძებშიც არის მოხსენიებული:

ცაიშის სახარების ანდერძი: *„დიდებაჲ ღმერთსა, სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისსა. დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი ბრძანებითა ჩაისელ მთავარეფისკოპოზისა მაქსიმესითა. საუკუნომცა არს კურთხევა და საკსენებელი მისი. ღმერთო და ჩაისისა ღმრთისმშობელო, აცოცხლე და ადიდე ორთავე შინა ცხორებათა აქს და უმეტეს საუკუნეთა და განუსვენე წიაღთა შინა აბრაჰამისათა მონასა და მადიდებელსა თქვენსა ჩაისელსა მაქსიმეს. ან. ან. ან“.*[23]

---

[22] ი. კეკელია. XVII-XVIII საუკუნეების ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის. „ქუთაისის მუზეუმის მასალები“. კრებული XII. ქუთაისი. 2000, გვ. 77-78.

[23] ექ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. „ძველი საქართველო“. ტ. III. ტფ. 1913-1914, გვ. 188.

ცაიშის II გულანის ანდერძი: *„ქ. დიდება ღმერთსა, აქს დასრულდა წყობა-წერვა და ლესვა, მაისის კვ: ღღესა ხუთშაბათსა, ჟამსა მესამესა, ხელითა ფრიად ცოდვილისა გაბრიელ ნინიძისათა, ბრძანებითა ცაიშელის მიტროპოლიტი ბატონის მაქსიმესითა, მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მათისანი“.*

ამ ორი ხელნაწერიდან ერთ-ერთი ცაიშის გულანი, რომელიც დღეისათვის ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება, გადაწერილია 1608 წელს ხუთი გადამწერის: გაბრიელ ნინიძის, იოანე სვიმონისძის, მათეოს წინამძღვრის, ლაზარესა და მათე კომბაიძის მიერ.[24] ცაიშის II გულანის ანდერძებიდან ყურადღებას ორი საინტერესო დეტალი იპყრობს: 1. ცაიშის II გულანის ერთ-ერთი გადამწერი იოანე სვიმონისძე იყო, რომელსაც ერკეთის (ცაიშის I გულანი) გულანის გადაწერაშიც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული; და 2. ცაიშის II გულანის გადაწერის დროს, ანუ 1608 წელს მაქსიმე I უკვე მიტროპოლიტის წოდებას ფლობდა.

ამ ბოლო ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაქსიმე I-ის სახელთან დაკავშირებული სამი ხელნაწერი წიგნის: ერკეთის, იმავე ცაიშის I გულანის, ცაიშის სახარებისა და ცაიშის II გულანის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენისათვის. მართლაც, ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ერკეთის, იგივე ცაიშის I გულანის №9 ანდერძში მაქსიმე I მხოლოდ ეპისკოპოსად არის მოხსენიებული, ცაიშის სახარების ანდერძში – მთავარეპისკოპოსად, ხოლო ცაიშის II გულანის ანდერძში – უკვე მიტროპოლიტად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული სამი ხელნაწერი წიგნი შემდეგი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით უნდა დალაგდეს: 1. ერკეთის (იმავე ცაიშის I გულანი) გულანი (1579-1595 წწ.); 2. ცაიშის სახარება; დაბოლოს, 3. ცაიშის II გულანი (1608 წ.).

ამდენად, ნაშრომში განხილულია დაკარგულად მიჩნეული ერკეთის გულანის სახელით ცნობილი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერების ტექსტები. შესაბამისი ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ერკეთის გულანი გადაწერილი იყო 1579-1595 წლებში, აფხაზეთის კათოლიკოს ექვთიმე I საყვარელისძის დაკვეთით საგანგებოდ ცაიშის ღვთისმშობლის საეპისკოპოსო საყდრისათვის მაქსიმე I ცაიშელის ეპისკოპოსობის დროს. გარდა ამისა, ნაშრომში ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განხილულია ამავე

[24] გ. არახამია. ცაიშის გულანი და მისი მინაწერები. წელიწდეული. II. თბ. 2006, გვ. 71.

მღვდელმთავრის საეკლესიო და სამწიგნობრო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

ამ ხელნაწერის ქრონოლოგიის არგუმენტირებულად დადგენით ვიგებთ მწიგნობარ-კალიგრაფთა მოღვაწეობის ერთ კონკრეტულ პერიოდს. როგორც უკვე ვთქვით, ხელნაწერის გადაწერაზე კალიგრაფთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი, ე. წ. თაბუნი მუშაობდა, რომლის წევრებსაც სამუშაო გარკვეული პრინციპით ჰქონდათ განაწილებული. ანდერძ-მინაწერების ცნობით, ხელნაწერის გადანუსხვა იოანე ჩხატარაშვილის, ნათანაელ კარგარეთელის, გაბრიელისა და იოანე სვიმონისძის სახელებთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა 1608 წელს გადაწერა ზუგდიდის მუზეუმში დაცული ცაიშის II გულანის ტექსტების ნაწილი. ხელნაწერის ერთ-ერთი კოლოფონი იუწყება ვინმე მღვდელმონმაზონ გრიგოლის („მეიერუსალიმე") მიერ წიგნის ჩაქვში აწყოფა-შეკვრის ამბავს.[25]

[25] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კოლოფონი თანაბარი წარმატებით შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ერკეთის გულანის ანდერძად, სადაც ახლადგადაწერილი ხელნაწერის აკინძვაზეა საუბარი, ისე მის გვიანდელ მინაწერად, სადაც სიძველისა თუ დაზიანების გამო ფურცლებად დაშლილი ერკეთის გულანის ხელმეორედ შეკვრის ამბავია გადმოცემული.

Okropir Jikuri

GULANI FROM ERKETI (GULANI I FROM TSAISHI): ITS TESTAMENTS AND COLOPHONS

Summary

Manuscript production in Georgia has a centuries-old history. Georgian medieval churches and monasteries, where generations of medieval bookmen and calligraphers carried out their activities, have played significant role in manuscript production. A large collection of liturgical texts called Gulani belongs to a separate group among thousands of manuscripts which came down to us. As a rule, each Gulani is supplied with a big number of testaments and colophons.

Multiplicity of colophons on the folios of Gulani attracted attention of scholars as early as in the XIX century. Since that period Georgian scholars have studied and published testaments and colophons found in Georgian Gulani collections from Erketi, Tsaishi, etc.

The paper deals with the texts of colophons from Erketi's Gulani. Unfortunately, Erketi's Gulani is lost today. Dimitri Baqradze was the sole Georgian scholar who has seen and studied the manuscript in question. The scholar has studied the manuscript, its testaments and colophons when visiting Erketi Monastery in 1873. In 1878 Dimitri Baqradze published the results of his research and texts of the colophons in his Russian-language book. Unfortunately, since 1870-ies we lack information about the location of Erketis' Gulani and the manuscript has been remaining out of the site of scholars.

Based on the analysis I have established that Erketi's Gulani was copied in 1579-1595. It was commissioned by Eqvtime I Sakvarelidze (1578-1616), Catholicos of Apkhazeti (Western Georgia), as a donation to the Mother of God Church of Tsaishi under the rule of a bishop Maksime of Tsaishi. Later on, for unknown reason, the Gulani ended up at Erketi Church. In addition, I deal with the issues associated with contribution of Maksime of Tsaishi to manuscript production from the standpoint of history and source studies.

As it turned out from the study of the colophons, a team of several persons (*tabuni* in Old Georgian) worked on copying the Gulani. Tasks were

distributed between them according to a specific scheme. According to the colophons, the text was copied by Ioane Chkhatarashvili, Natanael Kargareteli, Gabriel and Ioane Svimonisdzes (The latter had copied certain pieces of text from Gulani II from Tsaishi). The manuscript was bound by Gabriel Svimonisdze.

This paper will do a service to historians and philologists interested in medieval Georgian literature.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ნიკო ჯავახიშვილი

1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის

1765 წელს გამჟღავნებული შეთქმულება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ვაჟი, უფლისწული პაატა (1720-1765), განეკუთვნება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილ მოვლენათა რიცხვს.

ამ შეთქმულებისა და პაატა ბაგრატიონის შესახებ ცნობები დაცულია რამდენიმე საისტორიო წყაროში, კერძოდ, საქართველოს ისტორიის ქრონიკებში,[1] პაპუნა ორბელიანის,[2] ალექსანდრე ამილახვრის,[3] უფლისწულების: დავითის,[4] ბაგრატისა[5] და თეიმურაზის[6] საისტორიო თხზულებებში, ასევე მკვლევრების: თედო ჟორდანიას,[7] ნიკო ბერძენიშვილის,[8] ალექსანდრე ფირცხალაიშვილის,[9] მამია დუმბაძის,[10] ავთანდილ იოსელიანის,[11] ლოვარდ ტუხაშ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა. თბ. 1980.

[2] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981.

[3] ალექსანდრე ამილახვარი. ბრძენი აღმოსავლეთისა. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ვ. კიკნაძემ. თბ. 1997.

[4] დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. თ. ლომოურის გამოცემა. თბ. 1941.

[5] ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. თ. ლომოურის გამოცემა. თბ. 1941.

[6] თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ. 1983.

[7] თ. ჟორდანია. თხზულებანი. შემდგენელ-რედაქტორი ქ. ნადირაძე. თბ. 2011.

[8] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II. თბ. 1965.

[9] А. Пирцхалаишвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го). В сборнике: «Вопросы истории Грузии феодальной эпохи». Т. II. Тб. 1970.

[10] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუ-

ვილის,[12] შოთა ხანთაძის[13] და სხვათა ნაშრომებში, მათ შორის, ჩვენს სტატიაშიც.[14]

მიუხედავად ამისა, ხსენებული საკითხი ამომწურავად მაინც არ არის შესწავლილი.

წინამდებარე გამოკვლევაში შევეცადეთ შეგვესწავლა აღნიშნული შეთქმულების ისტორიის აქამდე უცნობი ზოგიერთი დეტალი, კერძოდ, დაგვედგინა მის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი. აქვე მოკლედ მიმოვიხილეთ ქართლის სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ძირითადი ეტაპები, რომელიც XVIII საუკუნის 30-80-იანი წლების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ნაკლებად გამოკვლეულ მოვლენას წარმოადგენს.

* * *

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართლელი ბაგრატიონები, კერძოდ, მეფეების — ვახტანგ VI-ისა და იესეს შთამომავლები, აქტიურად ცდილობდნენ მათი კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნებას. ამ მიზნით, მათი ნაწილი ვარაუდობდა როგორც შინაური, ასევე გარეშე ძალების (რუსეთის, სპარსეთის, ჩრდილოკავკასიელების) გამოყენებას.[15]

ზემოხსენებულ პერიოდში საქართველოში შემორჩენილ ქართლის სამეფო ტახტის ლეგიტიმურ პრეტენდენტთა შორის ყველაზე ანგარიშგასაწევ ფიგურას წარმოადგენდა ბაგრატიონთა ქართლური შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ ბატონიშვილი (1720-1788). მისი მამა იყო ვახტანგ VI-ის ძმა — იესე, ხოლო დედა — ელენე-ბეგუმი (1687-1750), ასული მეფე ერეკლე I-ისა (ნაზარ-ალი-ხანისა), ანუ ნახევარი და მეფე თეიმურაზ II-ისა.

კუნის 60-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973.

[11] ა. იოსელიანი. პაატა ბატონიშვილის შეთქმულებისადმი საიათნოვას დამოკიდებულების საკითხისადმი. კრებ.: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები". თბ. 1966.

[12] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 1983.

[13] შ. ხანთაძე. პაატა ბატონიშვილი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. VII. თბ. 1984.

[14] ნ. ჯავახიშვილი. პაატა ბატონიშვილის შეთქმულების უცნობი ფურცლები. „ქართული წყაროთმცოდნეობა". ტ. XII. თბ. 2010.

[15] ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 2005, გვ. 139-142.

აქვე დავძენთ, რომ იესე ორჯერ მეფობდა ქართლში, პირველად — 1714-1716 წლებში, როგორც შიიტი მუსლიმი — ალი-ყული-ხანი, ხოლო მეორედ — 1724-1727 წლებში, როგორც სუნიტი მუსლიმი — მუსტაფა-ფაშა. ამდენად, უფლისწული თეიმურაზ იესეს ძე (მომავალში — კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I) იმ დროისათვის ქართლის სამეფო ტახტის სრულიად კანონიერ პრეტენდენტად მოიაზრებოდა.

ქართლის სამეფო ტახტის დაუფლება სურდა კახეთის მეფეს თეიმურაზ II-ს, როგორც სიძეს ვახტანგ VI-ისას, კერძოდ, მისი ასულის — თამარ ბატონიშვილის მეუღლეს. ამიტომაც თეიმურაზ II-მ ფრიად მოხერხებულად ჩამოიცილა გზიდან საშიშ კონკურენტად ქცეული თავისივე დისწული — თეიმურაზ იესეს ძე. ამის თაობაზე ვრცლად ვწერდით ჩვენს სტატიაში.[16]

1755 წლის 16 დეკემბერს გამართულ საეკლესიო კრებაზე ანტონ I-ს კათოლიციზმში დასდეს ბრალი და მის მიერ დაკავებული მაღალი თანამდებობიდან გადააყენეს.

თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ დაამტკიცეს საეკლესიო კრების განჩინებაში დადებული აღთქმა, რომ ანტონ I-ს არასდროს აღარ აღადგენდნენ ძველი უფლებებით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ფიცის ქვეშ დადებული ეს პირობა ერეკლე II-მ თავისი მამის გარდაცვალებისთანავე (1762 წ.) დაარღვია. მისი მოწვევით, 1763 წლის 20 მარტს ანტონი საქართველოში"დაბრუნდა და კათოლიკოს-პატრიარქის უფლებებით აღსდგა.[17]

ქართლის ტახტის მაძიებელთა შორის იყო ასევე მეფე იესეს ძე, უფლისწულ თეიმურაზის (იგივე ანტონ I-ის) უფროსი ნახევარძმა, მხევლისაგან ნაშობი არჩილ ბატონიშვილი (გამაჰმადიანების შემდეგ — აბდულა-ბეგი). მას ცოლად ჰყავდა ერეკლე I-ის მხევლისაგან ნაშობი ასული, თეიმურაზ II-ის ნახევარი და — ქეთევანი. სპარსეთის ხელისუფლებამ აბდულა-ბეგი სხვადასხვა დროს დანიშნა: ჯერ გორის, შემდეგ კი თბილისის ნაიბად ანუ გამგებლად (1735 წ.), ხოლო 40-იანი წლების დამდეგს — თბილისში მჯდომი სპარსელი ხანის მრჩევლად. 1744 წელს მას საუფლისწულო მამულად ქვემო ქართლი გადასცეს.

---

16 ნ. ჯავახიშვილი. აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან. წელიწდეული „საისტორიო კრებული". ტ. I. თბ. 2011, გვ. 75-82.

17 ს. ავალიანი. ანტონ პირველი (ბაგრატიონი). თბ. 1987, გვ. 12-15, 33-34, 75-76.

1747 წელს, როდესაც ქართლის მეფე თეიმურაზ II სპარსეთში ნადირშაჰთან გაემგზავრა, მან ქართლის მმართველობა გადასცა თავის ძეს – კახეთის მეფე ერეკლე II-ს, ხოლო მის დამხმარედ აბდულა-ბეგი დანიშნა. ამ უკანასკნელმა გამეფება მოინდომა და უცხოტომელთა (თბილისის ციხე-სიმაგრეში მდგარ ყიზილბაშთა და დაღესტნელთა) დახმარებით ერეკლე II-ს დაუპირისპირდა, თუმცა ერთწლიან ბრძოლაში დამარცხდა.[18]

ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ისწრაფვოდა ასევე მეფე იესეს ძე, აბდულა-ბეგის უმცროსი ძმა, მაჰმადიანი ბატონიშვილი – ისაყ-ბეგი, რომელიც XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ქართლის ნაიბი ანუ გამგებელი იყო. 1742 წელს არაგვის საერისთავოში მომხდარი გლეხთა აჯანყებისას, მან იქ გაბატონება სცადა, მაგრამ თეიმურაზ II-მ გამოაძევა. 1744 წლიდან იყო ქართლის ჯანიშინი ანუ მეფისნაცვალი, თუმცა თავისი ძმის – აბდულა-ბეგის მხარდაჭერისათვის იგი მალევე გადააყენეს.

1750 წელს ისაყ-ბეგი ქრისტიანულად მოინათლა და ალექსანდრედ იწოდა. მან ქვემო ქართლში საუფლისწულო მამული მიიღო. 1759 წლიდან იგი რუსეთში გადასახლდა.[19] აქვე დავძენთ, რომ მისი შვილიშვილი იყო სახელგანთქმული მხედართმთავარი, ინფანტერიის გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812).

აბდულა-ბეგის (იგივე არჩილის) ვაჟი – დავითი უშუალოდ მონაწილეობდა უფლისწულ პაატას შეთქმულებაში, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბაგრატიონთა ქართლისა და კახეთის შტოებს შორის მიმდინარე შიდადინასტიური ბრძოლის მორიგ, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა 1765 წელს გამეღავნებული შეთქმულება მეფე ვახტანგ VI-ის ვაჟის – უფლისწულ პაატას ხელმძღვანელობით, რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდა ქართველ გავლენიან ფეოდალთა (ძირითადად ქართლელთა) მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს შეთქმულება მიზნად ისახავდა ქართლის სამეფოს აღდგენას და ტახტზე პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის დასმას, რაც ვერ განხორციელდა.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს შეთქმულება შეფასებული იყო, როგორც „ერეკლე II-ის გამაერთიანებელი პოლიტიკის წინააღმდეგ თავადაზ-

[18] დ. მეგრელაძე. აბდულა-ბეგი (არჩილი). ენციკლოპედია „საქართველო". ტ. I. თბ. 1997, გვ. 26.

[19] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 100.

ნაურთა რეაქციული ნაწილის ხანგრძლივი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი".[20]

სამეფო ლეგიტიმიზმის (მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან Legitimus, რაც კანონიერს, მართლზომიერს ნიშნავს) საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ მონარქის ტახტის კანონიერი მემკვიდრეა იმავე მეფის უფროსი ძე. თუ ეს უკანასკნელი ცოცხალი აღარ არის, მაშინ მისი უფროსი ძე. თუ ცოცხალი არც ის არის, მაშინ მისი მომდევნო ძმა. იმ შემთხვევაში, თუ ტახტის მემკვიდრე ქმედუუნაროა, კერძოდ, იმყოფება ტყვეობაში ან სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ახერხებს თავის სამშობლოში დაბრუნებას, მაშინ მის კუთვნილ ტახტზე შეიძლება ავიდეს მისივე მომდევნო ძმა, ან ძმისწული, ან უკიდურეს შემთხვევაში უახლოესი ნათესავი მამრობითი ხაზით. როდესაც ცოცხალია მონარქის თუნდაც ერთი შთამომავალი მამაკაცი (მამრობითი ხაზით), მას ტახტზე მეტი უფლება გააჩნია, ვიდრე მდედრობითი ხაზის წარმომადგენელს.

სწორედ აღნიშნულ პრინციპს ეყრდნობოდა ქართული სამართალიც უძველესი დროიდან — XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით.

ქართული სამართლის ყველაზე გვიანდელ, საკოდიფიკაციო ძეგლში — „სამართალი ბატონისშვილის დავითისა" ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავით ბაგრატიონი (1767-1819) აღნიშნავდა: „ვინათგან მეფის ძენი არიან პირველნი წევრნი სამეფოსანი და მათგან შედგების ღირსებაი მეფობისა, ამისთვის ხამს, რათა იყვნენ იგინი პატივცემულ ყოველთა მიერ და აქვნდესთ, შემდგომად მეფისა პატივისცემა უპირველესი ყოველთა საზოგადოობათაგან...

უპირველესი პატივისცემა მათ შორის აქვნდეს უპირველესსა ძესა, ვინათგან არს იგი მემკვიდრე ტახტისა. ხოლო ესე მემკვიდრეობა ტახტისა უპირველესსა ძესა ადრიდგანვე არს შემოღებულ საქართველოსა შინა ამისთვის... მარადის უპირველესნი ძენი იქმნებოდიან მეფედ; და უკეთუ მოკვდეს იგი და დაუშთის ძე, ძე მისი იქმნებოდის, და არა ძმანი. ხოლო წეს-დებულება ესე არაოდეს შეცვლილ არს, ვიდრე დღევანდელ დღემდე. და უკეთუ პირველსა შვილსა არა დაუშთეს მემკვიდრე, შემდგომი იქმნების; და თუ მასცა არა დაურჩების შვილი, — შედგომი, და ესრეთ შორს იხილე. ხოლო ძეთანი ასულთანი გამორიცხულ არიან ამა ღირსებასაგან".[21]

---

[20] შ. ხანთაძე. პაატა ბატონიშვილი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება, გვ. 629-630.

[21] სამართალი ბატონისშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ. თბ. 1964, გვ. 218-219.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მეფე ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო ჯერ ხსენებული მეფის უფროსი ძე – ბაქარი (1700-1750), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის უფროსი ვაჟი – ალექსანდრე (1723-1791). სხვათა შორის, ეს გათვალისწინებული იყო რეშთის ხელშეკრულებითაც.[22]

აქვე გავიხსენებთ, რომ 1732 წლის 21 იანვარს ქ. რეშთში სპარსეთსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების მერვე მუხლის თანახმად, შაჰინშაჰმა თაჰმასპ II (იგივე შაჰ-თამაზ II) სეფიანმა, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში 1722 წლიდან მეფობდა, აიღო ვალდებულება, რომ იმხანად ოსმალეთის მფლობელობაში მყოფ ქართლზე სპარსეთის ტრადიციული სუზერენული უფლებების აღდგენის შემდეგ ამ სამეფოს ტახტი დაებრუნებინა მისი კანონიერი მფლობელებისათვის – ვახტანგ VI-ისა და მისი შთამომავლობისათვის.[23]

ლ. ტუხაშვილი მართებულად შენიშნავდა, რომ ქართლელ ფეოდალებს „საფიცრად გამხდარი ჰყავდათ ვახტანგ VI-ის ნაშიერები".[24]

ვფიქრობთ, ეს სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ვახტანგ VI-ის განუზომელ ავტორიტეტს და საზოგადოების გამორჩეულ პატივისცემას მის მიმართ, რომელიც, მისი მეფობის ტრაგიკული დასასრულის მიუხედავად, არასდროს გახუნებულა.

ხსენებული მეფის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ როგორც მის სიცოცხლეში, ასევე მოგვიანებითაც.

გიორგი პაიჭაძე აღნიშნავდა: „გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით გამოირჩევა ვახტანგ VI-ის კოლორიტული ფიგურა. სამშობლოს საკეთილდღეოდ მან ტიტანური შრომა გასწია. ვახტანგის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ქართლის ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რის შედეგადაც ქვეყანა საგრძნობლად დაწინაურდა, ხოლო ქართულ სინამდვილეში მოხდა ისეთი ძვრები, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შემდგომი ეტაპისათვის სათანადო ნიადაგს ამზადებდა. ამდენად, ვახტანგის მოღვაწეობა საქართველოს პროგრესული განვითარების საქმეს ემსახურებოდა და ამიტომაც, ქართველი ერის ისტორიაში მან ღირსეული ადგილი

[22] А. Пирцхалаишвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го), გვ. 88.
[23] გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე. თბ. 1981, გვ. 171.
[24] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 23.

დაიკავა... პროგრესული სახელმწიფო საქმიანობით და ქვეყნის კულტურულ განვითარებაში უდიდესი წვლილის შეტანით ვახტანგმა ჭეშმარიტად გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის სახელი მოიპოვა და ქართველი ხალხის მარადიული პატივისცემა დაიმსახურა".[25]

მანანა ქიქოძის სამართლიანი დასკვნით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში „ვახტანგ VI ბაგრატიონთა შორის ყველაზე მოწინავე პიროვნება იყო, ენციკლოპედიური განათლებით აღჭურვილი და მრავალმხრივი მეცნიერული ნიჭით დაჯილდოებულიც".[26]

ყოველივე ზემოთქმულის გამო, კახეთის ბაგრატიონთა გამეფებას ქართლში, რომელსაც ვახტანგ VI-ის ვაჟების სახით ლეგიტიმური მემკვიდრენი ჰყავდა, მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა არა მხოლოდ ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელთაგან, არამედ საქართველოს ამ კუთხის არისტოკრატიის მხრიდანაც. სწორედ ამიტომაც ქართლის თავადაზნაურობა ასე მოიხსენიებდნენ მეფე ერეკლე II-ს: „მამა კახეთისა და მამინაცვალი ქართლისა".[27]

ვახტანგ VI-ის შთამომავალთა საკითხი დიდხანს იდგა პრობლემად თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წინაშე. ეს იყო ძლიერი ოპოზიცია, რომელიც ქართლის სამეფო ტახტის დაკარგვას და იქ კახეთის ბაგრატიონთა გამეფებას ვერაფრით ვერ შეეგუა.[28]

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, აქვე გავიხსენოთ, თუ როგორ დასრულდა ქართლის მეფობის ორი ზემოხსენებული ძირითადი პრეტენდენტის — ბაქარის ვახტანგის ძისა და მისი უფროსი ვაჟის — ალექსანდრე ბაქარის ძის მცდელობანი სამეფო ტახტის დაბრუნების მიზნით. მათი გახსენება აუცილებლად მიგვაჩნია ამ სტატიაში დასმული პრობლემის გლობალურად გააზრებისათვის.

სამშობლოში დაბრუნება სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოახერხა საიმპერიო არმიის გენერალ-პორუჩიკმა, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერმა ბაქარ ვახტანგის ძემ, რომელიც 1750 წლის 1-ელ თებერვალს რუსეთში გარდაიცვალა.

---

25 გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე, გვ. 3.
26 მ. ქიქოძე. ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა). თბ. 1983, გვ. 23.
27 პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით. რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ. 1936, გვ. 13.
28 დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები). თბ. 2004, გვ. 327-328.

საქართველოში წამოსასვლელად ფარულად ემზადებოდა იზმაილის პოლკის ლაიბ-გვარდიის ოფიცერი ალექსანდრე ბაქარის ძე, მაგრამ მან ეს იმხანად ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება ტახტის მაძიებელ ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების ნებას გარკვეულ დრომდე არ აძლევდა, რითაც, ფაქტობრივად, გვეელინებოდა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მხარდამჭერის როლში.

აქვე დავძენთ, რომ მას ცოლად ჰყავდა დარია მენშიკოვა, შვილიშვილი იმპერატორ პეტრე I-ის უახლოესი მეგობრისა, გენერალისიმუს, თავად ალექსანდრე მენშიკოვისა.[29]

თედო ჟორდანია აღნიშნავდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი „იყო დიდების და პატივის მოყვარე, უმეგობრდებოდა რუსეთში გავლენის მქონე პირებს და პეტრე III-ის მეფობაში თვითონაც მოიპოვა გავლენა თვით სასახლეში. დაუახლოვდა და დაუმეგობრდა კიდეც თვითონ პეტრე III-ს; მასთან დადიოდა, დროს ატარებდა და სიკვდილის დრომდე არ სტოვებდა მას... ხასიათით იყო მეტად ჩქარი და მოუსვენარი. სამსახურში ითვლებოდა იზმაილოვის პოლკის გვარდიაში და 1762 წელს ჰქონდა კაპიტნის ჩინი და კარგი ჯამაგირი, გარდა მამისაგან დარჩენილის დიდ-ძალის უძრავის ქონებისა. რეშტის (1732 წ.) და განჯის (1735 წ.) ტრაქტატებით, რომელიც რუსის მთავრობამ შეჰკრა სპარსეთთან, ვახტანგი და მისი შთამომავლობა ითვლებოდა ნამდვილ მემკვიდრედ ქართლის ტახტისა".[30]

1761 წელს, როდესაც ქართლის მეფე თეიმურაზ II დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, მას ალექსანდრე ბაქარის ძე არ შეხვდა.[31]

1766 წელს, იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ბრძანებით, ალექსანდრე ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს. მანამდე მას აჰყარეს სამხედრო წოდება, ჩამოართვეს მუნდირი და გადასცეს საგზაო თანხა — 1.000 რუბლის ოდენობით.[32]

---

[29] Дворянские роды Российской империи. Т. III. Князья. Под редакцией С. В. Думина. М. 1996, გვ. 48.

[30] თ. ჟორდანია. თხზულებანი, გვ. 71.

[31] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. II. თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში. თბ. 1968, გვ. 91-143.

[32] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 635.

სხვა ცნობის თანახმად, 1765 წელს ალექსანდრე უკვე მოზდოკში იმყოფებოდა, მაგრამ საქართველოში მან ვერ შემოაღწია. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პაატა ბატონიშვილის შეთქმულების ჩახშობისა და მის მონაწილეთა დასჯის გამო ახალი შეთქმულების მოსაწყობად ქართლ-კახეთში ფრიად არახელსაყრელი ვითარება სუფევდა.[33]

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ ალექსანდრე ბაქარის ძის საქართველოში გამოშვება საეჭვოდ დაემთხვა ერეკლე II-ის დაახლოებას ოსმალეთის სულთანთან. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ალიანსმა „ბრწყინვალე პორტასთან" დიდად შეაშფოთა რუსეთის საიმპერატორო კარი.

ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებით, ალექსანდრე ბაქარის ძის სამშობლოში გამოშვება და მისი აქტიურობა წარმოადგენდა რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებულ ერთ-ერთ კონტრზომას მეფე ერეკლე II-ის მცდელობაზე — შესულიყო ოსმალეთის სულთნის მფარველობაში.[34]

ზემოხსენებულ მოსაზრებას სხვა ქართველი ისტორიკოსებიც იზიარებენ.[35]

მამია დუმბაძე მიუთითებდა: „რუსეთში მყოფი ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბაქარის ძე განსაკუთრებით აქტიურობდა, მომხრეებს ეძებდა და ქართლისაკენ მოიწევდა. ეკატერინეს მთავრობა ოფიციალურად თითქოს „აკავებდა" მას, მაგრამ ძალზე საეჭვოდ გამოიყურებოდა იმპერატრიცას 1764 წლის 13 თებერვლის ბრძანებულება",[36] რომლითაც ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს.

უფლისწული ალექსანდრე თავს აფარებდა სხვადასხვა ქვეყანას და ერეკლე II-ის წინააღმდეგ გალაშქრების გეგმებს აწყობდა. ერთხანს ის იმყოფებოდა სპარსეთის ვაქილად წოდებულ (ანუ რეგენტ) ქერიმ-ხან ზენდთან, რომელიც რეალურად ქვეყნის უზენაესი მმართველი იყო, ერთხანს — ჩრდილო კავკასიის სამფლობელოთა მმართველებთან, ერთხანს კი — იმერეთის მეფე სოლომონ I-თან. ეს უკანასკნელი იმიტომ მფარველობდა ალექსანდრეს, რომ მას აშფოთებდა ქართლ-კახეთის მეფის დაახლოება ოსმალე-

---

[33] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი IV. თბ. 1967, გვ. 169.

[34] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში, გვ. 683-684; ა. ჭეიშვილი. ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). თბ. 1982, გვ. 7-8.

[35] Дворянские роды Российской империи. Т. III, გვ. 48.

[36] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში, გვ. 635.

თის სულთანთან. სოლომონ I ეჭვობდა (და არცთუ უმიზეზოდ), რომ „ბრწყინვალე პორტასთან" კავშირით ერეკლე II თავისი სამეფოსათვის იმერეთის შეერთებას გეგმავდა.

1779 წელს, როდესაც ერეკლე II-მ ერევანზე გაილაშქრა, ტახტის მაძიებელმა ალექსანდრემ ქართლის თავადაზნაურობას აჯანყებისაკენ მოუწოდა. ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მეფემ გადამჭრელ ზომებს მიმართა და მის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მცდელობა ამჯერადაც წარუმატებლად დასრულდა.[37]

1782 წლიდან ალექსანდრე ბაქარის ძემ თავის ერთგულ თავადთან, ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვართან (1750-1802), ერთად თავი შეაფარა დერბენტის მმართველს[38] – ფათ-ალი-ხან იბნ ჰუსაინს.

იმხანად შექმნილ ვითარებაში ერეკლე II-ის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ქართლის სამეფოს დაკარგვის საშიშროება. საბოლოოდ, ქართლ-კახეთის მეფემ გადაწყვიტა, რომ შესულიყო რუსეთის იმპერატორის მფარველობაში, ოღონდ ამის ერთ-ერთ წინაპირობად, საიმპერატორო კარს ხელი უნდა აეღო მისი მეტოქის – ალექსანდრე ბაქარის ძის მხარდაჭერაზე.

პროფესორების – გიორგი პაიჭაძისა და ვახტანგ ჯაფარიძის შეფასებით: „ვახტანგის მემკვიდრეობის მაძიებელთა პოზიციების ასეთი დასუსტება თავის მხრივ არსებითად შეარყევდა ბაგრატიონთა კახური შტოსადმი მტრულად განწყობილი ქართლელი თავადების ოპოზიციას".[39]

მფარველობითი ტრაქტატის დადებამდე, ერეკლე II-ის თხოვნით, საიმპერიო მთავრობამ დერბენტის ხანს მოსთხოვა ქართლ-კახეთში გასალაშქრებლად შეგროვილი ჯარის დათხოვნა და მასთან მყოფი ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტის რუსეთში დაბრუნება. ფათ-ალი-ხანმა ალექსანდრე აიძულა, რომ რუსეთში გაბრუნებულიყო. იგი გზაშივე დააპატიმრეს.[40]

ტახტის მაძიებელი უფლისწულის გაცემის სანაცვლოდ, ფათ-ალი-ხანმა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებისაგან საჩუქრად მიიღო 500 ჩერვონეცი და ოქროს სათუთუნე.

ალექსანდრე ბაქარის ძე სმოლენსკში გადაასახლეს. შინაპატიმრობაში

---

37 თ. ბოცვაძე. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.). თბ. 1963, გვ. 117.

38 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II, გვ. 227.

39 გ. პაიჭაძე, ვ. ჯაფარიძე. ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში. თბ. 1974, გვ. 6.

40 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II, გვ. 229-230.

მყოფ ბატონიშვილს მიმოწერაც აუკრძალეს. მის სახლში მუდმივად იმყოფებოდა მთავრობისაგან ყარაულად მიჩენილი ოფიცერი, რომელიც ალექსანდრეს ყოველ ნაბიჯს თვალ-ყურს ადევნებდა. იმედგაცრუებული უფლისწული იქვე გარდაიცვალა.[41]

ასეთივე პირობებში იმყოფებოდა ალექსანდრე ბაქარის ძის თანამოაზრე და თანამებრძოლი ალექსანდრე ამილახვარიც, რომელიც ქალაქ ვიბორგში გადაასახლეს.[42]

იმხანად განვითარებული მოვლენების ანალიზი მოწმობს, რომ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ალექსანდრე ბაქარის ძის ფაქტორი საკმაოდ მარჯვედ გამოიყენა მეფე ერეკლე II-ზე ზემოქმედებისათვის.

საშიში კონკურენტის სამუდამოდ ჩამოშორების სანაცვლოდ (სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად) ერეკლე II-მ უარი თქვა ოსმალურ ორიენტაციაზე და დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის იურიდიულად გაფორმება, რაც 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში განხორციელდა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მესვეურებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს, ქართლის ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი პოლიტიკურ არენას დაუყოვნებლივ ჩამოაცილეს. ასე, რომ ალექსანდრე ბაქარის ძის მრავალწლიანი მცდელობა ქართლის სამეფო ტახტის დაუფლებისათვის პირადად მისთვის სრულიად უშედეგოდ დასრულდა.

ახლა, რაც შეეხება ვახტანგ VI-ის ნაბოლარა ვაჟს, მხევლისაგან შობილ პაატას. მართალია, თავის უფროს ძმასთან — ბაქართან და ძმისწულთან — ალექსანდრესთან შედარებით პაატას ნაკლები უფლებები გააჩნდა მამის მემკვიდრეობაზე, მაგრამ, ლეგიტიმიზმის ზემოხსენებული პრინციპიდან გამომდინარე, ქართლის ტახტი მას უფრო მეტად ეკუთვნოდა, ვიდრე მის დისწულს, ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელს — ერეკლე II-ს.

საგულისხმოა, რომ მეფე ვახტანგ VI-ის შთამომავალ მამაკაცთაგან ერთადერთმა პაატამ მოახერხა, რომ, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ, ამ ქვეყნიდან გაქცეულიყო და თავის მამისეულ მამულში — ქართლში დაბრუნებულიყო.

საინტერესოა, რამ აიძულა უფლისწულ პაატას რუსეთიდან გაქცევა?

პაატა თავისი დროისათვის განათლებულ პიროვნებას წარმოადგენდა.

---

41 Дворянские роды Российской империи. Т. III, გვ. 48.

42 А. Пирцхалаишвили, Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го), გვ. 89.

რუსეთში მან საფუძვლიანად შეისწავლა სამხედრო ხელოვნება, საფორტიფიკაციო საქმე, არტილერია და ზარბაზნების ჩამოსხმის საქმეშიც დახელოვნდა.[43]

მამის გარდაცვალების (1737) შემდეგ უფლისწული ფინანსურ გასაჭირში ჩავარდა.

საყურადღებოა, რომ რუსეთის საიმპერიო ხაზინიდან უფლისწული ბაქარი ყოველწლიურად იღებდა 2000 ვერცხლის რუბლს (გენერლის ხელფასის გარდა), უფლისწული გიორგი – 1500 ვერცხლის რუბლს (გენერლის ხელფასის გარდა), ხოლო უფლისწულ პაატას მხოლოდ 300 ვერცხლის რუბლი ეძლეოდა. თუ ასეთი დისკრიმინაცია იმით აიხსნება, რომ, განსხვავებით ბაქარისა და გიორგისაგან, პაატა იყო ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ პაატას მსგავსად მხევლისაგან შობილი ვახუშტი ბატონიშვილი იღებდა მასზე ხუთჯერ მეტ თანხას (?!) – 1500 ვერცხლის რუბლს ანუ იმდენივეს, რამდენსაც მეფის კანონიერი ძე – გიორგი.[44]

უფლისწული პაატა თავს დაჩაგრულად გრძნობდა არა მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებისაგან, არამედ საკუთარი ძმებისგანაც, განსაკუთრებით ბაქარისაგან.

ბაქარის მტრული დამოკიდებულება თავისი მცირეწლოვანი ძმისადმი ნათლად ჩანს მის მიერ ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას გაცემული შემდეგი ბრძანებიდან: „ჩვენი ბრძანება არის იასაულო, მერმე რაც ნაბიჭვარს პაატას ან ყმა, ან სახლკარი, ან ზვარი, ან ხოდაბუნი და რაცრამა ფერი ქონებოდეს, სულ უფლებით ზედგინიძის ფაჩუასათვის გვიბოძებია და ამას მიაბარეთ. მაგას ხელი აღარ აქვს, სახლ-კარიდამ გამორეკე".[45]

მოგვიანებით (1751 წელს) გიორგი ბატონიშვილიც სრულიად გულგრილად მოეკიდა ოსმალეთის დედაქალაქში გადახვეწილი პაატას წერილობით თხოვნას, რომ მისთვის ფინანსური დახმარება აღმოეჩინა. უფრო მეტიც, გიორგიმ თავისი გაქცეული ძმის საიდუმლო წერილი რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებას წარუდგინა.[46]

---

[43] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში, გვ. 633.

[44] Б. Андроникашвили. Страницы прошлого читая... Под ред. Ш. Хантадзе. Тб. 1987, გვ. 71-72.

[45] ნ. მახათაძე. „უწყებაი" და „ხსენებაი". თბ. 1996, გვ. 41.

[46] ნ. მახათაძე. ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (XVIII-XIX სს.). თბ. 1967, გვ. 41.

მკვლევარი ნინო მახათაძე მართებულად მიუთითებდა: „გარდა ცნობილი მასალებისა, ჩვენ არც აქ და არც რუსეთის არქივებში არაფერი შეგვხვედრია იმის შესახებ, რა სახე მიიღო ძმების ურთიერთობამ რუსეთში. მაგრამ თუნდაც იმ დამოკიდებულებით, რაც მათ შორის საქართველოში ყოფნის დროს მეღავნდება, ჩემის აზრით, გამორიცხულია ქართლის ტახტის დასაბრუნებლად მათ რუსეთში საერთო ენა გამოენახათ".[47]

1745 წლის მაისში უფლისწულმა პაატამ რუსეთის იმპერატრიცას ანა იოანეს ასულს სთხოვა, რომ შესაფერის სამსახურში აეყვანათ, ანდა საქართველოში გამგზავრების ნებართვა მიეცათ. ამის პარალელურად მან ითხოვა თანხა ვალების გასასტუმრებლად.

რუსეთის იმპერიის ხელისუფალნი შიშობდნენ, რომ საქართველოში დაბრუნებული უფლისწული პაატა სპარსეთის სამსახურში არ ჩამდგარიყო და თავისი სამხედრო განათლება იქ არ გამოეყენებინა.

ქართველი უფლისწულის საქმეში შემონახულ დოკუმენტში ნათქვამია: „სენატისათვის ცნობილია, რომ პაატა ბატონიშვილი რუსეთში დაეუფლა საარტილერიო საქმეს. ამიტომ მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ პაატა რუსეთიდან ბოძებული საარტილერიო მეცნიერების პასპორტით არ წარუდგეს სპარსეთის შაჰს და იქ საარტილერიო მეცნიერება არ გაავრცელოს. თუნდაც თვით პაატამ არ ისურვოს შაჰისადმი სამსახური, შაჰი გაიგებს რა მისი ცოდნის შესახებ, აიძულებს მასთან დარჩეს. ამიტომ, სენატის აზრით, მისი რუსეთიდან გაშვება არ შეიძლება".[48]

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საიმპერიო ხელისუფლებამ პაატას შესთავაზა ქვეით პოლკში ჩარიცხვა პოდპოლკოვნიკის წოდებით და ფულადი დახმარება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ვალის მხოლოდ მცირე ნაწილის გასტუმრება.

ამ შეთავაზებით უკმაყოფილო უფლისწულმა გადაწყვიტა, რომ რუსეთი საიდუმლოდ დაეტოვებინა. 1749 წლის 22 იანვარს იგი ქართველი აზნაურის, ვასილ ეგოროვის, პასპორტით ეწვია ჯერ რიგას, ხოლო შემდეგ მიტავას (ამჟამად ლატვიის ქალაქი ელგავა), საიდანაც მემელში (ამჟამად ლიტვის ქალაქი კლაიპედა) ჩავიდა.[49]

იმავე წლის 5 მაისს რუსეთის იმპერიის სენატში ქართველი უფლის-

47 ნ. მახათაძე. „უწყებაი" და „ხსენებაი", გვ. 41.
48 ნ. მახათაძე. ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, გვ. 39.
49 А. Пирцхалаишвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го), გვ. 71-77.

წულის საქმე განიხილეს. იმ დღეს შედგენილი დოკუმენტის სახელწოდებაა: «Протокол собрания правительствующего Сената об отказе в отпуске на родину грузинского царевича Пааты, о принятии на службу подполковником, а также о тайном отъезде его с подложным паспортом в Мемель».[50]

„პროტოკოლში" ნათქვამი იყო: «Царевич Паата подложным паспортом, под именем грузинского дворянина Егорова, с одним человеком приехал в Ригу из Петербурга и объявя об себе, отпросился до Митавы, откуда тайно в Мемель приехал».[51]

მემელიდან კენიგსბერგში ჩასულმა პაატამ პრუსიის მონარქს ფრიდრიხ II-ს ქვეშევრდომობაში მიღება და სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა სთხოვა, რასაც შედეგი არ მოჰყვა. როგორც ჩანს, რუსეთიდან გაქცეული უფლისწულისათვის თავშესაფარის მიცემას პრუსიის ხელისუფლება მოერიდა. ამის გამო პაატა სხვა ქვეყნებისა და კონსტანტინოპოლის გავლით მოგვიანებით (1752 წ.) საქართველოში დაბრუნდა.[52]

მისი მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: სანკტ-პეტერბურგი – რიგა – მიტავა – მემელი – კენიგსბერგი – ვარშავა – კამენეცი – ბუქარესტი – კონსტანტინოპოლი – ერზურუმი – თბილისი.[53]

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „მოვიდა პაატა ბატონიშვილი, ძე მეფის ვახტანგისა, ხარჭა სტამბოლით. რუსეთს სასწავლოში ყოფილიყო, ესწავლა არტილერია, საქმე თოფხანისა. მეფე ვახტანგ რომ მიცვლილიყო, რუსეთს აღარ დამდგარიყო, იქიდამ გაპარვით წასულიყო, საფრანგეთის ქვეყანა მოევლო, სტამბოლს მისულიყო და იქიდამ მოვიდა ქალაქსა თბილისისასა. ნახა მეფემ თეიმურაზ და მეფემ ერეკლემ, ვითაც ბიძა იყო მეფის ერეკლესი და მისცეს პატივი, დააყენეს მიჩნევით ქალაქში".[54]

ასე, რომ სამშობლოში დაბრუნებული უფლისწული დიდი პატივით მიიღეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პაატა იყო თეიმურაზისათვის – ცოლისძმა, ხოლო ერეკლესათვის – ბიძა (დედის ძმა).

---

50 Сенатский архив. Т. 7. Протоколы Правительствующего Сената. СПб. 1895, გვ. 519.

51 Сенатский архив. Т. 7. Протоколы Правительствующего Сената. გვ. 519-520.

52 შ. ხანთაძე. პაატა ბატონიშვილი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება, გვ. 629.

53 А. Пирцхалаишвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го). გვ. 79.

54 პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 191.

მეფეები შეეცადნენ, რომ პაატა ბატონიშვილის დახმარებით ქართული არტილერია შეექმნათ.[55] მათ პაატა თავიანთ სამხედრო მრჩევლად დანიშნეს. მასვე დაეკისრა ქვემეხების ჩამოსხმის ორგანიზება, რასაც თავი საკმაოდ წარმატებით გაართვა. 1759 წელს უფლისწული პაატა თბილისის მოურავად დაადგინეს.[56]

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, პაატა „იყო კაცი ესე ფრიად მეცნიერ".[57]

ზაქარია ჭიჭინაძე მიუთითებდა: „სხვათა მრავალთ ჩინებულ ქართველთ შორის იყო ცნობილი პაატა ბატონიშვილი, კაცი სწავლული, მრავალ საქმეთა მცოდნე და გამოცდილი. ეს პირი მცნობი იყო ინგლისის სახელმწიფო წესების, ხალხის განვითარების, სამოქალაქო წეს-წყობილების. ამ გვამს დიდათ სურდა, რომ საქართველო ინგლისს დაახლოვებოდა ინდოეთის გზით და ამ დაახლოვებით საქართველოც წარმატების გზაზედ დამდგარიყო... გარდა ამისა, იგი იყო თავის დროის კვალად საკმარისად განსწავლულ-განვითარებული... მოსვლისთანავე მეფე ერეკლეს დაუახლოვდა... უამბობდა ევროპის ერთა სახელმწიფო ცხოვრებას, წესებს და სხვადასხვა ცნობებს...

პაატა ბატონიშვილი ურჩევდა მეფე ერეკლეს, რომ რაკი საფრანგეთი შორს არის საქართველოდან, მათთან დაახლოვებას თავი დავანებოთ და ჩვენ ინგლისს დავუახლოვდეთ კალკუტის გზითაო... ეს უფრო ადვილად მოხერხდება, ვიდრე ევროპის გზით საფრანგეთთან დაახლოვებაო...

მაგრამ საქმე იმან შეაბრკოლა, რომ მეფე ერეკლე ჭოჭმანობდა, საკმარისად ერიდებოდა ინგლისელებზედ ლაპარაკი, მათთან დაახლოვება და ერთობა. მეფე აღიარებდა, რომ იგინი ჩვენი მერჯულენი არ არიან და ვაითუ მოვტყუვდეთო".[58]

პაატა ანტირუსულ განწყობას ამჟღავნებდა. ამასთან დაკავშირებით მამია დუმბაძე მიუთითებდა: „არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ პაატა ბატონიშვილი რუსეთის ორიენტაციის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო. თავისი ძმი-

---

[55] შ. ხანთაძე. პაატა ბატონიშვილი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება, გვ. 629.

[56] Дворянские роды Российской империи. Т. III. გვ. 48.

[57] თ. ბაგრატიონი. ახალი ისტორია.

[58] საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები. ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან. მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი. გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძისა. ტფ. 1900, გვ. 34-36.

სადმი, გიორგი ბატონიშვილისადმი გაგზავნილ ერთ წერილში იგი რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობას ეძახის „მატყუარას" და „სამართლებრივ ნორმათა უარმყოფელ სახელმწიფოს", სადაც „კაცი კაცად არაა მიჩნეული". პაატას ასეთ გულაცრუებას რუსეთის თვითმპყრობელობაზე სუბიექტური მიზეზები ჰქონდა (მცირე პენსია, სამშობლოში დაბრუნების აკრძალვა და სხვ). რუსეთში მყოფ მუხრანელ ბაგრატიონთა ნაშიერების უკმაყოფილება იმ დროს საკმაოდ გახმაურებულა. ამასვე აღნიშნავდა პეტერბურგში მყოფი ფრანგი ელჩი".[59]

აღნიშნული წერილი პაატამ თავის ძმას 1751 წლის 20 აგვისტოს, კონსტანტინოპოლიდან გაუგზავნა. ქართულად დაწერილი ეს წერილი, თავისი რუსული თარგმანითურთ დაცულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში.[60]

წერილის რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: «Дай бог, чтобы народ всех наших грузинских земель так освободился, как я освободился от обманского министерства. Вы рассудите: в таком великом государстве такие большие министры такого человека, как я, ложным ответом четыре года промучили... И в таком государстве как можно человеку, жить, ежели человек за человека себя не признавает? А мое требование, как вам известно, неважное было. Но, славу богу, что безвредно освободился».[61]

სამშობლოში დაბრუნებულ ვახტანგ VI-ის ნაშიერს დაუფარავი სიხარულით შეეგება ქართლელ ფეოდალთა უმრავლესობა. მათი სათაყვანებელი მეფის ვაუთაგან პაატა იყო პირველი და ერთადერთიც, რომელიც ხანგრძლივი განშორების შემდეგ მამულს დაუბრუნდა. მის გარშემო დაირაზმა თავადაზნაურობის მრავალი წარჩინებული წარმომადგენელი, რომელთა თავშეყრის ადგილსაც „მარკოზაშვილის დარბაზი" წარმოადგენდა.[62]

პაატა იქცა ერეკლე II-ის საწინააღმდეგო ერთიანი ფრონტის სულისჩამდგმელად და ორგანიზატორად, რომელიც მხოლოდ თავისი მამისეული ტახტის დაუფლებას კი არ გეგმავდა, არამედ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ გარდაქმნასაც.

---

59 მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში, გვ. 633.

60 Архив внешней политики России (АВПР). ф. "Сношения России с Грузией. оп. 110/I. д. 14 (1751г.). გვ. 6-8.

61 А. Пирцхалаишвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го), გვ. 80.

62 შ. ხანთაძე. მარკოზაშვილის დარბაზი. ქსე. ტ. VI. თბ. 1983, გვ. 446.

ნიჭიერმა და განსწავლულმა პაატამ, რომელსაც „ღარიბთა საყვარელ ბატონიშვილს“ ეძახდნენ, საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მას გამორჩეულად აფასებდა ანტონ I. პაატას კახეთშიც გამოუჩნდნენ გავლენიანი მომხრენი, მათ შორის, ქიზიყის მოურავი თამაზ ანდრონიკაშვილი, მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი და სხვ.

პაატას მომხრები ვაჭარ-ხელოსანთა და მოქალაქეთა წრეშიც ჰყავდა. ის მესვეურობდა შეთქმულების დემოკრატიულ მიმდინარეობას, განსხვავებით თავისივე ნათესავის, ქართლის მეფის იესეს (მეფობდა 1714-1716 და 1724-1727 წლებში) შვილიშვილის — დავით არჩილის (აბდულა-ბეგის) ძისაგან, რომელიც მხოლოდ არისტოკრატიას ეყრდნობოდა.[63]

ყოველივე ზემოთქმული შეუმჩნეველი არ დარჩა პაატას დისწულს, ერეკლე II-ს, რომელიც რუსეთიდან დაბრუნებული ბიძის „პიროვნებაში თავიდანვე იყო დაეჭვებული“.[64]

ზ. ჭიჭინაძე წერდა: „პაატა ბატონიშვილს და სხვათა... სურდათ, რომ ქართლის მეფობა ერეკლესთვის წაერთმიათ... ამ პირებმა ეს იმიტომ განიზრახეს, რადგანაც იგინი ამჩნევდნენ, რომ ერეკლე მეფის მეფობა საქართველოს დასაღუპად გარდაიქცევაო. მას არც შვილები ჰყავს კარგები და არც შვილის შვილები. არცერთ მათში სამეფო პირი არ არის, ეგენი მეფობას ვერ შესძლებენ. ერეკლესებური მეფე გიორგი ვერ იქნებაო და გიორგი კიდევ საქართველოს აღარ გამოადგება; საქართველოსთვის საჭიროა შორსმხედველი მეფე, განათლებული და ევროპის სამხედრო წესებთა მცნობიო“.[65]

ბაგრატ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „შეითქვნენ რამოდენიმე ქართველნი თავადნი და აზნაურნი და აბირეს ბუშსა ვახტანგ მეფისასა პაატას... და ბიძაშვილსა მისსა აბდულა ბეგის შვილს დავითს, რათამცა წარეწყმინდათ მეფე ირაკლი და დაეპყრათ თვით მეფობაი ქართლისა. მსმენელმან მეფემან ირაკლიმ შეიპყრა ესენი და პატიმარჰყო მეტეხის ციხესა შინა“.[66]

თეიმურაზ ბატონიშვილი გვამცნობს: „შეითქვნენ მეფესა ზედა თავადი

---

[63] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 68-74, 83, 113-115.
[64] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 22.
[65] საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები. ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან. მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი, გვ. 36.
[66] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 52-53.

ამილახვრის შვილი დიმიტრი, სახლთუხუცესი, და ესე იყო მძახალი მეფისა, რამეთუ დაი მეფისა ელისაბედ ჰყვა ძესა მისსა გიორგის, გლახა ციციშვილი და თაქთაქიშვილი ელისბარ. ამათ მისცეს პირობაი პაატას ბატონისშვილს, რომელიცა იყო ესე არარჯულიერი ძე მეფისა ვახტანგისა".[67]

1765 წლის 5 დეკემბერს შეთქმულება გამჟღავნდა. იგი გასცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, თბილისელმა ხელოსანმა დათუნა ფეიქარმა. როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, იგი ყოფილა თავად ელიზბარ თაქთაქიშვილის მოსამსახურე, წარმოშობით სამშვილდელი გლეხი, წარსულში გრიგორიანული აღმსარებლობისა, მართლმადიდებლობაზე ახლად მოქცეული. მისი მეუღლე მსახურობდა ერეკლე II-ის სამეფო სასახლეში, მეფის ძის — უფლისწულ თეიმურაზის (მომავალში — კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II), ხოლო სხვა ცნობის თანახმად, მეფის ასულის — ქეთევან ბატონიშვილის ძიძად.

გაიმართა უზენაესი საერო სასამართლო, რომლის მიერ დადგენილი განჩინება ხელისუფლებამ სისრულეში ათი დღის შემდეგ მოიყვანა და შეთქმულებაში მხილებული წარჩინებული პირები სასტიკად დასაჯა.

15 დეკემბერს სახალხო დასჯა შედგა თბილისში სამ სხვადასხვა ადგილას: მეტეხის ციხის ძირში, რიყეზე და ანჩისხატის ტაძრის ეზოში. ამ პროცესს ხელმძღვანელობდა მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, რომელსაც სუფრაჯი ზურაბი ეხმარებოდა.

ერეკლე II ეჭვობდა, რომ დამნაშავეებად მიჩნეულ პირებს ქართლის მოსახლეობა შინაგანად თანაუგრძობდა. ამის გამო, მეფის ბრძანებით, მოედანი, სადაც განჩინების აღსრულება მიმდინარეობდა, კახელთა შეიარაღებული რაზმებით იქნა გარშემორტყმული.[68]

სასამართლოს მიერ მთავარ დამნაშავედ ცნობილი ტახტის მაძიებელი უფლისწულის — პაატასათვის თავის მოკვეთა დაევალა ყულარაღას გიორგი რევაზის ძე ქსნის ერისთავს. როგორც ჩანს, ამ მისიისათვის საგანგებოდ შეარჩიეს ქართლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თავადი.

საგულისხმოა, რომ გიორგი ქსნის ერისთავი შინაგანად მაინც ქართლელ ბაგრატიონებს თანაუგრძნობდა. 1777 წელს იგი მიემხრო ტახტის მაძიებელ უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძეს და მდინარე ლიახვთან მდებარე თავი-

[67] თ. ბაგრატიონი. ახალი ისტორია.

[68] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 120-126.

სი ციხე-სიმაგრე გაამაგრა. ამის გამო, ერეკლე II-მ გიორგი ერისთავს ჩამოართვა და გააუქმა ქსნის საერისთავო, რომლის ტერიტორიაც დაუნაწილა თავის უფროს ვაჟებს, ნახევარძმებს – გიორგი და იულონ ბატონიშვილებს.[69]

მიუხედავად იმისა, რომ მამულჩამორთმეულ ფეოდალს ერეკლე II-მ სიცოცხლე შეუნარჩუნა, „ყულარაღასი გიორგი დაშთა ტფილისსა შინა უპატიოდ, ვითარცა ტუსაღი“.[70]

საყურადღებოა, რომ მეფისა და მისგან დასჯილი გიორგი ქსნის ერისთავის შვილები მოგვიანებით დანათესავდნენ. კერძოდ, ერეკლე II-ის ვაჟმა, უფლისწულმა ფარნაოზმა ცოლად შეირთო ანა გიორგის ასული ქსნის ერისთავი, ხოლო მეფის ასული ანასტასია ბატონიშვილი მისთხოვდა თავად რევაზ გიორგის ძე ქსნის ერისთავს.[71]

შეთქმულების სხვა ძირითადი მონაწილენი შემდეგნაირად დასაჯეს: ბატონიშვილ დავით არჩილის (აბდულა-ბეგის) ძეს ხმლით თავი მოჰკვეთა მარტყოფელმა ნაზირმა, თავადმა ბარამ გურგენიძემ, თავადი ელიზბარ თაქთაქიშვილი კოცონზე დაწვეს, თავად გლახა ციციშვილს ენა ამოშანთეს, თავად დიასამიძეს ცალი თვალი დასთხარეს და მარჯვენა ხელზე ცერა თითი მოჰკვეთეს, სახლთუხუცესი, თავადი დიმიტრი ამილახვარი საჯაროდ შეარცხვინეს (ვირზე უკუღმა შესმული და თავზე ნაცარდაყრილი ჩამოატარეს დედაქალაქში), ხოლო მის ძეს, თავადიშვილ ალექსანდრეს ცხვირი მოჰკვეთეს და ფეხის მყესები გადაუჭრეს, რამაც მისი დაკოჭლება გამოიწვია და ა.შ.[72]

ალექსანდრე ამილახვრის ცნობით, მათი ერთი აზნაური, რომელმაც ძალდატანებით მიცემული პირვანდელი ჩვენება მოგვიანებით შეცვალა – მოკლეს, ხოლო ელიზბარ თაქთაქიშვილის ვაჟს, იასეს – ხელი მოჰკვეთეს და თვალი დასთხარეს.[73]

ზ. ჭიჭინაძე წერდა: „პაატა ბატონიშვილს თავი მოსჭრა მეხლმემ მაშინდელს რიყეზედ, საქვეყნოდ, ავლაბრის ხიდის გვერდით... იმ პირის თავის მოკვეთა ბევრს დანანდა თურმე, ბევრი დიდათაც სწუხდა, ეს რა მოხდაო. მეფე ერეკლეს სთხოვეს პაატას პატიობა. მეფეს შეუწყნარებია. მალე რიყეზედ კაცი უფრენიათ, რომ პაატას ეპატიოსო, მაგრამ საქმე უკვე აღსრულებული

69 საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 140.
70 გ. ლეონიძე. ბესიკი (დაბადებიდან 200 წლის გამო), გვ. 87.
71 Дворянские роды Российской империи. Т. III. გვ. 270-275.
72 საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 121.
73 ალექსანდრე ამილახვარი. ბრძენი აღმოსავლეთისა, გვ. 83-84.

ყოფილა. პაატა თავმოჭრილი გდებულა. მეფე ერეკლემ ბოლოს ძლიერ დაინანა ამის მოკვლაო, დიდათ სწუხდაო.

სწორედ ეს სამართალი და დასჯა გახდა მის მიზეზად, რომ დასჯილის ამილახვრის შვილმა ერეკლეს მოღვაწეობის ცნობები და საქართველოს ამბები — 1779 წელს პეტერბურგში რუსულად დაბეჭდა. ამ რუსულს წიგნში მეფე ერეკლეს დიდათ ჰყვედრიან და ჰკიცხავენ უსამართლობისათვის".[74]

თ. ჟორდანია მიუთითებდა: „მკაცრი მსჯავრის აღსრულების შესაჩერებლად, მეფე ერეკლემ გაგზავნა წარმომადგენელი, რომელსაც დასჯის ადგილას მისვლა შეაგვიანდა. პაატას და დავითის ახლად მოკვეთილი თავები უკვე ქვიშაზე ეყარა. ამ სამწუხარო ამბავმა იმდროინდელ საზოგადოებაში ეჭვები აღძრა. ზოგი მიიჩნევდა, რომ შეთქმულებაში საიდუმლოდ მონაწილეობდა თვით კათოლიკოსი ანტონიც — პაატა ბატონიშვილის ბიძა და იმავდროულად მეგობარი, რომელსაც დავითი ძმისწულად ეკუთვნოდა. თანაც ამ შეთქმულების მიზანს წარმოადგენდა ქართლის ტახტზე დაბრუნება ვახტანგის შტოსი, რომელსაც თვით კათოლიკოსიც ენათესავებოდა. დიმიტრი და ალექსანდრე ამილახვრებიც იყვნენ გივის ძმისწულები, ანუ კათოლიკოსის ნათესავები".[75]

აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული გიორგი (მომავალი მეფე გიორგი XII) წინააღმდეგი იყო სასამართლოს მიერ მიღებული ზემოხსენებული განაჩენის აღსრულებისა, რადგან იგი გადამეტებულად მკაცრად მიაჩნდა.

პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს: „მეფის ძეს გიორგის არ უნებდა ასრულება ესე ვითარისა სასტიკისა განჩინებისა... ესე იყო მიზეზი, რომელ თვით ალექსანდრე ამილახვარმან რუსეთსა წასულმან დაბეჭდა წიგნი რუსულად... და მას შინა მგიებელი მეფისა ირაკლისა, ადიდებდა მეფის ძესა გიორგისა და აღსწერდა მას კაცად კეთილად, ბრძნად და სათნოებათა მრავალ მექონად".[76]

ალექსანდრე ამილახვრის ხსენებული თხზულება, რომელიც 1779 წელს რუსულ ენაზე გამოიცა სანკტ-პეტერბურგში, ქართულიდან თარგმნა რუსეთში მცხოვრებმა ქართელმა აზნაურმა სვიმონ ეგნატაშვილმა იმავე

---

[74] საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები. ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან. მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი. ტფ. 1900, გვ. 36.

[75] თედო ჟორდანია. თხზულებანი, გვ. 237.

[76] პაპუნა იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 78.

იგნატიევმა.[77]

ამ წიგნის არსებობის შესახებ ერეკლე II-მ მალევე შეიტყო. მისი დავალებით, ეს თხზულება რუსულიდან ქართულად თარგმნა ყიზლარელმა პეტრე ქიტიაშვილმა. მეფეს მთარგმნელისათვის უბრძანებია: „არავის აჩვენო და არ წააკითხო ეს წიგნიო".[78]

როგორც ირკვევა, ზემოხსენებულმა შეთქმულებამ და მის მონაწილეთა გასამართლება-დასჯის პროცესმა ერეკლე II-ის ფსიქიკას სამუდამო დაღი დაასვა. არსებობს ცნობა, რომ ამ ფაქტის შემდეგ მეფეს თავის ქრონიკული ტკივილი დასჩემდა.

საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც. ერეკლე II-მ დათუნა ფეიქარი უხვად დააჯილდოვა. კერძოდ, მეფემ მას უბოძა: ყილიჯ-ყორჩობა (საფარეშოს მეკარეობა), აზნაურის წოდება, შესაფერისი ყმა-მამული და სოლიდური ფულადი თანხაც. იგი დიდი ზარზეიმით ჩაატარეს დედაქალაქის ქუჩებში, სადაც დათუნას მდიდარი მოქალაქენი ასაჩუქრებდნენ.

მიუხედავად ამისა, გააზნაურებული ხელოსნის ბედი ფრიად არასახარბიელო აღმოჩნდა. როგორც შეთქმულების გამცემი, ის მოსახლეობაში არაპოპულარულ ადამიანად იქცა და თავს გარიყულად გრძნობდა.

1770 წელს თბილისში გავრცელებულმა შავმა ჭირმა თავი პირველად სწორედ დათუნას ოჯახში იჩინა. ეპიდემიის პრევენციის მიზნით შეიარაღებულმა მოქალაქეებმა ალყა შემოარტყეს დათუნას ახალ სახლს. მათ სახლი გადაწვეს, ხოლო დათუნა, თავის ცოლ-შვილთან ერთად, თოფების სროლით ქალაქგარეთ გააძევეს. მინდორში გახიზნული ეს ოჯახი შიმშილისა და ავადმყოფობისაგან სრულიად ამოწყდა.[79]

ალ. ფირცხალაიშვილი მიუთითებდა: «Печальная судьба Пааты и Александра Бакаровича говорит о том, что иммигрировавшие в Россию Багратионы Мухранские и их потомки не хотели отказываться от своего права на картлийский престол и неоднократно пытались овладеть им...

С другой стороны, мы видим, что русское правительство, оказывая мухранским Багратионам в России гостеприимство, не хотело помогать им

[77] А. Амилахвари. История георгианская о юноше князе Амилахорове, которую рассказывает Усим купец Анатольский. Переведена на русский язык И. С. [Игнатьев/Эгнаташвили Семён]. СПб, 1779.
[78] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 145-146.
[79] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 125-127.

в их намерении, чтобы не вовлекать в эту борьбу Персию и Турцию. В соответствии с интересами России, оно поддерживало в Грузии Кахетскую династию, стараясь не выпускать из России ее соперников. Этим объясняется, например, нежелание русского правительства отпустить в Грузию Бакара Вахтанговича, установление за ним секретного наблюдения и угроза, в случае самовольного отъезда, отнять у него имение.

Надо полагать, что и нежелание выпустить из России Паату могло быть отчасти вызвано этим же соображением».[80]

აღსანიშნავია, რომ ქართული საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი XIX საუკუნეშიც გამოხატავდა სიმპათიას პაატა ბატონიშვილის და, საერთოდ, მეფე ვახტანგ VI-ის პირდაპირი შთამომავლების (მამაკაცთა ხაზით), როგორც პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეების მიმართ. ამის პარალელურად ისინი მეფე ერეკლე II-ს ადანაშაულებდნენ მცდარი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებაში, რამაც საბოლოოდ მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა განაპირობა.

ლ. ტუხაშვილი მიუთითებდა: „საფიქრებელია, რომ პაატა ბაგრატიონს მართლაც ჰქონდა ინგლისთან დაახლოვების იდეა, რის შესახებ ცნობა XIX საუკუნეში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. თავისთავად ზ. ჭიჭინაძის ეს უნებლიე სიმპათია პაატასა და ალექსანდრე ბაქარის ძის მისამართით არც გაუგებარია და არც მოულოდნელი... XIX საუკუნის მოღვაწეების თვალში სახელოვანი ერეკლე II „სახელგატეხილია". საქმე ის არის, რომ XIX საუკუნის ქართველი ნაციონალური ბურჟუაზიის აზრით, ამ მეფის საგარეო პოლიტიკას მთავარ შედეგად ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემა მოჰყვა. ამიტომაც, ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია ცდილობდა გამოსავლის ძიებას".[81]

საგულისხმოა, რომ შეთქმულების თავკაცის — პაატას სიკვდილით დასჯა აისახა ქართულ ფოლკლორშიც, კერძოდ, ხალხურ საისტორიო ლექსში „ბაქარიანთა დალევა". ეს ფოლკლორული ტექსტი 1876 წელს ჩაიწერა ხევსურეთის სოფელ ხახმატში მცხოვრებმა ბერდია გამღივარაულმა,[82] ხოლო შემოგვინახა ცნობილმა ფოლკლორისტმა და საზოგადო მოღვაწემ პეტრე

[80] А. Пирцхалаишвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го). გვ. 89-90.
[81] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 114-115.
[82] პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. ნაწილი I (ლექსები, ანდაზები, გამოცანები). რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა. ტფ. 1937, გვ. 102, 564.

უმიკაშვილმა (1838-1904), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და გამოქვეყნებაში. მოგვიანებით, ეს ტექსტი შეიტანეს „ქართული ხალხური პოეზიის" მრავალტომეულში. ამ ლექსში ვკითხულობთ:

„ბაქარიანთა დალევა
ქართველზე წილნაყარია,
სიკვდილი პაატაისა
ღმერთმა იცოდეს, ბრალია,
შეინახიდით ხევსურნო,
ვინც გყვანდათ წილნამრგალია.
ეკიდას ბაგრატიონთა
ამაგათ ცოდვა-ბრალია,
დალივნეს ბაქარიანნი,
სულ საქართველოს კარია".[83]

ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ექომაგებოდა პაატა ბატონიშვილს და მისი სიკვდილით დასჯა მიაჩნდა დიდ უსამართლობად და ბაგრატიონთა საგვარეულოს საშვილიშვილო ცოდვად. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული ლექსის ავტორი მეფე ვახტანგ VI-ის პირდაპირ შთამომავლობას — „ბაქარიანებად" მოიხსენიებს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ბაქარი იყო მეფე ვახტანგ VI-ის უფროსი ვაჟი და ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე, ხოლო ერთხანს ქართლის ფაქტობრივი მეფეც (მამის სპარსეთში ყოფნის პერიოდში).

1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა შორის, ზემოხსენებულთა გარდა, იყო ქართლის თავადაზნაურობის მრავალი სხვა წარმომადგენელიც, რომელთა ვინაობის შესახებაც ბოლო პერიოდამდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი. გარკვეული იყო მხოლოდ, რომ მათი მამულების ნაწილი მეფემ ნასისხლად აიღო.[84]

ნიკო ბერძენიშვილი მიუთითებდა: „მეფემ სწრაფად დააჭერინა შეთქმულების მეთაურები. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადოებრივი აზ-

[83] ქართული ხალხური პოეზია. ტ. XI (ისტორიული ლექსები). შეადგინა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქსენია სიხარულიძემ. გამოსაცემად მოამზადეს, საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს დ. გოგოჭურმა და ე. მაცაბერიძემ. თბ. 1984, გვ. 50.
[84] შ. ხანთაძე. პაატა ბატონიშვილი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება, გვ. 630.

რი. მან იცოდა, რომ შეთქმულებს სხვა მომხრეებიც ჰყავდათ. მეფემ დარბაზის სხდომა მოიწვია, საქმე გასარჩევად მას გადასცა და თვითონ კი მომჩივარის როლში გამოვიდა. დარბაზმა საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვა და მეფეს ნასისხლად მისცა, შეთქმულების მეთაურები კი კანონის თანახმად დასაჯეს".[85]

მამია დუმბაძე აღნიშნავდა: „შეთქმულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. სამწუხაროდ, დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება".[86]

ლევარდ ტუხაშვილი წერდა: „მეფე ერეკლესთან დაპირისპირებული ოპოზიცია კახელი ფეოდალებისათვისაც არ იყო უცხო, მაგრამ მაინც ამ არისტოკრატიულ დაჯგუფებაში მთავარი როლი ქართლელ თავადებს ეკუთვნოდათ. სამწუხაროდ, დღემდის აღმოუჩენელია „განჩინების" დედანი, სადაც შეთქმულების თანამონაწილეთა დიდი ნაწილის სია აუცილებლად იქნებოდა დაცული...

რატომ მიეცა 1765 წლის შეთქმულებას მხოლოდ რეაქციონერი თავადების ცენტრიდანული გამოსვლის კვალიფიკაცია? რატომ არ აისახა XVIII საუკუნის 60-იანი წლების მოძრაობაში დემოკრატიული ნაკადი?...

მეფემ გამოაცალკევა შეთქმულთა სწორედ არისტოკრატიული ჯგუფი და მათი ზრახვების მხოლოდ ერთ მომენტზე გაამახვილა ყურადღება. გამოძიება-გასამართლება-დასჯის დროს არაფერი უთქვამთ არც შეთქმულების მონაწილე დემოკრატიულ ფენებზე, არც ზოგიერთ იმ ტენდენციაზე, რომელიც ერეკლე II-ის მმართველობის მთელი სისტემის კრიტიკასა და ორიენტაციის ახალი მიმართულებების მოძიების ცდაში იხატებოდა...

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერეკლე II-ის მოხელეებმა ვერ შენიშნეს ჰაატას თანამზრახველთა თავადებისაგან განსხვავებული ფენებიც. მაგრამ აშკარაა, რომ საგანგებო მიზნით სამეფო ხელისუფლებამ ისეთი მიმართულება მისცა საქმეს, რომ დავით აბდულა-ბეგის ძისა და დიმიტრი ამილახვრის ჯგუფები გამოცალკევებულ იქნენ. ეს უნდა აიხსნას შემდეგი მოსაზრებით — შეთქმულთა არისტოკრატიული ნაწილი სამეფო ხელისუფლებისათვის რეალურ საშიშროებას წარმოადგენდა, რაც არ შეიძლება ითქვას დემოკრატიულ წრეებზე...

---

[85] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II, გვ. 210.
[86] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში, გვ. 634.

განაჩენი რომ მხოლოდ ქართლელ ფეოდალებს შეეხო, ამას სრულიად რეალური ახსნა მოეძებნება. სინამდვილეში ერეკლე II ძირითადად თავის მთავარ მოწინააღმდეგეს გაუსწორდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ალ. ორბელიანის ცნობაც იმის შესახებ, რომ „გარდა დიდრონი კაცებისა, სხვაც ბევრი ყოფილა ამ საქმეში", მაგრამ მეფეს თვალი დაუხუჭავს, არ გამოკიდებია. ასეთი შეხედულება სხვასაც აქვს გამოთქმული და ვფიქრობთ, ჭეშმარიტიც უნდა იყოს. საქმის ასე შეტრიალებით თვით მაშინდელი საზოგადოებაც ყოფილა დაინტერესებული".[87]

ალექსანდრე ფირცხალაიშვილი წერდა: «Возглавлявший заговор кн. Дмитрий Амилахвари мстил Ираклию за развод своего сына Георгия с сестрой царя Елизаветой; участниками заговора были князья Цицишвили, Тактакишвили, Диасамидзе и др. К ним примкнули многие дворяне».[88]

საინტერესოა კონკრეტულად ვინ იგულისხმებიან ზემოხსენებული სიტყვების — «многие дворяне» ქვეშ, რომელთა შესახებაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ფაქტობრივად, არაფერია ცნობილი?

ამ კითხვაზე საყურადღებო პასუხს ვპოულობთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, თერგდალეულთა მიერ წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, ნიკო იაკობის ძე ავალიშვილის (1844-1929), მოგონებებში. აქვე დავძენთ, რომ იგი იყო მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, რეჟისორი და მსახიობი, რომელიც მესვეურობდა განახლებულ ქართულ თეატრს (1878-1879) და რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს" (1869-1872). მან ქართულ ენაზე თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, კერძოდ, მიგელ დე სერვანტეს საავედრას „დონ კიხოტი", პიერ ოგიუსტენ კარონ დე ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება", იოჰან კრისტოფ ფრიდრიხ შილერის „ფიესკოს შეთქმულება გენუაში", „ვილჰელმ ტელი", „ყაჩაღები", „მგზავრი", ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ" და სხვ.[89]

ნ. ავალიშვილს თარგმნილი აქვს ასევე ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის დრამა „ღალატი", სოფიო ურბანოვსკაიას მოთხრობა „თავადის ქალი ანუ შრომა და ფუფუნება" და სხვ.[90]

---

[87] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 85, 115-117.

[88] А. Пирцхалаишвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го), გვ. 84.

[89] ავალიშვილი ნიკო იაკობის ძე. ენციკლოპედია „თბილისი". თბ. 2002, გვ. 272.

[90] ს. ხუციშვილი. ავალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე. ენციკლოპედია „საქართველო". ტ. I თბ. 1997, გვ. 61.

ამ მრავალმხრივი მოღვაწის შვილიშვილი იყო გამოჩენილი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი (1922-2002), ხოლო შვილთაშვილი – ცნობილი არქეოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ბიძინას ძე ავალიშვილი (1941-2004).

ნ. ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეისწავლა სოლომონ ცაიშვილმა (1900-1957), რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, საფუძვლიანად იკვლევდა XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება-მოღვაწეობას.

ს. ცაიშვილი წერდა: „ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი დაიბადა 1844 წლის 4 (ახალი სტილით 16) ივლისს, გარეკახეთში, სოფელ საგარეჯოში, მცირე შებლების მქონე აზნაურის ოჯახში... ძირეულად ავალიშვილები ქართლის მკვიდრნი იყვნენ, რომელთაგან მომდინარეობს კახეთის შტოც... გარეკახელ ავალიშვილთა ოჯახში დღემდე დაცულია ერთი მნიშვნელოვანი გადმოცემა, რომელიც მათი გვარის აქ დასახლებაზე მიგვითითებს და ამიტომ, ინტერესს მოკლებულიც არ იქნება მისი მოყვანა. ამ გადმოცემიდან ირკვევა, რომ მეფე ერეკლე მეორის წინააღმდეგ მოწყობილ ე. წ. „პაატას შეთქმულებაში" მონაწილეობდნენ სამი ძმა – თავადი ავალიშვილები: ქაიხოსრო, დავითი და ზაქარია. შეთქმულების გამომჟღავნებისა და შეთქმულთა განადგურების დღეებში ცოცხლად გადარჩენილი ეს ძმები თეთრაძის გვარშერქმეული თბილისის განაპირა, ე. წ. ძაღლის უბანში შეფარებულან და ქალაქისათვის შეშის დამზადებით თურმე ირჩენდნენ თავს, მაგრამ მათი ეს ყოფა თანდათან კიდევ გაუარესებულა, მათს თეთრაძეობაზედ ეჭვი აუღიათ და როცა ძალზე შეუვიწროებიათ ისინი, უდაბნოში გადასახლებულან და იქ დავით გარეჯის მონასტერში შეფარებულან.

ერეკლეს გარდაცვალების (1798) შემდეგ, უფროს ძმას ქაიხოსროს მოუხერხებია მონასტრიდან გამოსვლა და საზოგადოებაში შერევა, დავითი და ზაქარია კი იმის შიშით, რომ მამულების სიხარბით გატაცებულ ნათესავებს არ გაეცათ, საგარეჯოში დასახლებულან, თუმცა, აქაც რამდენიმე ხანს მალავდნენ ნამდვილ გვარს. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა პრივილეგიური წოდების მქონე გვართა რეგისტრაცია დაწყებულა, მათაც თავიანთი საბუთი და ნამდვილი გვარი გამოუჩენიათ და ავალიშვილობა აღუდგენიათ. ამგვარად, საგარეჯოელი ავალიშვილები სწორედ ამ ორი ძმის – დავითისა და ზაქარიას ჩამომავლები არიან...

როგორც საგულისხმო მომენტი, ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ნიკო ავალიშვილის აზრით, ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობის გამო დაქვეითებული, ე. ი. თავისი ძველი წოდება ართმეული გვარები დღეს საგარეჯოსა და მის მიდამოებში საკმაო რაოდენობით მოსახლეობენ. ასეთებია: ჯავახიშვილები, მხარგრძელი-ფავლენიშვილები, ყარალაშვილები, თულაშვილები, ფურცელაძეები, საგინაშვილები, ყორღანაშვილები და სხვ".[91]

ახლა ვნახოთ, თუ რას გვაუწყებს ნ. ავალიშვილი თავის თხზულებაში „ქართული თეატრის ისტორიისათვის", რომლის ხელნაწერიც დაცულია საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულ თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.[92]

ზემოხსენებულ ნაშრომში დაცულ მოგონებაში ვკითხულობთ: „ჩემს ოჯახში თაობიდან თაობაში ასოცდაათი წელიწადია ერთი გადმოცემა ინახება. იგი მოგვითხრობს, რომ მეფე ერეკლეს გარდაწყვეტილებამ საქართველოს რუსეთისადმი გარდაცემისამ – მრავალი უკმაყოფილო-მოწინააღმდეგე გაუჩინა მას. შეითქვნენ, რომ ერეკლე ტახტიდგან ჩამოეხდინათ და... აეყვანათ ტახტზედ... ქართლის მეფის ვახტანგის შვილი, რათა მით საქართველო გაერთიანებულიყო.

ამ შეთქმულობის მონაწილე, სხვათა შორის, სამი ავალიშვილი იყო, სახელით: უფროსი – ქაიხოსრო, ორი უმცროსი (შვილები თუ ძმები) – დავითი და ზაქარია. შეთქმულობა გამჟღავნდა, შეთქმულნი დაიქსაქსნენ...

ჩვენი ოჯახი, უფროსების გადმოცემით, იმ დავითის ჩამომავალია და ეს 1850-იან წლებში ბრეთელი სოლომონ ავალიშვილსაგან დადასტურებულია, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩვენსა და ბიძაშვილის შვილებად გვთვლიდა...

საგარეჯოში ქართლ-კახეთ-ბორჩალოს მაზრის თავადაზნაურთა გვარეულობის ჩამომავალი ბევრია და აქ მხოლოდ ზოგს მოვიხსენიებ: ჯავახიშვილი, მხარგრძელი-ფავლენიშვილი, ავალიშვილი, ფურცელაძე, ყარალაშვილი (რუსული დაბოლოებით – ყარალოვ...), ჯაფარიძე, თულაშვილი, ყორღანაშვილი, საგინაშვილი და სხვ.

უეჭველია, ამათი მამამთავარნიც ხსენებული შეთქმულობის გამო იყვნენ

91 ს. ცაიშვილი. ნიკო ავალიშვილი. თბ. 1955, გვ. 5-7.

92 ნ. ავალიშვილი. ქართული თეატრის ისტორიისათვის (ავტოგრაფი). თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი III. ხელნაწერი № 5127. № 2.

იქ გადახვეწილნი".[93]

ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩამოთვლილ წარჩინებულ გვართაგან ქართლში სახლობდნენ (ჩამოთვლილია ანბანურად): **ავალიშვილები** (თავადები), **თულაშვილები** (თავად ქსნის ერისთავის აზნაურები), **საგინაშვილები** (ტახტის აზნაურები), **ფავლენიშვილები** (თავადები და თავად ქსნის ერისთავის აზნაურები), **ფურცელაძეები** (ტახტის და თავად ციციშვილის აზნაურები), **ყორღანაშვილები** (ტახტის აზნაურები), **ჯავახიშვილები** (თავადები და ტახტის აზნაურები), **ჯაფარიძეები** (თავად ქსნის ერისთავის აზნაურები).[94]

დასახელებული საისტორიო წყაროდან ჩანს, რომ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ქართლის ზემოხსენებულ წარჩინებულ საგვარეულოთა ერთი ნაწილისათვის წოდებები ჩამოურთმევიათ და გარეკახეთში გადაუსახლებიათ. მათი უმეტესობა (როგორც ჩანს, გადმოსახლებულთა აზნაურული ნაწილი) ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე სახასო ყმებად ირიცხებოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ისინი სახაზინო (ანუ სახელმწიფო) ყმებად ჩარიცხეს.[95]

აქვე დავძენთ, რომ სახასო ყმები უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდნენ და გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე სამონასტრო-საეკლესიო, ხოლო განსაკუთრებით კი — საბატონო, კერძოდ, თავადთა და აზნაურთა გლეხები.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ფაქტი საქართველოს ისტორიიდან. 1810 წლის ზაფხულში, როდესაც ოსმალეთში გადახვეწილი მეფე სოლომონ II ტახტის დაბრუნების მიზნით იმერეთში დაბრუნდა და აჯანყებას სათავეში ჩაუდგა, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ამბოხებულ გლეხობას აღუთქვა: ის, ვინც რუსთა წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებს დატო-

[93] ნ. ავალიშვილი. ქართული თეატრის ისტორიისათვის (ავტოგრაფი). თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი III. ხელნაწერი № 5127, № 2, გვ. 215-216.

[94] ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). თბ. 1997; ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 2005.

[95] ნ. ჯავახიშვილი. ნიკო ავალიშვილი: ბიოგრაფიის ცნობილი და უცნობი ფურცლები. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი". № 5 (17). თბ. 2012, გვ. 27.

ვებდა, ბატონისაგან გათავისუფლდებოდა და სახაზინო ანუ სახელმწიფო გლეხად ჩაირიცხებოდა.[96]

ასე, რომ სახაზინო გლეხად ჩარიცხვა სხვა კატეგორიის გლეხობისათვის ფრიად სასურველად ითვლებოდა.

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული საისტორიო წყაროებიდან და ლიტერატურიდან ირკვევა, პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში (1765 წ.) მონაწილეთა რიცხვი იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე დღემდე იყო ცნობილი.

ამ შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ მასში გარეული ქართლელი თავადაზნაურობა მკაცრად დაისაჯა. კერძოდ, შეთქმულთა ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს, ნაწილი — დაასახიჩრეს, ხოლო ნაწილს — წოდებები და ყმამამული ჩამოართვეს და ისინი გარეკახეთში, ამჟამინდელი საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე გადაასახლეს.

[96] მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.). თბ. 1989, გვ. 378.

Niko Javakhishvili

FOR IDENTIFICATION OF THE PARTICIPANTS OF THE CONSPIRACY OF 1765

Summary

Conspiracy (1765) of Prince Paata Bagrationi (1720-1765), son of Vakhtang VI, king of Kartli (central part of Georgia), is one of less known events of the second half of the 18th century.

According to the observation of historical sources, it is ascertained in the presented work that the number of participants of the conspiracy, in fact, is higher than it had been previously known. After the failure of the conspiracy, many perpetrators from the nobilty were severely punished, part of them were executed, part of them – mutilated, others lost their titles and lands and were exiled to South-West part of Kakheti (Eastern part of Georgia) – Gare Kakheti, nowadays Sagarejo district.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ჯაბა სამუშია

თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVIII საუკუნეში

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ ახალი მეთოდების გამოყენებით დაგვეზუსტებინა თბილისის ტერიტორიის ფართობი, მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე. შესაძლებელია მომავალში ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით კიდევ უფრო დაზუსტდეს ის მონაცემები, რომლებიც სტატიაშია მოცემული. სამწუხაროდ, ამჯერად, გეოინფორმაციული სისტემების პროგრამამ მხოლოდ ინფორმაციის ნაწილობრივი დამუშავების საშუალება მოქცა. ამ მიმართულებით კვლევა კიდევ უნდა გაგრძელდეს. ძველმა თბილისმა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, რაც ერთგვარ პრობლემას ქმნის შუა საუკუნეების ქალაქის ურბანული ქსოვილის შესასწავლად. განსაკუთრებით რთულია ქალაქის ფართობში არასაცხოვრებელი სივრცის გამოთვლა (ქუჩები, მოედნები, ბაღები, სავაჭრო რიგები...). მომავალში განსაზღვრული გვაქვს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) გამოყენებით გავაანალიზოთ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი რუკები, რის შემდეგ, შესაძლებელია, კიდევ უფრო დაზუსტდეს ქალაქის ტერიტორიის ფართობი და მოხდეს შიდა სივრცის კლასიფიკაცია.

ისტორიოგრაფიაში დისციპლინათაშორისი კვლევების აუცილებლობაზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს საუბარი. „ანალების" სკოლამ ეს თემა სამეცნიერო კვლევების ღერძად აქცია. ამა თუ იმ დარგის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ისტორიული მასალის გაანალიზებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ისტორიკოსის სამუშაო არეალი.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი პერსპექტივა დასახა. დაიწყო ექსპერტული სისტემების ჩამოყალიბება, რის წყალობითაც ხდება მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის

დამუშავება და შესაბამის მონაცემთა ბაზაში შენახვა.[1] გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს, ერთი მხრივ, გეოგრაფებსა და ისტორიკოსებს, ხოლო, მეორე მხრივ, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებს შორის, რის შედეგადაც მივიღეთ ერთობლივი კვლევის არაერთი მაგალითი. თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერება უკვე აქტიურად იყენებს GIS – გეოინფორმაციული სისტემების პროგრამას. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) არის კომპიუტერულ რუკებსა და გეომონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც გამოიყენება სივრცეში განთავსებული მონაცემების შენახვის, მართვისა და ანალიზისთვის (გეომონაცემთა ბაზები ისეთ მონაცემებს აერთიანებს, რომელთაც გეოგრაფიული სივრცე აქვს). ისტორიოგრაფიაში გის-ის ტექნოლოგიები კარგა ხანია გამოიყენება არაერთ ქვეყანაში. რამდენადაც ისტორიული მოვლენა, პროცესი თუ ობიექტი მჭიდრო კავშირშია გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცესთან, ამდენად, მათი ინტეგრირება გეომონაცემთა ბაზებთან სრულიად ლოგიკური მოთხოვნაა თანამედროვე ისტორიულ კვლევებში.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ GIS სისტემის მეშვეობით მოხდა XVIII საუკუნის 30-იანი წლების (ვახუშტი ბატონიშვილის გეგმის მიხედვით) თბილისის ფართობის მეტ-ნაკლები სიზუსტით დაანგარიშება. აღნიშნული სამუშაო ჩვენი კონსულტაციით შეასრულა ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელმა გელა ტალახაძემ. ვახუშტის გეგმა დაეფინა თანამედროვე თბილისის გეგმას. წარმოშობილი ცდომილებები (ასეთი კი, ბუნებრივია, იარსებებდა) მაქსიმალურად გასწორდა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ცდომილება ზოგჯერ ორ ასეულ მეტრსაც კი შეადგენდა. GIS-ის პროგრამაში თითოეულ პუნქტს თავისი კორდინატები აქვს. საქართველოსთვის კორდინატების სისტემა დაითვლება was 1984 utm zona 38n მიხედვით. მაგალითად, ქაშვეთის მდებარეობა ამ სისტემის მიხედვით განისაზღვრება X-483303; Y-4616263. მეტეხის ტაძრის X-484303; Y-4615388 და ა.შ. როდესაც ვახუშტის რუკა ეფინება თანამედროვე რუკას, აუცილებელია მოიძებნოს შესაბამისი წერტილები. ვახუშტის რუკის ქაშვეთი უნდა დაჯდეს თანამედროვე ქაშვეთის ადგილას, შესაბამისად, მეტეხის ეკლესია და ყველა ის ძეგლი თუ ადგილი, რომელთა პარალელი დღეისათვის უცდომელად იძებნება.

[1] მ. გურაბანიძე. ქართული საისტორიო წყაროების კომპიუტერული დამუშავება. თბ. 2004, გვ. 11. აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილია ისტორიულ მეცნიერებაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი. ყურადღება გამახვილებულია ისტორიულ მონაცემთ ბაზის ფორმირებაზე.

მაგრამ ამ შემთხვევაში ვახუშტის რუკაზე აშკარად ჩნდება ცდომილებანი. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეულია იმით, რომ ვახუშტის გეგმა ნახატს წარმოადგენს და დაზღვეული არ არის უზუსტობებისგან. სწორედ ამიტომ გათვალისწინებულ იქნა კონკრეტული ისტორიული რეალიებიც.

ჩატარებულმა სამუშაომ აჩვენა, რომ, ზოგადად ქალაქის ფართობის დაანგარიშება ადვილი განსახორციელებელი იყო, მაგრამ სირთულეს წარმოადგენდა არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი და არასაზოგადოებრივი სივრცეების გამიჯვნა. შემდგომი მუშაობისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან საზოგადოებრივი სივრცის მეშვეობით უნდა დაანგარიშებულიყო მოსახლეობის რიცხოვნობა, რაც საშუალებას მოგვცემდა, გადაგვემოწმებინა წერილობით წყაროებში არსებული ცნობები.

ჩატარებული სამუშაოები დანაწილდა უბნების მიხედვით – კალა, ხარფუხი, გარეთუბანი, ავლაბარი. საზოგადოებრივ სივრცეში მოექცა ქუჩები, მცირე მოედნები, სავაჭრო რიგები, ვინაიდან ეს ტერიტორია ჩართული იყო საერთო ურბანულ ქსოვილში და საცხოვრებელი კვარტლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ქალაქის პირას ცალკე მდგარი სასახლე და მისი მიმდებარე ტერიტორია ქალაქის საცხოვრებელი უბნების კატეგორიაში არ აღირიცხა. არასაცხოვრებელ ტერიტორიად გამოიყო ქალაქში დაუსახლებელი ფერდობები, ხევები, ასევე ქალაქგარეთ არსებული ბაღები და მოედნები.

სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი თბილისის ფართობის დადგენის ცდა აქამდეც ჰქონდათ მკვლევრებს. ამ დაანგარიშებით, თბილისი 105 ჰექტარზე იყო გაშენებული, საიდანაც: კალას ეკავა 36 ჰექტარი, ნარიყალას ციხეს – 4 ჰექტარი, აბანოებისა და სეიდაბადის უბანს – 15, მეტეხის ციხეს – 0,8, ავლაბრის თხრილით შემოვლებულ ნაწილს – 7, თხრილს გარეთ არსებულ ავლაბრის უბანს 8, კალოუბანსა და ასპარეზს – 13, სოლოლაკს – 20.[2]

[2] ეს დაანგარიშება ჩაატარა თენგიზ კვირკველიამ და შესულია მის ნაშრომში იხ.: Т. Квирквелия. Архитектура Тбилиси. Тб. 1982, გვ. 24. მართალია, ავტორის მიერ მოტანილი ციფრები XII საუკუნის თბილისს ეხება, მაგრამ XVIII საუკუნისათვისაც ქალაქის ფართობი დიდად არ უნდა შეცვლილიყო. საერთოდ, შუა საუკუნეებში თბილისის ზრდა-განვითარება მასშტაბებით არ გამოირჩეოდა, განსაკუთრებით XIII საუკუნის შემდეგ, როდესაც, პირიქით, შემცირდა საცხოვრებლად და სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენებადი ტერიტორია. მაგალითად, დღევანდელი აბანოების უბნიდან 300 არაგველის ობელისკამდე ტერიტორია XIII საუკუნემდე აქტიურად ჩანს ათვისებული. არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად ძვე-

ვახუშტის გეგმის თანამედროვე თბილისის რუკაზე დაფენის შემთხვევაში ასეთი ვითარება მივიღეთ:

კალა – მთელი ტერიტორია მოიცავდა 49,3 ჰექტარს. საცხოვრებელი ფართობი 41,4 ჰექტარს. არასაცხოვრებელი 6,3 ჰექტარს. ნარიყალას ციხე 1,6 ჰექტარს.

გარეთუბანი – საცხოვრებელი ფართობი დაახლოებით, 8,5 ჰექტარს მოიცავდა. ამას ემატებოდა დასახლება ორბელიანების უბანში – 2,1 ჰექტარი. არასაცხოვრებელი ტერიტორია – მეფის ბაღი გარეთუბანში – 13,5 ჰექტარზე იყო გადაჭიმული.

ხარფუხი – მთელი ტერიტორია მოიცავდა 18,2 ჰექტარს. საცხოვრებელი – 3,4 ჰექტარს. არასაცხოვრებელი – 14.8 ჰექტარს, რომელზეც ბაღები იყო გაშენებული.

ავლაბარი და მეტეხის ციხე მთლიანად 16,4 ჰექტარს მოიცავდა, მაგრამ საცხოვრებელი და საზოგადო დანიშნულების (ეკლესიებს, სათემო გზებს და მოედნებს) შენობა-ნაგებობეს დაახლოებით 54 % ეკავა (8.8 ჰექ.), დანარჩენ ფართობზე ხევები, თხრილები და არასაცხოვრებელი სივრცე იყო. ავლაბარში განაშენიანება გადაჭიმული იყო 7.3 ჰექტარზე. მეტეხის ციხე ხიდამდე 1.5 ჰექტარს მოიცავდა.

ამ მონაცემების მიხედვით, თბილისის საერთო ფართობი შეადგენდა

ლი თბილისის ამ ნაწილში დიდი სამრეწველო უბანი დადასტურდა. გ. ლომთათიძის აღნიშვნით, ქალაქის ეს ნაწილი ერთგვარ ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა და რომ მტერთაგან „აკლებამდე ... ამ სახელოსნოებს ათეულობით წლები ნაყოფიერად უმუშავია და დიდძალი ნაწარმი მიუწოდებია თბილისისა თუ შორეული და მახლობელი სოფლებისათვის." იხ.: ო. ტყეშელაშვილი, გიორგი ლომთათიძე და თბილისის არქეოლოგია (მოგონება), კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. II. თბ. 1974, გვ. 40. აღმოჩენილ მასალაზე დაყრდნობით მ. მიწიშვილმა ამ ადგილას ქალაქის რაბათის არსებობაც ივარაუდა, რაც სულიად მისაღები ჩანს. მეცნიერის მითითებით, „თბილისის სამხრეთ გალავანთან აღმოჩენილი ქურა-სახელოსნოები, წარმოების ნაშთები, სამეურნეო ნაგებობები, აქ დამზადებული მოჭიქული კერამიკა და სხვა უფლებას გვაძლებს დავუშვათ, რომ აქ არსებობდა ხელოსანთა და ვაჭართა უბანი რაბათი." იქვე მ. მიწიშვალი მიუთითებს, რომ ქალაქის ეს ნაწილი XIII საუკუნის პირველ ნახევარში დაინგრა და აღარ აღდგენილა. მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში IX-XIII სს. თბ. 1979, გვ. 21. გვიან შუა საუკუნეებში კი აქ ბაღები იყო გაშენებული და სეიდაბადის მხოლოდ ზედა ნაწილში არსებობდა საცხოვრებელი უბანი.

დაახლოებით 108 ჰექტარს. აქ არაა ჩათვლილი გარეთუბნის ტერიტორიაზე არსებული ყაბახის ფართობი. ასევე ავლაბარში ელიას მთაზე არსებული სომხური სასაფლაო. მთლიანობაში, თბილისის ფართობი 120 ჰექტარამდე იქნებოდა. აქედან ინტენსიურად დასახლებული ჩანს დაახ. 65.8 ჰექტარი.

თბილისის მოსახლეობა წერილობით წყაროების მიხედვით

XVIII საუკუნის თბილისის მოსახლეობის შესახებ წერილობით წყაროებში რამდენიმე ცნობაა დაცული. ავტორთა უმრავლესობის მითითებით, ამ პერიოდის თბილისში 18 000-იდან 20 000-მდე ადამიანს უცხოვრია. უნდა ითქვას, რომ ეს ციფრი აბსოლუტურად რეალობასთან ახლოსაა და რაიმე ეჭვის საფუძველს არ აჩენს.

1700-1702 წლებში საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის, დავალებითა და ხელშეწყობით თურქეთსა და კავკასიაში იმყოფებოდა ჟოზეფ ტურნეფორი, ფრანგი ბოტანიკოსი და ექიმი. 1701 წელს იგი ეწვია თბილისს და მისი საკმაოდ საინტერესო აღწერილობა მოგვცა. მისი ცნობით, ქალაქში ირიცხებოდა 20 000 მცხოვრები. „თბილისი საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქია. სახლები აქ დაბალია, ცუდად განათებული და, ჩვეულებრივ, ალიზითა და აგურითაა ნაგები... ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით ოცი ათას სულს შეადგენს".[3]

1771-1772 წლებში საქართველოში იმყოფებოდა წარმოშობით გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. ეს უკანასკნელი თბილისის მოსახლეობას 20 000-ით განსაზღვრავს. ამასთანავე, მასთან ვხედავთ ქალაქის საკმაოდ დაწვრილებით აღწერას: „ქალაქის გარშემოწერილობა თითქმის 3 ვერსია (3200 მ. – ჯ.ს.); მთავარი ქუჩები ოდნავ განიერია საჟენზე (2,13 მ. – ჯ.ს.), უმეტესობა კი უფრო ვიწროა. მშენებლობა უკიდურესად ცუდია. [სახლები ნაგებია] აგურებით, მრგვალი რიყის ქვითა და თიხიანი კირით. სახლები შედგება მხოლოდ ერთსართულიანია; ისინი 15 ფუტზე (4,5 მ.) ოდნავ მაღა-

[3] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1988, გვ. 64-66. ტურნეფორის ეს ცნობა სარწმუნოდ არ მიაჩნია ს. კაკაბაძეს და ამ პერიოდის თბილისში 14 000 მცხოვრებს ვარაუდობს. იხ.: ს. კაკაბაძე. ეკონომიური ვითარების შესახებ. ჟურ. მნათობი. 1924, გვ, 225, შენ. 4.

ლია, სახურავები ჰორიზონტალურია და დაფარულია თიხით. თბილისში ითვლება 20 000 მცხოვრები, რომელთა უმრავლესობა სომეხია. მოსახლეობის რაოდენობა ფართობთან შეფარდებით გაცილებით დიდია; ქუჩები ძალზე ვიწროა."[4]

XVIII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს რამდენჯერმე ეწვია იაკობ რაინეგსი, რომელიც ერთხანს თბილისშიც ცხოვრობდა. მისი აღწერილობით, „ქალაქი არის ვრცელი და დიდი; გარეუბნების ჩათვლით, მტკვრის ორივე მხარეს, მოიცავს ოთხი ათას, უმეტესად ძალზე ღარიბულ სახლს და ოცი ათასამდე მცხოვრებს."[5]

1803 წლის იანვრის აღწერილობის მიხედვით თბილისში ცხოვრობდა 3 000 ოჯახი, საერთო რაოდენობით 20 000 სული.[6]

---

[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. ტ. II. თბ. 1964, გვ. 133.

[5] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 158.

[6] М. Полиевктов, Г. Натадзе. Старый Тифлис в известиях современников. Тб. 1929, გვ. 65. ამ აღწერის შესახებ ინფორმაცია პირველად გამოქვეყნდა შემოკლებით: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. II. Тифлис 1868, გვ. 1046. მთლიანად აღწერის მონაცემები 1925 წელს სარგის კაკაბაძემ გამოაქვეყნა. იხ.: ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლის. საისტორიო მოამბე. წ. II. ტფ. 1925, გვ. 27-104. აღსანიშნავია, რომ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების II ტომში დამოწმებული ინფორმაცია და 1803 წლის აღწერის მონაცემები განსხვავდება ერთმანეთისგან. „აქტებში" მითითებულია თბილისის მოსახლეობა – 20 000 ადამიანი მაშინ, როცა ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ „აღწერაში" 11 805 სულია მითითებული. ამ განსხვავებას ს. კაკაბაძე ხსნის იმით, რომ „აღწერებში" მხოლოდ სრულწლობანი მოსახლეობაა შეყვანილი, რაც თავისთავად მოსახლეობის საერთო რიცხვს ამცირებს. 1803 წლის აღწერის მონაცემები საგანგებოდ შეისწავლა შოთა კაკულიამ, რომლის დასკვნით ამ დროს თბილისში უნდა ეცხოვრა 15 600 ადამიანს. აღწერაში მოხსენიებულ 11 906 სულს მან დაუმატა სავარაუდო 10-15% აღურიცხავი მოსახლეობა და 1 900 რუსი მეომარი და მათი თანმხლებნი. იხ.: შ. კაკულია. ქალაქ თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. თბ. 1979, გვ. 9-17. ჩვენ არ გამოერიცხავთ, რომ 1803 წლისათვის თბილისის მოსახლეობა შემცირებულიყო. მართებულად შენიშნავს შ. კაკულია, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისა და 1797 თბილისში გაჩენილი შავი ჭირის გამო ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ 1803 წლის ოფიციალურ ცნობაში თბილისში 20 000 ადამიანია დაფიქსირებული. ალბათ, თავად რუსი მოხელეები კარგად ხედებოდნენ ჩატარებული „აღწერის" მონაცემების არასანდოობას. როგორც ჩანს, ახლად დამკვიდრებულ-

1808 წელს თბილისში იმყოფებოდა გერმანელი ლინგვისტი – ორიენტალისტი ჰაინრიხ ფონ კლაპროთი, რომელსაც თბილისის მოსახლეობის ოდნავ განსხვავებული ციფრი აქვს მითითებული, მაგრამ ისიც საკმაოდ ახლოს დგას ზემოთ მოტანილ ცნობებთან. მისი ინფორმაციით, თბილისის მოსახლეობა რუსთა გარნიზონისა და ჩინოვნიკების გამოკლებით 18 000 სულს შეადგენდა.[7]

1816 წელს თბილისში ცხოვრობდა 20 000 სული, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის რუსი დიპლომატი და არქეოლოგი ალექსანდრე ნეგრი.[8]

მა ხელისუფლებამ ჩაატარა აღწერა, მაგრამ ის საკმაოდ შორს იყო სინამდვილისგან და ამას თავადაც ამჩნევდნენ და ამიტომაცაა ასეთი განსხვავებული ციფრები. ტექსტის პუბლიკაციისას ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ ამ აღწერის ინსტრუქცია აღმოჩენილი არ არისო. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული აღწერის ნუსხა და აქტებში დაბეჭდილი 1803 წლის იანვრის ინფორმაცია შედგენილი იყოს იმ სამუშაოს შედეგად, რომელიც შეასრულა პოლკოვნიკმა დრენიაკინმა გენერალ კნორინგის დავალებით. 1802 წლის 10 ივნისს გენერალმა კნორინგმა შესაბამისი მიწერილობით პოლკ. დრენიაკინს დააევალა მოეხდინა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი საქართველოს აღწერა და დიდი ქალაქების რუკების შედგენა. «Сделать во первыхь верные планы городамь Тифлису, Телаву, Гори и Душету, сь показаниемь числа церквей, домовь, торговыхь лавокь,фабрикь и другихь заведений, когда вь оныхь бывають торги, и какие и отколь на оные привозятся сухопутно или водою продукты». – აღნიშნულია დოკუმენტში. გენერალი კნორინგი სხვა დავალებებსაც აძლევს თავის ქვეშევრდომს, რომლებიც აღწერის ერთგვარ ინსტრუქციას უნდა წარმოადგენდეს. იხ.: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. I. Тифлис 1866, გვ. 487-489. ჩვენი აზრით, ამ ჩატარებული სამუშაოს შედეგი უნდა იყოს ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „აღწერა“ და ასევე 1803 წლის იანვრის ინფორმაცია, რომელიც ნაწილობრივ დაზუსტებას წარმოადგენს. 1803 წლისათვის 14 620 მცხოვრებს ვარაუდობს თბილისში შ. მესხია. მკვლევარი ეფუძნება აღწერის მონაცემებს, რომ თბილისში ცხოვრობდა 2924 კომლი. შესაბამისად, კომლზე ხუთი სულის ანგარიშის შემთხვევაში გამოდის 14 620 ადამიანი. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 260. ეს მოსაზრება გაიზიარა აკაკი კაცაძემ. იხ.: აკ. კაცაძე. თბილისის მოსახლეობის ფორმირების პროცესები (ისტორიულ-დემოგრაფიული და კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა). თბ. 1991, გვ. 10. ისიც აღსანიშნავია, რომ წინა გვერდზე ავტორი 1801 წლისათვის 18-20 ათას ადამიანს ვარაუდობს თბილისში. იხ.: ასევე, ზ. შენგელია. თბილისის მოსახლეობის დემოგრაფიული სიტუაცია XIX-XX დასაწყისში. თბ. 1998, გვ. 3.

7 М. Полиевктов, Г. Натадзе. Старый Тифлис в известиях современников, გვ. 71

8 М. Полиевктов, Г. Натадзе. Старый Тифлис в известиях современников, გვ. 74.

უცხოურ ავტორთა ცნობებს ამყარებს ქართული წერილობითი წყაროები. 1770 წლის 5 აპრილის აღწერილობის მიხედვით, თბილისში 4 000 კომლს უცხოვრია. ივანე ჯავახიშვილის მითითებით, კომლში რომ 5 სული ვიანგარიშოთ[9], მაშინ თბილისში, დაახლოებით, 20 000 სული მცხოვრები გამოდის.[10] 1781-1782 წლების აღწერით, თბილისის მოსახლეობის რაოდენობა 3498 კომლს შეადგენდა. ამ შემთხვევაშიც კომლზე 5 სულს თუ ვიანგარიშებთ, ქალაქის მოსახლეობა 17 490 კაცი გამოდის.[11]

როგორც ვხედავთ, ქართული და უცხოური წყაროები თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ თითქმის იდენტურ ცნობებს გვაწვდის. საშუალოდ XVIII საუკუნის თბილისში 18-20 ათას ადამიანს უცხოვრია.

ახლა გავარკვიოთ, რა ტერიტორიას ვგულისხმობთ თბილისის შემადგენლობაში.

XVIII საუკუნის თბილისი რამდენიმე მსხვილი უბნისაგან შედგებოდა

---

[9] ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ისტორიულ-დემოგრაფიის სპეციალისტებს შორის. ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად დომინირებს ის მოსაზრება, რომ საქართველოში ოჯახი საშუალოდ შედგებოდა 5 წევრისგან, თუმცა არსებობდა დიდი ქართული ოჯახი, რომელშიც რამდენიმე თაობა ცხოვრობდა. ევროპასა თუ ამერიკაში თითქმის იგივე რეალობა იყო. ამერიკაში საშუალოდ 5-9 წევრამდე მერყეობდა ოჯახის შემადგენლობა, თუმცა ყველაზე უფრო გავრცელებული იყო 5-6 – სულიანი ოჯახები. ევროპაშიც თითქმის იგივე მაჩვენებილია, მკვლევრები შუა საუკუნეების ოჯახს, ძირითადად, 4-6 პერსონით საზღვრავენ. G. B. Warden. L'urbanisation américaine avant 1800. In: Annales. Économies, Sociétés, Civilisations. 25e année. № 4, 1970, გვ. 873; Jeffrey R. Zorn. Estimating the Population Size of Ancient Settlements: Methods, Problems, Solutions and a Case Study. Bulletin of the American Schools of Oriental Research. 295 (1994), გვ. 34. XIX საუკუნის თბილისში აღწერებისას კომლში საშუალოდ 4,75 წევრი იანგარიშება. იხ.: ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ. 1984, გვ. 63-71.

[10] ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს. წიგ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. IV. თბ. 1996, გვ. 446. აღნიშნული ნუსხის მეცნიერული პუბლიკაცია იხ.: ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. ჟურნ.: „მაცნე" ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1973. № 1, გვ. 144-155.

[11] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ. 1967, გვ. 140-144. აღნიშნული ნუსხის პირველი პუბლიკაცია იხ.: ს. კაკაბაძე. ქალაქ ტფილისის მოსახლეობის აღწერის ნუსხა 1780-1781 წლის ახლო დროისა. საისტორიო მოამბე. წ. I. ტფ. 1925, გვ. 225-227.

– კალა (ნარიყალას ციხის ჩათვლით), ხარფუხი (ტერიტორია, რომელიც მოიცავდა დღევანდელი სამასი არაგველების მემორიალიდან აბანოთუბნამდე ფართობს), გარეთუბანი (დღევანდელი პუშკინის ქუჩის, თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის გამზირის სამკუთხედს) და ავლაბარს, მეტეხის ციხესთან ერთად. სწორედ ამ ტერიტორიას გულისხმობს 1781-1782 წლების აღწერილობაც. ივანე ჯავახიშვილი ამ დოკუმენტზე მუშაობისას აღნიშნავდა: „ქალაქ ტფილისში ავლაბრით და გარეთუბნით სულ 3498 კომლი მცხოვრები იყო. აქეთგან, თვით ქალაქში 2314 მცხოვრები კომლი ითვლებოდა, დანარჩენი 1184 კომლი ცხოვრობდა შიგნითსა და გარეთს ავლაბარში (375 კომლი), მეტეხის ციხეში ხიდამდის (259 კომლი) და გარეთუბანში (550 კომლი)".[12] ამდენად, თბილისის მოსახლეობაში არ ითვლებოდა ქალაქთან საკმაოდ ინტეგრირებული ჩუღურეთი, რომელიც XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ ქალაქისპირა სოფლის სტატუსით სარგებლობდა და თბილისს XIX საუკუნის 20-იან წლებში შეუერთდა. ყოველივე ზემორე თქმული ნათელს ჰფენს, თუ რა ტერიტორია მოიაზრებოდა XVIII საუკუნის თბილისის შემადგენლობაში. გამომდინარე აქედან კი, ადვილია ქალაქის ფართობის განსაზღვრა. ამ მხრივ ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმა. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ XVIII საუკუნეში შედგენილი ამ გეგმის მონაცემები თავისუფლად უნდა განვავრცოთ მთელ საუკუნეზე, რამეთუ დიდი ცვლილებები XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისს ქალაქგეგმარებითი მიმართულებით არ განუცდია. ამას ადასტურებს XVIII საუკუნის მიწურულისა თუ XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმები, რომელთა მიხედვით, ქალაქი ჯერ კიდევ იმ საზღვრებში იყო მოქცეული, რომლებიც ვახუშტის გეგმაზეა დატანილი.[13]

ერთ ჰექტარზე მოსახლეობის დადგენა

ძველი ქალაქების რეკონსტრუქციისას მნიშვნელოვანია გავნსაზღვროთ მოსახლეობის რაოდენობა. ეს არის დემოგრაფიული კვლევა მიკრო დონეზე. ამ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდები გამოიყენება,

[12] ივ. ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს. გვ. 447.
[13] ალ. პიშჩევიჩის 1785 წლის და 1801 წლის ჩუიკოს თბილისის გეგმები. იხ.: ენციკლოპედია „თბილისი". თბ. 2002, გვ. 89-90.

ვიდრე, მაგალითად, რეგიონის ან არადა ქვეყნის მოსახლეობის განსაზღვრისას, რომელიც მაკროდონეს მიეკუთვნება. ასევე, განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული თვით მიკროდონეზეც – სოფლის, ციხე-ქალაქისა და დიდი ქალაქების მოსახლეობის დადგენისას. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ სოფელსა თუ ქალაქში ერთ ჰექტარზე განსხვავებულია მოსახლეობის სიმჭიდროვე, ასევე, განსხვავებულია ოჯახის სულადობაც (რეგიონების მიხედვით).

დღეისათვის რამდენიმე მეთოდი გამოიყენება ქალაქის ტიპის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის განსასაზღვრად. ა. რაიმონმა კაიროს მოსახლეობის დაანგარიშება ცადა აბანოების რაოდენობის მიხედვით. მისი აზრით, 3500-4000 მცხოვრებზე 1 აბანო მოდიოდა.[14] ამ მეთოდმა XV-XVII საუკუნეების კაიროსთან მიმართებით გაამართლა, მაგრამ ცოტა ადრეული პერიოდის ან სხვა აღმოსავლურ ქალაქთან მიმართებით ეს მიდგომა ვერ გამოდგებოდა.[15]

დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია ორი მეთოდი – ბინადრობის სიმჭიდროვის კოეფიციენტით დაანგარიშება და ბუნებრივი რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის განსაზღვრა მოცემული პუნქტის ირგვლივ.

პირველი გულისხმობს კონკრეტულ სივრცეზე კონკრეტული ტიპის არქიტექტურული განაშენიანების პირობებში მოსახლეობის ზღვრული ოდენობის დადგენას. მეორე მოდელი, მართალია, ჩვენ საკვლევ თემასთან მიმართებით ნაკლებ გამოსაყენებელია, მაგრამ თავისთავად დემოგრაფიული პროცესების წარმოსადგენად მეტად მნიშვნელობანია. ნებისმიერ ურბანულ ქსოვილს გარკვეული რესურსი ესაჭიროება, რათა აქ მცხოვრებმა ადამიანებმა თავი ირჩინონ: სავარგულები, საძოვრები, წყალი და ა. შ. ვინაიდან ჩვენ ვვარაუდობთ XIII საუკუნის დასაწყისში თბილისის მოსახლეობას 100 000-ზე მეტს, გასათვალისწინებელია, რამდენად შესაძლებელი იყო არსებული ბუნებრივი რესურსებით ამ რაოდენობის მოსახლეობის შენახვა. ეს საკითხი დღევანდელ ჩვენს საკვლევ თემას სცილდება და, ამდენად, მას სხვა დროს დავუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერ ეპოქაში გარკვეული რესურსი გარკვეული რაოდენობის ადამიანზე იყო გათვლილი და შეუძლებელია, ის უფრო მეტს ჰყოფნოდა. ბუნებრივ რესურსა და მოსახლეობის რაოდენობას შორის გარკვეული ბალანსი იყო დაცული და მისი დარღვევა იწვევდა

[14] Andre Raymond, La population du Caire de Maqrizi h la Description de l' Egypte. Bulletin d'Études Orientales. XXVIII. 1975, გვ. 201-215.

[15] О. Г. Большаков. Средневековый город Ближнего Востока, VII-середина XIII в. М. 1984, გვ. 100.

შიმშილს, გაჭირვებას, შიდა მიგრაციას და სხვა.

თბილისთან მიმართებით ყველაზე მისაღებად გვეჩვენება სიმჭიდროვის კოეფიციენტით მოსახლეობის განსაზღვრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ჰექტარზე მობინადრეთა საერთო რაოდენობა გარკვეულ ზღვრულ ციფრს გვაძლევს. თავისთავად ასეთი დაანგარიშება ნაწილობრივ დაზღვეული არ არის ცდომილებისგან, თუმცა მიახლოებით მოსახლეობის რაოდენობის დადგენა მაინც ხერხდება.

ამ მეთოდის მთავარ მხარეს წარმოადგენს ის, რომ იგი საშუალებას იძლევა, სწრაფად შევადაროთ ერთმანეთს რეგიონში არსებული დასახლებული პუნქტები, დავადგინოთ მოსახლეობა ერთი კონკრეტული მონაცემის – ფართობის მიხედვით. თუმცა მას აქვს სუსტი მხარეც. ამ შემთხვევაში ჩვენ აპრიორად ვაღიარებთ დასახლების ტიპთა ერთგვაროვნობას და სიმჭიდროვის კოეფიციენტს. ეს მეთოდი გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ზომისა და ფუნქციის პუნქტებს შეიძლება ჰქონდეთ დასახლებულობის სიმჭიდროვისა და განაშენიანების განსხვავებული ფორმები.[16]

ქალაქის მოსახლეობის განსაზღვრისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა რაოდენობის ფართობი უჭირავს საცხოვრებელ ზონას და რა საზოგადოებრივს, სასახლეებს, გალავნის შიგნით და გარეთუბნებში არსებულ ქალაქის ბაღებს, წმინდა სავაჭრო ადგილებს, ტაძრებს, გზებს, მოედნებს. სამწუხაროდ, თბილისთან მიმართებით ამის ზედმიწევნით დაანგარიშება ძნელია, თუმცა ისეთი კომპონენტების როგორებიცაა ქარვასლების, სავაჭრო რიგების, გზების, ტაძრების, ფართობის განსაზღვრა, შესაძლებელია.

დასახლების ერთგვაროვანი ტიპის შემთხვევაში ჰექტარზე მოსახლეობის სიმჭიდროვეს მეცნიერები დაახ. 100-300 ადამიანით ანგარიშობენ.[17] არ-

[16] Jeffrey R. Zorn, Estimating the Population Size of Ancient Settlements... გვ. 32-33.

[17] R. McC. Adams. Land behind Baghdad. Chicago. University of Chicago 1965, გვ. 41; L. E. Stager. Ancient Agriculture in the Judean Desert. A Case Study of the Buqeah Valley in the Iron Age. Unpublished Ph. D Dissertation. Harvard University 1975, გვ. 242-245; L. Marfoe. Review of A. Kempinski – The Rise of an Urban Culture and R. Amiran et al. Early Arad. Journal of Near Eastern Studies 39. 1980, გვ. 315-322; G. W. Van Beek. A Population Estimate for Marib. A Contemporary Tell Village in North Yemen. Bulletin of the American Schools of Oriental Research. 1982, გვ. 61-67; M. Broshi and R. Gophna. The Settlements and Population of Palestine During the Early Bronze Age II-III. Bulletin of the American Schools of Oriental Research 1984, გვ. 74. I. Filkenstein. The Archeology of the Israelite Settlement. Jerusalem: Israel Exploration Society. 1988, გვ. 331-332. О. Г. Большаков. Средневековый город Ближнего Востока. VII-середина XIII в. გვ. 114-119.

სებობს გაცილებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებიც, თუმცა იქ ამის მიზეზი უნდა იყოს განსხვავებული არქიტექტურული განაშენიანება.[18]

ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე განსხვავდებოდა პერიფერიებთან შედარებით. თბილისის შემთხვევაში კი კალა გაცილებით უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე გარეთუბანი და ავლაბარი. ასეთ შემთხვევაში საშუალოდ ერთ ჰექტარზე ერთსართულიანი განაშენიანების პირობებში მაქსიმალური სიმჭიდროვე 250-300 ადამიანს შეადგენდა, რაც საშუალოდ 50-60 კომლს უდრიდა.[19] როგორც ზემოთ ითქვა, ივ. ჯავახიშვილი 1780-1781 წწ-ის აღწერაზე დაყრდნობით კალაში 2314 მცხოვრებს ვარაუდობდა, მაგრამ აქ ერთი საკითხია დასაზუსტებელი. ხელნაწერში კომლთა რაოდენობა მითითებულია შემდეგი თანმიმდევრობით: „გარეთ ავლაბარში – 156; შიგნით ავლაბრის ციხეში – 219; მეტეხში ხიდამდე – 73; ხიდიდან ციხეში – 186; ქალაქში – 2314; გარეთუბანში – 550; ჯამი – 3498." თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ეს არ უნდა იყოს ზუსტი რიცხვი თბილისში მცხოვრები კომლებისა, რადგან, როგორც ამავე დოკუმენტშია მითითებული, ცალკე არსებობდა „ქალაქის მოქალაქეთა დავთარი," სადაც „სხვა მოქალაქენი დაწერილიყვნენ." შესაძლებელია, რამდენიმე ასეული კომლი ამ აღწერაში არ არის შეტანილი და ამიტომაც განსხვავდება 1770 წლის აღწერის მონაცემები 1781-1782 წლების აღწერის შედეგებისგან. ამასთანავე, აშკარაა ქალაქში ასეთი აღწერების დროს რჩებოდა ე. წ. აღუწერელი მოსახლეობა ან არადა ისეთი, რომელიც გადასახადის თვალსაზრისით მიწერილი იყო ქალაქისპირა სოფლებზე. მაგალითად, თბილისის 1774 წლის აღწერის დავთრის ნაწყვეტში, რომელშიც 1781 წელს შევსება-შესწორება იქნა შეტანილი, არაერთგზის აღნიშნულია ამა თუ იმ პირის ქალაქში ცხოვრების ფაქტი, მაგრამ იქვე მიწერილია „კრწანისში დაიწერა" ან „ქცხინვალს სწერია." 1781-1782 წლების აღწერის მონაცემებში, ჩვენი აზრით, 10% მოსახლეობის არ უნდა იყოს შეტანილი. XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთის იმპერიის

[18] Yigal Shiloh. The Population of Iron Age Palestine in the Light of a Sample Analysis of Urban Plans. Areas and Population Density. Bulletin of the American Schools of Oriental Research (239). 1980, გვ. 29; J. Garstang. The Foundations of Bible History. Joshua-Judges. London. 1931, გვ. 167; R. J. Braidwood and Ch. A. Reed. The Achievement and Early Consequences of Food-Production. A Consideration of the Archeological and Natural-Historical Evidence. Cold Spring Harbor Symposia on Quantitative Biology. 1957. № 22, გვ. 26-27.

[19] О. Г. Большаков. Средневековый город Ближнего Востока. VII-середина XIII в, გვ. 114-119.

მიერ წარმოებული აღწერებისას დაახ. 5% მოსახლეობისა აღუწერელი რჩებოდა. ვ. ჯაოშვილის მითითებით: „მოსახლეობის გამოთვლის დროს აუცილებელია აგრეთვე გავითვალისწინოთ აღწერის დროს გამოტოვებულთა რაოდენობა, რომელიც 1873 წლის უკანასკნელი კამერალური აღწერის დროს შეადგენდა 3,5%-ს. რაც უფრო ადრე ტარდებოდა აღწერა, მით უფრო მეტი იყო გამოტოვებულთა რიცხვი, რადგან ადრინდელ პერიოდში არ ჰქონდათ აღწერის მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი მეთოდი." ავტორი 1832 წლისათვის გამოტოვებულთა წილს 5% ანგარიშობს.[20] ჩვენს შემთხვევაში ვითარება კიდევ უფრო რთულადაა, რამეთუ, გამოტოვებული, აღუწერელი მოსახლეობის გარდა, 1781-1782 წლების აღწერაში შეტანილი არ არის მოქალაქეთა ნაწილი, რომლებიც ცალკე დავთრებში იყვნენ ჩაწერილები. სწორედ ამიტომ არსებული კომლების რაოდენობას ჩვენ ვუმატებთ 10%-ს სავარაუდო კომლთა რაოდენობის მისაღებად. ასევე, დასაზუსტებელია ერთი დეტალი: ივ. ჯავახიშვილი მტკვრის მარცხენა მხარეს ვარაუდობს იმ 186 კომლის ცხოვრებას, რომლებიც, დავთრის მიხედვით, სახლობდნენ „ხიდიდან ციხეში." მაგრამ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მათთვის ადგილი არ რჩება. ქალაქის ამ ნაწილში, დავთრის მიხედვით, აღწერილია გარე და შიდა ავლაბარი, ასევე მეტეხის ციხე ხიდამდე. მეტი დასახლებული ადგილი თბილისის მარცხენა ნაპირზე იმ პერიოდში არ არსებობდა, ამიტომაც, ჩვენი აზრით, იმ 186 კომლს უნდა ეცხოვრა მტკვრის მარჯვენა მხარეს სწორედ მეტეხის ხიდიდან ნარიყალას ციხის ჩათვლით (აღწერაშიც ხომ ასეა – „ხიდიდამ ციხეში"). ამდენად, საკუთვრივ ქალაქში (თბილისის მარჯვენა ნაპირზე გალავნით შემოსაზღვრული ტერიტორია) უნდა ყოფილიყო 2500 კომლი (10% მატების შემთხვევაში 2750 კომლი). ამ ნაწილში საცხოვრებლად გამოიყენებოდა დაახლ. 46,4 (კალა – 41,4, სეიდაბადი – 3,4, ნარიყალა 1,6) ჰექტარი (უშუალოდ ნარიყალას ციხეში იდგნენ მეციხოვნეები და, ბუნებრივია, 2500 კომლში ისინი არ ითვლებოდნენ, მაგრამ მთლიანი მოსახლეობის რიცხვში ჩათვლილნი არიან. რაც შეეხება გამოთქმას „ხიდიდამ ციხეში", მაინცდამაინც ნარიყალას ციხეში ოჯახების ცხოვრებას არ უნდა გულისხმობდეს. აქ ნარიყალას ქვედა ტერასაზე არსებული დასახლება უნდა იყოს მითითებული). ამ სივრცეზე, იმ შემთხვევაში თუ ჰექტარზე 50-60 კომლს ვიანგარიშებთ, შეიძლება ეცხოვრა დაახლ. 2320-დან 2784-მდე ოჯახს. ეს ციფრი კი კარგად თავსდება 1781-1782 წლების აღწერილობის კორექტირებულ მონაცემთან – დაახ. 2750 კომლი.

[20] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, გვ. 70.

როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის თბილისი, ძირითადად, სტანდარტული ერთსართულიანი განაშენიანებით გამოირჩეოდა. ამ შემთხვევაში, მიუხედავად სიმჭიდროვისა, ის გარკვეულ ზღვარზეა და არ აღემატება 250-300 ადამიანს ჰექტარზე. ჩვენ შეგვიძლია, დაახლოებით, სხვადასხვა მონაცემის შეჯერებით განვსაზღროთ თბილისისათვის სიმჭიდროვის ის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც არსებობდა XVIII საუკუნისათვის. თბილისის მარჯვენა მხარეს არსებული დასახლება გარეთუბნის გამოკლებით და 10%-ის დამატებით 2750 კომლს ითვლიდა. ქალაქის ამ ნაწილში (კალა, ნარიყალა, ხარფუხი) საცხოვრებელად გამოიყენებოდა 46,4 ჰექტარი. ე.ი. საშუალოდ ჰექტარზე უცხოვრია 59 ოჯახს. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს 5 წევრით განვსაზღვრავთ, მაშინ ჰექტარზე უცხოვრია 295 ადამიანს. გარეთუბანში იყო დაახ. 605 კომლი (1781-1782 წლების აღწერით 550 კომლი, ამას დამატებული 10% – 55 კომლი), 10.6 ჰექტარზე. ამ შემთხვევაში ჰექტარზე 57 ოჯახი მოდის, შესაბამისად, 285 ადამიანი. მტკვრის მარცხენა მხარეს ერთად უცხოვრია დაახ. 492 კომლს (1781-1782 წლების აღწერით 448 კომლი, ამას დამატებული 10% – 44 კომლი). ამ ნაწილში საცხოვრებლად გამოიყენებოდა 8,8 ჰექტარი, შესაბამისად, სიმჭიდროვე აქ ჰექტარზე 279 ადამიანი იყო. როგორც ვხედავთ, თბილისისთვის საშუალო სიმჭიდროვე უბნების მიხედვით მერყეობდა 279-295 ადამიანი ჰექტარზე. ეს აბსოლუტურად გასაგებია. ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით მაღალი იქნებოდა, ვიდრე გარეუბნებში. ამ მონაცემების მიხედვით საშუალო სიმჭიდროვე თბილისში ყოფილა დაახ. 291 ადამიანი/ჰექტარზე, ანუ 58 კომლი ჰექტარზე. ამ შემთხვევაში ცდომილება შეიძლება იყოს ± 10-15 ადამიანი ჰექტარზე (ორი-სამი ოჯახი). იმ შემთხვევაში თუ მთლიანად ქალაქში საზოგადო დანიშნულების სივრცეს განვსაზღვრავთ 65,8 ჰექტრით, მაშინ ამ ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრა დაახ. 19,148 ადამიანს. ეს ციფრი ეთანხმება იმ მონაცემებს, რომლებიც წერილობით წყაროებშია დაცული.

თბილისელის კარ-მიდამო

თბილისელთა სახლ-კარი როგორ გამოიყურებოდა და რა ფართობს მოიცავდა, ამის შესახებ ცნობები დაცულია ნიკო ბერძენიშვილისა და მამისა ბერძნიშვილის მიერ გამოცემულ თბილისის ისტორიისადმი მიძღვნილ „დოკუმენტების“ პირველ წიგნში. აქ შესული ნასყიდობის წიგნები საშუალებას

გვაძლევს შევისწავლოთ თბილისელთა საცხოვრისი. ქვემოთ ცხრილში მოცემული მონაცემები სწორედ ამ გამოცემას ეფუძნება და იგი ქრონოლოგიური რიგითაა დალაგებული ისევე, როგორც ეს ამ დოკუმენტების გამომცემელთ აქვთ გაკეთებული.[21]

წელი და დოკუმენტის № გამოცემი მიხედვით	მფლობელი	ადგილი	აღწერა	ფართობი
1646 10 ივნისი №8	თოლქათ ყალაბეგაშვილი ყულოა		ხუთი სახლი, მისი ეზოთი, ბახჩა	
1656 15 დეკემბერი № 14	მანდენათ შერმაზანისშვილი როსტევანი		დარბაზი, შიგნით დიდი სახლი, სათორნე, მარანი დარბაზის კუთხეში ოთახები. დარბაზის გვერდით სახლი, ეზო	
1659 15 აპრილი № 17	მამუკა და მისი შვილები იოანე და ბეჟანი		ერთი ოთახი და ოთახის წინ სახლების ალაგი.	სიგრძე ექვსი მხარი (12.12მ) წინა განი ხუთი მხარი (10.1 1მ) და უკანით განი ოთხი მხარი (8.08მ)[22] სულ 109,3 მ²
XVII ს. 50 – 60 წწ. № 22	ვნიკაშვილი მკრტიჩი		ერთი დარბაზი, მისი დერეფნით	
1672 17 სექტ. № 25	ყარაბან შერმაზანაშვილი		ერთი დარბაზი, ერთი სათორნე, ერთი საჯინიბო, საბძელი, დერეფანი და მის ქვეშ სარდაფი.	სიგრძე 18 ადლი, სიგანე 14 ადლი.[23] (18.1×14.1 = 255) 255 მ²

[21] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.). შეადგინეს: ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა. წ. I. თბ. 1962.

[22] მჭარი – საშუალოდ 2 მეტრს უდრიდა. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. თბ. 1973, გვ. 142. უფრო რომ დავაზუსტოთ 1 მხარი 2 ადლს (101 სმ-ს) ანუ 202 სმ. უდრიდა. გ. ჯაფარიძე. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 142; 130.

[23] ადლი შეადგენდა 101 სმ. გ. ჯაფარიძე. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 130.

1683 № 32	მესაათე სანოსა	კალა	სახლები (აქ უნდა იგულისხმებოდეს ოთახები)	სიგრძე 11 მხარი, განი სამი მხარი 22.2×6=133 $м^2$
1683 22 აგვისტო № 34	ბაბანათ ბაბია და მისი ძმა გიქია	კალა, მოლნინის უბანი	ერთი დარბაზი, სათონე, წინ ოთახი, საჯინიბო და ეზო	
1683 დეკემბერი № 36	ტოტოათ ბერია	ავლაბარი	ერთი სახლ, სათორნე, ოთახის ადგილი და ეზო	სახლი სიგრძე 4 მხარი; სიგანე 3 მხარი; სათორნე სიგრძე 4 მხარი, განი 2 მხარი; ოთახის ადგილი და ეზო 4 მხარი სიგრძე, 2 მხარი განი. 8.08×6.06=48.9 8.08×4.04=32.6 8.08×4.04=32.6 ხულ 114 $м^2$
1684 10 ივნისი № 37	ყარაგოზანთ ირალას შვილი გასპარა		სახლი	სიგრძე 7 მხარი, განის სამი მხარი, ქვემო ვიწრო. 14.1×6.06 = 85.4 აღწერიდან ჩანს, რომ სახლის ქვემოთა ნაწილი ვიწროვდებოდა. დაახ. ფართობი უდრიდა 75-80 $м^2$
1686 24 ივლისი № 38	ყანდინაშვილი მერაბი	კალა	დარბაზი, სათონე, დერეფანი და ეზო	
1688- 1703 № 40 და 41	რევაზ მაღალაძე		დარბაზი, ოთახები, ეზო, საჭურჭლე იქვე მიდგმული აქვს დუქანი, თავისი ქურით	
1689 20 დეკემბერი № 43	ნომასშვილი ელიზბარი		სახლკარი ციხის გალმით სამი სახლი, ერთი სათორნე	
1690 27 ოქტომბერი № 45	ყაკარდელაშვილი ოანა		სახლი, დერეფანი, ცოტა ეზო	

1695. 20 იელისი № 48	ქეფინანთ კარაპეტას შვილი არუთინა	კალა	ციხესთან ალდის უბანში ერთი დარბაზი, ერთი ოთახი და ეზო	
1699 1 აპრილი № 52	შიუანთ გოგინას შვილები: ზალინა, მელქუა და ჰაპუა		სახლ-კარი	სახლი სიგრძე – 11,5 ადლი განი 3,5 ადლი (11.6X3.5=40.6) 40.6 მ²
1700 26 ივნისი № 54	მელიქი გიორგი		ერთი ოთახის ალაგი	5 ადლი სიგრძე 2,5 ადლი სიგანე (5.05X2.5=12.6) 12.6 მ²
1702 17 მაისი № 57	შერგილანთ ზაქარია		დარბაზი თავისი დამზმარე სათავსებით	ერთი მხარის სიგრძე 6 ადლი და 1 ჩარექი (6.31 მ).[24] მეორე მხარის 7.5 ადლი (7.57 მ). ზევითა განი 3.5 ადლი (3.53 მ), ქვევითა განი 6.5 ადლი (6.56 მ) 33.5 მ²
1702 20 იელისი № 58	ზურაბას შვილი გიორგი და მანველა	გარეთუბანში	ნაოხარი მამული	სიგრძე 30 ადლი და ერთი ჩარექი (30.55 მ). ზემოთა განი 18 ადლი 1 ჩარექი (18.45). ქვეთი განი 11 ადლი და 1 ჩარექი (11.35). შარისაკენ ორლობის სიგრძე 11 ადლი და 1 ჩარექი (11.35). ზემოთ შარასკენ კარის ალაგი 3 ადლი 1 ჩარექი (3.3 მ). ქვემოთ განი 4 ადლი და ნახევარი (4.55 მ) 337 მ²
1706 3 აპრილი № 63	ოსეფა და პეტრე		ერთი დარბაზი, სათორნე, ერთი სახლი თავისი ეზოთი, ეზოში ერთი ოთახი	
1706 20 აპრილი	ნონაანთ გიორგის შვილები		დარბაზი, მარანი, სათორნე საკუჭნაო, ძველი თავისი ეზოთი,	ფართობი გამომცემლების მიერ შეცდომითაა მითითებული

[24] ჩარექი დაახ. 25 სმ-ს უდრიდა. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 135.

№ 64	როსტომა და ოსეფა		ეზოში ერთი ოთახი	
1708 15 ივნისი № 66	ამირეჯანათ ბალდინას შვილები ზალინა, შერმაზანა, ბაბა	კალა	სამ ძმას მემკვიდრეობით შეხვდა ვრცელი კარ-მიდამო (საკარაულოდ სამად გასაყოფი), რომელშიც შედიოდა დარბაზი დერეფნებით, სხვადასხვა დანიშნულების ოთახები, ეზო, ბაღჩა, სათორნე, მარანი.	გაზანდარის გაზით[25] 1309 ადლი (1322 მ²). ეს იყო სამ ძმის სრული წილი. თითოეულზე საშუალოდ გამოდიოდა 440 მ²
1708 15 ივნისი № 66	ამირეჯანათ ბალდინას შვილები ოსანამა და ბეეანა	კალა	ორ ძმას მემკვიდრეობით შეხვდა კარ-მიდამო (საკარაულოდ ორად გასაყოფი), რომელშიც შედიოდა სხვადასხვა დანიშნულების ნაშენები, ეზო და ბაღჩა.	გაზანდარის გაზით 832.5 ადლი (840 მ²). ეს იყო ორი ძმის სრული წილი. თითოეულზე საშუალოდ გამოდიოდა 420 მ²
1709 მაისი № 68	ყაზანაშვილი ბეროა და გოდერძი		სასახლე	სიგრძე 6 ადლი (6.06 მ.), განი 5 ადლი (5.05 მ.) 30.6 მ²
1711 მარტი № 73	ღარიბაშვილი პეტრე		სახლ-კარი. ერთი დარბაზი, ორი ოთახი ზედ აკრავს. დერეფანი. ეზო	დარბაზის და ორი ოთახის სიგრძე 10 ადლი, განი 6 ადლი და 3 ჩარეკი (68.6 მ²). დერეფანი 5 ადლი და 1 ჩარეკი სიგრძე, ხოლო განი 3 ადლი და 1 ჩარეკი (16.9 მ²). ეზო 9 ადლი და ნახევარი და განიც ოგივე (92.1 მ²) ჯამი: 177. 6 მ²

[25] გაზანდარის გაზი აღნიშნავდა კვადრატულ გაზს, ანუ „გაზი გაზში" ე.ი. გაზი გამრავლებული თავის თავზე. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს კვადრატულ ადლს. ერთი მიმართულების – სიგრძის ან სიგანის საზომად გამოიყენებოდა ჩვეულებრივი ადლი, კვადრატულ სიდიდეში აყვანილს კი გაზანდარის ადლი ეწოდებოდა. იხ.: მ. ბერძნიშვილი. ძველი ქართული მეტროლოგიიდან, გაზანდარი. „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1976. №2, გვ. 167-168.

1711 15 სექტემბერი № 75	ხუდუანთ გრიგორას შვილი ასლანი		ოთახი	სიგრძე 7 ადლი 1 ჩარეკი (ოდნავ ნაკლები), ხოლო განი ხუთი ადლი (7.2 მ. X 5.05 მ. = 36.3 მ^2)
1712 20 მარტი № 77	ხორამზე ბატონიშვილი	გარეთუბანი ბურეკის უკან	ერთი დარბაზი, დერეფანი და ეზო	
1712 22 აგვისტო № 82	კუკუჯანათ გიეუაშვილი ბეეოა		სახლ-კარის ნაწილი. ყიდულობს მეზობლის- გან. ჩანს დიდი ეზო. როგორც გამყიდველს, ასევე მყიდველს ამ ფართზე მეტი ტერიტორია უკავია	3 ადლი განი 2 ადლი და სამი ჩარეკი (3.03X2.27=6.9 მ^2). ეზო 4 ადლი განი, სიგრძე 12 ადლი (4.04X12.1=48,8 მ^2) სულ: 55,7 მ^2
1713 აპრილი № 85	ქაიხოსროვანთ ასლამაზას შვილი გიორგი	საკარაულოდ გარეთუბანში	სახლ – კარის აღწერილობა არ ჩანს	ზეითი განი 4.5 ადლი (4.55 მ), შუა ნაწილში იზრდება 7.5 ადლამდე (7.6 მ). ქვეითი გეერდი 9.5 ადლი (9.6 მ). მოგვიანებით ამ კარ- მიდამოს კიდევ დაემატა 9.5 ადლს 4.5 ადლი, ხოლო ზეითი განს ხუთი ჩარეკი. ამ სამოსახლოს ფართობის დანგარისება ჭირს არა სრული ინფორმაციის გამო, თუმცა ეი 100 მ^2 არ უნდა აღემატებოდეს.
1713 ივლისი № 86	მიტოანთ ხატოას შვილი დანელა	გარეთუბანი	დარბაზი და წინ დერეფანი	გაზანდარის გაზით 75 ადლი (75.7 მ^2)
1713 20 ნოემბერი № 87	ჟანგიანთ პაპინას შვილი ასლამაზი	კალა	ერთი შირეანული დარბაზი და ორი პატარა ოთახი. [26] კიდევ ერთი ოთახი[27]	დარბაზი და ორი პატარა ოთახი: განი ხუთი ადლი და ერთი ჩარეკი. სიგრძე 7 ადლი 2,5 ჩარეკი (5.3X7.7=40.8 მ^2). ოთახი 4 ადლი 1 ჩარეკი განი – 3 ადლი (13 მ^2) სულ: 53. 8 მ^2

[26] ჟანგიანთ პაპინას შვილების გასამყრელო წიგნში მითითებულია, რომ ეს სახლ-კარი ერთ ერთეულს წარმოადგენდა და მემკვიდრეებმა ასლამაზმა და ზალინამ გაიყვეს.

[27] სახლ-კარს ისეთი განლაგება ჰქონდა, რომ გაყოფისას ასლამაზს ნაკლები ხვდებოდა და ზალინამ ერთი ოთახი დაუმატა.

1713 20 ნოემბერი № 87	ტანგიანთ უნდინას შვილი ზალინა	კალა	დარბაზი, წინ დერეფანი[28]	დარბაზი: სიგრძე 8.5 ადლი განი 5 ადლი 3 ჩარექი (50 მ²) დერეფანი: სიგრძე 5 ადლი 1 ჩარექი. განი 3.5 ადლი (18.5 მ²) სულ: 68.5 მ²
1719 24 თებერვალი № 99	ნონთ გოგინაშვილი ფასია	სავარაუდოდ კალა	ერთი დარბაზი, დარბაზს შიგნით სათონე, ეზო, დერეფანი, ეზოში ორი ოთახი	
1721 დეკემბერი № 103	ჰასრათას შვილი ზალინა	სავარაუდოდ კალა	გაყოფის შემდეგ ერგო სათორნე, დარბაზისა და დერეფანის ნახევარი, ზევით ნაშენი სახლი	გაზანდარის გაზით 60,5 ადლი (61 მ²)
1721 დეკემბერი № 103	ჰასრათას შვილი სარქისა	სავარაუდოდ კალა	დარბაზისა და დერეფნის ნახევარი. სარდაფი	გაზანდარის გაზით 60,5 ადლი (61 მ²)[29]
1726 24 მარტი № 120	ბასტამაშვილი ბაღდასარა	კალა	ერთი დარბაზი, ერთი მარანი, ერთი ქვითკირის ოთახი და ერთი სათორნე და სათორნეში კიდევ ერთი ოთახი, თაღლა და ეზო-დერეფანი	
1726 ივლისი № 121	სარუხანთ ბეჟოას შვილი ჰაპა		ერთი დარბაზი, სათორნე მარანი, სარდაფი, ეზო, დერეფანი[30]	
1726 აგვისტო № 123	ყოყინო ბეჟუას შვილი არუთინა	სავარაუდოდ კალა	ორი ოთახი	გაზანდარის გაზით 47 ადლი (47.5 მ²)

[28] როგორც № 87 დოკუმენტშია აღნიშნული, ჰაპისეული სახლი საკმაოდ დიდი ყოფილა. ის შეადგენდა 122 მ², საიდანაც ასლამაზს შეხვდა 53 მ², ხოლო ზალინას – 68.5 მ². გაყოფისას მხარეები ფლობენ საკუთარ სახლ-კარსაც და, შესაბამისად, მათ ეს ფართი ემატებოდათ.

[29] გაყრამდე, სანამ ზალინასა და სარქისას მამა ჰასრათა ცოცხალი იყო, მისი საცხოვრებელი თითქმის 120 მ² აღემატებოდა. დოკუმენტიდან არ ჩანს ძმები გაყრამდე თუ ფლობდნენ საკუთარ სახლ-კარს.

[30] ბაღდასარა და ჰაპა მეზობლები ჩანან და გვერდიგვერდ ცხოვრობენ. მათი საცხოვრისი ერთი ჩვეულებრივი თბილისური სახლ-კარია.

1727 მაისი № 126	ბიქმერმაზანთ გიორგის შვილები	კალა	ერთი დარბაზი, საჯინიბო, სათონე, დერეფანი	გაზანდარის გაზით დარბაზი – 48 ადლი საჯინიბო – 34 ადლი სათონე – 32 ადლი დერეფანი – 27ადლი სულ: 141 ადლი (142 მ²)
1728 მარტი № 127	მელიქ-მამასახლისი აშხარბეგი	კალა	ერთი პატარა დარბაზი, შიგნით საკუჭნაო, დერეფანი, ეზო	
1732 ნოემბერი № 133	არაქელას შვილი ნალბანდი მელქოა	საკარაულოდ კალა	ერთი დარბაზი, ერთი ოთახი, ეზო და დერეფანი	
1733 აპრილი № 137	ბაციკანთ რამაზას შვილი ოსანეზა	კალა პატრების საყდრის უბანი	ერთი დარბაზი, შიგნით სათონე და მარანი. დერეფანი სარდაფით	
1736 15 ივლისი № 143	ბაყალ ხუდადას შვილები გიო და არუთინა	კალა	ერთი დარბაზი, უკან ორი ოთახი, დერეფანი, ქვეშ სარდაფი და წინ ბალჩა	
1737 12 თებერვალი № 145	მირზა მასუმა	კალა	დარბაზი და ოთახი (საკარაულოდ, სხვა დამზმარე სათავსოებით და ეზო)	გაზანდარის გაზით 165 ადლი (167 მ²)
1737 25 თებერვალი № 146	ხუცაანთ სარაპიონის შვილები	კალა	ერთი დარბაზი, შიგნით ოთახი. დარბაზის გვერდით სათონე, წინ დერეფანი, ეზო, საჯინიბო	
1738 ივნისი № 149	ჭონი სარქისა[31]	კალა ზემოუბანი	ერთი ოთახი, საკუჭნაო, დერეფანი და ეზო	
1738 22 სექტემბერი № 150	ქადიანთ გოგინას შვილი არუთინა	კალა ქვემოუბანი	ერთი ოთახი, თავისი ზევით ნაშენით	
742 20 სექტ № 159	იეზანთ ყაზარას შვილნი დავითა და ფარემუზა (მყიდველი)	კალა	მიწის ნაკვეთი	სიგრძე 14 ადლი განი 4 ადლი სულ: 56. 5 მ²

[31] ჭონი სარქისა ხუცაანთ სარაპიონის შვილის, ოსეფას, მეზობელია კალაში, ზემოუბანში, ბურჯის სიახლოვეს.

1742 5 დეკემბერი № 160	ბაბანთ მოსესას შვილი სტეფანე	სავარაუდოდ კალა	ერთი დარბაზი, ნახევარი სათორნე, დერეფანი და ეზო	
1743 27 იანვარი № 161	ჯანჯულაზანთ პაპას შვილები		საკინიბო	გაზანდარის გაზით 46 ადლი (46,5 მ²)
1743 20 აპრილი № 163	ოსეფას შვილი ზურაბა	კალა	ერთი დარბაზი, ნახევარი სათორნე, ქვითკირის ოთახი, აივანი და ეზო, ერთი საკუჭნაო[32]	
1745 16 ივლისი № 168	მოქალაქე ყალუასაშვილი გასპარას შვილი ხატინა	კალა	სახლი	სიგანე 6 ადლი. სიგრძე 16,5 ადლი სულ: 100 მ²
1750 15 ივნისი № 183	ტერ-აკეტისი	გარეთუბანი	ქარხნისა და სახლის ალაგი	გაზანდარის გაზით 207 ადლი (209 მ²)
1751 26 ივლისი № 197	ნამურაძე ირაკლის შვილი დავითი		ერთი ოთახი, სათორნე და ეზო	
1751 10 დეკემბერი № 199	ყამაზანთ მარტიროსას შვილები მურადა და შაქროა		ერთი დარბაზი, თავისი შანიშნით. ოთახები, სათორნე საკუჭნაოთი. დერეფანი და ეზო	
1752 15 მარტი № 204	მუნთუანთ მამაჯანას შვილი მიკირტუმა	კალა	ერთი ბრტყელი, დაბურვილი სახლი, შიგნით სათორნე თავისი საკუჭნაოთი, ორი ოთახი, ეზო	
1752 2 დეკემბერი № 209	მელიქი სამაკა	კალა	ერთი დარბაზი, შიგნით სათორნე და ერთი საკუჭნავო, ერთი ოთახი, სარდაფი, დერეფანი და ეზო	

32 ოსეფას შვილს, ზურაბას, პაპეული სახლ-კარიდან მხოლოდ ეს შეხედა. როგორც ჩანს, სამოსახლო გაცილებით დიდი იყო.

1753 5 აპრილი № 212	ავეტიქას შვილი იავრინა		ერთი შირვანული[33] დარბაზი, დერეფანი და ეზო	
1753 20 აგვისტო № 214	ჩიგიანანთ ბაღდასარას შვილი შაქარუა	კალა	სახლი[34]	გაზანდარის გაზით 56 ადლი (56,5 მ²)
1753 16 დეკემბერი № 217	ბერძენი ივანეს შვილი აფრასიობა		ერთი შირვანული დარბაზი და ოთახი	
1755 10 თებერვალი № 220	იავანგულანთ ავთანდილას შვილი მანუჩარა	საკარაულოდ კალა	ერთი დიდი დარბაზი, მარანი, შანიშინითა[35] და სათორნე. დერეფანი და ეზო	
1755 5 აპრილი № 222	სახლთუხუცესი მუხრან-ბატონი კონსტანტინე	კალა	სახლის ადგილი (ნასახლარა)	გაზანდარის გაზით 40 ადლი (40,4 მ²)
1756 10 ნოემბერი № 227	მიზოანი მელქოას შვილი გასპარა	კალა კლდისუბანი	ორი ოთახი, მარანი, სათორნე. ამას გარდა ორი ოთახის ალაგი	გაზანდარის გაზით 180 ადლი (181,8 მ²)
1757 23 აპრილი № 228	იობ ივანეს შვილი	კალა(?)	ერთი ოთახი	გაზანდარის გაზით 34 ადლი (34,3 მ²)
1757 ივლისი № 229	ბარამანთ გიორგის შვილი პაპა	კალა ქვემო მოედანი	ერთი შირვანული სახლი, დერეფანი და ეზო	
1766 აგვისტო № 247	მირზა აბითურაბის შვილები ბაბაში, ალიყული, მურზაყული	კალა მეიდანი	სახლი ოთახებით	გაზანდარის გაზით 234 ადლი (236 მ²)

33 შირვანულ დარბაზს უწოდებენ სახლს, რომელსაც ბრტყელი, კედლების პერპენდიკულარული გადახურვა ჰქონდა. სახურავი მიწაყრილ ბანს წარმოადგენდა. იხ.: მ. ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში. თბ. 1965, გვ. 59.

34 ჩიგიანანთ ბაღდასარას შვილ შაქარუას ოსმალობის დროს სახლ-კარი, ფაქტობრივად, წაართვეს (ცოტა ფასი გადაუხადეს) და იქ მეჩეთის მშენებლობა წამოიწყეს. თეიმურაზ II-მ შაქარუას დაუბრუნა კუთვნილი სახლი.

35 შანიშინი – დარბაზის ნაწილი, რომელიც საგანგებოდ იყო გადაღობილი. მ. ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 60.

1766 აგვისტო № 247	რევაზ ორბელიანი		ორი სახლი	გაზანდარის გაზით 353 ადლი (356,5 მ²)
1766 10 სექტემბერი № 250	შერგილაანთ სამკას შვილი შაქარეა	კალა	ერთი დარბაზი, სათორნე, დარბაზში ორი ოთახი, მათ ბანზე აივანი, აივნის წინ ტახტი[36] და ეზო. მეორე დარბაზის გარდეთი ტახტი და ეზო	
1767 15 მარტი № 251	დალაქი იასე	კალა	ერთი შირვანული სახლი, სათორნე, პატარა საბძელი, ოთახი	
1768 6 მარტი № 256	აბესალმანთ სტეფანას შვილი გასპარა	კალა	ერთი დარბაზი, სათორნე, გარეთ ტახტი, დერეფანი და ეზო	გაზანდარის გაზით 315 ადლი (318 მ²)
1768 21 მაისი № 257	სარაჯი ანტონა	კალა	პატარა სახლი, წინ პატარა დერეფნით	
1768 5 იელისი № 258	ოქრომჭედელი მირონანთ ისაიას შვილი გურგენი	კალა	ერთი შირვანული დახურვილი სახლი, ქვემ სარდაფი, სათორნე, ეზო	გაზანდარის გაზით 64 ადლი (64,6 მ²)
1768 სექტემბერი № 260	ენიბეგას შვილი ოსეფა	კალა	ერთი დარბაზი, სათორნე, ერთი ანბრის სახლი, მის ქვემ სარდაფი, გარეთ ერთი ოთახი, დერეფნი და ეზო	
1771 17 იელისი № 272	მეფის ხაბაზი თარხანა	კალა	ერთი შარვანული დახურული სახლი, გარეთ პატარა ოთახი, პატარა დერეფანი	გაზანდარის გაზით 77.5 ადლი (78 მ²)
1771 სექტემბერი № 274	მეწურე პასრათას შვილი ფარსადანა	კალა	ერთი პატარა დარბაზი, სათორნე და ეზო	გაზანდარის გაზით 70 ადლი (71 მ²)

[36] ტახტს შენობის გარეთა ნაწილს უწოდებენენ. იგი წარმოადგენდა თანამედროვე აივნის მსგავს მინაშენს, სახურავის გარეშე. მ. ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 61.

ნასყიდობის წიგნებში მითითებული თბილისელთა სახლ-კარი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ, ძირითადად, ის შედგებოდა დარბაზისგან, დერეფნისგან, სათორნისგან და საკუჭნაოსგან. შედარებით შეძლებულ თბილისელებს, დარბაზის გარდა, ოთახებიც ჰქონდათ და საჯინიბოც. ისედაც სივიწროვეში მცხოვრებ თბილისელთათვის ფუფუნებად ითვლებოდა დიდი ეზობაღჩა, მაგრამ პატარა ეზოები, ზემოთ მოყვანილ ცხრილში თითქმის ყველა მეორე სახლს აქვს.

თბილისში, ძირითადად, ქვა-ტალახით ნაშენი და გაჯით გალესილი სახლები იყო. განირჩეოდა ორი ტიპის – „ქართული რიგით" და „სპარსული რიგით" ნაშენი სახლები. პირველი უნდა იყოს თბილისური დარბაზი, ე. წ. ქართული დარბაზი გვირგვინოვანი გადახურვით, ხოლო მეორე, ნასყიდობის წიგნებში მოხსენიებული შირვანული სახლი, ბრტყელი გადახურვით.[37] ისევე როგორც ევროპისა თუ აზიის ქალაქებში, თბილისშიც საკმაოდ დიდი იყო სოციალური დიფერენციაცია. ჩვენ ვხედავთ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ 30-50 $მ^2$ დარბაზში, მაშინ, როცა წარჩინებულ მოქალაქეთა კარ-მიდამო 200-350 $მ^2$ მერყეობდა. მირზა აბითურაბის შვილები ფლობენ 236 $მ^2$ ფართობის სახლს, აბესალმანთ სტეფანას შვილი გასპარას კარ-მიდამო 318 $მ^2$ იყო, ასევე დიდი საცხოვრისი აქვს ყარახან შერმაზანაშვილს – 255 $მ^2$. საერთოდ კარ-მიდამოს შესწავლა ქალაქის სოციალური სურათის წარმოსახვისთვის მნიშვნელოვანი წყაროა.[38] ამასთანავე, ქონების გადანაწილება თბილისის მოსახლეობის შიგნით სარკეა იმ ეკონომიკური პროცესების წარმოსაჩენად, რომლებიც ქალაქში მიმდინარეობდა. ერთნი მდიდრდებოდნენ, მეორენი ღარიბდებოდნენ და, შესაბამისად იცვლებოდა მათი საცხოვრებელი პირობები. ხშირად მხატვრულ ლიტერატურაში ქალაქელი ვაჭრები ისე არიან წარმოჩენილნი, რომ ისინი მხოლოდ სიმდიდრის დაგროვებაზე ზრუნავენ და არ ცდილობენ მათი ეკონომიური მდგომარეობა გარეგნულად აისახოს. ეს ასე არ არის. ნასყიდობის წიგნებიდან კარგად ჩანს, რომ სიმდიდრის შეძენასთან ერთად როგორ ცდილობენ შედარებით გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.

[37] მამისა ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 59.
[38] ამ კუთხით საკმაოდ საინტერესო მონაცემებს შეიცავს 1802-1803 წწ-ის აღწერის ნუსხა, რომელიც გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ. თითოეულ კომლს მიწერილი აქვს მათ მიერ დაკავებულ ოთახთა რაოდენობა. მართალია, ოჯახის, ფლობელობაში არსებული ფართობის დაანგარიშება ამ გზით შეუძლებელია, მაგრამ თბილისელთა ქონებრივი შიგნის და სოციალური დიფერენციაცია ამ მონაცემებით კარგად ჩანს.

ისინი ყიდულობენ ახალ სახლ-კარს, იერთებენ მეზობლის კარ-მიდამოს და სხვა. ეს ცხოვრების თანამდევი პროცესია და XVIII საუკუნის თბილისშიც ანალოგიურ სურათს ვხედავთ.

საცხოვრებლის ფართობი მარტოოდენ საქართველოში არ იყო ხშირ შემთხვევაში პატარა. შუა საუკუნეში დასავლეთ ევრობის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც მცირე სახლ-კარს ფლობდა. პარიზის მაგალითზე ეს საკითხი შეისწავლა სიმონა რუმ, რომელმაც საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ძველი უბნის, ლათინური კვარტლის, მაგალითზე მოგვცა XIII-XV საუკუნის პარიზული სახლის აღწერა. ამ მონაცემებში უმეტესად გვხვდება 100 $მ^2$ ნაკლები საცხოვრისები, თუმცა იყო დიდი, 100 $მ^2$-ზე მეტი ფართობის მქონე სახლ-კარი. ზოგიერთი ოჯახი ცხოვრობდა საკმაოდ მცირე მოცულობის ოთახშიც.[39]

ნასყიდობის წიგნებში არსებული მონაცემებით შესაძლებელია განვსაზღვროთ, თუ თბილისელთა რამდენი პროცენტი ფლობდა კონკრეტული ფართობის სახლ-კარს. ჩვენთვის ცნობილია 41 თბილისელის მამულის და კერძო საკუთრების ფართობი. მონაცემები ასე განაწილდა – 200 $მ^2$-ზე მეტ სახლ-კარს ფლობდა (ცხრილში ასეთი 12 ოჯახია) – 29.2%. 100 – 200 $მ^2$ მამულს (8) – 19,5%, ხოლო 100 $მ^2$-ზე ნაკლებს (21 მესაკუთრე) – 51,3%. თბილისის მოსახლეობას თუ 4000 კომლს მივიჩნევთ და პროცენტულ მაჩვენებლებს მივუსადაგებთ, მაშინ ქალაქის განაშენიანებაში საცხოვრებელ სექტორს დაახ. 50-53 ჰექტარამდე უნდა სჭეროდა. ამას ემატება კომერციული სექტორი – ქარვასლები, დუქნები, სახელოსნოები. ცალკეა გამოსაყოფი გზები,[40] ბაღები, ეკლესია-მონასტრები. ამ ყველაფერს ჯამურად ეკავა 15 ჰექტ-

[39] S. Roux. L'habitat urbain au Moyen Âge: le quartier de l'Université à Paris. In: Annales. Économies, Sociétés, Civilisations. 24e année. №5. Paris 1969, გვ. 1206-1216.

[40] ვახუშტის რუკაზე, რა თქმა უნდა, მთელი სისრულით არ არის ნაჩვენები XVIII საუკუნის თბილისის საკომუნიკაციო ქსელები – მთავარი გზები, ქუჩები, ჩიხები. კალაში ვახუშტი 25-მდე მაგისტრალს უჩვენებს, რაც, ბუნებრივია, სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს. ძირითადი ქუჩების გარდა, თბილისში არსებობდა ე. წ. სათემო ქუჩები, რომლებზეც კარის გამოღება ყველა თბილისელს შეეძლო, მაგრამ ამის პარალელურად იყო ისეთი ქუჩები, უფრო მართებული იქნება თუ ვივარაუდებთ, ჩიხები, რომლებიც ერთ პატრონს ეკუთვნოდა და იქ მეორე მოსახლის მიერ კარის გაკეთება პატრონთან მორიგებაზე იყო დამოკიდებული (მამისა ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 71-72). მთლიანობაში თბილისში რამდენიმე ათეული ქუჩა უნდა ყოფილიყო და ამას ადასტურებს კიდეც ამ პერიოდის დოკუმენტები და აღწერის ის მო-

რამდე ფართობი.[41]

თბილისელთა საკუთრებაში არსებული ოთახების რაოდენობის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს 1802-1803 წწ-ის აღწერა. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ ნუსხაში 2925 კომლიდან 2744 შესახებ არსებობს ცნობა, თუ რამდენ ოთახს ფლობდნენ ეს ოჯახები. დანარჩენის შესახებ ინფორმაცია გამოტოვებულია. 1 ოთახს თბილისელთა 2043 კომლი ფლობდა, შესაბამისად, 2-ს – 456, 3-ს – 124, 4-ს – 72, 5-ს – 25, 6-ს – 11, 7-ს – 6, 8-ს – 3. 10, 13, 15 და 25 ოთახს ფლობდა თითო-თითო ოჯახი. ეს საინტერესო ინფორმაცია, ზოგადად კომლის საკუთრებაში არსებული სრული ფართობის დასადგენად ვერ გამოდგება. შესაძლებელია, ორი ოთახის მეპატრონეს შედარებით პატარა ფართობი ეკავა, ვიდრე ერთი ოთახისას. თბილისელის სახლი, როგორც ითქვა, საცხოვრებელი ოთახების გარდა, შედგებოდა სხვადასხვა სათავსოებისაგან და ეზოსგან, ეს სტატისტიკა კი აღწერაში არ არის მითითებული. მაგალითად, ბიჟშერმაზანთ გიორგის შვილები ფლობენ ერთ დარბაზს, თავისი საჯინიბოთი, სათონეთი და დერეფნით. ამ კარ-მიდამოს საერთო ფართი იყო 142 მ^2. მამუკა და მისი შვილები, ივანე და ბეჟანა, ასევე ერთი ოთახის მესაკუთრეები იყვნენ, მაგრამ მათ მფლობელობაში იყო 109,3 მ^2. ამისგან განსხვავებით, ჩვენ გვაქვს საპირისპირო სტატისტიკაც. ჟანგიანთ პაპინას შვილი ასლამაზას საცხოვრებელი მოიცავდა ერთ შირვანულ დარ-

ნაცემები, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული. კალაში თუ მართლაც 2329 კომლი ცხოვრობდა, მაშინ შეუძლებელია ყველა ამ ოჯახს ორ ათეულ ქუჩაზე ჰქონოდა გამოსასვლელი კარი, მით უმეტეს, რომ ქუჩების სიგრძე დიდი არ იყო. სწორედ ამიტომაც ეფიქრობთ, რომ ვახუშტისთან მითითებული ქუჩების გარდა, კიდევ უნდა ყოფილიყო სხვა ქუჩებიც, რომლებიც რუკაზე დატანილი არ არის. ეს რომ ნამდვილად ასეა, კარგად ჩანს რუკის ზედმიწევნით შესწავლისას. ფაქტობრივად, კალას ყველაზე ინტენსიურად დასახლებულ უბანში ე. წ. ქვემო უბანში, რუკაზე 5-6 ქუჩაა დატანებული, თუმცა ცნობილია, რომ ეს ნაწილი დასერილი იყო გზებით. დღევანდელი მონაცემებით, კალაში გზებს ჯამურად უკავია 7,4 ჰექტარი. ბუნებრივია, შუა საუკუნეებში ქალაქის მაგისტრალები საკმაოდ ვიწრო იყო. გიულდენშტედტის ცნობით, ცენტრალური გზები 2 მეტრს აღემატებოდა, თუმცა შიდა მაგისტრალების უმეტესი ნაწილი ამაზე პატარა იყო. დღევანდელი მონაცემის თითქმის ოთხჯერ შემცირება დაახლოებით მიგვაახლოვებს იმ რეალობასთან, რომელიც შეიძლება ძველ თბილისში ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში შუა საუკუნეებში კალაში ჯამურად დაახ. 1,8-2 ჰექტარი უნდა დაეჭირა საგზაო ინფრასტრუქტურას.

[41] ძველი რუსეთის ქალაქებში – ვლადიმირში, იაროსლავში, სავარაუდოდ, კიევშიც საცხოვრებელ ფართობს დაახ. 60-70% ეკავა. П. П. Толочко. Демография древнего Киева. «Наука и жизнь». 1984. 4. გვ. 56-57.

ბაზს და სამ პატარა ოთახს, მაგრამ მისი ფართობი 53,8 $მ^2$ არ აღემატებოდა. მეფის ხაბაზი თარხანა კი ფლობდა ერთ შარვანულ დახურულ სახლს და პატარა ოთახს დერეფნით. მთლიანობაში მის საკუთრებაში 78 $მ^2$ იყო. ამდენად, ოთახების რაოდენობით ფართობის დაანგარიშება ჭირს, თუმცა ზოგადი სურათის შესაქმნელად ეს სტატისტიკა უდავოდ საინტერესოა.

XVIII საუკუნის თბილისი თავისი მეურნეობით, არქიტექტურით სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ტიპური ქალაქი იყო. ამქრები, სხვადასხვა სახის სახელოსნოები, არც ისე დიდი სავაჭრო ურთიერთობები ინტენსიური ურბანიზაციის საშუალებას არ იძლეოდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა. რეგიონის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევამ, საერთო იმპერიის სავაჭრო ურთიერთობებში ჩართვამ, ახალმა სამრეწველო ბუმმა თბილისში დამატებითი მუშახელი მოითხოვა და დაიწყო ქალაქის ინტენსიური ურბანიზაცია, ქალაქისპირა სოფლების შემოერთება. XIX ს. I ნახევარში თბილისის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა, ასევე, გაიზარდა მოსახლეობაც. ძველი ბანიანი სახლების მაგიერ ქალაქში გაჩნდა ორ-სამსართულიანი ევროპული ყაიდის შენობები. XIX საუკუნის თბილისში შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქალაქური ცხოვრება კვდებოდა და გზას უთმობდა ახალ რეალობას.

Jaba Samushia

TBILISI TERRITORY AND POPULATION IN THE 18TH CENTURY

Summary

In the this article with the help of the new methodology we try to clarify the size of Tbilisi territory, the number of its population and the density. In the last two centuries the drastic changes had occuried in the old part of Tbilsi that makes the study of Medieval Tbilisi's urban space controversial. The most problematic is the study of nonliving space of the city (streets, squars, gardens, trade centers...).

According to the comparison of Vakhushti's (Georgian historian of the 18th c.) plan to the modern map of Tbilisi, we have received the following picture:

Kala – the whole territory was 49.3 hectares, living area – 41.4 hectares, nonliving area – 6.3 hectares, Narikala fortress – 1.6 hectares.

Garetubani – living area was approximately 8.5 hectares. In addition to this, 2.1 hectares was the settlement in Orbeliani quarter. Nonliving territories – Royal garden in Garetubani was stretched on 13.5 hectares.

Kharpukhi – the whole territory incuded 18.2 hectares. Living area was 3.4 hectares, nonliving area – 14.8 hectares where the gardens were placed.

The whole Avlabari and Metekhi fortress occupied 16.4 hectares, but living and public infrastructures (churches, roads and squares) had about 54% (8.8 hectares), all other area was covered by gorges, trenches and nonliving places. The living area of Avlabari included the territory on 7.3 hectares. Metekhi fortress up to the bridge covered 1.5 hectares.

According to this accounts, the total area of Tbilisi was approximately 108 hectares. Kabakhi area of Garetubani is not counted here, as well as the Armenian cemetery of Elia mount in Avlabari. The total area of Tbilisi was 120 hectares. From here 65.8 was intensively inhabited.

In this case, if we assume 65.8 hectares for the public functions in Tbilisi, then approximately 19.148 people would have lived there.

According to data of the cadastral charters, the percentage of Tbilisians, owning the certain size of houses, could be defined. We know the size of the estates and private possessions of 41 Tbilisi citizens. The data is as follows: houses more than 200 square meters for12 families – 29.2%; 100-200 square meters for 8 families – 19.5%; and the less than 100 square meters for 21 families – 51.3%. If we consider 4000 families as the population of Tbilisi and compare it to the percentage data, then living sector had approximately 50-53 hectares. In addition to this, the commercial sector was there – markets, inns, workshops; also roads, gardens, churches and monasteries. All these should have occupied about 15 hectares area in total.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

აპოლონ თაბუაშვილი

მასალები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის

სამხედრო ხელოვნებაში XIV-XV საუკუნეებში დამკვიდრდა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელმაც სრულად შეცვალა საბრძოლო მოქმედების ხასიათი.[1] მართალია ხმალი, შუბი და სხვა შეიარაღების სახეობები საბრძოლო მოქმედებების დროს კვლავ გამოიყენებოდა, მაგრამ თოფ-ზარბაზნებს წარმმართველი ფუნქცია დაეკისრა. დროთა განმავლობაში წამყვან ევროპულ ქვეყნებში სამხედრო დანაყოფები მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღით აღიჭურვა. ძველი საბრძოლო შეიარაღებიდან ხმალიღა რჩებოდა შეიარაღებაში.

ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი შედარებით გვიან დამკვიდრდა. ჩვენში ცეცხლსასროლი იარაღი, ძირითადად, ყირიმის გავლით ევროპიდან, ასევე, ანატოლიიდან შემოდიოდა. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყეს თოფ-დამბაჩებისა და თოფის წამლის დამზადება.[2] სწორედ ამის გამო შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე შემორჩა საქართველოში

[1] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV. დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა. თბ. 1962, გვ. 280; მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის. საისტორიო ვერტიკალები. №16. თბ. 2008, გვ. 54-59; А. Б. Жук. Энциклопедия стрелкового оружия. М. 1998, გვ. 530-540.

[2] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, გვ. 281-282; კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე. ქართული საჭურველი. ეთნოლოგიური ძიებანი. IV. თბ. 2010, გვ. 69-72. აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. IV. თბ. 1962, გვ. 272-273; ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში. მნათობი. № 2, №3 ტფ. 1924, გვ. 271; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 81-82, 147.

ძველი შეიარაღება (სატევარი, მახვილი, ხმალი, შუბი, შურდული, მშვილდ-ისარი, ფარი, აბჯარი, მუზარადი და სხვ.). ცეცხლსასროლი იარაღი შეიარაღებაში მასობრივად მხოლოდ XVIII საუკუნეში დამკვიდრდა.[3] იმავე საუკუნის II ნახევარში საქართველოში ზარბაზნებსაც ამზადებდნენ, რის საფუძველზეც შეიქმნა საველე არტილერია.[4]

არსებული ცნობების მიუხედავად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარდა ნათარგმნი მასალისა, არ გაგვაჩნია ისეთი ტიპის სამხედრო ხასიათის საისტორიო წყარო, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი ქართული შეიარაღების სახეები, ბრძოლის წარმოების სტრატეგია და ტაქტიკა. თუმცა სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ წყაროში დაფიქსირებული ფრაგმენტული ცნობები მაინც იძლევა საკითხის მეტნაკლებად შესწავლის საშუალებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს გარკვეული ყურადღება აქვს დათმობილი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა საომარი აღჭურვილობისა და სამხედრო საქმის შესახებ, რომელშიც გარკვეულწილად განხილულია ცეცხლსასროლი შეიარაღებაც.[5] მნიშვნელოვანია აკ. კლიმიაშვილის ნაშრომი — „საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში", რომელშიც შესწავლილია ერეკლე II-ის მიერ შექმნილი საველე არტილერია.[6] გვიანი ფეოდალური ეპოქის, ძირითადად, XVIII საუკუნის, ქართული ჯარის შეიარაღების საკითხებია განხილული ს. კაკაბაძის, ივ. შაიშმელაშვილის და ი. ცინცაძის გამოკვლევებში.[7] საქართველოს ეროვნული მუზეუმის

[3] ქართული ჯარის შეიარაღებაში თოფ-ზარბაზნების გავრცელების ინტენსიურობასთან დაკავშირებულ საკითხებს აღნიშნულ სტატიაში მხოლოდ ზოგადად ვეხებით, რადგან იგი წარმოადგენს ცალკე კვლევის საგანს, რასაც მომავალში დავუბრუნდებით.

[4] აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში, გვ. 263-275; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 146-155.

[5] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, გვ. 280-282;

[6] აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. IV. თბ. 1962, გვ. 272-273.

[7] ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991, გვ. 66-79; ივ. შაიშმელაშვილი. კრწანისის ომი. თბ. 1965, გვ. 8-29; ი. ცინცაძე. აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე. თბ. 1969, გვ. 91-101.

იარაღის ფონდსაცავებში დაცული შეიარაღებისა და, ზოგადად, ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ეტაპების შესახებ მნიშვნელოვანია კ. ჩოლოყაშვილისა და მ. ქაფიანიძის ნაშრომები.[8]

არსებული კვლევების მიუხედავად, ვფიქრობთ, საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი ჯერ კიდევ მოითხოვს შესწავლას. საჭიროა სხვადასხვა წყაროში დაფიქსირებული ფრაგმენტული ცნობების შეკრება.

* * *

ცეცხლსასროლი იარაღის სხვადასხვა სახეობის საქართველოში გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ერეკლე II-ის წერილები თავად ანტონ მოურავოვისა და გენერალ ტოტლებენისადმი.[9]

ერეკლე II-ის მიერ ანტონ მოურავოვისადმი გაგზავნილი წერილი თარიღდება 1770 წლის 2 მარტით. მასში აღნიშნულია:

„ბრწყინვალეო კნიაზ ანტონი,

სარწმუნო მეგობარო ჩემო!

შეკიტყვე ბრწყინვალე ღრაფი პოდპოლკოვნიკს კნიაზ სიმეონს რომანიჩს ამაზედ განსწყრომოდეს, ვითამ ჩვენთვის არტილერიის საქმარი გაეკეთებინოს რამე. მე ამას ამ მიზეზებისათვის არა ვსჯერვარ: პ~დ მისის დიდებულების ნება არის, რომ ჩვენ ქართველთა და ჩვენს გარდა აქეთ ქრისტეანეთა, რომელიც ევროპიის ჯარისა ჯაბახანის განწესება იყოს, სრულებით მივიღოთ და კიდემ ეს მიზეზიც არის, რომ ამისათვის არა ვსჯერვარ, ჩემთვის კნიაზ რომანიჩს პოდპოლკონიკს არა გაუკეთებია რა.

ახლანდელს მტერზე მისვლისათვის ჩემს მეზარბაზნეს საფანტის ზარბაზანს ეასხმევინებდი, რომელსაც მრავალჯერ ჩამოუსხამს სპარსეთში, და

---

[8] კ. ჩოლოყაშვილი. თოფი ქართული წარწერებით. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XVII-Б. თბ. 1953, გვ. 197-203; კ. ჩოლოყაშვილი. ქვემეხები ქართული ასომთავრული წარწერებით. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXIX. თბ. 1987, 58-63; მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის, 54-59; კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე. ქართული საჭურველი. ეთნოლოგიური ძიებანი, 68-73.

[9] აღნიშნული დოკუმენტები, სხვა მასალასთან ერთად, 1988 წელს გამოაქვეყნა ვ. მაჭარაძემ. იხ.: ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III. ნაკვ. I. რუსეთ-თურქეთის ომო 1768-1774 წლებში და საქართველო. თბ. 1988.

ეგრეთვე თვით მე ზარაზანი მრავალი ჩამომისხმეინებია, ამ ზემოთქმულის მეზარაზნისათვის და ახლა რომ მტერზედ ღ~თით გალაშქრებას ვაპირებთ, თვით თქვენც ნახავთ ამისგან ჩამოსხმულს ზარაზნებსა.

და ეს კი ჭ~ტია, რომ კნიაზ რომანიჩმა ზარაზნის ყალიბი ნახა, დაგვიწუნა და მეორე კიდემ თურქთ ჩამოსხმული ჭელის ყუმბარა ნახა და ისიც არ მოიწონა და რადგან არ მოიწონა, მეც ამ ფიქრით ჭელი ავიღეი, მაშინ ალარ მოესწრებოდა.

და ღ~თით, როდესაც მის ბრწყინვალეტას ღრაფს შევეყრები, მაშინ ამგვარების ოსტატს ბევრს ვიშოვნით და ამისთვის ალარ ჩამოვასხით.

თქვენს ჭევს ბრძანებაში ერთი ჰატარა მარტირი ჩვენსავ მეზარაზნეს ჩამოვასხმეინე საკდელად, წერილს ზარაზანზედ რომ ეკრა ის გვენახა, თვარემ დიდროონი მარტირები ჩვენცა გვაქვს.

და ეს რამ მოგწერეთ, ამის მეტი არ ყოფილა რა და ამისათვის არა ვგონებ, რომ ამაზედ გასწყრომოდეს. მე ისევ უწინდელი სამდურავი მგონია, ჩვენ და ღრაფი და თქვენი ბრწყინვალეტა რომ მუხრანს შევიყარენით და იქ მის ბრწყინვალეტას ღრაფს რომ გულს აკლდა, რომელიც რომ მე არ ვიცი ის გულის დაკლება, ამასვე ვგონებ.

და თქვენის ბრწყინვალეტისაგან ვითხოვთ, თქვენ როგორც იცოდეთ, ცხადად თუ საიდუმლოდ მაცოდინოთ მოწერითა.

შენის ბრწყინვალეტის სამარადისოდ სწორებით მეგობარი,

მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი.

აღიწერა მარტის 2, წელსა 1770. ტფილისს".[10]

წერილში მოსენებული ერეკლე II-ის ადრესატი, თავადი ანტონ მოურავოვი, წარმოშობით ქართველი იყო, რომლის მამა ვახტანგ VI-თან ერთად გადასახლდა რუსეთში. ანტონ მოურავოვი 1749-1764 წლებში მსახურობდა რუსეთის არმიაში, 1764 წლიდან სამოქალაქო სამსახურში გადავიდა. 1769 წლის 17 მაისს იგი ტოტლებენის მეთაურობით რუსეთის საექსპედიციოს კორპუსის გამოგზავნასთან დაკავშირებით საქართველოს საქმეებში საგანგებო რწმუნებულად დაინიშნა და ქართლ-კახეთში ამ ჯართან ერთად ჩამოვიდა. ერეკლე II-ის მიერ მოხსენებული „ღრაფი" კი გენერალ-მაიორი გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენია, რომელიც 1769 წლის 27 ივნისს საქართველოში გამოსაგზავნი რუსული რაზმის მეთაურად დაინიშნა.

[10] ე. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III. ნაკე. I, გვ. 537-538.

წერილიდან ჩანს, რომ ტოტლებენი ერეკლე II-სათვის საარტილერიო საქმეში გაწეული დახმარების გამო *„გასწყრომია“ „პოდპოლკოვნიკს ანიაზ სიმონს რომანიჩს“*. სიმონ ჩოლოყაევიც (ჩოლოყაშვილი) წარმოშობით ქართველი იყო. იგი რუსეთის არმიაში არტილერიის პოდპოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა და ყოფილა საარტილერიო იარაღის პროექტთა ავტორი და სიმაგრეთა მშენებელი. სიმონ ჩოლოყაევი საქართველოში გამოგზავნილ რუსული საექსპედიციო ჯარის არტილერიას მეთაურობდა.[11] წერილში ერეკლე II უარყოფს ჩოლოყაევის დახმარებას საარტილერიო საქმეში. მეფე მოურავოვს ასევე ახსენებს, რომ *„მისის დიდებულების (ეკატერინე II) ნება არის, რომ ჩვენ ქართველთა და ჩვენს გარდა აქეთ ქრისტეანეთა, რომელიც ევროპის ჯარისა ჯაბახანის განწესება იყოს, სრულებით მივიღოთ“*. მართლაც, იმპერატორის მიერ ტოტლებენისათვის მიცემულ საიდუმლო ინსტრუქციის მეათე მუხლში მითითებული იყო, რომ ქართველებს შეეძლოთ შეესწავლათ ბრძოლაში არტილერიის გამოყენება,[12] რაზეც ერეკლე II მიუთითებდა კიდეც რუსეთის წარმომადგენელს. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი იყო მათი დახმარებით ქართული შეიარაღების გაუმჯობესება. პირიქით, ასეთ ქმედებაში შემჩნეულ პირს ტოტლებენის რისხვა დაუმსახურებია. აღნიშნული წერილიდან ჩვენთვის საინტერესოა ის ნაწილი, რომელშიც საუბარია ქართულ შეიარაღებაზე. მასში აღნიშნულია, რომ ერეკლე II-ს 1770 წლისათვის ჰყოლია ზარბაზნების ჩამომსხმელი ოსტატი, რომელსაც მანამდე სპარსეთში მრავალი ზარბაზანი დაუმზადებია. მეზარბაზნეს ერეკლე II-ის დავალებითაც ჩამოუსხამს საფანტის ზარბაზნები, რომლებიც, ბუნებრივია, სპარსული არტილერიის მსგავსი იქნებოდა, რის გამოც რუსეთის არმიის არტილერიის პოდპოლკოვნიკ ჩოლოყაევს ისინი არ მოწონებია. რუსული არტილერიის მიბაძვით ამ მეზარბაზნისათვის ერეკლე II-ს მცირე კალიბრის მორტირიც ჩამოუსხმევინებია. წერილიდანვე ირკვევა, რომ ქართული ჯარის შეიარაღებაში ოსმალური წარმოების „ქელის ყუმბარებიც“ ყოფილა. ჩოლოყაევის მოწონება ვერც ოსმალური წარმოების ხელყუმბარებს დაუმსახურებია,

[11] მოურავოვის, ტოტლებენის და ჩოლოყაევის შესახებ ერცლად იხილეთ: ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 80-83; ვ. მაჭარაძე. რუსეთის არტილერიის ნოვატორი სიმონ ჩოლოყაშვილი. მეცნიერება და ტექნიკა. თბ. 1955. № 10.

[12] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III. ნაკვ. I, გვ. 85.

რაც ლოგიკურია — იმდროინდელი სპარსული და ოსმალური სამხედრო შეიარაღება დიდად ჩამოუვარდებოდა რუსულ შეიარაღებას.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ თითქმის ანალოგიურ, მაგრამ შედარებით ვრცელ ინფორმაციას იძლევა ერეკლე II-ის 1770 წლის 10 მარტის წერილი გენერალ ტოტლებენისადმი. წერილის დასაწყისში ერეკლე II ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობის საკითხებს ეხება, წერილის მეორე ნაწილში კი ანიშნულია:

„მათს ლრაფრობის ბრწყინვალეს ანარალ-მაიორს უფალს ივან ივანიჩს, ჩემს ყოვლად სარწმუნო მეგობარს.

...ჩვენ გავიგონეთ, ვითამ თქვენს ბრწყინვალეს ას[ე] მოხსენებოდეს: კნიაზ პოდპოლკოვნიკს სვიმონ რომანიჩს ჩოლაყოვისათვის ჩვენ აქ ზარბაზანი და ან არტილერია რამ გაგვეკეთებინოს და ამის გამო თქვენი ბრწყინვალეს გასწყრომოდეს. ეს მათის დიდებულების ბრძანებაც იყო, რომ ევროპის ჯარის განწესება ჩვენის ქვეყნის კაცსაც მიელო. მაგრამ ჩვენ სვიმონ რომანიჩისათვის არტილერიის რიგი არა გაგვიკეთებინებია რა. ჩვენ მეზარბაზნე გვყავს, რომელმაც ზარბაზნის ჩამოსხმა კარგათ იცის და ბევრიც ჩამოგვისხმევინებია, რომ იმის ჩამოსხმული ზარბაზანი სამი ჩვენ აქ თან მოგვაქვს.

თქვენი ზარბაზნები, ხევს რომ ვნახე, ზედ ორილი წვრილი მარტირები ეკრა. ჩვენ ჩვენს მეზარბაზნეს იმის ჩამოსხმა [ვ]ეთხარით და იმის ყალიბს ჩვენი მეზარბაზნე აკეთებდა და სვიმონ რომანიჩს იმის დახედვა [ვ]ეთხარით; ხელის ყუმბარა ოსმალთაგან გაკეთებული ჩვენს ჯარაბანაში ბევრი იყო და ჩვენმა კაცებმაც იცოდნენ იმის ჩამოსხმა. ის ყუმბარა სვიმონ რომანიჩს უჩვენეთ, არ მოსწონებოდა. რამდენიმე საფანტის ზარბაზანი გვქონდა, იმათგან ამას წინათ ერთი სრულაში გაგვისროდა და რადგან ახლა მტერზე სამტეროთ წასვლას ეპირებდით, გვეწადა ერთი ამგვარი საფანტის ზარბაზანი ჩვენის მეზარბაზნისათვის ჩამოგვესხმევინებინა, ყალიბიც გავაკეთებინეთ, მაგრამ ამ ხელათ ამის გაკეთება არ მოგვესწრო. ჩვენ სვიმონ რომანიჩისათვის არა გაგვიკეთებია რა და, ვგონებთ, თქვენი ბრწყინვალეს ამაზე იმას არ გაუწყრებოდა, რადგან მათის დიდებულების ნებაც ეს არის, რომ ამ მხრის ქრისტიანებმა ევროპის ჯარის განწესება მიიღონ, ამისთვის თქვენ იმას არ გაუწყრებოდით, მაგრამ იმას მაინც ჩვენთვის არა გაუკეთებია რა.

რომელიც სამის წიგნის კოპიები გამოგეგზავნათ, მოგვივიდა. ბანის(?) წიგნში ოსმალოს ჯარისა და ფაშასთან დადიანის წასვლა რომ მოუწერია, ჩვენ ეს არ გვჯერა. ეს არ ვიცი. ეს ტყუილი მოგონება ვისგან გამოსულა. თქვენი ბრწყინვალეცაც ამ წინა მდებარის საქმეებისაგან და ახალციხურის

ამბებისაგან გასინჯავს, რომ ფაშის მოსვლა ტყუილსა გავს. ამ მიზეზით, რომ, თუ იმათ აქეთ ძალი ჰქონდეს, ახლა ახალციხეს ეწერებათ და არა ფოთს. როგორც ჩემი გონება შინჯავს, ისე მოგწერეთ.

თქვენს ბრწყინვალებას ერთი ეს განეცხადოს: ყ(ოვლად)დ მოწყალის ქელმწიფის სამსახურზე ჩვენ სამჯობინაროთა ვხედავთ, თქვენის უწინდელის მოსულის ჯარიდამ იყოს, თუ აწ მოსულის ჯარიდამ, ორასი კაცი იყოს თუ ნაკლები, ცხენოსანი იყოს ან ქვეითი, ჩვენს ქალაქში ტფილისს დავაყენოთ და უამისობაც არა სჯობს. და უთუოდ იცოდეთ, ბევრის გზით სამჯობინარი არის".[13]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II ტოტლებენისადმი გაგზავნილ წერილშიც უარყოფს ქართულ, შეიარაღების გაუმჯობესებაში ჩოლოყაევის დახმარების ფაქტს. რეალურად ეხმარებოდა თუ არა წარმოშობით ქართველი თავადი ერეკლე II-ს საარტილერიო წარმოების განვითარებაში, რთული სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ მეფე მაქსიმალურად ცდილობდა რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების საქართველოში ყოფნით ესარგებლა და ქართული არტილერია მოეწყო ევროპულ ყაიდაზე. წერილებიდან ჩანს, რომ 1770 წლისათვის ქართლ-კახეთის სამეფო „ჯაბახანაში" (არსენალში), ყოფილა ზარბაზანთა რამდენიმე სახეობა — სპარსული ყაიდის ყუმბარებისა და საფანტის მსროლელი ზარბაზნები, მსხვილკალიბრიანი და რუსული მოდელის მიბაძვით ჩამოსხმული მცირე კალიბრიანი მორტირები, ასევე ხელყუმბარები. ერეკლე II-ის მეორე წერილიდან ირკვევა, რომ სამეფო „ჯაბახანაში" დიდი რაოდენობის ხელყუმბარები ინახებოდა და მისი დამზადება ქართველ ხელოსნებსაც სცოდნიათ, რაც ადასტურებს ამ სახის შეიარაღების ქართულ საბრძოლო პრაქტიკაში გავრცელების ფაქტს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში საარტილერიო საქმის განვითარება მეტნაკლებად შესწავლილია ქართველი ისტორიკოსების მიერ და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ქართულ შეიარაღებაში ხელყუმბარების არსებობის ფაქტი კი ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს, რის გამოც საგანგებოდ შევჩერდებით ამ საკითხზე.

ზოგადი სურათის წარმოდგენისათვის, უპირველეს ყოვლისა, მოკლედ მიმოვიხილავთ შეიარაღების ამ სახეობის განვითარების ისტორიას — ევროპის სახელმწიფოთა არმიებში ხელყუმბარები XVII საუკუნიდან ჩნდება. ეს-

[13] ე. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III. ნაკვ. I. ნუ. 540-541.

რისკაცებს, რომლებიც ხელყუმბარებს ისროდნენ გრენადერები ეწოდებოდათ. სახელწოდება „გრენადერი" წარმოშობილია ფრანგული სიტყვა „grenade"-დან, ანუ ყუმბარისაგან. ყველაზე ადრე გრენადერები საფრანგეთში, ლუი XIV-ის მეფობისას გამოჩნდნენ. თავდაპირველად ყველა ასეულში 4 გრენადერი იმყოფებოდა, მოგვიანებით კი დაფუძნდა გრენადერთა ცალკეული ასეულები. თითოეულ ჯარისკაცს, გარდა ჩვეულებრივი ქვეითი ჯარისკაცის შეიარაღებისა, 3-4 ხელყუმბარას აძლევდნენ. ხელყუმბარებს სპეციალური ჩანთებით ატარებდნენ. ლუი XIV ძალისხმევითვე 1676 წელს ჩამოყალიბდა გრანადერთა ცხენოსანი, იგივე სამეფო შენაერთები. მას აკომპლექტებდნენ ყველაზე უნარიანი და ძლიერი ჯარისკაცებით. რუსეთში გრენადერები გამოჩნდნენ პეტრე I-ის დროიდან. გრენადერთა პირველი პოლკი შეიქმნა 1703 წელს. 1775 წელს კი გრენადერთა პოლკს ეწოდა „მისი უმაღლესობის გრენადერების ლეიბ-გვარდია".[14]

არსებულ წყაროებზე დაყრდნობით დადასტურებულად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ევროპის სახელმწიფოთა არმიებში დამკვიდრებულ პრაქტიკისგან განსხვავებით, ქართული ჯარის სახეობებში ხელყუმბარების მსროლელი რაიმე სპეციალური შენაერთი არ შექმნილა, თუმცა, როგორც ვნახეთ, ხელყუმბარების გამოყენება და დამზადება ქართველებსაც სცოდნიათ. ქართლ-კახეთის სამეფოში შეიარაღების ეს სახეობა თურქული ანალოგიის მსგავსი ყოფილა.

ცნობილია, რომ ერეკლე II რუსული სამხედრო ნაწილების საქართველოში ყოფნისა და მათი შეიარაღების გაცნობის შემდეგ XVIII საუკუნის 70-იან წლებში ძალიან ცდილობდა ქართული არმიის შეიარაღების გაუმჯობესებას. ამ მხრივ მან მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია: საარტილერიო წიგნის ყდაზე გაკეთებული მინაწერით ირკვევა, რომ ვინმე გიორგი თარხანს ზარბაზნები „რუსულს დასტურზე" დაუმზადებია.[15] მოგვიანებით კი ქიზიყის მოურავის შვილს, პაატა ანდრონიკაშვილს, კიდევ უფრო გაუუმჯობესებია ტექნოლოგია და მისი ძალისხმევით ზარბაზნები „ევროპული კალიბრის მიხედვით"

[14] С. Охлябинин. 300 лет русской военной истории с XVII века до 1917 года. Иллюстрированный военно-исторический словарь Российской империи. Москва. 2008, გვ. 46-47.

[15] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. S-167.
საარტილერიო წიგნი 1725 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით თარგმნა მიხაილ ელიევიჩმა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ასევე დაცულია, XVIII საუკუნეში ნათარგმნი სხვა სარტილერიო წიგნები: H-1069 (1722 წელს ფრანგულიდან ქართულად მეფის ძე ალექსანდრე ბატონიშვილის ნათარგმნი), H-2165, S-4810 და S-4815.

ჩამოუსხამთ. გაუმჯობესებულა თოფის წამლის წარმოებაც.[16] ზარბაზნებისა და თოფისწამლის წარმოებაში განხორციელებული ცვლილებების მსგავსად, გადაიდგა თუ არა რაიმე ნაბიჯები ხელყუმბარების წარმოების გაუმჯობესების მიზნით, ამის შესახებ პირდაპირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ იმავე საარტილერიო წიგნებში, რომლითაც *„ევროპული კალიბრის“* ზარბაზნების ჩამოსხმის დროს ხელმძღვანელობდნენ ქართველი არტილერისტები, ხელყუმბარების დამზადების ტექნოლოგიაზეც არის მსჯელობა. მასში აღნიშნულია:

„...მოთხრობა ჭელით საგდები გარნატისათვის:

ეს ხელით საგდები გარნატი არის ამისი დიამეტრის განი ან ორის გირვანქისა და ან სამისა, ოთხისა გირვანქისა, უფროსი კი ალარ იქნება. ოთხი გირვანქისაც არ არის, რომ მძიმე არ იყოს და ეს გარნატი უნდა ამოავსო კაის მართლის თოფის წამლით და ამისი ცინდრი უნდა გააკეთებინო კაის მართლის მაგარის ჯმელის ხისაგან. გატენე ამას ქვემო წერილის სოსტავით ეს ცინდრი. მერმე ის ცინდრი უნდა იყოს მის ზედას თავს გარეთ ორის ცოლის სიგრძე წვრილი, ცოტა ირიბად გაჭრილი უნდა იყოს იმ გარნატში. მერმე ის ცინდრი მაგრა ჩარჭმულ უნდა იყოს. მერმე იმაზედ ცოტა კანაფის ჯენჯი უნდა შემაბვიო და კარგად ზევიდამ გარნატზედ დაწებო. მერმე იმ ცინდრის ზევით თავზედ ცოტა მოუჩხრიკე ის სოსტავი და იმაზედ ცოტა წმინდა წამალი დააყარე და ზედ იმ გარეშემო კიდეებთან ცოტა ტრეპენტინი მოსცხე და იმაზედ ცოტა წვრილი დაკლეჩილი ბანბა დაადევ და მაზედ კიდევ ცოტა წმიდა წამალი მოაყარე და იმაზედ ქაღალდი დაწებე და მასუკან იმ გარნატს სრულ გარეშემო წითელი კიტი შესცხევ და გააშრევ, როსცა ცეცხლის მოკიდება გინდოდეს, ის თეთრი ქაღალდი რომ აკრავს უნდა აგლიჯო და მზა იქნება სატყორცნად.

სოსტავი ჭელით სასროლი გარნატისა:

24 ლუტი წმინდა წამალი, 10 1/2 ლუტი გვარჯილა, ვ (6) ლუტი გოგირდი, 3/4 ლუტი ნახშირი. ეს სოსტავი ერთმანეთში კარგად აურიე და ცოტა წყალი ზედ დააპკვრიეე და მერმე ის ცინდერი მაგრა გასტენე“.[17]

---

[16] ერცლად იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 146-155; აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. IV, გვ. 263-274.

[17] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი S-167, 269v, 273r, 275r.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ საარტილერიო წიგნებზე დაყრდნობით ერეკლე II-ის არტილერისტები *„ევროპული კალიბრის“* ზარბაზნებს ასხამდნენ, ლოგიკურია, ვივარაუდოდ, რომ, იმავე ინსტუქციის მიხედვით, ხელყუმბარებსაც ახალი ტექნოლოგიით დაამზადებდნენ.

სამწუხაროდ, წყაროებში აღნიშნულ საკითხის შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოიპოვება. არ ვიცით საომარ პრაქტიკაში შეიარაღების ეს სახეობა რა ინტენსივობით გამოიყენებოდა. ბუნებრივია, რიგითი მოლაშქრეები ხელყუმბარებით არ იქნებოდნენ შეიარაღებულნი. სავარაუდოდ, ბრძოლის დროს ხელყუმბარებს ჯარის ისეთი სახეობები გამოიყენებდნენ, რომლებიც მუდმივ ჯარს წარმოადგენდნენ და სამხედრო მომზადებასაც ხშირად გადიოდნენ. ერეკლე II-ის შექმნილი ჯარის სახეობებიდან ასეთი ფუნქცია საარტილერიო შენაერთს და მეფის მცველთა რაზმს (ქეშიკებს) გააჩნდა.[18] ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ სწორედ ჯარის ამ სახეობებში უნდა იგულისხმებოდნენ „ქართველი გრენადერები“.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევრისათვის საქართველოშიც დამკვიდრებულა ცეცხლსასროლი იარაღის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის, ხელყუმბარებიც.

დასასრულს, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ეკონომიკური ხასიათის ერთ დოკუმენტზე, რომელიც თარიღდება 1809 წლით. როგორც მისი შემდგენელი მანუჩარ თუმანიშვილი აღნიშნავს, იგი წარმოადგენს დავით გარეჯის უდაბნოს გალავნის მშენებლობის დანახარჯის ნუსხას. მანუჩარ თუმანიშვილმა დავით გარეჯის მონასტრის განახლება-რესტავრაციისათვის იოანე ბატონიშვილის დაფინანსებით დაიწყო სამუშაოები, რომლის ხარჯთაღრიცხვის დეტალური ცნობები დღემდე შემორჩა. ვრცელ დოკუმენტის ჩვენთვის საინტერესო ნაწილში აღნიშნულია:

„...ცშნ (სამი მინალთუნი შაურ ნაკლებ) ქ. ბ: ლიტრა რუსული რკინა, ფასი ეკ: (ორი მინალთუნი); ამით გაკეთდა წერაქვი ბ:, ნალების ჩიბუნი ა: და სოლი ა:. ამაების გასაკეთებლათ მიეცა :შნ: (მინალთუნი შაურ ნაკლებ), იქნება....

[18] საარტილერიო შენაერთი, სარდალ იოანე ორბელიანის ცნობით, 400 ჯარისკაცისაგან შედგებოდა, ხოლო მეფის მცველთა რაზმი იყო რამდენიმე ასეული *„ქეშიკად მეფისა, ანუ ღვარდიად მეფისა... ადრიდგანვე დაწესებულნი თუშნი, ხევსურნი და ფშავნი“*. იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 152-158.

ყ (ოთხი აბაზი) ქ. :დ: ლიტრა მარილი.

უ (ორი აბაზი) ქ. :ა: ცხვარი. უნ (ცხრა შაური) ქ. :ი: ჩარეჩი ფოლადი.

ხ. (ექვსი მინალთუნი) ქ. :ლე: კოდი კირი, საგარეჯოს ნასყიდი...

*ჴ (შვიდი მინალთუნი) ქ. :ი: ლიტრა რუსული რკინა, :ა: :ლ: (თოთხმეტი შაური)[19]; ამისი გაკეთებულა ბარი :ბ:, წერაქვი :დ:, ურო :ა:, სოლი :დ: ***ნალმის ჩიბუხი :ა:, ნალმის კოვზი :ა:,*** წალდი :ბ:, ქაფჩა :ა:...".[20]*

ნ. ბერძენიშვილს იმავე გამოცემის ბოლოს დართულ ლექსიკონში ნალმი განმარტებული აქვს, როგორც *„კლდეთა და შენობათა ქვეშე შეთხრილი, თოფის წამლის შესაყრელი დასანგრევად".* ხოლო ნალმის კოვზისა და ნალმის ჩიბუხის შესახებ მითითებულია *„ხელსაწყო ნალმის კერისათვის".*[21]

როგორც ვხედავთ, სამშენებლო პრაქტიკაში გავრცელებული ყოფილა ნალმის გამოყენება, რაც ბუნებრივად გვაფიქრებინებს მის სამხედრო მოქმედებებში გამოყენების ფაქტზე. მართალია დოკუმენტი XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება, მაგრამ ნალმის დამამზადებელი ხელოსნების არსებობა ადასტურებს მის უფრო ადრე გავრცელების ფაქტს.

---

[19] ანუ ერთი ლიტრის ფასია თოთხმეტი შაური.

[20] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I. (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 280, 282.

[21] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I. (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, გვ. 377. მამისა ბერძნიშვილის მიერ შედგენილ იმავე გამოცემის დანართში ნალმის კოეზი განმარტებულია, როგორც *„ხელსაწყო ნალმის კერისათვის"*, ხოლო ნალმის ჩიბუხი – *„ნალმის ასაფეთქებელი მოწყობილობა".* იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. დანართი. I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები. შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა. თბ. 1957, გვ. 29.

Apolon Tabuashvili

MATERIAL FOR THE GEORGIAN MILITARY HISTORY OF LATE FEUDAL PERIOD

Summary

The article discusses the issues of firearm used in Late Feudal Georgia. Special attention is payed to the letters of king Erekle II to prince Muraviov and general Totleben, where the interesting accounts are preserved about this issue. From these accounts, it is clarified that by 1770, the "jabakhana" or the arsenal of Kartl-Kakheti Kingdom, alongside with the other armaments, contained numerous grenades similar to the Turkish fabric, which were made by the Georgian craftsmen. The manual for the preparation of grenades is included in Artillery Book, which was used by the Georgian artillerists for casting the cannons. This book is preserved in the National Center of Manuscripts (Tbilisi, Georgia). This circumstance testifies the fact that those kind of weapons were spread in Georgian military practice in the 18th century

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ხათუნა ბაინდურაშვილი

„ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი..." (H-394) როგორც ისლამმცოდნეობითი წყარო

ანტიმუსლიმური პოლემიკური თხზულება „ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი, და წიგნთა მახმედიანთაგან გამოღებული, და ნათესაობა მათი. გალობა, ფსალმუნი. ასაფისი, პბ." (82) წარმოადგენს „ფსალმუნით სიტყვისგებას". ტექსტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში რვა ნუსხით არის წარმოდგენილი: 1) S-81, (გადაწერილია დავით რექტორის მიერ ფარნაოზ ბატონიშვილის დაკვეთით თელავში 1793 წ-ის 28 ნოემბერს)[1] 2) Q-743 (გადაწერილია ხუცეს იოანე მამუჩოვის მიერ 1812-1819 წწ. მოსკოვსა და ვორონეჟში),[2] 3) A-349 (გადაწერილია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ 1821 წ-ის 19 სექტემბერს),[3] 4) S-1511 (გადაწერილია დავით რექტორის მიერ გიორგი ეგნატეს ძე თუმანოვის დაკვეთით თბილისში 1821-

[1] ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდზე (17,5X10,5) მხედრული ხელით. შეიცავს 36 ფურცელს. სათაურები შესრულებულია სინგურით. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა). I. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის. ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარშიძის მიერ. ე. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1959, გვ. 88.

[2] ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდზე (20,5X16,5) მხედრული ხელით. სათაურები შესრულებულია სინგურით. შეიცავს 283 ფურცელს. ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექციისა. ტ. II. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ. ილ. აბულაძის რედაქციით. თბ. 1958, გვ. 194.

[3] ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდზე (12,5X9,5) მხედრული ხელით. სათაურები შესრულებულია სინგურით. შეიცავს 69 ფურცელს. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. I_4, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ლ. ქუთათელაძემ, მ. ქავთარიამ. ე. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1985, გვ. 67.

1823 წწ.),[4] 5) S-3641 (გადაწერილია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ 1824 წ.),[5] 6) H-258 (გადაწერილია მღვდელ დიმიტრი ოქრიაშვილის მიერ სანკტ-პეტერბურგში 1824 წ.),[6] 7) H-394 (გადაწერილია დავით თუმანოვის მიერ თბილისში 1825 წ.),[7] 8) S-4013 (გადაწერილია დიაკონ ალექსი ბაქრაძის მიერ 1861 წ. 19 ოქტომბერს).[8]

ასაფის[9] 82-ე ფსალმუნზე „სიტყვისგების" აგება განაპირობა მისმა შინაარსმა. თხზულების ავტორს მიაჩნია, რომ აღნიშნული ფსალმუნით მისმა დამწერმა იწინასწარმეტყველა მუსლიმთა დანაშაული ჭეშმარიტი ღმერთის

[4] ხელნაწერი ნაწერია ქაღალდზე (30X20) მხედრული ხელით. თხზულება კრებულის შემადგენელი ნაწილია. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტ. II. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ. ე. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1961, გვ. 251-257.

[5] ხელნაწერი ნაწერია ქაღალდზე (12,8X10) მხედრული ხელით. სათაურები სინგურითაა შესრულებული. შეიცავს 55 ფურცელს. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტ. V. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. ინაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა. ე. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1967, გვ. 121.

[6] ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდზე (16,5X10) მხედრული ხელით. შეიცავს 48 ფურცელს. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H) კოლექცია. ტ. I. აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით. დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების: ლ. ქუთათელაძის და ნ. კასრაძის მიერ, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1947, გვ. 184.

[7] ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდზე (27X21) მხედრული ხელით. შეიცავს 112 ფურცელს. წარმოადგენს კრებულის შემადგენელ ნაწილს. H კოლექციის აღწერილობა. ტ. I, გვ. 294.

[8] ხელნაწერი ნაწერია ქაღალდზე (17,5X11) მხედრული ხელით. სათაურები წითელი მელნით არის შესრულებული. შეიცავს 32 ფურცელს. S კოლექციის აღწერილობა. ტ. V, გვ. 304.

[9] ასაფი იყო სატაძრო მუსიკის შემსრულებელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დინასტიის ფუძემდებელი ლევიტელთა ოჯახიდან. მას მიეწერება 12 ფსალმუნი – 49, 72–82-ის ჩათვლით. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ 73-78 და 82 ფსალმუნები არა ასაფის, არამედ მის მემკვიდრეებს მიეკუთვნება, რადგან მათში მოგვიანო პერიოდის მოვლენებია აღწერილი. 75 – 79 ფსალმუნები ასურელთა შემოსევების დროით – ძვ. წ. აღ-ით VIII ს. დასასრ. თარიღდება. Толковая Библія, или комментарій на все книги Св. Писанія Ветхаго Завета. т. IV. СПб. 1907, გვ. 130.

და მის მიმდევართა — ქრისტიანების წინააღმდეგ: „ესე ფსალმუნი წინასწარმეტყუველმან აგარიანთა ნათესავისა და ისმაიტელთათჳს ჰსთქუა, რამეთუ წინასწარ ხედავს სულითა განმრავლებასა მათსა, და განფენასა, ყოველთა კიდეთა ზედა და შეურაცხყოფასა მორწმუნეთასა.“ (H-394. 7r.). იდეოლოგიური კონფრონტაცია არის ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა აღნიშნული თხზულების დაწერა. „ჰამბავი მაჰხმედისის“, ამ ფსალმუნით სიტყვისგების პოპულარობაზე მიუთითებს მისი სიმრავლე. იგი გვხვდება, როგორც კრებულთა შემადგენელი ნაწილი, ასევე დამოუკიდებელი ხელნაწერის სახითაც.

ა. ცაგარელს მიაჩნია, რომ აღნიშნული ტექსტი ორიგინალურია და თხზულების ავტორად მიაჩნია ბაგრატ IV-ის დროს მოღვაწე ვინმე იოსებ ხუცესი.[10] ტექსტის ორიგინალურობას ეთანხმება კ. კეკელიძე, თუმცა გამორიცხავს, რომ მისი დაწერის დრო ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეფობის ხანას ემთხვეოდეს, რადგან ტექსტში ისეთი მოვლენებია ნახსენები, რომლებიც გაცილებით გვიან მოხდა[11] (ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება, ტერმინ „თათარის“ ხსენება და სხვ.).

„ჰამბავი მაჰხმედისის“[12] ყველა ნუსხა ერთმანეთის იდენტურია. მათ შორის განსხვავება, ძირითადად, ორთოგრაფიულ ხასიათს ატარებს. „ფსალმუნით სიტყვისგებაში“ ასაფის 82-ე ფსალმუნი თხზულების ავტორის მიერ დაყოფილია მუხლებად (სულ 28 მუხლი) და თითოეულ მათგანზე არის აგებული ანტიმუსლიმური სიტყვისგება. ფსალმუნის მუხლობრივ ნუმერაციას ვხვდებით მხოლოდ ხელნაწერ S-4013-ში (ნუმერაცია იწყება მე-2 და მთავრდება მე-17 მუხლით). როგორც სამართლიანად აღნიშნავს კ. კეკელიძე, „82-ე ფსალმუნი პირდაპირ არ შეიცავს მასალას ყველა აქ აღძრული საკითხის გა-

[10] А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Т. I. Вып. III. СПб. 1894, გვ. 157.

[11] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1980, გვ. 480.

[12] აღნიშნული ტექსტი სულ ახლახან გამოსცა თ. ქართველიშვილმა. იგი ეარაუდობს, რომ ხელნაწერი H-394 გადაწერილი უნდა იყო S-1511-დან, რადგან მათ შორის ორთოგრაფიული ხასიათის დიდ მსგავსებას ხედავს. „ანტიმაჰმადიანური პოლემიკური თხზულება „ჰამბავი მაჰხმადისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი და ნათესაობა მათი გალობა ფსალმუნი ასაფისი პბ“ (ტექსტის პუბლიკაცია)“, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბ. 2010/2011, გვ. 289-313. ამ ორი ნუსხის ერთმანეთთან მსგავსება იმაშიც გამოიხატება, რომ არსებულ რვა ნუსხათა შორის მხოლოდ ამათშია მუჰამადის მე-9 ცოლის სახელი გამოტოვებული.

სარკვევად. ამიტომ თარგმანება მისი უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურია.[13] ერთადერთი, რის გამოც ვფიქრობთ, რომ ასაფის 82-ე ფსალმუნი ანტიმუსლიმური სიტყვისგების დასაწერად შეირჩა, უნდა იყოს ფსალმუნის მე-5 და მე-6 მუხლები, რომელშიც ვკითხულობთ: „რამეთუ ზრახეს ურთიერთას და შენთჳს აღთქმა ჰყუეს" (მე-5 მუხ.). „ბანაკმან იდუმელთამან და ისმაიტელთამან, მოაბ და აგარიანთა" (მე-6. S-4013. 21r). „ისმაიტელი" და „აგარიანი" სწორედ ის ტერმინებია, რის გამოც ასაფის 82-ე ფსალმუნი სიტყვისგებისათვის შეირჩა.

სიტყვისგების არქიტექტონიკა შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: I – არაბთა ეთნარქებისა და მუჰამედის წარმომავლობა, II – მუჰამადის ცხოვრება და ისლამის რელიგიური და სოციალური ბუნება და III – ჭეშმარიტი ღმერთის დიდება და მუსლიმთა მიმართ წყევლა.

საკითხზე მუშაობისას შესწავლილ იქნა „ჰამბავი მაჰხმედის" ყველა ნუსხა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია H-394-მა. მას, სხვა ნუსხებისაგან განსხვავებით, დასაწყისში დართული აქვს აგარიანთა მოდგმის გენეოლოგიური ხე (იხ. დანართი 1. H-394, 6r.), რომელიც ხელნაწერის გადამწერის მიერ უნდა იყოს დამატებული. ამასთანავე, ტექსტს ერთვის გადამწერის მიერ გაკეთებული კომენტარები, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი მუსლიმთა ეთნარქებისა და აჰლ-ულ-ბეითის შესახებ ინფორმაციას იცნობს არა მხოლოდ შიიტური, არამედ სუნიტური მუსლიმური ლიტერატურიდანაც. მაგ.: თუმანოვს კომენტარი აქვს გაკეთებული მუჰამადის ბიძის – აბუ ტალიბის შესახებ: – „არაბიასა შინა იყო გამოჩინებულად მცხოვრები თესლისაგან აგარისა აბუთალიბ ბიძა მისი (მუჰამადის – ხ. ბ.) და ესე მახმედ მასთან ცხოვრობდა, ვ[იდრ]ე გამოჩინებადმდე თავისა თჳსისა წმიდად: დ.თ." (გადამწერის დავით თუმანოვის ინიციალები – ხ. ბ.), (H-394, 15 r). შემდეგი განმარტება გვხვდება ტექსტში იქ, სადაც საუბარია მუჰამადის გარდაცვალებაზე, იმავე გვერდის ბოლოში არის განმარტება: მაჰმედმან ოდეს იწყო ჰსჯულისდება იყო იგი წლისა ორმოცდათერთმეტისა. და თორმეტსა წელსა იყო გამომაჩენელი თავისა თჳსისა წმიდად. და ღ[ვთ]ისაგან მოვლინებულად. რომელსაც აღიარებდნენ მრავალნი და დამპყრობელ იქმნა მრავალთა ადგილებთა და იქმნა დიდ ამირად. ხ[ოლო] მოქმედი ამისა თორმეტსა წელისა შ[ემდგომად] მოკუდა და დაეფლა ქალაქსა მადინისასა. ხოლო ყოველი ცხოვრება მისი იქმნა და იყო სამოც და სამი წელი: შ[ემდგომა]დ სიკუდილისა მისისა წელი იპყ-

[13] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, გვ. 480.

რეს წელიწადათ მახმედის შედგომილთა: დ. თ.“ (H-394, 20 r). შენიშვნის ავტორს მიაჩნია, რომ მუსლიმური წელთაღრიცხვა იწყება მუჰამადის გარდაცვალებიდან, რაც სწორი არაა. მუსლიმური წელთაღრიცხვა – ჰიჯრა, იწყება 622 წლიდან – მუჰამადის მექადან მედინაში გაქცევით. უზუსტობაა ასევე ის, რომ, გადამწერის აზრით, მუჰამადი თავისი სამოციქულო მისიის დაწყებისას 51 წლის იყო და 12 წლის შემდეგ გარდაიცვალა. მუსლიმური ტრადიციით მუჰამადმა 40 წლის ასაკში დაიწყო ისლამის ქადაგება.[14] აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ საგარეო დაპყრობითი ომები ისლამის მქადაგებელს არ უწარმოებია. ეს პროცესები მისი მომდევნო ხალიფების დროს დაიწყო.

„ჰამბავი მაჰხმედისი“ საინტერესოა ისლამმცოდნეობითი თვალსაზრისით. იგი მოიცავს ისლამთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. კვლევამ გვიჩვენა, რომ თხზულების ავტორი შედარებით კარგად იცნობს ისლამის რელიგიას, მის სოციალურ ბუნებას, ყურანს, რასაც ვერ ვიტყვით მის ცოდნაზე შარიათთან, სუნასა და ჰადისებთან დაკავშირებით. ანტიმუსლიმური პოლემიკისათვის დამახასიათებელი ტრადიციის მიხედვით, ავტორი შეგნებულად ძალზედ დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი ფორმით ასახავს მუსლიმურ გადმოცემებს სამოთხესთან, მუჰამადის ცხოვრებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მუჰამადი წარმოდგენილია როგორც ანტიქრისტე, რომლის მოსვლაც ნაწინასწარმეტყველები იყო. ავტორი სწორად შენიშნავს მუსლიმთა დამოკიდებულებას მათ წინამორბედ რელიგიებსა და წინასწარმეტყველებზე. მუსლიმთა რწმენით, მანამდე არსებული ყველა რელიგია და წინასწარმეტყველი მცდარია, რომ მათ ღმერთის სიტყვა სწორად ვერ გაიგეს, ან შეგნებულად თუ უმეცრებით დაამახინჯეს: „...და თუთ იტყჷს მე ვარ და არავინ სხუა უდიდეს ჩემსა წინასწარმეტყუშლიო, და არცა ჩემისა წერილისა კიდე სხუა წერილიო“ (H-394, 8r.).

თხზულების ავტორი იცნობს მუსლიმთა დამოკიდებულებას წინასწარმეტყველთა მიმართ, ამიტომ მიმართავს ქრისტიანებს: – „ღ[მრ]თის მორწმუნენო, რომელმან წინასწარმეტყუშლმან შემდგომმა ჰსთქუა პირუშლისა, იგი წარხდა და მე მოველ, ჩემნი გრწმენესთ და პირუშლისა ნურა გრწამნო, გინა წიგნი მისი ცუდ-იქმნა, და ჩემი მტკიცე არისო“ (H-394, 8r.), ისლამში არსებობს დიდი და მცირე წინასწარმეტყველები. მუჰამადი ქრისტეს შემდეგი დიდი და ბოლო წინასწარმეტყველია. მისი საშუალებით ღმერთმა კაცობრიობას ბოლო მითითებები მისცა, რათა ყველა ჭეშმარიტ რელიგიაზე მოქცეულიყო.

[14] გ. ლობჟანიძე. მუჰამადის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 54.

ისლამი ცნობს შემდეგ წმინდა წიგნებს – მოსეს ხუთწიგნეულს (თორა), ზებურს (დავითის ფსალმუნები), სახარებას (ინჯილი), და ყურანს, რომელიც სხვადასხვა დროს გადმოეცლინათ ადამიანებს., ხოლო მათ შორის ყურანი ყველაზე ბოლო და სრულყოფილია. თავის მხრივ, ავტორი ყურანს მუდმივად დამაკნინებელი ფორმით იხსენიება. მას „წიგნაკს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს წიგნი მუჰამადმა თავის „სიბილწეთა" „აღსაწერად" შექმნა და რომ იგი „შმენელთაცა ეძაგების", რადგან მასში მრავლადაა ღმერთის საწინააღმდეგო. ავტორი მკითხველს მოუწოდებს, რომ წაიკითხონ ყურანი და თვითონ დარწმუნდნენ, რამდენი სიბილწეა მასში (H-394, 9v).

ქორწინება ერთ-ერთი თემაა, რომელსაც აღნიშნულ თხზულებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.[15] სიტყვისგების ავტორი ერთმანეთს ადარებს ქრისტიანულ და მუსლიმურ ქორწინებას, ეს უკანასკნელი სიძვად და უდიდეს ცოდვად მიაჩნია. ამისათვის კი არაერთი მაგალითი მოაქვს. ავტორი მკაცრად კიცხავს მრავალცოლიანობას და მას მუჰამადის მექალთანეობით და პირადი მანკიერებებით ხსნის. განხილულია განქორწინებისა და იმავე ქალზე ხელმეორედ ქორწინების საკითხი, რასაც ავტორი ნაწილობრივ არასწორად აღწერს.

თხზულების ავტორი მუსლიმებში მრუშებას, მამათმავლობას, ზოოფილიას მათში გავრცელებულ მანკიერებად მიიჩნევს. თუმცა იქვე დასძენს, რომ მუსლიმები სიტყვით ამ ყოველივეს ნამდვილად მიიჩნევენ ცოდვად, თუმცა ცხოვრების წესით დასახელებულ მანკიერებებზე უარს არ ამბობენო: „მტერნი ღ[მრ]თისანი, რამეთუ უფალი იტყჳს „არა იმრუშო", ხოლო მათ სიტუა მრუშება, მამათმავლობა, პირუტყუთათანა აღრევა, ნათესავთა კეთილად შეურაცხიეს. სიტყჳთ გეტყჳან, ვითარმედ ცოდუა არსო, არამედ ტყუიან, და წერილთა მათთა შინა, ესრეთ უწერიათ, უკეთუ შუცნიერი ქალი, ანუ ვაჟი იხილა, მასთან გული უთქმიდა, და ვერ აღასრულა, ფრიადი ცოდვა იყოსო" (H-394, 10v).

თხზულებაში საუბარია მუსლიმთა სამოთხეზე.[16] აქ ვხვდებით როგორც კონკრეტულად მუსლიმურ წერილობით ტრადიციას, ასევე ზეპირ გადმოცემებს, რომლებიც არამუსლიმურ გარემოში უნდა იყოს აღმოცენებული და მუსლიმური რწმენა-წარმოდგენების დაკნინებისკენაა მიმართული. ამ გადმოცემებით თვითონ ავტორი ისეა აღშფოთებული, რომ წყეულის ისლამის სარწმუნოებას და მის მქადაგებელს და დასძენს, რომ მან ეს ამბები მუსლიმები-

[15] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.). H-394, 10r-10v.
[16] ხეც. H-394. 10-v- 11r.

საგან მოისმინა და იმდენად უმსგავსოა, რომ დაწერა ვერ გაბედა: ხოლო ის, რაც დაწერა, ისიც იმდენად უხერხული წასაკითხია და იმდენად არ შეესაბამება მუსლიმურ ტრადიციას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორი ან თვითონ თხზავს და მიზანმიმართულად აკნინებს მუსლიმურ წარმოდგენას სამოთხეზე, ან ძალზე უმეცარი ხალხისგან მიიღო ეს ინფორმაცია.

ისლამი აღიარებს ბედისწერას, რაც თხზულებაში ღვთისგმობადაა მიჩნეული. ავტორის აზრით, ადამიანის დაბადების მომენტში ღმერთისაგან წინასწარ განსაზღვრული ბედისწერა იმის მოწმობაა, რომ ღმერთი ადამიანის მიერ ჩადენილი ყველა ცოდვის თანაზიარია და ყოველი ბოროტება მისი ნება-სურვილით ხდება; რაც, რა თქმა უნდა, ქრისტიანული პოზიციიდან არის გაკრიტიკებული: „მტერნი ღ[მრთ]ისანი, რამეთუ პირუშლად დიდსა ქებასა შეასხმენ ღ[მერ]თსა და მერმე იტყჳან ღ[მერ]თი მაცთურ არისო. კაცთა აცთუნებს. თუცაღა ღ[მერ]თსა არა ენებოს, ვის ძალუძსო, ანუ კაცი ბოროტსა, ანუ ცოდუასა ვით იქსო. ყოველივე ღ[მრთ]ის ჰბრძანებით არისო. ოდესცა კაცი იშუშბის ღ[მერთ]ი დაჰსწერს, ამ ბედისა და იმისი მოქმედი იყოსო, და ეგევითარი იქნებაო. ღ[ვთ]ის მბრძოლო, რასა იტყჳ ღ[მერ]თ[მა]ნ დაწერა ესე, კაცმან მოკლას მამა, ანუ ძმა, ანუ ისიძოს, იმრუშოს, იპაროს და შემდგომად წარწყმიდა კაცი იგი. უსამართლო არს ღ[მერ]თი. ნუ იყოფინ! ესე ჭეშმარიტ, რამეთუ არა რა იქმნების უღმრთოდ თჳნიერ ცოდვისა, ხოლო ცოდუა და ბოროტი არა ღ[მრთ]ისა მიერ იქმნების, არამედ ეშმაკისა მიერ გულისთქმით (H-394. 11r-11v).

სიტყვისგების ავტორს მიაჩნია, რომ მუსლიმებს ეკრძალებათ ერთმანეთისა და უპოვართა დახმარება, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ისლამის ხუთი ძირითადი მოთხოვნიდან ერთ-ერთი არის სწორედ გაჭირვებული მუსლიმებისათვის დახმარების გაწევა. ამისათვის არსებობს სპეციალური, სავალდებულო გადასახადი — ზაქათი, რომლის გადახდის აუცილებლობას, და ღარიბ თანატომელებზე ზრუნვას მუსლიმებისაგან თვით ყურანი მოითხოვს.[17] „ქრისტე მეუფე ჰბრძანებს: „რაოდენი უყოთ გლახაკთა მე მიყავითო და ჩემდა შევირაცხოვო“, ხოლო ბილწი მაჰხმადი ჰქადაგებს, არა მიცემად გლახაკთასა, უკეთუმცა ენებოს ღ[მერ]თსა მიცემა გლახაკისა, არა ძალ ედუა გამდიდრება მისიო. ღ[მერ]თსა ჰსძაგს მით არა გლახაკი, და რომელმან მისცეს ჰსცოდავს წინაშე ღ[მრთ]ისა“ (H-394, 12v).

[17] ყურანი. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გ. ლობჟანიძემ. თბ. 2006, გვ. 118, 273, 336.

თხზულებაში ჩანს ჯიჰადის შესახებ მოძღვრების დამახინჯებული ინტერპრეტაცია. ესაა კლასიკური მაგალითი იმ შეხედულებისა, რასაც ხშირად ვხვდებით ზოგადად ანტიმუსლიმურ ლიტერატურაში; რომ თითქოს მუსლიმი რამდენ მეტ არამუსლიმს მოკლავს, მით უფრო ეჭნება გზა ხსნილი სამოთხისაკენ. „მოსეს ამცნო ღ[მერ]თ[მა]ნ „არა კაც ჰკლა". ხოლო ესე იტყჳს თუმცა რომელიცა კაცი მაჰხმადისა მორწმუნისა გარეშე მოკლა, ვითარცა წმიდა ღ[მრთ]ისა შეირაცხების და თუმცა შენ მან მოგაკუდინა შეითი (შაჰიდი-ხ. ბ.) იქმნებიო, რომელი მოწამედ გადმოითარგმანების" (H-394, 12v). ისლამი შაჰიდობას აღუთქვამს ღმერთის სახელით გამოცხადებულ ომში დაღუპულ მეომრებს და არა მათ, რომლებმაც რაიმე მიზეზით ან უმიზეზოდ მოკლას არამუსლიმი. მუსლიმურ სამართალში ჯიჰადის დოქტრინის თანახმად და ისტორიული ტრადიციით, ჯიჰადი არის სამხედრო მოქმედება ისლამის გავრცელების მიზნით და მის დასაცავად.[18]

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი კარგად იცნობს მუსლიმურ ტერმინოლოგიას — შართი (პირობა), შაჰიდი (მოწამე), რუჰულაჰი (ალაჰის სული), რასულა (წინასწარმეტყველი) და ა. შ. და იძლევა მათ ზუსტ თარგმანებსა და განმარტებებს.

სიტყვისგების ავტორი იცნობს როგორც სუნიტურ, ასევე შიიტურ მაზჰაბებს. ტექსტში საუბარია სუნიტურ ისლამში არსებულ იურიდიულ-თეოლოგიურ სკოლებზე: „განიყუნენ ანიფ: შაჰფანი: ჰამბალი: მალიქი: და რაფისი, რომელნი არიან მაჰხმადიანნი განყოფილნი წესითა" (H-394, 13r). ავტორისეული ტერმინოლოგიით ანიფა-ჰანაფიტები, შაჰფანი-შაფიიტები, ჰამბალი-ჰანბალიტები, მალიქი — მალიქიტებია. რაფისი კი უნდა გულისხმობდეს რაფიდიტებს. ესაა, ზომიერი შიიტების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეტსახელი. თავდაპირველად ალის მიმდევრებს შიიტებს ან თურაბიტებს (აბუ თურაბი ალის მეტსახელია), შემდგომში რაფიდიტებსა და ჯაფარიტებს, ბოლოს ისნააშარიტებს და იმამიტებს უწოდებენ. მუსლიმი დოქსოგრაფები მიიჩნევდნენ, რომ პირველი რაფიდიტები იყვნენ აბდ ალაჰ იბნ საბას მიმდევრები (საბაიტები), რომლებიც უარყოფდნენ (რაფადა, არ-რაფიდა, „მიმტოვებელნი", „უარმყოფელნი") აბუ ბაქრისა და ომარის ხალიფობას და თვლიდნენ, რომ მუჰამადმა თავის მემკვიდრედ აშკარად დანიშნა ალი. მეორე თვალსაზრისით, რაფიდიტები ის შიიტები არიან, რომლებმაც 739 წლის ქუფის აჯანყების

[18] გ. ჯაფარიძე. ჯიჰადი. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. თბ. 1999, გვ. 226-228.

დროს უარყვეს ზაიდ ბ. ალის პრეტენზია იმამათზე, ვინაიდან მან, მიუხედავად წინაპართა მოძღვრებისა, აღიარა აბუ ბაქრისა და ომარის კანონიერება. შემდგომში რაფიდიტებად უმთავრესად იწოდებიან იმამიტები, რომლებიც, გარდა აბუ ბაქრისა და ომარისა, უარყოფდნენ ომაიანთა და აბასიანთა მმართველობის კანონიერებასაც.[19]

თხზულების ტექსტიდან ჩანს, ავტორი კარგად იცნობს ისლამის დოგმატურ საკითხებს და ამ ცოდნას მოხერხებულად იყენებს ისლამისა და მისი მქადაგებლის უარყოფითი სახით წარმოდგენისათვის.

თხზულებაში ვხვდებით მუჰამადის რამდენიმე სახელს: მუსტაფა, ამადი (აჰმადი) და მამუდი (მაჰმუდი). ავტორი აქვე განმარტავს ამ სახელის მნიშვნელობას: „...მაჰმადი გამოჩენილად გამოითარგმანების და რასულა მოციქულად ღ[მერ]თისად, თვარა მუსტაფა ერქვა სახელად, და ამადასა [აჰმადი – ხ. ბ.] და მამუდასაც [მაჰმუდი – ხ. ბ.] ეძახდენ, რომელსა არაბულად გამოძიება აქუს ყოველთავე ფსალმუნით“ (H-394, 9r.).

თხზულების ავტორი ეხება არაბთა წარმომავლობის საკითხს და ყურადღებას ამახვილებს სიტყვა „სარკინოზის“ წარმომავლობაზე. იგი აღნიშნავს: „თათარი ძაღლის შერისხუად გადმოითარგმანება და სარკინოზი სარას ძაღლად“ (H-394, 13r).[20]

თხზულების ყველა ნუსხის მიხედვით ისმაილს ექვსი ძე ჰყავდა, საიდანაც ისმაიტელები გამრავლდნენ. ხოლო H-394-ზე დართული გენეოლოგიის მიხედვით კი, ისმაილს შვიდი ძე ჰყოლია და ტექსტისაგან განსხვავებით, აქ

[19] გ. სანიკიძე. რაფიდიტები. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. თბ. 1999, გვ. 162.

[20] ტერმინ „სარკინოზს“ საკმაოდ ამომწურავად განიხილავს კ. წერეთელი თავის ნაშრომში „სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“, რომლებშიც წერს, რომ „არაბების აღსანიშნავად „ისმაიტელთა“ („ისმაილთა“) და „აგარიანთა“ შემდეგ უნდა შემოსულიყო ქართულში იმავე შინაარსის მქონე ტერმინი „სარკინოზი“ და დასძენს, რომ „საბას განმარტება „სარკინოზისა“, როგორც „სარას ძაღლისა“ მოდის ჯუანშერიდან.“ ჯუანშერთან ვკითხულობთ: „ივლტოდეთ, რამეთუ უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა, რომელ არს თარგმანი მისი სარას ძაღლი (ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბ. 2008, გვ. 233). კ. წერეთელს მიაჩნია, რომ „...ასეთი „ეტიმოლოგია“ (სარას ძაღლი – ხ.ბ.) ბერძნულს ეყრდნობა და შედარებისათვის მოაქვს „სარკინოზი“ – სარა – საკ. სახელი და კენოს – ძაღლი. იხ. კ. წერეთელი. სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. თბ. 2000, გვ. 24-26.

მათი სახელებიცაა აღნიშნული: 1. ჰედა, 2. ნადაბელ, 3. ადაბელ, 4. მალემატ, 5. სალაბა, 6. იდუმ და 7. მასაგან (H-394. 6r). კიდევ ერთი შეუსაბამობაა ტექსტსა და გენეოლოგიას შორის. კერძოდ, ტექსტში იდუმი ისმაილის შვილიშვილია (გენეოლოგიის მიხედვით, კი, შვილი). H-394-ში წინადადება „ისმაილს ექუსნი ძენი ესხნეს" არ წერია. როგორც ჩანს, გადამწერი მიხვდა, რომ მუჰამადის გენეალოგიასა და ტექსტს შორის შეუსაბამობა იყო და ეს პრობლემა იმით მოაგვარა, რომ აღნიშნული წინადადება არ გადაწერა. ეს გვაფიქრებინებს, რომ H-394 ნუსხაზე დართული გენეოლოგია „ფსალმუნით სიტყვისგების" ავტორს არ ეკუთვნის.

ფსალმუნით სიტყვისგების ავტორი საკმაოდ დაწვრილებით საუბრობს მუჰამადის პირველ მიმდევრებზე, მოციქულის ოჯახის წევრებსა და მის შთამომავალ თორმეტ იმამზე, რომლებიც შიიტურ ისლამში წმინდანებად არიან შერაცხულნი.

„ამა ისმაილის ძისაგან იყუნეს იდუმელნი რომელნ ერთისაგან აღმოხდა: აბდულ მუთალიფა, რ[ომელსა] ორნი ძენი ესხნეს: აბდულ მოხმედის მამა და აბუთალიბ ალის მამა. ამა აბუთალიბის ცოლს საქინა ერქუა, ამის მ[ი]რ ეყოლა ალი. რომელსა მურთუზალა ერქუა, ხოლო ალი მაღლად გამოითარგმანება. ესე ალიც მახმედის მოწაფე იყო და სიძე, რომლისა ცოლსა ფათმა ერქუა. რომელი მრავალსა საძაგელობასა აღასრულებდა, სხუა ცოლი ჰყუა ალის, რომლისაგან მიეცნეს მაჰმადი ნაფი, და ფათმასგან ეყოლა ასან და უსეინ, ამან უსეინ შეირთო ცოლად მალიქ შჯადის ქალი შარუბანა, რომლისაგან იშუა ზეინალაბად, და მან შუა მახმადიბაყო, და მან ჰშუა ჯაფარისაბიყა, და მან ჰშუა მუსაიქაზიმ, და ამან ჰშუა ალირიზა, და ამან ჰშუა მახმადინაყო, და ამან ჰშუა ალინაყი, და ამან ჰშუა ასანიასქარ, და ამან ჰშუა მაჰმადი ყაბი: და ამან ჰშუა (ანუ მას ეწოდა ხ. ბ) მეათი (მაჰდი – ხ. ბ.), რომელსა ეკერედცა ცოცხალსა იტყჳან, ვითარცა ენუქსა და ელიას. და ეგრეთ იტყჳან ჟამთა უკანასკნელთა მოვალსო, უწინარეს ანტი ქრისტესსა და მის ჟამად კეთილნი დრონი და ჟამნი იქმნებიანო, და ყოველნი დაფარულნი საუნჯენი გამოჩინდებიანო, და მისსა შ[ემდგომა]დ ანტი ქრისტე მოვალსო, რომელსა სახელად თაჯალის უწოდებენ და მე ვგონებ და ეგრეთცა არს, თუთ იგი არს ანტი ქრისტე რომელსა მეთიდ იტყჳან" (H-394, 14v-15r).

როგორც ვხედავთ, თხზულებაში ზუსტი თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი თორმეტი იმამი. მათი სრული სახელები და ქრონოლოგია კი ასეთია:

	ხელნაწერში (H-394, 14v.):	ისლამში:
1	ალი	ალი ბ. აბი ტალიბი (გარდ. 661 წ.)
2	ასან	ჰასან ბ. ალი (გარდ. 669 წ.)
3	უსეინ	ჰუსეინ ბ. ალი (გარდ. 680 წ.)
4	ზეინალაბდ	ალი ზაინ ალ-აბიდინი (გარდ. 713 ან 714 წ.)
5	მახმადიბაყო	მუჰამად ალი ბაკირი (გარდ. 732 წ.)
6	ჯაფარისაბიყა	ჯაფარ ას-სადიკი (გარდ. 765 წ.)
7	მუსაიქაზიმი	მუსა ალ-ქაზიმი (გარდ. 799 წ.)
8	ალირიზა	ალი არ-რიდა (გარდ. 818 წ.)
9	მახმადი ნაყო	მუჰამად ათ-თაკი (გარდ. 835 წ.)
10	ალინაყო	ალი ან-ნაკი (868 წ.)
11	ასანი ასქარ	ჰასან ალ-ასქარი (გარდ. 873-4 წ.)
12	მაჰმადი ყაბი	მუჰამადი//ალ-მაჰდი ალ-მუნთაზარი//ალ-კაიმი (გაუჩინარდა დაახლ. 878 წ.)

ერთგვარ უზუსტობას ვხედებით მუჰამადის ცოლებთან დაკავშირებით. პირველ ცოლად რატომღაც აიშა არის დასახელებული, რომელიც იყო ისლამის მქადაგებლის უსაყვარლესი და არა პირველი ცოლი. H-394 და S-1511 ნუსხებში მუჰამადის მეცხრე ცოლის სახელი გამოტოვებულია. ხოლო ყველა დანარჩენი ნუსხის მიხედვით იგი საავრდამის ქალია. შევეცდებით ვაჩვენოთ ხელნაწერის მიხედვით მუჰამადის ცოლების რაოდენობა და მიმდევრობა და შევუდაროთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს:[21]

ხელნაწერში:

1.	აიშა, აბუბექრის ქალი	აიშა ბინთ აბი ბაქრ ას-სიდდიკ (მე-3 ცოლი).
2.	სალიმა	(ვერ ხერხდება იდენტიფიცირება)
3.	ბაუმბაჰმიბა, სუფუნას ქალი	უმ - ჰაბიბა აბუ სუფიანის ქალი.
4.	აფისა, ომარის ქალი	ზაინაბ ბინთ ხუზაიმა ალ-ჰარის (მე-5

[21] ხელნაწერში ჩამოთვლილ ქალთა სახელებს ეუდარებთ ნ. გელოვანის ნაშრომში არსებულ მონაცემებს. (იხ. ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X). თბ. 2005, გვ. 103-111).

	ცოლი)
5. ზეინაბ, უზიმის ქალი	ზაინაბ ბინთ ხუზაიმა ალ-ჰარის (მე-5 ცოლი).
6. ხადიჯა, ხუველის ქალი	ხადიჯა ბინთ ხუვაილიდ (I ცოლი)
7. მარა	ზაინაბ ბინთ ალ-ჰარის (ბარრა) (მე-8 ცოლი)
8. მუსალიმა ჰუმაიას ქალი	უმმ სალამა (ჰინდ ბინთ აბი უმაია) (მე-6 ცოლი).
H-394-ში და S-1511-ში მე-9 ცოლის სახელი აკლია, ხოლო ყველა დანარჩენ ნუსხაში მუჰამადის მე-9 ცოლი სავარდამის ქალია	
10. საბიგა, თვეის ქალი	(ვერ ხერხდება იდენტიფიცირება)
11. მეიმუნა, არის ქალი	მაიმუნა ბინთ ალ-ჰარის (მე-11 ცოლი).

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი წარმოიშვა საზოგადოებაში, რომელშიც გავრცელებული იყო პოლიგამია. მამაკაცს შეეძლო ჰყოლოდა განუსაზღვრელი რაოდენობა ცოლებისა. ყურანის თანახმად, ქორწინება არის მუჰამადის სუნას ნაწილი. ქორწინების წესები ისლამში ჩამოყალიბდა წინაისლამური ოჯახის საფუძველზე და თანმიმდევრულად დამუშავდა ისლამის პირველ საუკუნეებში. ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ ისლამში დაუქორწინებლობა მძიმე ცოდვად ითვლება. პოლიგამია ისლამში დასაშვები გახდა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში. როგორც მუსლიმი მკვლევარები აღნიშნავენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურანი იწონებს მრავალცოლიანობას და განიხილავს პოლიგამიას, როგორც იდეალს. ყურანი უბრალოდ უშვებს და მრავალი ცოლის ყოლის ნებავს რთავს მუსლიმებს და სხვა არაფერი.[22] ყურანმა დაუშვა მრავალცოლიანობა, თუმცა მათი რაოდენობა ოთხით განისაზღვრა. ამასთან, მუსლიმ მამაკაცს შეეძლო ჰყოლოდა მონა-მხევალთა განუსაზღვრელი რაოდენობა: „დაქორწინდით იმათზე, თქვენ რომ მოგწონთ — ორი, სამი, ოთხი. თუ გეშინიათ, რომ უსამართლო იქნებით, დაქორწინდით მხოლოდ ერთ მათგანზე"

[22] F. M. Denni. Community and Society. EQ. I. გვ. 381-386; ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X), გვ. 159 .

(4: 3(3)). ეს სურა გაჩნდა 624 წლის ბადრთან და 625 წლის უჰუდის მთასთან ბრძოლის შემდეგ, როცა მრავალი მუსლიმი ქალი დაქვრივდა. მრავალცოლიანობას მუსლიმი მკვლევარები ხსნიან ობლებისა და ქვრივების მიმართ ზრუნვით და ქრონოლოგიურად მხოლოდ ისლამის ადრეულ ხანას მიაკუთვნებენ. მოციქულის ქორწინებას ქვრივებზე კი სწორედ მათზე ზრუნვით ხსნიან. მუსლიმ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მუჰამადმა 4:3 სურის გარდმოვლენამდე მოიყვანა ყველა ცოლი. ჰადისების მიხედვით, მუჰამადს ჰყავდა 14 ცოლი. ზოგი მკვლევარი მათ რიცხვს ცხრით, ან თორმეტით განსაზღვრავს. კრიმსკის შენიშვნით, ეყრდნობა რა ჰადისების მონაცემებს, მუჰამადს თოთხმეტი მთავარი ცოლი ჰყავდა. ნ. გელოვანი თავის ნაშრომში „ქალი ისლამში“ ასახელებს თერთმეტ ცოლს.[23]

„სიტყვისგების“ ავტორი მცდარი მიმდევრობით ჩამოთვლის მუჰამადის ცოლებს. პირველ ნომრად ასახელებს აიშას, რომელიც, როგორც ცნობილია, ისლამის მქადაგებლის უსაყვარლესი ცოლი იყო და მასზე დიდი გავლენა ჰქონდა. აიშა მუსლიმი ქალის იდეალად არის მიჩნეული. თან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველ ცოლს მუსლიმურ ოჯახში განსაკუთრებული სტატუსი აქვს, შესაძლოა, სწორედ ამის გამო მიიჩნია ავტორმა აიშა მუჰამადის პირველ ცოლად. რეალურად კი მუჰამადის პირველი ცოლი იყო მდიდარი მექელი ქალბატონი ხადიჯა ბინთ ხუვალაიდი.[24]

„სიტყვისგების“ ავტორს თავისი მუსლიმი ახლობლებისაგან დიდი გაჭირვებით მოუპოვებია ინფორმაცია მუჰამადის ცოლების შესახებ: „ზოგნი ოთხსა ცოლსა გეტყჳან, სხუანი ცხრასა, რომელიმე უმცირესთა და ხარჭათაცა, არამედ მე დიდითა გამოწულილვითა და მრავლითა ჭირითა მიპოვნიან, რამეთუ მრავალნი მოყუარენი მყუანდეს, საცთურითა ამით დაბნელებულნი და მათგან გამოვიკულივე, რომელნიმე დამიფარვიდენ და სხუანი მეტყოდენ“ (H-394. 15v).

ამ სიტყვებით ირკვევა, რომ თხზულების ავტორი მუსლიმურ გარემოში ცხოვრობს. სწორედ ამით აიხსნება მისი ისლამის ცოდნის ასეთი დონე. ტექსტიდან გამომდინარე კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი მუსლიმი ახლობლების უმრავლესობა კარგად არ იცნობდა ისლამის მთელ რიგ საკითხებს (მაგ.: სამოთხე, ჰაჯი, ქორწინება).

---

[23] ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X), გვ. 103-111.

[24] გ. ლობჟანიძე. მუჰამადის ცხოვრება, გვ. 41; ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X), გვ. 132.

მუსლიმი მემატიანეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მუჰამადის ბავშვობაში მომხდარ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც თითქმის უცვლელი შინაარსით და ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციით გვთავაზობენ მუჰამადის ბიოგრაფთა და ჰადისის მცოდნეთა უმრავლესობა. ევროპელი ისლამმცოდნეები ამ მოვლენას მოგვიანო ხანის მუსლიმ ავტორთა შეთხზულად მიიჩნევენ, რომელთა მიზანსაც ისლამის მოციქულის ღვთაებრივი მისიის დადასტურება წარმოადგენს. მცირეწლოვანი მუჰამადის სირიაში (შამი) მოგზაურობაზე წერს წინასწარმეტყველის ყველაზე სანდოდ მიჩნეული ბიოგრაფი იბნ ჰიშამი. ამ მოგზაურობისას ქ. ბოსრასთან ახლოს მდებარე ქრისტიანული (ნესტორიანული) მონასტრის ბერმა – ბაჰირამ – მასში მომავალი წინასწარმეტყველი ამოიცნო, რაც მუჰამადის ბიძას – აბუ ტალიბს – გაანდო კიდეც და ბავშვის დაცვა მოსთხოვა. სომხურ თხზულებებში,[25] იქ, სადაც საუბარია მუჰამადის ცხოვრებაზე, ამ ქრისტიანი ბერის სახელია სარგისა და იგი ეროვნებით სომეხია. ჩვენს ხელნაწერში მოხსენიებულ მუჰამადის მასწავლებელს სერგიოსი ჰქვია, რაც სომხური სარგისას ბერძნული ვარიანტია (-ოს – ბერძნულ-ლათინური დაბლოება.) ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ მუჰამადი „მეაქლემე იყო სინელ მამათა“ (H-394. 15r). მუჰამადის ცხოვრების სომხური ვარიანტში არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მუჰამადი სარგისთან იყო დატოვებული აღსაზრდელად. ჩვენს ხელნაწერში აღნიშნული მუჰამადის სინელ მამათა მეაქლემეობა სწორედ მის სირიაში ყოფნის პასაჟთან უნდა იყოს დაკავშირებული. ვარაუდის დონეზე შეიძლება ავღნიშნოთ, რომ ხელნაწერის თავდაპირველ ვარიანტში, შესაძლოა, სწორედ სირიელ მამათა მეაქლემეობა ეწერა. ჩვენს ხელნაწერში სერგიოსი ასურასტანელად იწოდება. ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ ვარაუდი, რომ აღნიშნული თხზულება განიცდის სომხური ნარატივის გავლენას.

მუსლიმური გადმოცემის თანახმად, ყურანის ფრაგმენტების თავმოყრასა და დალაგებას თვითონ მოციქული შეუდგა, მაგრამ ვერ მოასწრო. ტრადიცია ასახელებს იმ ადამიანებს, რომელთაც წინასწარმეტყველის სიცოცხლეშივე, თუმცა მისგან დამოუკიდებლად, დაიწყეს გამოცხადების ტექსტის ჩაწერა. მოციქულის გარდაცვალების შემდეგ აბუ ბაქრის ბრძანებით ყურანის ადრეული ფრაგმენტები შეაგროვა მუჰამადის პირადმა მდივანმა, ზაიდ იბნ-საბითმა. ყურანის საბოლოო რედაქტირება კი მოხდა 650-656 წწ-ში. ოსმანის (644-

[25] А. Н. Мкртчян. Предания о Мухаммаде по армянским источникам. «Палестинский сборник». Вып. 32(95). СПб. 1993, გვ. 27-32.

665 წწ.) მიერ შექმნილი სამკაციანი კოლეგიის მიერ, რომელსაც ზაიდ იბნ საბითი ხელმძღვანელობდა.[26]

ფსალმუნით სიტყვისგებაში მოტანილია ყურანის გადმოცემის თავისებური ისტორია, რომლის თანახმადაც ყურანი მუჰამადის სიცოცხლეში დაიწერა. სწორედ ამ ასპექტში ემთხვევა ხელნაწერის ინფორმაცია ერთ-ერთ მუსლიმურ ტრადიციას, რომელიც გაზიარებული არ არის. ხოლო დანარჩენ სიუჟეტს მასთან არანაირი კავშირი არა აქვს (H-394, 18r, 18v).

თხზულებაში არაერთხელაა ხაზგასმითა აღნიშნული, რომ მუჰამადი ეპილეფსიით იყო დაავადებული: ამ ავადმყოფობას სიტყვისგების ავტორი „ეშმაკეულს“ უწოდებს. „...და ოდეს ეშმაკეულობა მოუხდის და შემდგომად ცნობას მოვიდის, ცოლთა თჳსთა ესრეთ ეტყოდის: ღ[მრ]თის მოციქული ვარ და ოდეს ანგელოზი მეჩუენების მისსა ბრწყინვალებასა ვერ თავს-ვიდებ და ცნობა მიმეხდების, ამისთჳს იგი დიაცნი სხუათა არწმუნებდეს და შეიქმნა საცთური“ (H-394, 16r).

თხზულებაში მუჰამადის ეპითეტებია: „მტერი ღმრთისა“, „ძე ეშმაკისა“, ბნედიანი, მსჰიძავი, უბადრუკი, უსწაველელი, ზღაპრისმეტყველი, ბილწი, ეშმაკი, ეშმაკთა თანაზიარი და ა. შ.

ხელნაწერში პირთა საკუთარი სახელები და მუსლიმური ტერმინები ერთგვარი უზუსტობითაა დაფიქსირებული, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მის ფოლკლორულ წარმომავლობაზე.

თხზულებაში ირიბადაა ასახული არაბთა სახალიფოსა და ისლამის განვითარების ისტორიის პირველი ეტაპი, რაც გამოიხატება მუსლიმთა შორის წინასწარმეტყველის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებულ დაპირისპირებასა და მუვიასა და იაზიდის კონფრონტაციაზე აჰლ-ულ-ბეითთან, რამაც შიიტთა მეორე და მესამე იმამების – ჰასანისა და ჰუსეინის – დაღუპვა გამოიწვია. თხზულების ავტორი 680 წლის. ქერბალაში დატრიალებული ტრაგედიის გამომწვევ განსხვავებულ მიზეზს ასახელებს. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ იაზიდს ჰუსეინის ცოლი – შარუბანა – შეუყვარდა და ამიტომ მოკლა იგი (H-394, 14 v.).

თხზულებისადმი ინტერესს ის ამძაფრებს, რომ მასში დასახელებული არიან ისეთი პირები, რომლებსაც ისლამის ისტორია და მუჰამადის ბიოგრაფები არ იცნობენ მაგ.: თხზულებაში ვხვდებით ალის დედის სახელს. ქალს

[26] ყურანი. თბ. 2006, გვ. 53-54; А. Массэ. Ислам. Очерк истории. М. 1963, გვ. 73-74.

საქინა რქმევია. ხელნაწერის მიხედვით, ალის მეორე ცოლიც ჰყავდა, რომელთანაც ვაჟი – მაჰმადი ნაფი – შეეძინა, რაც მუსლიმურ ლიტერატურაში არ დასტურდება. ეს ორივე პერსონაჟი (ალის მეორე ცოლი და მაჰმადი ნაფი) H-394-ზე დართულ გენეოლოგიაში ფიქსირდება, სადაც მაჰმადი ნაფი შეცდომით ფატმას შვილადაა მიჩნეული. მუჰამადმა ისლამში კი დაუშვა პოლიგამია და თვითონაც უამრავი ცოლი ჰყავდა, მაგრამ როცა მისმა სიძემ და ბიძაშვილმა ალიმ გადაწყვიტა მეორე ცოლი შეერთო, მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და არ დაუშვა მისი დაქორწინება სხვა ქალზე.[27] (მუსლიმური გადმოცემით, მუღირას გვარი შეეცადა ალიზე გაეთხოვებინა აბუ ჯაჰლის ქალიშვილი – ჯუვაირიეა, მაშინ, როცა ფატიმა ცოცხალი იყო.) სხვა ჰადისში მოციქულმა ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ დაუშვებლად თვლიდა ერთი და იმავე მამაკაცის ცოლები ყოფილიყვნან მოციქულის ქალიშვილი და ალაჰის მტრის ქალიშვილი.[28]

„სიტყვისგებაში" მოტანილია მუჰამადის გარდაცვალების დამაკნინებელი ვერსია, რომელშიც შერწყმულია ისლამში არსებული ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) სასწაული ე. წ. „მირაჯის ღამე", როდესაც მუჰამადმა ბურაკზე ამხედრებულმა მოიხილა იერუსალიმი.

მუჰამადი 632 წ. 8 ივნისს (12 რაბი ალ-ავვალი) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 63 წლის ასაკში მედინაში გარდაიცვალა. ეს ფაქტი მისი მიმდევრებისათვის მოულოდნელი იყო (ისევე, როგორც ამ ხელნაწერშია ნათქვამი). მუჰამადი დაკრძალეს მედინაში მისივე გარდაცვალენის ადგილზე – აიშას საცხოვრებელ სახლში, სადაც დღეს მეჩეთია. ბ) მირაჯის ღამე მუჰამადის ცხოვრების ერთ-ერთი დიდი სასწაულია, რასაც ყურანი და მუსლიმები „ამაღლებას" უწოდებენ. მუჰამადმა სასწაულებრივად მიონახულა იერუსალიმის წმინდა მიწა. მის შესახებ საუბარია ყურანის XVII სურის I აიაში და ჰადისებში. გადმოცემის თანახმად, მუჰამადი ჯიბრაილმა ქაბას ტაძრიდან იერუსალიმის ტაძარში ამოგზაურა. ზოგი წყაროს მიხედვით კი, იმ ღამით წინასწარმეტყველი აბუ ტალიბის ქალიშვილს უმ ჰანის სტუმრობდა. გზად რამდენიმე ადგილას მუჰამადმა ლოცვა აღავლინა. მედინაში, სადაც მან ჰიჯრა აღასრულა, ქუფას მეჩეთში და სინას მთასა და ბეთლემში იესო ქრისტეს შობის ადგილას. ბოლოს მუჰამადმა იერუსალიმის ე. წ. „უშორეს მეჩეთ-

27 ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X), გვ. 161.

28 A. Hekmat. Women and Koran: the status of women in Islam. Amherst. NY. 1997, გვ. 131.

შიც“ ილოცა და იქიდან ზეცად გაემართა. იერუსალიმში მას გარდასულ დროთა დიდი წინასწარმეტყველები, მათ შორის, მუსა და ისაც (იესო – ხ. ბ.) მიეგებნენ. შემდეგ მუჰამადი ზეცად აიყვანეს, სადაც მეშვიდე ზეცის კიდესთან, სამოთხის ხის, „სიდრათ ალ-მუნთაჰას („უკიდურესი მიჯნის სიდრას“) მახლობლად, ალაჰის წინაშე წარადგინეს.[29]

თხზულებაში ვკითხულობთ: „სამოცდასამისა წლისა იყო მოხუცებული მაჰხმადი, არამედ უმეტესად მატა არა მადლსა ა(რამე)დ სიძვასა. იყო ჰურია ერთი, რომელსა ჰყუა ასული ჰშუშნიერი, თუალაგნა მას მოაჰამად და დაიწყო ტრფიალებად, ხოლო ქალმან მან მისცა პაემანი ღამისა მის და ეტყოდა, ოდეს დაღამდეს, მოვედ აქა და თჳთ შევიდა კაცთა სასკორე სახლთ შინა, რომელი იყო მას შინა, ორმოსა პირი განუფართოვა და მცირედ ჩალა რამე მოჰფინა. ღამე რა მოვიდა, მაჰხმადი გამოვიდა. ალმან მას ესრეთ ჰრქუა სახლთა ჩემთა სტუმარნი არიან, ჰსცნობენ და განვიკიცხები, მანდ მაგასა სახლთ შევედ, მეცა მანდ მოვალ და განვიხაროთ. შევიდა უბადრუკი მახმადი მუნ და ჰშთაიჭრა ორმოსა მას სკორითა სავსისა და შიგან დაიშთო“ (H-394, 20 r.).

სიტყვისგება ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო და განსაკუთრებულ ვერსიას გვაწვდის, რაც თავისთავად მიანიშნებს ავტორისა და, ზოგადად, იმ ეპოქის საზოგადოების განათლებასა და დაინტერესებაზე ისლამის მიმართ. ასევე, საინტერესოა ის გარემოება, რომ თხზულება 8 ნუსხის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ თხზულებაზე მაშინდელი საზოგადოების მოთხოვნა დიდი იყო. ჩნდება შეკითხვა, თუ რით უნდა ყოფილიყო ეს განპირობებული. როგორც ტექსტის გამომცემელი თ. ქართველიშვილი აღნიშნავს, „ყველა ხელნაწერი, რომელიც ამ თხზულებას შეიცავს, ერთის გარდა, XIX საუკუნეშია გადაწერილი. მისი დამკვეთები და გადამწერები უმეტესად ბატონიშვილები არიან. ხელნაწერთა გარკვეული ნაწილი რუსეთშია შესრულებული. XIX საუკუნეში თხზულების ასეთი აქტუალობა რუსეთის იმპერიის ინტერესებს უნდა პასუხობდეს. რუსეთი ამ დროს სპარსეთის წინააღმდეგ ომებით იყო დაკავებული და ანტისპარსული პროპაგანდა მისი ერთ-ერთი იდეოლოგიური იარაღი იყო“.[30] გამოთქმულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები შემდეგ გარემოებათა გამო: 1. რუსეთის

[29] გ. ლობჟანიძე. მუჰამადის ცხოვრება, გვ. 119-125.

[30] თ. ქართველიშვილი. „ანტიმაჰმადიანური პოლემიკური თხზულება „ჰამბავი მაჰხმადისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი და ნათესაობა მათი გალობა ფსალმუნი ასაფისი პბ“, გვ. 291.

იმპერატორმა ეკატერინე II-მ, იმისათვის, რომ რუსეთის მუფთი „საკუთარ კაცად" ექცია, 1739 წ. 26 იანვრის ბრძანებით იგი და მისი შთამომავლები უმსხვილეს მესაკუთრედ აქცია და ერთპიროვნული ძალაუფლებით აღჭურვა. ასეთი უფლებით რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირებიც კი ვერ სარგებლობდნენ. ამ დროიდან, როგორც ლ. კლიმოვიჩი აღნიშნავს, ისლამი როგორც რელიგია, ხელისუფლების სამსახურში იყო.[31] 2. თბილისში საიმპერატორი ხელისუფლებამ მოლების მოსამზადებლად გახსნა შიიტური და მუსლიმური მედრესეები.[32] 3. XIX ს.-ის 60-70-იან წლებში შეიქმნა ამიერკავკასიის შიიტური და სუნიტური სამმართველო, რომელიც თბილისში მდებარეობდა.[33]

მიუხედავად, იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში ისლამი თავისი განვითარების ისტორიაში სტაგნაციას განიცდის,[34] თბილისში მიმდინარე პროცესები (შიიტური და სუნიტური მედრესეების გახსნა, ყაზან-თათრის სუნიტური მეჩეთის აგება, მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თბილისში დაარსება) ქართველ მოღვაწეთა, მათ შორის, რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების პროტესტს და აღშფოთებას იწვევდა, რამაც, ვფიქრობთ, აღნიშნული „ფსალმუნით სიტყვისგების" სიმრავლე გამოიწვია.

[31] Л. И. Климович. Ислам в царской России. М. 1936, გვ. 16-24.

[32] Акты Кавказской археографической комиссии (АКАК) Т. IX. Тифлис. 1886, გვ. 97.

[33] «Положение об управлении закавказского мусульманского духовенства шиитского учения». 1872. გვ. 4.

[34] ხ. ბაინდურაშვილი. ისლამი და მუსლიმები XIX საუკუნის თბილისში (სტაგნაციის პერიოდი). კრებ. „ნოდარ შენგელია 75". თბ. 2008, გვ. 48-53.



Khatuna Baindurashvili

"MUHAMMAD STORY GIVEN IN THE TRANSLATED PSALMS..." (H-394) AS THE SOURCE OF ISLAMIC STUDIES

Summary

Debatable anti-Muslim story "Muhammad Story..." represents the dialogue through psalms. The text stored at the National Center of Manuscripts consists of eight papers. Ideological confrontation is the main reason for writing this story.

All the papers of "Muhammad Story" have been analyzed during the conducted research. H-394 was paid special attention. Unlike other papers, the Agarian Generation Genealogical Tree is attached to its prologue. The latter was probably added by amanuensis of the manuscript. In addition, the text contains the comments, which tell us that the information about Muslim ethnicities and Ahl-ul-baiit are known not only from Shia but also from Suni Muslim Literature.

"Muhammad Story" is interesting from Islamic Studies' point of view. It covers all the topics connected with the Islam. The research has shown that the story-teller knows Islamic Religion, its social nature and Koran very well, unlike his knowledge connected with Sharia, Suna and Hadis. The story attracts even more attention due to the fact that the names not known in the history of Islam and among the biographers of Muhammad appear.

The story became topical and was widely spread due to the fact that from the second half of 19th Century, the authorities of Russian Empire had turned Tbilisi into the Muslim Center of Caucasus.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

დიმიტრი შველიძე

1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა (და არა – შეთქმულება)

„ხელმწიფე იმპერატორმა ინება უზენაესად ებრძანებინა ზოგიერთ ქართველთა შორის აღმოჩენილი შეთქმულების" შესახებო, – წერდა კავკასიის მთავარმართებელი ბარონი გრიგოლ როზენი 1833 წელს. სწორედ ამგვარი კვალიფიკაცია მისცა რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ 1832 წლის ცნობილ ქართველ პატრიოტთა მოღვაწეობას. „მის იმპერატორობით უდიდებულესობას, ყოვლადმოწყალე ხელმწიფეს ჩვენსას, მოხსენდა რამოდენიმე ქართველი თავადისა და აზნაურის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების თაობაზე", – ამ სიტყვებით კი გენერალ-მაიორი ჩევკინი მიმართავდა ქართველ თავად-აზნაურთა კრებას. ჩევკინი საგამოძიებო კომისიის მუშაობას თავმჯდომარეობდა.

ერთი სიტყვით, საგამოძიებო კომისიამ ისე წარმოადგინა სურათი, რომ თითქოს 1832 წლის პოლიტიკური აქცია იყო უმნიშვნელო „შეთქმულება", მოერიდა მის გახმაურებას და შეეცადა მოვლენის მასშტაბის დამცრობას და მიჩქმალვას. შემდგომში 1832 წლის მოვლენის „შეთქმულებად" კვალიფიცირება მტკიცედ დამკვიდრდა ჯერ სოციალ-დემოკრატიულ, ბოლშევიკურ ლიტერატურაში და შემდეგ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

ამ უკანასკნელისთვის ფუძემდებლური აღმოჩნდა 1832 წლის მოვლენების სტალინისეული შეფასება. ჯერ კიდევ 1904 წელს იოსებ სტალინმა თითქმის სიტყვა სიტყვით გაიმეორა როზენ-ჩევკინის პოზიცია. მან ოცდათორმეტიანელებს „ზოგიერთი შეთქმულების" კვალიფიკაცია მისცა. ქართველი ბოლშევიკების ლიდერის აზრით, ეს იყო უმნიშვნელო მოვლენა, რომელმაც „ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დაამჩნია" ქართველი ხალხის ცხოვრებას.[1]

[1] ი. სტალინი. როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი. თხზულებანი. ტ. I. თბ. 1953, გვ. 33.

„1832 წლის შეთქმულება“ – ამგვარი მოკლედ და შემოსაზღვრულად კვალიფიცირებული განმარტება 1825-1832 წლების განმავლობაში მიმდინარე მოვლენებისა დღემდე ურყევი აღმოჩნდა. მხოლოდ ორიოდე ისტორიკოსმა უწოდა ამ პოლიტიკურ მოვლენას „მოძრაობა“ ისე, რომ არ დაუსაბუთებია: მ. გოცაძემ, რევაზ გრძელიძემ... ისიც ეპიზოდურად, გაკვრით. „1832 წლის შეთქმულება“ – ასე იყო და არის დღემდე დასათაურებული ნაშრომები, წიგნები, შესაბამისი თავები სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში.

ლექსიკონური განმარტებით, პოლიტიკური შეთქმულება არის რამდენიმე პირის ან პირთა ჯგუფის საიდუმლო შეთანხმება ორგანიზებული ერთობლივი მოქმედებისათვის, რომლის მიზანია არსებული მმართველობის დამხობის გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდება ან სხვა რამე სახის უკანონო, ანტისახელმწიფოებრივი აქცია. შეთქმულება ერთჯერადი პოლიტიკური აქტია, რომელიც ძირითადად ასოცირდება სახელმწიფო ან სასახლის გადატრიალებასთან. ეს ის შემთხვევაა, როცა ხელისუფლების ცვლას ახდენს შეთქმულთა ვიწრო კონსპირირებული ჯგუფი. რაც მთავარია, შეთქმულებას, შეთქმულთა ჯგუფს კავშირი არა აქვს საზოგადოებრივ ძალებთან და მოქმედებს მხოლოდ საკუთარი კონსპირაციული მასშტაბის რესურსებით. ამგვარი შეთქმულებებით, სახელმწიფო თუ სასახლის გადატრიალებებით სავსეა მსოფლიოს ძველი, ახალი და უახლესი ისტორია. მაგ., რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის (1796-1801) მკვლელობა ტიპური სასახლის გადატრიალება იყო, რომელიც შეთქმულთა ვიწრო წრემ განახორციელა.

შეიძლება თუ არა 1825-1832 წლების მოვლენები ჩავსვათ „შეთქმულების“ ჩარჩოში, შევაფასოთ როგორც მხოლოდ „შეთქმულება“? იმისათვის, რომ 1832 წლის პოლიტიკური აქტის სტატუსი განვსაზღვროთ, თვალი უნდა გადავავლოთ XIX საუკუნის დასაწყისის ევროპისა და რუსეთის პოლიტიკურ მოძრაობათა ისტორიას.

სწორედ ამ პერიოდიდან, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების პროცესმა სათავე დაუდო შეთქმულებათა ახალი ფორმების, მოქმედების ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას. 1807 წელს ნაპოლეონის მიერ დაპყრობილ იტალიაში წარმოიქმნენ საიდუმლო პატრიოტული საზოგადოებები. თავდაპირველად ეს იყო შეთქმულთა მცირერიცხოვანი ორგანიზაციები, რომელნიც კარბონარების სახელს ატარებდნენ. ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება რთულ ცერემონიალებს და კონსპირაციულ საფეხურებს ითვა-

ლისწინებდა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის გახლდათ, რომ კარბონართა საზოგადოებები არ იფარგლებოდნენ ვიწრო კონსპირაციული საქმიანობით. პირიქით, ისინი ცდილობდნენ ანტიფრანგულ ბრძოლაში ჩაებათ საზოგადოების სხვადასხვა ფენები, მოეწყოთ აჯანყებების ორგანიზება, ფარულად წარემართათ საპროტესტო მოძრაობა, ერთი სიტყვით, დაკავშირებოდნენ საზოგადოების ფართო ძალებს და ფენებს.

მალე ფრანგების ხანმოკლე ოკუპაცია ავსტრიელთა ძველმა ბატონობამ შეცვალა. 1810-იან წლებში თითქმის მთელი იტალია, განსაკუთრებით კი მისი ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები, მოიცვა კარბონარების შეთქმულებითი ორგანიზაციების ქსელმა. კარბონარების საქმიანობამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ფორმა და შინაარსი მიიღო. ფართო მოძრაობის ერთი ნაწილი რესპუბლიკური წყობის დამყარებას მიელტვოდა, მეორე ნაწილი კონსტიტუციური მონარქიისაკენ იხრებოდა, ხოლო კარბონართა ერთი ფრთა იტალიის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. მათ ფარულად მხარს უჭერდა პიემონტის (სარდინიის სამეფოს) მომავალი მეფე პრინცი კარლ ალბერტი.

1820 წლის 2 ივლისს აჯანყებულმა კარბონარებმა დაიკავეს ქალაქი ნოლა, ნეაპოლის მახლობლად. კარბონართა გავლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მალე აჯანყება იტალიის მთელ სამხრეთს მოედო. 9 ივლისს კარბონარებმა და აჯანყებულმა მოსახლეობამ ნეაპოლი აიღო. ნეაპოლიტანიის სამეფოში კონსტიტუციერმა სისტემამ გაიმარჯვა. რევოლუციის გამარჯვება კარბონართა რამდენიმეწლიანი შეთქმულებითი მოძრაობის პირდაპირი შედეგი იყო.

კარბონარების შეთქმულთა ორგანიზაციები ადრინდელი შეთქმულებისაგან[2] იმით განსხვავდებოდა, რომ მათ კავშირი ჰქონდათ საზოგადოებასთან, მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, რამაც მათს მოღვაწეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ფორმა მისცა. ამიტომაცაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში იტალიელ შეთქმულ-პატრიოტთა მოღვაწეობას „კარბონართა მოძრაობას“ უწოდებენ.

კარბონარების მოძრაობამ ძლიერი გავლენა მოახდინა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ პროცესებზე. იტალიელთა გამოცდილების ანალოგიით საზრდოობდა რუსეთში 1810-იან წლებში დაწყებული და მიმდინარე დეკაბრისტული „შეთქმულებითი მოძრაობაც“; ასეც არის მოხსენიებულ-დამკვიდრებული რუსულ ისტორიოგრაფიაში,

[2] Новая История стран Европы и Америки. Первый период. Под ред. проф. А. В. Адо. М. 1986, გვ. 278-279.

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში დეკაბრისტების მოღვაწეობა: «Заговорческое движение декабристов»; «декабристское движение».[3]

რუსულ-დეკაბრისტული მოძრაობის განხილვას არ ვაპირებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თავდაპირველად შექმნილი დეკაბრისტული წრეები – შეთქმულთა მცირერიცხოვან კონსპირაციულ ჯგუფებს თუ თანამოაზრეთა ვიწრო შეკრებულობებს წარმოადგენდნენ და ამით არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვენებური ოცდათორმეტიანელი შეთქმულებისაგან. 1816 წლის თებერვალში წარმოქმნილი პირველი დეკაბრისტთა საიდუმლო ორგანიზაცია – „ხსნის კავშირი", რამდენიმე ახალგაზრდა ოფიცერმა ჩამოაყალიბა. შეთქმულთა საზოგადოებაში ახალი წევრების მიღება უმკაცრესი შერჩევით ხდებოდა. „საზოგადოების წევრებად მიღება უმკაცრესი შერჩევით ხდებოდა, მხოლოდ გვარდიული პოლკებსა და გენერალური შტაბის ოფიცრების სახით. ეს იყო ჩაკეტილი, მცირერიცხოვანი ჯგუფი თანამოაზრეებისა, რომელიც ატარებდა შეთქმულებით ხასიათს, ითვლიდა რა 10-12 წევრს, თითქმის ერთი წლის შემდეგაც კი, თავისი დაარსებიდან. არსებობის დასასრულსაც კი საზოგადოებაში 30 კაცი შედიოდა".[4]

მეორე დეკაბრისტული შეთქმულებითი ორგანიზაცია „კეთილდღეობის საზოგადოება", რომელიც 1818 წელს მოსკოვში შეიქმნა, უფრო მრავალრიცხოვანი იყო და 200 წევრს მოითვლიდა. მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა იმავე შეთქმულებითი ხასიათის ორი მთავარი დეკაბრისტული ორგანიზაცია: „ჩრდილოეთისა" და „სამხრეთის" საზოგადოებები. მიუხედავად საიდუმლო კონსპირაციული სტრუქტურისა, დეკაბრისტული ორგანიზაციები აპირებდნენ „საზოგადოებრივი აზრის შეცვლას და მომზადებას", საზოგადოებაში პროტესტანტული სულისკვეთების ფორმირებას. მხოლოდ საზოგადოების სათანადო მომზადებისა და მასზე დაყრდნობის საშუალებით ფიქრობდნენ ისინი აჯანყების ორგანიზებას. როგორც ვხედავთ, დეკაბრისტული ორგანიზაციები თავიანთ ფორმირებას, მიზნებს და მოქმედების საშუალებებს იტალიელი კარბონარების მიერ გაკვალული გზით ახორციელებდნენ.

განსხვავება ქართულ და რუსულ შეთქმულთა ორგანიზაციებს შორის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო – დეკაბრისტებმა შეძლეს აჯანყება და არა მარტო პეტერბურგში; რუსული ორგანიზაციები უფრო მრავალრიცხოვანი იყო; მათი იდეურ-პოლიტიკური რესურსიც უფრო მასშტაბურად გამოიყურებოდა.

[3] История СССР. Под ред. акад. И. А. Федосова. М. 1987, გვ. 74.
[4] История СССР. М. 1987, გვ. 77.

მაგრამ, რაც მთავარია, ქართულ-რუსულ შეთქმულთა ორგანიზაციებს შორის მსგავსება უფრო ძლიერი და თვალშისაცემი გახლდათ. ორივე პოლიტიკური სტრუქტურა თავდაპირველად შეთქმულთა ორგანიზაციების სახეს ატარებდა, რომელთა მოღვაწეობამაც რამდენიმეწლიანი კონსპირაციული საქმიანობის შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სახე მიიღო, ისე როგორც ეს მოხდა იტალიელი კარბონარების შემთხვევაში. ეს ტრანსფორმაცია რუსულმა ისტორიოგრაფიამ ადრევე ობიექტურად შეაფასა და დეკაბრისტთა პროტესტანტულ მოღვაწეობას „დეკაბრისტთა შეთქმულებითი მოძრაობის", „დეკაბრისტთა მოძრაობის" კვალიფიკაცია მისცა.

გამოდის, რომ განსხვავებით კარბონარებისა და დეკაბრისტული მოძრაობებისაგან, ჩვენში დღემდე ვერ მოხდა 1825-1832 წლების პატრიოტული მოძრაობის ობიექტური კვალიფიცირება; ძალაში დარჩა ერთი იმპერატორისა (ალექსანდრე პირველის) და ორი რუსი გენერლის (როზენისა და ჩევკინის) მიერ განსაზღვრული „შეთქმულების" დეფინიცია.

რეალური ვითარება კი სრულიად საწინააღმდეგო გახლდათ. 1832 წელს გამომჟღავნებული ქართველ პატრიოტთა საიდუმლო საქმიანობა იყო არა შეთქმულთა ვიწრო წრის შეკრებები, არამედ ძლიერი იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა. იგი წლების განმავლობაში იქმნებოდა, ვითარდებოდა, ფართოვდებოდა და სულ უფრო ინტენსიურად მოიცავდა მაშინდელი ქართველი საზოგადოების თითქმის მთელ მოწინავე ფენებს. ძნელია დასახელება XIX საუკუნის პირველი მესამედის ინტელექტუალური ელიტის რომელიმე წარმომადგენლისა, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იყო დაკავშირებული ოცდაათიანელთა მოძრაობასთან.

ოცდაათიანელთა ორგანიზაციასთან დაკავშირებით თავდაპირველად 145 კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებები თანდათანობით მიმდინარეობდა ისე, რომ ორგანიზაციის წევრები ერთმანეთის გაფრთხილებასაც ასწრებდნენ და სამხილების მოსპობასაც. ალექსანდრე ორბელიანი ხომ იგონებს, ბევრი ერია ჩვენს საქმეში, მაგრამ ვინც იასე ფალავანდიშვილმა არ იცოდა, ისინი ბევრნი გადარჩნენ დაპატიმრებასო. 1832 წლის 11 დეკემბერს, ე. ი. იასე ფალავანდიშვილის მიერ შეთქმულების გაცემიდან – 9 დეკემბრიდან, ორი დღის შემდეგ საიდუმლო ორგანიზაციის მხოლოდ 13 წევრი იყო დაპატიმრებული.

გარდა ამისა, ორგანიზაცია შედგებოდა ცალკეული სტრუქტურული წრეებისაგან, რომელთა წევრები ერთმანეთს არ იცნობდნენ და მხოლოდ წრეების მეთაურების მეშვეობით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ასე რომ, ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ბევრად მეტი იყო, ვიდრე დააპატიმრეს: „უფრო

მომეტებულისა იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაფარულად დარჩა მათი საქმე", – წერდა ალექსანდრე ორბელიანი.[5] სწორედ ამიტომაც დაასკვნიდა გიორგი გოზალიშვილი, რომ ამ და სხვა გარემოებებმა „ხელი შეუწყვეს შეთქმულთ თავიანთი საქმიანობიდან მრავალი რამ დაეფარათ, დანარჩენი კი უფერულად მოეჩვენებინათ".

პირველ რიგში, გამოძიებისათვის „დაფარულად" დარჩა შეთქმულთა ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა. საიდუმლო ორგანიზაციის წევრთა რიცხვი სულ ცოტა – 300 კაცს აჭარბებდა და ჩვენი ვარაუდით, 500 კაცამდე მაინც აღწევდა. აქედან პირველი მაჩვენებელი მინიმალურია. უკვე ორგანიზაციის მონაწილეთა ამგვარი და, სავარაუდოდ, მეტი რაოდენობა იმას ნიშნავს, რომ პატრიოტული ორგანიზაცია შეთქმულთა ვიწრო ჯგუფს კი არ წარმოადგენდა, არამედ ფართო მასშტაბის იდეურ-პოლიტიკური მოძრაობის ქსელს. უფრო მეტი იქნებოდა შეთქმულთა თანამგრძნობების რიცხვი. მაგალითად, ბარონი როზენი საფუძვლიანი ეჭვით სწერდა იმპერიის სამხედრო მინისტრს გრაფ ჩერნიშოვს, რომ, მართალია, ამ საქმის მთავარი „დამნაშავენი" ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები არიან, მაგრამ „უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ბატონიშვილებისთვისაც იგი უცნობი არ ყოფილა".[6] იგივე ითქმის ფარული ორგანიზაციის მონაწილე თუ გულშემატკივარი ქალების შესახებაც. ალექსანდრე ორბელიანის ინფორმაციის მიხედვით, მისივე მეულლე და სხვა ქართველი ქალებიც „ბევრი ერია" აჯანყების საქმეში, თუმცა გამოძიებისა და გადასახლების სუსხი მხოლოდ რამდენიმე მათგანს შეეხო.

ეს იყო პატრიოტული მოძრაობა „მამულის გამოხსნისთვის". ასეც იცნობდნენ და მოიხსენიებდნენ ოცდაათიანელებს, მათი უშუალო მემკვიდრეები – ქართველი სამოციანელები. 1876 წელს გაზეთ „დროების" ათი წლისთავის აღსანიშნავ თერგდალეულთა თავყრილობაზე, სერგეი მესხმა, ილია ჭავჭავაძემ და სხვებმა გაიხსენეს თავიანთი წინამორბედი ოცდაათიანელების თაობა. სხვებთან ერთად სიტყვა წარმოთქვა გენერალმა და საზოგადო მოღვაწემ კონსტანტინე მამაცაშვილმა და გაიხსენა, „ამ 40 წლის წინა საქართველოს დრო, როდესაც პირველი მოძრაობა იყო საქართველოში ახალგაზრდობისა".[7]

საყურადღებო მოვლენაა. მართალია, ჩვენს თერგდალეულ მოღვაწეებს 1832 წლის მოვლენების შესახებ საისტორიო გამოკვლევები არ უწარმოები-

[5] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. თბ. 1935, გვ. 128.
[6] Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Под ред. А. Берже. т. VIII. Тифлис. 1881, გვ. 397.
[7] გაზ.: „დროება". 7 მარტი. 1876 წ.

ათ, მაგრამ ისინი ოცდაათიანელ შეთქმულთა რამდენიმეწლიან მოღვაწეობას „მოძრაობას“ უწოდებდნენ. ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები: „...მოძრაობამ კიდევ შეჰკრა ის ბრწყინვალე წრე გონებაგაახსნილ ყმაწვილკაცობისა... ამ წრის წმიდათა წმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათდა სასახელოდ“. 1825-1832 წლების შეთქმულების მოღვაწეობა, ილიას თქმით, იყო ბრწყინვალე ქართველი ყმაწვილკაცობის „მოძრაობა“.

შეთქმულება – სრულიად განსხვავებული ხარისხის, მასშტაბისა და მიზანდასახულობის აქციას გულისხმობს. იგი ერთჯერად პოლიტიკურ აქტს ნიშნავს, რომელიც სასახლის გადატრიალების სინონიმური ქმედებაა. მოძრაობა ფართო მასშტაბის იდეურ-პოლიტიკური მოქმედებაა, რომლის მიზანი, ოცდაათიანელთა შემთხვევაში, სასახლის გადატრიალება კი არა – საყოველთაო, სრულიად საქართველოს აჯანყება გახლდათ, რომლის გზითაც რუსის ჯარი უნდა განედევნათ და ქვეყნის დამოუკიდებლობა აღედგინათ. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის პოლკოვნიკ ცებრიკოვსაც სოფ. ხაშმთან ამგვარი ინფორმაცია მიუტანეს. მანაც სწრაფად მოახსენა მთავარმართებელ გრიგოლ როზენს, რომ „საქართველოს სოფლებს აზრად ჰქონდათ აჯანყებულიყვნენ, რათა რუსის ჯარი ნაწილობრივ ამოეჟლიტათ, ნაწილობრივ კი საქართველოდან გაეძევებინათ“.[8] მარტოოდენ შეთქმულება, მისი შეზღუდული ფორმატი, ვერავითარი მსხვილმასშტაბიანი აჯანყების ორგანიზებას მიზნად ვერ დაისახავდა. პეტერბურგში მყოფი დიმიტრი ბატონიშვილი სავსებით ნათლად და გასაგებად განუმარტავდა საქართველოში მომავალ ელიზბარ ერისთავს, რომ მას შეთქმულთა ორგანიზაცია კი არ უნდა ჩამოეყალიბებინა, როგორც იზოლირებული სტრუქტურა, არამედ: „თქვენ საქართველოში მიდიხართ და იქ უნდა შეადგინოთ საზოგადოება, მოიმხროთ ხალხი, რათა სამშობლო გაანთავისუფლოთო“.[9] „მიიმხროთ ხალხი“ – აქ გადამწყვეტი მნიშვნელობის პირველხარისხოვანი მიზანდასახულებაა, რომელიც შეთქმულთა ორგანიზაციის ხასიათს ძირფესვიანად განსხვავებულად წარმოგვიდგენს, ის წინ უნდა წამოვწიოთ და არა მეორეხარისხოვან ფრაზად დავტოვოთ ჩრდილში, როგორც აქამდე იყო მიფუჩეჩებული.

რაც მთავარია, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ოცდაათიანელ შეთქმულთა ორგანიზაცია საზოგადოებისაგან მოწყვეტილი, იზო-

[8] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I, გვ. 83.
[9] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I, გვ. 16.

ლირებული წარმონაქმნი კი არა, არამედ სხვადასხვა მეორეული უჯრედების, წრეების, საზოგადოებების ქსელს წარმოადგენდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცენტრალური „მთავარი" ორგანიზაცია, „მთავარი შეთქმულნი", რომლის მიზანი იყო საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა მოძრაობაში და საყოველთაო აჯანყების გამოწვევა. ამგვარი მასალები, მითითებები, მინიშნებები, პირდაპირი ინფორმაციები მრავლადაა საგამოძიებო მასალებში, შეთქმულთა მიწერ-მოწერაში, მათს მოგონებებში და ა. შ. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი.

მკაცრად კონსპირირებულ ცენტრს წარმოადგენდა „მთავარ შეთქმულთა" ცენტრალური ხელმძღვანელობა. ისინი ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს და იასე ფალავანდიშვილმა სწორედ და მხოლოდ ისინი გასცა, სულ რამდენიმე ათეული კაცი, რადგან მხოლოდ მათ იცნობდა. ორგანიზაციის წევრთა მთავარი და მრავალრიცხოვანი რაოდენობა გაერთიანებული იყო ადგილობრივ წრეებსა და ცალკეულ უჯრედებში. ასეთი ადგილობრივი ორგანიზაციები არსებობდა კახეთში, ქართლში, ქიზიყში, ფშავ-ხევსურეთში... მათი ხელმძღვანელები ერთმანეთს არ იცნობდნენ და უშუალოდ ცენტრთან იყვნენ დაკავშირებულნი. მაგალითად, აბელ ჩოლოყაშვილი „მიერიდგან იყო... იმ თადარიგში, რომ ფშავ-ხევსურეთის ხალხი უნდა მოებირნა როგორმე".[10]

ამ ინფორმაციას ფილადელფოს კიკნაძე გვაწვდის და განაგრძობს: „ამავე აზრზე მყვანდა ჩემი ნათლიმამა ნოდარ ჯორჯაძე გამზადებული თავის სამოურაო ხალხის დიდებით, რომ ისინი დაღესტანსაც აურევდნენო, და კვალად ამ აზრზე ლაპარაკი გამოუცხადე ღანერალ მაიორს ჭავჭავაძეს და უთხარ ზემოხსენებული თადარიგები, მაშინ ჭავჭავაძემ მითხრა სხვანიც არიან თადარიგში და სახელები კი არ მითხრა... ამგვარად რამდენთამე ჰქონდათ თადარიგიო, ეგრეთვე ქიზიყში იმედი მქონდა, რომ კაცნი მყვანდნენ იმისთანა რომელნიც შესძლებდნენ გაღმა ლეკებისა და გამოღმა ხალხის არევას და კახელი გლეხკაცობისა ადვილი იყო, ყველგან ამითი რომ ეთქვა, სალდათს ითხოვენ, მაშინვე აირეოდნენო, აგრეთვე დავით ერისთავს უთხარ იმავე აზრის წასამართებლად არაგვზე წადიო... რომ ისინიც მზად იყვნენ და ის დავითიც იმ თადარიგში იყოვო". ამ და სხვა მსგავსი ინფორმაციის ჩამოთვლა-მოძიების შემდეგ გიორგი გოზალიშვილი დაასკვნის: „ამგვარად ტფილისის ცენტრი აერთიანებდა შეთქმულთა სხვასხვა ჯგუფებს და საზოგადოებებს, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო მოწყობილი".[11]

[10] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I, გვ. 31.
[11] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I, გვ. 32-33.

საგამოძიებო მასალებში გ. გოზალიშვილი სხვა წრეებსა და ადგილობრივ ჯგუფებსაც ასახელებს, მაგ., გიორგი დავითის ძე ერისთავსა და მის თანამოაზრეებსაც ჰქონიათ „შეკრებილობა", რომელიც, როგორც ჩანს, ფილადელფოსმა ჩააბა შეთქმულებაში; იასე ფალავანდიშვილიც ასახელებდა შეთქმულთა ორ საზოგადოებას, ერთი იყო გენერალ მაიორ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მეორე გენერალ-მაიორ თავად მუხრანსკისა; არ უნდა დავივიწყოთ, რომ აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე იმერეთში იყო გაგზავნილი ამგვარივე საქმიანობისათვის; სოლომონ დოდაშვილი კახეთ-ქიზიყის გამოყვანას ქადულობდა, სხვანი ქართლში მუშაობდნენ და ა. შ.

ახლა რაც შეეხება იმას, რომ საბჭოურ ისტორიოგრაფიას ხელზე ჰქონდა დახვეული ოცდაათიანელ შეთქმულთა იზოლირებულობა ხალხისაგან. ეს იმდენად შეთქმულთა ორგანიზაციული ნაკლი არ იყო, რამდენადაც მაშინდელი რეალობა. საქართველო, ისევე როგორც მისი მაშინდელი მეტროპოლია – რუსეთის იმპერია, ჯერ კიდევ ტიპურ ფეოდალურ ქვეყნებს და სისტემებს წარმოადგენდნენ. მაშინდელ თავადაზნაურობას ჩვენ ვერ მოვთხოვთ იმას, რასაც ხალხოსნები ორმოცი წლის შემდეგ აკეთებდნენ – ხალხში გადიოდნენ და ანტიმონარქისტულ პროპაგანდას ეწეოდნენ. ქართული არისტოკრატია, თავადაზნაურობა, თავისი ეპოქის პროდუქტს წარმოადგენდა და სტრატეგიაც, საშუალებებიც და მეთოდებიც შესაბამისი ჰქონდა. ნებისმიერი მსხვილი სამხედრო ღონისძიება ფეოდალურ საქართველოში ყმაგლეხობის ლაშქარში გაყვანის გზით ხდებოდა. ასე იყო ერეკლე მეორის დროს, ასე იყო საუკუნის ანტირუსული აჯანყებების დროს და ასევე აპირებდნენ 1832 წლის შეთქმულებიც – ისინი თავთავიანთი ყმა-გლეხებისაგან დაკომპლექტებული რაზმების ლაშქარში გამოყვანას გეგმავდნენ.

მაგ., ალექსანდრე ორბელიანის განცხადებით, „...ჩვენი საზოგადონი ისრეთ ვაწყობდით, და ესრეთ გვინდოდა რომ ყველას გაგვეწერა და ქალაქში ჩამოგვეყვანა, ვინც რაოდენს კაცს შეიძლებდა – გავიწერეთ კიდეც, ლუარსაბს ასი კაცი უნდა ჩამოეყვანა ელიზბარ ერისთავს, ორმოცი, მე ოცი, გიორგი დავითის ძე ერისთოვს – ოცი..." და ა. შ. ამ გზით შეთქმულები თავდაპირველად 3-4 ათასი კაცის გამოყვანას აპირებდნენ, ხოლო ამბოხის დაწყების შემდეგ მთელი საქართველოს თავადაზნაურობა უნდა ჩართულიყო აჯანყებაში, ყმაგლეხებითურთ. დიდ გულზედაც იყვნენ. როცა ზაქარია ჩოლოყაშვილმა სკეპტიკური აზრი გამოთქვა, რუსების დამარცხება ძნელი იქნება, ისინი სასწრაფოდ შტაბში შეიკრიბებიან და ჯარს გამოიყვანენო, შეთქმულებს უპასუხიათ, როგორც გიორგი გოზალიშვილთან ვკითხულობთ: „ვინ

მისცემს მათ შეკრების საშუალებას. როგორც კი აქ რამე მოხდება, რადგან ყველა თავადიშვილები აქ შეიკრიბებიან ამ შემთხვევის გამო, ყველას ეყოლება თან ხალხი, ესენი მაშინათვე გაჰგზავნიან ყველა თავის სოფელში და შეუთვლიან პაროლს, რომელიც იქნება რუსების წყვეტა და მაშინ გარწმუნებთ, რომ არც ერთი რუსი აღარ დარჩებაო".[12] შეთქმულების გეგმებს და პერიპეტიებს აღარ გავაგრძელებთ, ისინი კარგადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის. აქ მთავარი სწორი აქცენტების გაკეთება და წინ წამოწევაა, რაც ადრე არ ხდებოდა. შეთქმულებს გლეხთა პროპაგანდირება არ სჭირდებოდათ, მათ ისედაც გამოიყვანდნენ ბატონყმური რიგით და მათი დიდი იმედიც ჰქონდათ.

ცხადია, შეთქმულთა დიდი ნაწილი კონსერვატიულად იყო განწყობილი. ბევრი მათგანი სულაც არ ფიქრობდა არსებული ბატონყმური რიგის შეცვლას. მაგრამ ეს საკითხიც ნაწილობრივ გადასინჯვას ექვემდებარება. შეთქმულთა სამომავლო პროექტები საქართველოს კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნას ითვალისწინებდა და ეს უკვე იყო დიდად წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ფეოდალური სისტემის ნაწილობრივ პროგრესულ-დემოკრატიულ ტრანსფორმაციასაც გულისხმობდა. შეთქმულთა შორის პროგრესულ-დემოკრატიულად მოაზროვნენი საკმაოდ იყვნენ და მათ შორის სწორედ ბატონიშვილები გამოირჩეოდნენ, რომელთა აზრი და პოზიცია იმპერატიული იყო დანარჩენი შეთქმულებისათვის. ამ გარემოებას საბჭოური ისტორიოგრაფია აფუჩჩებდა და კომენტარის გარეშე ტოვებდა. დიმიტრი ბატონიშვილი რომ მოძღვრავდა თავის ყოველკვირეულ სალონში ახალგაზრდა ქართველებს და მათ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობაზე ელაპარაკებოდა, არამედ „ხალხის უფლებაზე, ბატონების მიერ გლეხთა შევიწროებაზე", ეს გარემოება დიდად საყურადღებო ეპიზოდია და მასზე ყურადღება უნდა გამახვილდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ დიმიტრი ბატონიშვილი და ვინც ბატონიშვილთან თავს იყრიდნენ, ესენი კი წამყვანი შეთქმულები იყვნენ: გიორგი და ელიზბარ ერისთავები, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ერისთავი, სხვანი – საქართველოს განთავისუფლებაში, გარკვეულწილად, სოციალურ და დემოკრატიულ გარდაქმნებსაც გულისხმობდნენ.

ან კიდევ დავით ჯორჯაძის ცნობა გავიხსენოთ იმავე დიმიტრი ბატონიშვილის შესახებ, რომელიც თავის ახალგაზრდა ინსურგენტებს ხშირად ესაუბრებოდა: საფრანგეთზე, „მათი მცხოვრებლების თავისუფალ ცხოვრებაზე,

[12] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I, გვ. 78.

მეფის შეზღუდულ ხელისუფლებაზე და რომ საფრანგეთის თითოეულ მოქალაქეს აქვს თითო ხმის უფლება მეფის არჩევის დროს... ხან კი ვიხილავდით თავისუფალი ქალაქების მაინის ფრანკფურტისა და კრაკოვის მმართველობის მდგომარეობას, ის (დიმიტრი ბატონიშვილი – დ.შ) ხატოვნად მოგვითხრობდა რა ამ ქალაების მოქალაქეების ბედნიერი ცხოვრების შესახებ".[13]

დიდი ხნის განმავლობაში ჩვენთვის კარგად ცნობილ ამ ეპიზოდებს რომ კიდევ ერთხელ გაიაზრებს მკითხველი, თვალწინ წარმოუდგება ქართველი შეთქმულების ორგანიზაცია, თავისი პროვინციებში დაქსელილი ადგილობრივი ჯგუფებით, რომელიც მოიცავდა მეტ-ნაკლებად თითქმის მთელ საქართველოს, ერთი მხრივ, კონსპირაციულად მოქმედი ცენტრალური ხელმძღვანელობით და, მეორე მხრივ, მისი მრავალრიცხოვანი წევრების ფართო პროპაგანდისტული საქმიანობით, რომელიც სწარმოებდა თავისუფლებისათვის ბრძოლის „საზოგადოებაში ხმის განფენისათვის". ამის შემდეგ კი აღარ გაჭირდება, რომ 1832 წლის ისტორიული მოვლენა ფართო შეთქმულებითი ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობად წარმოვიდგინოთ.

ზემოაღნიშნულისაგან გამომდინარეობს, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა, კერძოდ, რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსნების მიერ 1832 წლის მოვლენების „შეთქმულებად" კვალიფიკაცია უნდა უარყოფილ იქნეს და მას ეწოდოს – 1832 წლის შეთქმულებითი პატრიოტული მოძრაობა ან მსგავსი ვარიაციები: 1832 წლის შეთქმულთა მოძრაობა; შეთქმულებითი მოძრაობა; ოცდაათიანელთა პატრიოტული ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და ა. შ. შესაბამისად, წიგნები, ნაშრომები, სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების შესაბამისი თავებიც უნდა დასათაურდეს, როგორც – ოცდაათიანელთა შეთქმულებითი მოძრაობა; 1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა და ა. შ.

1832 წლის მოძრაობის ბედი კარგადაა ცნობილი – მიუხედავად თითქმის რვა წლის იდეური და ორგანიზაციული მზადებისა, იგი თითქოს უსახელოდ დამთავრდა. არც ესაა მართებული შეფასება. ოცდაათიანელები ორგანიზაციულად დამარცხდნენ, მაგრამ მათი მარცხი კი არა, ოცდაათიანელთა შეთქმულებითი მოძრაობის პოზიცია, შეხედულებები, მიზანი, რაც მთავარია – მოქმედების ფორმები და საშუალებები უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ეს იყო პირველი ეროვნული იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში, რომელიც თვისობრივად განსხვავდებოდა წინა საპროტესტო გამოსვლებისა-

[13] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I, გვ. 62.

გან. მას აქამდე მომხდარი აჯანყებებივით სპონტანური სახალხო ამბოხის ხასიათი კი არა, არამედ საერთო ქართული მასშტაბის ორგანიზაციული და იდეური მოძრაობის ფორმა ჰქონდა. ოცდაათიანელთა მოძრაობა საქართველოს საერთო აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო და მას სხვა კავკასიელებიც უნდა შემოერთებოდნენ: „მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა უნდა მოგვეხდინა", – იგონებდა ალექსანდრე ორბელიანი. მისივე სიტყვებით: „ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ან არადა მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგან".

ოცდაათიანელების ორგანიზაციამ მზადება დაიწყო არა მარტო შეიარაღებული აჯანყებისათვის, არამედ მოსახლეობის, ქართველი საზოგადოების იდეური მობილიზაციისათვისაც. ჩნდება ქართული იდეოლოგიზირებული ნაციონალიზმის პირველი ნიშნები. სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, იოსებ მამაცაშვილი ბრძოლისა და „მამულის სიყვარულისაკენ" მოუწოდებდნენ საზოგადოებას.

ფარული საზოგადოების ეროვნულ-პოლიტიკური კონცეფციის ძირითადი აზრი ასე ჩამოყალიბდა: რუსეთმა საქართველო მოტყუებით და ღალატით დაიპყრო. დღესდღეობით რუსთა ბატონობა ღუპავს ქვეყანას. ქართველებმა უნდა იცოდნენ, რომ „მამულის სიყვარული უმთავრესია". ჩვენი ქვეყანა კი რომელიც ყოველთვის თავისუფალი იყო, ახლა დაპყრობილია. ჩვენ თუ ჩვენი თავისუფალი წინაპრების ღირსეული შვილები ვართ, უნდა ბრძოლით გავათავისუფლოთ სამშობლო და დავიბრუნოთ დამოუკიდებლობა. „განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი, ჩვენ მამულისა მაოხრებულნი", – მოუწოდებდა ხალხს სოლომონ დოდაშვილის მიერ დაწერილი პროკლამაცია.

რუსეთის ადმინისტრაცია დიდად შეაშფოთა ფარული საზოგადოების არსებობის ფაქტმაც, მიზნებმაც, შემადგენლობამაც. საქართველოში ძლივს ჩაცხრა სახალხო აჯანყებების სერია. უკვე ათი-თორმეტი წელი გასულიყო უკანასკნელი იმერეთ-გურიის მორიგი „რევოლუციიდან". მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათიანელთა ორგანიზაციამ ვერც ერთი თავისი მიზანი ვერ განახორციელა, ეს უკანასკნელი მოძრაობა ყველაზე უსიამოვნო და თავისი შედეგებით შორსმიმავალი შეიძლებოდა ყოფილიყო. რუსული მმართველობისათვის ორგანიზაციისა და მოძრაობის ინიციატორები და მონაწილენი იყვნენ ისინი, ვინც რუსეთის იმპერიის დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ დაპყრობილ ქვეყანაში – ქართველი თავადაზნაურობის მთელი გვაროვნული და ინტელექტუა-

ლური ზედაფენა. როგორც ჩანს, იმპერატორის კარი სერიოზულად შეაშფოთა ქართულმა ელიტარულმა ოპოზიციამ და ამან უბიძგა არაორდინალური გადაწყვეტილება მიეღო – სასტიკად არ დაესაჯა დამნაშავენი, არ გაეხმაურებინა ფარული ორგანიზაციის საქმე, ხოლო რამდენიმეწლიანი პატრიოტული მოძრაობა, რამდენიმე ქართველი თავადისა და აზნაურის „შეთქმულებად" მოენათლა.

Dimitri Shvelidze

CONSPIRACY OF 1832
(WAS IT REALLY A CONSPIRACY)

Summary

Conspiracy of the Georgian patriots against Russia was not a conspiracy in typical sence, as all the active classes were involved into. Structurally, conspirators formed network of different circles, led by main body of conspiracy. They needed global rebellion which is attested by differtent type of sources. That is why this event needs other definition that created by the Russians – conspiracy. Maybe, patriotic movement will be proper nominal.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ანა ჭეიშვილი

თეოფილე დეიროლის მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში*

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების კვლევას XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაეყარა საფუძველი. იმ უცხოელ მეცნიერთა შორის, რომლებმაც ტაო-კლარჯეთში იმოგზაურეს და ქართული ძეგლების შესახებ პირველი ცნობები შემოგვინახეს, დღემდე არ მოიხსენიებენ ახალგაზრდა ფრანგ მეცნიერს, ენტომოლოგსა და მხატვარს, თეოფილე დეიროლს (1844-1923).

თეოფილე დეიროლის მოგზაურობის შესახებ სტატიათა ციკლი 1875-76 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალში „მსოფლიოს გარშემო" (Le tour du Monde), რომლის დამფუძნებელი და რედაქტორი იყო ფრანგი ჟურნალისტი და პოლიტიკოსი ედუარდ თომას შარტონი.[1] აღნიშნული ჟურნალი XIX საუკუნის განმავლობაში გამოდიოდა საფრანგეთში და მასში ცნობილი თუ ჯერ კიდევ უცნობი ევროპელი მოგზაურების სტატიები იბეჭდებოდა. თეოფილე დეიროლის სტატიის „მოგზაურობა ლაზისტანსა და სომხეთში" მიხედვით, ავტორმა 1869-70 წლებში იმოგზაურა თურქეთსა და საქართველოში. მისი კვლევის სფერო მოიცავდა არქეოლოგიას, ფლორას, ფაუნას, იგი აგროვებდა ენტომოლოგიურ კოლექციებს. თუმცა, როგორც სტატიიდან ჩანს, ამ მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე არქიტექტურულ ძეგლებზე, მათ შორის, ქართულ ეკლესიებზე არსებული წარწერების ასლების გადაღება. სტატია უხვად არის ილუსტრირებული გრავიურებით, სადაც სხვა ძეგლებთან ერთად წარმოდგენილია ტაო-კლარჯეთში მდებარე სხვადასხვა ქართული ეკლესიები.

როგორც სტატიიდან ირკვევა, მოგზაურობა დაფინანსებული იყო საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს მიერ, რომელიც XIX საუკუ-

* მოხსენება წაკითხულია II საერთაშორისო კონფერენციაზე – ტაო-კლარჯეთი. ბათუმი, 5-8 სექტემბერი 2012.

[1] Th. Deyrolle. Voyage dans le Lazistan et l'Arménie. Le tour du Monde. 1875-76. XXIX. გვ.1-32; XXX, გვ. 257-288; XXXI, გვ. 369-416.

ნის განმავლობაში აქტიურად უჭერდა მხარს მეცნიერებს უცხო ქვეყნების შესწავლაში.

საფრანგეთის ეროვნულ არქივში დაცული თეოფილე დეიროლის არქივის,[2] საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრის სახელზე გაგზავნილი მისი ანგარიშის შესწავლისა და, ასევე, დეიროლების შთამომავლებისგან მოპოვებული ინფორმაციის[3] შეჯერების შედეგად შესაძლებელი გახდა ამ მოგზაურობის შესახებ მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენა.

დეიროლების ოჯახი XVIII საუკუნეში დასახლდა პარიზში. თეოფილე დეიროლის მამა ცნობილი ენტომოლოგი და ტაქსიდერმისტი იყო, რომლის მიერ დამზადებულ ფიტულები დღესაც ინახება პარიზის საბუნებისმეტყველო მუზეუმში. თეოფილე დეიროლი ძალიან ადრე, 17 წლისა ჩაერთო ოჯახურ საქმიანობაში. იგი კარგად ხატავდა და მამისა და ძმის მიერ გამოცემული ალბომების ილუსტრირებაზე მუშაობდა. დეიროლების მალაზია-მუზეუმი დღესაც არსებობს პარიზში და დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ოჯახური არქივებიდან ჩანს, რომ თეოფილე დეიროლი კავკასიას პირველად 19 წლისა ესტუმრა. მან პარიზის გეოგრაფიული საზოგადოებისაგან მივლინება მოიპოვა; იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში, სვანეთში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში და ამ მოგზაურობისას, ძირითადად, ზოოლოგიური და ბოტანიკური კოლექციების შეგროვებით იყო დაკავებული.

მისი მეორე მოგზაურობა, რომელიც ტაო-კლარჯეთს უკავშირდება, 1869-1870 წლებით თარიღდება. როგორც საფრანგეთის ეროვნულ არქივში დაცული წერილებიდან ჩანს, 1869 წელს თეოფილე დეიროლი საფრანგეთიდან ტრაპიზონში ჩადის, მოგზაურობს თორთუმის ხეობაში და ტრაპიზონისა და ბათუმის გავლით ფოთში მიემგზავრება, საიდანაც მდინარე რიონს აუყვება ქუთაისის მიმართულებით. ამ მოგზაურობის დროს დეიროლი მხოლოდ ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შესწავლით არის დაკავებული. მკვლევარი ბათუმიდან საფრანგეთში აგზავნის მის მიერ შეგროვებული ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშების ნიმუშებს და ისევ ტრაპიზონში ბრუნდება.

თუმცა ამითი დეიროლის მოგზაურობა არ დასრულებულა. 1870 წლის დასაწყისში იგი თავის ძმას სთხოვს, რომ მისი სახელით გაუგზავნოს წერილი საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრს და მოითხოვოს ოფიციალური მივლინება თურქეთში არქეოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევე-

[2] საფრანგეთის ეროვნული არქივი. F/17/2955B.
[3] Bedel F. Chez Deyrolle. 2007.

ბის ჩასატარებლად. მინისტრის პასუხი დადებითია. მინისტრის ოფიციალური ბრძანების შემდეგ თეოფილე დეიროლი მივლინებისათვის საჭირო თანხასთან ერთად იღებს რეკომენდაციებს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიიდან, რომელიც დაინტერესებულია ვანის ტბის მახლობლად კლდეში ნაკვეთი ლურსმული წარწერების შესწავლით.

ამასთანავე, არქივებიდან ირკვევა, რომ დეიროლმა ასევე მიიღო რეკომენდაციები პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრის, ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის ნიკოლაი ხანიკოვისგან. ნიკოლაი ხანიკოვი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე იყო 1840-1850-იან წლებში და აქტიურად იყო ჩაბმული კავკასიის სიძველეების შესწავლაში. სწორედ ხანიკოვმა ურჩია დეიროლს თორთუმის ხეობის გავლით დაბრუნებულიყო ტრაპიზონში, რათა ენახა ქართული ეკლესიები, რომლებიც „ძალზე მნიშვნელოვანია მათი არქიტექტურისა და წარწერების შინაარსის გამო". ამგვარად, დეიროლს დაევალა ვანის ტბის ლურსმული წარწერებიდან და ქართული ეკლესიების წარწერებიდან ლოტენ დე ლავალის ტექნიკით ასლების აღება.

პიერ ლოტენ დე ლავალი ფრანგი არქეოლოგი და მხატვარი იყო, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისში უძველესი რელიეფური გამოსახულებებიდან ზუსტი ასლების გადაღების მეთოდი შეიმუშავა, დააპატენტა და მას ლოტინოპლასტიკა უწოდა.[4] სწორედ ამ მეთოდით მუშაობდა თეოფილე დეიროლი. იგი სპეციალური ჟელატინით გაჟღენთილ რამდენიმე ფენა ქაღალდს აფენდა წარწერაზე და გაშრობის შემდეგ იღებდა წარწერის სარკისებურ ასლს. ამგვარად დამზადებული ყალიბი დედან წარწერას არ აზიანებდა, მსუბუქი და, რაც მთავარია, გადასატანად ადვილი იყო – მისი დაჭრაც კი შეიძლებოდა. საფრანგეთში ჩამოტანისას ყალიბში თაბაშირს ასხამდნენ და ამგვარად წარწერების ზუსტ ასლს იღებდნენ. ყალიბის დამზადება საკმაოდ შრომატევადი პროცესი იყო. თეოფილე დეიროლი თავის სტატიაში დაწვრილებით აღწერს თუ როგორ ამზადებდა რამდენიმე კვირის განმავლობაში ურარტული წარწერების ყალიბებს ვანის ტბის მახლობლად.

ვანის ტბიდან ფრანგი მეცნიერი თორთუმის ხეობაში მიემგზავრება, სადაც იგი რამდენიმე კვირას ატარებს. იხატავს თორთუმის ციხეს, ატარებს აზომვით სამუშაოებს და მის გეგმას ადგენს (სურ. 2). როგორც დეიროლი წერს, თორთუმის ხეობაში და მის მომიჯნავე ხეობებში ქართული ეკლესიე-

[4] P. Lottin de Laval. Manuel complet de Lottinoplastique. Paris. 1857.

ბიდან წარწერებს დიდი რუდუნებით იღებდა და ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციების შეგროვებაზე დროს აღარ კარგავდა: „ამ წარწერებს ხომ დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ და ამ მხარეში ქართველი მეფეების სიძლიერის უკანასკნელ კვალს წარმოადგენდნენ".

პირველი ეკლესია, რომელსაც იგი მოინახულებს, არის ხახულის ეკლესია (სურ. 4). დეიროლი აქ წარწერებს ვერ პოულობს და ვარაუდობს, რომ მეჩეთად გადაკეთებულ ტაძარზე წარწერების კვალი მუსულმანებს უნდა გაენადგურებინათ, ისევე როგორც მოხატულობა, რომლის მცირე კვალი ყოფილა შემორჩენილი. დეიროლი ათვალიერებს ნაგებობებს, იღებს ტაძრის გეგმას და, როგორც სტატიაში აღნიშნავს, მრავალ ჩანახატს აკეთებს. საფრანგეთის ეროვნულ არქივში დაცულია მის მიერ შესრულებული რამდენიმე ჩანახატი, სადაც კარგად ჩანს ეკლესიის სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი.

აქედან დეიროლი თორთუმის ტბას მიუყვება და, როგორც აღწერს, მიდის ტბის პირას მდებარე სოფელში, სადაც ბუჩქნარით დაფარულ მაღლობზე ნახულობს ქართულ ეკლესიას, რომლის გუმბათის კედლები ჯერ ისევ დგას. სამწუხაროდ, იგი არ გვაწვდის დაწვრილებითი ინფორმაციას არც ეკლესიისა და არც სოფლის შესახებ.

ოშკი, დეიროლის აზრით, ქართული არქიტექტურის ყველაზე შესანიშნავი ნიმუშია (სურ. 5, 6). საქართველოში მოგზაურობისას არც ერთ ტაძარს არ მოუხდენია მასზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც ოშკმა მოახდინა. დეიროლმა შეადგინა ოშკის გეგმა, რომელიც დღეს მის არქივშია დაცული. იგი აღნიშნავს, რომ მრავალი წარწერა ნახა, ახსენებს სამხრეთ შესასვლელთან მოთავსებულ კარგად შენახულ წითლად შელებილ წარწერას, ასევე ეკლესიაში ნანახ წარწერებს, რომლებიც, მისი აზრით, ფრესკებზე წარმოდგენილი პირების განმარტებებია. სავარაუდოდ, მას ამ წარწერების ასლებიც უნდა აელო. ოშკიდან იგი ექეის მონასტრის სანახავად მიემგზავრება.

დეიროლი მოგზაურობას აგრძელებს, თუმცა სულ მალე ცნობას იღებს საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყების შესახებ და სასწრაფოდ ბრუნდება საფრანგეთში, რომ თავისი ქვეყნის წინაშე ჯარისკაცის მოვალეობა მოიხადოს. მას თან მიაქვს თავისი კოლექციების ნაწილი, ნაწილს კი ტრაპიზონში ტოვებს, რომ მოგვიანებით გაუგზავნონ. საფრანგეთში დაცული არქივებიდან ცნობილია, რომ დეიროლმა თან წაიღო წარწერების ყალიბები.

1871 წლის დასასრულს დეიროლი სახალხო განათლების სამინისტროში აგზავნის მივლინების ანგარიშს, რომელსაც თან ერთვის მის მიერ

შესრულებული გრავიურების მცირე ნაწილი. საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ მის ანგარიშს მაღალი შეფასება მისცა და რეკომენდაცია გაუწია სპეციალურ გამოშვებაში დასაბეჭდად, სადაც სახალხო განათლების სამინისტროს მიერ მივლინებული მეცნიერების საუკეთესო ანგარიშები იბეჭდებოდა.[5]

თეოფილე დეიროლმა ამ მოგზაურობის შემდეგ თავი დაანება სამეცნიერო საქმიანობას, ბრეტონში დასახლდა და დღეს იგი საფრანგეთში ცნობილია, როგორც კონკარნოს სკოლის ფუძემდებელი მხატვარი.

არქივებიდან ირკვევა, რომ ვანის ურარტული წარწერების ანაბეჭდები, რომლებიც საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში ინახებოდა, საკმაოდ მაღალი ხარისხით იყო შესრულებული და მეცნიერებს დიდ სამსახურს უწევდა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ქართული ეკლესიებიდან აღებული წარწერების ანაბეჭდების კვალი არსად ჩანს, თუმცა ამ მიმართულებით კვლევა ისევ გრძელდება. ასევე გრძელდება მისი მოგზაურობის შესახებ დამატებითი მასალების – ზუსტი მარშრუტის, არქივებისა და ჩანახატების მოძიება.

დეიროლის სტატიის ილუსტრაციებს შორის არის რამდენიმე გრავიურა, რომლებზეც, მინაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული ეკლესიებია წარმოდგენილი (სურ. 7, 8, 9). სამწუხაროდ, სტატიის ტექსტში ეს გრავიურები არ არის მითითებული და დღეს რთულია დადგენა, თუ რომელი ეკლესიები ჩახატა დეიროლმა. ორი ეკლესია (სურ. 7, 8), რომლებიც სტატიაში ცალ-ცალკე ილუსტრაციებს წარმოადგენს, არქივში დაცულ ორიგინალ ჩანახატზე ერთმანეთის გვერდით დგას. ჩანახატს შემდეგი მინაწერი აქვს: „ეკლესიის ნანგრევები ბეშ ქილისეში (5 ეკლესია), ბაიბურთის მახლობლად". რაც შეეხება მესამე გრავიურას (სურ. 9), თუ მას XIX საუკუნის დასასრულს გადაღებულ ფოტოებს შევადარებთ, აქ ვარზაჰანის ეკლესიის ნანგრევები უნდა იყოს გამოსახული.[6]

სავარაუდოდ, დეიროლის ეს სტატია შეუმჩნეველი არ დარჩენილა იმ დროინდელი საზოგადოებისათვის. როგორც ჩანს, სტატიას ცნობილი ფრანგი მწერალი ჟიულ ვერნიც გაეცნო, რადგან დეიროლის ამ მოგზაურობას იგი იხსენიებს 1883 წელს დაწერილ ნაწარმოებში „ჯიუტი კერაბანი" (Kérabanle-Têtu). 1878 წელს კი სტატიის თარგმანი რუსულ ენაზე გამოქვეყნდა.

---

[5] Th. Deyrolle. Rapport sur une mission scientifique en Asie Mineure. Archives des Missions scientifiques et littéraires. 1875. 3e série. tome 2. გვ. 357-376.

[6] ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ირინე გიეიაშვილს.

ვიმედოვნებთ, რომ დეიროლის მოგზაურობის შესახებ მოპოვებული ინ-ფორმაცია, მისი არქივები და სტატიები, რომლებიც მალე ქართულ ენაზე გა-მოქვეყნდება, ქართველ მეცნიერებს დიდ სამსახურს გაუწევს და, ამასთანავე, თეოფილე დეიროლის სახელი კუთვნილ ადგილს დაიკავებს ტაოს პირველაღ-მომჩენ სხვა ევროპელ მეცნიერთა გვერდით.



სურ. 1. თეოფილე დეიროლის მოგზაურობის მარშრუტი



Thortoum-Kale. — Dessin d. Th. Dayrille, Copie [illegible]

სურ. 2. თორთუმის ციხე

Un village dans la vallée de Thortoum. — Dessin de Th. Deyrolle, d'après nature.

სურ. 3. სოფელი თორთუმის ხეობაში

Klakheu. — Dessin de Th. Deyrolle, d'après nature.

სურ. 4. ხახული



Eoechk-Wank. — Dessin de Th. Deyrolle, d'après nature.

სურ. 5. ოშკი



Portail de l'église de Eoechk-Wank. — Dessin de Th. Deyrolle, d'après nature.

სურ. 6. ოშკის გალერეა



Ruines d'église géorgiennes.

სურ. 7. ქართული ეკლესიის ნანგრევები



Ruines d'église géorgienne.

სურ. 8. ქართული ეკლესიის ნანგრევები



Eglise georgienne. — Dessin de Th. Deyrolle, d'après nature.

სურ. 9. ქართული ეკლესია

Laze. — Dessin de Th. Deyrolle, d'après nature.

სურ. 10. ლაზი

Femmes mingrélienne.

სურ. 11. მეგრელი ქალბატონები

Jeune Laze.

სურ. 12. ახალგაზრდა ლაზი

Ana Cheishvili

THE JOURNEY OF THÉOPHILE DEYROLLE IN TAO-KLARJETI

Summary

In 1869-1870 the young painter Théophile Deyrolle (1844-1923) traveled to Turkey and Georgia. He was interested in archaeology, flora, fauna, collected entomological collections, but the main purpose of his trip was to make copies of inscriptions of architectural monuments located on the territory of Turkey, including Georgian churches. In 1875-76 in the French journal "Le Tour du Monde" he published his article that described this journey and was illustrated with engravings. This article is not known in the scientific world. As we learn from the article, this trip was funded by the Ministry of Education of France, which had supported the nineteenth century researchers in the study of foreign countries. After consideration of the case of Théophile Deyrolle which is in the National Archives of France, it became possible to reconstruct his journey.

In 1869 Théophile Deyrolle took his trip from France to Trabzon, he traveled in the valley of Tortum and then, passing Trabzon and Batumi started for Poti and followed the river Rioni towards Kutaisi. During this journey, Deyrolle studied only the flora and fauna of these regions. In 1870 with the support of his brother Théophile Deyrolle sent a letter to the Minister of Education of France and asked him to enable him to organize an official expedition for the archaeological and entomological studies in Turkey. He received the positive response, the resources needed for the trip and the recommendations of the French Academy of Sciences, which was interested in Urartian inscriptions engraved on rocks near Lake Van. Deyrolle had to take prints of those inscriptions using the technique of Lottin de Laval (which implies making prints in papier-mâché). He went from Trabzon to Lake Van, where he remained for few weeks to make prints.

According to the report sent to the Minister, we learn that Deyrolle had also received recommendations from Nikolai Khanikov, the Russian orientalist. Khanikov advised him to go back to Trabzon through the valley of Tortum to see and draw Georgian churches and take the samples of prints from

inscriptions. In the valley of Tortum, Deyrolle stayed for few weeks, he drew the Tortumi castle and made its plan. Then he visited the Khakhuli, Oshki and Ekeki churches. During his journey he learned about the beginning of the Franco-Prussian war and returned to France to participate in it.

We learn from the archives that the prints of Lake Van inscriptions were kept at the Academy of Sciences in France; they were of good quality and rendered good services to researchers. Unfortunately today it is not yet found where the prints of Georgian churches inscriptions are preserved. Despite it, the reports of Deyrolle's journey and his drawings retain very important information. That is why we hope that the name of Théophile Deyrolle will occupy its deserved place among the European researchers who studied the region of Tao in the nineteenth century.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

თენგიზ სიმაშვილი

დიმიტრი ჯაშის – თბილისის „ოხრანკის" განყოფილების აგენტ „სლუჩაინის" გამჟღავნების ისტორია

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ საბჭოთა პერიოდში გამოსულ წიგნებსა, თუ სტატიებში მრავალი ქრონოლოგიური უზუსტობაა. გაყალბებულია არაერთი ინფორმაცია დიმიტრი ჯაშის შესახებ. პირველ რიგში, ეს შეეხება ილიას მკვლელობის დროს, 1907 წლის აგვისტომდე, დიმიტრი ჯაშის აგენტად გამოცხადებას. ახლად მოძიებული საარქივო მასალების ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიციის ადგილობრივი ორგანოს, თბილისის „ოხრანკის" განყოფილების მიერ დიმიტრი ჯაშის გადაბირება, „დააგენტურება" ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიებისას 1907 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მოხდა. 1908 წელს დიმიტრი ჯაში არ „აქტიურობდა", იქცეოდა როგორც დროებით უმოქმედო, „დაკონსერვებული" აგენტი და ინფორმაციების მიწოდებას თბილისის „ოხრანკის" განყოფილებისათვის მოგვიანებით იწყებს. შესაბამისად, მისი აგენტურული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები – ხელფასის აღების უწყისები, „ოხრანკისათვის" მიცემული აგენტურული ცნობების ამონაწერები მხოლოდ 1909-1911 წლებითაა დათარიღებული.[1]

[1] თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები – ილია ჭავჭავაძის მკვლელები. თბ. 2011, გვ. 32-66. დღეს უკვე გამოქვეყნებული დოკუმენტები იმასაც ადასტურებს, რომ 1905-1906 წლებში დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებთან ძალიან დაახლოებული იყო. მათ შორის რევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაცია „მთაწმინდის ჯგუფის" წევრებთან: ალექსანდრე (საშა) ობოლაძესთან, ილიკო იმერლიშვილთან და სხვებთან. იგი უშუალოდ მონაწილეობდა მათთან ერთად ექსპროპრიაციული აქტების დაგეგმვაში, ფულის შეგროვებაში სოციალ-დემოკრატების „სამხედრო სალაროსათვის". იხ.: თ. სიმაშვილი. რევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაცია „მთაწმინდის ჯგუფი" და ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული პირები. ჟურნ. „ცისკარი". № 9. თბ. 2012.

ჩემს სტატიაში – „თბილისის „ოხრანკის" განყოფილების აგენტი დიმიტრი ჯაში და სოციალისტ-ფედერალისტები"[2] გავაანალიზე მისი როგორც „ოხრანკის" აგენტის საქმიანობა დასახელებულ პარტიაში, ამჟამად კი გაგაცნობთ იმ მასალებს, რომელთა შინაარსი თითქმის მთლიანად ხსნის დიმიტრი ჯაშის როგორც აგენტის გამჟღავნების ისტორიას.

დიმიტრი ჯაშის „ოხრანკის" აგენტობის შესახებ 1911 წლამდე საქართველოში მოქმედ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და არც ფართო საზოგადოებას წარმოდგენა არ ჰქონდათ. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, დიმიტრი ჯაში, აგენტურული მეტსახელით „სლუჩაინი", ინფორმაციის მიწოდებას „ოხრანკისათვის" 1909 წლის მარტიდან 1911 წლის ივნისამდე, ანუ მის დაპატიმრებამდე აგრძელებდა.

დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის გამჟღავნება და ე.წ. „პროვოკატორად" მოხსენიება უკავშირდება 1911 წელს მომხდარ შემდეგ ისტორიას: დიმიტრი ჯაშის მეუღლის, დარია ჯაშის სიტყვებით, მას ჰყავდა „ერთი ბიძაშვილი, ფეხმოჭრილი, სხვათა შორის დიდი მეტიჩარა. დიმიტრი ამ ჩემს ბიძაშვილს დაუდგა თავდებად, მე ვუთხარი შენ ნერვიული კაცი ხარ და თავი დაანებე მაგ საქმეს – მეთქი...". დარია ჯაშის ინფორმაციით, დიმიტრი ჯაშმა მის ბიძაშვილს, ივანე კოპლატაძეს „...ფულით ააღებინა სასტუმრო ვორონცოვზე, ამ სასტუმროს პატრონი გამოუჩნდა მერე ვიღაც ენიკოპლოვი." დარიას სიტყვებით, ნიკოლოზ ენიკოპლოვს სხვადასხვა უსიამოვნებები შეუმთხვევია დიმიტრი ჯაშის ოჯახისათვის.[3]

საარქივო მასალები სხვაგვარად წარმოგვიჩენს საქმის არსს. ივანე კოპლატაძე მისი არასრულწლოვნების გამო, მეურვედ დიმიტრი ჯაში ჰყოლია დანიშნული. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ივანე სიმონის ძე კოპლატაძეს ფეხზე ტრამვაიმ გადაუარა, დაინვალიდდა და მისთვის საკომპენსაციოდ 4000 მანეთი მიუციათ. დიმიტრი ჯაშს და ივანე კოპლატაძეს გადაუწყვეტიათ ერთობლივი საქმიანობის დაწყება, თბილისში ე.წ. „ნიკოლაევსკის ნომრების„ (სასტუმრო) დაქირავება და მართვა. მათ ი. კოპლატაძის მიერ მიღებული ზემოდასახელებული თანხით უყიდიათ სასტუმროსათვის საჭირო ინვენტარი,

[2] თ. სიმაშვილი. თბილისის „ოხრანკის" განყოფილების აგენტი დიმიტრი ჯაში და სოციალისტ-ფედერალისტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2012.

[3] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 215. აღწერა 1. საქმე 17, გვ. 412.

მაგრამ სასტუმროს ასამუშავებლად ჩასადები თანხის მეორე ნაწილი დ. ჯაშს ვერ მოუძიებია. მას ფული არ ჰქონდა და ამით უსარგებლია ნ. ენიკოპლოვს, რომელმაც ჯერ არასასურველი მეურვისგან განთავისუფლება ასწავლა ი. კოპლატაძეს, ხოლო შემდეგ დიმიტრი ჯაშის მაგივრად მისი მეურვე და „კომპანიონი“ გახდა დასახელებული სასტუმროს მართვაში.

თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ერთ-ერთ საქმეში აღმოჩნდა ამ განყოფილების უფროსის, როტმისტრ ლევ კარპოვის მიერ 1911 წლის 25 ივნისს გაგზავნილი წერილის ასლი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსისადმი. იგი წერს, რომ მან „23 ივნისს გვიან საღამოთი მიიღო აგენტურული ცნობები ბომბების და ასაფეთქებელი ნივთიერებების შესაძლო არსებობაზე „ნიკოლაევსკის ნომრებში“. აგენტურული ცნობების მიხედვით, ეს ნივთები ამ სასტუმრო ნომრების მეპატრონე ნიკოლოზ ბენჟამენის ძე ენიკოპლოვს ეკუთვნოდა“ (დოკ. 1-4).[4]

იმავე შინაარსის წერილი მოიპოვება თბილისის საოლქო სასამართლოს იმ საქმეში, რომელიც დიმიტრი ჯაშის მიერ ჩადენილი „პროვოკაციული“ საქციელის, ანუ სისხლის სამართლის დანაშაულის ხელოვნურად შექმნის გამოძიებას შეეხება.[5] საქმე ისაა, რომ თუ რევოლუციონერებისათვის აგენტები და ჯაშუშები „პროვოკატორები“ იყვნენ, მეფის ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლები პროვოკაციად აფასებდნენ და „პროვოკატორებად“ მიიჩნევდნენ დანაშაულის „ხელოვნურად შემქმნელ“ პირებს.[6]

---

[4] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. საზოგადოებრიეი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 80, გვ. 240-244.

[5] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდი 116. აღწერა 1. საქმე 5589, გვ. 199.

[6] იმ დროს იყო შემთხვევები, როდესაც „ოხრანკის“ აგენტები ფულადი ჯილდოს მიღების მიზნით თვითნებურად ქმნიდნენ რევოლუციურ წრეებს, გარშემოიკრეფდნენ რევოლუციურად განწყობილ პირებს, იძენდნენ იარაღს, დგამდნენ საიდუმლო სტამბებს, შემდეგ კი მათ აბეზღებდნენ და „ოხრანკის“ ხელში აგდებდნენ. ზოგჯერ ფარულად დებდნენ შეძლებული ადამიანების, თუ მათთან დაპირისპირებული პირების ბინებში, სამსახურის ადგილზე აკრძალულ ნივთებს, ლიტერატურას და ამის შესახებ პოლიციას აცნობებდნენ. მაგალითად, 1908 წლის ივლისში რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებული განყოფილება ატყობინებდა თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას, რომ „ნავთის საწყობის გამგეს ალტიევს „ოხრანკის“ აგენტმა, რომელიც მასთან საქმეთა მმართველად მუშაობდა, ფარულად ჩაუდო ბომბები, რათა მიეღო ფულადი ჯილდო მისი აღმოჩენისათვის“. იხ.: საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქი-

ზემომოყვანილი დოკუმენტებდან ირკვევა, რომ თბილისის „ოხრანკის" განყოფილების უფროსს, როტმისტრ ლ. კარპოვს, ბომბების შესახებ „აგენტურული ცნობების" მიღებისთანავე გაუცია განკარგულება და ერთდროულად ჩაუტარებიათ ჩხრეკა „ნიკოლაევსკის ნომრებში" და ნ. ენიკოპლოვის საცხოვრებელ სახლში. პოლიციელებს სასტუმროში, ერთ-ერთი ოთახის ბუხარში ოთხი ბომბი, ფოლადის დამტვრეული ნატეხები, ტყვია (ლითონი) და ამავე სასტუმროს სახელწოდებიან ორ ფურცელზე ხელით დაწერილი წერილები უპოვიათ. ერთზე აღმოჩნდა ასაფეთქებელი ნივთიერებებისაგან ბომბების დამზადების ინტრუქცია, ხოლო მეორე წერილი დაწერილი იყო ნ. ენიკოპლოვის სახელზე, რომელშიც ნახსენები იყო სასტუმროს კოჭლი თანამფლობელი ი. კოპლატაძეც. ამ წერილში საუბარი იყო რაღაცა მიზნისათვის ოთხი ბომბის დამზადების და დამუხტვის, ორი „მაუზერის„ და ტყვიების შოვნის აუცილებლობაზე.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, როტმისტრმა ლ. კარპოვმა ტელეფონით ბომბების აღმოჩენის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მოადგილეს და გამოიძახა ექსპერტი, რათა გაერკვია, დამუხტული იყო თუ არა ბომბები. შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან ირკვევა, რომ მან ძალიან იჩქარა. ჯერ ერთი, გაირკვა, რომ ჩხრეკისას აღმოჩენილი დამუხტული ბომბები მხოლოდ ბომბების დასამზადებლად გამოყენებული ლითონის ცარიელი გარსები იყო; მეორეც, აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში თბილისის „ოხრანკის" განყოფილების საიდუმლო აგენტი იყო გარეული. ანუ, როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, როტმისტრმა ლევ კარპოვმა ინფორმაცია „ნიკოლაევსკის ნომრებში" ბომბების შესაძლო არსებობაზე სწორედ თავისი აგენტისგან, ანუ დიმიტრი ჯაშისაგან, მიიღო, რომელმაც ბომბების ლითონის გარსები ფარულად დადო სასტუმროს ერთ-ერთი ოთახის ბუხარში.

ზემოდასახელებული ნივთების აღმოჩენისთანავე ნიკოლოზ ენიკოპლოვი, სასტუმროს მეორე თანამფლობელი „კოჭლი ახალგაზრდა" ივანე კოპლატაძე და სასტუმროში მყოფი სხვა პირები დააპატიმრეს. საარქივო მასალების მიხედვით, ნიკოლოზ ენიკოპლოვი ცნობილი „იატაკქვეშა" ვექილი იყო და არც თუ სახარბიელო რეპუტაცია ჰქონდა.[7] პატიმრობაში მყოფმა ნიკოლოზ ენიკოპლოვმა განაცხადა, რომ ეჭვი ჰქონდა, ბომბების გარსი და წერილები მას

ვი. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 73, გვ. 10.

[7] მინდა აღვნიშნო, რომ დიმიტრი ჯაშიც ეწეოდა ამ სახის საქმიანობას, რაზეც მისი თანამედროვეების მოგონებებშია მითითებული.

მიუგდო – „ქუთაისის გუბერნიის სოფელ აბაშის მცხოვრებმა დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშმა„.[8] თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსი როტმისტრი ლ. კარპოვი იძულებული გახდა დიმიტრი ჯაშის ბინაში ჩხრეკის ჩატარებაზე ნებართვა გაეცა. პოლიციელებმა დიმიტრი ჯაშის ბინის ჩხრეკისას იპოვეს ამ უკანასკნელის ხელით ქაღალდის ნაგლეჯებზე დაწერილი ბომბების დამზადების ინსტრუქცია, რომელიც სასტუმროს ჩხრეკისას ნიკოლოზ ენიკოპლოვის სახელზე დაწერილ წერილებში არსებული ინსტრუქციის იდენტური აღმოჩნდა. "აღნიშნულის საფუძველზე პოლიციამ დიმიტრი ჯაში დააპატიმრა. საქმეც აღიძრა და, შესაბამისად, დიმიტრი ჯაში ბრალდებულ იქნა „ყალბ დაბიზღებაში იმ მიზნით, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ ნიკოლოზ ენიკოპლოვს და ივანე კოპლატაძეს“ (დოკ. 5).

აი, ესაა ის ისტორია, რომელმაც საფუძველი დაუდო დიმიტრი ჯაშის თბილისის „ოხრანკის“ აგენტობისა თუ „პროვოკატორობის“ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ქართულ საზოგადოებაში. სწორედ ამ ფაქტზე წერდა 1917 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ კორესპონდენტი შემდეგს: „ჯაშმა ერთხელ თავის ამხანაგს სახლში ყუმბარები შეუგდო და შემდეგ დაბეზღა, ყუმბარებს ინახავსო. ბოლოს ყველაფერი გამოირკვა და ჯაში სამართალში მისცეს პროვოკაციისათვის. სასამართლოში მოწმედ, სხვათა შორის, დაბარებული იყო ჟანდარმთა როტმისტრი. პროკურორი მას შეეკითხა, ჯაშმა მარტო ეს თავისი ამხანაგი დაბეზღა, თუ საერთოდ ამბავი მოჰქონდა ხოლმეო.“ მოწმედ გამოცხადებულმა ჟანდარმერიის როტმისტრმა განაცხადა, რომ: „ეს სამსახურის საიდუმლოებას შეადგენს და მისი გამომეღავნება არ შეიძლება.“[9]

თბილისის საოლქო სასამართლოს შესაბამის საქმეში არსებულ დოკუმენტში, კერძოდ, 1911 წლის 28-29 ნოემბერს გამართული სასამართლოს განაჩენში, პირდაპირ წერია, რომ ჟანდარმერიის ზემოდასახელებული როტმისტრი დიმიტრი ჯაშის, ანუ აგენტ „სლუჩაინის“ ხელმძღვანელი ოფიცერი, თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსი როტმისტრი ლ. კარპოვი იყო. მასში ნათქვამია – „როგორც როტმისტრ ლევ კარპოვის ჩვენებიდან ჩანს, რომელმაც პროკურორის თანაშემწის კითხვაზე, ხომ არ იყო დიმიტრი ჯაში ის პირი, ვისგანაც მან მიიღო ცნობები სასტუმროში ბომბების არსებობაზე, უარყოფითად კი არ უპასუხა, არამედ კარპოვმა განაცხადა – „ნება მო-

8 საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდი 116. აღწერა 1. საქმე 5589, გვ. 201.
9 შ. ბადრიძე. წიწამურის ტრაგედიის გამოცანები. გაზ. „სახალხო განათლება“. 05. 04. 1990.

მეცით ამ კითხვაზე არ ვუპასუხო, რადგან უფლება არ მაქვს გავამჟღავნო აგენტურული ცნობების მიღების წყარო" (დოკ. 6-7).[10]

სასამართლო პროცესზე თბილისის „ოხრანკის" განყოფილების უფროსის ამ განცხადებამ, ბუნებრივია, ფარდა ახადა დიმიტრი ჯაშის აგენტურულ საქმიანობას. ამით კარგად ისარგებლა ნიკოლოზ ენიკოპლოვმა და აქტიურად შეუდგა მის გავრცელებას და სათავისოდ გამოყენებას. მაგალითად, ნიკოლოზ ენიკოპლოვი 1912 წლის 14 აპრილს თბილისის სასამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის სახელზე გაგზავნილ, დიმიტრი ჯაშის საწინააღმდეგო შინაარსის განცხადებაში სხვა ინფორმაციებთან ერთად წერდა – „დიმიტრი ჯაში ორმაგად დამნაშავეა: თვითონ შექმნა დანაშაული და თვითონვე დააბეზღა, წარმოადგენდა რა სახელმწიფოს ერთგულ მსახურს „ოხრანკის განყოფილების აგენტის" სახით" (დოკ. 8).[11]

სხვა მასალების ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ 1911 წლის ივნისში დაპატიმრებული და იმავე წლის ნოემბერში „ყალბი დაბეზღების" ბრალდებით გასამართლებული დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის გამჟღავნება სწორედ ამ წლის ნოემბერში გამართული სასამართლო პროცესის დროს მოხდა. თბილისის საოლქო სასამართლოს შესაბამის საქმეში არსებული დოკუმენტები ადასტურებს, რომ დიმიტრი ჯაშს 1911 წლის ნოემბრის სასამართლო პროცესამდე ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ენდობოდნენ, არ თვლიდნენ ზემოდასახელებულ საქმეში დამნაშავედ და არც იცოდნენ, რომ იგი თბილისის „ოხრანკის" განყოფილების აგენტი იყო.

ამ მოსაზრებას ადასტურებს 1911 წლის 24 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლოს პირველი სისხლის სამართლის განყოფილების სახელზე გაგზავნილი დიმიტრი ჯაში, განცხადება. იგი წერდა, რომ თავის დამცველებად ნაფიცი ვექილები თავადი იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათოვი და გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა აირჩია. ითხოვდა, ისინი სასამართლოს კანცელარიაში დაეშვათ ბრალდების მასალების გასაცნობად (დოკ. 9-10).[12] ვფიქრობ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, პუბლიცისტის და საერთოდაც გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გიორგი გვაზა-

[10] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდი 116. აღწერა 1. საქმე 5589, გვ. 90.

[11] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. თბილისის სასამართლო პალატა. ფონდი 113. აღწერა 1. საქმე 4471, გვ. 92.

[12] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდი 116. აღწერა 1. საქმე 5589, გვ. 36.

ვასათვის ცნობილი რომ ყოფილიყო დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობა, ამ უკანასკნელის დაცვაზე არ დათანხმდებოდა.

სხვადასხვა დოკუმენტის ანალიზიდან ჩანს, გიორგი გვაზავამ სასამართლო პროცესზე შეიტყო რა დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის შესახებ, მის დაცვაზე, ფაქტობრივად, უარი განაცხადა. ამ დასკვნას დიმიტრი ჯაშის მიერ 1912 წლის 23 იანვრის თბილისის სასამართლო პალატის პირველი სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე დაწერილი თხოვნის შინაარსი ადასტურებს. დიმიტრი ჯაში წერს, რომ მისი დამცველი გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა, რომელსაც ის სასამართლოზე „ჰონორარის გარეშე“ უნდა დაეცვა, ჯეროვნად ველარ ახერხებდა მის დაცვას, რადგან დრო არ ჰქონდა?! ამიტომ დიმიტრი ჯაში ითხოვდა, რომ დამატებით მისთვის არ დაენიშნათ სახაზინო ადვოკატი, რადგან ამ უკანასკნელებს არ ენდობოდა და იგი საკუთარ თავს თვითონ დაიცავდა (დოკ. 11).[13]

ჩემს ზემომოყვანილ მოსაზრებებს გარკვეულწილად, ასევე, ადასტურებს სხვა გარემოებებიც. მაგალითად, 1911 წლის ნოემბერში გამართულ სასამართლო პროცესამდე დიმიტრი ჯაში ითხოვდა, რომ სასამართლოზე მოწმეებად გამოეყვანათ რამოდენიმე პირი, რომელთა შორის იყვნენ იმჟამად პატიმრები – მიხეილ კეჭაყმაძე, ალექსანდრე იმერლიშვილი, სოლომონ ორჯონიკიძე და სხვები. დიმიტრი ჯაშის სიტყვებით, ისინი ივანე კოპლატაძესთან ერთად საკანში ისხდნენ და ამ უკანასკნელს ჰქონდა მათთან ნათქვამი ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც სასამართლოზე გამჟღავნებისას მას გაამართლებდა. თბილისის სასამართლო პალატის პირველი სისხლის სამართლის დეპარტამენტის 1912 წლის 8 თებერვლის ოქმიდან კი ჩანს, რომ მ. კეჭაყმაძის, ა. იმერლიშვილის და სხვების სასამართლოზე გამოცხადებაზე უარი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას სწორედ დ. ჯაშის დამცველმა განაცხადა (დოკ. 12).[14]

ასეა თუ ისე, უამრავი განცხადების, სააპელაციო სასამართლოში შეტანილი საჩივრების და სხვა სახის აქტიურობის შემდეგ დიმიტრი ჯაში 1912 წლის ნოემბერში ციხიდან გაანთავისუფლეს. იგი ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. სხვადასხვა დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, მას, როგორც თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების გამჟღავნებულ აგენტს,

[13] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. თბილისის სასამართლო პალატა. ფონდი 113. აღწერა 1. საქმე 4471, გვ. 24.
[14] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, თბილისის სასამართლო პალატა, ფონდი 113, აღწერა 1, საქმე 4471, გვ. 28.

საქართველოში აღარ დაედგომებოდა.

დიმიტრი ჯაში 1913-1914 წლებში ბაქოს რკინიგზაზე რევიზორად მუშაობდა. ყალბი ბილეთების გაყიდვის გამო დააპატიმრეს და 1915 წლის მარტიდან ნოემბრის ჩათვლით ბაქოში ციხეში იჯდა. საქართველოში 1915 წლის ბოლოს დაბრუნდა და 1916 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან მოქმედ კონტრდაზვერვის განყოფილებაში პოლკოვნიკ ბასოვთან დაიწყო მუშაობა. პოლკოვნიკ ბასოვის დავალებით სამხედრო უწყებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების მიზნით 1916 წლის სექტემბრის ბოლოს იგი ჩასული ყოფილა ელიზავეტოპოლის გუბერნიაში გერმანელებით დასახლებული სოფლებისა და დაბების მცხოვრებლების განწყობილების შესასწავლად. იმავე წლის ნოემბრის დასაწყისში კი შავი ზღვის სანაპიროზე გამგზავრებულა, სადაც ცდილობდა გაერკვია ადგილობრივი მოსახლეობს განწყობა და აგროვებდა კონტრდაზვერვის განყოფილებისათვის საჭირო სხვა ინფორმაციებს.[15]

აი, ასეთი ბიოგრაფიის პატრონი დიმიტრი ჯაში როგორც მენშევიკების მმართველობის პერიოდში, ასევე ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საკმაოდ კარგ, შემოსავლიან ადგილებზე მუშაობდა.[16] დიმიტრი ჯაშის მეუღლის, დარია ჯაშის, მოგონებებში პირდაპირაა ნათქვამი: „მენშევიკების დროს დიმიტრი მსახურობდა სასურსათო ბიუროში, უშუალოდ თვითონ მონაწილეობდა სურსათის შესყიდვასა და მომარაგებაში." მისივე სიტყვებით, ამ საქმიანობის გაწევისას 1921 წელს დიმიტრი ჯაში აზერბაიჯანში საზღვრის გადაკვეთის დროს დაუპატიმრებიათ და დასახვრეტად განწირული ბაქოს ციხიდან ფილიპე მახარაძეს და მამია ორახელაშვილს გაუთავისუფლებიათ. „წითელი არმიის" მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ „დიმიტრი დაინიშნა სერგო ქავთარაძის რეკომენდაციით ქალაქის ერთ-ერთ სურსათ-მომმარაგებლად".[17]

ჩემ მიერ მოძიებული დღემდე გამოუქვეყნებელი სხვა დოკუმენტებიც საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩენენ დიმიტრი ჯაშის ცხოვრების უცნობ ფურცლებს 1921-1922 წლებში. შესაბამისად, ამ თემაზე კვლევას შემდგომში შემოგთავაზებთ.

---

[15] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებული განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისიის ფონდი 1854. აღწერა 1. საქმე 205, გვ. 22.

[16] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება. (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი). ფონდი 8. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამომძიებელი კომისიის საქმეები. საქაღალდე 7, გვ. 123.

[17] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი). ფონდი 8. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამომძიებელი კომისიის საქმეები. საქაღალდე 19, გვ. 150.

1

-1-

240

Арх.ф. № 36, п.№ 2447. л.д.3-5

Копия с копии.

Секретно.

Начальник
Тифлисскаго
Охраннаго отделения.
25 июня 1911 года.
№ 1241.
гор.Тифлис.-

Начальнику Тифлисскаго губернскаго жанд. управления.-

По району.-

Поздним вечером 23 сего июня мною были получены агентурные сведения о возможном нахождении в "Николаевских номерах" в доме № 3, по Некрасовской, бомб и взрывчатых веществ и причастности к ним владельца названных номеров Е н и к о л о п о в а, проживающего не в номерах, а в собственном доме, по Артиллерийской улице.

По докладе о вышеизложенном Вашему высокоблагородию и получении разрешения на производство обысков, мною, по выяснении места жительства названного ЕНИКОЛОПОВА, было сделано распоряжение о производстве одновременных обысков, как в номерах, так равно и в принадлежащем ему доме № 15, по Артиллерийской улице, для каковой цели вместе с полицейским нарядом были командированы штабс-капитан ротмистр К е Д л ь и полицейские надзиратели вверенного мне отделения.

Произведенным в "Николаевских номерах" обыском в нечке номера 12-го, занятого приехавшим мною 23 сего июня из станицы Асалобной, Терской области и назвавшимся торговцем, жителем сел. Шулавера, Борчалинского уезда, Тифлисской губ. Георгием Михаиловым Т е р - С и м о н о в ы м (СИМОНЯНЦ), обнаружены были четыре бомбы, 69 кусков лопнувшей стали и свинца и записка без подписи, написанная карандашем на двух бланках номеров на имя ЕНИКО-

2 -2-

ЛОПОВА, в коей говорится о хромом сокладельце названных номеров, каковым является ЖАПЛАТАДЗЕ о четырех бомбах, их снаряжении и необходимости достать два маузера и патронов, а кроме того у названного Тер-Симонянца обнаружено 536 руб. денег, четыре кольца с драгоценными камнями и золотые часы и медальон.

По обыску-же в доме БНИКОЛОПОВА № 15, по Артиллерийской ул., взята для просмотра переписка и вместе с тем установлено, что в названном доме проживает его брат помощник надзирателя Константин Иванович БНИКОЛОПОВ и находится аптекарский склад и лаборатория, принадлежащие последнему.

По обнаружении означенных бомб, было доложено по докладе Вам тотчас-же было сообщено по телефону товарищу прокурора окружного суда УТНЕЛОВУ и вызван эксперт капитан артиллерии СУШИЛЬНИКОВ для определения, снаряжены ли означенные бомбы и возможности их переноски, при чем оказалось что таковые представляют собой только вполне законченные жестяные оболочки бомб удаленного самозарывчатого действия, которые могут в каждое нужное время быть снаряжены.

В силу изложенного содержатель номеров Николай Иванович БНИКОЛОПОВ, его совладелец, хромой молодой человек Иван Семенович ЖОПЛАТАДЗЕ и постоялец номера 12-го ТЕР-СИМОНЯН арестованы, а вместе с тем временно арестованы до выяснения обстоятельств дела проживающие в означенных номерах без определенных занятий студент Московского университета, дворянин Курской губернии, Владимир Михайлович ЛАРАКУЛИН и помещик: дворянин Кутаисской губ. Михаил Георгиев Л а ш х и и Александрат Малхозович Д а ч а в а р и а н и, а также вследствие того, что первоначальном расспросе полиции об обнаруженных бомбах Николай БНИКОЛОПОВ высказал свое предположение, что оболочки для бомб и записку мог подложить винт... ранее в номере 12-м "Николаевских номеров" Максим... т а р и я, из мести к нему, БНИКОЛОПОВУ, много было

243 3

-4-

1909 г. при следующих обстоятельствах: после смерти Ти-
ского богача. Григория ВАЯНДУРОВА, все громадное богатст
которого должно было перейти единственной наследнице и
кольного-вдове его, однофамильцы покойного ВАЯНДУРОВА ст
пред"являть права на наследство, при чем один из них Ни-
колай ВАЯНДУРОВ прибег к помощи известного "подпольног
адвоката Николая ЕНИКОЛОПОВА, который заключил с Никол.
Баяндуровым домашнее условие о том, что, по выигрыше эт
го дела, ЕНИКОЛОПОВ должен получить половину наследства.
Вдова же покойного Баяндурова в свою очередь ведение де
поручила своему брату ЛАЧАРОВУ. Так как после заключени
условия Николая Баяндурова с Ениколоповым-Лачаров стал
получать угрожающие письма и даже в под"езд его дома б
брошена бомба, которая взорвалась, не причинив никакого
вреда, то не было сомнения, что инициатором таких явле-
ний является именно Николай ЕНИКОЛОПОВ, почему он и б
задержан со всеми своими сотрудниками и при рапорте
4-го апреля 1909 г. за № 526, был представлен г. Тифлис
му полицеймейстеру с ходатайством, о выдворении его из
пределов Тифлисского генерал-губернаторства. Обыск-не
квартире ЕНИКОЛОПОВА произвел пристав I-го участка г. Т
ГИН, который в квартире нашел две записных книжки, 17 п-
сем, 2 заметки и 7 телеграмм. Более у него ничего не б
отобрано. 4-го марта 1910 г., при надписи господина Ти
ского полицеймейстера за № 439, было получено прошение
ЕНИКОЛОПОВА, о возвращении ему отобранных у него при
обыске в его квартире берданки за № 64308, револьвера
системы "Наган" и 34 патрона к нему. Означенное проше
9-го марта того-же года за № 733 было представлено Ти
скому полицеймейстеру со справкой о том, что об оружи
ЕНИКОЛОПОВА сведений не имеется.

Вместе с сим в виду заявления Николая Вениаминовича Е
КОЛОПОВА, сделанного при допросе, о том, что кроме ЛО
ТИНА он подозревает, что оболочки бомб и вышеозначенны

4 -6-

записка на его имя могли быть подложены жителем селения Абаши, Кутаисской губернии и уезда Дмитрием Сапроновым Д и а ш и, последний сего числа обыскан и арестован и вместе с вышеперечисленными лицами представляется в распоряжение Военно-Окружного Благородия.

К сему присовокупляю, что по распоряжению прокурора Тифлисского Окружного суда, следователем I-го участка II-го Мирового отдела ИВАНОВЫМ, по обнаружении оболочек бомб, возбуждено предварительное следствие.

П р и л о ж е н и е : Переписка на 38-ми листах и вещественные доказательства в 7-ми свертках и сверток за печатями пристава 8-го участка и полицейского надзирателя Ф.5, с 536 рублями и перечисленными выше золотыми вещами, каковой сверток в отделении вскрыт не был.-

Подлинное подписал Ротмистр. . . КАНПОВ.-

С подлинным в е р н о :

Делопроизводитель Музея Революции

5 № 22634. 179

ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА,
ОДЕРЖЦА ВСЕРОССІЙСКАГО
ТИФЛИССКОЙ СУДЕБНОЙ ПАЛАТЫ.

Правительствующій Сенатъ

Судебная Палата

казу ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА, Правительствующій Сенатъ въ
юмъ засѣданіи слушалъ: I/ двѣ кассаціонныя жалобы Дмитрія Джашу, обвиняе-
о 940 ст. Улож. о Нак., на приговоръ Тифлисской Судебной Палаты
ссаціонный протестъ на этотъ приговоръ Товарища Прокурора каз-
Палаты Васильева. Разсмотрѣвъ настоящее дѣло, Правительствующій
находитъ: По кассаціонному протесту: указанія на нарушеніе 797
У.С. и на неправильное примѣненіе къ виновности Джаши 940 ст. Ул.
, вмѣсто I ч. 987 ст. того же Уложенія, не заслуживаютъ уваже-
ъ какъ: I/ основанія, по которымъ Палата признала, что подсуди-
изготовилъ не четыре оболочки для метательныхъ снарядовъ, а лишь
е оболочекъ для бомбъ, не подлежатъ повѣркѣ въ кассаціонномъ по-
/ рѣш. 1871 г. № 641 и др./ и выводъ этотъ, вопреки утвержденію
та, нисколько не противорѣчитъ заключенію эксперта, данному въ
ромъ засѣданіи / провер. Окр. Суда л. 123 об./; 2/ установивъ въ
ихъ приговорѣ, что Джаша виновенъ въ томъ, что съ преступною цѣлью
ленія лживаго доноса и навлеченія уголовнаго преслѣдованія и наказа-
на невинныхъ, изготовилъ четыре подобія оболочекъ для метательныхъ
ядовъ и затѣмъ опряталъ въ печкѣ одного изъ номеровъ гостинницы
колаевскія номера" въ городѣ Тифлисѣ, гдѣ они, по его доносу, были
ны чинами охраннаго отдѣленія, что повлекло за собою взятіе подъ

казу состоялась въ « 4 » Опредѣленія Уголовнаго Кассаціоннаго
ующаго СенатаС Е Н Т Я Б Р Я 13-ГО дня 1912 года.

6

по порядку.	Обвиняемые, гражданскіе истцы, частные обвинители, свидѣтели	Куда, когда и за какими №№ посланы повѣстки.	Когда повѣстки вручены.
1.	Максимъ Антимовъ ЛОМДЖАРІЯ		
2.	Дмитрій Софроновъ ДЖАПИ		
	СВИДѢТЕЛИ:		
1.	Левъ Владиміровъ КАРПОВЪ		
2.	Федоръ Семеновъ ТРЕПЕНИНЪ		
3.	Георгій Михайловъ ТЕРЪ-СИМОНЯНЦЪ		
4.	Николай Семеновъ ЧИКОДОПОВЪ		
5.	Иванъ Семеновъ КАПЛАТАДЗЕ		
6.	Калистратъ Малакіевъ МАДЧАВАРІАНИ		
7.	Михаилъ Гинторовъ ЛАХАМ		
8.	Мавра Леонтьева ГУСЕВА		
9.	Екатерина Михайлова ОБЧИННИКОВА		

125
9.

письма, которое и помѣстилъ въ печи вмѣстѣ съ разрывными снарядами. Имѣя засимъ въ виду, что бомбы были вложены въ печь съ цѣлью мести Ениколопову и Каплатадзе, что сообщеніемъ охранному отдѣленію о мѣстѣ нахожденія бомбъ былъ заинтересованъ никто иной, какъ тотъ субъектъ который изготовилъ снаряды и распорядился ихъ уложить въ печь, что сообщеніе это учинилъ подсудимый Джаши, какъ это видно изъ показанія ротмистра Льва Карпова, который на вопросъ Товарища Прокурора, не былъ-ли самъ Джаши тѣмъ лицомъ, отъ котораго было получено свѣдѣніе о нахожденіи въ комсрахъ бомбъ, отвѣтилъ не отрицательно, а словами: "позвольте мнѣ на этотъ вопросъ не отвѣчать, такъ какъ я не вправѣ обнаруживать источника агентурныхъ свѣдѣній".- Окружный Судъ находитъ Джаши виновнымъ въ преступленіи, предусмотрѣнномъ 987 I ст. улож. о нак. Наказаніе за оное полагается по 2 ч. 31 I ст. улож. о нак. Невѣжество и легкомысліе подсудимаго даютъ суду право понизить это наказаніе на 2 степени и Судъ присуждаетъ подсудимаго къ наказанію по 2 ст. 31 ст. улож. въ низшей оной мѣрѣ. Равнымъ образомъ Судъ считаетъ возможнымъ зачесть подсудимому Джаши и предварительный арестъ, согласно 152 I ст. улож. о наказ.-

8

доносчикомъ, въ лицѣ, якобы, агента охраннаго отдѣленія, на мой взглядъ, является большимъ преступникомъ, чѣмъ Іуда предъ Спасителемъ Міра, ибо, Іуда, не создавалъ самъ преступленія, а указалъ, лишь, предательскимъ поцѣлуемъ Того, Кого искали, но Джаши, вдвойнѣ преступникъ: самъ создалъ западню-преступленіе и самъ доноситъ, являясь въ лицѣ Государственнаго вѣрнаго служаки-агента охраннаго отдѣленія."

20 Марта с.г. разбиралось въ Варшавѣ дѣло о трехъ агентахъ охраннаго отдѣленія-Михайловѣ, Ласскомъ и Хушѣ, подложившимъ снаряды домовладѣльцу, но безъ предварительнаго подложенія письма и указанія лишь, а лишь только съ провокаціонною цѣлью, наказать домовладѣльца за каковое преступленіе, всѣ трое приговорены на 4 г. да арестантскихъ отдѣленій. Но тутъ рѣчь шла о томъ, что мстили постороннему; какому-же наказанію достоинъ Джаши, создавшій преступленіе, чтобы погубить не только меня, посторонняго человѣка, но своего родственника, двѣ ни въ чемъ не повинныя души?

Не хотя обременять Судъ, болѣе распространенными данными и положеніями гнусной провокаціи Джаши, ибо, все ясно и доказано я покорнѣйше прошу Судебную Палату, отъ себя и попечительству моего мною Ивана Коплотадзе, чтобы, необременить, какъ самый Судъ такъ и Судебный персоналъ, при новомъ, мною и Коплотадзе, возбужденіи дѣла, привлеченія къ отвѣтственности Джаши по 940 ст. Улож. о Наказ., если Судебная Палата найдетъ возможнымъ, подвергнуть Джаши наказанію, по совокупности къ обвиненію его по 987½, 2 ч. 31½, 134 и 135 и 2 ст. и 31 ст. Улож. о Наказ., по 940 ст. Улож. Наказ., въ той мѣрѣ, если-бы Провидѣнію не угодно было бы спасти насъ отъ незаслуженнаго наказанія и благодаря энергичному и умелому веденія слѣдствія г.г. Слѣдователемъ Ивановымъ и Товарищемъ Прокурора Окружнаго Суда- Эфенди, обнаружившимъ явную виновность въ созданіи гнусной провокаціи г. Джаши, что бы погубить насъ подверглись бы наказанію по примѣненной къ намъ первоначально ст. прим. 987½ Улож. о наказ., а также присудить съ обвиняемаго Джаши, въ пользу мою и въ пользу Каплатадзе, по 1500 руб. за причиненныя намъ убытки закрытіемъ гостинницы въ теченіи 4-хъ мѣсяцевъ, -лишеніемъ свободы по 3½ мѣсяца каждаго и умеренъ:

9

Срочно.
36. 39

Въ Тифлисскій Окружный Судъ.

По 1му Уголовному Отдѣленію.

ПРОКУРОРЪ ТИФЛИССКАГО
24 ОКТ. 1911
Окружнаго Суда.
Вход. № 18848

Содержащагося подъ стражей обвиняемаго Димитрія Соломоновича Джаши,

Заявленіе.

Избравъ своимъ защитникомъ присяжнаго повѣреннаго князя Іосифа Алексѣевича Гаратова и Георгія Тамазовича Цвазава, прошу Окружный Судъ допустить означенныхъ моихъ защитниковъ къ обозрѣнію слѣдственнаго матеріала въ канцеляріи суда и выдать имъ удостовѣреніе на свиданіе со мною въ Метехскомъ замкѣ для выслушанія ихъ юридическихъ совѣтовъ въ настоящій важный моментъ процесса, чтобы заблаговременно подготовиться къ защитѣ.

При этомъ прошу также вызвать меня въ канцелярію суда для ознакомленія въ деталяхъ съ слѣдственнымъ производствомъ и, относящимся дѣломъ.

Димитрій Соломоновичъ Джаши.

24 октября 1911 года,
Метехскій замокъ.

Резолюція: Димитрій Джаши содержится въ Тифлисскомъ Метехскомъ замкѣ по 1му обвиненію его въ преступленіи предусмотрѣнномъ 987 ст. 1 ч. а наказ, числится содержаніемъ Тифлисскимъ Окружнымъ Судомъ.

Помощникъ [illegible] Ст. [illegible]

10

б

ника в будущей жизни членов семейства, общества и государства, а не обыватель или надо преступных элементов.

На основаніи всего изложенного, имѣя честь имѣю почтительнѣйше просить Тифлисскую Судебную Палату, по провѣркѣ всѣхъ приведенныхъ мною обстоятельствъ, обжалованный приговоръ Окружнаго Суда отъ 28-29 ноября 1911 года отмѣнить, признать меня невиновнымъ и по суду оправданнымъ, и въ гражданскомъ искѣ отказать.

Въ засѣданіи Судебной Палаты прошу вызвать и заслушать моего, приходящаго потерпѣвшаго Георгія Бежановича Цвазава.

Апелляціонный отзывъ этотъ подписанъ представленіе въ Тифлисскій Окружный Судъ, по Уголовному Отдѣленію.

Димитрій Сопроновичъ Джапи.

P.S. Всѣхъ вышеизложенныхъ въ жизнь сверху словами прошу вѣрить.

21-го декабря 1911 года.

Д.С. Джапи

Кіевскій тюремный замокъ.

Подлинникъ Дмитрій Джапи

Содержится въ Тифлисскомъ Метехскомъ

замкѣ съ 1911 года, изъ

Тифлисскаго Окружнаго Суда приговоръ по дѣлу

о ... его ... Дмитрія

Джапи содержаться за Тифлисскомъ Окружномъ Судомъ

Помощникъ ...

11

24/5

Его Превосходительству
Господину Председателю 1-го Уголовного Департамента
Тифлисской Судебной Палаты.

Обвиняемого Дмитрія Константиновича Джаши

ПРОКУРОРА ТИФЛИССКАГО ОКРУЖНАГО СУДА

Прошеніе

Сегодня, 22 февраля, мнѣ объявлено отношеніе Судебной Палаты по 1-му Угол. Д-ту отъ 18 февраля 1912 г. за № 6530 въ отвѣтъ на прошеніе мое о вызовѣ меня въ Канцелярію Палаты для обсужденія дѣла, коимъ мнѣ объявляется, что въ дѣлѣ моемъ допущенъ защитникомъ, а если его у меня нѣтъ, то мнѣ будутъ назначены таковой отъ Палаты; если же я согласенъ о личномъ обсужденіи дѣла, тогда эта возможность предоставлена мнѣ въ день судебнаго засѣданія.

Имѣя почтительнѣйше доложить Вашему Превосходительству, что защитникомъ моимъ состоитъ Прис. Повѣренный Георгій Степановичъ Цазава, который вызвалъ защитника меня и въ судѣ, и въ Палатѣ совершенно невозможно, видя мое безвыходное положеніе и крайнѣ. важныя дѣйствія. Поэтому я не имѣю правильнаго права требовать отъ Прис. Повѣр. Цазава тратить долгое для него время на обсужденіе его дѣла, не получая за трудъ рѣшительно никакого гонорара. Обращаясь же на назначеніе защитника и подготовки таковаго защитника подсудимаго, какъ я лично убѣдился за время моей бывшей судебно журналистической дѣятельности, совершенно безнадежная надежда, поэтому я отказываюсь отъ назначенія мнѣ защитника. Но помимо Прис. Повѣренного г. Цазава, я намѣренъ защищать себя самъ, ибо кому лучше можетъ быть извѣстно сложное дѣло, кто больше всего интересуетъ собственная участь, какъ самому подсудимому. Въ день же судебнаго засѣданія я не смо-

12 Дѣло № ..... столъ .....

Копія

28 29

1912 года февраля 8 дня. По указу Его Императорскаго Величества, Тифлисская Судебная Палата, по 1-му Уголовному Департаменту въ ..... засѣданіи, въ слѣдующемъ составѣ: Предсѣдатель С.А.Богородскій

Члены Палаты { В.К.Орловскій и В.В.Болдыревъ

при помощникѣ Секретаря Долженковѣ съ участіемъ Товарища Прокурора В.И.Васильева слушав/ выслушавъ вступившее въ апелляціонномъ порядкѣ дѣло о подсудимомъ Дмитріѣ Джаши, обвин. по 2 ч. 987 I ст. Улож. о наказ. съ ходатайствомъ подсудимаго о производствѣ новой экспертизы "письма къ Екиколопову", объ экспертизѣ почерка Горбачева, о вызовѣ свидѣтелей, а также и прошеніе подсудимаго отъ 6 января 1912 г. объ освобожденіи его изъ подъ стражи на поруки и принимая во вниманіе: I/ что экспертизой надъ составляющимъ вещественное доказательство письмомъ и почеркомъ подсудимаго достаточно разъяснены вытекающіе изъ нея вопросы и въ новой экспертизѣ чрезъ Стратонова, Бѣлинскаго и Кобякова нѣтъ никакой надобности, тѣмъ болѣе, что противъ заключеній опрошенныхъ уже экспертовъ подсудимымъ не приведено никакихъ достойныхъ уваженія объясненій; 2/ что въ сличеніи указаннаго письма съ почеркомъ Горбачева не представляется никакой надобности, такъ какъ Горбачевъ никакого отношенія къ настоящему дѣлу не имѣетъ; 3/ что отъ допроса на судѣ свидѣтелей Кечокидзе, Имерлишвили, Ройнова и Орджаникидзе защитникъ подсудимаго Джаши отказался на судебномъ по сему дѣлу слѣдствіи въ засѣданіи Окружнаго Суда; въ своемъ апелляціонномъ отзывѣ Джаши не приводитъ достойныхъ уваженія основаній къ вызову этихъ свидѣтелей въ засѣданіе Палаты, а потому ходатайство его о вызовѣ этихъ свидѣтелей не заслуживаетъ уваженія; 4/ что также неосновательной представляется и просьба подсудимаго Джаши о вызовѣ свидѣтеля Карпова по неуказанію, какія именно обстоятельства возможно выяснить дополнительнымъ допросомъ этого свидѣтеля; 5/ что ссылка подсудимаго на Хундадзе въ подтвержденіе заема у него денегъ по двумъ векселямъ всего въ сумѣ 400 руб. для дѣла значенія не имѣетъ, такъ какъ если бы

Tengiz Simashvili

HISTORY OF UNCOVERING OF "OKHRANKA" TBILISI DEPARTMENT'S AGENT "SLUCHAINI" – DIMITRI JASHI

Summary

New documents are found about Dimitri Jashi, steward of Ilia Chavchavadze. The content of these documents almost completely opens history of Dimitri Jashi as agent. From the above mentioned documents, it is clear that the books published during the Soviet period include false information about Dimitri Jashi.

From the analysis of newly researched material, Dimitri Jashi became "Okhranka" agent in September - October 1907 during the investigation of Ilia Chavchavadze's murder.

Neither political parties in Georgia, nor society had any idea about Dimitri Jashi as "Okhranka" agent till 1911. According to the archive material, Dimitri Jashi, with nickname "Sluchaini," was permanently providing the information for "Okhranka" from 1909 to June 1911, before his arrest.

Content of the archive material shows that Dimitri Jashi gave false information concerning the possible of existence of bombs in hotel room of the head of "Okhranka" Tbilisi Department, L. Karpov. He himself secretly put the bombshells and letter mentioning the owners of the hotel in one of the rooms of the hotel. D. Jashi had personal controversy with those persons and the wish to arrest them by the police. During the investigation, police had confirmed that Dimitri Jashi committed a crime and he was charged on "the false denunciation".

This investigation and court trial revealed Dimitri Jashi, as "Okhranka" agent. The article includes the photocopies of those documents which confirm these conclusions.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

მიხეილ ბახტაძე

გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე

1921 წლის 24 თებერვალს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. გენერალ-ლეიტენატი ილია ოდიშელიძე იყო ერთადერთი, რომელიც მთავარსარდლის გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა. ძნელია ილია ოდიშელიძის პიროვნების ცალსახად შეფასებ, თუმცა ერთი რამ ცხადია, ის ძალიან მაღალი დონის პროფესიონალი იყო.

ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე 1865 წლის 25 მარტს დაიბადა. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და 1885 წელს სწავლა მოსკოვში, ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელში განაგრძო[1].

. 1888 წელს 1-ლი ხარისხით დაამთავრა სასწავლებელი და პოდპორუჩიკის წოდებით 39-ე საარტილერიო ბრიგადაში გაიგზავნა.

1891 წლის 7 აგვისტოს პორუჩიკის წოდება მიენიჭა.

1891-1894 წლებში გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემიაში სწავლობდა, რომელიც 1-ლი თანრიგით (1-й разряд) დაამთავრა და კავკასიის სამხედრო ოლქში იქნა გამწესებული. საინტერესოა, რომ აკადემიაში სწავლისას ოდიშელიძის კურსელი იყო შემდეგ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მაჰომედ სულკევიჩი. 1919 წლის 16 ივნისს სხვებთან ერთად გენერლები ოდიშელიძემ და სულკევიჩიმაც მოაწერეს ხელი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულ სამხედრო ხელშეკრულებას.

1894 წლის 18 მაისს ოდიშელიძეს შტაბს-კაპიტნის წოდება მიენიჭა.

---

[1] ცნობები ილია ოდიშელიძის მოღვაწეობაზე 1918 წლამდე მოპოვებულია შემდეგი ინტერნეტრესურსების გამოყენებით: http://regiment.ru – Русская императорская армия; http://ru.wikipedia.org/; http://www.hrono.ru; http://belrussia.ru- Общественно-исторический клуб «Белая Россия»; http://www.grwar.ru- Русская армия в великой войне.

1895 წლის 4 აგვისტოს კავკასიის კაზაკთა მე-2 დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად დაინიშნა.

1896 წლის 24 მარტს კაპიტნის წოდება მიენიჭა. იმავე წლის 1 ნოემბერს კავკასიის მსროლელთა მე-2 ბატალიონში ასმეთაური გახდა.

ამის შემდეგ ილია ოდიშელიძე ბალტიისპირეთში გადაიყვანეს, სადაც 1897 წლის 23 სექტემბერს უსტ-დვინის სიმაგრის შტაბის სამწყობრო განყოფილების უფროსად დაინიშნა. ეს სიმაგრე მდინარეების დასავლეთ დვინისა და ბალდერას შესართავში მდებარეობდა. რიგის ყურიდან 5 ვერსში, ხოლო ქალაქ რიგიდან 15 ვერსში სარკინიგზო ხაზით. მოსახლეობა დაახლოებით 2 ათასი კაცი იყო.

1900 წლის 28 სექტემბერს ილია ოდიშელიზე უსტ-დვინის სიმაგრის შტაბის უფროსად დაინიშნა, ხოლო 6 დეკემბერს პოდპოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

1902 წელს ოდიშელიძე შორეულ აღმოსავლეთში გადაჰყავთ. 31 ივლისს ის აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-6 ბრიგადის შტაბ-ოფიცრად ინიშნება. ამავე წელს იღებს თავის პირველ ჯილდოს — წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენს.

1904 წლის 27 იანვარს რუსეთ-იაპონიის ომი იწყება. 24 თებერვალს ოდიშელიძე აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-6 დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად ინიშნება. იმავე წლის 22 სექტემბერს ის აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-3 დივიზიის (მეთაური გენერალ-ლეიტენანტი კაშტალინსკი) შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად გადაჰყავთ. სწორედ ამ თანამდებობაზე გაატარა მან მთელი ომი. დივიზია მანჯურიის I არმიის (სარდალი გენერალ-ადიუტანტი ლინევიჩი) შემადგენლობაში შედიოდა.

1904 წელს ოდიშელიძე მდინარე შახესთან (22 სექტემბერი-5 ოქტომბერი) გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდა. იმავე წლის ბოლოს, 6 დეკემბერს კი პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა წარჩინებისთვის.

1905 წელს პოლკოვნიკმა ოდიშელიძემ მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომის ყველაზე მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლაში მუკდენთან (19 თებერვალი-10 მარტი). იმავე წელს ილია ოდიშელიძე სამი ორდენით დაჯილდოვდა: წმინდა ანას III ხარისხის ხმლებითა და ბაფთით, წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ხმლებითა და ბაფთით, წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ხმლებით. 29 მარტს კი ოქროს იარაღი გადაეცა წარწერით „მამაცო-

ბისათვის".

1906 წლის 11 მარტს ოდიშელიძე აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-3 პოლკის უფროსი გახდა. იმავე წელს გადაეცა წმინდა ანას II ხარისხის ორდენით, ხმლებით.

1907 წლის 31 ივლისს ის აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-11 პოლკის მეთაურად დაინიშნა. 19 სექტემბერს კი წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1909 წელს ილია ოდიშელიძე შუა აზიაში გადაჰყავთ და პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ის თურქესტანის სამხედრო ოლქში მსახურობს. 30 ოქტომბერს თურქესტანის სამხედრო ოლქის სარდლის დავალებათა გენერლის მოვალეობის შემსრულებლად ინიშნება. სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს გაიცნო ილია ოდიშელიძემ შტაბს-კაპიტანი ბორის შაპოშნიკოვი. შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი, გენერალური შტაბის უფროსი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე. თავის მოგონებებში შაპოშნიკოვი წერს, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ ტაშკენტში გაანაწილეს. ქალაქში ჩასვლის შემდეგ ოლქის გენერალ-კვარტირმაისტერის მოვალეობის შემსრულებელ პოლკოვნიკ ოდიშელიძეს წარუდგინეს. შუა ხნის პოლკოვნიკი, რუსეთ-იაპონიის ომისთვის წმინდა გიორგის ორდენით დაჯილდოებული ოდიშელიძე ჭკვიანი და გაბედული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდაო, ასე ახასიათებას მას შაპოშნიკოვი.

1910 წლის 16 ივლისს მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა წარჩინებისთვის და ავტომატურად ოლქის სარდლის დავალებათა გენერლი გახდა.

1911 წლის 9 ნოემბერს ილია ოდიშელიძე სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორად ინიშნება.

1912 წლის 6 დეკემბერს გენერალ-მაიორი ოდიშელიძე წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1914 წლის 9 იანვარს ილია ოდიშელიძე თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ხდება. ამ პოსტზე მოუსწრებს მას პირველი მსოფლიო ომი.

ოდიშელიძის შუა აზიაში სამსახურის დროს ოლქის სარდალი კავალერიის გენერალი ალექსანდრე სამსონოვი იყო. ეს სწორედ ის სამსონოვია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ პრუსიაში მოქმედ მე-2 არმიას სარდლობდა და ტანენბერგთან სასტიკი მარცხი იწვნია, რომლის შემდეგაც თავი მოიკლა.

ილია ოდიშელიძეს 1914 წლის 11 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენატის წოდება ენიჭება და პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე იგზავნება. 13 ოქტომბერს ის ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის (სარდალი გენერალი რუზსკი) მე-10 არმიის (სარდალი გენერალი სივერსი) შტაბის უფროსად ინიშნება. 25 ოქტომბერს ოდიშელიძე იღებს წმინდა ანას I ხარისხის ორდენს ხმლებით. 23 დეკემბერს 1-ლი არმიის (სარდალი გენერალი ლიტვინოვი) შტაბის უფროსად გადაჰყავთ. ამ პოსტზეა გენერალ-ლეიტენანტი ოდიშელიძე 1917 წლის 16 იანვრამდე.

1917 წლის 16 იანვრიდან 12 სექტემბრამდე ის XV საარმიო კორპუსის მეთაურია. ამის პარალელურად, 12-დან 24 აპრილამდე, ის 1-ლ არმიასაც ხელმძღვანელობდა.

1917 წლია 12 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ოდიშელიძე დასავლეთის ფრონტზე (სარდალი გენერალი ბალუევი) მოქმედი მე-3 არმიის სარდალია.

1917 წლის 2 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე კავკასიის არმიის სარდლად ინიშნება და საქართველოში ბრუნდება. ძალიან რთულ პერიოდში მოუწია ილია ოდიშელიძეს კავკასიის არმიის სარდლობა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნელ-ნელა რუსეთის არმიის დეზორგანიზაცია, დემორალიზაცია და დაშლა დაიწყო. 25 ოქტომბერს მოწყობილი გადატრიალებისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ეს პროცესები უკვე შეუქცევადი გახდა. ოდიშელიძე ცდილობდა კავკასიის არმიის დაშლა შეეჩერებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. კავკასიის ფრონტი იშლებოდა და ამას ვერაფერი შეაჩერებდა. ილია ოდიშელიძის მცდელობა, რომ ოსმალეთის არმიისათვის წინააღმდეგობა გაეწია და მისი წინსვლა შეეჩერებინა უშედეგო აღმოჩნდა. შექმნილ ვითარებაში კავკასიის ჯერ კიდევ, თუნდაც ფორმალურად, არსებული არმიის მთავარსარდალმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ეროვნული შენაერთების შეჭას შეუწყო ხელი. 1918 წლის ზამთარში კავკასიის არმიამ ფაქობრივად არსებობა შეწყვიტა. ამ დროისათვის ილია ოდიშელიძე ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწეა.[2] არსებობს ინფორმაცია, რომ ამ თანამდებობიდან ილია ოდიშელიძე სომეხი პოლიტიკოსების მოთხოვნის შედეგად გაათავისუფლეს, ნაციონალისტური გამოსვლების გამო.[3]

საკმარისია თვალი გადავავლოთ ილია ოდიშელიძის კარიერას რუსე-

[2] ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. პარიზი. 1953, გვ. 121.

[3] http://regiment.ru/index.htm – Русская императорская армия.

თის არმიაში, რომ დავრწმუნდეთ, ამ პიროვნებას პროფესიონალიზმთან ერთად საოცრად დიდი გამოცდილება ჰქონდა. ჩვენი აზრით, არც ერთ ქართველ გენერალს არ ჰქონდა ამხელა საბრძოლო და, ზოგადად, სამხედრო გამოცდილება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გენერალი ოდიშელიძის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ამიერიდან ის საქართველოს სამსახურში დგება და სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის სამხედრო ცხოვრებაში.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მისი პირველი პოსტი სამხედრო მინისტრის მოადგილეობა იყო.

სამხედრო მინისტრ გიორგაძის 1918 წლის 24 ივნისის №17 ბრძანებით ილია ოდიშელიძე სამხერო მინისტრის ამხანაგად ანუ მოადგილედ დაინიშნა.[4] თუმცა ამ პოსტზე მას დიდხანს არ უმუშავია. იმავე წლის 16 აგვისტოს პირადი განცხადების საფუძველზე გენერალი ოდიშელიძე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, მინისტრის განკარგულებაში დატოვებით[5]. რამ განაპირობა ოდიშელიძის გადაწყვეტილება, სამწუხაროდ, უცნობია.

ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სექტემბრის დასაწყისში ილია ოდიშელიძე სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეა.[6]

იმავე წლის 25 სექტემბერს ინფანტერიის გენერალი ილია ოდიშელიძე იმ კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება, რომელსაც ყველა საჭირო წესდების გადასინჯვა, თარგმნა, გამოცემა, სამხედრო ფორმის ახალი პროექტის განხილვა და ჯარების სამსახურთან და მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საქმეების განხილვა ევალებოდა[7]. ამ კომისიის წევრები ასევე იყვნენ: ინფანტერიის გენერალი გაბაშვილი, გენერალ-მაიორი არჯევანიძე, „თავისუფალი ხელოვანი" შევარდნიძე[8] და სხვ. კომისიის მდივანი კი პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე იყო.

1919 წლის 28 მაისს პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „თანახმად გენერალ ოდიშელიძის განკარგულებისა ყველა ლაშქრის ოფიცრებს სამ-

[4] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №14. 1918 წელი 10 აგვისტო.
[5] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №21. 1918 წელი 21 აგვისტო.
[6] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №32. 1918 წელი 3 სექტემბერი.
[7] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №64. 1918 წელი 12 ოქტომბერი.
[8] ცხადია აქ დიმიტრი შევარდნაძე იგულისხმება, რომელიც საკარაუდოდ ახალი სამხედრო ფორმის შემუშავებაში მიიღებდა მონაწილეობას.

სახურის გარეშე ეკრძალებათ ატარონ რაიმე სასროლი იარაღი".[9] საფიქრებელია, რომ ამ დროს ილია ოდიშელიძე კვლავ სამხედრო მინისტრის მოადგილეა.

ილია ოდიშელიძე იყო პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი. მან 1919 წლის 1 მაისს ივანე ჯავახიშვილთან ერთად წარადგინა დოკუმენტი, რომელშიც ისტორიული, ეთნოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული არგუმენტების გათვალისწინებით დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები. [10]

1919 წლის ივნისში ილია ოდიშელიძე სამხედრო საბჭოს წევრია.[11]

1919 წლის „ცამეტ სექტემბერს, დღის 12 საათზე და 55 წუთზე ვერის დაღმართზე, საქართველოს სამხედრო უწყების ავტომობილის ნომერი 20, რომლითაც რუსთაველის ქუჩისაკენ მიდიოდნენ შიგ მსხდომნი მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში კავალერიის გენერალი ბარათოვი, საქართველოს ჯარის გენერალ-ლეიტენანტი ოდიშელიძე და პოლკოვნიკი სელიმ გეორგის ძე ალხავი, ბოროტ-განმზრახველებმა ესროლეს ერთი მეორეზე ორი ყუმბარა. ორივე გასკდა ავტომობილის ქვეშ, ავტომობილის წინა ნაწილი ნაფოტებად აქცია და მოკლა პოლკოვნიკი ალხავი, შოფერი ვასილ ჟუჟიაშვილი, მისი თანაშემწე შალვა სამათაძე, დაჭრილია ფეხებში გენერალი ბარათოვი და სახეზე გენერალი ოდიშელიძე"[12]. ამ ტერორისტულ აქტს გამოხმაურება მოჰყვა ჩვენ მეზობელ და მოკავშირე აზრბაიჯანში. პრესაში გამოქვეყნდა ორი დეპეშა: „გენ. ოდიშელიძეზე თავდასხმის ამბავს ადერბეიჯანის მთავრობა დიდი აღშფოთებით შეხვდა. გთხოვთ გადასცეთ გენ. ოდიშელიძეს გულწრფელი მწუხარება მასზე ბოროტ თავდასხმის გამო. ადერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე უსუფბეკოვი"; „ეს არის ახლა მივიღეთ სამწუხარო ცნობა გენ. ოდიშელიძეზე და ბარათოვზე თავდასხმის შესახებ. გთხოვთ ღრმა მწუხარება გადასცეთ საქართველოს სახელოვან შვილს და მის სამხედრო ძლიერების საუკეთესო წარმომადგენელს ილია ზურაბის ძეს, რომელიც სამშობლოს მტრების მსხვერპლი შეიქმნა."[13] თავდამსხმელი, ბოლშევიკი არკადი ელბაქიძე გაქცევისას მილიციელებმა მოკლეს. ტერორის-

[9] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №115. 1919 წელი 28 მაისი.
[10] А. Ментешашвили. исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб. 1998, გვ. 41-45.
[11] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №133. 1919 წელი 20 ივნისი.
[12] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №207. 1919 წელი 16 სექტემბერი.
[13] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №207. 1919 წელი 16 სექტემბერი.

ტულ აქტთან დაკავშირებით საქმეს იძიებდა უდიდეს საქმეთა გამომძიებელი ჯორბენაძე. დაპატიმრებულ იქნენ იბრაჰიმ აღა-ოღლი და კორენშტეინი[14]. საბჭოთა ისტორიოგრაფია ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ტერორისტული აქტი გენერალ ბარათოვის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ იქნებ ტერორისტული აქტი გენერალ ოდიშელიძის წინააღმდეგ იყო მოწყობილია, ან ზოგადად ნებისმიერი მაღალი თანამდებობის სამხედრო პირის წინააღმდეგ.

1920 წლის 4 თებერვალს ილია ოდიშელიძემ წარადგინა მოხსენება საქართველოს საზღვრების დაცვის შესახებ. მასში გაანალიზებული იყო არსებული ვითარება, საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობა და ქვეყნის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები. გენერლის აზრით მობილიზაციის შემთხვევაში საქართველოს შეიძლება ჰყოლოდა ქვეითთა 36 ბატალიონი, 3 ესკადრონი და ჰქონოდა 96 ქვემეხი და 216 ტყვიამფრქვევი. შემდეგ ილია ოდიშელიძე წერს, რომ თუ არ მოხდა დვალეთის (არდონის ზემო წელი), დარიალის ხეობის (ჯერახის სიმაგრე[15]), ბათომის ოლქის, არდაგანისა და ართვინის მხარეების დაკავება, ბოლშევიკების და ქემალისტების შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად დაგვჭირდება შემდეგი ძალები:

	ბატალიონი	ზარბაზანი	ესკადრონი	ტყვიამფრქვევი
მეხადირის პოზიცია	6	12	1	50
დვალეთის უღელტეხილები	3	8	1	28
დარიალის ხეობა	1	4	1/2	12
ბათუმის ოლქი	18	24	2	144
არდაგანის მხარე	32	48	4	130
სულ	60	96	8	364

თუ ქართული მხარე დაიკავებდა ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიებს, მაშინ შეტევის მოსაგერიებლად საჭირო იქნებოდა გაცილებით მცირე ძალები:

[14] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №222. 1919 წელი 3 ოქტომბერი.
[15] ჯერახის ხეობა მდებარეობს ინგუშეთში/ჩრდილოეთ ოსეთში.

	ბატალიონი	ზარბაზანი	ესკადრონი	ტყვიამფრქვევი
მეხადირის პოზიცია	6	12	1	50
მუზალის პოზიცია, კასარის ხეობაში[16]	1	4	1/4	8
დარიალის ხეობა მდ. კისტინკას[17] მარცხენა ნაპირით	1	4	1/3	12
რუსეთის იმპერიის ყოფილი საზღვარი ბათუმის ოლქში	8	12	2	64
ოლთისის მხარე	8	12	1/2	48
სულ	24	44	4	196

გენერლის საბოლოო დასკვნა შემდეგია: თუ აღნიშნული ტერიტორიები არ დავიკავეთ, მაშინ ბოლშევიკებისა და თურქების მოსაგერიებლად დაგვჭირდება იმაზე ორჯერ მეტი ჯარი, ვიდრე რეალურად შეგვიძლია გამოვიყვანოთ. თუ საჭირო ტერიტორიებს დავიკავებთ, მაშინ ხანგრძლივი და შეუპოვარი დაცვისათვის დაგვჭირდება ჩვენი ჯარის 2/3, ხოლო დარჩენილი 1/3 იქნება რეზერვი. გასათვალისწინებელია, რომ ამიერკავკასიაში მეგობარი ცოტა გვყავს, ხოლო მტერი მოიძებნება, თუმცა თურქებსა და ბოლშევიკებზე პატარა და სუსტი.[18]

[16] კასარის ხეობა მდებარეობს დვალეთში (დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთი), მდინარე არდონის ხეობაში. სოფლებს ბურონსა და ზარამაგს შორის. დაახლოებით 1000 მეტრის სიღრმე და 45 გრადუსიანი დამრეცი კალთები აქვს. ამ ხეობის გაელის შემდეგ გზა ხსნილია მამისონის, კოზის, კუდაროს, ძედოს, ზეკარის, ბახფანდაკის, კუტბის, როკისა, სბაეის, თრუსოს უღელტეხილებისკენ.

[17] ამჟამად მდ. ხდა, თერგის მარჯვენა შენაკადი გველეთის ჩრდილოეთით.

[18] А. Ментешашвили. исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 138-142.

ჩვენი აზრით, ილია ოდიშელიძის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი კიდევ ერთხელ ამტკიცებს მის მაღალ პროფესიონალიზმს. ზუსტად არის განსაზღვრული არა მარტო შესაძლო მოწინააღმდეგე, რაც არც თუ ისე რთული იყო, არამედ გათვალისწინებულია მათი ერთდროული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, რაც მოხდა კიდეც რეალურად ერთი წლის მერე. ასევე სწორად არის განსაზღვრული სომხეთის ფაქტორიც. ზუსტად არის შერჩეული თავდაცვითი პოზიციების განლაგებაც (თუნდაც კასარის ხეობის მაგალითი გამოდგება) და განსაზღვრული მათ დასაცავად საჭირო ცოცხალი ძალისა და შეიარაღების რაოდენობა.

სამწუხაროდ, ძნელი დასადგენია, რა რაოდენობის მეომარს გულისხმობდა ოდიშელიძე ბატალიონში. ქართულ შეიარაღებულ ძალებში ბატალიონების სისტემა გვარდიაში არსებობდა, სადაც დაახლოებით 20 ბატალიონი იყო და თითოეულში, წესით, 800-1000 მეომარი ირიცხებოდა. რეგულარულ ჯარში 12 ათასეული იყო და თითოეულში ჯარისკაცთა რაოდენობა 1500-დან 4000-მდე მერყეობდა[19]. ამ პერიოდში ესკადრონში ზოგადად 120-150 ცხენოსანი ირიცხებოდა.

ძალიან უხეში გათვლებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მობილიზაციის შემთხვევაში ილია ოდიშელიძე დაახლოებით 70-80 ათასი მეომრის გამოყვანას ვარაუდობდა. ეს არ იყო არარეალური რაოდენობა. გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე წერდა: „ჩვენი ოცნება იყო რამენაირად სამოცი ათასიანი ჯარი შეგვექმნა, მაგრამ უიარაღობის გამო ეს ოცნება ოცნებად დარჩა (მიუხედავად იმისა, რომ მომზადებულ ჯარისკაცთა რიცხვი საქართველოში აღემატებოდა ორასი ათასს. სათანადო სარდლობაც მზად იყო)".[20] საბჭოთა რუსეთის დაზვერვის მონაცემებით, საქართველოს მაქსიმუმ 50 ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლო,[21] ხოლო ქართულ არმიას 730 ტყვიამფრქვევი, 4 ჰაუბიცა, 36 მძიმე და 40 მსუბუქი ქვემეხი ჰქონდა.[22] 1920 წლის 4 თებერვლისათვის გენერალ ოდიშელიძის მოსაზრებები ზუსტი იყო. აი, ერთი წლის შემდეგ კი სრულიად სხვა ვითარება შეიქმნა.

1920 წლის ზაფხულში ილია ოდიშელიძე სამხედრო მინისტრის მოადგი-

---

19 იხ. დანართი №1.

20 ა. ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ჟურნ.: „მხედარი". 1994 წელი. №1-4, გვ. 55.

21 იხ. დანართი №2.

22 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 1969; აღწ. 1; საქმე 670. ფურცელი 9.

ლეა სამწყობრო მომზადების დარგში[23] და ამავე დროს სამხედრო საბჭოს წევრიც.

1920 წლის 13 აგვისტოს პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. ოდიშელიძე ევროპიდან დაბრუნდა". ჩვენს ხელთ არსებული მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გავარკვიოთ ზუსტად სად, რამდენი ხნით და რა კონკრეტული მისიით იყო გაგზავნილი გენერალი ოდიშელიძე. თუმცა ვფიქრობთ, ეს ვიზიტი იმას უკავშირდებოდა, რომ გენერალი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი იყო. გაზეთში მეტად მწირი ინფორმაცია გამოქვეყნდა — „საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გენ. ოდიშელიძემ აღნიშნა, ქემალისტებთან ომისა და ოსმალეთის დესანტების გამო საზღვარგარეთ მოგზაურობა დიდ სიძნელეს წარმოადგენსო. კონსტანტინოპოლ-პარიზის აღმოსავლეთის ექსპრესი დროებით შეჩერებულია და ამიტომ მგზავრს ტორენტომდე გემით მოგზაურობა უხდება. ევროპა საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის საქმეებს ნაკლებად იცნობს. საერთაშორისო ინიფორმაციის ცენტრი ამ ჟამად ლონდონში იმყოფება. საერთაშორისო ბაზარზე ამჟამად ლონდონი ბატონობს. საქართველოს წარმომადგენლებს დიდი მუშაობა სჭირდებათ, რომ გააცნონ ევროპის საზოგადოებას და მთავრობებს საქართველოს მდგომარეობა და საჭიროებანი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს წარმომადგენლობების მუშაობას ძლიერ დიდი ნაყოფი მოაქვს".[24] როგორც ვხედავთ, საკმაოდ მოკლე და ზოგადი ინფორმაციაა.

1920 წლის 23 სექტემბერს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე შვებულებაში გავიდა და მინისტრის მოვალეობის შესრულება მის მოადგილეს, გენერალ ილია ოდიშელიძეს დაეკალა[25]. ოდიშელიძე მინისტრის მოვალეობას 10 ნოემბრამდე ასრულებდა[26].

1920 წლის 13 დეკემბერს ილია ოდიშელიძე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. ამ დროისათვის სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებლობა მხოლოდ საქართველოს ჰქონდა შენარჩუნებული. აზერბაიჯანსა და სომხეთში უკვე საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მორიგი სამიზნე საქართველო იქნებოდა. ასეთ ვითარებაში ძალიან დიდი როლი ენიჭებოდა საქართველოს

[23] სცსა. ფ. 1969. აღწ. 1. საქმე 670.
[24] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №181. 1920 წელი 13 აგვისტო.
[25] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №216. 1920 წელი 25 სექტემბერი.
[26] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №257. 1920 წელი 12 ნოემბერი.

შეიარაღებულ ძალებს.

გენერალი ოდიშელიძე, რა თქმა უნდა, გრძნობდა არსებულ საფრთხეს და ცდილობდა სათანადო ზომები გაეტარებინა. „გენ. ოდიშელიძემ და გენ. ზაქარიაძემ წერილობითი მოხსენება გადასცეს თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 15 იანვარს. ისინი დარწმუნებული არიან, ხვალ თუ ზეგ წითელი რუსეთი თავს დაესხმის საქართველოს და ამიტომ ისინი მოითხოვენ საკმარისი ჯარის ყოლას. მათი გამოანგარიშებით 60 ათასი ჯარისკაცი."[27]

ილია ოდიშელიძის მიერ ერთი წლის წინ გაკეთებული ანალიზი აღარ გამოდგებოდა. თუ 1920 წლის 4 თებერვლის მოხსენებით ჯარების 2/3 ქემალისტებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ მხოლოდ ჩრდილოეთის საზღვრს ჩასაკეტად ჰქონდა ოდიშელიძეს განსაზღვრული, აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ეს მიმართულებებიც დასაცავი იყო. ეს კი დამატებით დაახლოებით 450-500 კილომეტრია (დღეს საქართველოს საზღვარი სომხეთთან 164 კმ-ია, ხოლო აზერბაიჯანთან – 322). აშკარაა, რომ მთელი საზღვრის დასაცავად საქართველოს, უბრალოდ, რესურსი არ ეყოფოდა.

თუმცა ქართული ჯარის მთავარსარდლის მიერ სერიოზული შეცდომებიც იქნა დაშვებული.

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს ე.წ. „ლორეს ნეიტრალურ ზონაში" განლაგებულ ქართულ შენაერთებზე თავდასხმით დაიწყო საქართველო-რუსეთის ომი. ამ მიმართულებაზე დისლოცირებულ ჩვენს სამხედრო ნაწილებს[28] გენერალი იოსებ (სოსო) გედევანიშვილი სარდლობდა. მის შტაბის

[27] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ჟურნ.: „განთიადი". 1990 წელი. №2, გვ. 117-118.

[28] ამ დროისათვის საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე აკაკი კვიტაიშვილის ინფორმაციით შემდეგი ქართული შენაერთები იდგა:

1. ვორონცოვკაში (კალინინო, ტაშირი) – პოლკოვნიკ რემუალდ ჩხეიძის მეთაურობით გვარდიის იმერეთის 1-ლი და კახეთის ბატალიონები, ცხენოსანი ჯარის ორი ესკადრონი, ორი საარტილერიო ბატარეა, ორი ჯავშანმანქანა.

2. ჯალალ-ოღლიში (ლორე, სტეფანავანი) – პოლკოვნიკ მიხეილ იმნაძის განკარგულებაში მყოფი გვარდიის ბორჯომისა და მანგლისის ბატალიონები, ცხენოსანი ჯარის ნახევარი ესკადრონი.

3. ბამბაკის ხეობა სანაინი-შაგალის მიმართულება – გენერალ სუმბათაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი II საარმიო ბრიგადის მე-5 და მე-8 ათასეულები, ორი ესკადრონი და ორი ბატარეა.

4. ბობკიარის მთის მიმართულება – პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილის ორი ბატალიონი.

უფროსი პოლკოვნიკი ძაგანია იყო. ძალიან პირობითი და უხეში დათვლებით, იოსებ გედევანიშვილის დაქვემდებარებაში 10-12 ათასი მეომარი იმყოფებოდა. ჯარში დაბალ დონეზე იდგა დისციპლინა. მეომართა ნაწილს საშხედრო მზადყოფნა თითქმის სრულიად დაკარგული ჰქონდა. ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ ქართული შეიარაღებული ძალები პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი და ცალკეულ პუნქტებში ჩაყენებული.

11-12 თებერვლის ღამეს მოწინააღმდეგემ შეტევა ვორონცოვკის, ჯალალ-ოღლისა და სანაინის მიმართულებებით განახორციელა.

სანაინის მიმართულებაზე ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო შემოტევისათვის და მტერმა თითქმის სადახლომდე დაიკავა ბამბაკის ხეობა. მე-5 და მე-8 ათასეულები თითქმის მთლიანად განადგურდა (დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა).

გენერალური შტაბის 12 თებერვლის ინფორმაციის თანახმად, „ღამით 11-12-ს სომხეთის მხრივ რეგულარული ჯარის ნაწილები მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს ბეზობდალით (იგივე ჯავახეთის ქედი//სველი მთები// ბაზუმი) ბორჩალოს მაზრის სადგურ შაგალთან და სოფელ შინიხთან. ამასთანავე ბორჩალოს მაზრის მოსაზღვრე რუსი და სომეხი მოსახლეობა აჯანყდა და თავდასხმელთ შეუერთდა. მცხოვრებთა მეორე ნაწილი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვატყობინა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის გზით მომავალნი გავფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯკანყება ჩაქრობილია. შაგალისა, უზუნლარის და შიხინის რაიონებში ბრძოლებია“.[29]

13 თებერვალს გენერალმა გედევანიშვილმა სადახლო-სანაინის მიმართულებაზე კონტრშეტევის განხორციელება გადაწყვიტა. გენერალ სუმბათაშვილის ქვედანაყოფის გადარჩენილ მეომრებს არმიის 1-ლი ათასეული, სადარაჯო ათასეულის ორი ასეული და გვარდიის საგანგებო ბატალიონი მიაშვე-

5. წითელ ხიდთან – გვარდიის გურიის ბატალიონი მაიორ ხომერიკის მეთაურობით. რომლის ზურგშიც თბილისის 1-ლი (სოფელ სარეანში) და მე-3 ბატალიონები (სოფელ ობელიანოვკაში) იყვნენ.

6. ფოილოს ხიდის მიმართულება - გვარდიის იმერეთის მე-2 და ზუგდიდის ბატალიონები, ერთი ესკადრონი, მესანგრეთა ასეული, სანაპირო დაცვის ასეული, ერთი ბატარეა და ჯავშანმატარებელი №4. ამ დაჯგუფებას პოლკოვნიკი კოდუა სარდლობდა.

7. რეზერვს, რომელსაც გენერალი ჯიჯიხია მეთაურობდა, შეადგენდა გვარდიის ექვსი ბატალიონი, სამი ბატარეა და ორი ესკადრონი.

[29] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“. №1052. 1921 წელი 13 თებერვალი.

ლეს და სანაინზე შეტევა დაავალეს. ამავე დროს გენერალ ჯიჯიხიას შენაერთს აირუმზე იერიში უბრძანეს. არმიის ცხენოსანი რაზმი ლორეს მიმართულებით გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ ჯიჯიხიას დაჯგუფებამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია და კიზილკაის სიმაღლეებიც დაიკავა, რეალურად საერთო შეტევა მაინც ვერ განხორციელდა. გარდა იმისა, რომ გენერალ სუმბათაშვილის შენაერთს პირადი შემადგენლობის 2/3 დაკარგული ჰყავდა, გადარჩენილი მებრძოლები მორალურ-ფსიქოლოგიურად ძალიან გატეხილი იყვნენ. შეტევაზე, ფაქტობრივად მხოლოდ საგანგებო ბატალიონი გადავიდა და ცხადია, მან ბევრი ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო.

პირველი შეტაკებები ჩვენთვის მარცხით დამთავრდა. მოწინააღმდეგის შეჩერება ვერ ხერხდებოდა. ნოე ჟორდანია წერს, რომ პირველივე მარცხის შემდგომ „მაშინვე დავიბარე ოდიშელიძემ და მოვსთხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ იყო დანაწილებული, შეერთება ვერ მოასწრეს. გამიკვირდა, შევუტიე, როგორ დანაწილებული, ომისთვის ვემზადებოდით და თქვენ ჯარები დაფანტეთ! მე რა შუაში ვარ, მომიგო, ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა, დეკემბერშიო! გული მომივიდა ვინ არის ჯარების უფროსი – თქვენ თუ ჩხენკელითქვა და გამოვუცხადე დაუყოვნებლივ გადადგეს“.[30]

ჯარების დანაწილების ამბავს აღწერს აკაკი კვიტაიშვილიც, „გენერალი ოდიშელიძე ამბობს, რომ პოლიტიკური პირები მოითხოვდნენ მისგან, რომ სომხების აჯანყება არ მომხდარიყო, მიმეღო ზომები და ჯარი ჩამეყენებინა სხვადასხვა სოფლებში. გენ. ოდიშელიძემ კატეგორიული უარი უთხრა იმ პოლიტიკურ პიროვნებებს ჯარის განაწილების შესახებ სოფელ-სოფელ. შემდეგ ის მიემგზავრება ბათუმს ჯარების ინსპექციისათვის და იქ ერთი კვირა რჩება ... დაბუნდა თუ არა, რას ხედავს? გენერალ გედევანიშვილს სოფელ-სოფელ დაუნაწილებია ჯარები. გენერალი ოდიშელიძე შეეკითხა გენ. გედევანიშვილს: რა მიზეზის გამო არ აღასრულეთ ჩემი განკარგულებანი? მან მიპასუხა – ამბობს გენ. ოდიშელიძე - „ჩვენ ჯერ არ ვიცით, შემოგვესევიან რუსები თუ არა და მერმე კიდევ როდის! რაც შეეხება სომეხ მცხოვრებთ, ისინი არ აჯანყდებიან, როდესაც ჩვენი ჯარი განაწილებული იქნება უმთავრეს სოფლებში. ასეთი განაწილება ჩემთვის არის საჭირო, სანამ იარაღს ავყრი მცხოვრებლებს და მერე დავაჯგუფებ ჩემ ჯარს ერთ ადგილზეო.

[30] ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 177.

ჩვენ მთავარსარდალს გენ. ოდიშელიძეს მაშინვე უნდა მიეღო ზომები, რომ ასეთი ურჩი გენერალი გადაეყენებინა ... მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იგი ამ მდგომარეობას შეურიგდა".[31]

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჯარის მცირე რაზმებად დაშლა ოდიშელიძის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა, ნაწილობრივ გიორგი კვინიტაძეც ადასტურებს. „რასაკვირველია, მთავარსარდალს ამ ძალების განლაგება ზუსტად უნდა სცოდნოდა, მითუმეტეს, ჯარი იქ უკვე დიდი ხანია იდგა. თუ ეს განლაგება არ ეჭაშნიკებოდა ან, საერთოდ, არასწორად მიაჩნდა, უნდა ჩარეულიყო და გამოესწორებინა თავისი შეხედულებისამებრ. არ ვიცი, მოხდა თუ არა ამგვარი რამ. კონსტანტინოპოლში გენერალმა ოდიშელიძემ თავის მოხსენებაში განაცხადა, გენერალ ი. გედევანიშვილს მითითებები მივეცი, მაგრამ არ შეასრულაო. ეს მოხსენება არ მომისმენია, რადგან იმ დროს უკვე პარიზში ვიმყოფებოდი."[32]

ვითარების გამოსწორება ვერ ხერხდებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ როგორც გენერალი მაზნიაშვილი იგონებს, გენერალ ოდიშელიძეს გულწრფელად ეგონა, „რომ მართლა მხოლოდ სომხების ურდოები დაგვესხნენ თავს".[33] ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აკაკი კვიტაიშვილის ცნობა, რომ „15 თებერვალს ფოილოს კოლონამ შეამჩნია რუსის ჯარების მოძრაობა წითელი ხიდის მიმართულებით. შემჩნეულ იქნა ფოილოს წინააღმდეგ რამდენიმე ბატარეა საომარ პოზიციებზე. კოლონის უფროსი დაელაპარაკა პირდაპირი მავთულით მთავარსარდალს – მტერი ამაღამ აუცილებლად გადმოვა შეტევაზე. ნება მოგვეცით ხიდი ავაფეთქოთო. გენერალმა ოდიშელიძემ უპასუხა – ჩვენ ვიმყოფებით მეგობრულ განწყობილებაში საბჭოთა რუსეთთან. დაუშვებელია ჩვენი მხრიდან მტრული მოქმედება. ერიდეთ პროვოკაციას".[34] საქმის რეალური ვითარება არც ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იცოდა.[35]

---

[31] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, გვ. 118.
[32] გ. კვინიტაძე. მოგონებები. ტ. II. თბ. 1998, გვ. 42.
[33] გ. მაზნიაშვილი. მოგონებები. ბათუმი 1990, გვ. 157.
[34] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, გვ. 121: აკაკი კვიტაიშვილის ბატალიონი სწორედ ფოილოს ხიდს იცავდა.
[35] 15 თებერვალს დამფუძნებელი კრების დეპუტატების წინაშე გამოსვლისას მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ განაცხადა, „მოქალაქენო! განმეორდა 1918 წლის ამბავი. სომხეთი კვლავ ვერაგულად თავს დაგვესხა... ერევნის ეხლანდელი მთავრობა დღეანდლამდის სდუმს და სცდილობს ქვეყანას ამცნოს, რომ აქ ომი კი არა ადგილობრივი გლეხთა

15 თებერვალს ღამე საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, გვარდიის შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვ. შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთეს გენერლებმა ოდიშელიძემ და ზაქარიაძემ. მათი ინფორმაცია საკმაოდ ზოგადი იყო. არ იცოდნენ არც შენაერთების ზუსტი ადგილსამყოფელი და არც მათი მდგომარეობა. არსებული ვითარების მიმოხილვისას ერთადერთი რაც გაირკვა იყო ის, რომ გენერალი გედევანიშვილი ნებართვას ითხოვდა შენაერთები მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე გადაყვანა. სარდლობას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. მთავარსარდალი ფიქრობდა, რომ ჯარი მდ. ხრამის სამხრეთითა და შულავერის ჩრდილოეთით გამავალ ხაზზე უნდა გამაგრებულიყო. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გენერალი კვინიტაძე წერს, „ტაქტიკურად, ჯარის ამ ხაზზე გადაყვანა აბსურდი იყო. აკადემიაში სწავლის დროს ოფიცერს მომავალ სამხედრო მოქმედებათა ამგვარი გეგმა რომ შემოეთავაზებინა, უმალ გაირიცხებოდა სასწავლებლიდან“. ნოე რამიშვილმა მოსაზრება გამოთქვა, რომ ფოლილოსა და წითელი ხიდების რაიონში შექმნილიყო ძლიერი დაჯგუფება, რომელიც ყაზახის გაელით მოწინააღმდეგეს ზურგში დაარტყამდა. ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი იყო. ფოილოსა და წითელი ხიდების რაიონში არ არსებობდა სათანადო რაოდენობის ჯარი. ასეთი დაჯგუფება რომც შექმნილიყო, მას მოუწევდა მდ. მტკვრის გადალახვა მაშინ, როდესაც მეორე ნაპირზე მტერი იქნებოდა განლაგებული. გენერალ კვინიტაძის კითხვაზე, თუ რა საშუალებებით უნდა მომხდარიყო ჯარის მიერ

აჯანყებაარ. მაშ ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითი პოლკები, არტილერია და ტყვეისმფრქვეველები? ვინ მოიყვანა სომეხ-რუსების რეგულარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში?... ერევნიდან ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და მფარველობას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეებში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ხელშეკრულების ნიადაგზე. ერევანს დარჩა ერთადერთი ბაქო, სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეული ქართველი ბოლშევიკები, თავისი ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის წამქეზებელნი“. მთავრობის თავმჯდომარის ეს სიტყვა ვითარებაში გაურკვევლობისა და პოლიტიკური გულუბრყვილობისა, თუ სიბეცის კლასიკური ნიმუშია.

მდინარის გადალახვა, მთავარსარდალმა უპასუხა, „ერთი ბორანი მაქვსო". „ერთი ბორანით ჯარს მტკვარზე კი არა, კუკიიდან ვერაზე ვერ გადაიყვანთ, მითუმეტეს, როდესაც მოპირდაპირე ნაპირი მოწინააღმდეგის ხელშია", შენიშნა გენერალმა კვინიტაძემ. სხდომაზე კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, რომ ე.წ. „ფოილოს ჯგუფის" უფროსად გენერალი კვინიტაძე დაენიშნათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ნოე რამიშვილის გეგმის წინააღმდეგი იყო[36].

16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებაზე შემოტევა დაიწყეს მე-11 არმიის ნაწილებმა. წითელ ხიდთან მდგომმა გურიის ბატალიონის ასეულმა ცხადია სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. მოწინააღმდეგემ ხიდი დაიკავა და ჯავშანმანქანების მხარდაჭერით შეტევა განაგრძო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოილოს სარკინიგზო ხიდს. რუსები ცდილობდნენ ხიდი დაეკავებინათ და ქართველებისთვის მისი აფეთქების საშუალება არ მიეცათ. ხიდის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა მე-11 არმიის ხუთი ჯავშანმატარებელი (№7, 94, 5, 77, 61). ქართველი მესანგრეების მიერ წინასწარ დანაღმული იყო ხიდის თავი და იერიშის დაწყებისთანავე ქართველებმა ხიდი ააფეთქეს. საპასუხოდ რუსების ჯავშანმატარებლებმა, საველე ბატარეებმა და მძიმე არტილერიამ ქართველი გვარდიელების პოზიციების დაბომბვა დაიწყეს. ქართველმა მებრძოლებმა ცოტა უკან დაიხიეს, მოწინააღმდეგის ცეცხლის არეალიდან გამოვიდნენ და საპასუხო ცეცხლი გახსნეს. რუსებმა ორჯერ სცადეს სოფელ კრაგესმანთან ფონის გადმოლახვა, მაგრამ ორივეჯერ უკუქცეულ იქნენ. ასევე ვერ შეძლო მათმა კავალერიამ სოფელ შიხალოდან ფონზე გადასვლა და შეტევის განხორციელება. აქ მათ ზუგდიდის ბატალიონმა გადაუკეტა გზა. მთელი დღის განმავლობაში რუსების მცდელობას, მდინარე გადმოელახათ წარმატება არ მოჰყოლია.[37]

16 თებერვალსვე დაიწყო შემოტევა ზაქათალის მხრიდან. კახეთში დისლოცირებული მე-6 ათასეულის შენაერთები პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი, ამიტომ მათ მტერს სერიოზული წინაარმდეგობა ვერ გაუწიეს. გენერალი მაზნიაშვილი წერდა, „კახეთის რუქას თუ გადავხედავთ, სამხედრო საქმის ყოვლად უცოდინარი ადამიანისთვისაც კი ცხადი იქნება, რომ საქართველოს არმიის უფროსმა მხედრებმა ამ ფრონტს არ მიაქციეს არავითარი ყუ-

36 გ. კვინიტაძე. მოგონებები. ტ. II, გვ. 45-48.

37 სხვათაშორის ფოილოს ხიდთან ბრძოლაში მონაწილეობდა მე-11 არმიის მე-9 დივიზიის 74-ე პოლკის მე-2 ბატალიონის პოლიტკომი ნიკიტა ხრუშჩოვი

რადღება და ამით მტერს მიეცა საშუალება, გაენადგურებინა იქ დაბანაკებული ჩვენი ჯარის პატარა მზვერავი რაზმები, შემდეგ ჩაეგდო ხელში მთელი კახეთი და უვნებლად მოელწია ტფილისის მიდამოებამდე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ყველა ეს მოხდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მე-6 ქვეითი ლეგიონი იძულებული გახდა დაეხია თიანეთისკენ და შემდეგში მტერს ჩაუვარდა ხელში"[38]

ასეთ კატასტროფულ ვითარებაში, 16 თებერვალს დღის პირველი საათისთვის მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე გადაყენებულ იქნა და მისი ადგილი გენერალმა გიორგი კვინიტაძემ დაიკავა. ოდიშელიძე მთავრობის თავმჯდომარის სამხედრო მრჩევლად დაინიშნა.

12-16 თებერვლის ბრძოლებში ქართული შეიარაღებული ძალების მარცხი გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით.

შეცდომა იყო დაშვებული ქართული შეიარაღებული ძალების დისლოცირებისას სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებზე, როდესაც ისინი პატარ-პატარა რაზმებად დაშალეს.

1921 წლის დასაწყისისათვის საქართველო ფაქტობრივად ალყაში იყო მოქცეული და მტრის შემოტევა თეორიულად ნებისმიერი მიმართულებიდან იყო მოსალოდნელი. როგორც აკაკი კვიტაიშვილი წერს, „გენერალი ოდიშელიძე შეპყრობილია იმ აზრით, რომ საქართველოს ყოველი მხრიდან შემოესევიან მტრები და ამიტომ ყველა მიმართულებით მიჰყავს ჯარის ნაწილი."[39] კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ მართლაც ყველა მხრიდან იყო მოსალოდნელი შემოტევა და ჯარის გარკვეული ნაწილები, ალბათ, ყველა მიმართულებით უნდა ყოფილიყო დისლოცირებული. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად, ყველა მხრიდან ერთსა და იმავე დროს მოწინააღმდეგის ერთი და ივიეე რაოდენობა არ შემოგვიტევდა. ცხადია, რაღაც მიმართულება იქნებოდა მთავარი და რაღაც, მეორეხარისხოვანი. სწორია სახალხო გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსი აკაკი კვიტაიშვილი, როდესაც წერს, „ომების ისტორია ნათლად გვიმტკიცებს, რომ გამარჯვება მთავარ ფრონტზე ნიშნავს ერის გამარჯვებას ... ეს უკვე კანონად არის მიღებული სტრატეგიაში: თუ მთავარ ფრონტზე გავიმარჯვეთ და მეორეხარისხოვანზე დავმარცხდით, ჩვენ მაინც გამარჯვებული ვრჩებით".[40]

---

[38] გ. მაზნიაშვილი. მოგონებები, გვ. 158.
[39] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, გვ. 118.
[40] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, გვ. 118

რომელი შეიძლება ყოფილიყო მთავარი ფრონტი 1921 წელს?

მართალია, ქემალისტების ხელისუფლება ამ დროს ჯერ კიდევ ბერძნებთან ომში იყო ჩაბმული და მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა[41], მაგრამ მაინც ახორციელებდა სერიოზულ შეტევებს სომხეთის მიმართულებით. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ სომხეთის მერე საქართველოს ჯერიც დამდგარიყო.

საინტერესოა, რომ 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა სწორედ ქემალისტების მხრიდან ელოდა აგრესიას. განსაკუთრებით როდესაც ყარსის დაიკავების შემდეგ თურქების მიერ განვითარებული შეტევის შედეგად თითქმის გაანადგურდა სომხეთის შეიარაღებული ძალები.

1920 წლის 16 ნოემბერს დაიბეჭდა დამფუძნებელი კრების მოწოდება ქართველი ხალხისადმი - „დაეცა ყარსი ... სომხეთის საუკეთესო სიმაგრე ... სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოს თავისუფალ არსებობას. ჩვენი ისტორიული მტერი რომელთაც ქემალ ფაშა მეთაურობს არ სცნობს ჩვენ მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას, ვერ ურიგდება სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენ საზღვრებში არსებობას, ისინი მოხერხებულ დროს არჩევენ ჩვენზე თავდასხმისთვის. მოსალოდნელია, რომ სომხეთზე გამარჯვებით გათამამებული ქემალ ფაშა მთელი თავისი ძალღონით ჩვენს შესამუსრავად გამოეშუროს.“[42]

რაც შეეხება საბჭოთა რუსეთს, შემოჭრის შესაძლო მიმართულებები იყო: გაგრა, დვალეთის უღელტეხილები (მამისონი, როკი და სხვ.), დარიალის ხეობა, კახეთი, წითელი და ფოილოს ხიდები, ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონა“.[43] თუნდაც მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ცხადია, რომ გინდა ტაქტიკური და გინდა სტრატეგიული თვალსაზრისით მთავარი იქნებოდა კახეთი, ფოილო-წითელი ხიდებისა და ლორეს მიმართულებები. აქედან შემოსულ მოწინააღმდეგეს დიდი სივრცე ექნება მანევრირებისათვის და თანაც დარტყმა პირდაპირ დედაქალაქზე ხორციელდება. „მთავარი ფრონტი ჩვენთვის იყო აღმოსავლეთ საქართველო. სხვა ფრონტები

[41] ბერძნების წინააღმდეგ პირველ წარმატებას თურქებმა 1921 წლის 10 იანვარს მიაღწიეს ქალაქ ინენიუსთან, თუმცა უპირატესობა მაინც მოწინააღმდეგის მხრეს იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზაფხულში ბერძნებმა ახალი დიდი შეტევა წამოიწყეს და 17 ივლისს ესკიშეხირესთან მოწინააღმდეგე დაამარცხეს.

[42] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“. №260 1920 წელი.

[43] 1921 წელს სწორედ ამ მიმართულებებიდან განხორციელდა აგრესია.

ჩვენთვის იყო მეორეხარისხოვანი. მეორეხარისხოვან ფრონტზე ყურადღება უნდა მიპყრობილიყო იმ პირობით, თუ იქით ჯარების გაგზავნა არ დაასუსტებდა მთავარ ჩვენ ფრონტს".[44] აკაკი კვიტაიშვილის ინფორმაციით, 110 კილომეტრის სიგრძის ფრონტს (ჯალალ-ოღლიდან ფოილოს ხიდამდე) 18-19 ბატალიონი იცავდა.[45] იმ დროს არსებული ვითარების გათვალისწინებით საუკეთესო შემთხვევაში ეს 10-12 ათასი კაცია. რა თქმა უნდა, ცოტაა. კახეთის მიმართულებას მე-6 ათასეული იცავდა, რაც ასევე არა საკმარისი იყო. სხვა საკითხია, რომ რეალურად ამ მიმართულებებზე დისლოცირებული ძალების რაოდენობის მკვეთრი გაზრდა, უბრალოდ შეუძლებელი იყო რესურსების არარსებობის გამო. თუმცა ამ მიმართულებით შესაძლებლობის მაქსიმუმი არ გაკეთებულა და ეს სარდლობის შეცდომა იყო.

ჯალალ-ოღლიდან ფოილომდე არსებული ძალების უკეთ განლაგების შემთხვევაში შესაძლებელი იყო წარმატებული თავდაცვითი ბრძოლის წარმოება.

აკაკი კვიტაიშვილი მიმოიხილავს რა ოდიშელიძის მიერ, ემიგრაციაში წასვლის შემდეგ სტამბულში გაკეთებულ მოხსენებას 1921 წლის ომის შესახებ, წერს „თვით გენერალ ოდიშელიძის მოხსენებაში ვხედავთ, რომ მან გაშლა-დაჯგუფება მოახდინა არა სწორად. იგი ლაპარაკობს – რომ დროზე მოსულიყვნენ მე-10 და მე-4 ქვეითი ათასეულები შიხინსა და სადახლოს, „დოყლაპიობას" ლიკვიდაცია გაუკეთდებოდაო. გენ. ოდიშელიძის აზრი ჩვენი ჯარის მოქმედებაზე სწორია, მაგრამ ამ აზრის გატარებაში ის სრულიად არ იჩენს სათანადო ენერგიას".[46]

ილია ოდიშელიძეს ჯერ გენერალი სოსო გედევანიშვილი უნდა მოეხსნა და შემდეგ მისი უაზრო ბრძანება გაეუქმებინა. ეს არ გაკეთდა. ჩვენი აზრით, მთავარსარდალი მოერიდა კონფლიქტს სოსო გედევანიშვილის მფარველ თუ მეგობარ პარტიულ მოღვაწეებთან[47]. ისიც გასათვალისწინებელია, რომ

[44] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, გვ. 118.
[45] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, გვ. 119.
[46] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წელი, გვ. 118.
[47] ქართულ არმიაში მსახურობდნენ ძმები გედევანიშვილები, ალექსანდრე და იოსები (სოსო), ყოფილი სოციალისტ-ფედერალისტი. ალექსანდრე 1918 წელს საქართველო-სომხეთის ომის დროს ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ხოლო შემდეგ სამხედრო მინისტრის მოადგილე იყო. სოსო კი 1920 წელს II ბრიგადას მეთაურობდა და იმავე წლის ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის უფროსადაც დაინიშნა. ა. კვიტაიშვილი წერს, რომ მისი დანიშვნა იყო „შეცდომა გენერალ ოდიშელიძი-

სოსო გედევანიშვილის ძმა გენერალ მაიორი ალექსანდრე გედევანიშვილი 1919 წლიდან მოყოლებული სამხედრო მინისტრის მოადგილე იყო.

სამხედრო მოქმედებების დაწყებისას სარდლობამ სწორად ვერ შეაფასა შექმნილი ვითარება, ვერ შეძლო სიტუაციის მართებულად გაანალიზება და შეცდომები დაუშვა საჯარისო ნაწილების მართვაში. როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, მთავარსარდალს ეგონა, რომ მხოლოდ საბჭოთა სომხეთი გვიტევდა და საბჭოთა რუსეთი ამ ომში არ ჩაებმებოდა. ცხადია, ეს მიდგომა ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური მოღვაწეების პოზიციითაც იყო ნასაზრდოები.

რადგან სარდლობამ ჩათვალა, რომ ომი მხოლოდ საბჭოთა სომხეთთან მიმდინარეობდა, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე არ მოახდინა ჯარების გამოძახება ქვეყნის შიდა რაიონებიდან. ცხადია, ესეც შეცდომა იყო.

რადგან ჯარები არ გამოიძახეს შიდა რეგიონებიდან, ამიტომ ბრძოლაში ჩაბეს აზერბაიჯანის საზღვრის მახლობლად მყოფი შენაერთები (გენერალ ჯიჯიხიას დაჯგუფების გაგზავნა აირუმის მიმართულებით), რამაც წითელ ხიდთან პოზიციების მნიშვნელოვანი შესუსტება გამოიწვია და ეს მიმართულება, საიდანაც ძირითადი დარტყმა განხორციელდა,[48] ფაქტობრივად, დაუცველი დარჩა.

ზემოთ ჩამოთვლილ შეცდომებზე პასუხისმგებლობა, ცხადია, მთავარსარდალს გენერალ ილია ოდიშელიძეს ეკისრება.

საინტერესოა, ეს შეცდომები მთავარსარდლის არაპროფესიონალიზმმა განაპირობა თუ სხვა მიზეზებმა.

ვნახოთ თუ როგორ აფასებდნენ ილია ოდიშელიძეს მისი თანამედროვენი.

სა, გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ზაქარიაძისა. შეცდომა ის იყო, რომ დანიშნეს სრულებით გამოუცდელი ომში, დიდი შენაერთების ხელმძღვანელად კაცი, რომელიც „პოლიტიკური გენერალი" იყო მხოლოდ". რ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ სოსო გედევანიშვილმა გენერლობა მხოლოდ პარტიული ერთგულების გამო მიიღო. იგივე აზრს იმეორებს ა. ჩხეიძეც და ამატებს, რომ სოსო გედევანიშვილი 12-15 წელი ჯარის გარეშედ იმყოფებოდა შტაბს-კაპიტანის ხარისხში და შეიძლება ითქვას, სამხედრო პირი აღარ იყო. სოსო გედევანიშვილს გენერლობა 1918 წელს მიენიჭა.

[48] 16 თებერვალს წითელი ხიდის დაკარგვამ უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო ამ დროისათვის მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე გამაგრებული სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას ნაწილები. ამ მიმართულებიდან შემოსული მტერი ქართულ შენაერთებს მარცხენა ფლანგზე და ზურგში მოექცა. მდ. ხრამზე მდგომი ნაწილები იძულებული გახდნენ სარდარასაკენ (მარნეული) დაეხიათ უკან.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის აზრით, ოდიშელიძის შეცვლა შეცდომა იყო. აი რას წერს იგი თავის მოგონებებში: „ეს იყო დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა მთავრობისა. ქართველ ყველა გენერალში ოდიშელიძე თვალსაჩინოდ ირჩეოდა, უმაღლეს სარდლობაში, მას ჰქონდა დიდი მზედრული და ადმინისტრაციული სტაჟი. ევროპის უდიდესი ომის დროს გენერალმა ოდიშელიძემ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ჯარების მთავარი შტაბისა. ომის დასაწყისში, ჩვენ ვხედავთ მას 1-ლი არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ომის მეორე პერიოდში ოდიშელიძე ინიშნება მე-15 კორპუსის უფროსად და შემდეგ მოკლე ხნის განმავლობაში კავკასიის არმიის უფროსად. აი ასეთ კაცს მთავრობა სცვლის გაჩაღებული ომის დროს და ნიშნავს ისეთ პირს, რომელიც სამხედრო სტაჟით მეტად ჩამორჩება ოდიშელიძეს. უახლოესი ამბების განვითარებამ დაუმტკიცა მთავრობას მისი შეცდომა“. მაზნიაშვილის აზრით, ამ ცვლილების მიზეზი დამფუძნებელი კრების წევრ ეროვნულ-დემოკრატთა ერთი ნაწილის ზეგავლენა იყო.[49]

ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილი მართლაც უარყოფითად იყო განწყობილი გენერალ ოდიშელიძის მიმართ. რ. გაბაშვილი წერდა, „ოდიშელიძე რუსული მასშტაბით კარგი და მცოდნე ღენერალი იყო: (საუკეთესო კორპუსს „ჰკამანდირობდა“), მაგრამ უნებისყოფო და პატარა საქართველოსათვის სრულიად გამოუსადეგარი“,[50] თუმცა მთავარსარდლის შეცვლის საკითხში ეროვნულ-დემოკრატებს არავითარი როლი არ უთამაშიათ. სოციალ-დემოკრატები თითქმის არასდროს არ იზიარებდნენ პოლიტიკურ ოპონენტთა შეხედულებებს და არც ამჯერად გაუთვალისწინებიათ ვინმეს რჩევა თუ მოსაზრება. ოდიშელიძის შეცვლა თავად შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა.

თუ როგორ ახასიათებდა გენერალ ოდიშელიძეს გენერალი მაზნიაშვილი, ზემოთ ვნახეთ. მაგრამ იგივე მაზნიაშვილი კახეთის მიმართულებით შექმნილი ვითარების ანალიზისას პასუხისმგებლობას სრულიად მართებულად აკისრებს „საქართველოს არმიის უფროს მხედრებს“. ვინ უნდა ვიგულისხმოთ „საქართველოს არმიის უფროს მხედრებს“ შორის, თუ არა, პირველ რიგში, გენერალი ოდიშელიძე და შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე[51].

---

[49] გ. მაზნიაშვილი. მოგონებები, გვ. 158-159.

[50] რ. გაბაშვილი. მოგონებანი. „დაბრუნება“. ტ. III. თბ. 1992.

[51] ალექსანდრე ზაქარიაძე რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომებში მონაწილეობდა. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ორდენით და ოქროს ხმლით. 1919 წელს მიენიჭა გენერლობა. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1927 წელს გახდა პოლონეთის არმიის გენერალი (М. Гогитидзе. Грузинский Генералитет. Киев. 2001, გვ. 94).

ოდიშელიძეს დადებითად ახასიათებდა გენერალი კვინიტაძეც. თავის მოგონებებში კვინიტაძე წერს, რომ როდესაც ომის დაწყების ამბავი გავიგე, მაინც შედარებით მშვიდად ვგრძნობდი თავსო, რადგან, „სამი წლის მანძილზე მივეჩვიე, რომ ყოველთვის მარცხით ვიწყებდით, შემდეგ კი მდგომარეობას ვასწორებდით... მითუმეტეს, რომ ომისთვის ნოემბრიდან ემზადებოდნენ და ჯარს სათავეში ისეთი მცოდნე მებრძოლი ედგა, როგორიც გენერალი ოდიშელიძე გახლდათ. მჯეროდა, რომ მან ყველაფერი გაითვალისწინა და ამ მარცხს ის საშინელი შედეგი არ მოჰყვებოდა, რაც სინამდვილეში მოხდა".[52]

ოდიშელიძის მოღვაწეობის შეფასებას იძლევა პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძეც, „გამოცდილი გენერალი, ყოფილი კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწე. მისი წამოწყებები ომის დაწყების დღიდანვე არ იყო სწორი და ახლა დაჟინებით გამოჩნდა. გაება მდგომარეობის გამორკვევასა და ცალ-ცალკე მოქმედებაში შემოსულ მტერთან, სათანადოდ არ შეაფასა მოქმედება სადახლოს მიმარულებით, ეს კი დიდ საფრთხეს ნიშნავდა თბილისისთვის. აკლდა მომთხოვნელობა ცალ-ცალკე უფროსებისადმი და თვით გენერალ გედევანიშვილისადმი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სადახლოსა და ბორჩალოს რაიონში შექმნილი მდგომარეობისა. დაკმაყოფილდა ადგილობრივი ნაწილებით მტრის განდევნის მოთხოვნით. მოქმედება წარმოებდა პატარ-პატარა ნაწილებით და ხშირად უშედეგოდ".[53]

ძალიან უარყოფითად ახასიათებდა ილია ოდიშელიძეს ნოე ჟორდანია და აღნიშნავდა, რომ ყოველთვის სურდა მისი გადაყენება. ასეთ ვითარებაში გაურკვეველია, თუ რა მიზანს ისახავდა ნოე ჟორდანია, როდესაც ოდიშელიძე საკუთარ სამხედრო მრჩევლად დანიშნა. ნოე ჟორდანია წერს, რომ პირველი უთანხმოება ილია ოდიშელიძესთან 1917 წლის ბოლოს მოუვიდა, როდესაც გენერალი ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე იყო. ჟორდანიას მიუტანეს სამხედრო მინისტრის თანაშემწის და „ფაქტობრივად სამხედრო მინისტრის ოდიშელიძის ბრძანება სომხებისათვის 13 000 თოფის გადაცემის შესახებ ... გადავაბრუნე ოდიშელიძის ბრძანება და დავაწერე: უარი ეთქვას ... ამ ინციდენტის შემდეგ ოდიშელიძეზე გული გამიტყდა. აშკარა იყო, რომ მომხდარმა ამბებმა ის მოშალა და დაარეტიანა, რომ აღარ იცოდა რას შვებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენი მფარველი აღმოუჩნდა ჩვენს პარტიაში, რომ ადგილიდან ვერ დავძარი. სამაგიეროდ მისას

[52] გ. კვინიტაძე. მოგონებები, გვ. 44.
[53] ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბ. 1990, გვ. 45.

არას ვიგონებდი და არც ვეკავშირებოდი. რით დაიმსახურა ნდობა? ერთად-ერთი გზით – ყველა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ფეხქვეშ ეგებოდა, რასაც ეტყოდნენ, მაშინვე ადასტურებდა. თავისი აზრი არავითარ საკითხზე არ ჰქონდა, სხვებისას იმეორებდა და ამიტომ ხმა გაუვარდა – ერთად-ერთი ღენერალია რევოლუციის მომხრეო! გაიკეთა რა ასე სახელი, მთელი სამხედრო საქმეების აწყობა მიანება პოლოტიკოსებისაგან შემდგარ სამხედრო კომისიას".[54]

უარყოფითი დამოკიდებულება ოდიშელიძისადმი ჟორდანიას არც 1921 წლის 16 თებერვალს დაუმალავს გენერალ კვინიტაძესთან საუბრისას. აი რას წერს გიორგი კვინიტაძე: „გენერალ ოდიშელიძეზე საუბრისას მთავრობის თავმჯდომარემ იგი უარყოფითად დააზასიათა. ვ. ჯუღელმაც იგივე აზრი გამოთქვა ... ჯერ კიდევ ზამთარში ა. ჩხენკელისაგან იგივე მოვისმინე. ახლა მთავრობისა და გვარდიის მეთაურებიც ამასვე იმეორებდნენ. მთავრობის თავმჯდომარეს მივუბრუნდი: მითხარით ასეთი შთაბეჭდილება ახლა დღეს შეგექმნათ? არა – მომიგო მან – მასზე ყოველთვის ამ აზრისა ვიყავი. მოთმინება დავკარგე და ჩვეული პირდაპირობით შევუტიე, ასეთ შემთხვევაში ეს თქვენი მხრიდან სამშობლოს ღალატია. თქვენ, მთავრობის თამვჯდომარემ, როგორ დანიშნეთ იგი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როდესაც მასზე უარყოფითი წარმოდგენა გქონდათ-მეთქი. იგი გაჩუმდა." კვინიტაძის აზრით, „მმართველებმა მთავარსარდლის თანამდებობაზე შეგნებულად მოიწვიეს გენერალი ოდიშელიძე მაშინ, როდესაც სრულიად არ სწამდათ მისი, როგორც ჯარის ხელმძღვანელისა ...თუ კონსტანტინოპოლში გენერალ ოდიშელიძის აღიარებასაც გავითვალისწინებთ, რომ მას ამ პარტიაში სამარცხვინო მდგომარეობა ეკავა, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ეს ორი მხარის უსიტყვო შეთანხმება ყოფილა. ერთი მხარე მეორეს ხელს აფარებდა და ხალხს ჭეშმარიტებას უმალავდა. მმართველები სამშობლოზე არ ფიქრობდნენ. უბედურების შემთხვევაში ერის წინაშე თავს იმით გაიმართლებდნენ, რომ ხელისუფლებაში **ყველაზე ავტორიტეტული გენერალი** მიიწვიეს.[55]

საინტერესოა, რომ ნოე ჟორდანიას მიხედვით, კვინიტაძემ „შეხვედრისთანავე დაიწყო თავდასხმა უმთავრესად ოდიშელიძეზე, უწოდა მეტად უზრდელი სახელი, გადავიდა სხვებზე, გამოდიოდა რომ არავინ არაფრათ არ ვარგა"[56].

[54] ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 121.
[55] გ. კვინიტაძე. მოგონებები, გვ. 48-49.
[56] ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 177.

ზოგადად, მემუარები საკმაოდ ტენდენციური წყაროა და მისი გამოყენებისასა სიფრთხილეა საჭირო. ჩვენთვის ცხადია, რომ ჟორდანია ძალიან ტენდენციურია გენერალ ოდიშელიძესთან მიმართებით. ასეთი რა მფარველები ჰყავდა ილია ოდიშელიძეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომ მუდმივად უმაღლეს სამხედრო პოსტებზე იყო? საინტერესოა, მთავრობის თავმჯდომარის სამხედრო მრჩეველად მისი დანიშვნაც ამ „მფარველების" დამსახურება იყო?

თუ მთავრობის თავმჯდომარის ძალიან ტენდენციურ და წინააღმდეგობებით აღსავსე გამონათქვამებს არ ჩავთვლით, სხვა ყველა აღიარებდა ილია ოდიშელიძის ცოდნასა და პროფესიონალიზმს. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გიორგი მაზნიაშვილი და გიორგი კვინიტაძე, ორი საუკეთესო ქართველი გენერალი, რომელთა სახელსაც უკავშირდება 1918-1920 წლებში ქართული შეიარაღებული ძალების მიერ მოპოვებული თითქმის ყველა გამარჯვება, მაღალ შეფასებას აძლევენ გენერალ ოდიშელიძეს. ილია ოდიშელიძის ბიოგრაფიაც იმას მოწმობს, რომ იგი მაღალი დონის პროფესიონალი იყო. მიუხედავად ამისა გასაოცარ ფაქტად რჩება, რომ ქართული ჯარის მთავარსარდლის პოსტზე ყოფნის დროს გენერალმა ილია ოდიშელიძემ სერიოზული შეცდომები დაუშვა.

ჩვენი აზრით, ამ შეცდომების ერთ-ერთი მიზეზი იმ დროს ქვეყანაში არსებულ ვითარებაშიც უნდა ვეძებოთ. მთავარსარდლის შიში, რომ შემოტევა შესაძლოა რამდენიმე მხრიდან განხორციელებულიყო, უსაფუძვლო არ იყო. ამიტომ „ჯარების გაგზავნა ყველა მიმართულებით" ლოგიკას მოკლებული არ იყო. სავარაუდოდ, ილია ოდიშელიძეზე გავლენას ახდენდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციაც. კერძოდ, ქემალისტების მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე და ნდობა საბჭოთა რუსეთის ერთგულებისა 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებისადმი. როგორც შედეგი - მოლოდინი სამხედრო შეტაკებისა ქემალისტებთან და სრული გამორიცხვა ომისა საბჭოთა რუსეთთან. საბჭოთა რუსეთთან შეტაკებას არც სომხეთის გასაბჭოების მერე ვარაუდობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები.

ყურადღებას იქცევს ორი გამონათქვამი: რევაზ გაბაშვილის — ოდიშელიძე იყო „უნებისყოფო და პატარა საქართველოსათვის სრულიად გამოუსადეგარი" და ნოე ჟორდანიას ფრაზა, რომ გენერალმა „მთელი სამხედრო საქმეების აწყობა მიანება პოლოტიკოსებისაგან შემდგარ სამხედრო კომისიას". ჩვენი აზრით, ეს მიუთითებს გენერალ ოდიშელიძის მიერ დაშვებულ უმთავ-

რეს შეცდომაზე — გენერალი ცდილობდა საერთო ენა გამოენახა საცილ-დე-მოკრატებთან, რომლებიც ბოლომდე არასდროს ენდობოდნენ ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს. საერთო ენის გამონახვა კი ოდიშელიძეს აიძულებდა კომპრომისებზე წასულიყო, პოლიტიკოსთა გუნება-განწყობილება გაეთვალისწინებინა, გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკოსთა ფაქტორებზეც ეფიქრა.

რაც არ უნდა ვივარაუდოთ, ცხადია, რომ პასუხისმგებლობა 12-16 თებერვალს განცდილ მარცხზე გენერალ ილია ოდიშელიძეს ეკისრება, თუმცა ეს სრულიადაც არ გამორიცხავს მის მაღალ პროფესიონალიზმს.

ილია ოდიშელიძემ თავისი ცოდნა და გამოცდილება კიდევ ერთხელ დაადასტურა 24 თებერვალს, მთავრსარდალ კვინიტაძესთან გამართულ თათბირზე. აქ გენერალმა ოდიშელიძემ შექმნილი ვითარების ანალიზი გააკეთა და სამომავლო მოქმედების მიმართულებებიც დასახა.

24 თებერვალს, საღამოს 9 საათისთვის გენერალმა კვინიტაძემ თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო და ამის შესახებ მასთან შტაბში მყოფ ნოე ჟორდანიას აცნობა. თუ რა მოხდა მთავარსარდლის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების განცხადების შემდეგ, ნოე ჟორდანიას ადიუტანტი კოტე იმნაძე აღწერს: „ამ დროს კუთხეში მჯდომი ღენ. ოდიშელიძე ადგა და მიუახლოვდა მაგიდას შემდეგი სიტყვებით — ნება მიბოძეთ, ბატონო, გამოვსთქვა ჩემი აზრი... მან დაახლოებით შემდეგი სთქვა — ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია უკან დახევა, რადგანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ფსიქოლოგიურ გამოძახილს ჰპოვებს ეს ნაბიჯი ჩვენს გამარჯვებულ ჯარში. მე ვფიქრობ, მცხეთაში არც ერთი ჯარისკაცი არ გაჩერდება. ამიტომ, თუ ხსნა გვიწერია, ხსნა ისევ იქ არის, იმ პოზიციებზე, რომელიც ჯარს უკავია... როგორ შეიძლება ისეთი დიდი გამარჯვება, რომელიც მთავარსარდალმა იგემა თბილისთან, უკანახევით სასწორზე დაიდოს, პირიქით, მე მის ადგილზე გადავიდოდი შეტევაზე... და შეტევაზე არა საერთო ხაზით, არამედ ერთგვარი პარტიზანული წესით — განაგრძობდა ოდიშელიძე — პარტიზანული შეტევით, რომ მტერს მოსვენება არ მიეცეს... მანამ, სანამ დაუძლურებული და საკმაოდ შელახული მტერი საკუთარ ადგილებს არ მოტყდება. ამავე დროს მოგვისწრებს მოხალისეთა ის ორი ათასეული, რომელიც იმერეთიდან დაძრულა[57]. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მტერსაც არ ჰყავს რეზერვი და არც შესაძლებლობა დამხმარე ძალების მოშველიებისა. და ბოლოს შეტევაზე

[57] გასათვალისწინებელია, რომ ამავე დროს ახალციხიდან მოდიოდა მე-11 და მე-12 ათასეულები.

დანართი №1

ქართული ჯარის შემადგენლობა და რაოდენობა, გენერალური შტაბის მონაცემებით, 1920 წლის 25 აგვისტოსათვის.

	სიითი შემადგენლობა	სახეზე იყო
I ბრიგადა. შტაბი	73	54
1-ლი ათასეული	4085	2034
მე-2 ათასეული	1967	1922
მე-3 ათასეული	2111	1534
მე-4 ათასეული	1812	1424
1-ლი საარტილერიო დივიზიონი	771	684
	10819	*7652*
II ბრიგადა. შტაბი	42	31
მე-5 ათასეული	3236	1920
მე-6 ათასეული	3605	2225
მე-7 ათასეული	3131	1563
მე-8 ათასეული	1509	1297
მე-2 საარტილერიო დივიზიონი	596	567
	12119	*7603*
III ბრიგადა. შტაბი	29	14
მე-9 ათასეული	1828	1612
მე-10 ათასეული	2059	1582
მე-11 ათასეული	1815	1308
მე-12 ათასეული	1683	865
მე-3 საარტილერიო დივიზიონი	811	586
	8225	*5967*
საარმიო არტილერია	537	379
სადარაჯო ათასეული	926	658



ჩრდილოეთის ფრონტის სარდლობა: (მარცხნიდან მარჯვნივ სხედან) ფრონტის შტაბის უფროსი ინფანტერიის გენერალი დანილოვი, 1-ლი არმიის სარდალი კავალერიის გენერალი ლიტვინოვი, მთავარსარდალი გენერალ-ადიუტანტი რუზსკი, მე-12 არმიის სარდალი ინფანტერიის გენერალი რადკო-დმიტრევი, მე-5 არმიის სარდალი კავალერიის გენერალი დრაგომიროვი, (დგანან) ფრონტის გენერალ-კვარტირმაისტერი გენერალ-მაიორი ბოლდირევი, 1-ლი არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ოდიშელიძე, მე-12 არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბელიაევი, მე-5 არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მილერი. 1916 წლის ბოლო

გადასვლა საერთო ხაზით მტრის სავსებით განადგურებისათვის... თუ სხვა რამ არ გვიწერია, მე ვფიქრობ, უმჯობესია თბილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთო. მთავრობის თავმჯდომარე შეეკითხა ღენ. ოდიშელიძეს: აქვს თუ არა მთავარსარდალს უფლება, პირადი გადაწყვეტილებით გადადგას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი? მთავარსარდლის საომარ სტრატეგიულ განკარგულებაში ვერავინ ჩაერევა — მიუგო ღენ. ოდიშელიძემ. ამ განმარტების შემდეგ ნოე ჟორდანიამ დასტოვა შტაბი და ჩემი თანხლებით გაემართა სასახლისაკენ".[58]

ილია ოდიშელიძემ, ერთადერთმა, წინააღმდეგობა გაუწია მთავარსარდალს და არ დაეთანხმა თბილისის დატოვების გადაწყვეტილებას (კვინიტაძის გადაწყვეტილებას არც გენერლები მაზნიაშვილი, ჯიჯიხია, ანდრონიკაშვილი იზიარებდნენ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ საშუალება თავისი მოსაზრება მთავარსარდლისთვის გაეცნოთ).

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ გენერალი ილია ოდიშელიძე მართალი იყო.

1921 წლის 17 მარტს ილია ოდიშელიძემაც დატოვა სამშობლო. ის სტამბულში დარჩა და სხვათა მსგავსად საფრანგეთში არ წასულა. სტამბულში ყოფნის დროს მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა 1921 წლის ომის შესახებ. გენერალი ილია ოდიშელიძე სტამბულშივე გარდაიცვალა. ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოდ 1925 წელს.

გენერალი ილია ოდიშელიძე იმ ქართველ პატრიოტთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პირველიდან უკანასკნელ დღემდე სამშობლოს სამსახურში იდგნენ და მზად იყვნენ სიცოცხლეც შეწირათ საქართველოს კეთილდღეობისათვის. ილია ოდიშელიძე ნამდვილად იმსახურებს, რომ თბილისში მისი სახელობის ქუჩა არსებობდეს.

[58] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებული [illegible] ფაქტობრივი ანექსიაც. თბ. 1991, გვ 104-106.

სანაპირო ათასეული	3025	2418
მესანგრეთა ათასეული	638	207
საავიაციო რაზმი	189	172
ავტო-რაზმი	299	298
რადიო-რაზმი	197	119
ცხენოსანი რაზმი	693	418
	37667	*25891*

დანართი №2

საბჭოთა რუსეთის დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ 1920 წლის ზაფხულის მდგომარეობით

საშტატო ნაწილის დასახელება	ათასეული	ასეული	ესკადრონი	ხიშტი	ხმალი	ტყვიამფრქვევი	სამთო ზარბაზანი	მსუბუქი/საველე ზარბაზანი	პაუბიცა
ძმეითთა ნაწილები									
I ბრიგადა									
I-ლი ათასეული.	1	5	-	550/850 (არასამწყობრო)	-	22	-	-	-
I-ლი საარტილერიო დივიზიონი	-	-	-	400/ 600	-	6	8	4	-
ერთ ბრიგადაში	4	20	-	2600/ 4000	-	94	8	4	-
სამივე ბრიგადაში	12	60	-	7800/ 12000	-	282	24	12	-
არტილერია									
საარტილერიო დივიზიონი	-	-	-	400/ 600	-	6	4	4	4
ძამალერია									
საკავალერიო პოლკი	-	-	4	-	700	6	-	-	-
ქართულ-	-	-	2	-	300	6	-	-	-

მესლიმური დივიზიონი									
საინჟინრო-ტექნიკური ნაწილები									
მესანგრეთა ათასეული	1	4	-	800/ 1000	-	-	-	-	-
საავტომობილო ასეული	-	1	-	200	-	-	-	-	-
საავიაციო ასეული	-	1	-	200	-	-	-	-	-
რადიო-სატელეგრაფო ასეული	-	1	-	100	-	-	-	-	-
სამხედრო სკოლა	-	2	-	600/ 800	-	12	-	-	-
სახალხო გვარდია									
ქვეითთა 16 ბატალიონი	16	80	-	16000	-	364	-	-	-
სარტილერიო ბრიგადა	-	-	-	-	-	8	[illegible]	[illegible]	-
ცხენოსანი დივიზიონი	-	-	2	-	300	6	-	-	-
4 ჯავშანმატარებელი	-	-	-	-	-	[illegible]	-	[illegible]	-
სასაზღვრო დაცვა									
6 რაზმი	6	18	-	3600	1800	-	-	-	-
სადარაჯო ნაწილები									
თბილისისა და ქუთაისის ბატალიონები	2	6	-	600	-	-	-	-	-
ხელ	37	17 3	8	29800/ 35100	3100	730	40	36	4
საგანგებო რაზმი	-	-	-	1000	-	-	-	-	-
დასახლებული პუნქტების მილიცია	-	-	-	12000	-	-	-	-	-

Mikheil Bakhtadze

LIEUTENANT-GENERAL ILIA ODISHELIDZE

Summary

Ilia Odishelidze was born in 1865, on the 25th of March. He graduated from Cadets' Corpus in Tbilisi and continued studying at Alexander III Moscow Military Academy.

In 1891-1894 he was studying at the General Staff Academy.

In 1897-1904 Odishelidze served in the Baltics; in 1904-1909 – in Far East and took part in the Russo-Japanese war. In 1909-1914 he served in Middle Asia.

In 1910 Odishelidze was raised to the rank of major-general.

On the 11th of October, 1914, he received the rank of lieutenant-general and was sent to the front of World War I. During World War I, he was chief of staff, 1st army.

In October 1917 Odishelidze was appointed as commander-in-chief of the army in the Caucasus.

He was deputy military minister of Democratic Republic of Georgia. Odishelidze was military expert in the Georgian delegation sent to the Paris Conference.

From 13th of December, 1920, to the 16th of February, 1921, Odishelidze was commander-in-chief of the Georgian army.

Only Odishelidze protested against the command of February 24th, 1921, to leave Tbilisi. On the 17th of March Ilia Odishelidze left his home country. He died in Istanbul, probably in 1925.

იოანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

ვლადიმერ კეკელია
ესმა მანია

ქართულ-კავკასიური მულტიკულტურული ვარიაციები (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით)*

„ზაკუსკები, სადილები ოჯახურად გაჭიმულები: ციდამ მფრინველნი, კავკასიიდამ ყინული, ტყიდამ ნადირნი, ზღვიდამ თევზნი, მოდიოდნენ და მოდიოდნენ: სუფი და ოჩი ევროპიისა, მწუადი ქართული, ფლავი ირანისა, ცივად ბატკანი ავარიისა, ნარინჯ და თურინჯ და სხუანი და სხუანი“,[1] – ეს მრავალკულტურული გასტრონომიული გარემო 1853 წელს ზაქათალაში მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვის მოგზაურობის ერთი დეტალია. რაც უფრო საინტერესოა, ამ მოგზაურობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ამ გარემოს ასე აღმწერიც ქართველი მოღვაწეა. მიუხედავად პერსონათა, ადგილთა, მოვლენათა დიდი მრავალფეროვნებისა, გასტრონომიულ მულტიკულტურალიზმში ყველა წინააღმდეგობა, ყველა კონფლიქტი დაძლეულია. ასე სასურველი ეკლექტიზმი და კომბინაცია, ბუნებრივია, კავკასიური თანაცხოვრების ყველა სფეროს არ ეხება.

მულტიკულტურალიზმი, როგორც გეოპოლიტიკური და ფსიქოლოგიური მოვლენა, სპეციფიკური გეოგრაფიული რეგიონებისთვის არის დამახასიათებელი. ასეთი რეგიონი, პირველ რიგში, ეთნიკურ მრავალფეროვნებას, კონფესიათა სხვადასხვაობას, ტრადიციათა, ზნე-ჩვეულებათა განსხვავებულობას და თითოეული ეთნოსისთვის მათი განუხრელი დაცვის აუცილებლობას გულისხმობს. მულტიკულტურალიზმი, როგორც გეოპოლიტიკური მოვლენა, უფ-

* ნაშრომს საფუძველად უდევს კავკასიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე – კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია – წაკითხული მოხსენება, თბილისი 2012.

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.), გრ. ორბელიანის არქ. №256, 1853 წ. ზაქათალა.

რო ხელოვნური პროცესია და მსოფლიო პოლიტიკური სუბიექტების აუცილებელ ჩარევას გულისხმობს; ხოლო, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, თავის თავში გულისხმობს ტოლერანტობას. ტოლერანტობა სამედიცინო ტერმინია და ცოცხალი ორგანიზმის მიერ უცხო ქსოვილის, მედიკამენტების შეგუებისა და გათავისების რთულ შინაგან პროცესს ასახავს. ტოლერანტობა მით უფრო ცხოველმყოფელია, რაც მეტი ბრძოლის შედეგადაა მიღწეული. კავკასიური მულტიკულტურალიზმი გეოპოლიტიკურიცაა და ფსიქოლოგიურიც.

ნაშრომი სწორედ გადაკვეთის ამ წერტილების ჩვენების მცდელობაა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XIX-XX საუკუნეების ქართული, რუსული, არაბულენოვანი წყაროების მაგალითზე.

ბუნებრივია, ამ შინაგანი დისონანსების ამსახველი წყაროები ყველაზე მეტად ისეთ ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებში უნდა ვეძებოთ, რომელთაც კავკასიის საკითხისადმი სამეცნიერო თუ კარიერული ინტერესები ჰქონდათ. ამ ადამიანებს, გარდა საჯარო პუბლიკაციებისა (მონოგრაფიები, სტატიები, ოფიციალური მიმოწერა), აქვთ პირადი ჩანაწერები, კერძო ხასიათის მიმოწერა, რაც საჯარო პუბლიკაციისთვის არ არის განკუთვნილი და რაც ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ასახავს სათქმელს, ზოგჯერ კი, როგორც საიდუმლო კომუნიკაცია, კონფრონტაციისთვის საშიშ დეტალებსა და ტენდენციებსაც კი შეიცავს. ამ ტიპის წყაროებში, თავისი ფსიქოლოგიური გახსნილობიდან გამომდინარე, ხშირად მულტიკულტურული ერთიანობის არანორმალურად მძლავრი სურვილიც გამოსჭვივის და მისი უსარგებლობის აუტანელი განცდაც. კავკასია, როგორც, ერთი მხრივ, ქართული ნაციონალური იდენტობის ალტერნატიული წყარო და, მეორე მხრივ, მისი ფატალიზმამდე მისული გარდაუვალობის აუტანელი შეგრძნება, ამ წყაროებისათვის უცხო არ არის.

მულტიკულტურული კავკასიის უნიკალურ სახედ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასახელოთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალი, კავკასიელ ლიდერებთან დაუღალავად მებრძოლი, ამასთან, ამ ლიდერების მართალი მთიური ბუნების კარგად აღმქმელი, კავკასიაში რუსული პოლიტიკის დანერგვა-გამტკიცების ხელშემწყობი და, ამავდროულად, ამ დამპყრობლური პოლიტიკის არათანამგრძნობი, ქართველი გრიგოლ ორბელიანი.

წარმოდგენილი კვლევისთვის სახელმწიფო თანამდებობასა და პიროვნების შინაგან ეთნიკურ მისწრაფებებს შორის კონფლიქტით მიღებული აზროვ-

ნების პროდუქტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ფასადური იმიჯები, რომლებიც თავის დროზე მათივე დისკრედიტაციისთვის ნომენკლატურის მიერ ხელოვნურად იქმნებოდა. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ასეთ გარემოში მოღვაწე ადამიანები ძალიან ხშირად ტრაგიკული ბედისანი არიან. ასეთი იმიჯის მიუხედავად, გრიგოლ ორბელიანის სრულიად განსხვავებულ ფსიქოლოგიურ პორტრეტს გვთავაზობს მისივე არასაჯარო ეპისტოლური მემკვიდრეობა.

იმისათვის, რომ მულტიკულტურული გარემო შეიქმნას, ნებისმიერი ეთნიკური სუბიექტი ჯერ მარგინალიზაციას განიცდის და შემდეგღა დგება გარკვეული თვითმყოფადი ელემენტების დათმობის აუცილებლობის წინაშე. ერთ-ერთ წერილში გრიგოლ ორბელიანი 1878 წელს შაჰ ყიბლა-ალამის[2] თბილისში ჩამოსვლას შეეხება, რომლის შესახებაც ის ერთგვარი რიტორიკით საუბრობს: *„იფიქრე, ყაენსა აკვია ჩუენებური ალტო ალონებით, ამაზე მეტი გარუსება იეწებალა"*.[3]

წერილის ეს ფრაგმენტი საინტერესოა მრავალმხრივ. სიტყვით „ჩვენებური" გენერალი უსათუოდ რუსულს გულისხმობს, მაგრამ გაორებულია, როცა პიროვნული სიმპატიები აშკარად აღმოსავლელი მმართველის ღირსების აღდგენისკენ ძალავს.

შაჰის თბილისში ვიზიტზე საუბრისას მას არ გამორჩენია იმის აღნიშვნა, რომ *„თბილისელ ქალებს მზოლოდ მისი მუნდირის ბრილიანტის ღილები მოეწონათ"*.[4]

1855 წელს თემირხანშურადან ძმის, ყაფლან ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში წერს: *„როგორა ჰსწავლობს შენი შვილი? თუ მკვის ბედნიერება გინდა, თათრული და სპარსული უნდა ასწავლო კარგად, ზედმიწევნით, თორემ, მერწმუნე, ანგლიურის ენით ეგ პურს ვერ იშოვნის. იმდენი დღეგრძელობა შენ გქონდეს, რამდენჯერ ცხვირში აგიკრან ჩვენმა ყმწვილებმა თათრულის ენის უკოდინობითა"*.[5]

როგორც ჩანს, ძმას ძმის რჩევა გაუთვალისწინებია და გრიგოლ ორბელიანი მომდევნო წელს კმაკოფილებით სწერს:

„ძალიან მიამა, რომ შენი შვილი სწავლობს სპარსულსა, ნეტავ შარშან ეგ წამომეყვანა აქა, ყარაბაღელი მირზა პუსუფი ჩემთანა მყავს, ვაწერი-

[2] იგულისხმება ირანის შაჰი ნასერ ედ-დინ ყაჯარი (1848-1896).
[3] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №193. 1878 წ. თბილისი.
[4] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №193. 1878 წ. თბილისი.
[5] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №387. 1855 წ. თემირხანშურა.

ნებ სპარსეთის ისტორიასა, მეტადრე განურცელებია ნადირ შაჰდამ აქამომდის. ამასთან, შენი შვილი ძალიან კარგად ისწავლიდა და რუსულიცა უფრო გაუადვილდებოდა".[6]

საინტერესოა მისი მსჯელობა ჩრდილოეთ კავკასიელი ლიდერის – შამილის შესახებ. კავკასიელ ლიდერთა შეფასებებში გრიგოლ ორბელიანი ერთ განუხრელ ხაზს არ მიჰყვება. თუმცა არის შემთხვევები, როცა ავტორი მას ვაუკაცობასა და გამბედაობას უწუნებს. მიუხედავად ამისა, მის წერილებში არასდროს იკარგება შამილის როგორც ღირსეული მთიელის სახე. მას არასდროს რჩება ყურადღების მიღმა მთიელი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის სტუმრის, ქალის პატივისცემა, თუნდაც ის მისი ტყვე იყოს. 1854-1856 წლებში შამილთან დატყვევებული ქართველების მდგომარეობას გრიგოლ ორბელიანის არაერთი წერილი ეხება:

„სხვა რიგათ მშვიდობით არიან ყველანი, და როგორათაც უწინ, შამილ დიდის პატივით ეპყრნა ტყვეებს, სახლებს უმატებს, პოლსა და ფეჩებს თურმე უმზადებინებს, მგრამ რაკი ამ საკოდავებს შეუტყვიათ შამილის მოთხოვნილება, ჯავრისგან ალარ არიან... შამილს ერთი მილიონი ფული, თავისი შვილი და რამდენიმე სხვა ტყვეები ეთხოვნა. ფულზედ კიდევ როგორმე შეიძლება მორიგება, უეჭველია, რომ დაიკლებს და იქამდი ჩამოვა, რომ შეიძლოთ მიცემა. მგრამ შვილის მიცემას იყბულებს თუ არა ჩვენი ხელმწიფე, არ ვიცი. სხვა ტყვეები, რომელსაც ის თხოულობს, ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის გაგზავნილები არიან და ვინ იცის, სად იმყოფებიან. იმათს ძებნაში საშე გაგრძელდება და შეძლებენ თუ არა ის საკოდავები ამდენი ხნის ტყვეობას, ღმერთმა იცის".[7]

გრ. ორბელიანი ყაფლან ორბელიანს 1855 წელს თემირხანშურადან სწერდა:

„ჩვენი დატყვევებული ქალები, ღვთის მოწყალებით, კარგად იმყოფებიან თავის შვილებითა. დავითის პატარა ვაჟსა და ჩემს ძმისწულს გიორგის ფეხი აუდგამთ და დაცუცუნებენ. ახლა მოველით და მოველით შამილის შვილის მოსვლასა, რომ მაშინ დაბოლოვდება გამოსხნა მათი და არ იცნა, არ მოვიდა ის წყეული. ჩემი ისაია იყო დარღოში და ძალიან კარგადაც მიეღო ის შამილსა პატივითა".[8]

---

[6] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №392. 1856 წ. თემირხანშურა.
[7] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №325. 1854 წ. თემირხანშურა.
[8] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №387. 1855 წ. თემირხანშურა.

ქეთევან ორბელიანს:

„ჩვენის ქალების ამბავი ესევ ისეა. ველით და ველით ჩამალლებულის შამილის შვილსა და არ იქნა და არ იქნა მისი მოსვლა და ჩვენც ვართ ასე“.[9]

ყაფლან ორბელიანს: *„აგუშინწინ დავით ჭავჭავაძის წერილი მომივიდა ვლადიკავკაზიდამ. მწერს, რო შამილის შვილი ჩუმარებიათ იმისთვის გასაცველად ჩვენს დატყვევებულს ქალებზედ. ღმერთმან ინებოს, რომ მალე და მშვიდობიანად დაგვირგვინდეს ეს საუბედურო საქმე. შამილასაც შეუტყვია თავის შვილის მოსვლა და საჩქაროთ გამოუგზავნია კაცი და წერილი ჩემთან და დავითთან და იხვეწება, მოვრჩეთო“.*[10]

საგულისხმოა, რომ, როცა საქმე ეხება შამილს როგორც მამას, მისი სრულიად სხვა პორტრეტი იხატება. ეს დაბნეული, აჩქარებული, შვილის საკეთილდღეოდ თავგადადებული მამის პორტრეტია. შამილის, როგორც სამხედრო პირის, შეფასებებში გრიგოლ ორბელიანი, რომელიც სხვა შემთხვევაში საკმაოდ ზომიერი, თავშეკავებული და გულწრფელია, არცთუ იშვიათად იყენებს არაკორექტულ ეპითეტებს. ამ შეფასებებში მას ბოლომდე ვერ დავეყრდნობით, რადგან სამხედრო საქმე მისთვის, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გართობა, უფრო მეტიც, ვნებაცაა. ეს სამხედრო ჟინი მის წერილებსაც ეტყობა.

„თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში – წერს გრიგოლ ორბელიანი, – სადაცა ვაშენებ ციხესა, – შამილიც იყო აქა დიდის ჯარითა, ქერდსავით ტყეში იდგა და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდამ, იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირპირ-ჩამტვრეული მორბიდა (ავტორი მთელი ემოციით საუბრობს, თუ როგორ შტიკებზე აკაკვეინა, დაბოკა, გაანადგურა, ბირაღი წართმევინა, აღრიალა და როგორ ადიო კახეთის სისხლი) ბოლოს შამილამ რა ვერა გაწყო რა, აქეთ და მიბრძანდა პირგაშავებული დარჩოს, ჯარებიც ჩამოეფანტა. ამასწინათ სალათავიას ნაიბი ჩამოვიდა ჩემთან 116 სულითა და მის შემდეგ ყოველს დღეს გამორბიან ცოლშვილითა“.[11] ან კიდევ *„ადიეთ კიდევ ერთი ციხე აშენებული შამილისაგან. მივამტვრივ-მოვამტვრიეთ მათი ცხვირპირი და ისე გადავჩხეთ ხევებში“.*[12]

---

[9] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №328. 1855 წ. თემირხანშურა.
[10] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №388. 1855 წ. თბილისი.
[11] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №395. 1857 წ. სალათავია.
[12] ხეც. გრ. ორბელიანის არქ. №367. 1857 წ. სალათავია.

საგულისხმოა ტყვეების დახსნის პროცესის ამსახველი მასალები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მოლაპარაკების პროცესში მხარეთა შორის აშკარად თავშეკავებული, კორექტული, რიგ შემთხვევაში კი მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბებულა. ასე, მაგალითად, ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი (1821-1899) აღნიშნავს, რომ გენერალ მურავიოვს, რომელიც ამ დროს მეფის ნაცვლისა და მთავარსარდლის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, იმედიც კი ჰქონდა, რომ ამ მეგობრული ურთიერთობის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა კავკასიის ომის დასრულება. ამ მიზნით იგი შტაბის უფროსის, გენერალ ბარიატინსკის, პირით წინადადებას აძლევს ბარონ ლეონტი ნიკოლაის (1820-1891) შამილთან მეგობრული ურთიერთობა განაგრძოს და ეცადოს, სათანადო სარგებლობა გამოიტანოს აქედან.[13] მეგობრული ტონის ელფერი დაჰკრავს შამილის ერთ-ერთი ნაიბის, კერძოდ, აუხის ნაიბ ჰაზუს წრილებს, რომლებიც გაიგზავნა გენერალ ბარონ ლეონტი ნიკოლაისთან, რომელიც მაშინ ჰასავ-იურთის ციხე-სიმაგრის კომენდანტი იყო და ტყვეების გაცვლის პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. აქვე გთავაზობთ ნაიბ ჰაზუს ზემოთ მითითებული ტენდენციის ამსახველ წერილებს.[14]

„მეტად მნიშვნელოვანი თხოვნა მაქვს შენს მაღალ კეთილშობილებასთან: დართე ნება და გამოგზავნე ის ეკიმი, ასთარხანი ჩემთან, რათა ნახოს ავადმყოფობა ჩემი და შეამოწმოს ტკივილი ჩემი სხეულისა. ნუ შეუშლი ხელს ჩამოვიდეს ჩემთან თუნდაც ეს დაკავშირებული იყოს სიძნელეებთან. ჩვენ ვცხოვრობთ მეზობლად და ვართ ერთად ახლო ნათესაურ ურთიერთობაში... მშვიდობა მას, ვინც მისდევს კეთილ გზას“.[15]

და კიდევ: *„იცოდე, რომ ეს შეპყრობილი ტყვე ჯანმურზა არის იმთ-*

---

[13] Русская Старина. т. XXXVI. 1882. გვ. 255.

[14] აუხის ნაიბ ჰაზუსა და ჯამალ ად დინის წერილები ბარონ ლეონტი ნიკოლაისთან დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის არქივში. არქივის დამუშავება დასრულებული არ არის. ამდენად, ნიკოლაის არქივიდან დამოწმებული საარქივო მასალა ერთეულის ნომრის მითითების გარეშე მოგვყავს. ჰაზუს არაბულენოვან წერილებზე იმუშავა და მათი ქართული თარგმანი შეასრულა ეთერ სიხარულიძემ. აღნიშნული ნაშრომის გამოუქვეყნებელი ხელნაწერი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივს შესანახად გადასცა არაბისტმა ნანა ყანჩაველმა. ჰაზუს წერილების ამონარიდებს ე. სიხარულიძის ნაშრომიდან ვიმოწმებთ.

[15] ე. სიხარულიძე, აუხის ნაიბ ჰაზუს წერილები ბარონ ლ. პ. ნიკოლაისადმი (ხელნაწერი).

განი, რომელზედაც ზრუნვა ჩვენ არ ხელგვეწიფება. მას კი, ჩემ გარდა, არავინ ჰყავს ისეთი, ვინც მასზე იზრუნებს. გთხოვ, შეამსუბუქო მისი საქმე. ის არ არის ისეთი მდიდარი, როგორც გვონია და ქართველი ტყვეებიც ალარ იმყოფებიან ჩემთან. ამით საქმე გართულდა. კეთილშობილო, გამოგზავნე პასუხი... რომელიც იქნება უკანასკნელი პასუხთაგანი".[16]

ეთნიკური და კულტურული იდენტიფიკაციის კრიზისის მაჩვენებელია შამილის შვილის, ჯამალ ად დინის, წერილები ლეონტი ნიკოლაისთან.[17] ამ წყაროებში კავკასიელი მთიელისთვის გაუცხოების იშვიათ მაგალითებს ვაწყდებით. ეს ტენდენცია არა შეფარვითი და ქვეცნობიერია, არამედ პირდაპირი და მკაფიოდ გამოხატული. 1855-1857 წლებში დაწერილი აღნიშნული წერილები იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ჯამალ ად დინი უკვე კავკასიაში მამასთან იმყოფებოდა. რიგ წერილებს იგი ლეონტი ნიკოლაის მამის კარნახით სწერდა, სადაც, ძირითადად, ტყვეების გამოხსნაზეა საუბარი, მაგრამ არის წერილების ჯგუფი, რომელშიც ჯამალ ად დინი ნიკოლაის მეგობრულად უზიარებდა პირად ტკივილსა და უკმაყოფილებას.

1855 წლის მაისში ის ლეონტი ნიკოლაის ისეთი წიგნების გაგზავნას სთხოვდა, როგორიც არის მსოფლიო ისტორია, რუსული ენის გრამატიკა, ფრანგულ-რუსული და რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, კრილოვის იგავ-არაკები და სხვა.[18] იმავე წლის 29 აგვისტოს წერილში კი სინანულით აღნიშნავდა, რომ მას რუსულად მხოლოდ წიგნების კითხვის უფლებას აძლევენ, გაზეთების კითხვას კი უკრძალავენ. წერილში გულახდილად საუბრობს, რომ რუსეთში სრულიად თავისუფალი იყო, მამასთან კი თავი ციხეში ეგონა.[19]

1856 წლის 4 მაისით დათარიღებულ წერილში კი იგი უჩიოდა იმ გარემოს, სადაც, მისი აზრით, მხოლოდ ჭორები, პირფერობა და საკუთარი თავის განდიდება მეფობდა.[20] ის საკუთარი ხალხის შესახებ ერთგვარი ამრეზითა და უკმაყოფილებით საუბრობდა: *„რომ არა მამა, ამ ადგილას თვით ეშმ-*

---

[16] ე. სიხარულიძე, აუხის ნაიბ ჰაზუს წერილები ბარონ ლ. პ. ნიკოლაისადმი.

[17] ალექსანდრე ნიკოლაიმ წერილების ნაწილი (5 ერთეული, ზოგიერთი კუპიურებით) 1882 წელს გამოაქვეყნა, იხ: Русская Старина, т., XXXVI, 1882, გვ. 276-278. გამოუქვეყნებელია 13 ერთეული.

[18] ხეც. ალექსანდრე ნიკოლაის არქივი. ჯამალ ად დინის წერილი ლეონტი ნიკოლაის. 1855 წელი.

[19] ჯამალ ად დინის წერილი ლეონტი ნიკოლაის. 1855 წელი.

[20] ჯამალ ად დინის წერილი ლეონტი ნიკოლაის. 1855 წელი. იხ. აგრეთვე: Русская Старина. т. XXXVI. 1882, გვ. 277-278.

კიც კი ვერ დამაკვებდაო".[21] საკუთარი ხალხის მიმართ მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ ისიც მოიტანა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები მას რუსების ჯაშუშად მიიჩნევდნენ.

ცალკე აღნიშვნას მოითხოვს მისი 1856 წლის 6 დეკემბრით დათარიღებული წერილი, სადაც ის სიხარულით საუბრობს იმ ცნობის შესახებ, რომ დავით ჭავჭავაძის სოფ. შილდაში დაკარგული მცირეწლოვანი ასული ნაპოვნია და ძმასთან ერთად იმყოფება.[22] ჯამალ ად დინის პიროვნული გაორება და იმ სამყაროსგან გაუცხოვება, რომელსაც იგი თავდაპირველად ეკუთვნოდა, მის ავტოგრაფზეც კარგად აისახა. მისი მწყობრი, ჰარმონიული რუსული ხელწერა ერთგვარი შინაგანი კომფორტის გამოხატულებაც კი არის.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება იაკობ გოგებაშვილის ერთი ნაკლებად ცნობილი ნაშრომი, სახელწოდებით ***«Кризис в грузинской церковно-приходской школе»***,[23] რომელიც, სავარაუდოდ, 1900-იან წლებში საგანგებოდ რუსულ ენაზეა დაწერილი. ის შეიცავს ცნობებს მთელი კავკასიის და შუა აზიის რეგიონის გეოპოლიტიკური ვითარების, განვითარების რეალური და პოტენციური ტენდენციების, შესაძლო გეოპოლიტიკური ვარიაციების შესახებ. სტატიაში რუსეთის იმპერია შეფასებულია როგორც ამ რეგიონებში გავრცელებული პოლიტიკის ერთპიროვნული განმსაზღვრელი. იაკობ გოგებაშვილი ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობას ასე აღწერს: ***„ამიერკავკასიაში არსებობისათვის სამი ერი იბრძვის: თათრები, რომლებიც რაოდენობით, ფაქტობრივად, I ადგილს იკავებენ, ქართველები, რომელთა რიცხვი თითქმის 1,5 მილიონია და სომხები, რომელთა რაოდენობა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ოთხჯერ ჩამორჩებოდა ქართველთა რაოდენობას, ახლა კი თითქმის გაგვითანაბრდნენ და მატერიალური სიმდიდრითაც ბევრად აღგვემატნენ"***.[24]

უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოთ მოყვანილ ციტატაში ი. გოგებაშვილს საგანგებოდ დაჰყავს სახელმწიფოებრივი ინტერესები ეთნიკურ ინტერესებამდე. სახელმწიფოებრიობის პრეტენზიების არმქონე ეთნოსზე საუბარი იმდროისთვის, რასაკვირველია, ბევრად უსაფრთხო იქნებოდა. თანაც ჩნდება შთაბეჭდილება, რომ არა მხოლოდ ვიწროკუთხური სეპარატიზმია მძლავრი ია-

[21] ხეც. ალექსანდრე ნიკოლაის არქივი; იხ. აგრეთვე: Русская Старина. т. XXXVI. 1882. გვ. 277.
[22] ხეც. ალექსანდრე ნიკოლაის არქივი.
[23] ხეც. ი. გოგებაშვილის არქ. №81.
[24] ხეც. ი. გოგებაშვილის არქ. №81.

რაღი რუსეთის ხელში, არამედ ერთაშორისი კონფრონტაციებიც, რაც, როგორც წერილიდან ჩანს, გამწვავებული თუ არა, დღის წესრიგში მაინც უნდა მდგარიყო. ამ ტენდენციას ავტორი ქვემოთ მოყვანილი ციტატის მომდევნო აბზაცში ასე ავითარებს (რაკი აღნიშნული მონაკვეთი, თავისი მაღალი ექსპრესიულობით გამოირჩევა, დედნის ენითვე მოგვყავს): *«Никто не задается мыслю, разчленить татар и армян, разбить их на мелкие куски. Этою дикою целью задаются только относительно грузин. Но ведь это значит ослоблять единоверные племени в пользу не единоверных, добровольно присоединившихся к России в пользу покоренных силою орудия. Это ли не сказочная слепота!».*[25] ძალიან ხშირად ავტორი რუსული პოლიტიკის ალოგიკური ტენდენციების გამოსავლენ შესანიშნავ კონტრარგუმენტად ერთმორწმუნეობას იყენებს, ერთაშორის თუ ეთნიკურ კონფრონტაციებს – პოლიტიკური აქტივობის მეთოდად.

კავკასია, როგორც კულტურული და გეოპოლიტიკური არეალი, ქართული აზროვნების ერთ-ერთი მაგისტრალური ობიექტია. კავკასიის ე. წ. „ქართული აღქმა", ბუნებრივია, არ არის ერთმნიშვნელოვანი. საერთო გეოგრაფიული არეალით, მითით საერთო წარმომავლობის შესახებ, საერთო ეთნარქით, საერთო გეოპოლიტიკური ვითარებით, მაგრამ ფუნდამენტურად განსხვავებული რელიგიური და კულტურული ტენდენციებით, განსხვავებული პოლიტიკური ხედვებით, ეს მხარეები მეტად სპეციფიკურ გადაკვეთის წერტილებს ქმნის. სწორედ ამიტომ ახლავს ე. წ. „კავკასიის საკითხს" ერთგვარი კრძალვა, დელიკატურობა, სწორედ ამიტომ ექცევა ის მკაცრად რეგლამენტირებული პოლიტიკური და კულტურული კორექტულობის ჩარჩოში. ეს გარემოება, ეს ქვეცნობიერი კონფლიქტები კულტურათა დიალოგისთვის მეტად ვიწრო, სპეციფიკურ, მაგრამ საინტერესო და სასარგებლო პერსპექტივას ქმნის.

[25] ხეც. ი. გოგებაშვილის არქ. №81.

Vladimer Kekelia
Esma Mania

GEORGIAN-CAUCASIAN MULTICULTURAL VARIATIONS (ACCORDING TO MATERIAL PRESERVED AT THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS)

Summary

Caucasus as a cultural and geographical area is one of the main objects of Georgian thinking. The so-called "Georgian perception" of Caucasus, naturally, is not a simple sphere without opposition. According to the whole geographical area, myth of a common origin, common ethnarch, common geopolitical situation, and with fundamentally different religious and cultural tendencies, political views, these localities create very specific points of intersection. Exactly that is why so-called "Caucasus problem" is accompanied by some veneration, delicacy, and is placed in the frameworks of sternly regulated political and cultural correctness. These circumstances, subconscious conflicts create a narrow and specific direction for a cultural dialogue.

The aim of our paper is to show exactly these points of intersection according to the Georgian, Russian sources and those written in Arabic (personal archives of Iakob Gogebashvili, Grigol Orbeliani, Baron Alexander Nikolai, ROS-fund) of the 19th-20th centuries preserved at the National Centre of Manuscripts. This material offers following research issues:

1. Caucasus as the alternative way of the Georgian identity.

2. Psychological portraits of the leaders of Caucasus and the interrelation problems of their Georgian versions.

3. Problem of subconsciously divided Caucasus due to the Russian influence.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

მერაბ კალანდაძე

ისტორიის თეორიული პრობლემების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში

კვალიფიცირებული ისტორიკოსის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიის თეორიული საკითხების, ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის, ისტორიის მეთოდოლოგიის, სწავლებას. ფაქტობრივად, ამით სახურავს დავადგამთ, დავასრულებთ, ახალგაზრდა ისტორიკოსის პროფესიულ დაოსტატებას. ამ პრობლემატიკის მნიშვნელობა ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული აღორძინების ეპოქის ინგლისელ მოაზროვნეს ფრენსის ბეკონს „შემეცნება განსაზღვრული მეთოდის გარეშე ემსგავსება შეუკრავ ცოცხს ან ღამით ფათურით სიარულს". ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ძალიან მოკლედ გადავავლოთ თვალი ისტორიის თეორიული საკითხებით დაინტერესებას საქართველოში. რა გაკეთდა ამ მხრივ ქართული საისტორიო მეცნიერებაში? თემა არის საინტერესო და აქტუალური. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი. ეს თემა წინ წამოვწიეთ ჩვენს მონოგრაფიაში „ისტორიოგრაფიული ეტიუდები".[1] ამჯერად გთავაზობთ ამ საკითხის განხილვას უფრო შევსებული, სრულყოფილი, სახით.

წინამდებარე ნაშრომში უმთავრესად აქცენტს გავაკეთებთ ისტორიის ფილოსოფიისა და ისტორიის მეთოდოლოგიის თემატიკით დაინტერესებაზე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ საკითხის ამომწურავად, სრულყოფილად, წარმოჩენის პრეტენზია არ გაგვაჩნია. ეს აშკარად სცილდება ერთი სამეცნიერო სტატიის ფარგლებს და მხოლოდ აღნიშნული თემატიკის ძირითადი მომენტების მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

---

[1] მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 284-316. ამ თემას განიხილავს ფ. ლომაშვილი, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდის და განსხვავებულ აქცენტებს სვამს. იხ. ფ. ლომაშვილი. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. ნაწილი 3. თბ. 2012.

საქართველოში ისტორიულ თეორიული პრობლემებით დაინტერესება მკაფიოდაა გაყოფილი ორ პერიოდად და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. 1. ისტორიის თეორიული საკითხების კვლევა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991 წწ.) და 2. ამ პრობლემით დაინტერესება პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1992 წლიდან დღემდე).

საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის თეორიულის საკითხების შესწავლა პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1. XX საუკუნის 20-30-იანი წლების პირველი ნახევარი, როდესაც თავი იჩინა ამ საკითხით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა. აქ, უწინარესად, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, ივანე ჯავახიშვილს და გრიგოლ ნათაძეს. ფაქტობრივად, საძირკველი ჩაეყარა ამ პრობლემის მეცნიერულ შესწავლას. 2. XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მკვეთრად იგრძნობა ამ თემატიკისადმი ინტერესების დაქვეითება, რაც უპირატესად იმით იყო განპირობებული, რომ მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. ასეთი მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული. ეს იყო მეცნიერებაში უხეში ადმინისტრაციული ჩარევის საუკეთესო ნიმუში. 3. XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან კვლავ შეინიშნება ამ თემატიკისადმი ინტერესის გამოღვიძება, მაგრამ ეს გამოცოცხლება არ სცილდებოდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის თეორიულ ჩარჩოებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემატიკით დაინტერესებამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა და თვისებრივად სულ სხვა მიმართულება მიიღო. ამიტომ პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფია ცალკე პერიოდად უნდა გამოვყოთ.[2]

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემაზე არსებული ქართული ლიტერატურა მეტად მწირია. ქართველ მეცნიერთა ამგვარი ინერტულობა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მას მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური და იდეოლოგიური სარჩული ედო საფუძვლად. ისტორიის თეორიული-მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში მოექცა. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლისა, ალბათ, გაცილებით მეტი აქტიურობის გა-

[2] მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები, გვ. 284-285: მ. კალანდაძე. საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის ევოლუცია. მეხუთე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფ. გივი ჟორდანიას 100 წლის იუბილესადმი. თბ. 2011.

მოჩენა შეიძლებოდა და ასეთი ინერტულობა, პასიურობა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. უეჭველად, უნდა ითქვას ისიც, რომ უმრავლესობას, ალბათ, აფრთხობდა ამ თემატიკის სირთულე და ემპირიული ისტორიის კვლევის არჩევა. მიუხედავად მძლავრი პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხისა შეიძლება ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემატიკით დაინტერესების გარკვეული ტრადიცია მაინც არსებობს და მისი შეუფასებლობა არ ივარგებს.

პირველ ყოვლისა საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ საკითხების კვლევაში გარკვეული ევოლუცია განიცადა. ძირითადად ეს იმით გამოიხატებოდა, რომ თუ თავდაპირველად ქართულ ისტორიოგრაფიას აღნიშნულ საკითხში სწორი ორიენტირი ჰქონდა დასახული და უპირატესად მეცნიერულ აქცენტებს სვამდა, შემდგომში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ის იძულებული იყო დამორჩილებოდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს. ამ უნიფიკაციის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური გაუფერულება.[3] განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ თუ თავდაპირველად ამ თემატიკით დაინტერესების ინიციატორად ისტორიკოსები გამოდიოდნენ, შემდგომში მათ პოზიციები აშკარად დათმეს და უპირატესობა ფილოსოფოსებს გადაულოცეს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ისტორიის მეთოდოლოგიის და ისტორიის ფილოსოფიის პრობლემების დამუშავება უწინარესად ისტორიკოსების საქმეა. ამ სფეროში პრიორიტეტის დაბრუნება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად უნდა დავსახოთ.

* * *

20-30-იანი წლების პირველი ნახევარი საქართველოში ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხებით დაინტერესების ოპტიმალურ ხანად უნდა მივიჩნიოთ. ეს სავსებით კანონზომიერი იყო და მასში საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი სხივი მოჩანს. ამ პერიოდის მთავარ ღირსებას ისტორიის თეორიულ-მეთოდოლო-

[3] უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია. თბ. 1970, გვ. 78; გ. ყორანაშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნაწ. I, თბ. 1994, გვ. 118.

გიური პრობლემებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა წარმოადგენს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის შესწავლის ინიციატორად გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი აკად. ივანე ჯავახიშვილი გვეელინება. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს მის ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა".[4] ფაქტობრივად, ეს ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის შესწავლის საქმეში გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯს. ამით აკად. ივანე ჯავახიშვილმა საძირკველი ჩაუყარა ისტორიის თეორიული პრობლემების სერიოზულ მეცნიერულ კვლევა-ძიებას ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დიდი დამსახურება, რომლის გვერდის ავლა, დავიწყება, მართალი არ იქნებოდა.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილმა ამ სფეროში თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრო. ღირებულია არა მარტო ის, რაც მან დაწერა, არამედ ისიც, რისი დაწერაც განზრახული ჰქონდა. ტოტალიტარულ – ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დომინირებდა მოსაზრება, რომლის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილი თითქოს იყო შესანიშნავი ფაქტოლოგი, რომელიც თეორიულ-მეთოდოლოგიური აზროვნების მხრივ ემპირიზმის დონეს არ გასცილებია. ამგვარ განწყობილებას ტონი მისცა ოცდაათიან წლების დისკუსიამ. რეალობა სულ სხვაგვარი იყო.

უდაოდ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისი პირველი ლექციის თემად მან აირჩია საკითხი არა საქართველოს ემპირიული ისტორიიდან, არამედ შეეჭიდა ისტორიის ფილოსოფიის რთულ პრობლემას „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო და საფილოსოფოსო მწერლობასა და ცხოვრებაში". ამიტომ მოსაზრება თითქოსდა ივ. ჯავახიშვილს არ აინტერესებდა ისტორიის ფილოსოფია[5] სწორი არ უნდა იყოს და აკნინებს ისტორიული მეცნიერების წინაშე მის დიდ დამსახურებას. პირიქით, მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან, საარქივო მასალებიდან, თვალნათლივ ჩანს, რომ ის დიდ ინტე-

[4] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977. ამ, მხრივ საგულისხმოა სხვა ნაშრომები: ქართველი ერის ისტორია, მამულიშვილობა და მეცნიერება. და სხვა.

[5] ლ. სანიკიძე. ისტორია ნაშრომი თუ ნაწარმი. „სახალხო განათლება". 1990 წელი. 19 ივლისი.

რესს ამჟღავნებდა და საკმაოდ კარგად იყო ჩახედული ისტორიის თეორიულ საკითხებში. საყურადღებოა, თვით საკითხის დასმა – ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. ის ისტორიის ფილოსოფიისა და ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებით დაინტერესებას უსვამს ხაზს. მეცნიერს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული პრობლემის აქტუალობა. ის ცდილობდა ამ კუთხით განეხილა საქართველოს ისტორია, მოეხდინა სინთეზი, მაგრამ ამ ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა ველარ მოასწრო. შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. გრ. ნათაძეს თითქოს „ივ. ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის სინთეზი არ მოუხდენია".[6]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი საკმაოდ მაღალი აზრისა იყო ისტორიის მეთოდოლოგიაზე და ისტორიის ფილოსოფიაზე და მიზანშეწონილად მიაჩნდა საისტორიო დარგის მომავალი სპეციალისტებისათვის ამ საგნების სწავლება.[7] როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამ დარგების შესწავლის მნიშვნელობა ისტორიკოსის ფორმირების საქმეში, მისთვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ეს იყო საკუთარი სწორი პოზიცია, რომელიც პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მხოლოდ ნაწილობრივ თუ იქნა რეალიზებული.

საკმაოდ ფართო გეგმები ჰქონდა მას წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით და ამ დარგში მეტად სერიოზული ჩანაფიქრი გაჩნდა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მან ამ განზრახვის ბოლომდე განხორციელება ვერ მოასწრო. „ივ. ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული ჰქონდა „ისტორიის მეთოდოლოგიის და ფილოსოფიის" დაწერა, რისთვისაც საგანგებოდ განკუთვნილ ყდაში აგროვებდა ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალას, დაწერილი დარჩა მხოლოდ ზოგადი შესავალი და „შედარებითი მეთოდის შესახებ".[8]

საკუთარი კანონზომიერი უნდა იყოს, რომ პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებებისადმი ინტერესი მკვეთრად იზრდება, რაც პოლიტიკური სახეცვლილების ლოგიკური შედეგია. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს პროფ. ედუარდ კოდუას წიგნი „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური

---

6 გრ. ნათაძე. საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები. თბ. 1931, გვ. 81.

7 რ. მეტრეველი. ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1975, გვ. 42.

8 ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინეს ანა ბაქრაძემ და ნათელა ჯავახიშვილმა. თბ. 1976, გვ. 14.

და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი"[9] და პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნი „ივანე ჯავახიშვილი"[10], სადაც აღნიშნული საკითხის განხილვას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.[11]

ივ. ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს საქართველოში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებები, ვფიქრობთ, კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში.[12]

ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებს მიაპყრო ყურადღება მეორე ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პროფ. გრ. ნათაძემ. 1931 წელს გამოვიდა მისი წიგნი „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები".[13] ძნელია დავეთანხმოთ პროფ. ედ. კოდუას თითქოს ისტორიის თეორიული საკითხებით დაინტერესების საქმეში „გიგო ნათაძის გვერდით გარკვეული წვლილი ჰქონდა ივანე ჯავახიშვილსაც".[14] სინამდვილეში პირიქით იყო. აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. ფაქტობრივად, გრ. ნათაძის ეს წიგნი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე რჩება ერთადერთ ნაშრომად, რომელიც სპეციალურად შეეხება ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებს. მი-

---

[9] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი. თბ. 1997.

[10] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა). თბ. 1999.

[11] უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის ნააზრევის განხილვას ეხება. მ. კალანდაძე. ივანე ჯავახიშვილის ისტორიის ფილოსოფიური ძიებების შესწავლა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011, გვ. 504-522; მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 331-352.

[12] მ. კალანდაძე. იყო თუ არა ივანე ჯავახიშვილი რიკერტიანელი. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ. 2011, გვ. 208-214; მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 352-359; მ. კალანდაძე. ივანე ჯავახიშვილი და ისტორიის ეპისტემიოლოგიის საკითხები. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2011, გვ. 332-350; მ. კალანდაძე. ივანე ჯავახიშვილის ისტორიის კვლევის მეთოდები. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. თბ. 2012, გვ. 331-350; ამ საკითხს ცოტა სხვაგვარად მიუდგა პროფ. ფ. ლომაშვილი, იხ. ფ. ლომაშვილი. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. III. თბ. 2012, გვ. 321-351, ეს ჩვენი აზრით საკითხის ისტორიოგრაფია უფროა, ვიდრე ისტორიის ფილოსოფია.

[13] გრ. ნათაძე. საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები.

[14] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 6-7.

სი მნიშვნელობაც, სწორედ, ამაში მდგომარეობს. ეს ნაშრომი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, უდაოდ, საგულისხმო იყო და ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ცხადია, ეს წიგნი დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, გრ. ნათაძე სხვა გზით მიდის, რაზეც პროფ. ედ. კოდუა თავის წიგნში „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი" კრინტს არ ძრავს და დუმილით უვლის გვერდს. განსხვავება პრინციპულ ხასიათს ატარებდა და იმაში მდგომარეობდა, რომ ივ. ჯავახიშვილი ამ თემას გაცილებით უფრო ფართოდ მოიაზრებდა, ხოლო გრ. ნათაძე შედარებით ვიწროდ უდგებოდა. გრ. ნათაძის მიერ, „ეკონომიკური მატერიალიზმის" პოზიციებიდან ივ. ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებების კრიტიკა ცალმხრივია და მიუღებლად მიგვაჩნია. გრ. ნათაძე ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრედ გვევლინება. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა საინტერესოა და მასში, უწინარესად, საბჭოთა კავშირში შემორჩენილი დამოუკიდებელი აზროვნების უკანასკნელი ანარეკლი უნდა დავინახოთ.

პირველ რიგში, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რატომ საზოგადოებათმცოდნეობა და არა ისტორია. აქ აისახება სავსებით რეალური ვითარება. საქმე ისაა, რომ 30-იანი წლების პირველ ნახევრამდე საბჭოთა სკოლაში არ ისწავლებოდა ისტორია და ის ჩანაცვლა საზოგადოებათმცოდნეობამ. ეს იყო კიდევ ერთი წარუმატებელი ექსპერიმენტი. სკოლაში აღადგინეს ისტორიის სწავლება.[15]

ისტორიის მეთოდოლოგიის პრობლემების გადაჭრას გრ. ნათაძე ცდილობდა ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების კუთხით და აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის დროს ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა. გრ. ნათაძე ცდილობს ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქსიზმისკენ ევოლუციას. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება მისი შეხედულებებისათვის ნიშანდობლივი წინააღმდეგობა. გრ .ნათაძე თავის კონკრეტულ ისტორიულ გამოკვლევებში დიდ ყურადღებას უთმობდა სოციალურ ისტორიას, ხოლო პოლიტიკური ისტორია, სამართალი, კულტურა, რელიგია, ზნეჩვეულებები და საზოგადოების ცხოვრების სხვა მხარეები შედარებით მკრთა-

[15] ნ. მამუკელაშვილი. ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში. კრებ.: „ალექსანდრე ნამორაძე". თბ. 1993.

ლად, სუსტადაა გაშუქებული. ამგვარი ხედვა ცალმხრივია და წარსულის ადეკვატურ სურათს ვერ გვიქმნის.[16]

* * *

სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლები, 30-იანი წლების შუა ხანებამდე, საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხებით დაინტერესების ყველაზე უფრო ნაყოფიერ ხანად გვეელინება. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების ბოლო გამოვლინება იყო. შემდგომში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რაც უპირატესად პოლიტიკური კატაკლიზმებით იყო განპირობებული. საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. განსხვავებული აზრი სასტიკად იდევნებოდა, თვით მეცნიერის ფიზიკური განადგურების ჩათვლით. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. ეს უპირატესად, იმით გამოიხატებოდა, რომ ისტორიის ფილოსოფიას და მეთოდოლოგიას ჩამოართვეს მოქალაქეობის უფლება და ის ჩაანაცვლა სტალინური ტიპის ისტორიულმა მატერიალიზმმა, რომელიც გამოცხადებული იქნა უკანასკნელ ჭეშმარიტებად. ეს იყო ისტორიის აღქმის ერთადერთი სწორი მეთოდი. სხვა მიდგომები სრულიად იგნორირებული, უგულვებელყოფილი, იქნა. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა ჩაანაცვლა დოგმატიზმმა. ისტორიას არ ხელეწიფება უკანასკნელი ჭეშმარიტება. ამ გზას საბოლოოდ ჩიხში მივყავართ. ამითაა განპირობებული საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისი, რომელმაც საბოლოოდ ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო.

გამოითქვა მოსაზრება, თითქოს „სტალინიზმის პირველი მსხვერპლი ფილოსოფია იყო“,. ერთი რომელიმე დარგის, უბნის, გამოყოფა ძალზედ ძნელია და, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ი. სტალინმა ერთიანი ფრონტით შეუტია ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. ჩვენ უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ სტალინიზმს პირველად ისტორია შეეწირა ანდაც, შესაძლოა, ისტორიაც და ფილოსოფიაც ერთდროულად. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936

[16] ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხილეთ მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ. 1999, გვ. 121-129.

წლის 23 მარტიდან 2 აპრილამდე გამართული დისკუსია[17]. ეს იყო მეცნიერებაში სახელმწიფოს უხეში ადმინისტრაციული ჩარევის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება. ფაქტობრივად აქ გამართულ დისკუსიას მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია და წარმოადგენდა უხეშ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა მას ისტორიის თეორიის სფეროში და ამ დაინტერესებას შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად წერტილი დაესვა. თუ კონკრეტულ ისტორიულ გამოკვლევებში კიდევ შეიძლებოდა რაღაც მანევრირება, თეორიული ხასიათის გამოკვლევებში ეს არსებითად გამორიცხული იყო და გაბატონებული იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრების ტოლფასი გახლდათ „საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველი პერიოდის დასასრულს საქართველოში გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიება. ეს ღონისძიება უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდის დასასრულად, რადგან მას შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, სოციალური ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევა არსებითად, ძირეულად განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე) ჩატარებული მუშაობისაგან"[18] ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რა მოუტანა ამ დისკუსიამ ქართულ ისტორიოგრაფიას? მან ხელი შეუწყო მის პროგრესს თუ პირიქით – გამოიწვია სტაგნაცია? პირდაპირ ვიტყვით, რომ ამ დისკუსიის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარების შელამაზება, ვარდისფერებში წარმოჩენა, ძლიერ გაზვიადებული და პოლიზიტირებული იყო და დღეს უკვე მოძველებულია. „დისკუსიის შემდეგ მოხდა ისტორიკოსთა დიდი ნაწილის „მოთვინიერება", მეცნიერების ამ დარგის უნიფიცირება, საბოლოოდ გაუფერულება (მეთოდოლოგიური თვალსაზრისით)"[19] ცხადია, არავინ არ უარყოფს კონკრეტულ საკითხებზე ქართველი ისტორიკოსების გამოკვლევების მნიშვნელობას. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ საქართველოში ისტორიული მეცნიერების თეო-

[17] „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ". საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 4 და 5; ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ეაჩნაძემ და პროფ. ეახტანგ გურულმა. თბ. 2004.

[18] უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, გვ. 78.

[19] გ. ყორანაშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I. თბ. 1994, გვ. 118.

რიული პრობლემებით დაინტერესების საქმეში ეს მონაკვეთი 30-იანი წლების შუა ხანებიდან ი. სტალინის გარდაცვალებამდე, მეტად მწირი აღმოჩნდა და ამ სფეროში ღირებული ბევრი არაფერი შექმნილა.

* * *

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ შეინიშნება ისტორიის ფილოსოფიით და მეთოდოლოგიით დაინტერესების აშკარა გამოცოცხლება. სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა ზეწოლამ შედარებით იკლო. ამ ხანას „დათმობის პერიოდს" უწოდებენ, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო „იდეური დაბნეულობა" ეს გამოფხიზლება, ცხადია, მარქსისტულ – ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებს არ ცილდებოდა და უკიდურესი სტალინური დოგმების და სტერეოტიპების დაძლევას ისახავდა მიზნად. ვთქვათ, ისეთის, როგორიც იყო ი. სტალინის დებულება ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლის დროს „მონათა რევოლუციის" შესახებ. ფაქტობრივად, ი. სტალინის გარდაცვალებიდან იწყება საქართველოში ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის საკითხებით დაინტერესების ახალი, მესამე ეტაპი.

ქართულ სინამდვილეში ამ გამოცოცხლების ერთ-ერთ პირველ სიმპტომს წარმოადგენს პროფ. ედუარდ კოდუას წიგნი „ისტორიის ფილოსოფია"[20] იგივე თემატიკას შეეხება მისი ორი წიგნი „ისტორიის საზრისის საკითხისათვის" და „ისტორიის იმანენტური საზრისის საკითხისათვის".[21]

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ პროფ. ედ. კოდუას დაინტერესება ისტორიის ფილოსოფიის პრობლემებით ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს. მან აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა. მის შრომებს ისტორიის ფილოსოფიის პრობლემებით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

ისტორიის ფილოსოფიის რეანიმაციის საქმეში პროფ. ედ. კოდუას წვლილს, ცხადია, არავინ უარყოფს, მაგრამ მისი უსაშველოდ გაზვიადება საჭირო არ არის. ეს სულ სხვა გზა იყო, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.

პროფ. ედ. კოდუას პრეტენზია, ვითომ საქართველოში მან განავითარა

[20] ედ. კოდუა. ისტორიის ფილოსოფია (ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა). თბ. 1966.

[21] ედ. კოდუა. ისტორიის საზრისის საკითხისათვის. თბ. 1976; ედ. კოდუა. ისტორიის იმანენტური საზრისის საკითხისათვის. თბ, 1979.

ისტორიის ფილოსოფია, ძალზე ამბიციურად უნდა ელერდეს და მთლად დამაჯერებელი როდია. პროფ. ედ. კოდუამ ისარგებლა კონიუნქტურით და შეეცადა დაეკავებინა ცარიელი ნიშა, რომელიც უპირატესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისუფალი აღმოჩნდა.

პროფ. ედ. კოდუას წიგნი „ისტორიის ფილოსოფია" კონიუნქტურულ ხასიათს ატარებს და, ვფიქრობთ, საკუთარი შეესატყვისებოდა „იდეური დაბნეულობის" ხანის სულისკვეთებას. ის კარგად თავსდება მარქსისტული ფილოსოფიის თეორიულ ჩარჩოებში. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგადაა გაცხადებული ედ. კოდუას წიგნის სათაურში „ისტორიის ფილოსოფია" (ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა). ეს არის საკითხისადმი წმინდა მარქსისტული მიდგომა. და აქ საქმე ეხება ბურჟუაზიული კონცეფციის მარქსისტულ კრიტიკას. პროფ. ედ. კოდუა სწორედ გადმოგვცემს საზღვარგარეთელი მეცნიერების შეხედულებებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელია. ეს მისი წიგნების დადებითი მხარეა, მაგრამ მხოლოდ ამის გაკეთება საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნულ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. პროფ. ედ. კოდუა ადვილი გზით სიარულს ამჯობინებს და საკითხს მეტად მარტივად წყვეტს. ის, რაც ახლოა მარქსიზმთან ძალიან კარგია და მისაღებია, ხოლო ის, რაც შორდება მარქსიზმს, ცხადია, არ ვარგა და მიუღებელია. ამის საუკეთესო ნიმუშია მისი მონოგრაფიები „ისტორიის ფილოსოფია" (ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა), „კლასების ლენინური განსაზღვრების მნიშვნელობა თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკისათვის". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან შეადგინა „კლასები და კლასობრივი ბრძოლა. ქრესტომათია ვ. ი. ლენინის შრომების მიხედვით". ასეთიმიდგომა ახალი არაა. ეს სქემა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო. ის გაკვალულ ბილიკს მიუყვება. პროფ. ედ. კოდუა დასძენს, რომ მან ისტორიის საზრისის მწკრივიდან გამორიცხა კომუნიზმი. სინამდვილეში ეს ასე არაა. აი, რას წერს პროფ. ედ. კოდუა: „მსოფლიო სოციალისტური სისტემა მიემართება ისტორიის საზრისის განხორციელებისაკენ კომუნისტური საზოგადოების სახით".[22] მის წიგნში „ისტორიის იმანენტური საზრისის საკითხისათვის" ერთი მონაკვეთი ასეა დასათაურებული: „კომუნიზმი როგორც ისტორიის საზრისი".[23] და ბოლოს, საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1988 წელს პროფ. ედ. კოდუა კენჭს იყრიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

[22] ედ. კოდუა. ისტორიის ფილოსოფია, გვ. 3
[23] ედ. კოდუა. ისტორიის იმანენტური საზრისი, გვ. 85-98.

წევრ-კორესპონდენტად პარტიის ისტორიასა და მეცნიერულ კომუნიზმში.[24]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბუნებრივია, პროფ. ედ. კოდუას შეხედულებებმა მკვეთრი ფერისცვალება განიცადა. ახლა ის უკვე სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. 1996 წელს გამოვიდა მისი წიგნი „სოციოლოგიის ისტორია", სადაც პროფ. ე.დ კოდუა მარქსიზმის კლასიკოსების წვლილზე კრინტს არ ძრავს და დუმილით უვლის გვერდს. ასეთი იგნორირება სრულიად გაუმართლებელია. ნათელია, რომ ის ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს 1998 წლის 12 მარტის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე წაკითხული მოხსენება, სადაც მან კატეგორიულად განაცხადა „კარლ მარქსს ისტორიოგრაფიის განვითარებაში არავითარ დადებითი როლი არ უთამაშიაო". ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. წმინდა მეცნიერულად ორივე უკიდურესობა მარქსიზმ – ლენინიზმის აპოლოგეტური შეფასება ან მისი მიწასთან გასწორება, სრული უგულვებელყოფა, მიუღებელია. მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო დაბალანსებული მიდგომა. როგორც ხედავთ, ვერც ერთ და ვერც მეორე შემთხვევით პროფ. ედ. კოდუამ ეს ვერ შეძლო, რაც, ცხადია, გასაკვირი არ უნდა იყოს. და მნიშვნელოვანწილად იმით გახლდათ გამოწვეული, რომ ორივე შემთხვევაში საკითხისადმი მიდგომა მეცნიერული კი არაა, არამედ კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა.

საინტერესოა პროფ. ედ. კოდუას დამოკიდებულება ვ. ი. ლენინის შეხედულებებისადმი. აი, რას წერდა იგი გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე 1999 წლის 11 აპრილს. „რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ლენინისადმი, მე ყოველთვის ვცდილობდი მის შრომებში რაციონალური მარცვალი ამომეკითხა და მისი სახელი გამომეყენებინა არამარქსისტული თეორიების გადმოსაცემად". უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გასაკრიტიკებლად. პროფ. ედ. კოდუა ვერ ამჩნევს, რომ წინააღმდეგობაში მოექცა. ეს იმაში მდგომარეობს, რომ მარქსის შეხედულებებში დადებითი ვერაფერი იპოვა, ხოლო ვ. ლენინის მოძღვრებაში რაციონალურ მარცვალს ეძებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ვერ ამჩნევს განსხვავებას ავთენტურ მარქსიზმს და ლენინიზმს შორის. ნუთუ ვ. ი. ლენინის შეხედულებები უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კ. მარქსის?

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ დასკვნების არქონა პროფ. ედ. კოდუას წიგნების კიდევ ერთი მინუსია. ფაქტობრივად ღიად რჩება საკითხი, რა შე-

[24] გაზ.: „კომუნისტი". 1988 წელი. 3 ივნისი.

დეგებს მიაღწია პროფ. ედ. კოდუამ ამ პრობლემის დამუშავების დროს.

პროფ. ედ. კოდუას, ცხადია, არავინ არ საყვედურობს იმაზე, რომ ის ამ პრობლემას მარქსისტულად მიუდგა. ეს გასაგებია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული" ედ. კოდუა ცდილობს მოერგოს სიტუაციას, კონიუნქტურას და ის სიახლეები, რომელიც ნიშანდობლივი იყო „დათბობის ხანისთვის" თავის სასარგებლოდ წარმოაჩინოს და დაგვარწმუნოს, რომ თითქოს საქართველოში მან განავითარა ისტორიის ფილოსოფია. სინამდვილე სულ სხვაგვარადაა. ედ. კოდუას მსჯელობაში ამბიციები და პრეტენზიები ჭარბობს, ხოლო თვითკრიტიკული ინტონაცია არ იგრძნობა.

ისტორიის ფილოსოფიის და მეთოდოლოგიის საკითხებით დაინტერესებას ამჟღავნებდა პროფ. გივი კიღურაძე. მისი წიგნი „ახალი ისტორია"[25] მთლიანად თეორიული, ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. ეს წიგნი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია. თუ ამ მსჯელობას ძალად თავსმოხვეულ მარქსიზმს ჩამოვაშორებთ, მასში თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია ნამდვილად ღირებულია და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია.[26] დღეს ამ ინფორმაცია სულ სხვა ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. უშანგი სიდამონიძის ერთ-ერთ დამსახურებას წარმოადგენს ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავება. ამ თემას ეძღვნება მისი საინტერესო წიგნი „ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები".[27] აქ ავტორი გვაცნობს იმ დროს სრულიად ახალი სამეცნიერო დისციპლინის ინფორმატიკის ძირითად საფუძვლებს, რომელიც ჩვენში პირველად იკიდებდა ფეხს. წინა პლანზეა წამოწეული ისტორიულ მეცნიერებაში სამეცნიერო-საინფორმაციო საქმიანობის თეორიული საკითხები. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ნოვატორული იყო, თუმცა ამ ეპოქის კვალი წიგნს მაინც ეტყობა.[28] ის ხარკს უხდის ერთი გაბატონებული მარქსისტულ-ლენი-

[25] გ. კიღურაძე. ახალი ისტორია. თბ. 1970.

[26] კ. ანთაძე, გივი კიღურაძე – ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ. 1983; მ. კალანდაძე. პროფესორი გივი კიღურაძე. თსუ შრომები. ტ. 359. თბ. 2005. M. Kalndadze, Ein Georgische Erforseher der Neuen Geschichte Westeuropas. "Georgica". 30. Aachen 2007.

[27] უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები. თბ. 1978.

[28] უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები, გვ. 56-60.

ნურ-იდეოლოგიური დიქტატს, მონოპოლიას.[29]

ჩვენთვის საინტერესო თემას ეხება პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნი „პროფესია – ისტორიკოსი".[30] ასეთი თეორიული ხასიათის ნაშრომებით ქართული ისტორიოგრაფია განებივრებული არასოდეს ყოფილა და ამ პრობლემატიკის წინ წამოწევა და გაშუქება, უეჭველად, სასარგებლო საქმეა. ისტორიკოსის პროფესია არ გახლავთ ადვილი, ისტორია არ წარმოადგენს წარსულში იოლ გასეირნებას. ისტორიკოსი ჭეშმარიტებას, რომ მიუახლოვდეს, წარსულში მომხდარი ფაქტი დაადგინოს, რთული და გრძელი გზა აქვს გასავლელი. ინგლისელი ისტორიკოსის ედუარდ ფრიმენის თქმით, „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია". ფრანგი ისტორიკოსის ფიუსტელ დე კულანჟი აღნიშნავდა „ერთი დღის სინთეზს ესაჭიროება ათი წლის შრომა". ცამდის მართალი იყო იგივე ფუსტელ დე კულანჟი როდესაც ფიქრობდა, რომ „ისტორია არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული მეცნიერება".

წიგნი არ წარმოადგენს სამეცნიერო გამოკვლევას. იგი სამეცნიერო – პოპულარულ ხასიათს ატარებს. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა ურიგოდ როდი გაართვა თავი. პროფ. გ. ყორანაშვილის წიგნის „პროფესია – ისტორიკოსი" მეორე თავი მთლიანად ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებს განიხილავს და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივ არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობას წარმოადგენს. იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ისტორიის მეთოდოლოგიის სფეროში თითქმის არაფერი გაგვაჩნდა, ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი.

სავსებით ვეთანხმებით ავტორს, როდესაც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნავს ავთენტურ მარქსიზმს და ვ. ლენინურ, დოგმატურ, მარქსიზმს. ეს აზრი არის გატარებული მის მიერ სულ ახლახანს 2012 გამოქვეყნებული წიგნში „ერთი სოციოლოგიური თეორიის უცნაური მეტამორფოზი". ვ. ლენინმა და ი. სტალინმა საფუძველი ჩაუყარეს ვიწრო დოგმატირებულად ინტერპრეტირებული მარქსიზმის მონოპოლიას. ფაქტობრივად, ეს იყო უკანგადადგმული ნაბიჯი. მათ კი არ განავითარეს მარქსიზმი, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ დოგმად აქციეს. რა თქმა უნდა,

[29] მ. კალანდაძე. პროფესორი უშანგი სიდამონიძე. თბ. 2004; M. Kalandadze. Uschangi Sidamonidze – ein opfer des totalitäzen Regimes. "Georgica". 28. Aachen 2005.

[30] გ. ყორანაშვილი. პროფესია – ისტორიკოსი. თბ. 1986.

ავთენტური მარქსიზმი გაცილებით უფრო სერიოზული მოძღვრებაა, ვიდრე ორთოდოქსულ-ბოლშევიკური ლენინურ – სტალინური მარქსიზმი. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ავთენტური მარქსიზმის მნიშვნელობა, მეცნიერული ღირებულება, გაზვიადებული არ უნდა იქნას. ის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას და მას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციებზე მარქსისტულ მოძღვრებაზე აქცენტირება ანაქრონიზმად მიგვაჩნია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.[31] საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება გასაკვირი არ უნდა იყოს და მასში, პირველ ყოვლისა, 60-იან წლებში გავრცელებული თვალსაზრისის „უკან მარქსიზმისაკენ" ლოგიკურ შედეგს ვხედავთ. ეს არის ერთი ხედვა. არსებობს სხვა მიდგომა. ჩვენ უფრო პერსპექტიულად მიგვაჩნია მიმართულება, რომელიც მკვეთრად გაეგიჯნა მარქსიზმს. მისი მთავარი ტონისმიმცემი პროფ. ა. გურევიჩია. და ბოლოს, უნდა დავძინოთ, ხომ არ დაჩრდილა ქართველი მეცნიერის თვალში ჰეგელიანურმა მიდგომამ მეორე უფრო საინტერესო და პერსპექტიული ნეოკანტიანელების თვალსაზრისი?

ისტორიის თეორიული საკითხებისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ისტორიკოსი გერმან სიმონიძე. სამწუხაროდ, ამ სფეროში მისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ფაქტობრივად გამოუყენებელი დარჩა. მან სულ რაღაც ორიოდე ნაშრომი დაწერა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, არადა გაცილებით უფრო მეტი ხელეწიფებოდა. ასეთი პასიურობის მიზეზი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიუღებლობაში უნდა ვეძიოთ. ალბათ, იყო ამის გამომწვევი სხვა მიზეზები, რომელიც მის ადამიანურ ხასიათში ძევს და რომლის შესახებ დღეს ჩვენ მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ.[32]

ისტორიის თეორიულ პრობლემებთან შეჭიდების ერთ-ერთ ამაო მცდელობას წარმოადგენს ფილოსოფოს ჭელიძის წიგნი „რა არის ისტორია".[33]

---

[31] კ. ანთაძე, მ. კალანდაძე. კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკელევების დონის ამაღლებაა. მწიგნობარი. თბ. 2006, გვ. 59-65.

[32] Г. Симонидзе. Разработка исторических проблем с точки зрения кибернетики. თსუ შრომები. ტ. 65. თბ. 1975; Г. Сидамонидзе. Возникновение системного подхода к изучению общественных явлении. თსუ შრომები. ტ. 246. თბ. 1984; მ. კალანდაძე. გერმან სიმონიძე – ჭეშმარიტი ინტელიგენტი. კრებ.: მიძღვნილი მიხეილ მამფორიასა და გერმან სიმონიძის ხსოვნისადმი. თბ. 2005.

[33] В. Челидзе. Что такое история. М. 1978.

ჩვენი თვალსაზრისით, ეს არის ძალზე სუსტი წიგნი. თუ მას მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაცილებთ, ხელში რეალურად არაფერი შეგვრჩება. ამიტომ ამ წიგნზე აპელირება, არცთუ მთლიანად დამაჯერებელი უნდა ჩანდეს.

* * *

90-იანი წლების დასაწყისში დაიშალა საბჭოთა კავშირი. ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა. ფაქტობრივად ამით სრულდება ერთი პერიოდი, ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავება საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში. 90-იანი წლების დასაწყისიდან იწყება ამ პრობლემატიკით დაინტერესების მეორე პერიოდი. ისტორიის თეორიული საკითხების შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის დღესაც გრძელდება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას წერტილი დაესვა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ სუვერენობა აღიდგინა. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. გაჩნდა თავისუფალი არჩევანი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის გარეშე ამ პრობლემის შესწავლის საქმეში რამე წინსვლაზე ფიქრი ძნელი იქნებოდა. უწინარესად საჭირო იყო ამ თემატიკის მარქსიზმისაგან გაწმენდა. ამ პერიოდში გამოსული სახელმძღვანელოები და შრომები აღიშნული საკითხის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნების პირველ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ.

სწორი არ იქნება ვიფიქროთ, თითქოს ამ მხრივ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი კეთდება, თუმცა გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტია. ამ დარგში უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა ანდაც გამუქება დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. უნდა ვიყოთ რეალისტები და ვცადოთ გავერკვეთ მის დადებით და უარყოფით მომენტებში.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აშკარად შეინიშნება ევროპული ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის, ისტორიის მეთოდოლოგიის, საკითხებისადმი ინტერესის გამოცოცხლება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს. განსაკუთრებით უნდა გაუსვათ ხაზი და პოზიტიური დატვირთვა გააჩნია ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემატიკისაკენ ისტორიკოსების შემობრუნებას. ამ თემატიკაზე დღეს გაცილებით უფრო ბევრი იწერება, ვიდრე ამ ცოტა ხნის წინათ. ეს, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უმთავრესად ორიენტირებულები ვართ რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისობრივ, ხარისხობრივ, ძვრებზე. პროგრესი უმთავრესად რაოდენობრივ ხასიათს ატარებს.

უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი ერთმა ტენდენციამ. სამეცნიერო – პოპულარული შრომების მეცნიერულ გამოკვლევებად წარმოჩენამ. ზოგიერთები, ისე შორსაც მიდიან, რომ ამ სახის სამეცნიერო შრომებს სადოქტორო დისერტაციად იცავდნენ. ეს არაა შემთხვევითი და ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს არსებული ქაოსის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს, როდესაც მთავარია არა ხარისხი, არამედ რაოდენობა.[34]

უწინარესად უნდა აღინიშნოს ლალი ფირცხალავას წიგნი „ისტორიული მეცნიერების შესავალი".[35] ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაიწერა სახელმძღვანელო ამ საგანში. ეს არის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება. ნაშრომის მეცნიერულ მნიშვნელობას განაპირობებს მისი შემეცნებითი დატვირთვა. სტუდენტებმა მიიღეს კარგი სახელმძღვანელო, რომელიც მათ გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ისტორიკოსის პროფესიაზე და დაეხმარება იმ სირთლეების დაძლევაში, რომელიც ახალგაზრდებს არჩეული პროფესიის ათვისების დროს ელით. სახელმძღვანელო სტუდენტებს აწვდის მდიდარ და საინტერესო ინფორმაციას დამხმარე ისტორიულ დისციპლინებზე. თვალნათლივ დაანახვებს, რომ ისტორია რთული მეცნიერებაა და სულაც არ წარმოდგენს ფაქტების უბრალო გროვას, წარსულში ადვილ გასეირნებას. ნაშრომის მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობდა, მაგრამ პრეტენზიულად მიგვაჩნია წიგნის სატიტულო ფურცელზე გაკეთებული განცხადება, თითქოსდა ეს იყო მონოგრაფია. ამ სახელმძღვანელოს დაწერა ისტორიული მეცნიერების წინაშე ლ. ფირცხალავას დამსახურებას წარმოადგენს.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი შტრიხია ისტორიკოსების გააქტიურება. ისინი ცდილობენ დაიბრუნონ ინიციატივა. ეს მისასალმებლად მიგვაჩნია. ბოლო წლებში გამოსული შრომები, უდაოდ, საგულისხმო უნდა იყოს და ისტორიის თეორიული საკითხებით ისტორიკოსების დაინტერესების რეანიმაციის პირველ სიმპტომად გვევლინება. ისინი ცდილობენ ინიციატივის თავის ხელში აღებას. ეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს პროფ. ფარნაოზ ლომაშვილის წიგნი „ისტორიის ფილოსოფიის ისტორია"[36]. ეს წიგნი თანამედროვე ქართული

---

34 მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 280, 372-373.
35 ლ. ფირცხალავა. ისტორიის მეცნიერების შესავალი. თბ. 1994.
36 ფ. ლომაშვილი. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. წ. I. თბ. 2003; ფ. ლომაშვილი. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. წ. 2. თბ. 2007; ფ. ლომაშვილი. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. წ. 3. თბ. 2012.

ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

წიგნს გააჩნია ძლიერი შემეცნებითი მუხტი. ის ქართულ საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლე ახალგაზრდობას გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ისტორიის ფილოსოფიის ისტორიაზე და ინტერესს გაუღვიძებს ამ საგნის მიმართ. ავტორი ცდილობს თვალი გაადევნოს ისტორიის ფილოსოფიის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. ამ რთულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გართვა თავი.

პროფ. ფ. ლომაშვილი კარგად იცნობს ისტორიული აზროვნების ისტორიას და ჩახედული ჩანს ამ თემის ირგვლივ არსებულ მდიდარ სპეციალურ ლიტერატურაში – ერკვევა საკითხის ისტორიოგრაფიაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. იგი ფლობს მდიდარ მეცნიერულ ინფორმაციას და მას კრიტიკულად განიხილავს. პოლემისტური მუხტი ამ თემებზე მის მსჯელობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

წიგნი ავტორს სამ ნაწილად აქვს ჩაფიქრებული. პირველი ნაწილი მოყვანილია XIX საუკუნის შუა ხანებამდე, მეორე ნაწილი სრულდება თანამედროვე ისტორიულ-ფილოსოფიური მიმართულების მიმოხილვით, ხოლო მესამე ნაწილში გაშუქებულია ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიულ-ფილოსოფიური ასპექტები.

ნაშრომი გამოადგება საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს, მაგრამ ავტორის სიტყვით, „წიგნის მთავარი დანიშნულება კი, ალბათ, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების დახმარება იქნება. ამ ფუნქციას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ამ დარგში ქართულ ენაზე ჯერჯერობით არავითარი სახელმძღვანელო არ გვაქვს.“[37] სავსებით რეალისტური მიდგომაა.

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ზოგიერთ თემაზე მსჯელობა ცოტა გაჭიანურებული ჩანს და სტუდენტებს ურთულებს ძირითადი სათქმელის აღქმას. წმინდა მეცნიერულად ეს მსჯელობა სავსებით გამართლებულია. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს.[38]

პროფ. ფ. ლომაშვილის წიგნი „ისტორიის ფილოსოფიის ისტორია“ თა-

---

[37] ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. წ. I. გვ. 49.

[38] ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ მ. კალანდაძე. მისასალმებელი ინიციატივა. „ანალები“. №5, 2009; მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 316-327; მ. კალანდაძე. უკეთესი ხომ არ იქნებოდა. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2012 წელი. 26 სექტემბერი.

ნამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა და მას ამ პრობლემით დაინტერესებული ვერც ერთი ქართველი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

ისტორიის ფილოსოფიის, ისტორიის მეთოდოლოგიის, ისტორიის ეპისტემიოლოგიის, შემეცნების, პრობლემებისკენ ისტორიკოსების შემობრუნების კიდევ ერთი ნიმუშია აკად. როინ მეტრეველის თეორიული ხასიათის ნაშრომები. ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ისტორიის ეპისტემიოლოგიის, შემეცნების დარგში, თითქოსდა მოულოდნელი ჩანს, მაგრამ იგი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისმა პირველმა სიმპტომებმა უკვე გასული საუკუნის 70-იან წლები იჩინა თავი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება", სადაც ის წინ წამოწევს, ივანე ჯავახიშვილის ეპისტემიოლოგიურ ძიებებს, ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და საინტერესო სიახლე იყო. ქართველი ისტორიკოსები დიდი ხნის მანძილზე ივ. ჯავახიშვილის ეპისტემიოლოგიურ ძიებებს დუმილით უვლიდნენ გვერდს და ეს საკითხი თითქმის დღემდე პერიფერიულ თემად რჩება. თუ ამ მსჯელობას ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ კლიშეებს ჩამოვაშორებთ მასში ჩადებული მეცნიერული ინფორმაცია ღირებულია და ივ. ჯავახიშვილის ეპისტემიოლოგიური ძიებების შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვეელინება. მისი მეცნიერული მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

ჩვენთვის საინტერესო თემას ეხება მისი ორი ნაშრომი „გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები" და „ისტორიული ცოდნის ისტორია. ისტორიის შემეცნების საკითხი".[39] ამ პრობლემებზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურა ძალზე მწირია და ეს ორი საინტერესო ნაშრომი ამ ვაკუუმის შევსების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს. მან თავისი წელილი შეიტანა საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავების და პოპულარიზაციის საქმეში. ეს ისტორიული მეცნიერების წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურებაა.

ამ შრომებში ის ცდილობს გაერკვეს იმ სიახლეებსა და ნოვაციებში, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე ისტორიული აზროვნებაში. ამ გამოცდილების გაცნობიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ძალიან დაგვეხმარება

[39] რ. მეტრეველი. გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 12. თბ. 2006; რ. მეტრეველი. ისტორიული ცოდნის ისტორია – ისტორიის შემეცნების საკითხი. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 15. თბ. 2011.

იმ სირთულეების დაძლევის საქმეში, რომელიც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დგას. ამიტომაა ამ თემებზე მსჯელობა აქტუალური. მისი ყურადღების ცენტრში დგას ისტორიული მეცნიერების პერსპექტივები და პრობლემები. რა უჭირს და რა ულხინს ისტორიას? როგორია მისი ხვალინდელი დღე? რა გზით წავა ისტორიული მეცნიერება? რა პრობლემები დგას ისტორიული მეცნიერების წინაშე? და რა გზები არსებობს იმისათვის, რომ ისინი გადავლახოთ? ეს საკითხები, ბუნებრივია, ყველა ისტორიკოსს აღელვებს და ქართველი მეცნიერები, ცხადია, გამონაკლისს არ წარმოადგენენ. ასეთ პრობლემატიკაში ჩართულობა, ცხადია, ძალიან კარგია და აამაღლებს ქართული ისტორიოგრაფიის რეიტინგს.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთული საკითხების ირგვლივ ისტორიკოსთა შორის ერთსულოვნება არასოდეს სუფევდა და გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. ისტორიული მეცნიერების მომავალი სვე-ბედისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში პირველმა თუ არა ერთ-ერთმა პირველმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა გამოხატა თავის გახმაურებულ წიგნში „ევროპის მზის ჩასვენება", რომელიც ამავდროულად ისტორიის მზის ჩასვენებაც იყო. ეს არის ერთი ხედვა, რომელსაც ჰყავს მომხრეები. არის სხვა ხედვაც, რომლის მომხრეებიც ისტორიული მეცნიერების ხვალინდელ დღეს უფრო ოპტიმისტურად უყურებენ. მათი მთავარი ტონის მიმცემი „ანალების" სკოლის ფრანგი ისტორიკოსები, პირველ რიგში კი, მათი დამაარსებლები ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი, იყვნენ. ეს ისტორიის ჭეშმარიტი აპოლოგია იყო.

XX საუკუნის მიწურულს კვლავ წამოყვეს თავი პესიმისტებმა. მათი ერთ-ერთი თავკაცია იაპონური წარმოშობის ამერიკელი ისტორიკოსი ფრენსის ფუკიამა. მისი ღრმა რწმენით, „მსოფლიოში იზეიმა ლიბერალური დემოკრატიის და სამომხმარებლო კულტურის იდეის გამარჯვებამ, ეს ტრიუმფია დასავლეთის და დასავლური იდეები, ისტორია კი როგორც მოძრაობა დამთავრდა". როგორც ხედავთ, ფ. ფუკიამა „ისტორიის დასასრულზე" საუბრობს. „ალბათ, არ არის სადაო, რომ ფ. ფუკიამას გაზვიადებულად აქვს წარმოდგენილი დასავლური (განსაკუთრებით ამერიკული) ლიბერალური დემოკრატიის შეფასება, ხოლო მისი დებულება „ისტორიის დასასრულზე" გულუბრყვილოა".[40]

---

40 რ. მეტრეველი. გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, გვ. 481-482.

აკად. რ. მეტრეველი დასძენს, რომ ამჟამად ისტორიული მეცნიერება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კრიზისშია და ხაზს უსვამს მის გამომწვევ მიზეზებს. ის ცდილობს დასახოს კრიზისიდან თავის დაღწევის გზები, რაც მის მსჯელობის კონსტრუქციულ მხარეს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა საჭიროა ისტორია გათავისუფლდეს მოძველებული სტერეოტიპებისაგან. საჭიროა გახდა ისტორიის გნოსეოლოგიური პრობლემების ხელახალი გააზრება, ისტორიული მეცნიერების მეთოდების შეუზღუდავი, თავისუფალი განსჯა-გაანალიზება. აუცილებელია ავითვისოთ თანამედროვე მსოფლიო ისტორიოგრაფიის მიღწევები, გავეცნოთ ისტორიის შესწავლის სფეროში მიღწეულ ფასეულ შედეგებს. ეს ლაკონური ფორმულირებები საგულისხმო უნდა ჩანდეს და საპროგრამო დატვირთვა გააჩნია.[41]

ასეთი საინტერესო თეორიული ხასიათის ნაშრომის გაცნობის დროს, ბუნებრივია, გიჩნდება მოსაზრება, სურვილები, რომელიც ცხადია, არ შეეხება გამოკვლევის ძირითად დებულებებს და მხოლოდ მისი შინაარსობრივად გამდიდრებას ემსახურება. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით თქმულიყო კანტის ისტორიის ფილოსოფიაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი დასავლეთში, (ასე მაგალითად, ცნობილი გერმანელი ისტორიის ფილოსოფოსი ერნსტ ტრიოლჩი) სწორედ, კანტს მიიჩნევს ისტორიის ფილოსოფიის მამამთავრად და ფუძემდებლად და არა ჰეგელს. როდესაც საუბარია ისტორიული მეცნიერების წინაშე ჰუმანისტების დამსახურებაზე, ალბათ, სასურველი იქნებოდა ფრანგი ისტორიკოსის ჟან ბოდენის (1530-1596) მოხსენება. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო წიგნი „ისტორიის ადვილად შესწავლის მეთოდები"[42]. ეს მოსაზრებები, სურვილები, არავითარ ჩრდილს არ აყენებს აკად. რ. მეტრეველის ამ ორი ნაშრომის მეცნიერულ მნიშვნელობას. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში ისტორიის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლის და პოპულარიზაციის გზაზე.

ამჯერად ძალიან მოკლედ შევჩერდებით რამდენიმე ნაშრომზე, რომელიც ჩვენს წიგნში „ისტორიოგრაფიული ეტიუდები" უნდა შეგვეტანა და უნებლიედ გამოგვრჩა. ისტორიული მეცნიერების თეორიულ საკითხებს ეხება

[41] რ. მეტრეველი. გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, გვ. 490.

[42] Ж. Боден. Методы легкого познания истории. М. 2000. დაწერილებით იხ. მ. ბიბიკოვის რეცენზია – «Новая и новейшая история». №3. 2001.

პროფ. მარიამ ჩხარტიშვილის წიგნი „ისტორიული მეცნიერების შესავალი“.[43] ფაქტობრივად, ეს არის ამ საგანში ახალი სახელმძღვანელო. ახლა სტუდენტებს ორი სახელმძღვანელო აქვთ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. პირიქით, ეს ძალიან კარგია. სტუდენტს შეუძლია გააკეთოს არჩევანი. თუ ლ. ფირცხალავას სახელმძღვანელოში უმთავრესად აქცენტი კეთდება საკითხის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით მხარეზე, ახალი სახელმძღვანელო ყურადღებას მიაპყრობს ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებს. ასეთ მრავალფეროვნება, ცხადია, მისასალმებელი უნდა იყოს და საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯია.

ქართული ისტორიოგრაფია დღესაც არაა განებივრებული ასეთი თეორიული ხასიათის შრომებით. ავტორის მისწრაფება შეავსოს ეს ხარვეზი მისასალმებელია. სახელმძღვანელოს მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დანიშნულება წარმოადგენს. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ მას თავისი წვლილი შეაქვს საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავებისა და პოპულარიზაციის საქმეში, რაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მას ამ თემატიკით დაინტერესებული ვერც ერთი ქართველი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოში ავტორი ახალ ამპლუაში გვევლინება. ის არის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი საქართველოში. სახელმძღვანელოში კი ის ყურადღებას მიაპყრობს სულ სხვა საკითხებს. აქ ის წინ წამოსწევს დასავლეთ ევროპის ისტორიული აზროვნების და ისტორიის თეორიულ პრობლემატიკას. ასეთ მეტამორფოზში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. ის ცდილობს გამოამჟღავნოს თავისი ერუდიცია. ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ლეფევრის თქმით „ისტორიკოსი ერუდიციის გარეშე არ არსებობს“.

სახელმძღვანელოში განხილულია რთული თეორიული საკითხების მთელი კასკადი. ავტორი ცდილობს ჩაახედოს, დააკვალიანოს, სტუდენტები ამ აქტუალურ პრობლემებში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. სახელმძღვანელოს ძლიერ მხარეს წარმოადგენს ვრცელი ინფორმაცია უახლეს საზღვარგარეთულ ლიტერატურაში საკითხის დაყენებაზე, რაც პირველ რიგში უცხო ენის, ინგლისურის, საფუძვლიან ცოდნას ემყარება. ეს მისი, როგორც ისტორიკოსის ძლიერი მხარეა. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს.

[43] მ. ჩხარტიშვილი. ისტორიის მეცნიერების შესავალი. თბ. 2009.

1. ჩვენი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა სახელმძღვანელოს დაწყება თემით რა არის ისტორია? საკითხი არის აქტუალური და საინტერესო. კამათი იმის თაობაზე არის თუ არა ისტორია მეცნიერება თითქმის დღემდე გრძელდება და, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს. ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა". ისტორიზმი როგორც ისტორიულ-საზოგადოებრივი მოვლენების შემეცნების პრინციპი. გააჩნია თუ არა ისტორიას კანონები და არსებობს თუ არა ისტორიული პროცესის კანონზომიერი განვითარება. აქვს თუ არა ისტორია საზრისი. სახელმძღვანელოში ამ თემების განხილვა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მას.

2. ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოში დამაჯერებლად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები ის გრანდიოზული გადატრიალება, რომელიც მოახდინეს ისტორიის შემეცნების, ეპისტემიოლოგიის, სფეროში ნეოკანტიანელებმა და მაქს ვებერმა.[44]

3. გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვრჩა ლიტერატურის ჩამონათვალის გაცნობის შემდეგ. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა. ა) ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოს დართული ჰქონოდა ამ თემატიკაზე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალი. ამის გაკეთება არ იყო ძნელი. ამ თემაზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურა საკმაოდ მწირია. ამას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. სტუდენტს სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნიდა ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე, ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურაზე. ეს კიდევ უფრო გაუადვილებდა სტუდენტებს ამ რთული თეორიული საკითხების შესწავლას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიულ-თეორიული საკითხების დაინტერესების გარკვეული ტრადიცია არსებობს. ქართველმა ისტორიკოსებმა თავისი წვლილი შეიტანეს აღნიშნული თემის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში და სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ასპექტში, შეეხენ ამ თემატიკას. ნებსით თუ უნებლიეთ, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოსდა ამ საკითხების დიდი ნაწილი ქართულ რეალობაში პირველად სახელმძღვანელოში იქნა განხილული. სინამდვილეში ეს მთლად ასე როდია.

სახელმძღვანელოში ხაზგასმითაა აღიშნული, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემატიკის მეცნიერული დამუშავების მესაძირკველედ დიდი ივანე ჯავახიშვილი მოგვევლინა. ეს სავსებით სწორია.

[44] А. Гуревич. История историка. М. 2004, გვ. 109-111.

აღნიშნული პრობლემებისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ სხვა ქართველი ისტორიკოსები. ეს ლიტერატურის ჩამონათვალში სათანადოდ უნდა ასახულიყო. ესაა გრ. ნათაძის წიგნი „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხი", გ. კილურაძის „ახალი ისტორია", ედ. კოდუას შრომები ისტორიის ფილოსოფიაში: „ისტორიის ფილოსოფია", „ისტორიის საზრისის საკითხისათვის", „ისტორიის იმანენტური საზრისის საკითხისათვის". უახლესი გამოკვლევებიდან დავასახელებდით ფ. ლომაშვილის წიგნს „ისტორიის ფილოსოფიის ისტორია".

სახელმძღვანელოში როდესაც საუბარია ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიურ შეხედულებებზე, არსად არაა ნახსენები ედ. კოდუას წიგნი და გ. ყორანაშვილის წიგნი. ყველაფერი ეს სტუდენტებს ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების ადეკვატურ სურათს შეუქმნიდა. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

ბ) ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავების მდიდარი ტრადიცია გააჩნია რუსულ ისტორიოგრაფიას. როგორ აისახა ეს პრობლემა სახელმძღვანელოში? წიგნი ამ თემაზე სტუდენტების ფრაგმენტულ ინფორმაციას აწვდის. აი, რაში გამოიხატება ეს: უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არსებითად დუმილით გვერდს უვლის რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიას, (ნ. ბუზესკული, ნ. ბერდიაევი, ა. ლაპო-დანილევსკი, ლ. კორსავინი, ნ. კარეევი). გაცილებით ფართოდაა წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია, თუმცა უნდა ითქვას, რომ გარკვეული უკმარობის გრძნობა აქაც გვეუფლება. პირველ ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ სახელმძღვანელოში დასახელებული არაა ი. კონის, მ. ბარგის, ნ. ეროფეევის, ნ. დიაკოვის, ო. ვაინშტაინის, ვ. სალოვის, ე. ჩერნიაკის და ა. გურევიჩის შრომები. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს გამოკვლევები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია, ვიდრე ის ლიტერატურა, რომელიც სახელმძღვანელოშია მოხმობილი. და ბოლოს, სახელმძღვანელოში ფაქტობრივად უგულვებელყოფილია უახლესი რუსული ისტორიოგრაფია. ეს საინტერესო თემაა და მისი გვერდის ავლა დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს.

გ) როგორც აღვნიშნეთ სახელმძღვანელოს ძლიერ მხარედ გვეკლინება უახლესი საზღვარგარეთული ლიტერატურის მაქსიმალურად ფართოდ გამოყენება, რაც უცხო ენის, პირველ რიგში, ინგლისურის კარგი ცოდნის შედეგია. ეს მისი, როგორც ისტორიკოსის ძლიერი მხარეა. ამავე დროს, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოში მოყვანილი ყოფილიყო XX

საუკუნის ევროპული ისტორიულ-ფილოსოფიური აზრის ისეთ კორიფეების შეხედულებები, როგორიც არიან: რობინ ჯორჯ კოლინგვუდი, ედვარდ კარი, არნოლდ ტოინბი, ფრიდრიხ მაინეკე, კარლ იასპერსი, ერნსტ ტროელჩი, ბენედეტო კროჩე, პიტერ ჰეილი, ხოსე ორეტა ი გასეტი. ისინი, ვინც ამინდს ქმნიან ამ დარგში. მათი შეხედულებებისათვის გვერდის ავლა, ალბათ, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. სტუდენტები უნდა იცნობდნენ მათ შეხედულებებს. ეს საშუალებას მოგვცემს უკვე ბაკალავრიატში ჩავუყაროთ მყარი საძირკველი ამ დარგში მათ ცოდნას, რასაც მაგისტრატურაში კიდევ უფრო გავაღრმავებთ.

დ) დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხებისადმი დაინტერესებას ამჟღავნებდნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ისტორიკოსები: ბულგარელი ნიკოლა ირიბაჯაკოვი, პოლონელები ვუი ტოპოლსკი და ცელინა ბობინსკა, უნგრელი ლასლო ელეკეში და სხვა. ეტყობა, სახელმძღვანელოს ავტორი მათ შრომებს გაცნობილი არაა.

აქ გამოთქმული მოსაზრებები და სურვილები შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს და სტუდენტებისათვის კიდევ უფრო სასარგებლოს გახდიდა. გაკეთდა კიდევ ერთი კარგი საქმე. სტუდენტებმა მიიღეს ახალი სახელმძღვანელო. პროფ. მარიამ ჩხარტიშვილის სახელმძღვანელო „ისტორიული მეცნიერების შესავალი" ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების განხილვის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების მორიგ მცდელობას წარმოადგენს და თავისი წვლილი შეაქვს საქართველოში აღნიშნული საკითხის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯია.

ისტორიის თეორიული საკითხებით დაინტერესების კიდევ ერთი ნიმუშია ისტორიკოს გია ჯოხაძის წიგნები: „ისტორიული ესეები" და „ადამიანის სახა ისტორია"[45]. ასეთი თეორიული ხასიათის ნაშრომებით ქართული ისტორიოგრაფია დღესაც არაა განებივრებული და ავტორის მცდელობა შეავსოს ეს ხარვეზი და თავისი წვლილი შეიტანოს ამ პრობლემის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში, უდაოდ, მისასალმებელია.

პირველი წიგნი შეეხება რთული თეორიული საკითხების დიდ ჯგუფს, რომელთა უბრალო ჩამონათვალი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. წარსული – აწმყოს პრიზმიდან, გონებასთან გამოთხოვება, უკანონო „კეთილი ამბე-

[45] გ. ჯოხაძე. ისტორიული ესეები. თბ. 2005; გ. ჯოხაძე. ისტორიული ანთროპოლოგია, ადამიანისსახა ისტორია. თბ. 2009.

ბი", ისტორიის ჰერმენევტიკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე ენის საკითხისათვის, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ძველი ისტორიის უარყოფა. ამ რთულ თეორიულ პრობლემებთან შეჭიდება ძალიან კარგია. აქ წამოჭრილ საკითხებს, უწინარესად, დიდი შემეცნებითი დატვირთვა აქვს და ავტორი ქართულ საზოგადოებას ამ თემაზე საინტერესო ინფორმაციას აწვდის. ამ რთულ თეორიულ საკითხებზე ქართულ ენაზე ძალიან ცოტაიწერება. მასზე ყურადღების გამახვილება, ცხადია, ძალიან კარგია და ახალგაზრდა მკვლევარმა ამით თავისი წვლილი შეიტანა ამ პრობლემების პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ჩვენი აზრით, ავტორის მსჯელობა მეტად ზოგად ხასიათს ატარებს და, ალბათ, მეტი კონკრეტულობა ურიგო როდი იქნებოდა. ეს გაზრდიდა მისი მსჯელობის ანალიტიკურ მუხტს. ზოგიერთი თემის განხილვამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა. პირველ ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია ისტორიული ჰერმენევტიკის საკითხი. ისტორიული რეალობის აღქმის სამი მთავარი მეთოდი არსებობს. აღწერა, ახსნა, გაგება. მათი პირველი სისტემატიზაცია გერმანელმა ფილოსოფოსებმა ვილჰელმ დილთაიმ მოახდინა. მეოცე საუკუნეში საგანგებო ყურადღება დაეთმო გაგების მეთოდს. ასე ჩაეყარა საფუძველი სრულიად ახალ დარგს ჰერმანევტიკას. ის ჰერმანევტიკური მეთოდის არსებას და ფუნქციას სწავლობს.

მისი მეორე წიგნი „ისტორიის ანთროპოლოგია. ადამიანისსახა ისტორია" პირველი წიგნის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ნაშრომის ყურადღების ცენტრში დგას ერთი საინტერესო და აქტუალური თემა ისტორიული ანთროპოლოგია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეს დარგი შედარებით ახალია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს წიგნის მიმართ ინტერესს.

ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპულ-ამერიკული ისტორიოგრაფიის მიერ დაგროვილი ცოდნის, მდიდარი გამოცდილების, სწორედ გააზრებას, გაგებას. გ. ჯოხაძის წიგნი „ადამიანისსახა ისტორია" ამ მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ საკითხებზე ქართულ ენაზე დიდი ხნის განმავლობაში არაფერი იწერებოდა ანდა თუ იწერებოდა, საბჭოური მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, რაც ამ სფეროში ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევების ადექვატურ სურათს ვერ გვიქმნიდა. ავტორი გაგვაცნობს ამ დარგში ევროპულ-ამერიკული ისტორიოგრაფიის წარმატებებს. ამ თემაზე მსჯელობას დიდი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ფაქტობრივად ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის განხილვის პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. წიგნის მეცნიერული მნიშვ-

ნელობა და შემეცნებითი დატვირთვა, სწორედ, ამაში მდგომარეობს.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ წიგნი იწყება გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის მარკ ბლოკის სიტყვებით „ნამდვილი ისტორიკოსი ზღაპრულ ურჩხულს გავს. იქ, სადაც ადამიანის სუნია, საკბილოც იქ ელის". ეს არაა უბრალო, ჩვეულებრივი, განცხადება. მას საპროგრამო დატვირთვა გააჩნია.

წიგნი პირობით ორ მონაკვეთად შეიძლება გავყოთ. თავდაპირველად ავტორი ქართველ მკითხველს გააცნობს იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც ისტორიის ანთროპოლოგიის სფეროში ევროპულ-ამერიკული ისტორიოგრაფიას დაუგროვდა. ამ მსჯელობას მძლავრი შემეცნებითი მუხტი გააჩნია და ავტორმა თავისი წვლილი შეიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის საქმეში. ამას აქვს მნიშვნელობა. ფაქტობრივად ქართულ რეალობაში გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ისტორიული ანთროპოლოგიის საკითხების გაცნობიერების გზაზე. მეორე მონაკვეთში ის ცდილობს ევროპულ ისტორიოგრაფიაში არსებულ სიახლეებს ქართული კონტექსტი მოუძებნოს. ეს, ცხადია, საინტერესოა. აქ ავტორის მსჯელობა უკვე მეცნიერულ ელფერს იძენს. იგი კვლევითი ხასიათისაა.

გ. ჯოხაძის წიგნი „ადამიანისსახა ისტორია" ქართულ რეალობაში დასავლეთ ევროპის ისტორიული აზროვნების და ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების პოპულარიზაციის გზაზე მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საკითხი შემდგომ დაზუსტებას, სრულყოფას, საჭიროებს. უწინარესად ასეთად მიგვაჩნია XX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ერნსტ ლიაბრიუსის „ანალების" სკოლისათვის მიკუთვნება.[46] ჩვენი აზრით, ეს საკამათო შეიძლება იყოს. არავინ არ უარყოფს, რომ „ანალების" სკოლამ დიდ გავლენა მოახდინა ლიაბრიუსის, როგორც ისტორიკოსის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ მისი მიკუთვნება „ანალების" სკოლისათვის, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ის ცოტა ცალკე დგას და საკუთარი გზით მიდის.[47] ძნელია დავეთანხმოთ ავ-

[46] გ. ჯოხაძე. ისტორიული ანთროპოლოგია, ადამიანისსახა ისტორია, გვ. 51-52.
[47] Dictionnaire biographique des historiens français et francophones. De Grégoire de Tours à Georges Duby. Paris. 2004; Christian Delacroix, François Dosse & Patrick Garcia. Histoire et historiens en France depuis 1945. Paris, 2003.

ტორს, თითქოსდა ფრანსუა სიმიანი ისტორიკოსი იყოს.[48] ის ეკონომისტია.[49] ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ფრანსუა ფიურეს წიგნის „რევოლუცია" დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღებია. ფრანსუა ფიურეს წიგნმა დიდ ხმაური გამოიწვია და უმალ მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. მათი რეაქცია ერთგვაროვანი არ ყოფილა. ფ. ფიურემ თავისი სიტყვა თქვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის საქმეში. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი რევოლუციის ისტორიოგრაფიაში. მან საფრანგეთის დიდი რევოლუციის მთელი რიგი საკვანძო საკითხები საინტერესოდ გააშუქა და შეძლო მოეცა კლასიკური და მარქსისტული ისტორიოგრაფიის არგუმენტური, დამაჯერებელი, კრიტიკა. ის რევოლუციის პრობლემების ნიუანსობრივი შესწავლის მომხრეა. მან ძალიან კარგად გაიცნობიერა რევოლუციის უარყოფითი მომენტები, პირველ რიგში კი ბრბოს ბატონობის, ოხლოკრატიის, ნეგატიური შედეგები. მან სცადა რევოლუციის „დეიაკობინიზაცია", მაგრამ რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება მთლად დამაჯერებელი როდია და საკამათო შეიძლება იყოს. ანალიტიკური, პოლემისტური მუხტი, ამ თემაზე ქართველი მკვლევარის მსჯელობას, ვფიქრობთ, კიდევ უფრო საინტერესოს გახდიდა.

ძველი მარქსისტული კლიშეების ინერციად უნდა მივიჩნიოთ ტერმინი „ბურჟუაზიული რევოლუცია".[50] ეს ტერმინი ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა დაამკვიდრეს და ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. უნდა ითქვას, რომ ასეთი ვიწრო კლასობრივი მიდგომა არ შეესატყვისება სინამდვილეს. აკნინებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას და ფრანგი ისტორიკოსების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ვერ ვიტყვით, თითქოს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. შესაძლოა, ეს იყო ძალიან ცოტა, მაგრამ ქართულმა ისტორიოგრაფიამ პირველი მოკრძალებული ნაბიჯები გადადგა ისტორიული ანთროპოლოგიური თემატიკის დამუშავების გზაზე და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, გამართლებული არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ამ სფეროში ქართველ ისტორიკოსთა ნაღვაწს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა.

---

[48] გ. ჯოხაძე. ისტორიული ესეები, გვ. 19.

[49] В. Далин. Историки Франции XIX – XX веков. М. 1980; М. Соколова. Современная французская историография (Основные тенденции в объяснение исторического процесса). М. 1979.

[50] გ. ჯოხაძე. ისტორიული ანთროპოლოგია, ადამიანისსახა ისტორია, გვ. 19.

უწინარესად აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ჩამოყალიბდა სანკტ-პეტერბურგის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ადამიანის კვლევის ცენტრი, რომელმაც საკმაოდ აქტიურად დაიწყო საქმიანობა და რამდენიმე კრებული გამოსცა.

ძალიან კარგი იქნებოდა ქართულ ენაზე არსებული ზოგიერთი საინტერესო გამოკვლევის მითითება. პირველ ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია აკად. რონ მეტრეველის და ახალგაზრდა ისტორიკოსის რუსუდან ლაბაძის შრომები. ასე, მაგალითად, როდესაც საუბარია ფრანგ ისტორიკოს ჟაკ ლე გოფზე ურიგო არ იქნებოდა აკად. რ. მეტრეველის ნაშრომის მითითება „მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვის შუა საუკუნეობრივი სამყაროს" წაკითხვის შემდეგ" იგი ამას აკეთებს სხვა ადგილზე და სხვა წიგნში. კარგი იქნებოდა, რომ აქაც მიეთითებინა. ხოლო როდესაც საუბარია ფრანგ ისტორიკოს ემანუელ ლე რუა ლადიურიზე, ძალიან კარგი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო ახალგაზრდა ისტორიკოსის რ. ლაბაძის ნაშრომი „მენტალიტეტის კვლევის თანამედროვე მეთოდები მონტაიუს მაგალითზე", რომელიც დაიბეჭდა 1999 წელს უნივერსიტეტის შრომებში.

ბოლო ხანებში ისტორიის თეორიული პრობლემებისადმი ინტერესს ამჟღავნებს ისტორიკოსი ნინო კიღურაძე. ამ თემატიკით მისი დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და, ვფიქრობთ, ძირითადად გენეტიკურ ხასიათს ატარებს. ის ცნობილი ისტორიკოსის პროფ. გივი კიღურაძის ქალიშვილია. პროფ. ნინო კიღურაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ის განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენს თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესების, ტენდენციების, ნოვაციებისადმი და ცდილობს ქართველ მკითხველს გააცნოს ევროპული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მას გააჩნია ძლიერი შემეცნებითი მუხტი, რომელიც განსაზღვრავს მის მნიშვნელობას. ამ თემაზე ქართულ ენაზე ძალიან ცოტა იწერება და აღნიშნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, უდავოდ, საინტერესოა. ის ცდილობს ამ სიახლეების ქართულ რეალობაში, პირველ რიგში სკოლაში, დანერგვას, თუმცა ზოგიერთი მიდგომა, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს და მთლად დამაჯერებელი როდია. ახალი სკოლის სახელმძღვანელო, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ასეთი რთული თეორიული პრობლემების დამუშავება, ცხადია, ადვილი

საქმე არ გახლავთ. უცხო ენების კარგი ცოდნა მისი, როგორც ისტორიკოსის ძლიერი მხარეა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის კარგად იცნობს უახლოეს საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიას, მაგრამ არა ყველას.

ამ საკითხების უფრო სრულყოფილად, ამომწურავად, წარმოჩენის თვალსაზრისით, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა უახლესი რუსული ლიტერატურის გამოყენება. ასევე ძალიან კარგი იქნებოდა ჯეროვანი ყურადღება დათმობოდა იმ მწირ ლიტერატურას, რომელიც ქართულ ენაზე არსებობს.

ჩვენ არ უარვყოფთ პროფ. ნინო კიღურაძის ამ შრომების შემეცნებით მნიშვნელობას და ამ პრობლემის პოპულარიზაციის საქმეში მის დამსახურებას კითხვის ნიშნის ქვეშ არ ვაყენებთ. ის, უეჭველად, კარგ საქმეს აკეთებს და აქტუალურ პრობლემებს სწავლობს. ამ შრომების მეცნიერულ სიახლეზე აპელირება, რაზეც ხშირად საუბრობს ქ-ნი ნინო, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, ერთია ამბიცია, ილუზიები, რეალობა კი სულ სხვაგვარია. ეს საკითხები საკმაოდ საფუძვლიანადაა დამუშავებული, როგორც დასავლეთევროპულ, ისე უახლეს რუსულ ისტორიოგრაფიაში. სინამდვილეს თვალში უნდა გაუსწოროთ, ზედმეტი ამბიციები უადგილოა. ერუდიციის მტვერი, რომ გაიფანტება, რეალურად ხელში რა დაგრჩება?[51]

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მიმართულებით საკმაოდ ნაყოფიერად იღწვიან ქართველი ფილოსოფოსები. ამ თემაზე მათ გამოაქვეყნეს მრავალი საგულისხმო გამოკვლევა. ეს საუბრის ცალკე თემაა.

უდავოდ მისასალმებელია ქართულ ენაზე ზოგიერთი საინტერესო თეორიული ხასიათის ნაშრომის თარგმნა. ამით ძალიან კარგი საქმე კეთდება. პირველ რიგში, ცხადია, ვგულისხმობთ, ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ედვარდ კარის წიგნს „რა არის ისტორია“[52] და პიტერ ბერკის წიგნს „ისტორია და სოციალური თეორიები“.[53] ქართულ ენაზე გამოვიდა XX საუკუნის ფრანგული ისტორიულ-ფილოსოფიური აზრის მეტრის რაიმონ არონის საინტერესო თხზულება „მშვი-

[51] ნ. კიღურაძე. რეკონსტრუქცია, კონსტრუქცია და დეკონსტრუქცია ისტორიაში. პერსპექტივა XXI. 12. თბ. 2009; ნ. კიღურაძე. ნაციონალისტური ნარატივი და ინტერკულტურული რეკომენდაციები და მათი ადგილობრივი იმპლანტაცია. ისტორიკოსი. I. თბ. 2011; ნ. კიღურაძე. ისტორიის პოლიტიკური ბუნების შესახებ. კრებ.: ახლო აღმოსავალეთი და საქართველო. თბ. 2010.

[52] ედ. კარი. რა არის ისტორია? თბ. 2001; დ. ლოსაბერიძე. ედვარდ ჰელვეტ კარი – რა არის ისტორია? „საზოგადოება და პოლიტიკა“. IV. თბ. 2002.

[53] პ. ბერკი. ისტორია და სოციალური თეორიები. თბ. 2002.

დობა და ომი ერებს შორის".[54] 2010 წელს ქართულმა საზოგადოებამ მიიღო საინტერესო კრებული „ისტორიის შესახებ".[55] სადაც პროფესიონალი ისტორიკოსები საუბრობენ ისტორიის როგორც მეცნიერების შესახებ. აქ წამოჭრილი და განხილული საკითხები აქტუალურია და ისტორიკოსთა შორის ცხარე კამათს იწვევს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. ამ მიმართულებით მუშაობის გაშლა ფრიად პერსპექტიულია. ამგვარი წიგნების თარგმნას დიდი მნიშვნელობა გააჩნია და კარგად ჩაგვახედებს ევროპული ისტორიოგრაფიის საგანძურში. გაგვაცნობს იმ სიახლეებს, რომელსაც ადგილი აქვს ევროპულ ისტორიულ მეცნიერებაში. წარმოდგენას გვიქმნის მის მიღწევებზე, წარმატებებზე და პრობლემებზე. გვეხმარება ადეკვატურად გავიაზროთ აქ მიმდინარე პროცესები. გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. გავიაზროთ რა სიახლეები მიესადაგება და რა არა ქართულ რეალობას. მიმბაძველობა მიუღებელია. შემოქმედებითი მიდგმა გაცილებით უფრო ნაყოფიერია. შეგვაჩვევს თავისუფალ აზროვნებას. წარსულის მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომას, შეგვაგუებს განსხვავებულ აზრს. ასეთი მჭიდრო კონტაქტები საჭიროა, აუცილებელიცაა. ამის გარეშე ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა წარმოუდგენელი იქნებოდა. იზოლაციამ, საკუთარ თავში ჩაკეტვამ, ქართულ ისტორიოგრაფიას სასიკეთო არაფერი მოუტანა და მნიშვნელოვანწილად ამითაა გამოწვეული, რომ ის ვერ გასცდა პოზიტივისტური და მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩარჩოებს.

* * *

ამრიგად, საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავების გარკვეული ტრადიცია არსებობს, რომელიც ამ პრობლემატიკის გაშუქების პოპულარიზაციის და კვლევის შეთავსების მცდელობას წარმოადგენს. შესაძლოა, ეს მწირი ინფორმაცია ძალიან ცოტაა, ნამცეცები იყოს, მაგრამ საინტერესოა და მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნებოდა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემით დაინტერესებამ, ვფიქრობთ, საინტერესო სახეცვლილება, ევოლუცია, განიცადა. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები საქართველოში ამ საკითხით დაინტერესების ოპტიმალურ ხანად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ თავდა-

[54] რ. არონი. მშვიდობა და ომი ერებს შორის. თბ. 2009.
[55] ისტორიის შესახებ. თბ. 2010.

პირველად ქართულ ისტორიოგრაფიას სწორი გზა ჰქონდა არჩეული და საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომაზე იყო ორიენტირებული. საკვლევით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ ნოვაციების მთავარ მოთავედ, სწორედ, დიდი ივანე ჯავახიშვილი გვევლინება. 20-30-იანი წლების პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ მიღწევად ამ პრობლემისადმი მრავალვარიანტული მიდგომა მიგვაჩნია. ივ. ჯავახიშვილსა და გრ. ნათაძეს შეორის არსებული პრინციპული აზრთასხვადასხვაობა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ისტორიის თეორიული პრობლემების დამუშავების მთავარ ინიციატორად ისტორიკოსები გვევლინებიან.

30-იანი წლების შუა ხანებიდან მკვეთრი ფერისცვალება ხდება, რომელიც უპირატესად პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი მარქსისტულ – ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. ისტორიის ფილოსოფიას და ისტორიის მეთოდოლოგიას ფაქტობრივად ჩამოერთვა მოქალაქეობის უფლება. ის ჩაანაცვლა სტალინური ტიპის ისტორიულმა მატერიალიზმმა, რომელსაც საფუძვლად ედო, ვიწროდოგმატურად ინტერპრეტირებული მარქსიზმი, რომელიც გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. მის წინააღმდეგ ხმის ამოღება არსებული იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრების ტოლფასი იყო და სასტიკად ისჯებოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო წინგადადგმული ნაბიჯი, როგორც ამას ხაზს უსვამდა სტალინური ეპოქის საბჭოთა ისტორიოგრაფია.

50-იანი წლების შუა ხანებიდან, ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ იწყება ამ თემატიკით დაინტერესების ახალი მესამე ეტაპი. მან ხშირად „დათბობის ხანას“ უწოდებენ, რომლისთვისაც სიმპტომატიური იყო „იდეური დაბნეულობა“. ამ პრობლემებისადმი ინტერესის გამოცოცხლება, რა თქმა უნდა, მისასალმებელი იყო და სტალინური ხანის შემდეგ გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მაგრამ ეს გამოკვლევები არ ცილდებოდა მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩარჩოებს და ყველაზე უფრო ოდიოზური სტალინური დოგმების დაგმობაზე შორს არ მიდიოდა. ამიტომ მისი მნიშვნელობის გაზვიადება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, ის გარემოება, რომ ისტორიკოსებმა დათმეს ამ თემატიკის დამუშავების ინიციატივა და ის თანდათან ფილოსოფოსებს გადაულოცეს.

აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება 90-იანი წლების დასაწყისი. საბჭოთა კავშირი დაიშალა. ამას დიდი

ბნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს წერტილი დაესვა. ფაქტობრივად, აქედან იწყება საქართველოში ამ თემატიკით დაინტერესების მეორე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავება პოსტსაბჭოთა ეპოქის თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ვერ ვიტყვით, თითქოსდა ამ მიმართულებით თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიში არაფერი არ კეთდება. გარკვეული პოზიტიურ ძვრები, უეჭველად შეინიშნება და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, სწორი არ იქნება, თუმცა, რა თქმა უნდა, გასაკეთებელი ძალიან ბევრია. უახლესი ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ამ პრობლემისადმი მიდგომა გაწმინდოს მარქსიზმისაგან და ბოლო დროს გამოსული გამოკვლევები აღნიშნული თემატიკის განხილვის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ.

დადებითი მომენტებიდან, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს, ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემებისაკენ ისტორიკოსების შემობრუნება. ამ თემატიკისადმი მათი ინტერესის აღორძინება საგულისხმოა და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამის დაუნახაობა სწორი არ იქნებოდა.

დღეს ამ საკითხებზე გაცილებით უფრო მეტი იწერება, ვიდრე ამ ცოტა ხნის წინ. ასეთი დაინტერესება უპირატესად ტექნიკური პროგრესით უნდა იყოს განპირობებული. ინტერნეტის საშუალებით ეს ლიტერატურა გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში აქტიურად არიან ჩაბმული როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახალგაზრდა თაობის ისტორიკოსები. ეს, ცხადია, კარგია და პროგრესის სიმპტომებად შეიძლება მივიჩნიოთ. რაოდენობრივი პროგრესი სახეზეა და ამას ვერაკინ ვერ აუვლის გვერდს.

მიუხედავად ამისა, ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარების შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა მაინც გაზვიადებული უნდა იყოს. არის პრობლემები და ამის დაუნახაობა სწორი არ იქნებოდა. ვერ ვიტყვით, თითქოსდა მარქსიზმის სინდრომი ბოლომდე იყოს დაძლეული. საქმე ისაა, რომ ძველი ინერციით, აქა-იქ, ნებსით თუ უნებლიეთ, კლავ გვხვდება ტერმინები: „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია", „ბურჟუაზიული რევოლუცია", „ბურჟუაზიული დემოკრატია". ეს ბოლშევიკური კლიშეებია. უკვე დროა საბოლოოდ ვთქვათ უარი ამ ტერმინების გამოყენებაზე და ბოლოს,

რაც მთავარია, სადღეისოდ მაინც, უმთავრესი აქცენტი კეთდება რაოდენობრივ და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებზე. ამ მხრივ, სატრაბახო, ჩვენი აზრით, გაცილებით ცოტა გვაქვს. ეს, უსათუოდ, გასათვალისწინებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაიმე წინსვლაზე, პროგრესზე, ფიქრი წარმოუდგენელი იქნებოდა. ისტორიული გამოკვლევების მეცნიერული დონის ამაღლება, მკვეთრი გაუმჯობესება, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს საზრუნავად, ამოცანად, მიგვაჩნია. ყურადღება უნდა მიექცეს არა რაოდენობას, არამედ ხარისხს. ეს ელემენტარული, ანბანური ჭეშმარიტებაა და ამის შეხსენება არ უნდა გვჭირდებოდეს. სამწუხაროდ გვჭირდება, ეს საბჭოთა მემკვიდრეობის კიდევ ერთი ღრმად გამჯდარი რეციდივია. რაც სწრაფად გავთავისუფლდებით ამისგან, უკეთესი იქნება. ეს დააჩქარებს ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლას, პროგრესს.[56]

საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების გაშუქება ამ თემატიკის პოპულარიზაციის და კვლევის, შერწყმის, შეხამების, მცდელობად გვეკლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

[56] მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 280, 372-373; კ. ანთაძე, მ. კალანდაძე. კრიზისიდან გამოსავალი, მეცნიერული გამოკვლევების დონის ამაღლებაა. „მწიგნობარი". თბ. 2006, გვ. 59-65.

Merab Kalandadze

THEORETICAL PROBLEMS OF HISTORY IN THE 20TH CENTURY GEORGIAN HISTORIOGRAPHY

Summary

The article deals with studying of theoretical problems of history in the 20th century Georgian historiography.

The initiator of theoretical studies of history in Georgia was Ivane Javakhishvili. Grigol Natadze also showed his interest to the issue, but he chose the different way and tried to evolve from economical materialism to Marxism.

From the middle of 1930's the interest to the subject was reduced because of the strengthening of Marxist-Leninist dictatorship. Philosophy of history and methodology of history was practically forbidden and replaced with historical materialism.

The situation had changed after the death of Josef Stalin. The interest in the subjects of philosophy and methodology of history was revived by historians. This period is known as "thaw" or "ideological perplexity". Professor Eduard Kodua was one of the scholars, who studied the subject. But his position, that he was the developer of philosophy of history in Georgia is a little bit pretentious. At that time the other historians, namely Givi Kiguradze, Ushangi Sidamonidze, Guram Koranashvili, German Simonidze were also studying the subject.

The collapse of the Soviet Union marked the beginning of the new phase of studies in Georgia. Pharnaoz Lomashvili's work "The history of history's philosophy" is one of the best examples of continuing study. Nevertheless, there is a lot of work to be done in this direction

Teimuraz Papaskiri
Zurab Papaskiri

Conflicts in Abkhazia and Tskhinvali Region: the Continuing Russian Occupation of Georgia*

Beginning from 1801, for more than 200 years Georgia is occupied, in one way or another, by Russia. In 1801-1917 it was the Russian Empire, who broke the existing treaty, abolished the Kartli-Kakheti kingdom, and started the process of annexation of Georgian kingdoms and princedoms. Later they were incorporated into two *Gubernias*, namely Tbilisi Gubernia and Kutaisi Gubernia. After the defeat of Russian Empire in the First World War, Georgia got independence, but just for three years. In 1921 the Soviet Russia broke treaty with Georgian Democratic Republic, occupied Georgia after the brief war and incorporated her into the USSR. In December 1991 the Soviet Uinion officially broke up and the 70-year Soviet occupation of Georgia had ended. But soon there began hostilities in Tskhinvali Region and Abkhazia and both regions, at first partially, and from 2008 completely fell under the Russian control. In the following presentation I will attempt to show what were the reasons of those conflicts and what was the Russian role in their inspiration. First of all, I will pay attention to the deep historical roots of Russian influence in these regions.

Beginning from the last quarter of 19th c., the Russian imperial government started the process of alienation of population of Abkhazia from the rest of Georgia. The process started after the end of the Crimean War of 1853-1856 and coincided with the activisation of the nationally-minded forces in Georgia and the foundation of the society spreading the Georgian literacy. The process of alienation reached its height after the end of the Russo-Turkish war of 1877-1878, when the great part of Moslem population, mainly Abkhazs, were encour-

* The paper was presented at the conference *The Baltics and Europe Under Soviet Military Power*, which was held in Riga, Latvia on November 2, 2012.

aged to leave their native lands. The colonial authorities spared no effort to tear Abkhazia off the common Georgian cultural and historical entity and push the Georgian language and literature aside. This is best illustrated by the fact that the Abkhazians were given their own written language. P. Uslar, who created the Abkhaz alphabet, had the following to say about the true intentions of Russia's "language policy": he described the Georgian alphabet as "essentially the best alphabet in the world," which could be taken as "the starting point of a common alphabet for all Caucasian languages that had no written word", yet, he added: "If we borrow not only the alphabet but also letters from the Georgians, we shall unwittingly create problems when the Russian written language spreads across the Caucasus".

Evgeny Veidenbaum, another prominent Russian figure, was even more straightforward: "...the Abkhaz written language cannot be an aim in itself: it should undermine, through the Church and schools, the need for the Georgian language, which should be gradually replaced with the state language."

In 1904, on the suggestion of Prince of Oldenburg, the imperial authorities intended to make Gagra with its nearby lands the part of the Black Sea Gubernia by separating them from the rest of Georgia. The attempt was cut short by the Abkhaz nobility who were dead set against those who wanted to disrupt the Georgian-Abkhaz historical and cultural entity. The Abkhaz delegation, which arrived in Tiflis on 26 April, 1916, to meet the Caucasian viceroy was the best confirmation of the prevailing sentiments.

Nevertheless, the constant political and ideological pressure on the Abkhazians barely camouflaged by hypocritical statements about the concern over the local people's cultural and national awareness bore fruit. "Abkhaz resurrection" was obviously anti-Georgian; the so-called new Abkhazians came to the forefront to capture the political initiative after the February 1917 revolution in Russia. Beginning from February 1917, when the Russian Empire was crumbling, the new Abkhaz leaders, who usurped power, moved ahead to rupture all ties with the rest of Georgia.

Nevertheless, the government of the Georgian Democratic Republic, which was formed on May 26, 1918, was able to change the situation. On 13 February, 1919 Abkhazia held the first universal democratic elections to the People's Council – the highest state power structure in Abkhazia. The ruling Social-Democratic Party of Georgia won 27 seats out of 40. Simultaneously, Abkhazia elected deputies to the Constituent Assembly of Georgia.

On 20 March, 1919 the newly elected People's Council of Abkhazia

adopted the Act of Abkhazian Autonomy, Point 1 of which said: "*Abkhazia is part of the Democratic Republic of Georgia as its autonomy*". The short-lived 1921 Constitution of Georgia approved that article, but the the state and legal relations between the Georgian Democratic Republic and Autonomous Abkhazia were completely destroyed when the Red Army of Bolshevik Russia brought down the legal government of sovereign Georgia. E. Eshba and N. Lakoba, two Bolshevik leaders of Abkhazia brought to power by the Soviets, based their anti-Georgian propaganda on the notorious slogan about the rights of nations to self-determination and moved forward with the idea of Abkhazia's independence from Georgia to become a Soviet socialist republic. On 31 March, 1921 the Revolutionary Committee of Abkhazia, encouraged by the higher Communist Party structures, proclaimed Abkhazia a Soviet socialist republic; the same day it officially informed Lenin and did not fail to refer to the "great liberation mission" of the "valiant" Red Army.

In fact, the Kremlin leaders, the Georgian Communists, and the Abkhaz Bolsheviks knew that there could be no genuinely independent Abkhazian state. According to the Georgian and Abkhaz Bolshevik leaders *Abkhazian independence was temporary*: "*for no longer than one minute*" as Nestor Lakoba put it. It proved correct. From the very beginning Abkhazia was regarded as an autonomous part of Georgia. On 16 December, 1921 Abkhazia became part of the Georgian SSR as a so-called republic on a contractual basis. The Constitution of Georgia of 1922 directly stated: "The Autonomous Socialist Soviet Republic of Adjaria, the South Ossetian Autonomous Region, and the Socialist Soviet Republic of Abkhazia are parts of the Socialist Soviet Republic of Georgia, which they joined voluntarily on the basis of self-determination. The Socialist Soviet Republic of Abkhazia joined the Socialist Soviet Republic of Georgia on the basis of a union treaty between them." The first Constitution of the Soviet Union clarified that the Transcaucasian Soviet Federative Socialist Republic (TSFSR) as a subject of the USSR consisted of three socialist republics – Georgia, Armenia, and Azerbaijan. Abkhazia was listed as an autonomous republic. In 1931 Abkhazia officially became the autonomous Soviet Socialist Republic within the Georgian SSR.

After March 9, 1956 Tbilisi massacre the Kremlin tops once again decided to use the Abkhazs against the emerging Georgian national liberation movement. In 1957 the certain separatist forces, which were guided by Kremlin, tried to exploit the Khrushchev Thaw and to stage the "all-Abkhaz revolt" with the aim of detaching the Abkhazian ASSR from the Georgian SSR. The Geor-

gian Communist leaders, who were afraid to anger Khrushchev, decided to pacify the Abkhazs. As a result, only the Georgians involved n the events were punished while the leaders of the Abkhaz revolt moved higher up the party ladder to fill the top posts in the power structure. The Kremlin tops continued that policy till the break-up of the Soviet Union. Once in ten years following the activation of Georgian national liberation movement, the Abkhazs, following the orders from kremlin started the meetings. The results were always the same: the Georgian Communists in Abkhazia were punished and the Abkhazs were awarded the higher posts.

The new wave of separatism in Abkhazia rose in 1988 against the background of Mikhail Gorbachev's "perestroika" and "glasnost" policy. Not strangely, it followed the protests in Tbilisi in November 1988 against the proposed change of the Soviet Constitution, which could deprive the Soviet Republics the right to leave the Soviet Union. The Abkaz separatist movement reached its height in the spring and summer of 1989. On 18 March, a people gathering of the Abkhazs was held in the village of Lykhny (the Gudauta District) endorsed and attended by the highest party leaders together with First Secretary of the Abkhazian Regional Committee of the Communist Party of Georgia B. V. Adleiba. It adopted a new appeal demanding that the status of the Abkhazian SSR should be restored to make it a direct member of the Soviet Union as a Soviet Socialist Republic.

The first blood was shed on 15-16 July, 1989 in Sokhumi costing nine Georgians and five Abkhazs their lives, however the worst was avoided. It seems that either the Kremlin had realized its mistake or maybe E. Shevardnadze, who was the Soviet Minister of Foreign Affairs, contributed to the change of minds. As a result, the Soviet Army for the first time (and for the last time too) in history played a positive role in Abkhazia. In the fall of 1990 Georgia received a new president. After coming to power, the new top people and their leader Zviad Gamsakhurdia came face to face with trouble in the autonomies, especially in the so-called South Ossetian autonomous region. To avoid a some type of a second front in Abkhazia President Gamsakhurdia had to accept Vladislav Ardzinba, the leader of the separatists, as the chairman of the Supreme Soviet of the Abkhazian ASSR (the autonomous republic's highest post). The new Georgian president tried to ease the tension in the autonomous republic and frustrate the plans of the Soviet Union's leaders to use the Abkhaz card against Georgia, but he failed. This step proved to be wrong. Throughout 1991 (until 19 August) Vladislav Ardzinba disobeyed the Georgian president: he was

actively involved in the Kremlin's efforts to sign a new Union Treaty under which the autonomous republics were expected to become Union republics.

Despite the failed August putsch and the idea of a "refurbished Union," President Gamsakhurdia gave Vladislav Ardzinba another chance, but Ardzinba pushed aside everything they had promised. The coup d'état that removed Zviad Gamsakhurdia and the period of turmoil that followed helped the separatists to realize their far-reaching plans. The crisis in the relations between Tbilisi and Sokhumi reached its apogee on 14 August, 1992 Vladislav Ardzinba ordered his illegal military units to open fire on the internal troops of the Republic of Georgia moving across the territory of Abkhazia according to an earlier agreement between the Abkhaz and Georgian leaders. As it became clear later, he was following the recommendations from the Kremlin, particularly from the Russian Vice-President Alexander Rutskoy. The Russian troops were actively involved in the fighting since 31 August (before it they just gave the armaments to the Abkhazs as it happened in Gudauta military base on the first day of fighting), when the Russian military forces, based in the laboratory with still unknown functions in Eshera, disrupted the Georgian crossing over the r. Gumista. After it the Russians were regularly bombing the Georgian positions at the frontline and the civilian districts in Sokhumi. They used both artillery and aviation. The Russians were actively involved in capturing Gagra in October 1992. They were extremely active before the failed Abkhaz attack on Sokhumi in March of 1993. After March fightings, which proved to be disastrous for the Abkhazs (they lost 1000 men as dead only), the Kremlin decided to involve on a broader basis. In July the new attack on Sokhumi was mounted and the Russian troops began to participate in the ground fighting too. The Georgians were able to destroy the Russian invasion forces in Ochamchire region, but had to leave some key positions nearby Sokhumi. This proved fatal afterwards. In September 1993, thanks to the active help from the Russian regular army and hundreds of mercenaries from the Northern Caucasus, the separatists emerged victorious. They captured most part of Abkhazia. Nearly 300 thousand Georgians were thrown out of their homes. Abkhazia proclaimed itself independent, although it actually fell under the Russian control.

While in 1990s the Kremlin tops had never admitted that they were involved in the hostilities against Georgian troops (they denied their participation even when the Russian plane SU-27 was shot down near Sokhumi), in 2008 they changed the tactics. The Russian troops used Abkhazia as a springboard for attack against Georgia. Along with the occupation of Zugdidi, Senaki, Poti, and

other Western-Georgian cities, the Russian troops captured the Upper Abkhazia, which was beforehand controlled by Georgian government. Thus, all the territory of Abkhazia fell under the Russian occupation.

The similar story can be told about the conflict in Tskhinvali Region, which is the part of the Inner (in Georgian *Shida*) Kartli, the northern frontier of which was always running along the natural border – the Great Caucasus Ridge. The Inner Kartli is, and always was the centre of the Georgian statehood. The Ossetians began to settle in the region from the 17th c. (There was a brief period in the 13th c. when they tried to settle in region during the Mongol rule in Georgia, but were forced to return to their homeland during the reign of Giorgi V the Brilliant /1314-1346/, who overthrow the Mongol yoke.), but they never were a danger to the Georgian statehood until the 1917 February Revolution. The Russian imperial officials had never tried to establish an Ossetian administrative unit in the Inner Kartly. Only after the collapse of the Russian Empire the so-called "South Ossetian National Council", which was created by the Russian Bolsheviks attempted to the establish an administrative unit in the Inner Kartli and to seize its part. (The term "South Ossetia" was used for the first time in 1830, in the series of publications in the newspaper "Tiflis Bulletin". However, the official documents of the same period refer to them as "the Ossetians of the Northern Kartli situated to the South of the Caucasus mountain range". "South Ossetia" is used just once in the numerous Georgian, Russian, Turkish, and Persian documents of the twelve-volume edition of the Acts of the Caucasus Archeographic Commission, published in 1864-1917, and only twice in the Georgian periodical press of 1852-1915.) The Georgian Democratic Republic defeated the rebelled bolshevik Ossetians and the situation in the region was calm until the Soviet occupation of Georgia.

Following the sovietization of Georgia, the Bolsheviks created the administrative-territorial unit – South Ossetian Autonomous District – in the Northern part of the Inner Kartli with the centre in Tskhinvali. (It should be mentioned that prior to the beginning of 20th c. there were no Ossetians living in the city of Tskhinvali.) The creation of the "South Ossetian" autonomous district was an artificial act and the main reason of it was rewarding the Ossetians for their fighting against the Georgian Democratic Republic in 1918-1921.

Prior to the break-up of the USSR, the Soviet Committee of State Security (KGB) and local communist officials began to inspire ethnic confrontation in Tskhinvali Region. The discord started in 1988, when there was founded "Adamon Nikhas" – the "People's Front of the South Ossetia". "Adamon Nik-

has", which received orders directly from the Kremlin, became the main organizer of the protest actions. It opposed the anti-imperial liberation movement, which had begun in Georgia.

In November 1989 the Ossetians started the legal confrontation with the government of the Georgian SSR. The special session of the Council of People's Delegates of the 20th convocation of the South Ossetian Autonomous District made a decision on raising the status of the South Ossetia. The Autonomous District of South Ossetia was proclaimed as an Autonomous Soviet Socialist Republic of South Ossetia. The session appealed to the Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia and the Supreme Council of the USSR to discuss the issue of assigning the status of an "autonomous republic" to the Autonomous District of South Ossetia. The session also amended the paragraph 1 of the decision of the 11th session of the 20th convocation of National Deputy Council of District held on September 26, 1989, regarding the adoption of the "State Program for the Development of the Ossetian Language". It declared the Ossetian Language as the state language on the territory of the South Ossetian Autonomous District, and the equal and free functioning of the Georgian and Russian languages "in accordance with the language policy of the USSR". It started the wave of protests aong the Georgians. The next stage of escalation of the situation took place in summer of 1990. The Supreme Council of Georgia adopted the election law, which prohibited participation of regional parties in the parliamentary elections. Ossetian organization "Adamon Nikhas" regarded this step as the action against it, and by the decision of local communist organization and local governing bodies on September 20, 1990 South Ossetia was announced as the sovereign subject (South Ossetian Soviet Democratic Republic) of the USSR. On the next day the Presidium of the Supreme Council of Georgia annulled that decision.

In October the Ossetian side ignored the Georgian parliamentary elections and held its own parliamentary elections on December 9. In response to that, on December 11 the Georgian Supreme Council nullified the results of the illegitimate elections in South Ossetia and the abolished the South Ossetian Autonomous District. The state of emergency was introduced in the region.

On January 7, 1991 Mikhail Gorbachev, the President of the USSR declared that any decision regarding the change of the status of South Ossetia would become legitimate only after its approval by the highest bodies of the USSR, returning by this act to the *status quo ante*. Nevertheless, on March 23, 1991 Zviad Gamsakhurdia, head of the Supreme Council of the Georgian Re-

public met Boris Yeltsin, Head of the Supreme Council of the Russian Soviet Socialist Republic in Kazbegi. Joint memorandum stated: "with the intention of stabilizing the situation in the former South Ossetian Autonomous Republic the parties agree on the following, ...Ministry of Internal Affairs of the Russian SSR and Ministry of Internal Affairs of the republic of Georgia will create joint militia teams to ensure demilitarization of all of the illegal armed units on the territory of former Autonomous Republic of South Ossetia." According to this document, the Government of RSFSR practically recognized the legitimacy of the Georgian government's decision to abolish the Autonomous District of South Ossetia.

The hostilities began in January of 1991, when the additional units of the Georgian police were introduced to Tskhinvali. The separatists put up an armed resistance. The Imperial military machine was backing up the separatists, and that made the situation even tenser. When despite their support the situation turned in favour to the Georgians, the Russian government threatened with using the helicopters stationed at the Russian military base nearby Tskhinvali. This forced the new Georgian government, headed by Eduard Shevardnadze, to sign the the Dagomis agreement on "The Principles of Resolution of Georgian-Ossetian Conflict" (June 24, 1992). According to the agreement, the peace in the region were kept by the Joint Peacekeeping Forces, which were subordinated to the Joint Control Commission, and consisted of Russian, Georgian and North Ossetian battalions (500 people from each parties). In fact the "peacekeepers" were usually following the orders from the Kremlin and supported the Ossetians. The status quo was held until 2008 (with a brief hostilities in 2004), when the Russian government started the preparations for the direct aggression against Georgia. The Russian aggression started in August 7 of 2008, when Russia invaded Georgia calling its action Operation for the Peace Enforcement". The Russians claimed that they weer defending their "citizens". (Of course, the Kremlin had forgotten that those so-called "citizens" were made "citizens" after 2002 as a result of breaking every international regulation and law, ignoring the protests from the international organizations and the Georgian government, who accused the Russian government in "latent annexations".) The results of the Russian-Georgian war were disastrous for Georgia: temporarily are lost dozens of villages in Tskhinvali and Znauri regions, the entire Akhalgori region, Upper Abkhazia; the war created the new wave of IDP's; several regions in Georgia suffered from the hostilities. Despite the fact, that the Russians signed an agreement on cease-fire, according which the Russian troops

had to return to the pre-war status-quo, the Kremlin tops "recognized 'South Ossetia' and Abkhazia".

At the end of my presentation I have to touch the question, which is often raised during the discussions. There are people, who accuse Georgian side "for starting the war" in 2008. I have a question for them: against whom did Georgia start the war? If it is the Russian-Georgian war, the answer has to be Russia, but even the most hostile opponents of Georgian government avoid that answer because of its stupidity. It was Russia, who invaded Georgia and not vice-versa. It was the Georgian territory where the hostilities took place, not Russian lands. Therefore, the answer on the question "Who started the August war?" is only one: Russia! Moreover, the Kremlin tops were preparing for it beginning from March 2008, when Russia left the CIS agreement limiting economic and military cooperation with Abkhazia. On April 16, following the NATO summit in Bucharest, which refused to give MAP to Georgia, President Putin had directly ordered the Russian Government to establish relations with the separatist governments of Abkhazia and South Ossetia. Few days later Russian fighter jet downed the Georgian unarmed UAV near the Enguri River within the conflict area. In spite of evidences, Russia had strictly refused its participation in this incident and stated that the plane was hit by Abkhazian armed force (the Abkhazs had no fighter jets actually). During June and July the armed provocations had significantly increased in Tskhinvali area, Georgian villages were put under fire, roads were mined, blocked, peaceful population was kidnapped, people were blown up on mines. On July 8, 2008, few hours before the beginning of the visit of Condoleezza Rice, the US State Secretary, to Georgia, four Russian jets have entered the Georgian air space in the conflict zone. Russia admitted the fact on July 10, but stated that by this action they prevented "military aggression" and "cooled off some hot heads in Tbilisi." In July the large-scale military trainings were held by Russia in North Caucasus. These units later participated in the aggression against and occupation of Georgia. From August 1 the separatists started heavy shelling of Georgian villages in Tskhinvali using large-calibre artillery. This fact was also confirmed by the Russian peacekeeping forces. On August 3, 2008 separatists started the evacuation of children and women from Tskhinvali and the near-by Ossetian villages, and moved them to Russia. At the same time, there started the mobilization of the Russian military forces, the Cossacks and other armed gangs in the North Caucasus. Russian mass-media started intense disinformation and military campaign media-coverage against Georgia. On August 7, 2008 separatists had once

again started shelling and bombing of the Georgian villages. State Minister of Georgia for Reintegration arrived in Tskhinvali to start direct negotiations with the separatist leaders to avoid conflict escalation, but the separatists refused to meet. In the evening of the same day the Georgian President announced the unilateral ceasefire and once again offered direct negotiation, but separatists declined this proposal and re-opened the fire toward Georgian villages from every weapon in their possession, including heavy artillery. It was only after that that the Georgian government, in order to protect the population of the region, had to sent the military units to the region. There are lot of evidences, which show that the Russian troops had crossed the Russian-Georgian border prior to the beginning of the hostilities. Therefore, even the hostilities were started by the Russian side, who used the Ossetian separatists for it.

In the end I have to say that unfortunately, despite all the agreements, Russia is still occupying the part of Georgia. The Russians have opened several military bases in Abkhazia and Tskhinvali Region. They have heavily fortified the adminstrative borders. The Russian Federation officially "recognized the independence" of Abkhazia and the so-called "South Osssetia", but in fact the Russians are the real masters there. This is the continuing occupation of Georgia, which does not allow Georgia to develop freely and be the master of its fate. The Kremlin tops are still thinking in the imperial manner of the 18-19th cc. That is why, I wans to recall the words of the Finnish presenter, that Russia has not confessed in the Communist crimes. Of course, the do not confess in crimes. They are still doing the crimes. Nevertheless, I am sure the Kremlin will fail. The Empire will finally have to leave Georgian territories. The more the Kremlin tops will oppose this, the more fierce will be results for Russia itself. She will have not only to leave the Georgian territories, but the Caucasus on the whole!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

რეცენზია

ლერი თავაძე

ნოდარ ლომოური.
საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა.
ნაწილი I (IV-IX სს.)

საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი". თბილისი. 2011. 280 გვერდი, ინგლისური
რეზიუმე გვ. 281-296, საძიებელი გვ. 297-306, ნ. ლომოურის ნაბეჭდი შრომების სია
გვ. 307-316. ISBN 978-9941-401-96-1

ნაშრომში შეესწავლილია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემატიკა – საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა. ინტერესი სარეცენზიოდ შერჩეული წიგნისადმი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან მისი ავტორია ისეთი ამაგდარი მეცნიერი, როგორიცაა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ლომოური. ნოდარ ლომოურის სამეცნიერო თუ პუბლიცისტური მემკვიდრეობა, მართლაც, რომ შთამბეჭდავია და ასორმოცდაათ ერთეულზე მეტ მონოგრაფიას, სტატიას, პუბლიცისტურ წერილს, მხატვრულ ნაწარმოებს თუ სხვა სახის ნარატივს შეიცავს (გვ. 306-316).

ინტერესი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობისადმი ყოველთვის დიდი იყო. აღნიშნულ პრობლემას უკვე საუკუნეზე მეტია იკვლევენ ქართველი ისტორიკოსები, თუმცა სპეციალური ნაშრომი, რომელიც მთლიანად ასახავდა საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის ათასწლოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის ურთიერთობებს, არ არსებობს. სწორედ ამ სიცარიელის შევსებას ისახავს მიზნად ნოდარ ლომოურის მონოგრაფია „საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა", რომლის პირველი ნაწილი ავტორმა IV-IX საუკუნეებს მიუძღვნა.

ნოდარ ლომოურის ნაშრომის აგებულება შემდეგია: შესავალი, რვა თავი, ინგლისური რეზიუმე და საძიებელი. ბოლოში დართული აქვს ნ. ლომოურის ნაბეჭდი შრომების სია, ხოლო წინასიტყვაობის ავტორია ბიზანტინო-

ლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვალერი ასათიანი.

შესავალში ავტორი საუბრობს სათაურში დასმული პრობლემის აქტუალობასა და პერიოდიზაციის საკითხებზე (გვ. 13-15). ბიზანტიის ისტორიის ტრადიციული პერიოდიზაციისგან განსხვავებით, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის განხილვისას ნ. ლომიური უპირატესობას ანიჭებს საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ტეხილს, IX საუკუნეს, როდესაც იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, რომელიც, მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, *„არსებითად X ს-ში დაგვირგვინდა"* (გვ. 15). ამგვარად, საქართველოს, და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის ამსახველი პირველი ნაწილი სწორედ IX საუკუნის დასაწყისამდელ ეპოქას მიეძღვნა, როდესაც ძირითადად ორი ქართული ქვეყანა: ქართლი და ეგრისი, აქტიურად გამოდიოდნენ პოლიტიკურ სარბიელზე. ამრიგად, ავტორს საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა ამ უკანასკნელის ქართლთან და ეგრისთან ურთიერთობის ფონზე აქვს განხილული.

პირველ თავი – „წყაროები და ისტორიოგრაფია" – არის მონაკვეთი, რომელშიც განხილულია ის მრავალრიცხოვანი წყაროები და სპეციალური ლიტერატურა, რომელიც არსებობს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად (გვ. 16-76). ნ. ლომოური დასაწყისში განიხილავს მთელ რიგ ბიზანტიელ ავტორებს, რომელთა მონაცემები მნიშვნელოვანია ნაშრომის სათაურში დასმული საკითხის განსახილველად. ბიზანტიური ისტორიული წყაროების დიდი ნაწილი შეკრებილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ რედაქტირებულ „გეორგიკაში" (გვ. 16-37). ქართული წყაროების მიმოხილვას შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა, რაც მათი სიმწირით აიხსნება (გვ. 37-43). ამის შემდეგ ავტორი მიმოიხილავს თემის ირგვლივ არსებულ სომხურ და არაბულ წყაროებს (გვ. 43-49). აღწერილია ეპიგრაფიკული მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები, ასევე დასახელებულია ის ხელოვნებათმცოდნეები თუ არქეოლოგები, რომლებიც მათ შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს (გვ. 50-51). ბოლოსკენ ნ. ლომოური განსაკუთრებით გამოყოფს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ინიციატივითა და ძალისხმევით გამოცემულ ნაშრომს: „ბიზანტია ქართულ წყაროებში" (თბ. 2010), რომლის ერთ-ერთი თანაავტორი და თანარედაქტორი თავად ნოდარ ლომოურია (გვ. 52-53).[1]

[1] აღნიშნული წიგნის რეცენზია იხილეთ თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების პირველ ტომში: თ. დუნდუა. რეცენზია ნაშრომზე

პირველი თავის მეორე ნაწილი ეთმობა ისტორიოგრაფიის მიმოხილვას (გვ. 51-76). თავდაპირველად ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ რუს ბიზანტინოლოგებზე, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების შესწავლაში. ესენი არიან თ. უსპენსკი, რ. შუკუროვი, ს. კარპოვი (გვ. 54-55). მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული მკვლევრები თითქმის არ ეხებიან IV-IX საუკუნეების საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობას (მათი კვლევა ამ კუთხით უფრო გვიანდელი პერიოდის ამსახველია), ავტორმა საჭიროდ ჩათვალა მათი ღვაწლი პირველ ნაწილშივე აღენიშნა. განსაკუთრებით გამოყოფილია ქართველი მკვლევარის, ს. ყაუხჩიშვილის, დამსახურება. ამის შემდეგ დასახიათებულია ისეთი უცხოელი თუ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ავტორები, როგორებიც არიან: კ. სალია, დ. მ. ლენგი, ვ. ჯობაძე, ვ. ზაიბტი, დ. ბრაუნდი, პ. სპეკი, კ. ცუკერმანი და სხვები (გვ. 59-63). შემდეგ გვერდებზე ნ. ლომოური შედარებით ვრცლად მიმოიხილავს ეროვნული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს, მათ შორის როგორც ისტორიკოსებს, ასევე ფილოლოგებს, არქეოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს და სხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის კვლევაში (გვ. 64-75). ბოლოს ნ. ლომოური ხაზს უსვამს ბიზანტიის საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს კომიტეტის მუშაობას, რომლის პრეზიდენტიც თავად მონოგრაფიის ავტორია (გვ. 75-76).

ზემოხსენებულ უცხოელ ავტორებს, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების კვლევაში და ამ პრობლემატიკის საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისთვის გაცნობაში, ჩვენი მხრივ, დავუმატებდით კირილ თუმანოვსა და სტივენ რაპს.[2] ამ უკანასკნელმა ბოლო ხანებში გამოსცა ორი ნაშრომი, რომლებიც პირდაპირ ეხება საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობას, თუმცა, ვინაიდან ეს ნაშრომები 2012 წელს გამოი-

– ბიზანტია ქართულ წყაროებში. რედაქტორები: ნ. მახარაძე, ნ. ლომოური. თბ. 2010. თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტომი I. თბ. 2011, გვ. 358-363.

[2] C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963; C. Toumanoff. Armenia and Georgia. Cambridge Medieval History. vol. IV/1-2. Part I: Byzantium and its neighbours, ed. by J.M. Hussey. Cambridge University Press, 1966-1967; S. H. Rapp Jr. Imagining History at the crossroads: Persia, Byzantium, and the architects of written Georgian past. A dissertation submitted in partial fulfillment of the degree of Doctor of Philosophy (History) In University of Michigan. 1997.

ცა, წიგნის ავტორი მათ ვერ გაითვალისწინებდა.[3] ამავე საკითხის ეკონომიკური მხარე განხილულია ფრანგი ნუმიზმატის ჟ. დეპეროს პუბლიკაციებში (ქართველ თანაავტორებთან ერთად).[4]

მეორე თავი – „ქართლისა და ბიზანტიის ურთიერთობა IV-V საუკუნეებში" – ეხება იმპერიის ურთიერთობას ქართლის სამეფოსთან (გვ. 77-116). დასაწყისში დახასიათებულია რომში არსებული პოლიტიკური ვითარება, სადაც III საუკუნისთვის მნიშვნელოვანი კრიზისია, რაც გარკვეულწილად დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დროს გამოსწორდა (გვ. 77-82). ქართლის ბიზანტიასთან დამოკიდებულების შესახებ თხრობას ავტორი III საუკუნეში ნაქშ-ი რუსტამში გაკეთებული წარწერის ანალიზიდან იწყებს. ნ. ლომოურის მიხედვით, 252/3 წლის შემდეგ ქართლი ირანის ვასალი ხდება (გვ. 83-85). აღნიშნული სიტუაციის კარდინალურად შეცვლის და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის გარდამტეხ მომენტად ავტორი ქრისტიანობის გავრცელებას ასახელებს. ქართლის მოქცევის შესახებ არსებული წყაროების მიმოხილვის შემდეგ ნ. ლომოური წერს, რომ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მირიანი უნდა ვცნოთ და არა ბაკური (გვ. 86-89). იქვე ავტორი განმარტავს: *„ლეონტი მროველის ეს შეხედულება (მირიანის სასანიდური წარმოშობის შესახებ – ლ.თ.) უკანასკნელ ხანს არ იქნა გაზიარებული და, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს **მირიანის ფარნავაზიანთა ქართული დინასტიისადმი კუთვნილება** (ხაზი ავტორისაა – ლ.თ.)"* (გვ. 89). ამასთან დაკავშირებით დავძენთ, რომ ისტორიოგრაფიაში კვლავ განიხილება მირიანის სასანიდური წარმომავლობა.[5] მართალია, ეს მოსაზრებები არ არის ბოლომდე გამყარებული სხვა, არაქართული ნარატივით, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მათ გადაჭრით უარყოფას დამატებითი არგუმენტები ესაჭიროება.

[3] S. H. Rapp Jr. Caucasia and The First Byzantine Commonwealth: Christianization in The Context of Regional Coherence. NCEEER Working Paper. University of Washington. Jan. 19, 2012. www.nceeer.org; S. H. Rapp Jr. Caucasia and The Second Byzantine Commonwealth: Byzantinization in The Context of Regional Coherence. NCEEER Working Paper. University of Washington. Jan. 19, 2012. www.nceeer.org.

[4] I. Tsukhishvili, G. Depeyrot. History and Coin Finds in Georgia. Late Roman and Byzantine Hoards (4th – 13th cc.). Moneta Wetteren. 2003; M. Tsotselia, G. Depeyrot. Coin finds in Georgia (6th century BC – 15th century AD). Wetteren, collection Moneta, 112. 2010.

[5] მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება" და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბ. 2001, გვ. 144-149; M. Sanadze. MIrian – the First Christian King of Kartli (Eastern Georgian Kingdom) and Issue of His descent. Caucasian Journal of Social Studies. Vol. 3 (1). Tbilisi. 2010, გვ. 202-208.

ქართლის და ბიზანტიის ურთიერთობის მნიშვნელობიდან გამომდინარე ავტორი ეხება ქრისტიანობის ოფიციალურად დამკვიდრების თარიღის პრობლემასაც, რასაც საკმაო დამაჯერებლობით 325-330 წლებს შორის ათარიღებს (გვ. 86-93).

შემდეგ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქრისტიანობის დამკვიდრების ფორმებსა და საშუალებებზე, რომლებსაც ბიზანტიის ხელისუფლება იყენებდა ახალი რელიგიის გასავრცელებლად. ნ. ლომოურის ნაშრომის ეს მონაკვეთი კარგად აჩვენებს, რომ ქრისტიანობის გავრცელება ქართლში ყოველთვის მშვიდობიანად არ მომხდარა და ეს მოვლენები გარკვეულწილად ქვეყანაში ანტიირანული ძალების გამარჯვების მაუწყებელი იყო, რომლის უკანაც რომის იმპერატორი კონსტანტინე I დიდი (306-337 წწ.) იდგა (გვ. 94-100).

მომდევნო ფურცლებზე შედარებით მოკლედაა განხილული ქართლის სამეფოს ვითარება მირიანიდან ვახტანგ I გორგასლამდე. აქ ავტორის ყურადღება მიიქცია იმ საგარეო პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტია (რომი)-ირანს შორის მიმდინარე ბრძოლების დროს (გვ. 100-105). აღნიშნულს მცირე ადგილი ეთმობა, საინტერესო იქნებოდა ამ საკითხის ირგვლივ გაკეთებული ბ. ხურცილავას თვალსაზრისის ნ. ლომოურისეული ანალიზი. ბ. ხურცილავა თავის ნაშრომებში აღნიშნული ეპოქის საქართველოს ისტორიას საკმაოდ ვრცლად განიხილავს, რომელშიც არაერთი ორიგინალური დასკვნაა მოცემული, განსაკუთრებით ბაკურ იბერიელის შესახებ, რომელიც ქართული ასომთავრული ანბანის ფუძემდებლადაა გამოცხადებული.[6] მომდევნო მონაკვეთში დახასიათებულია ვახტანგ I გორგასლის ეპოქის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა, რომელიც, ძირითადად, საეკლესიო ურთიერთობის ჭრილშია განხილული. მიუხედავად ავტორის უნდობლობისა ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულების მიმართ, ვახტანგის დროს მომხდარი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება ნ. ლომოურს რეალურად ეჩვენება და ამ მოვლენას ანტიოქიის პატრიარქის პეტრე ფულოს პერიოდს მიაწერს (გვ. 105-113). ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ოთხჯერ გახდა პატრიარქი (469/70, 475, 478, 485 წწ.).[7] ამათგან პირველი

[6] ბ. ხურცილავა. ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის. თბ. 2002; ბ. ხურცილავა. დიდი ბაკური: ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი. თბ. 2003; ბ. ხურცილავა. ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისათვის (სტატიების კრებული). თბ. 2006.

[7] Православная Энциклопедия. Том II. Под общей редакцией Патриарха Московского и всея Руси Алексия II. М. 2001, გვ. 528.

აღსაყდრება მოხდა 469/70 წელს, იმპერატორ ლეონ I-ის დროს (457-474 წ.). ჯუანშერის მიხედვით, სწორედ ეს უკანასკნელი იყო ბიზანტიის იმპერატორი, როდესაც ვახტანგი მმართველობდა ქართლში. ამას გარდა, დასახელებულია იმპერატორი ზენონი (474-475, 476-491 წწ.).[8] ლ. ჯანაშია აღნიშნავს, რომ „შუშანიკის წამებაში" ჯერ კიდევ ეპისკოპოსთა თავია ნახსენები, ხოლო დვინის საეკლესიო კრების დროს (506 წელი) – ქართლის კათალიკოსი. აქედან გამომდინარე მკვლევარი ფიქრობს, რომ კათალიკოსობა V საუკუნის 70-იან წლებში დაწესდა ვახტანგ გორგასლის სპარსეთიდან დაბრუნების ახლო ხანებში.[9] მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შუშანიკის წამება 475/6-782 წლებში უნდა იყოს დაწერილი,[10] ვერ გამოვრიცხავთ ვერც V საუკუნის 80-იან წლებს, რომელზეც მოდის პეტრე ფულოს (469/70-471, 475-476, 478-479, 485-489 წწ.) პატრიარქობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი.[11] ამავე პერიოდში პეტრე ფულოს შემრიგებლური პოზიცია უკავია ქალკედონური მრწამსის მიმართ და აღიარებს იმპერატორი ზენონის მიერ დადგენილ ჰენოტიკონს.[12]

ამის შემდეგ ავტორი ამახვილებს ყურადღებას პოლიტიკურ ურთიერთობებზე და წერს, რომ *„მთელი V საუკუნის მანძილზე ბიზანტიასა და ქართლს შორის არავითარი რეალური პოლიტიკური ურთიერთობა არ არსებობდა. მაგრამ, აი, 70-80-იან წლებში თითქოს ეს ურთიერთობა ისახება"* (გვ. 114). ვფიქრობ, რომ აღნიშნული დასკვნა ჯუანშერ ჯუანშერიანის საისტორიო თხზულების კრიტიკული შეფასების შედეგია. ჯუანშერს თითქმის არ ეხმიანება ჩვენ ხელთ არსებული ბიზანტიური წყაროები, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს არ არის საკმარისი მიზეზი საიმისოდ, რომ ქართლის ბიზანტიასთან ურთიერთობა დავაკნინოთ. ჯუანშერის პასაჟი, *„სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებთ"*,[13] ერთგვარი ლაიტმოტივია ვახტანგ I-ის საგარეო პოლიტიკისა,

[8] ჯუანშერ ჯუანშერიანი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 170, 219.
[9] (ლ.)-ნ. ჯანაშია. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ. 1986, გვ. 46.
[10] იაკობ ცურტაველი. მარტვილობაჲ შუშანიკისი. რედ. ი. აბულაძე. თბ. 1978, გვ. 32, 72; კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. თბ. 1980, გვ. 117-118; ნ. ჯანაშია. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, გვ. 48.
[11] Православная Энциклопедия. Том II, გვ. 528.
[12] The Chronicle of Theophanes Confessor: The Byzantine and Near Eastern History AD 284-813. Trans. with introd. and comm. by C. Mango and R. Scott. Clarendon Press: Oxford 1997, გვ. 202, 206.
[13] ჯუანშერ ჯუანშერიანი, გვ. 220.

რომელიც დამოუკიდებლობისათვის ისწრაფვის და ამ კუთხით ბიზანტიასთან ურთიერთობა როგორც მისთვის, ასევე თავისი უშუალო წინამორბედებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. თუმცა ის მოსაზრება, რომ ბიზანტია გამწვავებული საშინაო ვითარების გამო მეტწილად თავს არიდებდა ქართლისა და ირანის ურთიერთობაში ჩარევას (გვ. 114-116) გარკვეულწილად მისაღებია.

მესამე თავი – „დასავლეთ საქართველო და ბიზანტია IV-V საუკუნეებში" – შეეხება ეგრისის (ლაზიკა) სამეფოს და მისი მეზობელი ქვეყნების ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის საკითხებს (გვ. 117-158). დასაწყისში მიმოხილულია კოლხეთში არსებული ზოგადი ვითარება ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, ყურადღება გამახვილებულია ფლავიუს არიანეს ცნობაზე (გვ. 117-119). ამის შემდეგ თხრობა გრძელდება IV საუკუნეში არსებული ვითარების განხილვით. ავტორის შენიშვნით IV საუკუნის მეორე ნახევარში სასანური ირანის მიერ ქართლის, ალბანეთისა და სომხეთის დამორჩილება გახდა ხელშემწყობი ფაქტორი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა ლაზიკის სამეფოს ეგიდის ქვეშ, რასაც ხელი რომის იმპერიამაც შეუწყო (გვ. 119-120). დაახლოებით იმავე ეპოქას უკავშირებს ნ. ლომოური ძიდრიტების მხარის შეერთებას ლაზიკის სამეფოს მიერ, ხოლო მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო რომის იმპერიის შემადგენლობაში ჩანს (გვ. 120-121). თუმცა, როგორც ახლად გამოვლენილი ეპიგრაფიკული მასალის შესწავლით ირკვევა, ლაზიკის სამეფო აბაზგების, აფსილებისა და საგინების ტერიტორიას II საუკუნის შუა ხანებიდან აკონტროლებდა მეფე ბაკურის (პაკურ/პაკორი) მმართველობის დროს.[14]

IV-V საუკუნეების მიჯნას უკავშირდება კოლხეთის სანაპირო ზოლიდან რომაული გარნიზონების გაქრობა. ავტორის შენიშვნით, *„ამ პერიოდში ლაზიკის დამოკიდებულება ბიზანტიაზე საკმაოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა"* (გვ. 121). *„ფორმალური დამოკიდებულება"* ყოველი ახალი ლაზი მეფის დამტკიცებაში გამოიხატებოდა, რომელსაც ტახტზე რომის იმპერატორი ამტკიცებდა. ამის შემდეგ ვრცლად არის აღწერილი ლაზიკის მეფე გუბაზის მცდელობა თავიდან აეცილებინა ბიზანტიის გავლენა, რაც V საუკუნის 50-60-იანი წლების ამბებს ეხება (გვ. 122-124). ნ. ლომოურის აღნიშვნით, კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სრულიად სამართლიანად, ლაზიკის

[14] თ. დუნდუა, აკ. ჩიქობავა. დასავლეთ საქართველოს ჰეგემონი ლაზთა მეფე პაკორი//Pacorus, the Lazi King, Who Was Overlord of Colchis/Western Georgia. თბ. 2013, გვ. 3-8.

მეფე გუბაზის მიერ თავისი შვილის თანამოსაყდრედ ან თანამმართველად კურთხევა იყო (გვ. 124-125). ავტორი შენიშნავს, რომ რომის იმპერატორი სამეფო ნიშნებს უგზავნიდა და ამტკიცებდა ლაზიკის მეფეებს, რაც ფლავიუს არიანესთან არის დამოწმებული. II საუკუნიდან ეგრისის ხელისუფალნი იმპერატორის მიერ იყენენ მეფედ დაყენებული (გვ. 125). ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ ამ პრაქტიკას უფრო ადრეც უნდა ჰქონოდა ადგილი (ამას არც ნ. ლომოურის თხრობა ეწინააღმდეგება), მაგალითისთვის ჰენიოხებისა და მახელონების მეფე ანქიალეს მწყალობელ იმპერატორად დომინიციანე (81-96 წწ.) მიგვაჩნია.[15] სავარაუდოდ, აღნიშნულ პროცესს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა „სამეფოს" დამკვიდრებისთანავე უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. აქვე, საინტერესოა დ. ლეთოდიანის მოსაზრების გამოყოფაც, რომელიც აღნიშნული კონფლიქტის მიზეზად ბიზანტიის მიერ ლაზიკის ტერიტორიის შევიწროებას ასახელებს.[16]

ამის შემდეგ თხრობა გრძელდება ლაზიკისა და ბიზანტიის დაპირისპირების შედეგების აღწერით, რასაც ავტორის აღნიშვნით ლაზიკის სამეფოს დასუსტება და სვანეთის დაკარგვა მოჰყვა შედეგად (გვ. 125-130). მომდევნო მონაკვეთში ავტორს განხილული აქვს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებები პრისკე პანიონელისა და ჯუანშერ ჯუანშერიანის ცნობების ურთიერთმიმართების შესახებ, მისი დასკვნით, ასეთი მსჯელობის საფუძველს არ იძლევა, უპირველეს ყოვლისა, პრისკე პანიონელის ტექსტი, ხოლო ჯუანშერის ინფორმაციის მასთან დაკავშირების მცდელობა კი ქართული წყაროს *„რეაბილიტაციის სურვილით უნდა აიხსნას"* (გვ. 131-133). ვფიქრობ, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანის ცნობების მიმართ არსებული უნდობლობა არ არის გამართლებული, ხოლო ვახტანგ I გორგასლის აქტიურობა ბიზანტიის, ირანის, სომხეთის, ეგრისისა და სხვა მეზობელი ქვეყნებისა თუ ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაში სომხური წყაროებითაც არის დადასტურებული, რაც, ძირითადად, მოკლე ქრონოლოგიურ პერიოდს – 482-485 წლებს – ეხება, მაგრამ ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ვახტანგისდროინდელი ქართლის სამეფოს აქტიურობა, რომელიც ჯუანშერთან ვრცლად არის

[15] თ. დუნდუა, ლ. თავაძე. *Limes Ponticus* – რამდენიმე საკითხი პონტოს საზღვრის შესახებ I-III სს. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტომი III. თბ. 2011, გვ. 46-47.

[16] დ. ლეთოდიანი. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სამხრეთი საზღვრის საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (V-VI სს-ში). ქართული დიპლომატია (წელიწდეული). ტომი 4. თბ. 1997, გვ. 59-68.

გადმოცემული, თუმცა გაზვიადებულად, სანდოდ მივიჩნიოთ.[17]

მესამე თავის ძირითადი ნაწილი ბიზანტიისა და დასავლეთ საქართველოს კულტურულ, რელიგიურ და სოციალურ ურთიერთობებს ეხება (გვ. 134-158). თავდაპირველად დახასიათებულია ფაზისის რიტორიკული სკოლა და მისი მნიშვნელობა ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობებში (გვ. 134-137). შემდეგ ავტორი წერს ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად დამკვიდრებაზე ლაზეთში, რომელსაც ათარიღებს არა V-VI საუკუნეებით, არამედ IV საუკუნით, რაც ნ. ლომოურის ძველ შრომებში დაწვრილებით არის ასახული (გვ. 137-139).

შემდეგ ყურადღება ეთმობა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა დიდი ნაწილი აფხაზი მკვლევრების ნაშრომების კრიტიკაა. დახასიათებულია ქალაქი პიტიუნტი და იქ არსებული ბერძნული ეპარქიის ისტორიაც (გვ. 139-146). მომდევნო გვერდებზე ავტორი უბრუნდება დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების პრობლემას და ლაზეთში არსებული ბერძნული ეპარქიების საკითხებს. მრავალმხრივი ინფორმაციის შემაჯამებელი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ საქართველოს ოფიციალური გაქრისტიანება IV საუკუნეში მოხდა, რის შემდეგაც ქრისტიანობა ნელ-ნელა ვრცელდებოდა მაღალმთიანი რეგიონების მიმართულებითაც (გვ. 146-155), რაც სრულიად მისაღებია. ამის შემდეგ ნ. ლომოური აკრიტიკებს ბ. დიასამიძის მოსაზრებებს, ამ უკანასკნელის მიხედვით, ქრისტიანობის დამკვიდრებისთანავე სალიტურგიო ენა დასავლეთ საქართველოში ქართული ყოფილა. როგორც ავტორი აღნიშნავს, მსგავსი მოსაზრებები არ არის შემაგრებული სერიოზული და არგუმენტირებული

[17] აღნიშნულთან დაკავშირებით გამოვყოფდით შემდეგი ავტორების შრომებს: ლ.-(ნ.) ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1962; ვ. გოილაძე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბ. 1990; ვ. გოილაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბ. 1991; ვ. გოილაძე. ჰუნ-თურქები კავკასიაში. თბ. 2008; დ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა: იბერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1966; დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2008; ბ. ხურცილავა. ჯუანშერისეული „ქალაქი კონსტანტინეს" იდენტიფიკაციის საკითხისათვის. ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისათვის (სტატიების კრებული). პირველი შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა 2002 წელს. თბ. 2006, გვ. 107-115; ნ. ნიკოლოზიშვილი. ანძიაძორის ლოკალიზაცია და მისი მნიშვნელობა ქართლის სამეფოს ისტორიისთვის. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. ტომი IX. თბ. 2008, გვ. 87-102.

მსჯელობით (გვ. 155-158).

მეოთხე თავი — „ქართლისა და ბიზანტიის ურთიერთობა VI საუკუნეში" — ეხება ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობას აღმოსავლეთ საქართველოსთან (გვ. 159-182). დასაწყისში მიმოხილულია ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ვითარება, ურთიერთობა ირანთან, შემდეგ კი იმპერატორ იუსტინე I-ის (518-527 წწ.) დროს დაწყებული ქართლი-ირანის კონფლიქტი, რომელიც ქართლიდან მეფე გურგენის გაქცევით და იბერიაში მეფობის გაუქმებით დასრულდა (გვ. 159-163). ავტორის თქმით, *„სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ეს ამბები მოხდა 523 წელს"* (გვ. 163). თუმცა უკანასკნელ ხანებში აღნიშნული მოვლენა და ბიზანტია-ირანის კონფლიქტი შედარებით უფრო გვიანი ხანით არის დათარიღებული, კერძოდ, 526-527 წლებით.[18] ამის შემდეგ საუბარია ბიზანტიასა და ირანს შორის მიმდინარე ბრძოლებზე და ე.წ. „საუკუნო ზავის" (532 წელი) შედეგებზე (გვ. 164-166). მომდევნო ფურცლებზე ნ. ლომოური ეხება ბიზანტიური წყაროების მიხედვით იბერიაში ძამანარძეს (ზამნაზის) მეფობას, ასევე VI საუკუნის შუა წლების ვითარებას და ასკვნის, რომ ქართული წყაროების ცნობები არ არის სანდო, ხოლო ბიზანტიურ წყაროებში დაცული ცნობები იბერიის მეფე ძამანარძეს ანუ ზამნაზეს შესახებ უნდა ეხებოდეს არა ქართლის, არამედ კელტიბერების სამეფოს პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით (გვ. 172). თუმცა ასეთი სამეფოს არსებობის დადასტურება ვერ მოვიძიეთ სპეციალურ ლიტერატურაში. VI საუკუნეში იყო ე.წ. კანტაბრიელთა გაერთიანება, რომელიც მდებარეობდა ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით და იმავე საუკუნეში დაიპყრო ვიზიგოთების სამეფომ.[19] რაც შეეხება პირინეის სამხრეთ ნაწილს, რომლის დაკავებაც ნაწილობრივ მოახერხა ბიზანტიამ, ის დაკავშირებული იყო ვიზიგოთების სამეფოში დაწყებულ სამოქალაქო ომთან, რომელშიც ერთმანეთს მეფე აგილა (549-555 წწ.) და მომავალი მეფე ათანაგილდი (555-567 წწ.) ებრძოდნენ[20] და არა კელტიბე-

[18] The Roman Eastern Frontier and the Persian Wars: Part II AD 363-630. A narrative sourcebook. Edited and complied by Geoffrey Greatrex and Samuel N. C. Lieu. Routledge: London, New York. 2002, გვ. 82-83

[19] A. Barbero and M. I. Loring. The Formation of the Sueve and Visigothic Kingdoms in Spain. New Cambridge Medieval History. Vol. I (c. 500 – c. 700). Ed. by P. Fouracre. Cambridge University Press. 2008, გვ. 169, 185-186.

[20] E. A. Thompson. The Goths in Spain. Clarendon Press: Oxford. 1969, გვ. 323-329; A. Barbero and M. I. Loring. The Formation of the Sueve and Visigothic Kingdoms in Spain, გვ. 182-183.

რების გააქტიურებასთან, როგორც ამას ნ. ლომოური წერს (გვ. 172). კელტიბერებს საერთოდ არანაირი კავშირი არა აქვთ ბიზანტიის მიერ იბერიის სამხრეთი ნაწილის ოკუპაციასთან, იმპერიის მიერ დაკავებული ტერიტორია მიიტაცა სწორედ ვიზიგოთების სამეფომ.[21] ამასთან, სახელი ძამანარძე ან ძამნაძე (ზამნასე) სპარსულ სახელებთან (ძამასპი, ნარსე და ა.შ.) ავლენს მსგავსებას და არა კელტიბერიულთან, ლათინურთან და გერმანიკულთან, რომელიც გავრცელებული იყო პირინეის ნახევარკუნძულზე VI საუკუნეში.

შემდეგ ფურცლებზე ნ. ლომოური განიხილავს ქართლში ხელისუფლების აღდგენის მოვლენას და მასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს (გვ. 173-176). მკვლევარი გურგენის გაერისმთავრებას კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაზე დაყრდნობით 552 წლით ათარიღებს, ხოლო 571-572 წლებში გურგენმა კურაპალატის ტიტული მიიღო, როგორც ირანის წინააღმდეგ აჯანყების მოთავემ (გვ. 177-178). ნ. ლომოურის ეს ორივე მოსაზრება, ვფიქრობ, არ უნდა იყოს მართებული. ერისმთავრობის დაწესება, ქართული წყაროების პირდაპირი მითითებით, სწორედ ირანის წინააღმდეგ აჯანყების დროს დაწესდა და არა მანამდე.[22] ქართული წყაროები ამ შემთხვევაში უფრო მყარ პოლიტიკურ საფუძველს უძებნიან ერისმთავრობის დაწესების მოვლენას, ვიდრე ბიზანტიური წყაროების ბუნდოვანი ცნობები. ამასთან, ერისმთავრობის დადგენაზე ცნობები ექსკლუზიურად სწორედ ქართულ ნარატივშია ასახული, რაც შეეხება კონსტანტინე პორფიროგენეტის თარიღს – 552 წელს – აქ, გურგენის (ქართული წყაროების გუარამი) კლარჯეთის ერისთავად შედგომა შეიძლება ვიგულისხმოთ, რაც ერთგვარი წინაპირობა გახდა მისი ერისმთავრად ანუ ერისთავთა შორის უპირველესად გამორჩევისთვის.[23] ამდენად, ნ. ლომოურის მიერ შემოთავაზებული თარიღი ყურადსაღებია, მაგრამ არა ერისმთავრობის დაწესების თვალსაზრისით. რაც შეეხება კურაპალატობის მიღებას, ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება, რომ გურგენ/გუარამმა აღნიშნული ტიტული 576 წლის (ან 575 წლის) ახლო

[21] E. A. Thompson. The Goths in Spain. Clarendon Press: Oxford. 1969, გვ. 327; A. Barbero and M. I. Loring. The Formation of the Sueve and Visigothic Kingdoms in Spain, გვ. 182-183.

[22] ჯუანშერ ჯუანშერიანი, გვ. 226; სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 360-361.

[23] ჯუანშერის მიხედვით ქართლში გუარამის მეფედ კურთხევამდე იგი კლარჯეთში მთავრობდა, იხ.: ჯუანშერ ჯუანშერიანი, გვ. 226.

ხანებში მიიღო. ხოლო 574 წლამდე კი იგი კურაპალატობას ვერ მიიღებდა, ვინაიდან ამ დროისთვის ეს ბიზანტიური პატივი იმპერატორის ტახტის მემკვიდრის ოფიციალური ტიტული იყო, რაც გამორიცხავს კურაპალატობის ფლობას სხვა პირის მიერ.[24] ამის შემდეგ მოკლედ არის მიმოხილული გურგენისა და მისი მემკვიდრის, სტეფანოზ I-ის, დამოკიდებულება ბიზანტიასთან და სწრაფვა ირანისგან თავის დაღწევისა (გვ. 179-182). აქვე ერთი მცირე დაკვირვების შესახებაც: ნ. ლომოური წერს, სტეფანოზ I-ის მიერ მოჭრილი მონეტების შესახებ, რომლებიც სპარსეთის შაჰ ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) მეფობის მეშვიდე წელს (585/6 წელი) მოიჭრა (გვ. 180), რაც უფრო გურგენს შეეხება და არა სტეფანოზს.[25]

მეხუთე თავი – „ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიასთან VI საუკუნეში" – შეიცავს ინფორმაციას დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობაზე (გვ. 183-205). აღნიშნულ თავს ნ. ლომოური წათე I-ის (VI ს. I ნახ.) ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლით და ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებით იწყებს, რის საფუძველზეც წათემ გავლენიანი რომაელი დიდებულის ასული შეირთო ცოლად და ქრისტიანობა მიიღო (გვ. 183-184). ამის შემდეგ ნ. ლომოური განიხილავს ლაზიკაში სპარსეთის გაბატონების მიზეზებს და ასკვნის, რომ ეგრისის მცდელობას, თავი დაეღწია რომაელთა (ბიზანტიელთა) ქვეშევდომობისგან, იმპერატორ ზენონის (474-475, 476-491 წწ.) დროს უნდა ჰქონოდა ადგილი, ხოლო კონკრეტულ თარიღად 502-506 წლების ირან-ბიზანტიის ომს ასახელებს, როდესაც ლაზიკა ნებაყოფლობით ირანის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა (გვ. 185-186). წათეს მიერ პოლიტიკური ორიენტაციის ხელახალ ცვლილებას ავტორი ირანელთა გაძლიერებული ექსპანსიით ხსნის (გვ. 187-189). ამის შემდეგ ნ. ლომოური აღწერს ბიზანტია-ირანის დაპირისპირებას, რომელშიც ლაზიკაც იქნა ჩათრეული. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მეფე გუბაზ II-ის პოლიტიკაზე, რომელიც ხშირად იცვლის პოლიტიკურ მრწამსს, იგი ხან ბიზანტიის და ხანაც ირანის მხარეზე გამოდის (გვ. 190-201).

მომდევნო გვერდებზე ყურადღება გამახვილებულია „დიდი ომიანობის"

[24] ლ. თავაძე. კურაპალარტის ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლში (ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ვითარება IX-X საუკუნეებში). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება: კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა. თბ. 2012, გვ. 65-68.
[25] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006, გვ. 139-141, 143-145.

დასკვნით ეტაპზე, ასევე აბაზგიის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელიც ბიზანტიის დახმარებით სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას იხვეჭს ლაზიკისგან (გვ. 201-205).

მეექვსე თავი – „ქართული სახელმწიფოები და ბიზანტია VII საუკუნის პირველ ნახევარში" – წამოადგენს ბიზანტიის ურთიერთობის აღწერას ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან არაბების გამოჩენამდე (გვ. 206-227). დასაწყისში აღწერილია ის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ბიზანტიაში VII საუკუნის დასაწყისშივე ირანის ექსპანსიის შედეგად (გვ. 206-208). ამას მოსდევს ქართული ეკლესიის მდგომარეობის დახასიათება და იმის ხაზგასმა, რომ, მიუხედავად ირანის მბრძანებლობისა, ეკლესია VII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიისკენ მიისწრაფვის (გვ. 209-212).

შემდეგ ავტორი ეხება ჰერაკლე (ირაკლი) იმპერატორის ლაშქრობას სასანური ირანის წინააღმდეგ, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ლაზებისა და იბერების მხარდაჭერასაც ეკავა. 622/3 წლის სამხედრო კამპანიის დროს ჰერაკლემ სწორედ ლაზიკის ტერიტორია გამოიყენა ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ, რითიც გვერდი აუარა მცირე აზიაში დაბანაკებულ სპარსელებს. ასევე აღწერილია ჰერაკლეს სხვა სამხედრო კამპანიები საქართველოში, რასაც დიოფიზიტობის განმტკიცება და ზოროასტრიზმისა და მონოფიზიტობის დაკნინება მოჰყვა შედეგად (გვ. 213-225).

ამავე თავის ბოლო მონაკვეთში მოკლედ არის მიმოხილული დასავლეთ საქართველოს დამოკიდებულება ბიზანტიასთან (გვ. 225-227). ნ. ლომოურის აღნიშვნით, ლაზიკაში პატრიკიოსის ბიზანტიური ტიტულის მქონე მოხელე მმართველობდა (გვ. 226). თუმცა პატრიკიოსის ტიტული საკარისკაცო ღირსებას წარმოადგენდა და არა უმაღლესი საერო ხელისუფლის აღმნიშვნელ სახელწოდებას. რაც შეეხება პატრიკიოსობას, ის ბიზანტიაში ერთ-ერთი რიგითი ტიტული იყო სენატორულ წოდებათა იერარქიაში და თუ მას ლაზიკის მმართველები იღებდნენ, ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მათვე მოეღოთ ამ ტიტულზე უფრო მაღალი პატივი. ერთ-ერთ ყველაზე ადრეული, ე.წ. „უსპენსკის ტაკტიკონის" მიხედვით პატრიკიოსი სამხედრო თანამდებობის, სტრატეგოსის პარალელურად გაიცემოდა. თუმცა მასზე ზემოთ დასახელებულია ისეთი ტიტულები, როგორებიცაა: კეისარი (კესაროსი), ნოველისიმოსი, კურაპალატი, მაგისტროსი, რეკტორი და სხვა.[26] ამდენად, ეგრისის

26 N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. Paris. 1972, გვ. 46-51.

მმართველებს სხვა, ადგილობრივი წოდებაც უნდა ჰქონოდათ, რომელითაც მათი ოფიციალური მდგომარეობა აღნიშნებოდა ლაზიკაში. მაგრამ ხომ შესაძლოა დავუშვათ, რომ არსებობდა „ლაზიკის პატრიკიოსის" ტიტული მსგავსად, მაგალითად, ანატოლიკონის თემის „პატრიკიოსისა და სტრატეგოსისა"?! არსებობდა იბერიის ანუ ქართველთა კურაპალატის ტიტული, რომელიც ბიზანტიის ხელისუფლების თვალში ქართველთა სამეფოში უმაღლეს საერო პირს ეძლეოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ამ ტიტულის უმაღლეს იერარქიულ სტატუსს აღიარებდა ტაო-კლარჯეთის მმართველი კლასი.[27] არსებობდა კი „იბერიის კურაპალატის" ანალოგი „ლაზიკის პატრიკიოსის" სახით, ხოლო თუ არსებობდა, რა დატვირთვა ჰქონდა მას?! ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მომავალი კვლევის საგანია. ავტორს იმავე გვედრზე აღნიშნული აქვს, რომ VII საუკუნის 60-იან წლებში ერთი ლაზიკის პატრიკიოსი მეორემ შეცვალა, ხოლო ეს უკანასკნელი ორზგის ჩამოაშორეს თანამდებობასო (გვ. 226). თუმცა თეოდოსი განგრელის მიერ შემონახულ წერილში, რომელსაც ეყრდნობა ნ. ლომოური, ლაზიკის ეს მმართველები პატრიკიოსის ტიტულით არ არიან დასახელებულნი. [28] ეგრისის მმართველები ბერძნულ და ლათინურ ტექსტებში არხონებად და პრინცეპსებად იწოდებიან (ἄρχειν, princeps),[29] რაც მმართველს ან მთავარს შეესაბამება. ჰქონდათ თუ არა მათ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული, საისტორიო წყაროდან არ ჩანს. პატრიკიოსის და მაგისტროსის ტიტულებით მოხსენიებულია გრიგოლი, ლაზიკის ხელმწიფე, რომელიც ერთგან თითქოს აბაზგიის მმართველადაც ჩანს,[30] ხოლო პატრიკიოსად იხსენიება ლებარნუკი (ლებარნიკიოსი) – ლაზეთის კიდევ ერთი მფლობელის, სერგის, მამა.[31] ეგრისის ეს ორივე მმართველი იმ მთავ-

[27] ლ. თავაძე. კურაპალატის ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლში, გვ. 84-97 (სქ. 112), 96-97.
[28] თეოდოსი განგრელი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1941, გვ. 41-46.
[29] თეოდოსი განგრელი. გეორგიკა. IV ნაკვ. I, გვ. 41, 44-45.
[30] თეოდოსი განგრელი. გეორგიკა. IV ნაკვ. I, გვ. 47-48, 50.
[31] თეოფანე ჟამთააღმწერელთან დაფიქსირებული სერგი ბარნუკის-ძის და თეოდოსი განგრელის (სხვა მოსაზრებით, მისი „მოგონებები" უნდა ეკუთნოდეს თავის ძმას, თეოდორე სპუდეოსს) ინფორმაციის დაკავშირება ჯერ კიდევ ა. ბრილიანტოვმა სცადა, იხ.: А. Бриллиантов. О месте кончины и погребения св. Максима Исповедника. Христианский Восток. СПб. 1918; თეოდოსი განგრელი. გეორგიკა. IV ნაკვ. I, გვ. 49; The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 516. C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History, Georgetown

რების შემდეგ მფლობელობდნენ, რომლებზეც წერს ნ. ლომოური.[32]

მეშვიდე თავი – „არაბთა დამკვიდრება ამიერკავკასიაში და ბიზანტიასთან ურთიერთობის გართულება" – შეიცავს ინფორმაციას ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ არაბების ბატონობის პერიოდში (გვ. 228-264). აღნიშნულ თავში საუბარია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო არაბთა სახალიფოს გამოჩენასთან მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე. ეს მონაკვეთი არაბეთისა და ბიზანტიის ურთიერთობის განხილვით იწყება (გვ. 228-232). ამის შემდეგ საუბარია არაბების პირველ ლაშქრობებზე კავკასიაში VII საუკუნის 40-50-იან წლებში. ავტორმა კარგად უჩვენა ის, რომ არაბების გამოჩენის დროს ქართლის ხელისუფლებას 654 წლამდე, ანუ „დაცვის სიგელის" გაფორმებამდე, აქტიურად ეკავა პრობიზანტიური პოლიტიკური კურსი, ეს მაშინ, როდესაც სომხეთის მთავრების დიდი ნაწილი არაბების მხარეს იყვნენ გადასული (გვ. 233-234). შემდეგ საუბარია ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელზე" და არაბთა მიერ ქართლის დამორჩილებაზე, რომელიც ხანმოკლე და უმტკივნეულო აღმოჩნდა (გვ. 234-238). ამას მოსდევს არაბთა ხელმეორე ბატონობის შესახებ მსჯელობა და ბიზანტიასთან ურთიერთობის განხილვა. აქ ავტორი გვიჩვენებს, რომ ქართლის მოსახლეობა ბიზანტიის დახმარებით ცდილობს წინ აღუდგეს არაბებს (გვ. 238-240), თუმცა თითქმის ვერ ვხვდებით ცნობებს იუსტინიანე II-ის (685-695, 705-711 წწ.) აქტიურობის შესახებ კავკასიაში მიმდინარე ანტიარაბულ ბრძოლებში.[33] საბოლოოდ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, VII საუკუნის ბოლოს ქართლში არაბები გაბატონდნენ (გვ. 240).

University Press, 1963, გვ. 255-256, სქ. [355].

[32] თეოდოსი განგრელთან მოხსენიებულია ორი დაპირისპირებული მთავარი, რომელებიც ტახტისთვის იბრძვიან და უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ ბიზანტიელი პატიმრების მიმართ. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელებს მფარველობას უწევს სხვა მთავარი, პატრიკიოსი და მაგისტროსი გრიგოლი, რომელიც, ზემოხსენებული მთავრებისგან განსხვავებით, დადებითად არის დახასიათებული ბიზანტიელ ავტორთან. იხ.: თეოდოსი განგრელი. გეორგიკა. IV ნაკვ. I, გვ. 44-45, 50.

[33] იუსტინიანე II-ის პერიოდში მიმდინარე ბიზანტია-არაბეთის ბრძოლებში ქართლის საერისმთავროს გააქტიურება კარგად აქვს შესწავლილი ვ. გოილაძეს, იხ.: ვ. გოილაძე. ოფსიკიონის თემის სტრატეგოსის – ვარაზბაკურის ვინაობის საკითხისათვის. კრ. ბიზანტინოლოგია საქართველოში. თბ. 2007, გვ. 299-309; ვ. გოილაძე. ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში. თბ. 2008, 54-62. ასევე იხილეთ თეოფანე ჟამთააღმწერლის „ქრონოგრაფში": The Chronicle of Theophanes Confessor, გვ. 506-507.

ქართლის დაკარგვას ეგრისის დაკარგვაც მოჰყვა. ეგრისში ბიზანტიის გავლენის არაბებით ჩანაცვლება, ავტორის სწორი შენიშვნით, ადასტურებს ქართლში არაბების დამკვიდრებას (გვ. 240). ამის შემდეგ ვრცლად არის აღწერილი არაბებისა და ბიზანტიის დაპირისპირება საქართველოს რიგი ტერიტორიებისთვის, რომელშიც ხაზართა სახაკანოც ჩაერთო (გვ. 240-245). VII-VIII საუკუნეების განმავლობაში არაბების ჯარი კოდორის ხეობაშიც დგას და კლისურის სასაზღვრო ხაზს აკონტროლებს, რომლის ჩრდილოეთით ბიზანტიისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი აბაზგიის სამთავროა. ავტორის მოსაზრებით, ეგრისის დამორჩილების შემდეგ ეს ორი მხარე, ქართლი და ეგრისი, არაბებმა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გააერთიანეს (გვ. 245). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არაბთა ბატონობა ქართლში არ იყო მყარი.[34]

მომდევნო გვერდებზე საუბარია მურვან ყრუს ლაშქრობასა და არაბთა ბატონობის გაძლიერებაზე ქართლში, სადაც ბიზანტიის პოზიციები თანდათან სუსტდება (გვ. 244-251). ხოლო მე-7 თავის ბოლოს ბიზანტიასთან ურთიერთობის ფონზე განხილულია ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბება, რომელსაც ანტიბიზანტიური სახე ჰქონდა (გვ. 251-253). ასევე მოკლედაა აღნიშნული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც სათავეში ბიზანტიის მომხრე აშოტ I კურაპალატი ჩაუდგა, რითიც, ავტორის სიტყვით, *„ახალი ერა“* იწყება, ხოლო *„ბიზანტიას საქართველოსთან სრულიად ახალი პოლიტიკის განხორციელება სჭირდება“* (გვ. 254).

მერვე თავი – „საქართველო-ბიზანტიის კულტურული ურთიერთობები IV-IX საუკუნეებში“ – ორი ქვეყნის კულტურულ კავშირებს შეეხება. აქ თავდაპირველად მიმოხილულია ის ისტორიოგრაფიული ბაზა, რომლის გვერდის ავლით შეუძლებელია ვისაუბროთ საქართველო-ბიზანტიის კულტურულ ურთიერთობებზე (გვ. 255-259).

უშუალოდ კულტურულ ურთიერთობებზე საუბრისას ნ. ლომოური პირველ რიგში ეხება ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას, რომელიც თავიდანვე აღმოსავლეთ რომის იმპერიაში გავრცელებულ არქიტექტურასთან იყო დაკავშირებული. მოგვიანებით ეკლესიების მშენებლობის დამოუკიდებელი, ბიზანტიისგან განსხვავებული სტილი ჩამოყალიბდა (გვ. 259-265).

[34] Khalid Yahya. End of Jihâd State: Reign of Hisham Ibn Abd Al-Malik and Collapse of Umayyads. State University of New York Press. 1994, გვ. 106, 175.

ხუროთმოძღვრების განხილვას მოსდევს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ანალიზიც, რომელიც ვრცელია და საინტერესო (გვ. 265-275). ნოდარ ლომოური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართლის მეფის შვილის, ნაბარნუგის (მურვანოსი), მოღვაწეობას ბიზანტიაში და მას სხვა ქართული წარმოშობის მოღვაწეებთან ერთად *„კულტურულ-აზროვნებითი და მსოფლმხედველობითი პოზიციის თვალსაზრისით“* ბიზანტიელ მოღვაწეებად თვლის (გვ. 276). საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობას უკავშირებს „სირიელი მამების“ (ასურელი მამები) მოღვაწეობას ქართლში, რამაც ავტორის განცხადებით *„უდიდესი როლი შეასრულა ქართლში ქრისტიანული არა მარტო რელიგიის გავრცელება-დამკვიდრების, არამედ ქრისტიანული მსოფლმხედველობის გავრცელებისა და ამ ფილოსოფიური მრწამსის ჩამოყალიბების საქმეში“* (გვ. 276-277).

აღნიშნულ ნაშრომში მკვლევარს აღარ აქვს ყურადღება გამახვილებული გრიგოლ ხანცთელისა და მისი მოწაფეების დიდ კულტურულ მოღვაწეობაზე საქართველოში. ავტორს მიაჩნია, რომ VIII-IX საუკუნეები ეს იყო წინამორბედი პერიოდი საქართველო-ბიზანტიის კულტურული ურთიერთობის „ახალი ეტაპისა“, რაც, მისი სიტყვებით რომ დავასრულოთ, *„უნდა განხილულ იქნას ახალი, უკვე ერთიანი საქართველოს წარმოქმნის ფონზე“* (გვ. 278).

ამრიგად, ნოდარ ლომოურის ნაშრომში პირველად არის მოცემული საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ამსახველი მასალა, რომელიც ამ ურთიერთობის ექვს საუკუნოვან ისტორიას საოცრად ლაკონურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს. რაც მთავარია, ეს არის დღემდე არსებულ წიგნებს შორის პირველი მონოგრაფია, რომელშიც სქემატურად არის ასახული ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ურთიერთობა ბიზანტიასთან IV-IX საუკუნეებში. წიგნში თავმოყრილია ქართული ისტორიოგრაფიის ის მიღწევები, რომლებიც ქართულმა ბიზანტინოლოგიამ შექმნა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც დიდი ხანია სისტემატიზაციას და ერთად მოგროვებას საჭიროებდა. ვფიქრობ, რომ მონოგრაფიის მეორე ნაწილის გამოცემა დიდი საქმე იქნება ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის შესწავლის კუთხით და ერთიანი წიგნის ეს ორივე ნაწილი გახდება ერთგვარი სახელმძღვანელო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისთვის.

მიუხედავად იმ მრავალი დადებითი შტრიხისა, რომლებიც ნაშრომს გააჩნია, გვხვდება გარკვეული ლაფსუსებიც, რომელთა დიდი ნაწილი, ალბათ

უფრო ტექნიკური სახისაა, ასეთს განეკუთვნება ტერმინი სტრატოლატი (გვ. 182) სტრატელატის მაგიერ; მითებულია იმპერატორ ზენონის მმართველობის პირველი წლები 474-475 (გვ. 185) სრული თარიღის მაგიერ (474-5, 476-91 წწ.); გუბაზ II-ის მკვლელობის თარიღად მითითებულია 553 წელი (გვ. 291) – უნდა იყოს 554 (ან 555) წელი;[35] ხალიფა შიჰამის (გვ. 243) ნაცვლად უნდა იყოს ჰიშამი და სხვ. ამავე დროს არ იქნებოდა ურიგო, პოლიტიკური და ნაწილობრივ კულტურული ურთიერთობების განხილვის გარდა ავტორს ყურადღება დაეთმო საქართველო-ბიზანტიის ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობებისთვისაც. ამ უკანასკნელს, როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ეთმობა ქართული ისტორიოგრაფიის მხრიდან, თუმცა ნარატიული, ნუმიზმატიკური, ეპიგრაფიკული, გლიპტიკური თუ არქეოლოგიური მასალა კარგ საფუძველს იძლევა ისეთი პრობლემატიკის შესასწავლად, როგორიცაა სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები. კარგი იქნებოდა ნოდარ ლომოურის წიგნში გვეხილა ისეთი მკვლევრების შრომები, რომლებმაც დიდი ადგილი დაუთმეს IV-IX საუკუნეების ბიზანტიის ისტორიის შესწავლას, მათ შორის გამოვყოფდით შემდეგ მკვლევრებს: ვ. ტრედგოლდს,[36] კ. მანგოს,[37] ალან კამერონს,[38] ევერილ კამერონს,[39] ვ. კაეგს,[40] ფ. მილერს,[41] ა.

[35] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი 2. თბ. 1973, გვ. 262; The Roman Eastern Frontier and the Persian Wars: Part II AD 363-630, გვ. 121.

[36] W. Treadgold. The Byzantine Revival, 780-843. Stanford University Press. 1988; W. Treadgold. Byzantium and its army, 284-1081. Stanford University Press. 1995; W. Treadgold. A History of Byzantine State and Society. Stanford University Press. 1997; W. Treadgold. The Early Byzantine Historians. Palgrave Macmillan. 2010.

[37] C. Mango. The Art of the Byzantine Empire, 312-1453. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall. 1972; C. Mango. Byzantine Architecture (History of World Architecture). Electa Editrice. 1978; The Oxford History of Byzantium. Ed. by Cyril Mango. Oxford University Press. 2002; C. Mango. Byzantium: The Empire of the New Rome. Orion Books. 2005.

[38] Alan Cameron. Circus Factions: Blues and Greens at Rome and Byzantium. Clarendon Press, Oxford. 1976; Alan Cameron, Jacqueline Long, Sherry Lee. Barbarians and Politics at the Court of Arcadius. University of California Press. 1993.

[39] Averil Cameron. Procopius and the Sixth Century. University of California Press. 1985; Averil Cameron. The Later Roman empire, AD 284-430. Harvard University Press. 1993; Averil Cameron. The Mediterranean World in Late Antiquity, AD 395-600. London, New York: Routledge. 1993.

[40] W. E. Kaegi. Byzantine Military Unrests: An Interpretation. Adolf M. Hakkert: Amsterdam. 1981; W. E. Kaegi. Byzantium and the Early Islamic Conquests. Cambridge University Press. 1992. W. E. Kaegi. Heraclius: Emperor of Byzantium. Cambridge University Press. 2003.

[41] F. Millar. The Emperor in the Roman World, 31 BC-AD 337. Cornell University

ჰ. მ. ჯოუნსს,[42] ლ. ბრიეს,[43] პ. ლემერლს[44] და ა.შ. ამათ გარდა, არიან სხვა ავტორებიც, რომელთა გათვალისწინება ბიზანტიის ისტორიის კონკრეტული ეტაპის დახასიათებისას არ იქნებოდა ურიგო, თუმცა, მათ გარეშეც სარეცენზიოდ წარმოდგენილ მონოგრაფიას არ აკლდება ღირსება, მით უფრო, რომ მათი დიდი ნაწილი ნაკლებად აქცენტირდება ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობებზე, მაგრამ სიღრმისეულად განიხილავენ ბიზანტიის იმპერიის კონკრეტულ პერიოდს.

ამგვარად, თქვენ წინაშეა ახალი, ქართული ქვეყნებისა და ბიზანტიის ურთიერთობის ხანგრძლივი პერიოდის (IV-IX სს.) ამსახველი, სამეცნიერო სახის, ვრცელი მონოგრაფია. აღნიშნული წიგნი ერთგვარ სახელმძღვანელოდაც კი წარმოგვიდგება ზემოხსენებული ეპოქის საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობის შესწავლის კუთხით, რასაც ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში ამავე წიგნის მეორე ნაწილიც შეავსებს. ყველაფერი ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დღის სინათლეზე პირველად ვიხილოთ საქართველო-ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მეტნაკლებად სრული სამეცნიერო პუბლიკაცია.

Press. 1977; F. Millar. A Greek Roman Empire: power and belief under Theodosius II (408-450). University of California Press. 2006.

[42] A. H. M. Jones.The Later Roman Empire 284-602. In 3 vols. Basil Blackwell. 1964.

[43] L. Bréhier. Le monde byzantin. 3 volumes. Paris. 1947-50.

[44] P. Lemerle. The Agrarian History of Byzantium from the Origins to the Twelfth Century. Galway University Press. 1979.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

როლანდ თოფჩიშვილი

„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“ (იძულებითი პასუხი „კრიტიკოსებს“)

2013 წლის 6 მარტს გადმომეცა თსუ ასოცირებული პროფესორის ჯონი კვიციანის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედი, ე.წ. „ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარის სახელზე დაწერილი მიმართვა, საიდანაც ირკვევა, რომ დასახელებული პიროვნება ჩემს დასჯას ითხოვს ჩემი მხრიდან მისი შეურაცხყოფისათვის. ბოდიში უნდა მოვუხადო სამეცნიერო საზოგადოებას, მაგრამ იძულებული ვარ თავი დავიცვა.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ ჯ. კვიციანი ვერსად დაადასტურებს ჩემგან მისი პიროვნების უშუალოდ გალანძღვასა და შეურაცხყოფას. რაც შეეხება ჯ. კვიციანის სამეცნიერო „ნაღვაწისადმი“ დამოკიდებულებას, ნამდვილად მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს და მიმაჩნია, რომ ჩემი დანაშაულია, აქამდე თუ არ დავაფიქსირე ეს უარყოფითი დამოკიდებულება, როდესაც ის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაში წლიურ თემებს წარმოადგენდა ხოლმე, იმ განყოფილებაში, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლავართ და სადაც ის ჩემი უშუალო რეკომენდაციით მოხვდა. კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე მას რეკომენდაცია იმიტომ მივეცი, რომ რუსეთიდან თბილისის უნივერსიტეტის კავკასიის ისტორიის კათედრაზე მოხვედრილი ჯ. კვიციანი საერთოდ უმუშევარი დარჩა და, რატომღაც, კოლეგებში ის ცნობილი იყო კავკასიის XIX საუკუნის ისტორიის სპეციალისტად. აქედან გამომდინარე, ვფიქრობდი, რომ ამ ნაბიჯით ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში კავკასიის ისტორიის კვლევა ერთგვარად გაგრძელებულიყო, რადგან შესაბამისი განყოფილება, რომელსაც დიდი ტრადიციები ჰქონდა, გაუქმდა.

დროთა განმავლობაში კი გაირკვა, რომ ჯ. კვიციანი კავკასიის ისტორიის სპეციალისტი კი არა, არამედ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-

ტიის ისტორიკოსია (XX საუკუნის 50-80-იანი წლების საბჭოთა პერიოდის სპეციალისტი) და მისი ცოდნა კავკასიის, მსოფლიოს ამ დიდი რეგიონის, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შესახებ მას სათანადო საისტორიო სახის გამოკვლევა არ აქვს. ჯ. კვიციანის საკვალიფიკაციო ნაშრომების სათაურებში ჩრდილოეთ კავკასიის მხოლოდ მოხსენიება საქმეს ვერ შველის. სტუდენტთა შრომითი აღზრდის საკითხების „კვლევა" არა საისტორიო მეცნიერების, არამედ პედაგოგიური მეცნიერების ნომენკლატურას მიეკუთვნება. დიახ, მე მოვიხადე მოქალაქეობრივი ვალი, როდესაც სინამდვილის შესახებ ვაუწყე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და აკადემიურ საბჭოს, რომ ჯ. კვიციანი კავკასიის ისტორიის სპეციალისტი არ გახლავთ და, რომ თავისი „შეგნებული სამეცნიერო" მოღვაწეობის დიდი პერიოდი მიუძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიურ უზრუნველყოფას.

მანამ, სანამ მის ბრალდებებს კონკრეტულად შევეხებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიული საქმიანობის ერთი სფეროდან მეორეში გადაბარგება ჩვენი მეცნიერების კრიზისითაა განპირობებული. არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში კომუნისტური პარტიის ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმისა და ისტორიული მატერიალიზმის სპეციალისტები პოლიტოლოგებად, სოციოკულტურული ანთროპოლოგიის და სხვა „სპეციალისტებად" იქცნენ. ამ კატეგორიის მეცნიერი გახლავთ ჯ. კვიციანიც, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოგვევლინა როგორც კავკასიის ისტორიის სპეციალისტი. ბუნებრივია, როდესაც ადამიანი ორიენტირებული იყო პარტიის ისტორიის შესწავლაზე და მეცნიერებაშიც საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ამ პრობლემებზე აქვს შექმნილი, პროფესიული ორიენტაციის შეცვლა ფრიად რთულია და ჯ. კვიციანმაც თავისი მოღვაწეობა დაიწყო არა კავკასიის ისტორიის პრობლემებზე მუშაობით, არამედ „ყურადღება მიაქცია" უფრო განყენებულ საკითხებს. კიდევ ერთხელ ღრმად დარწმუნებული გავიმეორებ: მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი, როდესაც სამეცნიერო საზოგადოებას ვაცნობე მის მიერ ჩადენილი სიყალბეების შესახებ — მან ხომ დამალა თავისი დისერტაციების სათაურები.[1]

[1] სხვათა შორის, როდესაც 2008 წელს ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვდა, საკონკურსო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, პროფესორმა ზურაბ პაპასქირმა რამდენჯერმე დაუსვა შეკითხვა: რა თემებზე ჰქონდა დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, კონკურსანტმა ჯ. კვიციანმა ამ შეკითხვას არ უპასუხა.

ჯ. კვიციანი თავს იმართლებს თავისი სადისერტაციო ნაშრომების სათაურების გამო და წერს: „ვაცხადებ, რომ რეესტრში სწორად არის გატარებული ჩემი სადისერტაციო თემების დასახელებები“ და იქვე განმარტავს: „ჩემი საკანდიდატო თემის დასახელება ზუსტად არ ემთხვევა დისერტაციის სათაურს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ რეესტრის მოთხოვნით, თემის დასახელება იყო მისათითებელი და არა დისერტაციის ზუსტი სათაური, რომელიც გახლავთ: «Комсомол – активный помощник партии в коммунисстическом воспитании будущих специалистов в студенческих отрядах (1971-1980 гг.): На материалах комсомольских организаций автономных республик Северного Кавказа». სადაური ლოგიკაა, რომ მის მიერ გაცხადებული და რეესტრში შეტანილი სათაურები ერთმანეთს იმიტომ არ ემთხვევა, რომ, უბრალოდ, თემა უნდა დაესახელებინა და არა ზუსტი სათაური? ჩემი აზრით, ჯ. კვიციანმა უბრალოდ იცრუა, რადგან არ სურდა მისი ნამდვილი სამეცნიერო მიმართულება გამომჟღავნებულიყო. ეს არაა საისტორიო ნაშრომი; ის პარტიისა და კომკავშირის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას ემსახურებოდა.[2]

ახლა სადოქტორო დისერტაციის შესახებ: ამ შემთხვევაშიც ჯ. კვიციანი ცდილობს თავი იმართლოს, მაგრამ, ვფიქრობთ, თავის მართლებას ვერ ახერხებს. საბჭოთა პერიოდში მთელი იმპერიის მასშტაბით დაცული დისერტაციების ავტორეფერატების სავალდებულო ცალები დაცვამდე ერთი თვით ადრე ეგზავნებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ ბიბლიოთეკებს. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც დევს ეს სავალდებულო ეგზემპლარი. დისერტაციის შიფრია 07. 00. 01. – სკკპ ისტორია, სათაური კი ასე ჟღერს: «Политика КПСС в области подготовки специалистов в высшей школе. В 60-80-е годы: опыт и проблемы (На материалах Северного Кавказа)». ჩემი დასჯის მომთხოვნი ჯ. კვიციანი წერს, რომ მისი დისერტაციის ავტორეფერატი *„ავარცელდა სექტემბრში (10 სექტემბერს – რ.თ.), როდესაც იგეგმებოდა სადოქტორო დისერტაციის დაცვა. იმის გამო, რომ დაიშალა საბჭოთა კავშირი და გაუქმდა გრიფი 07. 00. 01. История КПСС – დონის როსტოვის სპეციალიზებულმა საბჭომ დისერტაციის დაცვა გადადო. მისი დაცვა შედგა ერთი წლის შემდეგ, 1992 წლის დეკემბერში უკვე ახალი გრიფით 07. 00. 02 – Отечественная история* და *ახალი სათაურით –*

[2] იმავე წერილის მეორე გვერდზე ჯ. კვიციანი აცხადებს, რომ სტუდენტურ რაზმებთან მისი დამოკიდებულებას გამოეხმაურა კომუნისტური პარტიის იმდროინდელი რუპორი გაზეთი „პრავდა“. დამეთანხმებით, ეს საამაყო ნამდვილად არ უნდა იყოს.

Подготовка специалистов в высшей школе в конце 50-х — 80-е годы (На материалах Северного Кавказа). საიტებზეც მხოლოდ ასეა მითითებული.“ კითხვას ვსვამ: თუნდაც ასე ყოფილიყო, ან ერთი, ან მეორე სათაურით ჩანს, რომ ჯ. კვიციანის სადოქტორო დისერტაცია კავკასიის ისტორიას შეეხებოდა? ერთი გრიფის მეორე გრიფით შეცვლა საქმის არსს არ ცვლის. პოლიტიკური კონიუნქტურის გამო მას სრულიად სხვა გრიფი მიენიჭა — „სამშობლოს ისტორია“. „სამშობლოს (რომელი და ვისი?) ისტორია“ (Отечественная история) კი იმავე რუსეთის ისტორიაა!!! საბჭოთა პერიოდის ჩრდილოეთ კავკასიაში უმაღლეს სკოლებში სპეციალისტების მომზადება ესაა კავკასიის ისტორია?

ჩემი სურვილია, რომ შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის ჯ. კვიციანის სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებულ საკითხს. მისი თქმით, ავტორეფერატი დაგზავნილი იყო და დაცვა უნდა შემდგარიყო 1991 წლის 11 ოქტომბერს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ მოუსწრო და გრიფი — 07. 00. 01. გაუქმდა და ამიტომ დაცვა აღარ შედგა და ერთი წლის შემდეგ უკვე ახალი გრიფით მიიღო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. კი მაგრამ, საბჭოთა კავშირი როდის დაიშალა, ხომ ყველას კარგად გვახსოვს — ეს იყო 1991 წლის ბოლოს. ბუნებრივია, ოქტომბრის თვეში სკკპ ისტორიის გრიფი არც გაუქმებულა. მე ხელთ მაქვს ინტერნეტით მიღებული დონის-როსტოვის უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დასტური, რომ ჯ. კვიციანმა სადოქტორო აღნიშნულ დროსა და აღნიშნულ თემაზე დაიცვა. კარგი იქნება, თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია როგორც დონის-როსტოვში, ისე მოსკოვში — უმაღლეს საატესტაციო კომისიაში გაარკვევს საქმის ნამდვილ ვითარებას.

ჯ. კვიციანი აცხადებს, რომ 2000 წელს თსუ-ს პროფესორთა საბჭომ მას პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება — 07. 00. 03. მსოფლიო ისტორიის სპეციალობით მიანიჭა. დიახ, ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ჩვენში განუკითხაობა იყო. მას აღნიშნული გრიფი სრულიად ყველა წესის დარღვევით აქვს მინიჭებული. გასაოცარია, საბჭოთა პერიოდის რუსეთის („სამშობლოს ისტორიის“) სპეციალისტი მსოფლიო ისტორიის სპეციალისტად ცნეს. თუ როგორ იცის მან მსოფლიოს ისტორია, ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ვადასტურებ, რომ ყოველივე ეს არ ნიშნავს კავკასიოლოგობას. კავკასიოლოგობა თუ კავკასიათმცოდნეობა ნიშნავს არა, ვთქვათ, ერთი რომელიმე ენის, ვთქვათ, თაბასარანული ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხე-

ბის ცოდნას, არამედ ორი ან რამდენიმე ენის, კავკასიის ისტორიის უძველესი დროიდან დღემდე, კავკასიელი ხალხების (და, არა მხოლოდ ერთი რომელიმე ხალხის) ეთნოლოგიის ცოდნას. ამ ცოდნის გლობალურ მასშტაბებში გააზრებას.

ჯ. კვიციანი თავის კავკასიოლოგობას იმითაც გვიდასტურებს, რომ თანამედროვე კავკასიის შესახებ პრესაში ბეჭდავდა წერილებს. ასეთ თემებს ჟურნალისტებიც ეხებიან, რა, ისინიც კავკასიოლოგები არიან? ჩემ შესახებ საჩივარში ის წერს, რომ მისი ნაშრომი „კავკასია მეოცე საუკუნეში“ „განიხილავს რეგიონის სოციალურ-კულტურულ პრობლემებს და ახალი განათლების საკითხს.“ ეს არაა კავკასიის ისტორიის სპეციალისტობა. იმედი მაქვს, უნივერსიტეტის მიერ შექმნილი კომისია იმასაც გაარკვევს, რა არის ამ ნაშრომში კავკასიის ისტორიიდან.

ჯ. კვიციანი აცხადებს, რომ მისმა მონოგრაფიებმა „კავკასიის ცივილიზაცია პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში“ და „კავკასია და კავკასიელები“ გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს სამეცნიერო წრეებსა და პრესაში. მთელი კატეგორიულობით კვლავ ვიმეორებ: ამ „მონოგრაფიებს“ საისტორიო მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო. ეს პირადად ჩემი შეხედულებაა და, როგორც ერთ მეცნიერს, მე ამის უფლება მაქვს, ისევე, როგორც ჩემს ვიზავის შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ჩემი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების „ხარისხი“ და „ორიგინალურობა.“ ყველაფერს დრო შეაფასებს. მაგრამ რამდენადაა ჩემი სახელმძღვანელოები უხარისხო და არაორიგინალური, მე ამის შესახებ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან მოველი კომპეტენტური კომისიის შექმნას, მაგრამ ამავე დროს ამ კომისიამ ჯ. კვიციანის ნაშრომების ავკარგიანობაც უნდა შეაფასოს.

ჯ. კვიციანი წერს: *„რაკილა ორიგინალურობასა და ნაშრომების კალკირებაზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ გავიხსენო 2012 წლის ივნისში ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა კრებაზე რ. თოფჩიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება. თავის გამოსვლაში მან დასძინა, რომ ამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში შექმნა 26 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. ჩნდება კითხვა, ასეთი მცირე დროის განმავლობაში როგორ გახდა შესაძლებელი დაწერილიყო 30 წიგნი? თანაც ზოგიერთი არანაკლებ 300 გვერდიანია და გამოყენებული ლიტერატურაც სულ არ გააჩნია. ეს ფაქტი განა არ აღძრავს ეჭვს თვითონ რ. თოფჩიშვილის ნაშრომების „ხარისხიანობასა“ და „ორიგინალობასთან“ დაკავშირე-*

ბით?" (გვ. 4). ჩემს თავზე საუბარი მიჭირს, არც არასდროს მილაპარაკია. ასეთი საქმიანობა დასაგმობად მიმაჩნია, მაგრამ ჯ. კვიციანის ბრალდებების მართებულობა-არამართებულობას თსუ-ს რექტორატი თუ ვერ ან არ გადაწყვეტს, მაშინ იძულებული ვიქნები სიმართლის დასადგენად სასამართლოს მივმართო. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში აღნიშნულ კრებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც — გ. ღვედაშვილი, ა. კუკულავა და თ. წითლანაძე — ესწრებოდნენ. განიხილებოდა ინსტიტუტში თანამშრომლების დასწრების საკითხი. ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, თუ რამდენი ნაშრომის ავტორი ვიყავი და ეს იმისათვის დამჭირდა, რომ ყველა ისინი არა ინსტიტუტში, არამედ სახლში მაქვს დაწერილი. სინამდვილეში მე აღვნიშნე უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში დავბეჭდე (და არა შევქმენი) 16, და არა 26. დღეისათვის კი 214 პუბლიკაციის ავტორი გახლავართ, აქედან 31 წიგნია, 6 კი — სახელმძღვანელო. უნივერსიტეტში მოსვლისთანავე მე მიზნად დავისახე სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოები შემექმნა. ამით ვახდენ ჩემი ცოდნის რეალიზაციას, რისი წინაპირობაც ჩემი საყვარელი დარგის — ეთნოლოგიის სიყვარული და მისი გადარჩენის სურვილია. უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მთავარი პრობლემა ორიგინალური სახელმძღვანელოების არარსებობაა. ისმის კითხვა — რა არის სახელმძღვანელო? სახელმძღვანელო არის მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში დაგროვილი ცოდნის სტუდენტებისათვის გასაგებ, მარტივ ენაზე გადაცემა. არც ერთ ჩემს სახელმძღვანელოს ანალოგი არ გააჩნია. ჩამოგითვლით თითოეულ მათგანს: 1. „საქართველოს ეთნოლოგია", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წელი, 316 გვერდი, თან ახლავს ლიტერატურა და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ჩემ მიერ შედგენილი რუკა; 2. „ევროპის ეთნოლოგია", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 წელი, 358 გვერდი; 3. „ამერიკის ეთნოლოგია", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 წელი, 142 გვერდი; 4. "თეორიული ეთნოლოგია" (თანაავტორები ქეთევან ხუციშვილი და რ. გუჯეჯიანი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, 468 გვერდი; 5. „სახელების ეთნოლოგია და ისტორია", თბ., 2010 წელი, 322 გვერდი. თან ახლავს სარეკომენდაციო ლიტერატურეს ვრცელი სია; 6. „კავკასიის ეთნოლოგია", თბ., 2012 წელი, 384 გვერდი. თან ახლავს გ. ჟუჟნაშვილის მიერ შედგენილი კავკასიის ეთნიკური რუკა და კავკასიის ეთნოლოგიისა და ისტორიის შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურის სია. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ვკითხულობ სალექციო კურსს:

„ქართველი ერის ეთნიკური ისტორია“. ამ დისციპლინასაც სტუდენტები ჩემი წიგნიდან — „ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები“ — ამზადებენ. ეს სია მომავალში გაიზრდება. სახელმძღვანელოს შექმნას თავისი წესი აქვს, სახელმძღვანელოებში ლიტერატურას არ იმოწმებენ. ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, შესაბამისი კომისია ამ სახელმძღვანელოების ავკარგიანობას გაარკვევს. ერთს კი ნამდვილად ვიტყვი, არც ერთ მათგანს ანალოგი სხვა ენებზე არ გააჩნია.

ჩემი იდეა იყო სახელების ეთნოლოგიისა და ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა. ასეთი სახელწოდებით სახელმძღვანელოს ვერც ერთ სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ. რა, არ მქონდა, როგორც მეცნიერს უფლება ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნისა, რომელშიც ქართული და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ანთროპონიმიული მოდელებია დახასიათებული? ჯ. კვიციანისათვის წიგნის სახელწოდება „უცნაური“ და „ალოგიკურია“ და თანაც დასძენს: *„რამდენად წარმოჩენს ასეთი „სამეცნიერო ცნება“ რ. თოფჩიშვილის „განსწავლულობას?“* (გვ. 7). აი, ასეთი აზროვნების გამოა, რომ ჯ. კვიციანს უცოდინარი ვუწოდე. მას ყოვლისმცოდნედ წარმოუდგენია თავი და ამიტომაც ცნებით — „სახელების ეთნოლოგია“ — რ. თოფჩიშვილის განუსწავლელობა „დაადასტურა“. ეთნოლოგიური მეცნიერების შესწავლის ერთ-ერთი სფერო, მისი ჩასახვიდან დღემდე მოყოლებული, საკუთარი სახელებია. საკუთარ სახელში კი მეცნიერები არა მხოლოდ პიროვნულ სახელს, არამედ გვარს/გვარსახელს ანუ მემკვიდრეობით სახელსაც გულისხმობენ. გვარებით საზოგადოებების, ეთნოსების სოციალური ყოფის მნიშვნელოვან საკითხებს იკვლევენ. ჩემი საქმიანობა სწორედ ქართული გვარების შესახებ ეთნოგრაფიული მასალების შეკრებით დავიწყე. ამ თემაზე რამდენიმე წიგნის ავტორიც გახლავართ. სრულიად ახლახან დავბეჭდე კიდეც სქელტანიანი წიგნი „საქართველოს თავადაზნაურული გვარების ისტორია“, რომელშიც 1160 ფეოდალური გვარის შესახებ მონაცემებია შესული. არც ჯ. კვიციანს და არც მის ეთნოლოგ-კონსულტანტს არ შევახსენებ, მაგრამ სამეცნიერო კომისიისას კი მოვახსენებ, რომ ჯ. კვიციანის სათაყვანებელ საბჭოთა კავშირის / რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში არსებობდა სპეციალური განყოფილება ასეთი სახელწოდებით, რომელსაც ცნობილი მეცნიერი ვ. ნიკონოვი ედგა სათავეში და რომელსაც ქართული გვარებისა და სახელების შესახებაც აქვს გამოკვლევა და ამ ნაშრომის რეცენზირებაც თავის დროზე მე მომიხდა. ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელო-

ბის ეთნოგრაფიის ინსტიტუტს 1971 წელს ასეთი სათაურით – Этнография имен – კრებულიც აქვს.

ჯ. კვიციანი, არ ვიცი, შეგნებით თუ შეუგნებლად ჩრდილს აყენებს და აკნინებს საქართველოს ისტორიას, ქართულ კულტურას, თანამედროვე ქართველთა ყოფას. ფაქტობრივად, უნივერსიტეტის სტუდენტებს ასწავლის იმას, რომ თანამედროვე ქართველებს კულტურასთან ერთად ყველაზე ძვირფასი ფასეულობა – ადამიანურობა აქვთ დაკარგული და, თურმე, „ადამიანურობის დაბრუნების შემთხვევაში ქართველებს ახალი ეროვნული თვითშეგნების გამომუშავების საშუალება მოგვეცემა". არა, თურმე, ასეთი რამ არ დაუწერია და მას კიდევ ცილსაც სწამებენ?! მისი წიგნიდან, რომელიც სახელმძღვანელოდ აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მითითებული, ამონარიდს მოვიყვანთ და დავძენთ, რომ ის ნამდვილად ქართველ ხალხს დიდ ბრალდებას უყენებს: *„მეთოდოლოგიური დივერსიფიკაციის საფუძველზე დაყრდნობით, საჭიროა ჩვენი კულტურის, იდენტურობის კრიზისის გაანალიზება. ფაქტობრივად, მე-13 ს-ში ქართული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ (თათარ-მონღოლები, ირან-ოსმალეთის „პატრონაჟი") (უნდა იყოს „პატრონატი" – რ.თ.), მოგვიანებით, მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე, საქართველო გაითქვიფა ჯერ რუსულ იმპერიულ, შემდეგ კი ხელოვნურ, ე.წ. საბჭოთა მენტალურ იდენტურობაში.*

ამჟამად, ცხადია, მექანიკურად მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე არსებული ქართული კულტურის ტრადიციებს ჩვენ ვერ დავიბრუნებთ, მაგრამ წარსულთან გაწყვეტილი მემკვიდრეობის აღდგენა, ცარისტული და საბჭოთა წარსულის კრიტიკული გადახედვით, საჭიროა. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვიმუშაოთ ახალი ეროვნული თვითშეგნება, რომელიც გაანალიზებული იქნება გლობალური და მრავალფეროვანი სამყაროს ჭრილში. ამით ჩვენ დავიბრუნებთ ყველაზე ძვირფას ფასეულობას – ადამიანურობას" (ჯ. კვიციანი. კავკასიის ცივილიზაცია პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007, გვ 4-5). ჯ. კვიციანი კი ამბობს, რომ მე მას ცილს ვწამებ, რომ ქართველთა ადამიანურობის დაკარგვაზე ის არ წერს. აბა, დასაბრუნებელი თუ აქვს ქართველებს ადამიანურობა, ე. ი. დაკარგულიც ჰქონიათ. მოყვანილი ამონარიდის შესახებ იმავე აზრზე ვრჩები. შეიძლება მეცნიერებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ, მაგრამ საქმე როდესაც ქართველი ხალხის ღირებულებებს ეხება, ასეთ შემთხვევაში ხმის ამოღება ყველა ჩვენგანის ვალია. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი სამოქალაქო ვალია. ამონარიდს საისტორიო მეცნიერებას-

თან არავითარი საერთო არა აქვს; ჩემს წიგნში „მითი კავკასიური ცივილიზაციის შესახებ“ ვწერდი, რომ ეს მხოლოდ პოლიტოლოგიური ოპუსია. იძულებული ვარ, ჩემი დასახელებული წიგნიდან ერცელი ამონარიდი მოვიყვანო: „მეორე, თურმე ჩვენი, ე. ი. ქართული კულტურა და იდენტურობა კრიზისს განიცდის და ეს კრიზისი XIII საუკუნიდან დაწყებულა და, ჰოი საოცრებავ, მაინც აქამდე მოგვიღწევია; მესამე, საქართველო გათქვეფილა ჯერ რუსულ და შემდეგ საბჭოთა მეტანაციონალურ იდენტურობაში. საკითხავია, თუ სხვებში (რუსებში) გაითქვიფა ქართული იდენტურობა, როგორღა შეიქმნა ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაღალი დონის ქართული კულტურა და მწერლობა? იდენტობადაკარგული ქართველი ხალხი როგორღა იბრძოდა დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად? მეოთხე, ვინ განაცხადა, რომ XVIII–XIX საუკუნეების ქართული კულტურის ტრადიციებს უნდა დავუბრუნდეთ? მოაზროვნე ქართველები ყოველთვის მომავალზე, ტრადიციებზე დაყრდნობით, ფიქრობდნენ. პროგრესი უნდა იყოს ტრადიციული, ტრადიცია კი პროგრესული. XVIII-XIX საუკუნეების ქართული ხალხური კულტურული ტრადიციები იყო დიდი ოჯახი, ხის სახვნელი იარაღი, ორბორბლიანი საზიდი საშუალებები (ურემი), მიცვალებულის სუდარით დაკრძალვა, ფეხის ფეხზე გადადებით დაჯდომის დაუშვებლობა და სხვ. ეს ყველაფერი დრომ გააქრო, მაგრამ მთელი რიგი ტრადიციები ხელიხელ საგოგმანებელია, რომელთაც გაფრთხილება, შენახვა სჭირდება, ისევე როგორც ისტორიულ მახსოვრობას. ამ ორ ღერძს ეყრდნობოდა ქართული მენტალობა, ფასეულობები; მეხუთე, რას ნიშნავს ახალი ეროვნული თვითშეგნება? ასეთი ტერმინი ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ (და, მგონი, არც ერთმა სხვა მეცნიერებამ) არ იცის. ახალი ეროვნული ცნობიერება ახალი, სხვა, განსხვავებული ეთნოსის ფორმირებას უდრის. ე. ი. ქართველებმა არსებულ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე უარი ნებაყოფლობით უნდა ვთქვათ და სხვა ხალხად ვიქცეთ? (სსრკ-ში იყო ასეთი მცდელობა!!!) მეექვსე, არსებული ეროვნული ცნობიერების შეცვლით, თურმე, „ჩვენ დავიბრუნებთ ყველაზე ძვირფას ფასეულობას – ადამიანურობას“. ნებისმიერი დამეთანხმება, რომ ძალიან დიდი ბრალდება აქვს ქართველ ხალხს წაყენებული – ადამიანურობა მას კოლექტიურად დაუკარგავს და ახლა მისი დაბრუნება გვჭირდება. მთელი კატეგორიულობით მინდა განვაცხადო: ეს არაა მეცნიერება და, მით უმეტეს, საისტორიო მეცნიერება. რაც ყველაზე გასაოცარია, ბროშურა, რომელშიც ქართველთა დაკარგულ ადამიანურობაზეა საუბარი, „კრიტიკოსს“ თავისი სალექციო კურსის – „კაე-

კასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია" – სილაბუსში ძირითად/სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში აქვს დასახელებული.

ჯ. კვიციანი წერს: „როგორც ჩანს, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის დევნა რ. თოფჩიშვილის „სამოქალაქო ვალია". ის აცხადებს, რომ თურმე ჯ. კვიციანი ტერმინით „ქართველიანნი" ცდილობს „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ერთობები ქართველ ხალხსა და ქართულ სახელმწიფოებრიობას დაუპირისპიროს" (გვ. 5). მეცნიერული კრიტიკა თუ დევნას ნიშნავდა, ნამდვილად არ ვიცოდი. მოკლედ რომ ვთქვათ, „ისტორიკოსმა" ჯ. კვიციანმა მოინდომა საქართველოს მოსახლეობას, განურჩევლად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, „საქართველოს მოქალაქის" ნაცვლად ახალი სახელი „ქართველიანნი" მიაკუთვნოს. ამის შესახებაც ვრცლად ვწერდი ჩემს წიგნში „მითი კავკასიური ცივილიზაციის შესახებ" და იძულებული ვარ, ამონარიდი კვლავ აღნიშნული წიგნიდან მოვიყვანო:

„საისტორიო მეცნიერებისაგან ასევე ძალიან შორს დგას დასახელებული ავტორის კიდევ ერთი პუბლიკაცია. წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ ეს არის პოლიტოლოგია პარტისტორიის პოზიციიდან. დაბეჭდვამდე ის მოხსენების სახით წარმოადგინა 2011 წლის 4 მაისს თსუ ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე – **„სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში: გზა ახალი ზეეთნიკური ერთობისაკენ"**. სესიაზე ეს მოხსენება კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პროფესორებმა – *ქეთევან ხუციშვილმა* და *თინათინ ბოლქვაძემ*, ხოლო გეოგრაფოსის, პროფესორ *გიორგი კვინიკაძის* უცაბედი კომენტარი ასეთი იყო: *„ეს ძალიან საშიშია"*. მიუხედავად ამისა, მოხსენების ტექსტი მალევე დაიბეჭდა. შემოგთავაზებთ ამონარიდებს: *„საზოგადოების ინტეგრაციას, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, ალტერნატივა არ გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იღუპება. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში ოსების და ზოგადად ეროვნული უმცირესობების როლი და ადგილი ახალ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, **„ზეეთნიკური" სოციუმის ფორმირების პროცესში, რომელსაც პერსპექტივაში, პირობითად „ქართველიანი" (მრავლობითში „ქართულიანნი" ან „ქართველიანები") შეიძლება ეწოდოთ"*** (*ჯ. კვიციანი.* ეროვნული უმცირესობანი საქართველოში. XX-XXI სს. – თბ., 2011: 3); *„ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებული ძვრები, რომელიც დემოკრატიის განვითარებაში, ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გამოვლინდა, გვაძლევს იმედს, რომ ეროვნული უმცი-*

რესობების სოციალური აქტიურობა ქართულ გარემოში ინტეგრაციის მიზნით დასრულდება ახალი სოციუმის – „ქართველიანის“ ჩამოყალიბებით. ასეთი გაერთიანება მიმზიდველი იქნება ეთნიკური ოსებისათვის, რადგან ისინი ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად შესისხლხორცებული არიან ქართულ კულტურასთან, ცხოვრების წესთან და თვითშეგნებითაც ბევრად ემსგავსებიან მათ“ (ჯ. კვიციანი 2011: 41); *„იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა შემუშავდეს ქართულ გარემოში ახალი „ზეეთნიკური“ ერთობის მოდელი ან პროექტი, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაზე, ისე დღევანდელი გამოწვევების ობიექტურ გააზრებაზე. ასეთი „ზეეთნიკური“ ერთობის მოდელს, „ქართველიანი“ (მრავლობითში „ქართველთანი“ ან „ქართველიანები“) შეიძლება ეწოდოს, რომლის არსი, ქართული იდეის გათვალისწინებით, სწორედ რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის საყოველთაო ინტეგრაციაა. თვით ეს ტერმინიც გარკვეულწილად მიგვანიშნებს საქართველოს საზოგადოების სამომავლო სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხასიათზე, რომლის დროსაც მისი ყოველი წევრი (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად) მოტივირებული იქნება, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომ განვითარებას“* (ჯ. კვიციანი, 2011: 47).

ამრიგად, ასე ადვილად გადაწყდება ქართველ ხალხთან ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა და დემოკრატიულ განვითარებასაც წინ აღარაფერი დაუდგება. თურმე პრობლემის არსი იმაშია, საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქენი (ალბათ, არაქართველნი) საერთო, გამაერთიანებელ სახელად რას ისურვებენ. ეს ტერმინი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის აზრით, „ქართველიანი“, „ქართულიანნი“, „ქართველთთანი“, „ქართველიანები“ შეიძლება იყოს. ტერმინი „ქართველიანი“ თურმე მიმზიდველი იქნება ოსებისათვის, რადგან თვითშეგნებით ისინი ქართველებს ემსგავსებიან. აქ ისმის კითხვა: რა დააშავეს აფხაზებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ქისტებმა, რუსებმა და სხვებმა? პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ასეთი იდეების გაზიარება საქართველოს დღევანდელი საზოგადოებისათვის ფრიად საშიშია. უფრო პირიქით ხომ არ მოხდება, საქართველოს მოქალაქე ოსები და აფხაზები, სომხები და აზერბაიჯანელები იფიქრებენ, რომ ქართველებს მათი არა ინტეგრაცია, არამედ ასიმილაცია უნდათ? გაითავისებენ კი ისინი ამ ტერმინს? მათთვის რა მნიშვნელობა აქვს ჩვენ „ქართველებს“ ვუწოდებთ

თუ „ქართველიანს“? ჩვენ, ქართველებმა, ასეთი ნაბიჯების გადადგმით დაპირისპირებების ახალი კერა/კერები უნდა შეექმნათ? “გამოხტება“, მაგალითად, ჯავახეთში რომელიმე ლიდერთაგანი და ეთნიკურ სომხებს ამის გამო ქართველთა საწინააღმდეგოდ განაწყობს, ქართველებს ჩვენი გაქართველება, ასიმილაცია მოუწადინებიათო. ზემოთ ტყუილად არ ვუწოდე ამ ყველაფერს კომუნისტური პარტიის ისტორიის პოზიციებიდან დანახული პოლიტოლოგია. დიახ, „ზეეთნიკური“ ერთობის შექმნის დასრულების შესახებ პირველად 1971 წლის 30 მარტს სკკპ XXIV ყრილობაზე ლეონიდ ბრეჟნევის მიერ გაცხადდა. ეს ახალი ზეეთნიკური ერთობა „საბჭოთა ხალხი“ იყო. 1974 წლის სკკპ-ის დადგენილებამ საბჭოთა ხალხი ახალ ისტორიულ ერთობადაც გამოაცხადა. ამ მოვლენას „კრიტიკოსიც“ ვერ უვლის გვერდს: *„ეასათვალისწინებელია, რომ სსრკ-ის პირობებში ოსების ინტეგრაციის ხარისხი ქართველებთან ვერ იქნებოდა სრულფასოვანი, რადგან ორივე ხალხის (ქართველებისა და ოსების, სხვა ხალხებთან ერთად) განვითარება მიმართული იყო იმისაკენ, რომ ზეეთნიკური „ახალი საბჭოთა ადამიანი“ შექმნილიყო“* (*ჯ. კვიციანი* 2011: 31). ზეეთნიკური ერთობის – საბჭოთა ხალხის – შექმნის ზუსტად ოცი წლისთავზე ეს ერთობა ხუხულასავით დაიშალა. ახლა ქართველი გვთავაზობს ახალი ზეეთნიკური ერთობის შექმნას იმავე საბჭოთა (უფრო კი ახალრუსული) ტერმინებით. ვინმეს ხომ არ უნდა, რომ ქართველთა მიერ შექმნილი ზეეთნიკური ერთობა – ქართველიანიც (საქართველოს მოქალაქეთა ერთობა) ასევე ხუხულასავით დაიშალოს? მიმაჩნია, რომ „ქართველიანნი“ ესაა ახალი რუსული ტერმინის (ზეეთნიკური ერთობის) „რასიანეს“ კალკი. ზემოთ მოყვანილ ციტატას თუ დავუჯერებთ, თურმე ოსები თვითშეგნებით ქართველებს ემსგავსებიან. ეთნიკური ცნობიერება არის ეთნიკური ცნობიერება; კულტურათა მსგავსებაზე საუბარი შეიძლება, მაგრამ ხალხების ეთნიკური ცნობიერების მსგავსებაზე საუბარი ნონსენსია. ოსები თვითშეგნებით ქართველებს თუ ემსგავსებოდნენ, იმიტომ არ დაუპირისპირდნენ მათ შემფარებელ ქართველებს რუსების დახმარებით, იმიტომ არ წარიტაცეს მათ ძირძველი ქართული ტერიტორიები და კიდევ იმიტომ არ უჭირავთ თვალი სხვა დიდი ტერიტორიების მითვისებაზე?

„კრიტიკოსი“ პირდაპირ გვიცხადებს, რომ საჭიროა ახალი ეროვნული თვითშეგნება, რაც, ფაქტობრივად, ახალი ეთნოსის წარმოქმნას მოასწავებს, ახალ ეთნოსს კი, ბუნებრივია, ახალი სახელწოდებაც ჭირდება. ასე, ხელის ერთი მოსმით, წყვეტენ ვიღაცეები ქართველი ხალხის ბედს.“ (რ. თოფჩიშვი-

ლი. მითი კავკასიური ცივილიზაციის შესახებ, თბ., 2012, გვ. 81-84).

ნათქვამს მხოლოდ ერთ რამეს დავძენთ: სამოქალაქო ინტეგრაცია ხელოვნურად ამა თუ იმ „მეცნიერის“ მიერ შემოთავაზებული ტერმინებით არ წყდება. ჯ. კვიციანი თავის მიმართვა-საჩივარში აცხადებს: *„ვამტკიცებ, რომ საქართველოში არსებული სოციალურ-კულტურული დეზინტეგრაცია შეიძლება დაძლეულ იქნეს ქართული სამოქალაქო ერის შექმნით, სადაც ადამიანები აბსოლუტურად თანაბარი სამოქალაქო, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებით და მოვალეობებით იცხოვრებენ, ანუ ჩამოყალიბდება ისეთი ერი, სადაც ადამიანები გაერთიანებული იქნებიან არა მარტო მოქალაქეობით, ტერიტორიით, საერთო სახელმწიფო ენით, არამედ საერთო ზეეთნიკური კულტურითაც.“* (გვ. 5). ეს წმინდა წყლის „ფუტუროლოგიაა“, ამ ტერმინის ყველაზე ცუდი გაგებით. რას ნიშნავს *სამოქალაქო ერი?* დღეს საქართველოსათვის მთავარი სამოქალაქო საზოგადოების შექმნა და ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციაა და არა პროვოკაციული მოწოდებები ე. წ. „სამოქალაქო ერის“ შექმნის შესახებ. ყოველივე ამას კი უნდა ახლდეს ან, უფრო ზუსტად, წინ უნდა უსწრებდეს სერიოზული კვლევა-ძიება და არა „მკითხაობა“.

მეცნიერებაში ერის (ნაციის) მხოლოდ ორი გაგება არსებობს: 1. ეთნიკური (კულტურული) ერის და 2. ერი-სახელმწიფოს ცნება. ევროპელებს, მაგალითად, ფრანგებს ფრანგული ნაცია-სახელმწიფოს შესაქმნელად რამდენიმე საუკუნე დასჭირდათ და დღეს ჯ. კვიციანს მხოლოდ მოპოლიტოლოგო ლოზუნგებით უნდა ჩამოაყალიბოს ქართული „ერი-სახელმწიფო“? ამ პროცესებში პროვოკაციული ჩარევა მხოლოდ ახალ კონფლიქტებს წარმოშობს და, შეიძლება ითქვას, კატასტროფამდეც კი მიგვიყვანოს. ასეთი იდეების სტუდენტებისათვის სწავლება მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია და მეტი არაფერი. ასეთი „მარგალიტების“ წინააღმდეგ კი მთელმა ქართულმა მეცნიერებამ უნდა ამოიღოს ხმა. მადლობა ღმერთს, მისი ნაზრევი ფართო საზოგადოებისათვის, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ცნობილი არ არის. მიგვაჩნია, რომ სათანადო საუნივერსიტეტო კომისიამ უნდა გაარკვიოს ასეთი იდეების ქართული საზოგადოებისათვის თავს მოხვევის წყაროებიც!!!

საჩივარში ჯ. კვიციანი წერს: *„ჩემი ოპონენტი სამოქალაქო ვალად მიიჩნევს, მოახდინოს თსუ პროგრამული აკრედიტაციის რევიზია, მათ შორის კავკასიოლოგიის ინსტიტუტისაც. ის აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში სილაბუსების ექსპერტიზა არ ხდება.“ „აქ, რა თქმა უნდა, სილაბუსების შეფასება-*

საც ჰქონდა ადგილი. ოპონენტი კი გამიზნულად ცრუობს და თავს უფლებას აძლევს განაცხადოს, თანაც „პასუხისმგებლობით", რომ თითქოსდა „სერიოზული ექსპერტიზის შემთხვევაში კავკასიის ისტორიის მიმართულების სილაბუსები კრიტიკას ვერ გაუძლებს" (გვ. 6).

მე იმავე აზრზე ვარ და კვლავ გავიმეორებ ჩემს წერილში ნათქვამს: „რადგანაც სილაბუსი ვახსენეთ, გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენთვის ცნობილი მისი სილაბუსებიდან ვერც ერთი კრიტიკას ვერ უძლებს. სამწუხაროდ, უნივერსიტეტში პროგრამული აკრედიტაციის მიმდინარეობისას შეგნებულად შევიკავეთ თავი მდგომარეობის გამწვავებისაგან, რადგან საფრთხე შეიძლება საზოგადო ყოფილიყო, არადა ავტორის არც ერთი საგანი, რბილად რომ ვთქვათ, არ იმსახურებს აკრედიტაციას, უფრო მეტიც, დანაშაულიც კია მათი ამ სახით წაკითხვა. ისინი სრული პროფესორის უცოდინრობისა და უვიცობის დამადასტურებელია". მთელი კატეგორიულობით დავამატებ, რომ **უნივერსიტეტში სილაბუსები მხოლოდ ტექნიკურ ექსპერტიზას გადის, ექსპერტიზა არ ხდება. შედეგად კი ხშირად სწორედ ასეთ გაუგებრობას ვიღებთ.**

ჩემს წერილში მხოლოდ ჯ. კვიციანის ერთ სილაბუსზე შევჩერდი, ესაა „კავკასიის კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია". გაგვცეს ჯ. კვიციანმა პასუხი — სილაბუსის შინაარსი და თითოეული ლექციის მიმართ მითითებული ლიტერატურა რატომაა შეუსაბამობაში. ამ სილაბუსში მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში არც ერთი არ უნდა იყოს. თითოეული ლექციის გასწვრივ ლიტერატურის ჩამონათვალში უკვე სულ სხვა ლიტერატურაა მითითებული, რომელთაგან არც ერთი არ უნდა იყოს მითითებული. ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში დასახელებულია 1. ზ. კიკნაძის სტატია „ნათესავიდან ერამდე", რომელიც დაბეჭდილია კრებულში „ეთნიკურობა და ნაციონალიზმი" (თბ., 2002); 2. ე. კოდუა. ეთნოსოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 2002; 3. ჯ. კვიციანი. კავკასიის ცივილიზაცია პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007; 4. К. Леви-Строс. Структурная антропология. М., 1984. მთელი კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ არცერთი აქ დასახელებული ნაშრომი კავკასიის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის პრობლემებს არ ეხება. ამას ადასტურებს აღნიშნულ სილაბუსში თითოეული ლექციის გვერდით შესაბამისი ლიტერატურის გრაფაც. მხოლოდ პირველ ლექციასთან მითითებულია ზ. კიკნაძისა და ე. კოდუას ნაშრომები, მეორე ლექციის გასწვრივ გვხვდება ე. კოდუას ნაშრომი, მესამე ლექციასთან — კ. ლევი-სტროსის წიგნი. ე. კოდუას

წიგნი მე-11 ლექციასთანაცაა მითითებული. ესაა და ეს. დამხმარე ლიტერატურის სიაში შემდეგი ავტორები გვხვდებიან: ლ. პატარიძე, თ. ფუტკარაძე, გ. ნოდია, ლ. კუბელი, ვ. ტიშკოვი, გ. გაჩევი, რ. სუნი. ეს ავტორებიც აქა-იქ რამდენიმე ადგილასაა არადანიშნულებისამებრ მითითებული. წესით, ეს საკალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, შესაბამისად, 15 ლექციაზე უნდა იყოს გადანაწილებული. მაგრამ კიდევ ბევრი ლიტერატურაა თითოეული ლექციის გასწვრივ მითითებული. რატომ აქვთ სტუდენტებს უფრო მეტი რაოდენობის ლიტერატურა მითითებული, რომელთა დიდი ნაწილი ძირითად და არც დამხმარე ლიტერატურის სიებში არაა შეტანილი.

ყველა ლექციის თემაზე, ალბათ, ვერ შევჩერდებით. მაგრამ ზოგიერთზე ზოგადად და ერთი სიტყვით უნდა გავამახვილო ყურადღება. განვიხილოთ I ლექციის შინაარსი. ლექტორი სტუდენტებს ორი საათის განმავლობაში შემდეგ საკითხებს აცნობს: საგნის მიზნები და ამოცანები. კულტურის დინამიკის თანამედროვე პრობლემები კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიაში. კავკასია: კულტურათა ერთობა და მრავალფეროვნება. ხელისუფლების ბუნება ადამიანის „ბუნებაში“. როგორ წარმოიქმნა კაცობრიობა; ეთნოგენეზი; სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია; მატერიალური და სულიერი კულტურა; რელიგია. ესაა სრული ქაოსი. რომელი საკითხის განხილვა უნდა მოასწროს ლექტორმა 2 საათის განმავლობაში? ამ ლექციაში საერთოდ არ უნდა იყოს კაცობრიობის წარმოქმნის პრობლემა და ეთნოგენეზი. ეს ორი საკითხი ანთროპოლოგიას საერთოდ არ აინტერესებს და ვერც ერთ ანთროპოლოგიურ ნაშრომში ამ პრობლემებს ვერ შეხვდებით. როგორ უნდა გადაბას კაცობრიობის წარმოქმნისა და ეთნოგენეზის პრობლემებს სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხები? ამავე ლექციაში ლექტორი მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხებსაც ეხება და რელიგიასაც. ამ ლექციას მითითებული აქვს ისეთი ლიტერატურა, რომელიც არ უნდა იყოს მითითებული. ეს ეხება არა მხოლოდ ლიტერატურის ძირითად ჩამონათვალში დასახელებულ ზ. კიკნაძისა და ე. კოდუას ნაშრომებს, არამედ სხვებსაც, დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულ სუნისა და ტიშკოვის ნაშრომებს, აგრეთვე ქ. პავლიაშვილის, გ. ლორთქიფანიძისა და ნ. ჩიქოვანის წიგნებს. რომელ თემას შეესაბამება ეს წიგნები, აუხსნელია. პირველ წიგნს ჰქვია „საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში“, მეორე წიგნს კი — „ქართული კულტურის ისტორია“. კაცობრიობის წარმოქმნისა და ეთნოგენეზის პროცესები თუ რა ლიტერატურით უნდა შეისწავლონ სტუდენტებმა, გაუგე-

ბარია.

II ლექცია: „სტრუქტურული ანთროპოლოგიური ანალიზი. პრიმორდიალისტური, კონსტრუქტივისტული და კომპარატიული მიდგომები. „დიფუზიონიზმისა“ და „ავტონომიზმის“ შეხამების პრობლემები. მოხსენებები: 1. ძირითადი ცნებები: ერი, სახელმწიფო, ერი-სახელმწიფო. 2. ეთნოსი — მითი თუ რეალობა.“ რა შუაშია სტრუქტურული ანთროპოლოგიური ანალიზი, როდესაც კვიციანი სტუდენტებს კავკასიის კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიას ასწავლის? რა კავშირშია ერის პრობლემა სტრუქტურული ანთროპოლოგიის პრობლემებთან? ვინმემ შეისწავლა კავკასია სტრუქტურული ანთროპოლოგიის თვალსაზრისით? მე-2 ლექციასთან მითითებული ლიტერატურაც შეუსაბამოა. ლ. პატარიძის სტატია ქართულ ენაში ტერმინს „ერი“ ეხება, ზ. დავითაშვილის წიგნი — ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის პრობლემებს, თ. ფუტკარაძის წიგნი — პოლიეთნიკურ რეგიონებში ეთნოკულტურის პროცესებს. ანთროპოლოგიაში „დიფუზიონიზმი“ რა ლიტერატურით უნდა შეისწავლოს სტუდენტმა? ამავე ლექციის გასწვრივ მითითებულია ცნობილი რუსი ფიზიკური ანთროპოლოგის — ვ. ალექსეევის წიგნი „ეთნოგენეზი“. რა შუაშია აქ ეს წიგნი. თანაც ეს წიგნი იმდენად სპეციფიკურია, რომ ამ მონოგრაფიის შესწავლა სტუდენტს გაუძნელდება, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს, ან რა კავშირშია ეს წიგნი კავკასიის კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიასთან, ისე, საინტერსოა, სტუდენტი წინასწარ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას რომ მოიმარაგებს და შემდეგ თითოეული ლექციის პირდაპირ კიდევ საკმაოდ ბევრ ლიტერატურას აღმოაჩენს, რა ხასიათზე დადგება?

III ლექცია: „სამეურნეო კულტურის კონცეფცია: სამეურნეო კულტურის დახასიათება საზოგადოებაში: საყოფაცხოვრებო, მენტალური და საყოფაქცევო ასპექტები. ანთროპოლოგიური ზეწოლა ლანდშაფტზე და სოციალური ევოლუციის პრობლემა.“ ამ ლექციით მთავრდება ჯ. კვიციანისეული ანთროპოლოგიის ზოგადი პრობლემების შესწავლა და აქაც ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ერთმანეთთან დაუკავშირებელი საკითხი. ლექტორი ლევისტროსისა და კუბელის წიგნებს რომ იცნობდეს, სავარაუდოდ, არც ერთს არ მიუთითებდა.

IV ლექციიდან ლექტორი უკვე კავკასიის ძირითადი ეთნოსების ეთნოლოგიურ დახასიათებაზე გადადის; აი, ეს საკითხები: „კავკასიის ძირითად ეთნოსთა დახასიათება. ადამიანის სოციოკულტურულ და ეკოლოგიურ გარე-

მოსთან ადაპტაციის პრობლემები კავკასიაში. ადიღები; ბალყარ-ყარაჩაელები; ოსები; ვაინახები: ეთნოგენეზი და ეთნოკულტურული ურთიერთობები.“ ხაზგასმით ვადასტურებ, რომ ანთროპოლოგია ეთნოსებს არ სწავლობს. სწორედ ეს განასხვავებს მას ეთნოლოგიისაგან. ბოროტებაა ამ სალექციო თემის გასწვრივ ბ. კალოევის წიგნის დასახელება.

VI ლექციაზე ლექტორი სტუდენტებს შეასწავლის საკითხებს: „ქართველები; აზერბაიჯანელები; სომხები: ეთნოგენეზი და ეთნოკულტურული ურთიერთობები.“ აქ არ უნდა იყოს მითითებული გაჩევისა და შნირელმანის წიგნები. საერთოდ, ქართველთა სიძულვილით დაწერილი შნირელმანის წიგნი ანტიქართული და არასამეცნიეროა. ამ წიგნში ეს ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართველები კოლხეთის თავდაპირველი მკვიდრნი არ იყვნენ, რომ კოლხური კულტურა აფხაზთა კუთვნილებაა. ასეთი „მარგალიტები“ უნდა შევთავაზოთ ჩვენს სტუდენტებს? ქართველთა ეთნოგენესზე თუ ესაუბრება ლექტორი სტუდენტებს, ამ პრობლემაზე საჭირო არ იყო ლიტერატურის მითითება? აქ, პირველ რიგში, გ. მელიქიშვილის ნაშრომი უნდა დაესახელებინა და ჩვენი წიგნი „ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები“. VIII ლექციაში კავკასიელი ხალხების ადათობრივ სამართალთან ერთად ჯ. კვიციანი შეასწავლის საკითხს — „ეთნიკური დინამიკა თანამედროვე სამხრეთ კავკასიაში“. ამ ლექციის ირგვლივ მითითებული ვერც ერთი ლიტერატურით აღნიშნულ საკითხს სტუდენტები ვერ შეისწავლიან. აღარ ჩამოვთვლი იმ მრავალრიცხოვან საკითხებს, რომლებიც IX ლექციაშია თავმოყრილი. გაურკვეველია რატომაა ამ ლექციის გასწვრივ შემდეგი ლიტერატურა: შ. მალაშხია, კონფლიქტები. პროგნოზირება; ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია; ა. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი თუ რეალობა; გ. ნოდია, კონფლიქტი აფხაზეთში — მიზეზები და გაზრება. მთლად გაუგებარია მ. ბლიევის წიგნის მითითება, რომელიც სიყალბეებითა და ქართველთა სიძულვილითაა დაწერილი. ამ წიგნით ის უნდა ასწავლოს ქართველ სტუდენტებს, რომ ვახტანგ გორგასალი ჩრდილოეთ კავკასიაში კი არა და სამხრეთ ოსეთში შეებრძოლა ოს-ბაყათარს? X ლექციის თემა ძირითადი კონფესიები კავკასიაში და კიდევ სხვა მისთანები ნ. ნათაძის წიგნით „ერი და ეროვნული კულტურა“ უნდა ისწავლონ? XI ლექციასთან რა შუაშია მ. გონიკიშვილის, ა. სონღულაშვილის წიგნები. XIII ლექციასთან სრულ შეუსაბამობაშია ა. ტერ-სარქისიანცის წიგნი „სომხები“.

მოვითხოვ, ეს და, ალბათ, სხვა სილაბუსიც სერიოზულ მეცნიერთაგან

დაკომპლექტებული კომისიის შეისწავლის საგნად იქცეს.

აქვე ერთი ჩანართი უნდა გავაკეთო. კავკასიოლოგიის მიმართულების ისტორიის მოდულის ყველა სილაბუსი შემოწმებას მოითხოვს. ამის საფუძველს მაძლევს სულ ახლახან დაბეჭდილი წიგნი „კავკასიის ისტორიული გეოგრაფია", რომლის ავტორიც გახლავთ მოწვეული ლექტორი ს. ზედელაშვილი. ამ წიგნით კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა ბოროტებაა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით!). ს. ზედელაშვილს, რომელიც კავკასიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის, ც. ბარამიძის მეულლეა და საკანდიდატო დისერტაცია ჯ. კვიციანის ხელმძღვანელობით აქვს დაცული, საერთოდ არავითარი ცოდნა არა აქვს კავკასიის ისტორიაში და, მით უმეტეს, ისტორიულ გეოგრაფიაში. მან, საერთოდ, ისიც კი არ იცის, რას შეისწავლის ისტორიული გეოგრაფია. სათანადო კომისიას ამის გარკვევა არ გაუჭირდება.

ახლა კავკასიოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის კავკასიის ეთნოლოგიის სწავლების შესახებ. ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანი „კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია", რომელსაც მე ვკითხულობდი და ვკითხულობ, უნუვერსიტეტში არსებული წესის თანახმად, გადატანილი იყო კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ასევე სავალდებულო საგნად. მაგრამ რატომღაც ამ პროგრამის ხელმძღვანელს, ც. ბარამიძეს, ჩემი პერსონა აღარ მოეწონა და მისი წაკითხვა შესთავაზა ჩემს კოლეგას გ. გოცირიძეს. გ. გოცირიძემ უარი განაცხადა და ფაკულტეტზეც აუხსნეს, რომ ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება, უნივერსიტეტს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ერთი საგანი ორმა პროფესორმა წაიკითხოს. ც. ბარამიძემ კი საერთოდ ამოიღო საბაკალავრო პროგრამიდან „კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია". ამის შემდეგ, მომავალი კავკასიოლოგები კავკასიის ეთნოლოგიის ცოდნის გარეშე რომ არ დარჩენილიყვნენ, დისციპლინა სამაგისტრო პროგრამაში გადაიტანეს, ოღონდ სახელი „შეუფუთეს" და მას „კავკასიის კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია" დაარქვეს და მისი წაკითხვა ჯ. კვიციანმა იკისრა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჯ. კვიციანს საერთოდ არავითარი ცოდნა არ აქვს კავკასიის ეთნოლოგიისა და, თუგინდ, კავკასიის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის შესახებ.

კავკასიოლოგის სპეციალობის სტუდენტებს ასევე ეკითხებოდათ „აფხაზთა ეთნოლოგია", რომელსაც მოწვეული ლექტორი, აფხაზეთის ეთნოლოგიის ერთადერთი სპეციალისტი ს. ბახია-ოქრუაშვილი კითხულობდა (მან აფ-

ხაზთა ეთნოლოგიის შესანიშნავი სახელმძღვანელოც დაწერა). კვლავ ვადასტურებ, რომ ქალბატონ სალომეს იმიტომ აღარ მისცეს აღნიშნული კურსის წაკითხვის საშუალება, რომ ის ცნობილი მეცნიერის, თეიმურაზ გვანცელაძის, რეკომენდაციით იყო მიწვეული.

ჯ. კვიციანი ძალიან გაუნაწყენებია იმ ფაქტს, რომ მას როგორც ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად მოიხსენიებ. ეს, თურმე, ჩემი გამიზნული სიცრუეა. ეტყობა, უმცროსი-მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა მისთვის, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორისათვის, ძალიან შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. სამეცნიერო ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლისა და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობები ერთმანეთის ფარდი იყო — მეცნიერის მესამე პოზიცია ხან ერთი სახელით იყო ნომენკლატურაში შეტანილი და ხან მეორეთი. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეორე კონკურსის დროს, 2009 წელს, ჯ. კვიციანს, როგორც უკვე უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, სურვილი გაუჩნდა მთავარი მეცნიერი-თანამშრომლის თანამდებობა დაეკავებინა. მისი განცხადებით, უხერხული იყო პროფესორისათვის რანგით დაბალ პოზიციაზე ყოფნა. კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაში ორი მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ადგილზე სათანადო კვალიფიკაციის ეთნოლოგები მუშაობდნენ. რა თქმა უნდა, ჩემგან პასუხი მიიღო, რომ მხარს არ დავუჭერდი. ამის შემდეგ ვიფიქრე, რომ მისთვის უხერხულ მესამე პოზიციის დაკავებაზე უარს იტყოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, მან კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა და მისი მეგობრებით დაკომპლექტებულმა კომისიამ არა ახალგაზრდა მომავალ პერსპექტიულ მკვლევრებს დაუჭირა მხარი, არამედ ადამიანს, რომლისთვისაც უხერხული იყო მესამე საფეხურზე ყოფნა.

კიდევ ერთი ციტატა: *„ეთნოლოგი რ. თოფჩიშვილი, რომელიც არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს და თავს უფლებას აძლევს აკადემიურ წრეში, კერძოდ, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე (2011 წ.) საჯაროდ მოიხსენიოს მეზობელი ჩრდილოკავკასიელები დაბალი კულტურის, ცივილიზაციის არმქონე „ფაფაზიან ხალხებად“ და განაცხადოს, რომ პირადად მას „ერთ კულტურულ სივრცეში მათთან ერთად თავის მოაზრება დამაკნინებელად მიაჩნია“ (არიან მისი ამ გამონათქვამების მოწმე პროფესორ-მასწავლებლები), რამდენად არის გამართლებული პრეტენზიებს უყენებდეს კოლეგებს მორალსა და სამეცნირო კეთილსინდისიერებაზე? მისი*

აზრით, ჩერქეზები (ყაბარდოელები, ადიღეელები) თურმე პირის კულტურასაც კი არ იცნობდნენ და რუსებისაგან უსესხებიათ იგი (მითითებული აქვს ჩემი წიგნის სათანადო გვერდი — რ. თ.), თურმე კავკასიელ ხალხებს უფრო მეტი განსხვავებული ჰქონდათ, ვიდრე საერთო, ჩრდილოეთკავკასიელების კულტურა ცივილიზაციაში ვერ გადაიზარდა". აქ რამდენიმე საკითხია ჯ. კვიციანის მიერ წამოწეული და იძულებული ვარ, ვუპასუხო. მაგრამ სანამ ვუპასუხებ, ამ პერსონამ, თავის დროზე ცილი დამწამა, რომ მე თითქოს კავკასიის ხალხებს სტუმრებად და მასპინძლებად ვყოფ. ეს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა არ იყო? ასეთი ფაშისტური იდეების მოწერის გამო პროფესიული ეთიკის დარღვევაში უნდა დამედანაშაულებინა! თურმე, მე ისიც კი დავწერე, რომ მარტო ქართველები არიან ერთადერთი ხალხი კავკასიური წარმომავლობის (დაწვრილებით იხილეთ ჩემი წიგნი „მითი კავკასიური ცივილიზაციის შესახებ").

ჯ. კვიციანი ხაზს უსვამს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებს მე დაბალი კულტურის ხალხებად მოვიხსენიებ. მადლობა ღმერთს, არ დაწერა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებს მე უკულტურო ხალხებად მოვიხსენიებ. დიახ, ის და მისი კავკასიოლოგი კოლეგები უნივერსიტეტში ავრცელებდნენ ასეთ ჭორებს და ზემოთ დასახელებული ჩემი წიგნის 29-ე გვერდს ასახელებდნენ. მაგრამ, როცა ყველასაგან პასუხი მიიღეს, რომ რ. თოფჩიშვილს წიგნში ასეთი რამ უწერია, ახლა შეარბილეს თავიანთ ცილისწამება და „დაბალი კულტურით" დაკმაყოფილდნენ. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უკულტურო ხალხი არ არსებობს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სხვადასხვა ხალხმა კულტურის სხვადასხვა დონეს მიაღწია. დიახ, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების კულტურა ქართულ კულტურასთან შედარებით დაბალ დონეზე იდგა. ყველაფერი სათვალავითაა. ჩემს წიგნში საამისო მასალა დიდი რაოდენობით მაქვს მოყვანილი და დაინტერესებულთ ყველა არგუმენტი მასში შეუძლიათ მონახონ. მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავ: V საუკუნიდან დამწერლობის მქონე ხალხისა და უდამწერლობო ხალხების კულტურა ერთი დონის იყო? ამასთან დაკავშირებით მე ხმამაღლა განვაცხადე: ვინც ერთ სიბრტყეზე აყენებს ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებისა და ქართველების კულტურას, ის აკნინებს ქართულ კულტურას. დღესაც ამ აზრზე ვარ და არც არასდროს არ შევიცვლი ამ შეხედულებას და ეს შეხედულება ჩამოყალიბებული მაქვს კულტურის ყველა ელემენტის ერთმანეთთან შედარებით, განსხვავებული სოციალური ვითარებითა და პოლიტიკური ისტორიით. ამის შემდეგ გამოვიდე

და ვიჩივლო, დასაჯეთ ჯ. კვიციანი და მისი მიმდევარი კავკასიოლოგები, რომლებიც ქართულ კულტურას ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების კულტურის დონეზე აყენებენ? დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ჩრდილოეთ კავკასიელთა და ქართველთა კულტურას ათანაბრებს, ის ქართული კულტურის უცოდინარი და დამაკნინებელია. ყოველივე ამას ისღა შემიძლია დავამატო, რომ ამ იდეების დამნერგავნი ვილაცის შეკვეთას ხომ არ ასრულებენ ქვეყნის გარედან? ვერასდროს ვერ წარმოვიდგენ ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს ერთი ცივილიზაციის წარმომადგენლებად. მე, როგორც მეცნიერს, ამის დაწერის უფლება მქონდა; ცივილიზაციას თავისი ნიშნები აქვს და ჩრდილოეთკავკასიელ ხალხებს ცივილიზაციის არც ერთი ნიშანი არ გააჩნდათ. ამის გამოა, რომ ჯ. კვიციანი და მისი კავკასიოლოგი კოლეგები ყალყზე შედგნენ და რ. თოფჩიშვილი კავკასიელებისა და კავკასიოლოგების მოძულებად გამოაცხადეს.

„ფაფახიანი ხალხის“ შესახებ. ფაფახიანობა თუ მითქვამს, ეს ხალხების შეურაცხყოფის კონექსტში არ ყოფილა ნათქვამი. ყოველთვის იმას აღვნიშნავდი, რომ ფაფახი ქართველი ხალხის კულტურის ელემენტი არაა. ჩვენთან ამ თავსაბურავს მხოლოდ მთიელი მეცხვარეები ატარებდნენ. სამწუხაროდ, ბოლო დროს ფაფახი ქართველებმა რატომღაც ქართველობის სიმბოლოდ გამოაცხადეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთნოლოგიის მიზანი ეთნოსთა კულტურების შედარებაცაა. დიახ, მე დავწერე, რომ ადიღეელები (ყაბარდოელები და ჩერქეზები) პურის კულტურას არ იცნობდნენ და როდესაც ამას ვწერდი, წყაროებს ვეყრდნობოდი და არა ჰაიჰარად ნათქვამ სიტყვებს. ჯ. კვიციანს ჰგონია, რომ ამით ჩრდილოეთ კავკასიელებს მიზანმიმართულად უკულტურო ხალხად ვაცხადებ. თუ რამე არ იცი, სათანადო ლიტერატურაში ხომ მაინც უნდა ჩაიხედო. ასეთი კი უხვად არსებობს. ამის შემდეგ მას უკვირს, როდესაც ვწერ, რომ ჯ. კვიციანს კავკასიის შესახებ სრულყოფილი ცოდნა არ აქვს. მას და მის დამცველ კავკასიოლოგ ენათმეცნიერებს მოვახსენებ, რომ მეცნიერთა მიერ მიწათმოქმედების ოთხი ფორმაა გამოყოფილი; ესენია: პრიმიტიული მიწათმოქმედება, ექსტენსიური მიწათმოქმედება, გარდამავალი მიწათმოქმედება და ინტენსიური მიწათმოქმედება. ადიღეური ტომების მიწათმოქმედება პრიმიტიული იყო. რატომ? — იმიტომ, რომ მათ მიწის განოყიერება არ იცოდნენ, ამიტომაც ნიადაგის გამოფიტვის შემდეგ ისინი დასახლებულ პუნქტს ადგილს უცვლიდნენ. ამის შესახებ საკმაოდ ბევრი ცნობა აქვთ შე-

მონახული ევროპელ ავტორებს. ამიტომაცაა, რომ, ვინც ქართველთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა სამიწათმოქმედო კულტურას იცნობს, ვერასდროს ვერ დაიჯერებს, რომ ქართველები და ჩვენი ჩრდილოეთით მცხოვრები ეთნოსები ერთი ცივილიზაციის შემქმნელნი იყვნენ. მეცნიერება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს ეყრდნობა. კავკასიის „ყოვლისმცოდნემ" უნდა იცოდეს ყველა ფაქტი კავკასიის შესახებ და დასკვნები ისე უნდა გააკეთოს, ისე ისაუბროს ე. წ. კავკასიური ცივილიზაციის შესახებ. მე ნამდვილად დავწერე, რომ „სამხრეთ კავკასიელებისათვის თუ ძირითად საკვებს პური წარმოადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის – არა. ყაბარდოელებმა/ადიღეელებმა პურის კულტურა არ იცოდნენ. ის რუსებისაგან შეითვისეს. მათი ძირითადი საჭმელი იყო „პასტა" – ფეტვის (ღომის) უმარილო სქელი ფაფა. გაციებულ სქელ ფაფას ნაჭრებად შეექცეოდნენ. ცნობილია, რომ საკვები და, რა თქმა უნდა, სასმელიც, წარმოადგენს ეთნიკური სტერეოტიპის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და მკაცრადაა დაკავშირებული ეთნოსის მეურნეობასა და, შესაბამისად, მისი ბინადრობის გარემოსთან. კულტურის ამ სფეროშიც განსხვავება აშკარაა." იძულებული ვარ, ჩემი დაბეჭდილი ნაშრომიდან კვლავ ამონარიდი მოვიყვანო: „ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ მეურნეობის სფეროში პრიმატი მეცხოველეობას ჰქონდა. ყაბარდოში წამყვანი დარგი მეცხენეობა გახლდათ. გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთმა ხალხმა საერთოდ უარი თქვა მიწათმოქმედებაზე, რადგან ძირითად შემოსავალს თარეშები აძლევდა. მაგალითად შეიძლება ხუნძები დავასახელოთ. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩერქეზების შესახებ ერთ-ერთი ისტორიკოსი წერდა: *„ჩერქეზებს არავითარ ჩემთხვევაში არ შეიძლება მიწათმოქმედი ხალხი ეუწოდოთ. ისინი ხელებს ომისათვის უფრთხილდებიან". ნ. დუბროვინი* მათ მთავარ სიმდიდრედ ცხენების ძალიან დიდ ჯოგებსა და ცხვრის ფარებს თვლიდა. იტალიელი *კ. გლავანი* კი ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთ ადიღეელები *„საჭმელად ბევრ ხორცს და ცოტა პურს გამოიყენებენ, რომელსაც ფეტვის ფქვილისაგან აცხობენ".* 1821 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა შოტლანდიელი მოგზაური *რობერტ ლაიელი*, რომელიც აღნიშნავდა, რომ *„კავკასიის მთიელ ტომებს ძალიან ბევრი საერთო აქვთ და ცდილობენ გააგრძელონ ცხოვრების ის გზა, რომელსაც მათი წინაპრები მისდევდნენ. მიწათმოქმედებას მისდევენ მცირედ. მათი ძირითადი საქმიანობა ნადირობა, მესაქონლეობა და ძარცვაა".*

ყაბარდოელებში მიწათმოქმედებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ყაბარდოული კაბაკების (დასახლებების) ხშირი ადგილმონაცვლეობის მიზეზი მიწების გამოფიტვაც იყო. ევლია ჩელების სიტყვებით, დასავლეთ ადიღეელები ხშირად გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე და *„ამის გამო ჩერქეზთა ამ ქვეყანაში არაა არც ბაღები, არც ვენახები და არც მუდმივი საცხოვრებლები“*. მოყვანილი საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, თუ რაოდენ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სამხრეთკავკასიური და ჩრდილოეთ კავკასიური მეურნეობის ფორმები. ეს სხვაობაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ისინი ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის წარმომადგენლებად მივიჩნიოთ.“ „პასტის“ ჭამა თუ უკულტურობის გამოხატულება იყო, ნამდვილად არ ვიცოდი. პურს არც კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები ქართველები ჭამდნენ და მათი საკვები ძირითადად ფეტვის (ღომის) ფაფა იყო. იმიტომ კი არა, რომ მათ ხორბლის კულტურის არსებობა არ იცოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და კლიმატი ამის საშუალებას არ აძლევდა. იქნებ ჟან შარდენის „მოგზაურობაში“ ჩაგვეხედა: „ჩერქეზები, მეგრელები, თურქეთის მოხარკე ქართველები, აფხაზები, კავკასიის მცხოვრებლები, ყველა ისინი ვინც შავი ზღვის სანაპიროზე მეოტიდის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე ცხოვრობენ, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაფით იკვებებიან; ეს არის მათი პური, სხვა მათ არ გააჩნიათ რა“ (გვ. 112). „გარდა ღომისა, სამეგრელოში მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი, უფრო ნაკლებად ბრინჯი, ხორბალი და ქერი ძალიან მცირე რაოდენობით. ხორბლის პურს მხოლოდ შებლეულები ჭამენ, როგორც დელიკატესს, მდაბიო ხალხმა მისი გემოც კი არ იცის“ (გვ. 113). სხვათა შორის, ცნობილია, რომ ვენეციელთა ძირითადი საკვებიც „პასტა“ იყო.

დიახ, დღესაც ვადასტურებ, რომ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს ქართველთაგან უფრო მეტი განმასხვავებელი ჰქონდათ, ვიდრე საერთო. ამიტომაცაა რომ ქართველები არ არიან ამ ე. წ. კავკასიური ცივილიზაციის ნაწილნი. მეცნიერებაში დიქტატის დრო დიდი ხანია, წავიდა. მე ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელები ცეკადან წამოსული იდეების დასაფუძვლებას კი არ მთხოვდნენ, არამედ ფაქტების ანალიზს. ამიტომაა, რომ ამ დიქტატს ჩვეულ ქართველ კავკასიოლოგთა ერთ ნაწილს ვერ წარმოუდგენია და ვერ აუტანია განსხვავებული სამეცნიერო აზრი, რადგან თავიანთი კეთილდღეობა იაფფასიან ახირებებზე აქვთ აგებული. სამეცნიერო არგუმენტების არმქონე ზოგიერთი მეცნიერი ცილისწამებას მიმართავს. ასეთი ცილისმწამებელი გახლავთ კავკა-

სიოლოგებისა და პირადად ჯ. კეციანის „მოძღვარი“ ც. ბარამიძე. მისი სიტ-ყვით, *„რ. თოფჩიშვილი უნივერსიტეტში ცნობილია ანტიკავკასიური და ანტიკავკასიოლოგიური საქმიანობით.“* კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხებში განსხვავებული სამეცნიერო შეხედულება თურმე ანტიკავკასიე-ლობასა და ანტიკავკასიოლოგიურ საქმიანობას ნიშნავს. რას ვიზამთ, აქამდე დავიდა ჩვენი მეცნიერება! მოვითხოვო ეთიკის კომისიისაგან ც. ბარამიძის დასჯა? არ მაინტერესებს ბარამიძისა და მის მსგავსად „მოაზროვნე“ პერსო-ნებს ჩემზე რა შეხედულება აქვთ. სამეცნიერო კამათი მე მხოლოდ მეცნიე-რებთან შემიძლია და არა ისეთ პიროვნებებთან, რომლებსაც აკვიატებული აზრები აქვთ.

კავკასოლოგების ლიდერად მოვლენილი ენათმეცნიერები თავს უფლე-ბას აძლევენ, შეიჭრან სხვა მეცნიერების, ამ შემთხვევაში საისტორიო და ეთნოლოგიური მეცნიერებების, სფეროში. ც. ბარამიძე იმასაც წერს, რომ ჩემი *„რჩეული გიორგი ჟუჟუნაშვილი არანაირი საქმიანობით არ გამოირჩევა (თუ არ ჩავთვლით მის მიერ ფაკულტეტის მატერიალურად მომარაგებას).* ***მისი ნაშრომები არ შეესაბამება კავკასიოლოგიის კომპეტენციას, კონ-ცეპტუალურად კი ის ვალდებული იქნება შეასრულოს და გაატაროს იგივე საზი, რასაც მისი გულშემატკივარი და გულშემატკივარის გულშემატკივრები ატარებენ.*** *ეს ყოველივე შეუსაბამოა კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სასწავ-ლო-სამეცნიერო კონცეფციასთან, რომელიც ეფუძნება ივ. ჯავახიშვილისა და არნ. ჩიქობავას, მთლიანად ქართული კავკასიოლოგიური სკოლის სამეც-ნიერო მემკვიდრეობას, რომელიც, სამწუხაროდ, პროფესორმა თოფჩიშვილმა ისტორიის სანაგვეზე მოისროლა (იხ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 6, გვ. 60).“* ამ სტრიქონების ნებისმიერ წამკითხველს ის აუცი-ლებლად XX საუკუნის 30-იან წლებში დაწერილი ეგონება. ის კი დღესაა დაწერილი. მე ვეკითხები ამ სტრიქონების დამწერსა და მის აპოლოგეტ ენათმეცნიერ კავკასიოლოგებს: თქვენი მეცნიერება XX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ წინ აღარ წასულა? ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მეცნიერუ-ლი მიგნებები აბსოლუტური ჭეშმარიტება არაა. რა კომპეტენციებზეა საუბა-რი. ვინ მოგცათ თქვენ უფლება მეცნიერ-ისტორიკოსთა კომპეტენციებზე ისაუბროთ? თქვენი კონცეფცია, როგორც ჩანს, კავკასიურ ცივილიზაციაში ქართველთა შეყვანით შემოიფარგლება, რასაც კავკასიოლოგ ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფისა და ორიოდე ისტორიკოსის გარდა, სხვა არავინ არ იზიარებს. სირცხვილია, დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები

რაღაც ხაზების გატარებაზე საუბრობდნენ. რა არის კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კონცეფცია? ის, რომ კავკასიური ენების ოჯახს კავკასიური ცივილიზაცია შეესაბამება? ესაა მეცნიერება? რა მოისროლა როლანდ თოფჩიშვილმა ისტორიის სანაგვეზე? ივანე ჯავახიშვილის პატივისცემას მე მასწავლით? რა მესაქმება ქართული კავკასიოლოგიური სკოლის სამეცნიერო მემკვიდრეობასთან, რომლის ისტორიის სანაგვეზე მოსროლას მაბრალებენ? კავკასიელებისა და კავკასიოლოგთა სიძულვილს მაბრალებენ. ამაზე მეტი ცილისწამება შეიძლება? კავკასიოლოგთა თანამედროვე თვითმარქვია „ლიდერი“ ანტიკავკასიურ და ანტიკავკასიოლოგიურ საქმიანობას მაბრალებს. გავიქცე დისციპლინურ კომისიაში ან სასამართლოში? განსხვავებული სამეცნიერო შეხედულება ანტიკავკასიური და ანტიკავკასიოლოგიური საქმიანობაა? რა აქვს ამას საერთო XXI საუკუნის მეცნიერებასთან? ამის დასადასტურებლად როდესაც ჩემი ნაშრომის დასკვნით მე-60 გვერდს უთითებენ, უმჯობესი არ იყო, მკითხველისათვის ბრჭყალებში მე-60 გვერდი შეეთავაზებინთ? ჩემს სამეცნიერო წერილში მხოლოდ ეთნოგენეზის პროცესზეა საუბარი, რომლის შესახებაც ზოგიერთი კავკასიოლოგი ენათმეცნიერი ავტორიტეტულად საუბრობს, რომ საბოლოოდ გადაწყდა ენათმეცნიერთა გამოკვლევებით ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა. ჩემს ნაშრომში მხოლოდ ის აღინიშნა, რა არის ეთნოგენეზის პროცესი, რომელი მეციერებების ძალისხმევით წყდება ის და რომ მხოლოდ ამ საკითხზე ლინგვისტური მონაცემებით აპელირება XIX საუკუნის მეცნიერების დონეზე დარჩენას ნიშნავს, რომ ეთნოგენეზი და გლოტოგენეზი ერთი და იგივე მოვლენა არაა. ისიც გარკვევით უნდა აღვნიშნო, რომ, როდესაც მე ამას ვწერ, მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებს ვეყრდნობი, რომელთა ნაშრომები, როგორც ჩანს, ჩემს „კრიტიკოს“ ქალბატონს წაკითხული არა აქვს.

რა მორალური და მეცნიერული უფლება მაქვს „ქართული კავკასიოლოგიური სკოლის სამეცნიერო მემკვიდრეობას“ შევეხო. მე მხოლოდ ჩემს მეცნიერებასთან კავშირში შევეხე მას. ისე, საინტერესოა, „ქართული კავკასიოლოგიურ სკოლაში“ სიახლეები არ იქმნება? მაინცდამაინც 70-80 წლის წინ ჩამოყალიბებული სამეცნიერო შეხედულებების გამეორებაა „ქართული კავკასიოლოგიური სკოლის სამეცნიერო მემკვიდრეობისადმი“ ერთგულება? თუ ეს ასეა, ეს ხომ მეცნირებაში ბელადომანიის შენარჩუნებას ნიშნავს! დიახ, საბჭოთა მეცნიერებაში ბელადომანია არსებობდა, რაც ითვალისწინებდა ცეკას ბიუროკრატიული სტრუქტურის მეცნიერებაში გადმოტანას. მოგეხსენე-

ბათ, რასაც ცეკას მდივანი იტყოდა, ის აბსოლუტური ჭეშმარიტება იყო და განსხვავებული იდეა, აზრი არავის უნდა ჰქონოდა. იგივე ხაზი საბჭოთა პერიოდში მეცნიერებაში იყო დანერგილი და ამის შედეგი იყო მეცნიერებაში ცეკას ბელადების ანალოგიურად მეცნიერების ბელადების შექმნა. მეცნიერი ბელადების შეხედულებები სამუდამო იყო, სხვებს განსხვავებული სამეცნიერო შეხედულებები არ უნდა განევითარებინათ, მხოლოდ ბელადის იდეები უნდა შეემაგრებინათ, რადგან ესა თუ ის პიროვნება იყო ამა თუ იმ სკოლის ფუძემდებელი. სხვათა შორის, ე. წ. „მეცნიერების სკოლები" მხოლოდ საბჭოთა მეცნიერებისათვის იყო დამახასიათებელი. საუბრობდნენ ქართული მეცნიერების სკოლაზე, პეტერბურგულ სკოლაზე, მოსკოვურ სკოლაზე, სომხურ სკოლაზე, უკრაინულ სკოლაზე, რომლებიც ბელადის, ლიდერის არსებობას აუცილებლად მოითხოვდა და მათგან განსხვავებული მოსაზრებაც არავის უნდა ჰქონოდა. იმიტომაც დავწერე, რომ ეთნოგენეზის პრობლემასთან მიმართებით, ქართული ენათმეცნიერების მხოლოდ ზოგიერთი წარმომადგენელი XIX საუკუნის მეცნიერების დონეზეა.

საინტერესოა, რატომ აძლევენ კავკასიოლოგი ენათმეცნიერები უფლებას საისტორიო მეცნიერების სფეროში ჩაერიონ? მას შემდეგ, რაც გ. ჟუჟუნაშვილს საკონკურსო კომისიამ გამარჯვება მიაკუთვნა, არ შეწყდა წერილების წერა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელზე თუ სხვა ინსტანციებში, პროცესებში აქტიურად ჰყავდათ ჩართული კავკასიოლოგიის „გულშემატკივარი" დეპუტატიც. წერილებს აწერინებდნენ გარეშე პიროვნებებსაც. მორალურია თუ არა ასეთი საკითხების განხილვის დროს პროცესში სტუდენტების ჩართვა, რომლებსაც ჯერჯერობით არავითარი კომპეტენცია არა აქვთ. მე ამას მთელი სერიოზულობით ვამბობ, რადგან „უკმაყოფილო" სტუდენტებში ისეთი სტუდენტებიც შევიცანი, რომლებიც ორ წინადადებას ერთმანეთზე ვერ აბამენ. გ. ჟუჟუნაშვილის მიმართ ასეთი აგრესია იმის გამოა, რომ ის არა პარტისტორიის სპეციალისტი, არამედ ნამდვილი ისტორიკოსია. როდესაც ენათმეცნიერთა გარკვეული ჯგუფი გ. ჟუჟუნაშვილს ცილს სწამებს, რომ ის რუსისტია და არა კავკასიის ისტორიის სპეციალისტი, ისინი თავიანთ უცოდინარობას ამჟღავნებენ. გ. ჟუჟუნაშვილს არა ერთი და ორი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული კავკასიის ისტორიაში და ის კავკასიის ისტორიას რუსეთის ისტორიის და საქართველოს ისტორიის პრიზმაში სწავლობს. ხომ არ ავიწყდებათ ვიღაც-ვიღაცებს, რომ უკანასკნელი ორი საუკუნეა კავკასია რუსეთის იმპერიის კოლონიაა და XVIII-XX საუკუნეების კავკასიის ისტო-

რიის კვლევა რუსეთის ისტორიისაგან მოწყვეტით არ შეიძლება? მიზეზი ახსნადია, გ. ჟუჟუნაშვილი იმიტომ არ უნდა იყოს კავკასიის ისტორიის პროფესორი, რომ ზოგიერთის დოგმატურ აზროვნებაში არ ჯდება, იმიტომ, რომ ის ზოგიერთივით არ იმეორებს რუსეთის უშიშროების სამსახურების მიერ შემოგდებულ ე. წ. კავკასიის ცივილიზაციის იდეას და შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ც. ბარამიძის მეუღლის დაწინაურებას.

უნივერსიტეტი არც კერძო დუქანია და არც „ქუხნა". კვლავ ვიმეორებ, ენათმეცნიერთა საქმეა ენათმეცნიერებას მიხედონ და არ შეიჭრან საისტორიო და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერების და მისი ორგანიზაციის პროცესში. ეს იმის ბრალია, რომ 2009 წელს საკონკურსო კომისიამ კავკასიის ისტორიის პროფესორის ვაკანტური თანამდებობის საკითხი ენათმეცნიერთაგან დაკომპლექტებულმა კომისიამ გადაწყვიტა. დიახ, ბატონების თედო უთურგაიძის, მერაბ ჩუხუას, ქალბატონ რუსუდან ჯანაშიას მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მათი გადასაწყვეტი საკითხი არ იყო, ვინ უნდა გამხდარიყო კავკასიის ისტორიის სრული პროფესორი. ესაა კურიოზი! თუ ვინმე არ დამიჯერებს, ჩაიხედოს 2009 წლის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. ეს არ იყო პროცედურული დარღვევა?

პროცედურული დარღვევა არ იყო, როდესაც 2012 წლის კვალიფიცირებულ ისტორიკოსთაგან დაკომპლექტებულმა საკონკურსო კომისიის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გ. ჟუჟუნაშვილს მიაკუთვნა გამარჯვება და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და აკადემიურმა საბჭომ არ დაამტკიცა კომისიის გადაწყვეტილება? თუ სხვებთან მიმართებით გამოიტანა კომისიამ ობიექტური გადაწყვეტილება, გ. ჟუჟუნაშვილისა და ჯ. კვიციანის კონკურსის ნაწილში შეცდა? ორიოდე ენათმეცნიერის და საეჭვო კომპეტენციის ისტორიკოსის, ს. ზედელაშვილის (რომლის უცოდინრობა ისტორიისა ახლახან დადასტურდა გამოცემული სალექციო კურსით „კავკასიის ისტორიული გეოგრაფია"), წერილების საფუძველზე არ უნდა დაემტკიცებინა აკადემიურ საბჭოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება? უნივერსიტეტში არაფერი იმალება: ყველამ იცის, რომ აკადემიურმა საბჭომ იმიტომ არ დაამტკიცა კომისიის გადაწყვეტილება, რომ საქმეში ერთ-ერთი ცნობილი დეპუტატი ჩაერია. საკონკურსო კომისიას უკან წააღებინეს თავისი გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ზემოქმედებით, რაც ოქმში დაფიქსირებული აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ გოჩა ჯაფარიძეს და, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ სასამართლოში აღიძრას საქმე და გ. ჟუჟუნაშვილ-

მა მიიღოს თავისი კუთვნილი ადგილი. 2009 წლის კონკურსში დარღვეული პროცედურული საკითხების გასაჩივრება თუ ვადაგასულია, 2012 წლისა ხომ არაა ვადაგასული?

ზემოთ აღვნიშნე, რომ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არც კერძო დუქანია და არც ვისიმე „ქუხნა". ეს იმიტომაც ვთქვი, რომ თანამედროვე კავკასიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, რომელიც „ბელადომანიის" ტრადიციებს აგრძელებს, ასოცირებულ პროფესორს გ. ჟუჟუნაშვილს ლექციებს არ აძლევს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამ ფაქტზე რატომ არ რეაგირებს? რა კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი უნივერსიტეტში ავტონომიური უფლებებით სარგებლობს? საქმის არსი სულ სხვა რამეა. აღნიშნული ინსტიტუტის ხელმძღვანელს მოწვეული ჰყავს საისტორიო საგნების წასაკითხად მეუღლე სარდიონ ზედელაშვილი. ამ შემთხვევაში კი ოჯახური ინტერესები ფარავს საერთო საუნივერსიტეტო ინტერესებს. საერთოდ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ს. ზედელაშვილის ცოდნის პატრონი უნივერსიტეტში ლექციებს არ უნდა კითხულობდეს. მისი კომპეტენციის გარკვევა კი კარგად შეიძლება ახლახან დაბეჭდილი კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის სალექციო კურსით. ს. ზედელაშვილსაც გამოუჩნდებიან დამცველი ენათმეცნიერი კავკასიოლოგები და იმაზე აპელირებას მოახდენენ, რომ მას მსმენელი სტუდენტები ჰყავს, ე. ი. კარგი ლექტორია. მაგრამ უნივერსიტეტში ცნობილია, მის საგნებზე სტუდენტები იმიტომ ეწერებიან, რომ ნიშნებს ადვილად წერს. ეს ეკადრება ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილ დიდი ტრადიციების უნივერსიტეტს?

მე მოვითხოვ უნივერსიტეტმა სათანადო კომისია შექმნას და ყველა ეს საკითხი დაწვრილებით შეისწავლოს.

ისევ უნდა დავუბრუნდე განაწყენებულ ჯ. კვიციანს, რომელასაც მე უცოდინარი ვუწოდე. ქვემოთ კიდევ რამდენიმე ფაქტს მოვიყვან და შემდეგ შეიძლება ამ საკითხზე ვიმსჯელოთ ან არ ვიმსჯელოთ. წიგნში „კავკასია და კავკასიელები", რომელიც სტუდენტებს ძირითად ლიტერატურად აქვთ დასახელებული, ასეთ რამეებს ვკითხულობთ: დიაოხის ქვეყანა დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა; „დიდი სომხეთი კასპიის ზღვიდან ეგვიპტემდე იყო გადაჭიმული;" ოსები კავკასიის უძველესი მკვიდრნი და ყობანური კულტურის მემკვიდრეები არიან; ვახტანგ გორგასლის დაქირავებულ დაცვაში სამასი ოსი მსახურობდა; „ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში რესპუბლიკის ტერიტორიაზე ალანთა ტომები გამოჩნდნენ."

მპატიეთ, მაგრამ ასეთ მოაზროვნე ადამიანს მცოდნედ ნამდვილად ვერ მივიჩნევ. ვერ მივიჩნევ მცოდნედ, ვინც გამოიყენებს კომპოზიტს „ჯიქეთ-დვალეთი“, ვინც წერს არა ხალხების, არამედ ქვეყნების ეთნოგენეზისზე, ვისთვისაც იდეალია ისეთი სტრიქონების დამწერი ავტორი (მაგალითად, ვინმე დავიდოვიჩი), რომელსაც ნართების ეპოსი და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ თანაბარმნიშვნელოვანი ნაწარმოებები ჰგონია და ვინც ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს ხევსურებს ცალკე ეთნოსად მიიჩნევს და ვინც წერს, რომ ქართველები და თურქულენოვანი ყუმუხები ერთი ხის სხვადასხვა შტოები არიან, ვისაც მიაჩნია, რომ ბურბუკეთი ინგუშებისა და ხუნძების წინაპრების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, ვინც არ იცის, რა არის ფეოდალიზმი, ვინც პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობის შესახებ წერს, ვინც შუა საუკუნეებში ზოგადკავკასიურ სახელმწიფოს შექმნაზე საუბრობს, ვისაც სტუმარმასპინძლობის ტრადიცია ე. წ. კავკასიური ცივილიზაციის ქვაკუთხედად მიაჩნია, ვისაც ყალმუხები კავკასიელები ჰგონია, ვისაც მიაჩნია, რომ კავკასიაში მცხოვრები ებრაელები სემიტურ-ქამიტურ ენებზე საუბრობდნენ, ვინც ქართულად „ერივანის გუბერნიას“ წერს, ვინც „აბაზების“ ნაცვლად „აბაზინელებს“ წერს, ვისაც მიაჩნია, რომ აჭარა ბათუმის ოლქთან ერთად ართვინის ოლქსაც მოიცავდა, ვისაც მიაჩნია, რომ ნახჩოს ტომები ჩაჩნებად და ინგუშებად XVIII საუკუნეში გაიყვნენ, ვინც წერს, რომ „ადიღეელები კავკასიის ძირძველი მოსახლეობაა, რომელთა წინაპრები აქ პალეოლითის დროიდან ცხოვრობენ“ (და არ იცის, რომ პალეოლითის დროს ეთნოსები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ), ვინც ქართლის მეფე არმაზის შესახებ წერს, ვინც სომხური აულის არმავირის შესახებ წერს, ვინც ადიღეელთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის — შაფსუღების ეთნოგენეზზე საუბრობს, ვინც ასეთი წინადადების წყობას გვთავაზობს: „კავკასიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ადგილობრივ ავტორთა ნაწარმოებებს, როგორებიც არიან აგათანგელოსი, ეგიშე, მოვსეს ხორენაცი (სომხეთი); ლეონტი მროველი („ქართლის ცხოვრება“), «История страны Агван», და სხვ.“ ვისაც ჰგონია, რომ მცირე კავკასიონი მხოლოდ სომხეთის ტერიტორიაზეა, ვინც გამოიყენებს სიტყვათა შეთანხმებას: „რელიგიურ წარმოდგენებს“, „რელიგიურ სარწმუნოებას“, ვინც წერს, რომ ქვის ხანაში კავკასიის მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო; ვინც წერს: „ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა ბოსფორის სამეფო“ (საკითხავია შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთი კავკასიაა?), ვინც ასეთ წინადადებას დაწერს: „ანტიკური ხანის

დასასრულს (ძვ. წ. აღ-ის VIII – ახ. წ. აღ-ის IV საუკუნე) სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება თითქმის ერთდროულად ხდება"; რომლისათვისაც საქართველოს თანამედროვე დემოგრაფიული ვითარების გასარკვევად წყაროა აზერბაიჯანელი იუნუსოვი და არა ქართული დოკუმენტები, ვინც ვოლგოგრადის ოლქს კავკასიის ნაწილად მიიჩნევს და ა. შ. და ა. შ.

ჯ. კვიციანი საჩივრის ბოლოს წერს: *„რ. თოფჩიშვილის აღნიშნული ქმედებით მე მომადგა მორალური ზიანი, კერძოდ, საკონკურსო კომისიის წინაშე მან დაუნდობლად შელახა ჩემი რეპუტაცია, რასაც მოჰყვა ჩემი აკადემიური თანამდებობის (სრული პროფესორი) დაკარგვა."* ამ სიტყვებით საკონკურსო კომისიას და პირდადად მის თავმჯდომარეს, ბატონ გოჩა ჯაფარიძეს, რეპუტეციას არ ულახავს ჯ. კვიციანი? რატომ იყო სრული პროფესორის თანამდებობა ჯ. კვიციანის საკუთრება? უნივერსიტეტის ნებისმიერი აკადემიური თანამდებობა არავისი საკუთრება არაა. თითოეულ ჩვენგანს ის გარკვეული დროით აქვს დაკავებული. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის გასვლის შემდეგ ესა თუ ის თანამდებობა არავისი საკუთრება არაა. ასე რომ, კავკასიოლოგიის მიმართულების კავკასიის ისტორიის პროფესორის თანამდებობა ჯ. კვიციანისათვის სამუდამოდ არავის მიუკუთვნებია.

დაბოლოს, ისევ ხაზგასმით ვაცხადებ: მე მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი, როდესაც ვაჩვენე, რომ ჯ. კვიციანს კავკასიის ისტორიის სათანადო ცოდნა არ აქვს. ძალიან ძნელია, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ პროვინციულ უნივერსიტეტში სტუდენტობისას კომუნისტური პარტიის ისტორიას ეუფლებოდი, შემდეგ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს კომუნისტური პარტიის ისტორიაში იცავდი, ნალჩიკის უნივერსიტეტში კომუნისტური პარტიის ისტორიის კათედრაზე მუშაობდი და სტუდენტებს სიცრუეს ასწავლიდი, სრულყოფილ ისტორიკოსად იქცე. ჯ. კვიციანს, თურმე, მე ვდევნი. რას ნიშნავს დევნა? იმას, რომ სიმართლე დავწერე? და რომ მინდა უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური პროფესორ-ლექტორები გადასცემდნენ ცოდნას?

ქართველი ხალხის გადარჩენა-არგადარჩენის პრობლემა დგას. ჩვენი ქვეყნის მომავალი განათლებაზე გადის. ამისათვის კი საჭიროა ყველა ქართველისათვის უპირველეს უნივერსიტეტში ჭეშმარიტი პროფესიონალები მოღვაწეობდნენ და არა ისეთები, რომლებსაც დარგის მხოლოდ ფრაგმენტული ცოდნა აქვთ.

P.S.

1991 წლის ოქტომბერში, როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ დაშლილი არ იყო, ჯ. კვიციანის ლოგიკით, გაუქმდა გრიფი 07. 00. 01. – სკკპ ისტორია. მისი ლოგიკით, მით უმეტეს, ძნელი ასახსნელია, რომ 1993 წლის 19 მარტს, როდესაც უკვე საბჭოთა კავშირი ერთი წლისა და სამი თვის დაშლილი იყო, უმაღლესი საატესტაციო კომისია ისევ, უკვე არარსებულ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა? (მის მიერ წარმოდგენილი, ამ კომისიის მიერ გაცემული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი კი სწორედ 1993 წლის 19 მარტითაა დათარიღებული).

ვფიქრობ, კომისია ამ ფაქტითაც უნდა დაინტერესდეს – რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საატესტაციო კომისია საბჭოთა კავშირის სახელით დოქტორის სამეცნიერო დიპლომს ვერანაირად ვერ გასცემდა, რადგან უმაღლესი საატესტაციო კომისია 1975 წლიდან 1991 წლამდე იწოდებოდა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უმაღლეს საატესტაციო კომისიად. 1992 წლიდან 1996 წლამდე იწოდებოდა უბრალოდ – „უმაღლესი საატესტაციო კომიტეტი“ (ყოველგვარი უწყებრივი დაქვემდებარების გარეშე). თანაც, მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ 1992 წლიდან უმაღლეს საატესტაციო კომისიას გადაერქვა სახელი და „კომისია“ შეიცვალა სიტყვით „კომიტეტი.“ კითხვას ვსვამ: ნამდვილია კი 1993 წლის 19 ოქტომბერს უკვე არარსებული საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული დიპლომი და რა კომპენტენცია შეიძლება დავუდასტუროთ გრიფს «Отечественная история»?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

მარიამ ჩხარტიშვილი

როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია?
პროფ. დიმიტრი შველიძის რეცენზიის პასუხად

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების" VI, აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ, ტომში (2012, გამომცემლობა „მერიდიანი", რედ. თ. დუნდუა და ა. ბოშიშვილი) დაიბეჭდა პროფ. დიმიტრი შველიძის რეცენზია „დაგვიანებული გამოხმაურება ნაადრევი დისერტაციის შესახებ".

რეცენზიას 44 საჟურნალო გვერდი უკავია და თავისი მოცულობით ბევრად აღემატება ამავე საიუბილეო ტომში წარმოდგენილ თითოეულ პუბლიკაციას, თავად იუბილარის ანუ აკად. მარიამ ლორთქიფანიძის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ, მეთაურ წერილსაც კი, რომელსაც ჟურნალის მხოლოდ არასრული სამი გვერდი ეთმობა. მოცულობითი პარამეტრი, გასათვალისწინებელია, რადგან იგი არამარტო რეცენზიის ავტორის პოზიციას, არამედ, გარკვეულწილად, რედკოლეგიის პრეფერენციებსაც ავლენს. მის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ პროფ. დ. შველიძისეული რეცენზია „შრომების" ამ საიუბილეო გამოშვებისათვის უმთავრესი ფაქტია.

კი მაგრამ რა მოხდა ასეთი – იკითხავს გაკვირვებული მკითხველი – მაინც რით გახდა ეს რეცენზია განსაკუთრებული საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომებისათვის", ვისზეა საუბარი მასში? პასუხი შემდეგია: დ. შველიძის რეცენზია მიზნად ისახავს ნატო სონღულაშვილის სადოქტორო დისერტაციის – „ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში" – კრიტიკას.

ეს ფაქტიც უთუოდ გააკვირვებს საქმეში რამდენადმე ჩახედულ მკითხველს: ნატო სონღულაშვილი ხომ ახალგაზრდა მკვლევარია, რომელმაც გასულ წელს დაამთავრა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურა. 2012 წლის 26 ივლისს, დოქტორანტურაში სწავლის ვადის

ამოწურვამდე ორიოდე დღით ადრე მან წარმატებით (100-ქულიანი სისტემის მიხედვით, 97 ქულით იქნა მისი ნაშრომი შეფასებული) დაიცვა დისერტაცია სადისერტაციო კომისიის საჯარო სხდომაზე. რამდენიმე თვის შემდგომ კი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა. ამგვარად, დ. შველიძის ესოდენ ვრცელი რეცენზია სულ ახლახან ხარისხმინიჭებულ ახალგაზრდა ავტორს და მის წარმატებით დაცულ საკვალიფიკაციო ნაშრომს ეხება.

I

ეს რეცენზია ქართული ისტორიოგრაფიის სრულიად სპეციფიკური ფაქტია. იგი გამორჩეულია არამარტო თავისი მოცულობით, არამედ იმითაც, რომ თავიდან ბოლომდე (ერთდაერთი შენიშვნის გამოკლებით) ნეგატიურია. არავითარი გამამხნევებელი სიტყვა, თუნდაც სამეცნიერო ეტიკეტით მიღებული მცირეოდენი რეკერანსი ავტორისადმი აქ არ გვხდება. რეცენზიის ბოლო გვერდზე მსხვილი შრიფტით კიდევ ერთხელ საგანგებოდ არის გამოკვეთილი დ. შველიძის უარყოფითი დამოკიდებულება ხსენებული სადისერტაციო ნაშრომისადმი. აი, ერთი წინადადება ამ ვრცელი შეჯამებიდან: „...ნაშრომში ხშირად გვხვდება არაზუსტი, არაკვალიფიციური, წინააღმდეგობრივი, ბუნდოვანი ფორმულირებები და, რიგ შემთხვევაში, <u>საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი პარტიულ-იდეოლოგიური დებულებები</u>“ (გვ. 454 – ხაზი ჩემია).

შთაბეჭდილების სისრულისათვის მინდა მოვიყვანო კიდევ რამდენიმე მაგალითი:

„ამას მოსდევს არანაკლებ საეჭვო ღირებულების მქონე შემდეგი განცხადება...“ (გვ. 415);

„აი, ამგვარი პრიმიტიული რეალობის დასასაბუთებლად კრებს ავტორი ამონაწერებს მაშინდელი პრესის ორგანოებიდან...“ (გვ. 415).

„პარაგრაფსა და, საერთოდ, ნაშრომში ხშირად გვხდება მცდარი, არაკომპეტენტური, ფაქტობრივი შეცდომების შემცველი ფორმულირებები“ (გვ. 420).

„ავტორი თავისი დისერტაციანად თანდათან ეხვევა <u>მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური</u> ტერმინების და დოქტრინების ქსელში... ამას მოსდევს პროლეტარიატის ჰეგემონიის <u>ლენინური ლოზუნგის</u> ციტირება; მერე 1959

წელს გამოცემული ძველისძველი საბჭოთა ავტორის, კ. დოლიძის წიგნიდანაა ციტირება. საბოლოოდ იკვეთება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პრიორიტეტული გაშუქება, რამაც ჩვენს ავტორს სულ გადააავიწყა დასავლელი იდენტოლოგები და საბჭოთა მარქსისტ-ლენინელ ავტორებამდე მიიყვანა; აქვეა მეორე, უფრო მოზრდილი ციტატა კ. დოლიძის ზემოაღნიშნული წიგნიდან, შთამბეჭდავი სათაურით: „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხისათვის"." (გვ. 422 – ხაზი ჩემია);

„ნაშრომის ეს ნაწილი აღარაფრით განსხვავდება 1950-1960-იანი წლების საბჭოთა პარტიული ლიტერატურისაგან. 56-ე გვერდზე ნაშრომში ციტირებულია ამ პერიოდის ძველნაცნობი ლენინური თეზისი..." (გვ. 422 – ხაზი ჩემია);

„ამის შემდეგ, ავტორი უფრო ამახვილებს ყურადღებას სოციალურ საკითხებზე, რომლებსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია მთავარ საზრუნავად მიიჩნევდა. ამონაწერებიც 42-ე-43-ე გვერდებზე ამ თემას ეძღვნება. ჟერჯერობით ეროვნული იდენტობის თემატიკა არ ჩანს და არც გარემოს „აღდგენა", ხოლო ენთონი სმიტის, ანდერსონისა და ჰობსბაუმის გვარების მაგივრად უფრო საბჭოთა ისტორიკოსების გვარები ფიგურირებენ ნაშრომში. საერთოდ, ეს ფურცლები უფრო XX საუკუნის 50-60-იანი წლების პარტიული ლიტერატურის პათოსით სუნთქავს, ვიდრე თანამედროვე დასავლური თეორიების გავლენით" (გვ. 419-420 – ხაზი ჩემია);

„აქ გვხდება გვარიანად ბუნდოვანი წინადადება, რომელიც არაფრით არ უკავშირდება კონტექსტს. უნდა მთლიანად მოვიყვანოთ, რათა მკითხველმაც გაიაროს ის ინტელექტუალური ტანჯვის გზა, რაც ჩვენ გავიარეთ და, რაც წინ გველოდება" (გვ. 429);

„ასევე სრული აბსურდია განცხადება, თითქოს ქართველ თავადაზნაურობას „ძველი დროის დაბრუნება მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ აღედგინა ის გავლენა და პრივილეგიები, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა" (გვ. 102)." (გვ. 427-428);

„შემდეგი ამონაწერების უმრავლესობაც ბურჟუაზიის როლისა და ადგილის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციას აფიქსირებს, რომელთა მიხედვითაც ამ კლასს სურს „საკუთარი სახელმწიფო" თავისივე ინტერესების გამო, რათა მოიპოვოს ბაზარი ან დაუპირისპირდეს უცხოურ ბურჟუაზიას. ეს ხომ ცნობილი მარქსისტული მიდგომებია" (გვ. 430 – ხაზი ჩემია);

„პარაგრაფი მთავრდება საბჭოთა ისტორიკოს ე. აბობაძის 1965 წელს

გამოცემული წიგნიდან_ციტატით და ამით ასრულებს გადამწერლობას აღნიშნულ პარაგრაფში" (გვ. 430 – ხაზი ჩემია);

„1900-1917 წლების იდეოლოგია" – უაზრობაა, ნონსენსია. ასეთი იდეოლოგია ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არ არსებობდა, ამიტომ ვერც ასეთი არარსებული იდეოლოგია იქნებოდა ვერაფრის „წინაპირობა". "რსებობდა რამდენიმე იდეოლოგია..." (გვ. 439).

„ამასთანავე, ძველი შეცდომები, არასწორი, არაადეკვატური, რეალობას მოკლებული ფორმულირებები, განცხადებები, დებულებები თითქმის ყოველ გვერდზე გვხდება..." (გვ. 437);

„აქვეა მომდევნო და მორიგი მისტიფიკაციაც: „საზოგადოების წამყვანი ნაწილი ბრძოლის ახალ გზას ადგება, რასაც საბოლოო ჯამში, დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა, რომლის მონაწილე უნდა ყოფილიყო ქართული ერთობის ყველა წევრი" (გვ. 147). ავტორისეული აზროვნების ამგვარ თავისუფალ ნავარდს რომ რაიმეთი უკავშირდებოდეს ზემოაღნიშნული ციტირება ან სხვა ადრინდელი თემები, კიდევ ჰო, მაგრამ ის ციტირებები ენას, ტერიტორიას, განათლებას ეხება და არაფრითაა დაკავშირებული უცებ ამოტივტივებულ დამოუკიდებლობის საკითხთან" (გვ. 439);

„...უშვებს ჩვენი ავტორი აზრობრივ, შინაარსობრივ, გრამატიკულ-სტილისტურ, ფაქტობრივ და სხვა ხასიათის შეცდომებს. აი, როგორც ახლა, როცა წერს ორგან: „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია სოციალიზმის განხორციელებისათვის იბრძოდაო" და „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ნოე ჟორდანია აღნიშნავდაო" (გვ. 215 და 216). ორივე შემთხვევაში ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ 1918 წლამდე ასეთი პარტია არ არსებობდა და ჩვენ უკვე აღარ ვიცით ეს ავტორის უცოდინარობას დავაბრალოთ, გულმავიწყობას თუ აზრის გამოთქმის პრობლემას" (გვ. 445-446);

„ამის შემდეგ კვლავ ისტორიული ფაქტების უცოდინარობის მორიგი გამოვლინებაა" (გვ. 432);

„მეორე სიყალბე, დამახინჯება, ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ჩვენი ისტორიის გაპრიმიტიულება თვით წინამდებარე მეოთხე თავის სათაურშია და, აქედან გამომდინარე, მის შინაარსშიც, რადგან შინაარსი სათაურსა და დასმულ საკითხს პასუხობს. სათაური გვამცნობს: „ნაციონალური ნარატივის ფორმირება" " (გვ. 434).

პროფესიონალი მკითხველი მხოლოდ ერთი მხარის კრიტიციზმის სა-

ფუძველზე მეორე მხარის პასუხის მოსმენის გარეშე, რა თქმა უნდა, არ იჩქარებს იმსჯელოს სადისერტაციო ნაშრომზე. ამ ამონარიდებით მისთვის მხოლოდ ის გახდება აშკარა, რომ ეს რეცენზია მოჭარბებული ემოციითაა დაწერილი. შთაბეჭდილება ისეთია, რომ რეცენზენტი „ვერ ძღება" სარეცენზიო ნაშრომის კრიტიკით. მაგალითად, მისთვის მიუღებელი აზრის შეფასებისას, ის არ იტყვის უბრალოდ „მცდარია" ან „არაზუსტია", არამედ „არაზუსტს" აუცილებლად დაუმატებს „არაკვალიფიციურს", „წინააღმდეგობრივს", „ბუნდოვანს" და ა.შ.; მისი აზრით არასწორ დებულებებს რეცენზენტი არ შეაფასებს უბრალოდ როგორც საფუძველს მოკლებულ დებულებებს. იგი მათზე ისაუბრებს მკაცრად და დაუნდობლად, როგორც „არაკომპეტენტურ, ფაქტობრივი შეცდომების შემცველ" დებულებებზე; მიუღებელ დასკვნაზე მისთვის ცოტა იჭნება თქვას „უაზრობაა" და ამას იგი დაუმატებს: „ნონსენსია"; უწოდებს ავტორს ისტორიული სინამდვილის გამყალბებელს, უცოდინარს, გულმავიწყს, აზრის გამოთქმის პრობლემის მქონეს. რეცენზენტი ამასაც არ დასჯერდება, და ავტორს ბრალს დასცდებს ისტორიის დამახინჯებასა და გაპრიმიტიულებაში. ქილიკით შეაფასებს ახალგაზრდა მკვლევრის მსჯელობას, როგორც „აზრის თავისუფალ ნავარდს", დისერტაციაში მოცემულ ისტორიულ რეპრეზენტაციას კი წარმოგვიდგენს როგორც მისტიფიკაციას, მიღებულ დასკვნებს რეალობის პრიმიტიულად ამსახველად დაგვისახავს. რეცენზენტი განსაკუთრებულად აღშფოთდება, თუკი დისერტაციაში დაისტურებს „პარტიულ-იდეოლოგიურ დებულებებს". იგი დაუფარავი ირონიით აღნიშნავს ნ. სონღულაშვილის მიერ საბჭოთა ავტორების დამოწმების ნებისმიერ ფაქტს.

დ. შველიძის რეცენზიიდან ზემოთ მოყვანილ ამონარიდებში ნ. შონღულაშვილის „მარქსისტობაში" დამადანაშაულებელი შენიშვნები ჩემ მიერ საგანგებოდაა ხაზგასმული. მინდა მკითხველმა დაინახოს (და, რაც მთავარია, დაიმახსოვროს) თუ რაოდენ ბევრია ამ ტიპის შენიშვნა რეცენზიაში. დ. შველიძე აშკარად მოუღალავია და მუდამ მზადაა, რომ ამგვარი ფაქტები ყველგან დაინახოს და ყოველ ჯერზე მათ გამო შემოჰკრას განგაშის ზარი.

ჩემთვის ღიმილის მომგვრელია, როცა დ. შველიძე, თავად ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიული პრაქტიკის ტიპიური აქტორი, ნ. შონღულაშვილს დებს ბრალს მარქსისტობაში , მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ.

II

ახლა იმ მოულოდნელად უსიამოვნო გარემოებას მინდა გავუსვა გავუსვა ხაზი, რაც წარმოჩინდა რეცენზიიდან ზემოთ მოყვანილი ციტატებით: პროფესორს ახალგაზრდა ავტორი და მისი ნაშრომი წონასწორობას აკარგვინებს. აღნიშნული პათოსის კრიტიციზმი პოსტკომუნისტური პერიოდის ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში მე არ მახსენდება. არ ვიცი სხვას როგორ, მე კი მისი წაკითხვისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პროფ. დ. შველიძეს სურს კრიტიკით კი არ დაეხმაროს თავის ყოფილ სტუდენტს, არამედ პირიქით – მომავალში სამეცნიერო საქმიანობის ყოველგვარი ხალისი დაუკარგოს.

დ. შველიძე თავადაც გრძნობს, რომ ამგვარი რეცენზიის გამოქვეყნების ფაქტი უკვე დაცულ დისერტაციაზე გარკვეულ განმარტებას მოითხოვს და შესავალ ნაწილში ცდილობს მკითხველს აუხსნას, თუ რამ უბიძგა მას ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ. ქვემოთ მეტი სისრულით მოვიყვან ამ მსჯელობას. მაგრამ მანამდე მინდა ავხსნა, თუ თავად მე რატომ გადავწყვიტე გამოვხმაურებოდი დ. შველიძის რეცენზიას, რომელშიც სულ ორჯერ ვარ მოხსენიებული და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა რეცენზენტი იმოწმებს ჩემს აზრს, როგორც მის მიერ გაზიარებულ შეხედულებას. საქმე შემდეგია.

ჯერ ერთი, დ. შველიძე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მიუთითებს, რომ მის მთავარ მიზანს წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციის დაცვის ხარისხიანობის საკითხზე იმსჯელოს ზოგადად: „...გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს კრიტიკულ გამოხმაურებას გარკვეულწილად მეთოდოლოგიური დანიშნულებაც მივანიჭოთ...“ (იხ. გვ. 428); და, ამდენად, ნ. სონღულაშვილის ნაშრომი მისთვის, განსაკუთრებულად თვალსაჩინო უარყოფთი მაგალითის როლს ასრულებს მხოლოდ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს დ. შველიძეს არ მოსწონს ამ ბოლო დროს დანერგილი, მისი აზრით, სადოქტორო დისერტაციების გამარტივებულად დაცვის პროცედურა, რომელიც, მისი მითითებით, წყალწყალა დისერტაციების მომრავლებას უწყობს ხელს.

ჯერ ერთი, ჩემთვისაც, როგორც აღნიშნული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა“ ხელმძღვანელისათვის და, იმავდროულად, რამდენიმე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისათვის, ეს საკითხი ძალზე აქტუალურია. ამიტომაც ბუნებრი-

ვია, რომ მსურს დისკუსიაში ჩართვა და, მითუმეტეს, გვერდს ვერ ავუვლი „გარკვეულწილად მეთოდოლოგიურ დანიშნულებამინიჭებულ" გამოხმაურებას.

მეორეც, ამ „წყალწყალა" და დ. შველიძის მიერ „მიწასთან გასწორებული" დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი მე ვიყავი. არც ჩემთვის, და, დარწმუნებული ვარ, არც უნივერსიტეტის რომელიმე სხვა პროფესორისათვის ძნელი მისახვედრი არაა, რომ თავისი კრიტიკით დ. შველიძე ცდილობს „ჭკუა ასწავლოს" არამარტო დისერტაციის ავტორს, არამედ დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელსაც. ჭკუის სწავლების ამგვარი მეთოდი იმდენად ძველისძველია საქართველოში, რომ ანდაზადაც კი გადაიქცა: „მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონეო". ჰოდა, მეც გავიგონე და გადავწყვიტე ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო.

იმდენად ამბიციური ადამიანი არ ვარ, რომ ვფიქრობდე: არავისგან არაფერი მესწავლება. მაგრამ მგონია, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა კოლეგისაგან არაფერი მაქვს სასწავლი: ნატო სონღულაშვილის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა იყო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აქამდე შემდგარ დაცვათა შორის ერთ-ერთი საუკეთესო. ამაზე ნათლად მეტყველებს არამარტო სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დაწერილი უმაღლესი შეფასება. ამის მოწმეა საჯარო პაექრობის დამსწრე მრავალრიცხოვანი სამეცნიერო საზოგადოება. ეს უახლოესი წარსულის ფაქტია და მას ბევრი ცოცხალი თვითმხილველი ჰყავს. ასე რომ, ჩემი ნათქვამის შემოწმება არავისთვის არ იქნება პრობლემა.

აი, ეს ორი მიზეზია, რომელიც პირადად მე აღმძრავს პასუხისათვის დ. შველიძის რეცენზიაზე, რომელიც. ერთი შეხედვით, ჩემს წინააღმდეგ არ არის დაწერილი, რადგანაც რეცენზენტს ისე მიამიტად მოაქვს თავი თითქოსდა ვერც კი წარმოიდგენს, რომ ნატო სონღულაშვილის გარდა სხვასაც ერჩის.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, უფრო საზოგადო მნიშვნელობის მიზეზიც. ესაა ჩემი სურვილი გამოვესარჩლო ახალგაზრდას, რომელიც რიგი გარემოებების გამო დაუცველია უფროსი კოლეგის წინაშე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვერ შეკადრებს თავის ყოფილ ლექტორს გამოაშკარავოს მისეული კრიტიკის არააკადემიური მოტივაცია, გაუჭირდება სათანადო პირდაპირობით განუმარტოს საზოგადოებას რეცენზენტის მსჯელობის ლაფსუსები სწორედ მასსა და პროფესორს შორის არსებული დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო.

III

დავუბრუნდეთ დაპირებულ ამონარიდებს რეცენზიის შესავალი ნაწილიდან და შევიტყოთ, მაინც როგორია დ. შველიძის განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადაწყვიტა მან ამ ფორმით ჩემი აღზრდილი დოქტორისათვის ჭკუის სწავლება.

„ჩვეულებრივ ასე ხდება: თუ დისერტაციისადმი რაიმე კრიტიკული აზრი გაქვს, უნდა გამოთქვა ან როგორც ოპონენტმა, ან როგორც სადისერტაციო კომისიის წევრმა. მე ადრე გადავათვალიერე სადისერტაციო ნაშრომი და თავიდანვე გამიჩნდა უარყოფითი აზრი მის შესახებ. უარყოფითი აზრი არ შეეხებოდა ნაშრომის რომელიმე ან რამდენიმე საკითხს. იგი ეხებოდა მთლიანად სადისერტაციო ნაშრომს, რის გამოც მიმაჩნდა, რომ თემა არ იყო მზად საჯარო დაცვისათვის. ამის შესახებ რამდენჯერმე გავაფრთხილე დისერტანტი, ვთხოვე, თავი შეეკავებინა ამ ეტაპზე დისერტაციის დაცვისაგან. შათანადო გადამუშავების შემდეგ კი შეძლებდა დისერტაციის ღირსეულად დაცვას. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

მაშინ მე დავპირდი დისერტანტს, რომ ჩემს მოსაზრებას მისი დისერტაციის შესახებ ჩამოვაყალიბებდი სამეცნიერო პუბლიკაციის სახით. ასეც ვიქცევი ერთი მიზეზის გამო: იმისათვის, რომ ობიექტურად შემეფასებინა ნაშრომი, თავიდანვე დავრწმუნდი, რომ საჭირო იყო სადისერტაციო ნაშრომის დეტალური შესწავლა. ოპონენტობის შემთხვევაში გამოყოფილი დრო საამისოდ არ მეყოფოდა, რის გამოც შემოთავაზებულ ოპონენტობაზე უარი განვაცხადე. მეორე მიზეზიც აქვს ჩემ გადაწყვეტილებას, რომ პუბლიკაციის სახით გამოვხმაურებოდი აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომს. ბოლო წლებში უკიდურესად გაადვილდა სადოქტორო დისერტაციების დაცვის პროცესი, მოთხოვნები და კრიტერიუმები. მიმაჩნია, რომ სამეცნიერო წრეები და შესაბამისი სტრუქტურები უნდა დაფიქრდნენ ამის შესახებ, რათა დისერტაციები სათანადოდ მომზადდეს. იმის ერთ-ერთ მაგალითად, რომ დღევანდელი წესებით, მოთხოვნებით და კრიტერიუმებით შესაძლებელია წყალწყალა დისერტაციების დაცვა, წინამდებარე ნაშრომი მიგვაჩნია. ამის გამო მინდა საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ამ ნაშრომზე, როგორც გარკვეული უარყოფითი მოვლენის, ტენდენციის ერთ-ერთ მაგალითზე“ (გვ. 409-410).

ზოგადი ვითარების გამო გულსტკივილს დ. შველიძე გამოხატავს რეცენზიის ბოლო აბზაცშიც:

„როგორც ჩანს, წინამდებარე ნაშრომის სისუსტის ერთ-ერთ მიზეზად უნდა მიჩნეულ იქნეს სადოქტორო დისერტაციების შესრულებისა და დაცვის მეტისმეტად გამარტივებული სისტემა, რომელიც სერიოზულ მოთხოვნებს არ უყენებს მომავალ მეცნიერ-ისტორიკოსებს. სწორედ ამ სავალალო გარემოებამ აგვაღებინა ხელში კალამი, ჩვენი ყოფილი შრომისმოყვარე სტუდენტისა და მაგისტრანტის ნაშრომზე გამოხმაურებისათვის. დისერტანტს კეთილგანწყობილად ვურჩევთ, ახლა მაინც გაითვალისწინოს ჩვენი შენიშვნები, ფუნდამენტურად გადაამუშავოს დისერტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გამოსცეს წიგნად“ (გვ. 454).

დ. შველიძისეული მოტივაციის წარმოდგენილი ვერსია პირადად ჩემთვის არადამაჯერებელია. თუ იგი უკმაყოფილო იყო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი დოქტორანტურის დებულებით და მისთვის პრინციპულად მიუღებელია „დღევანდელი წესები, მოთხოვნები, კრიტერიუმები“, რომლითაც ფასდება სადოქტორო დისერტაციები, რატომ არასოდეს აქამდე არ დააყენა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე ეს საკითხი? მას თავად ჰყავს რამდენიმე დოქტორანტი, თვითონაც ყოფილა სადისერტაციო კომისიის წევრი თუ ოფიციალური ოპონენტი. ანუ მისთვის ეს პრობლემა მანამდე უნდა გამხდარიყო აქტუალური, ვიდრე ნ. სანღულაშვილის დისერტაციას გაეცნობოდა.

კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ნ. სონღულაშვილის დისერტაცია, მართლაც, „უარყოფითი მოვლენის“ და ზოგადად მავნე ტენდენციის მაჩვენებელია, როგორც გვარწმუნებს რეცენზენტი, განა უკიდურესი სისასტიკე არაა ზოგადი ვითარების საილუსტრაციოდ ერთადერთი ახალგაზარდა მკვლევარი ამოვილოთ მიზანში?!

თუ საზოგადო მდგომარეობა მართლა აწუხებდა დ. შველიძეს, მას შესაბამისი წესით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაცული დისერტაციების მთელი თუ არა, რეპრეზენტატული სიმრავლე მაინც უნდა განეხილა. მე საგანგებოდ დავინტერესდი ამ საკითხით, და აღმოჩნდა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ანუ 2008-2012 წლებში ისტორიის მიმართულებით ამ ფაკულტეტზე დაცულია მხოლოდ ერთი ათეული დისერტაცია. მათგან კიდევ რამდენია, მისი აზრით, უვარგისი და მავნე ტენდენციის გამომხატველი? – ეს უნდა ეთქვა დ. შველიძეს, თუ იგი საზოგადო ვითარების გამოვლენის სურვილს ჰყავდა შეპყრობილი.

მხოლოდ დაცულ დისერტაციათა ანალიზით შეიძლებოდა დასაბუთებუ-

ლიყო, რომ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სადოქტორო დისერტაციის დაცვის წესები არ ვარგა. ნ. სონღულაშვილის ნაშრომის დ. შველიძისეული კრიტიკით დიდი-დიდი მკითხველმა ის იფიქროს, რომ, კონკრეტულად, აღებული ეს დისერტაცია არ ვარგა, არსებული წესების უვარგისობას ამ გზით ის როგორ დაინახავს?!

მე მგონი, ეს დ. შველიძესაც კარგად ესმის, მაგრამ მისი ნამდვილი მიზანი ხომ ის არის, რომ მკითხველმა ნ. სონღულაშვილის დისერტაციის უვარგისობა დაიჯეროს და საზოგადო პრობლემები ამ შემთხვევაში მას სულაც აწუხებს. საზოგადოზე მსჯელობა მან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ წამოიწყო, რომ ახალგაზრდა მკვლევრის შემოქმედებისადმი მისი უკიდეგანოდ ჰიპერკრიტიკული და არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება კეთილშობილური მოტივაციით გაემართლებინა.

მაგრამ ზრახვების შენიღბვის ეს ხერხი „ვერ მუშაობს“: რეცენზენტი წინააღმდეგობაში ვარდება საკუთარ თავთან. წინააღმდეგობის დასაძლევად დ. შველიძემ უნდა გადაწყვიტოს და აირჩიოს, თუ რომელ პოზიციაზე დადგეს: ან სადოქტორო დისერტაციების დაცვის მოქმედი წესებია ცუდი და ამიტომ არ ვარგა ნ. სონღულაშვილის დისერტაცია, ან დისერტაციაა თავისთავად ცუდი. ორივე ერთად შეუძლებელია. თუ პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ნ. სონღულაშვილი ვერ იქნება მისი კრიტიკის ადრესატი. ეს პასუხისმგებლობა ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესურას, მათ შორის, თავად პროფ. დ. შველიძეს ეკისრება, ანუ მათ ვინც დაამტკიცეს დოქტორანტურის შესაბამისი დებულება, ხოლო თუ მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაშინ დ. შველიძის ჰიპერკრიტიკულ გამოხმაურებას ეკარგება ყოველგვარი კავშირი საზოგადო საკითხებთან ანუ ფერმკრთალდება ის „კეთილშობილური“ მოტივაცია, რომლის არსებობაში მკითხველის დარწმუნებას ასე დაბეჯითებით ცდილობს კოლეგა, როგორც თავისი რეცენზიის თავში, ისე ბოლოში.

რადგან ფაკულტეტზე ისტორიის მიმართულებით დაცულ სხვა დისერტაციებს (როგორც ვთქვი, მათი რიცხვი მხოლოდ ერთი ათეულია), დ. შველიძე საერთოდ არ ეხება, სრულიად აშკარაა, რომ, მიუხედავად ხმამაღალი განცხადებებისა, მას კალამი ხელში საზოგადო ვითარების მოგვარების სურვილმა კი არა, კონკრეტულად, ნ. სონღულაშვილის სადისერტაციო ნაშრომის კრიტიკის ქარცეცხლში გატარების სურვილმა ააღებინა.

ერთი გამოკვლევის კრიტიკის სურვილმაც შეიძლება დააწერინოს მეცნიერს რეცენზია. რა იყო ამაში დასამალი?

ობიექტური კრიტიკის სურვილი, ცხადია, დასაძრახი არაა, მაგრამ დასაძრახია ახალგაზრდა ავტორის „მიწასთან გასწორების“ სურვილი. დ. შველიძე თავადაც გრძნობს იმ პრობლემას, რომელსაც რეცენზიის ზღვარგადასული კრიტიციზმი ქმნის და რომელიც, იმის გათვალისწინებით, რომ მისი კრიტიკის ადრესატი ძალზე ახალგაზრდა ავტორია და არა ქართული ისტორიოგრაფიაში ამინდის შემქმნელი მეცნიერი, მკითხველის გაკვირვებას და, შესაბამისად, რეცენზენტის ობიექტურობაში დაეჭვებას გამოიწვევს. სწორედ ამ გაკვირვების და დაეჭვების თავიდან ასაცილებლად სჭირდება რეცენზენტს დაგვარწმუნოს, რომ ხელში კალამი ზოგადი ვითარების გამო აიღო. დ. შველიძე, ჩანს, იმედოვნებს, რომ თუ მკითხველისათვის ახალგაზრდა ავტორის მისამართით ამგვარად დიდი მოცულობის რეცენზია და მისი უჩვეულოდ კრიტიკული პათოსი გაუგებარი შეიძლება აღმოჩნდეს, ზოგადი ვითარების გამო დაწერილი რეცენზიისათვის, რომელსაც მან თავად „მეთოდოლოგიური“ (?!) ფუნქცია მიანიჭა, ყველაფერი თავის ადგილზე იქნება.

უნდა ვთქვა, რომ ამოსაცნობად ძალიან მარტივი, ამავე დროს უკადრისი, ფანდია.

ოპონენტობაზე უარი იმიტომ ვთქვიო, რომ ოპონენტობისათვის გამოყოფილი დრო დისერტაციის ობიექტური ანალიზისათვის არ მეყოფოდაო, გვამცნობს რეცენზენტი. მოქმედი დებულებით, ოპონენტმა წერილობითი რეცენზია უნდა წარმოადგინოს ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა. დისერტაციის ექსპერტიზისათვის განკუთვნილი პერიოდის ასეთი განსაზღვრა ციდან არ ჩამოვარდნლა. იგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა კოლექტიური ნაზრევის ნაყოფია ანუ კომპეტენტური პირების მიერაა დადგენილი. თავის დროზე ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ ნებისმიერი სადოქტორო დისერტაციის სრულფასოვანი ექსპერტიზისათვის ორი თვე საკმარისი ვადაა. ამიტომ ოპონენტობაზე უარის თქმის ზემოთ აღნიშნული მოტივი სრულიად არადამაჯერებელია.

აშკარაა, რომ ეს რეცენზია დაწერილია 2012 წლისს სექტემბერ-ოქტომბერში ანუ მასზე დაიხარჯა არაუმეტეს ორი თვისა. ნ. სონღულაშვილის დისერტაციის დაცვა შედგა 2012 წლის ივლისის ბოლოს, ამას მოსდევს აგვისტო ანუ საუნივერსიტეტო არდადეგების პერიოდი. ჟურნალის ტომი, რომელშიც რეცენზია გამოქვეყნდა, ნოემბრის დასაწყისში უკვე გამოცემული იყო, რადგანაც 15 ნოემბერს აკად. მარიამ ლორთქიფანიძის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღებაზე მოხდა მისი პრეზენტაცია. ანუ იმაზე

მეტი დრო, ვიდრე დისერტაციის ოფიციალური ოპონენტის მიერ ექსპერტიზისათვისაა გამოყოფილი, რეალურად არც დ. შველიძეს დასჭირვებია თავისი რეცენზიის დაწერისათვის. ასე რომ, დ. შველიძის მხრიდან ოპონენტობაზე უარის თქმის მიზეზი დროის ნაკლებობა სულაც არ იყო.

ნამდვილი მიზეზი საჯარო პაექრობისათვის თავის არიდების სურვილი უნდა ყოფილიყო. ამას ის მაფიქრებინებს, რომ დ. შველიძე საერთოდ არ დაესწრო დაცვის სხდომას. მართალია, რომ მან უარი თქვა შემოთავაზებაზე ყოფილიყო ნ. სინღულაშვილის ოფიციალური ოპონენტი, მაგრამ დათანხმდა სადისერტაციო კომისიის წევრობას. სხვათაშორის, არც მაშინ და არც მოგვიანებით არ ყოფილა განმარტებული მის მიერ სხდომის გაცდენის მიზეზი. იყო ეს მიზეზი საპატიო? არასაპატიო მიზეზით დაცვის სხდომის გაცდენა უკიდურესი უპასუხისმგებლობაა სადისერტაციო კომისიის წევრის მხრიდან, რადგანაც ქვორუმის არ არსებობის შემთხვევაში დაცვა საერთოდ ჩაიშალება.

როგორც ვნახეთ, რეცენზენტი მიუთითებს, რომ იგი ნ. სონღულაშვილს დისერტაციის საფუძვლიან გადამუშავებას სთხოვდა (ასე რომ, დისერტაციას ადრეც კარგად იცნობდა!). ამას კი ამბობს, მაგრამ ივიწყებს იმავე საუბრის ზოგიერთ არსებით დეტალს, კერძოდ, იმას, რომ იგი ურჩევდა დისერტანტს უკვე წარდგენილი დისერტაცია გამოეტანა საბჭოდან და შემდგომ მისი ხელმძღვანელობით (!) გადაემუშავებინა ანუ ჩემზე, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელზე, უარი ეთქვა და სამეცნიერო ხელმძღვანელად დ. შველიძე აერჩია. ეს გარემოება მაფიქრებინებს: რეცენზენტს აღიზიანებდა არამარტო ის, რომ განსახილველ დისერტაციაში პრობლემის დასმა იმისაგან არსებითად განსხვავებულია, რასაც ბაკალავრიატიდან მოყოლებული იგი ასწავლის სტუდენტებს, არამედ ისიც, რომ დოქტორანტმა სამეცნიერო ხელმძღვანელად იგი არ აირჩია. აი, სწორედ ამ „დანაშაულისათვის" სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო ნ. სონღულაშვილი, რომ სხვებს ხალისი დაჰკარგვოდათ ამგვარი ნაბიჯები გადაედგათ მომავალში – არ აერჩიათ დ. შველიძე სამეცნიერო ხელმძღვანელად.

IV

ვიდრე დეტალურად ვიმსჯელებდე ნ. სონღულაშვილის დისერტაციაში პრობლემის განსხვავებულად დასმის თაობაზე, საჭიროა შევეხოთ საკითხს ზოგადად სადოქტორო დისერტაციების შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

მართლაც უვარგისი რომ იყოს არსებული „წესები, მიდგომები, კრიტერიუმები", თუმც ეს ასე ნამდვილად არ მიმაჩნია, ყოველი კონკრეტული დისერტაციის შეფასება სწორედ მათი გათვალისწინებით უნდა მოხდეს. დაუშვებელია დისერტაციას სადისერტაციაო კომისია აფასებდეს ადრე არსებული ან სამომავლოდ სასურველი წესებითა და მიდგომებით.

მე ვახსენე „ადრე არსებული წესები". ამაზე შემთხვევით არ ჩამომიგდია სიტყვა. არ გამოვრიცხავ, რომ მკითხველთაგან ყველამ არ იცოდეს განსხვავება სადოქტორო დისერტაციის შეფასების იმ კრიტერიუმებს შორის, რომელიც არსებობდა ადრე საქართველოში, კერძოდ, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და ახლა. განსხვავება, მართლაც, რომ ძალიან არსებითია. თუმცაღა სამეცნიერო ხარისხის სახელწოდება ერთიდაიგივეა ანუ ორივე შემთხვევაში ვსაუბრობთ სადოქტორო დისერტაციაზე.

მაშინ, როცა საქართველოში, და მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში, სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ორსაფეხურიანი სისტემა, იცავდნენ ორ დისერტაციას. სადოქტორო დისერტაცია იყო რიგით მეორე, ხოლო პირველს ეწოდებოდა საკანდიდატო დისერტაცია. დღეს კი ხდება მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა და მას ეწოდება სადოქტორო დისერტაცია.

მომზადება დღევანდელ დოქტურანტურაში, მაგალითად, რომელიც არსებობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გულისხმობს არამარტო კვლევით, არამედ მნიშვნელოვანწილად სწავლით კომპონენტსაც. შესაბამისად, დღევანდელი სადოქტორო დისერტაციის დაცვაც არის იგივე გამოცდა, რომლითაც სრულდება უნივერსიტეტში სწავლის მესამე საფეხური ანუ სწავლა დოქტურანტურაში. როგორც ყოველი გამოცდა, სადოქტორო დისერტაციაც, დღევანდელი პრაქტიკით, ფასდება ქულებით და შესაბამისი ნიშანიც იწერება. მინიჭებული ხარისხი კი არის აკადემიური ანუ სასწავლო ხარისხი. ისტორიის მიმართულებით სადოქტორო ხარისხის მფლობელი იწოდება ისტორიის დოქტორად და არა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორად, როგორც ეს იყო ადრე.

დღევანდელი გააზრებით, სადოქტორო დისერტაცია არის პიროვნების პირველი ვრცელი კვლევითი ნაშრომი. დაცვაზე გასასვლელად ხარისხის მაძიებელს სულ სამიოდე პუბლიკაცია ჰყოფნის. შესაბამისად, ისტორიის დოქტორის ხარისხი იმის მაუწყებელი კი არაა, რომ მისი მფლობელი ამინდის შემქმნელი მეცნიერია, არამედ მარტოოდენ იმის, რომ ადამიანს აქვს სათანა-

დო უნარ-ჩვევები აწარმოოს მოცულობითი მეცნიერული კვლევა. აკადემიური დოქტორის დიპლომი არის ერთგვარი საშვი სამეცნიერო თანამეგობრობაში სრულფასოვან წევრად შესასვლელად და არა ამ თანამეგობრობის წევრთა შორის განსაკუთრებული სტატუსის მაჩვენებელი დოკუმენტი.

ყოველივე ამას ასე დეტალურად იმიტომ აღვწერ, რომ გასაგები გახდეს რამდენად არაადექვატურია, ვითომცდა ქართული ისტორიოგრაფიის მავნე ტენდენციების საჩვენებლად, დ. შველიძის მიერ ნ. სონღულაშვილის დისერტაციის მიზანში ამოღება. დ. შველიძეს, ჩანს, იმედი აქვს, რომ მისი თაობის მკითხველებს მხედველობიდან გამორჩებათ, ხოლო ახალი თაობის მკითხველებს უბრალოდ არ ეცოდინებათ ის ფუნდამენტური განსხვავება, რომელიც არსებობს ახლანდელ სადოქტოროსა და იმ სადოქტოროს შორის, რომელიც ადრე წარმოადგენდა მეორე დისერტაციას.

როგორც ვთქვი, ეს უკანასკნელი მკვლევარს ანიჭებდა არა აკადემიურ ანუ სასწავლო ხარისხს, არამედ სამეცნიეროს. შესაბამისად, მოთხოვნებიც იყო უაღრესად მაღალი. ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის დებულებით, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭებოდა მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წვლილისათვის ანდა სულაც ახალი სამეცნიერო მიმართულების შექმნისთვის. სხვა საკითხია, თუ რამდენად მიიღწეოდა ეს ყოველთვის პრაქტიკაში, მაგრამ დებულება და კრიტერიუმები ასეთი იყო. ადამიანი რომ სადოქტორო დაცვაზე გასულიყო, ის არამარტო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მფლობელი უნდა ყოფილიყო, არამედ მას უკვე გამოქვეყნებული უნდა ჰქონოდა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

თუ ახლანდელი სადოქტორო დისერტაცია არის პიროვნების პირველი ვრცელი სამეცნიერო ნაშრომი, მაშინდელი სადოქტორო დისერტაცია იყო საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტის მთელი შემოქმედების ან შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილის შემაჯამებელი გამოკვლევა. შესაბამისად, თუ ახლა სადოქტორო დისერტაციებს იცავენ, როგორც წესი, ახალგაზრდები, არსებითად დამწყები .მკვლევრები, რომელთაც ეს ესაა დაამთავრეს სწავლების მესამე საფეხური, მაშინ სადოქტორო დისერტაციებს იცავდნენ შუა ასაკს მიტანებულნი და, არცთუ იშვიათად, ამ ასაკს ბევრად გადაცილებულნიც. ჩხადია, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისათვის დაბერებას საგანგებოდ არავინ ელოდებოდა. უბრალოდ შესაბამისი მოთხოვნების თუნდაც ფორმალურად დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო ახალგაზრდულ ასაკში, თუნდაც

დოქტორანტურის დამთავრების უმალ (აქვე შევნიშნოთ, რომ ახლანდელი დოქ-ტურანტურის შინაარსიც განსხვავებულია – იგი უფრო ადრინდელ ასპირან-ტურას შეესაბამება, რომელიც მკვლევარს საკანდიდატო დისერტაციის და-ცვისათვის ამზადებდა). მაგალითად, პირადად მე სადოქტორო დისერტაცია და-ვიცავი საკანდიდატო დისერტაციის დაცვიდან 15 წლის შემდგომ, 42 წლის ასაკში. მახსოვს, ეს ითვლებოდა ამ ხარისხის მოპოვებისათვის არა ძალიან შეუფერებელ, მაგრამ საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკად.

რომელი წესია კარგი და რომელი ცუდი? უმჯობესია სადოქტორო დი-სერტაცია იყოს ახალგაზრდა მკვლევრის პირველი ვრცელი ნაშრომი, თუ სა-ყოველთაოდ აღიარებული მეცნიერის შემაჯამებელი გამოკვლევა? ეს, ცხადია, ცალკე მსჯელობის საგანია. სხვადასხვა ეპოქაში და ქვეყანაში ამ საკითხს სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ და უდგებიან. მაგალითად, ამერიკის შეერთე-ბული შტატებისა და კონტინენტური ევროპის უნივერსიტეტებში სადოქტო-რო დისერტაციის დაახლოებით იმგვარი გააზრებაა, როგორიც მე ზემოთ აღვწერე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პრაქ-ტიკის გათვალისწინებით. დიდ ბრიტანეთში არსებული ვითარება რამდენადმე (თუმცა ძალზე პირობითად) უახლოვდება იმას, რაც იყო ჩვენში ადრე.

ახლა სადოქტორო დისერტაციის განსხვავებული გააზრების საკითხის განხილვას დაწვრილებით არ შევუდგები. ორივე შემთხვევაში შეიძლება საუ-ბარი დადებითი და უარყოფითი მხარეებზე. მთავარია ყოველი კონკრეტული დისერტაციის შეფასებისას მხედველობაში გვქონდეს, თუ როგორია ამა თუ იმ უნივერსიტეტში დოქტორანტურის გაზრება. ერთი რამ არ შეიძლება გახ-დეს საკამათო: ყოველი კონკრეტული სადოქტორო დისერტაციის შეფასება სადოქტორო დისერტაციის იმ გაზრებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს, რო-მელსაც გულისხმობს მოცემულ უნივერსიტეტში მოქმედი დოქტორანტურის დებულება.

თუ ნ. სონღულაშილის დისერტაციას მივუდგებით იმ სტანდარტით, რომლითაც ფასდებოდა სადოქტორო დისერტაციები მაშინ, როცა მათი სა-შუალებით სამეცნიერო ხარისხის მოპოვება ხდებოდა და როცა სადოქტორო დისერტაცია მეცნიერებაში ახალი მიმართულების შექმნას გულისხმობდა, უნ-და ითქვას, რომ განსახილველი დისერტაცია (ისევე როგორც ყველა სხვა უკანასკნელ პერიოდში დაცული დისერტაცია) ასეთი არ არის. მაგრამ თუ მივუდგებით მის სადოქტორო დისერტაციის, როგორც სამეცნიერო პროდუქ-ტის, იმ გააზრებით, რომელსაც გულისხმობს დღეს მოქმედი დოქტორანტუ-

რის დებულება (და წარმოუდგენელია, სხვა კრიტერიუმით რატომ უნდა მიეუდგეთ), ნ. სონღულაშვილის დისერტაცია უდავოდ კარგი დისერტაციაა.

V

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებზე მსჯელობას ბუნებრივად მივყევართ საკითხის შემდეგნაირ დასმამდე. მოდით, დროებით თავი დავანებოთ სადოქტორო დისერტაციის, როგორც სამეცნიერო პროდუქტის, სხვადასხვა საგანმანათლებლო სივრცეებში განსხვავებული გაზრების პრაქტიკას და გავარკვიოთ ხომ არა აქვს პროფ. დ. შველიძეს, როგორც მეცნიერს, რაღაც განსაკუთრებული, დაუწერელი სტანდარტი, რომელსაც ის მისდევს სამეცნიერო ნაშრომების შეფასებისას? ასეთის არსებობით, მართალია, მისი ჰიპერკრიტიციზმი (ღვარძლიანობაც!) არსებული სტანდარტის დაცვით შესრულებული ნ. სონღულაშვილის დისერტაციისადმი, ვერ გამართლდება, მაგრამ წმინდა ადამიანური კუთხით გასაგები გახდება მისი ემოცია: რა ჭნას, პრინციპული მეცნიერია და ყველაფერს განიხილავს საკუთარი თავისათვის დაწესებული ძალიან მაღალი სამეცნიერო სტანდარტის პოზიციიდან და მხედველობიდან რჩება, რომ სტუდენტის შეფასება (დღევანდელი გაზრებით დისერტანტი სტუდენტია) უნდა მოხდეს არა პროფესორის მიერ საკუთარი თავისადმი დაწესებული ჰიპერმკაცრი კრიტერიუმებით, არამედ დოქტორანტურის არსებული დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

საუკეთესო საშუალება ჩემ მიერ ნავარაუდევი დ. შველიძისეული დაუწერელი სამეცნიერო სტანდარტის გამოსავლენად, ცხადია, შეიძლება ყოფილიყო თავად დ. შველიძის ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცული დისერტაციების ანალიზი. მე გადავწყვიტე ამის გაკეთება და შევეცადე ამ დისერტაციებს მოძიებას თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. ძიება უშედეგო აღმოჩნდა, რადგან, ჩემდა გასაკვირად, იმის მიუხედავად, რომ პროფ. დ. შველიძეს წლების განმავლობაში ჰყავდა არაერთი დოქტორანტი, ამ ვებ-გვერდის მიხედვით, მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია ჯერ არავის დაუცავს.

ამიტომ გადავწყვიტე დასახულ მიზნამდე მიმავალი სხვა გზა მეპოვნა – თავად დ. შველიძის საკვალიფიკაციო ნაშრომები გამეანალიზებინა.

როგორც აღვნიშნე, დღევანდელი სადოქტორო დისერტაცია არსებითად

არაა ადრინდელი სადოქტორო დისერტაციის ტოლფასი, არამედ უფრო უახლოვდება საკანდიდატო დისერტაციას. ამიტომ ნ .სონღულაშვილის სადოქტორო დისერტაციასთან შესადარებლად და, ამასთან დაკავშირებით, დ. შველიძის სამეცნიერო პრინციპების გასარკვევად მე, უპირველეს ყოვლისა, მივმართე რეცენზენტის საკანდიდატო დისერტაციას.

აღმოჩნდა, რომ დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაცია, მართლაც, ძალზე საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს მისი ავტორის „სამეცნიერო სტანდარტზე" წარმოდგენის შესაქმნელად. დისერტაციის ავტორეფერატი (მათთვის ვინც ჯერ ისე ახალგაზრდაა, რომ არ იცის, განვმარტავ: ასე ეწოდებოდა მაშინ დღევანდელ სადისერტაციო მაცნეს) 1981 წლით თარიღდება და მისი სათაურია «Борьба грузинских большевиков против мелько буржуазно-националистической партии социалистов-федералистов (1895-1907 г.г.)». თავად დისერტაცია არ მინახავს, ამიტომ ავტორეფერატის რუსული სათაურის (კვლავ განვმარტავ: ყოფილ საბჭოთა კავშირში დისერტაციის ავტორეფერატი მხოლოდ რუსულ ენაზე გამოდიოდა) ჩემეულ ქართულ თარგმანს წარმოგიდგენთ: „ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის წინააღმდეგ (1895-1907 წლები)". ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის მკითხველმა კარგად იცის, მაგრამ უმცროსი თაობის მკითხველი, შესაძლოა, განმარტებას საჭიროებდეს, რომ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ატრიბუტები „წვრილბურჟუაზიული" და „ნაციონალისტური" უკიდურესად უარყოფითი შინაარსის მატარებელი ეპითეტები იყო. „ბოლშევიკების ბრძოლა" კი აპრიორულად სამართლიანობის სინონიმად მიიჩნეოდა. აქედან გამომდინარე, სათაურით უკვე გასაგებია რა ტიპის „გამოკვლევასთან" გვაქვს საქმე და რა დოზით უნდა მოველოდეთ მასში რეცენზენტის მიერ ავადსახსენებულ „პარტიულ-იდეოლოგიურ დებულებებს".

ქვემოთ მომყავს ერთ-ერთი ნიმუში დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაციის ამგვარი „დებულებებისა", რომელიც გამოკვლევის ძირითად სიახლეთა ჩამონათვალში ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი. აქ მითითებულია, რომ დისერტაციაში «...освещен вопрос разложения блокистской партии социалистов-федералистов, в чем отразился крах гегемонистических стремлений грузинской национальной буржуазии в период первой буржуазно-демократической революции в России...» (გვ. 9). შდრ. ჩემეული თარგმანი: „...გაშუქებულია სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტიის ლპობის საკითხი, რაშიც ასახვა ჰპოვა რუსეთის პირველი ბურჟუა-

ზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ქართული ნაციონალისტური ბურჟუაზიის ჰეგემონისტურ მისწრაფებათა კრახმა...".

განვაგრძოთ დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატის კითხვა და, როგორც თავად რეცენზენტს უყვარს თქმა, გავიაროთ „ინტელექტუალური ტანჯვის გზა". მივმართოთ, მაგალითად, მეორე თავს:

«Во второй главе излагаются вопросы формирования в Грузии буржуазно-националистической идеологии в начале XX в. и идейный разгром грузинскими революционерами-марксистами буржуазно-националистического учения «общей почвы». В конце 90-х годов XIX в. отдельные буржуазно-национальные взгляды пока еще носили более или менее демократический характер. Можно сказать, что это был переходный период в общественно-политической жизни Грузии. В начала XX в., после того как в освободительном движении Грузии наступил пролетарский этап и во главе борьбы за социальное и национальное освобождение страны окончательно стал рабочий класс, руководимый социал-демократией, буржуазно-национальная идеология и все течения окончательно приняли характер буржуазного национализма.

Буржуазно-националистические идеи в Грузии систематический вид приняли в так называемой теории «общей почвы», выдвинутой А. Джорджадзе. А. Джорджадзе синтезировал отдельные идеи представителей буржуазно-демократического и вообще национал-демократического наследства и сформировал их в виде единой буржуано-националистической идеолгии. Теория «общей почвы» откровенно защищала интересы национальной буржуазии, проповедовала реакционные идеи классового сотрудничества, отравляла буржуазным национализмом классовое самосознание революционного пролетариата.

В главе подробно излагаются основные прицип теории «общей почвы» и марксистско-ленинская критика ее со стороны грузинских революционных марксистов: А. Цулкидзе, Ф. Махарадзе и др. Изучение идейной борьбы грузинской революционной социал-демократии против буржуазного национализма в указанный период, приводит к заключению, что фактически эта борьба закончилась идейным разгромом теории «общей почвы» в том виде, в котором ее проповедовал

А. Джорджадзе. Грузинские марксисты-ленинцы доказали, что ни одно положение теории «общей почвы» не учитывало объективных законов общественно-экономического развития, поэтому она оказалась оторванной от жизни, была лишь мечтой, реакционной утопией» (გვ. 13-14).

შდრ. თარგმანი:

„მეორე თავში წარმოდგენილია XX ს. დასაწყისში საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ფორმირების საკითხები და „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძღვრების იდეური განადგურება ქართველი რევოლუციონერი მარქსისტების მიერ. XIX ს. 90-იან წლებში ცალკეული ბურჟაზიულ-ნაციონალური შეხედულებები ჯერ კიდევ ცოტად თუ ბევრად დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გარდამავალი პერიოდი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. XX ს. დასაწყისში, მას შემდეგ რაც საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაიწყო პროლეტარული ეტაპი და ქვეყნის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლას საბოლოოდ ჩაუდგა სათავეში მუშათა კლასი, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობდა, ბურჟაზიულ-ნაციონალურმა იდეოლოგიამ და მისმა ყველა მიმდინარეობამ საბოლოოდ მიიღო ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ხასიათი.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა იდეებმა საქართველოში სისტემატიზებული ფორმა მიიღო ა. ჯორჯაძის მიერ წამოყენებულ ე.წ. „საერთო ნიადაგის" თეორიაში. ა. ჯორჯაძემ მოახდინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და, საზოგადოდ, ნაციონალ-დემოკრატიული მემკვიდრეობის წარმომადგენლების ზოგი იდეის სინთეზი და მათი ჩამოყალიბება ერთიანი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის სახით. „საერთო ნიადაგის" თეორია ღიად იცავდა ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს და ქადაგებდა კლასობრივი თანამშრომლობის რეაქციულ იდეას, ბურჟაზიული ნაციონალიზმით წამლავდა რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას.

თავში დეტალურადაა წარმოდგენილი „საერთო ნიადაგის" თეორიის ძირითადი პრინციპები და მისი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა ქართველი რევოლუციონერი მარსისტების ა. წულიკიძის, ფ. მახარაძის და სხვ. მხრიდან. ამ პერიოდში ქართველი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის შესწავლას მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ფაქტობრივად ეს ბრძოლა დასრულდა „საერთო ნიადა-

---

გის" თეორიის იდეური განადგურებით იმ სახით, რა სახითაც მას ქადაგებდა ა. ჯორჯაძე. ქართველმა მარქსისტ-ლენინელებმა დაამტკიცეს, რომ „საერთო ნიადაგის" თეორიის არცერთი დებულება არ ითვალისწინებდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს, ამიტომაც ის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა, იყო მხოლოდ ოცნება და რეაქციული უტოპია".

საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნი პროფესორის მაღალი „სამეცნიერო სტანდარტის" გამოვლენას ვესწრაფოდით და აი, რა გამოვავლინეთ. სწორედ ეს პროფესორი საყვედურობს ახალგაზრდა ავტორს მარქსისტობას და ქილიკობს საბჭოთა პერიოდის ავტორების დამოწმებაზე.

აქ უკვე შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ ქვემოთ ავტორეფერატში იმდენად „საინტერესო" მსჯელობაა გაშლილი, რომ ბარემ დავასრულებ დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაციის ამ თავის შინაარსის გადმოცემას:

«Идеологическое натупление революционного марксизма против буржуазных националистов было таким сремительным, что фактически учение «общей почвы» не смагло стать определенной программой какого-либо политическго направления, какого-либо общественного класса, более того, эта теория в том виде, в котором ее проповедовал А. Джорджадзе, фактически перестала существовать после двух-трех лет ее появления на общественно-политической арене.

Разгромом идеологии «общей почвы» грузискими марксистами, заканчивается первый, так называемый, предпартийный период в развитии социализм-федерализма в Грузии» (გვ. 14).

შდრ. თარგმანი:

„რევოლუციური მარქსიზმის იდეოლოგიური შეტევა ბურჟუზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ იყო იმდენად სწრაფი, რომ ფაქტობრივად „საერთო ნიადაგის" მოძღვრებამ ვერ მოახერხა გადაქცეულიყო რომელიმე პოლიტიკური მიმართულების, რომელიმე საზოგადოებრივი კლასის პროგრამად, უფრო მეტიც, ამ თეორიამ, იმ სახით, რომლითაც მას ქადაგებდა ა. ჯორჯაძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არენიდზე გამოჩენიდან ფაქტობრივად ორი-სამი წლის შემდეგ შეწყვიტა არსებობა. ქართველი მარქსისტების მიერ „საერთო ნიადაგის" იდეოლოგიის განადგურებით დასრულდა საქართველოში სოციალიზმ-ფედერალიზმის განვითარების ე.წ. წინაპარტიული პერიოდი".

ამონარიდებით დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერა-

ტიდან მეტს აღარ გადავღლი მკითხველს. სრულიად აშკარაა, რომ ეს არის საბჭოური ისტორიოგრაფიის იმ მიმართულების ტიპიური ნიმუში, რომელშიც განსაკუთრებით უხვადაა „პარტიულ-იდეოლოგიური დებულებები". არსებითად სხვა არც არაფერი არაა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოური პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დარგში (ისევე, როგორც სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებებში) გამოქვეყნებულ ნაშრომთა უმეტესობა (მხედველობაში მაქვს არამარტო ის ნაშრომები, რომლებიც ახალ და უახლესს პერიოდს ეხებოდა, არამედ ისინიც, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო შუა საუკუნეები ან ანტიკურობა იყო) გარკვეული დოზით შეიცავდა „იდეოლოგიურ დებულებებს". მაშინ ამგვარი „დებულებები" ერთგვარი ლოკომოტივების როლს ასრულებდნენ, ისინი იმის შესაძლებლობას იძლეოდნენ, რომ ნაშრომებს დღის სინათლე ენახათ. ამ კომპრომისის გარეშე, მეცნიერული აქტივობა წარმოუდგენელი იყო. ბეჭდურ პროდუქციას მთავლიტი (მთავარი ლიტერატურული სამმართველო — არსებითად საცენზურო უწყება) აკონტროლებდა და ისე არ იყო, როგორც ახლა, როცა არათუ მეცნიერს, არამედ ნებისმიერ სტუდენტს საკუთარი ნააზრევის ბეჭდურად ტირაჟირება უპრობლემოდ შეუძლია. თუმც ნაშრომთა ხარისხი მაინც განსხვავებული იყო. ზოგისათვის „იდეოლოგიურ დებულებები", მართლაც, მხოლოდ „ლოკომოტივს" წარმოადგენდა (ისევე როგორც ბევრი ნიჭიერი ქართველი საბჭოთა პოეტის კრებულში ლექსი ლენინზე ან რაღაც სხვა ამდაგვარი). ნაშრომთა მეორე ნაწილი კი სხვა არაფერი იყო თუ არა მხოლოდ და მხოლოდ „პარტიულ-იდეოლოგიურ დებულებები". სწორედ ასეთად გვეჩვენება დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაცია, მისი ავტორეფერატის მიხედვით.

ადამიანის გამტყუნება ეპოქის გამო, რომელშიც მას უცხოვრია, არ შეიძლება. არ შეიძლება, მაგალითად, ამორალურად მივიჩნიოთ ძველი ქართლის მცხოვრებლები, რომლებიც რელიგიური მრწამსის გამო ღვთაება არმაზს სწირავდნენ საკუთარ პირმშოს. ეს რომ არაჰუმანური აქტი იყო, ჩვენმა წინაპრებმა მხოლოდ მოგვიანო ეპოქაში გაიგეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ არც დ. შველიძე არ შეიძლება განისაჯოს იმდაგვარი ნაწერისათვის, როგორიც მისი საკანდიდატო დისერტაციაა. სავსებით შესაძლებელია, რომ 1981 წელს ის გულწრფელად იდგა ბოლშევიკურ პლატფორმაზე და თვლიდა, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტები რეაქციული (ეს სიტყვა საბჭოური ისტორიოგრაფიაში ჩამორჩენილობის სინონიმი იყო და სულაც არ გამოიყენებოდა თავისი

პირდაპირი მნიშვნელობით, რომელშიც შეფასებითი მომენტი არ არის) და უტოპიურ იდეების მატარებელნი იყვნენ. ჩვენ დღეს, საბედნიეროდ, პლურალისტულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ბოლშევიკური პოზიციით შემუშავებულ აზრსაც ვერავის დავუშლით. ისიც აზრია და მასაც აქვს არსებობის უფლება.

არც იმის გამორიცხვა შეგვიძლია, რომ დ. შველიძე შეგნებულად მიდიოდა კომპრომისზე, როცა სოციალისტ-ფედერალისტებს ბოლშევიკური ინტერპრეტაციით წარმოადგენდა: ხომ ცხადია, რომ სხვაგვარად მას არავინ დაცვევინებდა დისერტაციას თემაზე, რომელიც არაბოლშევიკურ პარტიის ისტორიას შეეხებოდა. თუმც იმ ეპოქაში, როცა მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ანუ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, განსხვავებით მკაცრი ოცდაათიანი წლებისაგან, უკვე სხვა გამოსავალიც იყო – დისერტაციის არდაცვა. დისერტაციას არ დაგაცვევინებდენ, სამეცნიერო აქტივობას შეგიზღუდავდნენ, მაგრამ არ დაგხვრეტდნენ. დ. შველიძე თავისი საკანდიდატო დისერტაციის ისტორიოგრაფიული მიმოხილვაში გაკვრით ახსენებს უ. შიდამონიძეს, რომელსაც ოფიციალური პოზიციისაგან რამდენადმე განსხვავებული აზრი ჰქონდა არაბოლშევიკურ პარტიებზე. ჩემი აზრით, ეს იყო არა დიამეტრალურად სხვა, მაგრამ მოკრძალებულად განსხვავებული აზრი. ეს იყო გასული საუკუნის 70-იან წლებში. როგორც მახსოვს, ამის გამო უ. შიდამონიძემ სადოქტორო დისერტაციის დაცვა ვერ შეძლო, ყოველ შემთხვევაში, პირველ ჯერზე „გააშავეს". თუმც მას გაუმართლა: სამსახურიდან ის არ გაუნთავისუფლებიათ, განყოფილების გამგე იყო ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში და ლექციებსაც კითხულობდა უნივერსიტეტში. მის მსგავსად, დ. შველიძესაც, თუკი მისთვის მოუთმენელი იყო „პარტიულ-იდეოლოგიური დებულებები", შეეძლო უბრალოდ არ დაეცვა თავისი საკანდიდატო დისერტაცია.

რაც ჩემს აღშფოთებას იწვევს ამ შემთხვევაში ისაა, რომ ამგვარი დისერტაციის ავტორი, სხვას უკიჟნებს უვიცობას, არაკვალიფიციურობას და „პარტიულ-იდეოლოგიურ დებულებებს". ის დასცინის საბჭოთა ავტორებს და მათ მოხსენიებას უკრძალავს ნ. სონღულაშვილის, მაშინ, როცა მისი საკუთარი დისერტაციის ერთ-ერთი უმთავრესი „სამეცნიერო სიახლე", ის ყოფილა, რომ კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელ დ. შველიძეს უჩვენებია სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტიის ლპობა და ქართული ნაციონალისტური ბურჟუაზიის ჰეგემონისტურ მისწრაფებათა კრახი!!!

ალბათ, უმჯობესია დ. შველიძემ ჯერ საკუთარ თვალში დირე მოიძიოს, ვიდრე სხვის თვალში ბეწვის პოვნას შეეცდებოდეს.

ამგვარი „სამეცნიერო სიახლეების" შემცველი დისერტაციის ოფიციალური ოპონენტები ყოფილან ა. ბენდიანიშვილი და ფ. ლომაშვილი. დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტებზე ყურადღებას შემთხვევით არ ვამახვილებ. იგიცე პირები იყვნენ დ. შველიძის სადოქტორო დისერტაციის ოპონენტებიც (შ. ბადრიძის დამატებით, რადგან სადოქტორო დაცვა მაშინ სამ ოფიციალურ ოპონენტს საჭიროებდა) და თქვენ წარმოიდგინეთ, დ. შველიძის სადოქტორო დისერტაციაც, რომლის ავტორეფერატი 1998 წლით თარიღდება, იგივე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორიის შესწავლას ისახავს მიზნად, ოღონდ ამჯერად, როგორც დ. შველიძე ხაზგასმით აღნიშნავს, ობიექტურად.

ამგვარად, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი რომ არაობიქტური კვლევისათვის მოიპოვა, ეს მის მიერ სავსებით გაცნობიერებული იყო.

VI

სათაური დ. შველიძის სადოქტორო დისერტაციისა არის „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (1903-1917 წწ.)". როგორც ვხედავთ, თემა იგივეა, მაგრამ საკანდიდატო დისერტაციის სათაურისაგან განსხვავებული ფორმულირებაა. და განსხვავება მდგომარეობს სათაურის იდეოლოგიურ რევიზიაში: ამოღებულია სიტყვა „ბოლშევიკები" და მათი ბრძოლა. ამ დროს ისინი უკვე უარყოფითად ფასდებოდა ქართული საზოგადოების მიერ და მათი მოხსენიება დათვურ სამსახურს თუ გაუწევდა დისერტანტს. დ. შველიძის სადოქტორო დისერტაციაში ამოღებულია სოციალისტ-ფედერალისტების მიმართ საკანდიდატო დისერტაციაში ასე ხშირად გამოყენებული, თითქმის მოუცილებელი, ატრიბუტი „წერილბურჟუაზიული". უკვე აღვნიშნე, ეს ტერმინი ბოლშევიკური პოზიციით, უარყოფითი შინაარსის მქონე იყო, ასევე გამოიყენებოდა ის ისტორიოგრაფიაშიც. ამიტომ, როგორც „პარტიულ-იდეოლოგიური დებულებების" გამომხატველი, ამოღებული იქნა დ. შველიძის მიერ.

თავის სადოქტორო დისერტაციში სოციალისტ-ფედერალისტების მიმართ დ. შველიძე უკვე სხვა ატრიბუტს იყენებს. ესაა „ეროვნული" და, როგორც ავტორეფერატში გვარწმუნებს (გვ. 3), „სოციალისტ-ფედერელისტები

წარმოადგენენ პირველ ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიას საქართველოში". რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ ამ პარტიის ეროვნულობას კვლავ ესმება ხაზი: „ფედერალისტური პარტია წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას საქართველოში".

როგორც ვხედავთ, ფედერალისტური პარტიის ლპობაზე, მის იდეურ და ორგანიზაციულ კრახზე, მისი იდეების რეაქციულობასა და ობიექტურ რეალობასთან შეუთავსებლობაზე, რაც საკანდიდატო დისერტაციის ძირითადი „მონაპოვარი" იყო, კრინტიც აღარაა დაძრული.

თუ დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაცია იყო სოციალისტ-ფედერალისტთა განქიქების მცდელობა, სადოქტორო დისერტაცია ეშსგავსება სახოტბო პროზის ნიმუშს: „ქართველი ფედერალისტების იდეოლოგიას წარმოადგენდა სოციალიზმ-ფედერალიზმი. არსებითად ეს იყო ევროპული ტიპის „დემოკრატიული სოციალიზმის" ქართული ნაირსახეობა და მოძალებული რუსული მარქსიზმის ვითარებაში ერთადერთ სოციალისტურ ალტერნატივას წარმოადგენდა საქართველოში" (გვ. 4).

ამგვარად, თუ საკანდიდატო დისერტაციის მიზანი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან ბოლშევიკების შეურიგებელი ბრძოლის გადამწყვეტი მნიშვნელობის „მეცნიერული" (?!) დასაბუთება, სადოქტორო დისერტაციის მიზანი დ. შველიძის მიერ დიამეტრალურად განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული: „სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ მონოგრაფიულად შეგვესწავლა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოღვაწეობა, ობიექტურად შეგვეფასებინა ფედერალისტთა საქმიანობა, მნიშვნელობა და ადგილი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში" (გვ. 5).

შეხედულებათა ამგვარი რადიკალური მეტამორფოზის მნახველმა, ბუნებრივია, განსაკუთრებით ინტერესით წავიკითხე დ. შველიძის სადოქტორო დისერტაციის ისტორიოგრაფიული შესავალი. კერძოდ, მაინტერესებდა ახალგაზრდა მკვლევრის კრიტიკისას იმგვარად დაუნდობელი მეცნიერი, როგორიც დ. შველიძეა, როგორ გამოეხმაურებოდა თავისსავე ადრინდელ ნააზრევს, რომელიც, როგორც მისი ბოლოდროინდელი შეფასებებიდან ჩანს, უკვე მართებულად აღარ მიაჩნია. აღმოჩნდა, რომ ის ამჯერადაც დაუნდობელი იყო, ოღონდ კვლავაც სხვების კრიტიკისას. რაც შეეხება საკუთარ შეცდომებს, დ. შველიძე მათზე დუმილს ამჯობინებს. მეტიც, საქმეს ისე წარმოაჩენს, რომ მკითხველი, რომელიც მის საკანდიდატო დისერტაციას არ იცნობს, ვერაგ-

ზით ვერ წარმოიდგენს, რომ დ. შველიძე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მაგინებელიდან ამ პარტიის მეხოტბედ გადაიქცა. ვერ წარმოიდგენს, რომ სადოქტორო დისერტაციაში სოციალისტ-ფედერალისტების ღვაწლის ეგოდენ დამფასებელი ავტორი, საკანდიდატო დისერტაციაში რიხიანად იმეორებდა ბოლშევიკური მოღვაწეების თვალსაზრისს სოციალისტ-ფედერალისტების იდეურ და ორგანიზაციულ კრახზე, მათი შეხედულებების რეაქციულობაზე და უტოპიურობაზე.

მოდით ახლა ჩავიკითხოთ დ. შველიძის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატის ისტორიოგრაფიული შესავალი, რომელიც იმითაა საინტერესოა, რომ ავტორის სამეცნიერო ეთიკას წარმოაჩენენს:

„ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიის სპეციალური შესწავლა არ მომხდარა. 60-იანი წლებიდან შეისწავლებოდა პრობლემის მხოლოდ ერთი კუთხე – ქართველი ბოლშევიკების ბრძოლა „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური" პარტიების წინააღმდეგ. საკითხის ამგვარი დაყენება არ ნიშნავდა თვით ამ პარტიების ისტორიის შესწავლას, არამედ, მიეკუთვნებოდა ბოლშევიკური პარტიის ისტორიოგრაფიას.

ამ მხრივ რამდენიმე ნაშრომი შეიძლება გამოვყოთ: ი. მირცხულავას „აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში. 1900-1917 წწ." (თბ., 1964 წ.); ერ. ახობაძის „ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში. 1900-1917 წწ." (თბ., 1965 წ.) და განსაკუთრებით გ. ჯანგველაძის „საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის. 1903-1923 წწ." (თბ., 1974 წ.). ამ და საბჭოთა პერიოდის სხვა ნაშრომებს ახასიათებდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მოღვაწეობის უაღრესად ტენდენციური წარმოდგენა, გაყალბება, უარყოფითი შეფასება, ფაქტების დამახინჯება, არაბოლშევიკური პარტიებისა და მოღვაწეების დამსახურების მიჩქმალვა და სხვ." (გვ. 8-9).

(შდრ. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატში გ. ჯანგველაძის იგივე შრომის დ. შველიძისეულ დახასიათებას: «Особый интерес представляет монографический труд Г. Джангвеладзе «Борьба Коммунистической партии Грузии по идейному и организационному разгрому буржуазных и мелкобуржуазных партий. 1903-1923 гг.» (1974 г.). Автор научно обосновал и систематизировал историю 20-летней борьбы ре-

волюционного марксизма в Грузии против непролетарских партий, в том числе и социалист-федералистов. Он подытожил достижения в этой области грузинской историографии, коснувшись и отдельных вопросов истории партии социалист-федералистов» (გვ. 6).

ანუ:

„განსაკუთრებით საინტერესოა გ. ჯანგველაძის მონოგრაფიული შრომა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების იდეური და ორგანიზაციული განდგურებისათვის. 1903-1923 წწ." (1974). ავტორმა მეცნიერულად დაასაბუთა და სისტემაში მოიყვანა საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის არაპროლეტარული პარტიების, მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტების, წინააღმდეგ ბრძოლის 20-წლიანი ისტორია. მან შეაჯამა ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები ამ დარგში, შეეხო რა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორიის ცალკეულ საკითხებს").

როგორც ვხედავთ, დასახელებულია რამდენიმე ადრინდელი ნაშრომი, რომლებიც სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას ეხებოდნენ ბოლშევიკური კრიტიკის კონტექსტში. მათ, დ. შველიძის მითითებით, თურმე ახასიათებდათ მრავალი უკადრისი რამ: ტენდენციურობა, ფაქტების დამალვა და გაყალბება ანუ ისტორიკოსის ეთიკური კოდექსის და, საზოგადოდ, სამეცნიერო ეთიკის ყოველმხრივი დარღვევა იმიტომ, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას განიხილავდნენ მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური კრიტიკის კონტექსტში. კი მაგრამ, განა დ. შველიძე ყოველივე ამას თავადაც არ აკეთებდა საკანდიდატო დისერტაციაში? ისტორიის გამყალბებელთა სიაში რატომ ასახელებს სხვებს და რატომ არ ასახელებს საკუთარ თავს?

არადა, 14 წლის შემდეგ ნ. სონღულაშვილის „გამყალბებლობაზე" რა რიხიანად საუბრობს!

განსხვავებით დ. შველიძის საკანდიდატო დისერტაციისაგან, რომლის ავტორეფერატში მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები უ. სიდამონიძე, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში ამ მკვლევარს ხოტბა აქვს შესხმული: „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ფონზე, სრულიად განსაკუთრებული მოვლენა იყო უ. სიდამონიძის ორი ნაშრომის გამოჩენა" (გვ. 9). დ. შველიძის მითითებით, უ. სიდამონიძემ „...სცადა მოეხდინა ამ და სხვა პარტიების ცნობილ წარმომადგენელთა საზოგადოებრივ-მეცნიერული რეაბილიტაცია" (გვ. 10).

ამას კი მოსდევს მსჯელობა:

„შემდგომში, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოღვაწეობის პროგრესული კვალიფიკაცია გაიზიარეს მკვლევარებმა მ. გაფრინდაშვილმა და ა. ბენდიანიშვილმა, რაც მაშინდელ, საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდისა და კერძოდ, ფედერალისტური პარტიის ისტორიოგრაფიაში, მცირერიცხოვანი ობიექტური ფრთის არსებობას მოასწავებდა. 1981 წელს დავიცავით საკანდიდატო დისერტაცია: „ქართველი ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილბურჟაზიულ-ნაციონალისტური პარტიის წინააღმდეგ (1895-1907 წწ.)". როგორც სათაურიდან ჩანს, ნაშრომი სპეციალურად შეისწავლიდა ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიისა და მისი წარმომადგენლების: ფ. მახარაძის, ა. წულუკიძის, ი. სტალინის, მ. ცხაკაიას, მ. ტოროშელიძის და სხვათა ბრძოლას ფედერალისტური პარტიის წინააღმდეგ" (გვ. 10).

თხრობა ისეა აგებული, რომ მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება თითქოსდა დ. შველიძემ (მ. გაფრინდაშვილთან და ა. ბენდიანიშვილთან ერთად) თავის საკანდიდატო დისერტაციაში გააგრძელა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრესულად კვალიფიკაციის ხაზი და არა იმ წინამორბედთა ხაზი, ვისაც „ახასიათებდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მოღვაწეობის უაღრესად ტენდენციური წარმოდგენა, გაყალბება, უარყოფითი შეფასება, ფაქტების დამახინჯება, არაბოლშევიკური პარტიებისა და მოღვაწეების დამსახურების მიჩქმალვა და სხვ."

დ. შველიძე განაგრძობს რა საკითხის შესწავლის ისტორიის წარმოდგენას, მიუთითებს, რომ „80-იანი წლების დასასრულიდან შეიქმნა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიის ობიექტური შესწავლის შესაძლებლობა. განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი არჩილ ჯორჯაძის მიმართ" (გვ. 10), ჩამოთვლის აეტორებს, რომელთა შრომებსაც უკვე დადებითი კუთხით ახასიათებს და. ამ დადებით კონტექსტს, ცხადია, კვლავ მოაყოლებს საკუთარ ნაშრომსაც, ამჯერად მონოგრაფიას:

„1993 წელს გამოქვეყნდა ჩვენი ნაშრომი: „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები". ნაკვეთი I, რომელიც მოიცავს ფედერალისტური პარტიის ისტორიას 1895 წლიდან 1908 წლამდე.

ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ჩვენი ზემოაღნიშნული მონოგრაფიის გარდა უშუალოდ ეხება ფედერალისტთა ისტორიას, არის დ. ონიკაძის საკანდიდატო დისერტაცია: „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამა და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის" (თბ.; 1994, საკანდიდატო დისერტაცი-

ის ავტორეფერატი). საკვლევი პერიოდის სიფართოვემ – 1901-1923 წლები — გამოიწვია ნაშრომის ფრაგმენტულობა, ზოგადი ხასიათი და სერიოზული შეცდომები, რის გამოც მინიმალურადაც ვერ აღდგა ფედერალისტური პარტიის ისტორია. ნაშრომის შედარებით ორიგინალური ნაწილია, ფედერალისტთა მოღვაწეობის განხილვისადმი მიძღვნილი ეპიზოდები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებისაში, რაც სცილდება ჩვენი ნაშრომის საკვლევ პერიოდს.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის პერიოდი ისე გასრულდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიის შესწავლა ვერ მოხერხდა." (გვ. 10-11).

ამგვარად, საკუთარი ნაშრომი დ. შველიძემ კვლავ დადებით ტენდენციას დაუკავშირა. დ. ონიკაძის დისერტაცია კი დაიწუნა და მის კრიტიკას მიაბა, საზოგადოდ, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიტიკა.

სასურველია, თუნდაც მოკლედ, შევეხოთ აღნიშნულ მონოგრაფიას და, კერძოდ, მის ისტორიოგრაფიულ ნაწილს. აქაც გვაქვს რეცენზენტისათვის ჩვეული „პრინციპულობისა" და „კრიტიციზმის" მაგალითები, ოღონდაც მხოლოდ სხვების მიმართ:

„70-წლოვანი ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიის მიერ ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების, მათ შორის ქართველ ფედერალისტთა პარტიის კვალიფიკაციის ტიპიური მაგალითი მოცემულია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" პირველ ნაწილში. მასში „დასაბუთებულია" ის გარემობა, რომ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ საქართველოში გამოიწვია ლიბერალური ბურჟუაზიის ამოძრავება, რომლის „მისწრაფებათა განხორციელების ყველაზე საიმედო იარაღს ეროვნულ დემოკრატთა – ქართველი ბურჟუაზიის ნამდვილ მსახურთა ჯგუფი წარმოადგენდა". ნარკვევებში ხაზგასმულია, რომ ფაქტიურად, „ქართველ ბურჟუაზიას დიდი სამსახური გაუწიეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, რომლებიც მიუხედავად თავიანთი წვრილბურჟუაზიული სოციალური ბუნებისა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მდინარების ერთ-ერთ შენაკადს წარმოადგენდნენ"." (გვ. 9-10).

ამას მოჰყვება დ. შველიძის კომენტარი:

„ამას იქით ქართული „საბჭოური" ისტორიოგრაფია აღარ წასულა. ორიოდე ჩვენს მიერ აღნიშნული ცდა, თუნდაც ფედერალისტური პარტიის მეტ-ნაკლებად ობიექტური შეფასებისა (უ. სიდამონიძე) თუ მოხსენიებისა (ა.

ბენდიანიშვილი, მ. გაფრინდაშვილი), საერთო სურათს ვერ შეცვლიდა. მეტიც, 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის მთლიანად შეწყდა არაპროლეტარული პარტიების ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის ისედაც არაინტენსიური პროცესი" (გვ. 10).

ნამდვილად „აღიარებითი ჩვენება" იქნებოდა აღნიშნულ პროცესში კოლეგა საკუთარ მონაწილეობასაც რომ მიუთითებდეს, რადგან მისი საკანდიდატო დისერტაციის მიზნები და შედეგები უნისონშია მის მიერ ასე კრიტიკულად მოხსენიებულ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებთან".

„დღეს ისტორიკოსები აღარ დაობენ იმაზე, რომ სწორედ 90-იანი წლებიდან დღემდე, ჩვენი ქვეყნის ისტორია ყალბი სახითაა წარმოდგენილი, მრავალი მოვლენა ტენდენციურადაა გაშუქებული, მიჩქმალულია გარკვეული სქემებისათვის მიუღებელი ისტორიული ფაქტები, დროის უკუღმართობის გამო ისტორიკოსი იძულებული გახდა დაევიწყებინა ისტორიული კვლევისათვის აუცილებელი ჭეშმარიტება, რაც ცნობილი იყო ჯერ კიდევ IV საუკუნის რომაელი ამიანე მარცელინუსისათვის: „ისტორიკოსი, რომელიც მომხდარ ამბებზე შეგნებულად სდუმს, არანაკლებ სიცრუეს სჩადის, ვიდრე ის, ვინც არარსებულს თხზავს". ბუნებრივია, ჩვენი ისტორიის პროსკრუსტეს სარეცელზე უპირველეს ყოვლისა აღმოჩნდა განსახილველი პერიოდის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიც საქართველოში წარმოქმნილი პარტიების ისტორიაა. ქართველმა ისტორიკოსმა, რომელიც ეხებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობას, წინასწარ იცოდა, რომ ეს პარტია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურად უნდა შეეფასებინა, გამოეყვანა იგი „რეაქციული" ქართული ბურჟუაზიის მსახურად, რომელსაც არ აწუხებდა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. დაკანონებული კონცეფციის მიხედვით, ფედერალისტები თიშავდნენ საქართველოს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ერთიანობას მოძმე ხალხებთან, უპირველესად კი რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან. ანგარიში არ ეწეოდა იმ ისტორიულ ფაქტებს, იდეურ მემკვიდრეობას, რაც დადებითად ახასიათებდა ფედერალისტურ პარტიას, პირიქით, წინ იყო წამოწეული, ხან კი შეთხზული, მისი მაკომპრომეტირებელი და თითქოს „რეაქციული" ბუნების წარმომჩენი ფაქტები, უკრიტიკოდ მისაღებად და სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ი. სტალინის, ფ. მახარაძის, მ. ტოროშელიძისა და სხვათა დახასიათება-შეფასებანი ფედერალისტური პარტიის შესახებ. ამგვარ ვითარებაში, ცხადია, ნაკლებად აქტუალური გახდა

უშუალოდ სოციალისტ-ფედერალისტთა და სხვა პარტიების ისტორიის შესწავლის საჭიროება. საჭირო იყო მხოლოდ ამ პარტიების წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიის წარმოჩენა" (გვ. 12-13).

ეს ყველაფერი, რაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შესწავლის ისტორიის დახასიათებისას დ. შველიძის მიერ გაუპიროვნელად, საზოგადო ტენდენციის სახით არის წარმოდგენილი, უპირველეს ყოვლისა, თავად მისი მახასიათებელია. ფაქტია, რომ სწორედ იგი, ნებსით თუ უნებლიედ, საბჭოური პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ამგვარი „მავნე ტენდენციის" ერთ-ერთ ყველაზე ტიპიური მაგალითია.

ზემოთ მოტანილი მიმოხილვით რეცენზენტის „მაღალი სამეცნიერო სტანდარტი" არა, მაგრამ მის სამეცნიერო კარიერაში არსებული პრობლემები კი გამოვლინდა.

მე ვფიქრობ, რომ ირიბად ეს კარიერაც განაპირობებს ახალგაზრდა ავტორის მიმართ დ. შველიძის არაკეთილგანწყობილ კრიტიციზმს. მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში რეცენზენტი მუშაობდა სწორედ იმ პერიოდზე, როცა განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი და, მიუხედავად ამისა, მას არ დაუსვამს, მეტიც, აზრადაც არ მოსვლია, რომ დაესვა, ეროვნული იდენტობის ისტორიის კვლევის პრობლემა. არადა, ეს ამ ეპოქის შესწავლის გასაღები პრობლემაა და თავისი მნიშვნელობით მას ვერ გაუტოლდება რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის, მათ შორის, ფედერალისტთა პარტიის, ისტორიის კვლევა.

სამოღვაწეო ასპარზზე სულ ახლახან გამოსულმა ნატო სონღულაშვილმა კი სწორედ ამ გასაღებ პრობლემას მიაგნო და მისი გადაწყვეტის გარკვეული ცდაც შემოგვთავაზა. გულდასაწყვეტი ფაქტია, არა ბატონო დიმიტრი? XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული იდენტობის ისტორიის კვლევა თქვენ შეგფეროდათ, არა? რას იზამთ. ის, რაც თქვენი და ჩემი თაობისათვის ასე პრობლემური იყო, ნ. სონღულაშვილის თაობისათვის სრულიად ბუნებრივი და მარტივია. მაგრამ ეპოქის უკუღმართობის გამო ჩვენი თაობის მიერ შესაძლებლობების ხელიდან გაშვება ნ. სონღულაშვილს ვერ დაბრალდება. მან და მისმა თანატოლებმა იციან, მაგრამ მაინც ძნელად წარმოუდგენიათ, რომ მათ ასაკში თქვენთვის, კიდევაც რომ მოგესურვებინათ, შეუძლებელი იყო ქართული თვითცნობიერების კვლევა და ერის ქმნადობაში ამ თვითცნობიერების გადამწყვეტი როლის შესახებ საუბარი. ძნელად წარმოუდგე-

ნიათ, რომ თქვენ ძალიან დაგვიანებით, მხოლოდ პრინციპული კომპრომისების შემდგომ, შესძელით დადებით კონტექსტში გამოგეყენებინათ სიტყვა „ეროვნული". მაგრამ ყოველივე ამის გამო გაბოროტება არ ღირს და უსამართლოდ ახალგაზრდა ავტორის განქიქებაც, მერწმუნეთ, უკადრისია.

VII

საბედნიეროდ, პროფ. დ. შველიძე გამონაკლისია და უნივერსიტეტის პროფესორთა უმრავლესობა თავისუფალია ზემოთ აღნიშნული სუბიექტური მოტივაციისაგან ახალგაზრდა მკვლევრების ნაშრომების განხილვისას. ამ კონტექსტში მინდა შევეხო ნ. სონღულაშვილის დისერტაციის სხვა შემფასებლებს.

როგორც ითქვა, დ. შველიძის კრიტიციზმი პირდაპირ მხოლოდ დისერტაციის ავტორის მისამართით არის გამოთქმული. ადვილი მისახვედრია, რომ ახალგაზრდა ავტორის „დამარტოხელება" რეცენზენტისათვის უფრო კომფორტულია. მაგრამ მას „ავიწყდება" ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ცდილობს მკითხველს „დაავიწყოს", რომ დისერტაცია, მითუმეტეს, დაცული დისერტაცია, განსხვავებით სხვა სახის სამეცნიერო პროდუქციისაგან (მონოგრაფია, სტატია და სხვ.) არ წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობის ობიექტს. მასზე პასუხს ავტორის გარდა, სამეცნიერო ხელმძღვანელის გარდა, აგებს ყველა ის სპეციალისტი, რომელიც ასე თუ ისე ჩართული იყო დაცვის პროცესში და მხარი დაუჭირა დისერტანტისათვის ძიებული ხარისხის მინიჭებას. ესენია, უპირველეს ყოვლისა, დადებითი დასკვნის მიმცემი ოფიციალური ოპონენტები, დისერტაციის დადებითი ქულით შემფასებელი სადისერტაციო კომისიის წევრები, დისერტაციაზე ან სადისერტაციო მაცნეზე შემოსული დადებითი გამოხმაურებების ავტორები, დაცვის პროცესში მხარდაჭერის სიტყვით გამოსული მეცნიერები. ნაშრომი დადებითად შეაფასა და ნატო სონღულაშვილისათვის მის მიერ ძიებული ხარისხის მინიჭებას მხარი დაუჭირა ათეულზე მეტმა მეცნიერმა. მე ქვემოთ ჩამოვთვლი ამ მეცნიერებს.

ნ. სონღულაშვილის ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები და თსუ პროფესორები გიული ალასანია და ნიკოლოზ ჯავახიშვილი. მათ დადებითად შეაფასეს დისერტაცია და იშუამდგომლეს სადისერტაციო კომისიის წინაშე დისერტანტს მინიჭებოდა ძიებული ხა-

რისხი. მათი რეცენზიები დისერტაციის დადებითი მხარის აღნიშვნის გარდა, შეიცავდა კრიტიკულ შენიშვნებსაც. ნაწილი, ცხადია, დისერტანტმა გაიზიარა, მაგრამ ნაწილის მიმართ კარგად შესძლო საკუთარი პოზიციის დაცვა და ეს პაექრობა, რომელიც აჩვენებდა ახალგაზრდა მკვლევრის პროფესიულ სიმწიფეს, იყო სწორედ ძალიან დასამახსოვრებელი და გამოარჩევდა ამ დაცვას ბევრი სხვა დაცვისაგან ძალიან კარგი კუთხით.

სადისერტაციო კომისიის წევრები კი იყვნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები: გია გელაშვილი, იგორ კვესელავა, ვაჟა კიკნაძე, დავით მალაზონია, ლელა სარალიძე, გიორგი ოთხმეზური, გოჩა ჯაფარიძე. კენჭისყრის დროს კომისიის წვრებმა უმაღლესი შეფასება დააფიქსირეს. შეფასება, როგორც ითქვა, იყო ფრიადი (97 ქულა). რამდენიმე მათგანმა (ი. კესელავა, ვ. კიკნაძე, დ. მალაზონია, ლ. სარალიძე) საჭიროდ სცნო სიტყვითაც გამოსულიყო დისერტანტის მხარდასაჭერად. დარბაზიდან მხარდაჭერის სიტყვით გამოვიდა პროფ. გ. საითიძე.

ნ. სონღულაშვილის სადისერტაციო მაცნეზე შემოსული იყო ოთხი გამოხმაურება. ყველა მათგანი დადებითად აფასებდა დისერტაციას. ერთ-ერთი გამოხმაურება ეკუთვნის თსუ ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარ მეცნიერ თანამშრომელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს დ. ჭუმბურიძეს, რომელიც მხარს უჭერს ნ. სონღულიშვილისათვის ძიებული ხარისხის მინიჭებას და რომლის აზრით, „ნაშრომი არის სეროზული მუშაობისა და ანალიზის შედეგი". მეორე მათგანი ეკუთვნის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ვაჟა ჩოჩიას, რომელიც ასევე მხარს უჭერს ნ. სონღულაშვილისათვის ძიებული ხარისხის მინიჭებას ფიქრობს რა, რომ დისერტაცია „ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია". სხვა გამოხმაურების ავტორია ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელი ისტორიის დოქტორი ნუგზარ ზოიძე, რომლის აზრით, აგრეთვე, ნ. სონღულაშვილი იმსახურებს ძიებულ ხარისხს. ერთ-ერთი გამოხმაურება იყო საზღვარგარეთიდან. იგი ეკუთვნის რომის ლა საპენზას უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის პროფესორს ანდრეა კარტენის, რომელიც მიუთითებს ნაშრომის მაღალ ხარისხს და ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვნებას არამარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ, ზოგადად, ეროვნებათა წარმოშობის

ისტორიისათვის ევროპაში.

ამის შემდგომ, მინდა ვკითხო პროფ. დ. შველიძეს: როგორ ფიქრობს იგი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერი არაკომპეტენტურია და არაპრინციპული? არაკომპეტენტურობის გამო ვერ დაინახეს მათ ნ. სონღულაშვილის დისერტაციის კავშირი „მავნე ტენდენციებთან" და მისი „პარტიულ-იდეოლოგიური დებულებები", თუ დაინახეს და იმდენად არაპრინციპულები არიან, რომ მაინც დაუჭირეს მხარი ავტორისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭებას?

დ. შველიძის რეცენზიის მიხედვით ისე გამოდის, რომ ყველა ზემოთ დასახელებული მეცნიერი ან არაკომპეტენტურია ან არაპრინციპული და მხოლოდ და მხოლოდ დ. შველიძე არის კომპეტენტურობისა და პრინციპულობის განსახიერება. მე მგონი, თვითშეფასების ძალზე მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

VIII

დ. შველიძის რეცენზიას აქვს ჟურნალისტური ინტრიგის შემცველი სათაური. ესაა „დაგვიანებული" გამოხმაურება და „ნაადრევ" დისერტაციაზე. აშკარაა, რომ შესაბამისი ეფექტის მოხდენაზე დ. შველიძეს საგანგებოდ უზრუნია (ილიას სიტყვა რომ გავიმეორო „უტირნია"). მაგრამ ეს ინტრიგა მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ მკითხველზე თუ მოახდენს შთაბეჭდილებას, იმაზე, ვინც არ იცნობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ დოქტორანტურის დებულებას.

დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს ექვსი სემესტრის განმავლობაში. ამ ექვსი სემესტრისათვის ფაკულტეტი სტუდენტისათვის აწესებს შეღავათიან გადასახადს. მხოლოდ 2013 წლის დასაწყისში, ფაკულტეტეის საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ეს შეღავათი გავრცელებულიყო დამატებით სამ სემესტრზეც. მაგრამ ნ. სონღულაშვილის მიერ დისერტაციის დაცვის დროისათვის კი ეს ვადა მკაფიოდ იყო განსაზღვრული – მხოლოდ ექვსი ძირითადი სემესტრი. დადგენილ ვადაში დისერტაციის დასაცავად არწარდგენის შემთხვევაში სტუდენტს დამატებითი სემესტრში სწავლის საფასური უნდა გადაეხადა სრულად, რაც შეღავათიან გადასახადს სამჯერ და მეტადაც აღემატება. ამგვარად, ვადაში სადოქტორო დისერტაციის არწარდგენა, ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სტუდენტი ვერ ასრულებს სა-

დოქტორო პროგრამას, არამედ იგი დასჯადია ფინანსურადაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფინანსური სანქცია უნივერსიტეტის მხრიდან, მხოლოდ ერთი შეხედვით, არის არაჰუმანური. ეს წესი რომ არა, შეიძლება მარადიულად დისერტაციის წერის პროცესში მყოფი დოქტორანტები გვყოლოდა.

ნ. სონღულაშვილი ყოველმხრივ მოწესრიგებული პიროვნებაა. Dოქტორანტურაში სწავლის პერიოდში მან ყველაფერი დავალება გეგმით გათვალისწინებულ დროში შეასრულა. დისერტაციაც ვადაში მოამზადა და წარმოადგინა, მეტიც, როგორც თავშივე ვთქვი, და დაცვაც მოასწრო სწავლების მეექვსე სემესტრის ამოწურვამდე ორი დღით ადრე.

ამგვარად, ნ. სონღულაშვილის დისერტაცია იყო არა ნაადრევი, არამედ დროული. დოქტორანტურის კურსი დამთავრდა და ის საბოლოო გამოცდით ანუ დისერტაციის დაცვით დაგვირგვინდა. ასე რომ, ამ შემთხვევაში დ. შველიძეს სათაურში ამ „ეფექტური" სიტყვის შერჩევაზე ტყუილად „უტირნია".

იგივე ვითარებაა რეცენზიის სათაურში დაფიქსირებული მეორე ატრიბუტთან დაკავშირებითაც. დ. შველიძეს სურს არსებულ სიტუაციაში გაურკვეველ მკითხველს აფიქრებინოს, რომ იგი სულაც არ ჩქარობდა ამ რეცენზიის დაწერას, რომ მისი გამოხმაურება „ნაგვიანევია". მაგრამ, არც ეს არის მართალი. ამგვარად ოპერატიული გამოხმაურება – სულ სამი თვის ვადაში – მე იშვიათად მინახავს ქართულ სამეცნიერო სივრცეში. დ. შველიძე სწორედაც რომ ძალზე ჩქარობდა, რომ მოესწრო ნ. სონღულაშვილის ნაშრომის განმაქიქებელი რეცენზიის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების" საიუბილეო გამოცემაში ჩართვა. იმედოვნებდა, რომ აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ნომერს ჩვეულებრივზე მეტი მკითხველი ეყოლებოდა და, შესაბამისად, იმ მკითხველთა წრე, რომლებიც მის „გამანადგურებელ" რეცენზიას გაეცნობოდა, ჩვეულებრივზე ფართო იქნებოდა.

საკუთარ ნაშრომზე არაკეთილგანწყობილი გამოხმაურება, ვფიქრობ ყველა კოლეგა დამეთანხმება, უსიამოვნოა მრავლისმნახველი მეცნიერისათვისაც. ახალგაზრდა მკვლევარზე კი მან განსაკუთრებით დამთრგუნველად იმოქმედა. იმის საფრთხეც არსებობდა, რომ იგი საერთოდ გულს აიყრიდა მეცნიერულ საქმიანობაზე. მაგრამ, საბედნიეროდ, ნ. სონღულაშვილი მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა აღმოჩნდა და მან ამ გამოცდას გაუძლო.

ამ ვითარებაში ნამდვილად მაშველი რგოლივით გამოჩნდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერა: აქ წარდგენილმა ნ.

სონღულაშვილის კვლევითმა პროექტმა „ქართული გამოწვევა და ეროვნული იდენტობა 1900-1921 წლებში (სოციალური მდგომარეობა)“ მოიპოვა აბალ-გაზრდა მეცნიერთათვის განკუთვნილი საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი. ეს პროექტი სადისერტაციო თემას უკავშირდება და ჩატარებული ძიებების უშუალო გაგრძელებას გულისხმობს. ასე რომ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ანონიმი ექსპერტების სახით ნ. სონღულაშვილს სამეცნიერო საქმიანობას დამატებითი მხარდამჭერები გამოუჩდნენ.

IX

ყველა ამ არცთუ მოკლე, მაგრამ აუცილებელი, განმარტების შემდგომ, მინდა მკითხველს ვაჩვენო, თუ რას წარმოადგენს ნ. სონღულაშვილის დისერტაცია. ამისათვის მე მოვიყვან ამონარიდს ჩემი, როგორც დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის, სიტყვიდან, რომელიც წარმოვთქვი დაცვის სხდომაზე:

„დღევანდელი დისერტაცია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტის – ნაციონალური კონსოლიდაციის – მარქსისზმისაგან ალტერნატიული თეორიული საფუძვლზე რეპრეზენტაციის ცდაა. მართალია, დისერტანტი საგანგებოდ არ მსჯელობს მის მიერ გამოყენებულ თეორიულ მიდგომებზე, რადგან იგი, როგორც ხაზგასმით მიუთითებს კიდეც, პრინციპულად არ იზღუდება ერთი კონკრეტული მიდგომით, მაგრამ სპეციალისტებისათვის დისერტაციის გაცნობისას შეუმჩნეველი არ დარჩება, რომ ნაშრომში პრობლემის დასმა და ამოცანების იდენტიფიკაციაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის ერთგვარად არატრადიციულია და კვლევის მიმართულება გარკვეულწილად ინსპირირებულია სწორედ თანამედროვე სოციალური თეორიებით ნაციების კვლევის დარგში. თავად ის ფაქტი, რომ დისერტაცია ფოკუსირებულია ქართველი ერის იდეის ფორმირების პროცესის აღწერაზე, საზოგადოებრივი აღქმების სურათის რეპრეზენტაციაზე, უკვე მრავლისმეტყველია. წინამოდერნული ქართული ერთობის ერად ქცევას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ეროვნული იდეით ერთობის გამსჭვალვა და არა სხვა ფაქტორები, მაგალითად, მარქსისტების მიერ ყოველთვის ასე აქცენტირებული საწარმოო ძალთა განვითარება.

ქართული იდენტობის ისტორიის კვლევა, ცხადია, წარმოდგენილი დისერტაციით არ იწყება, მაგრამ ეს დისერტაცია პირველი ნაშრომია, რომე-

ლიც ქართულ იდენტობას იკვლევს ერად კონსოლიდების ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ანუ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში.

დისერტანტი ცდილობს აღადგინოს ქართულ ერთობის კოლექტიური პერცეფციების სურათი, დამოკიდებულება იმ ფაქტებისადმი, რომლებიც, თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის განვითარების ინდიკატორებს წარმოადგენენ. იგი ცდილობს ცალკეული ფენების აღქმების დახასიათებას, რომ მერე მთელი ერთობის აღქმა წარმოადგინოს. ცხადია, ვერ ვიტვით, რომ ამ მიზანს სრულყოფილად მიაღწია და ამ მხრივ აღარაფერია გასაკეთებელი. მაგრამ მას ის დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ, რომ პირველმა დასვა ასე საკითხი ამ ეპოქისათვის და ამ საკითხის გადაწყვეტის ადექვატური ამოცანები ჩამოაყალიბა. ამ ამოცანებს კარგად წარმოაჩენს ნაშრომის სტრუქტურა.

პრობლემის ახლებური კუთხით დასმა დისერტანტისაგან მოითხოვდა წყაროთა ბაზისა და სპეციალური ლიტერატურისადმი თვისებრივად ახლებურ დამოკიდებულებას. ტრადიციული პრეფერენციები წყაროთა არჩევის საკითხში თავდაყირა დადგა. თუ იმ ისტორიკოსებისათვის, რომლებიც იკვლევენ მოქმედებებს, ობიექტივისტურ მომენტებს უახლესი ისტორიისათვის მთავარი იყო საარქივო მასალა, იმ ტიპის გამოკვლევაში, როგორიც აღქმებზე ფოკუსირებული ეს დისერტაციაა, გადამწყვეტ ადგილს იკავებს მემუარები. „მოქმედების ისტორიკოსები" ნაკლებ ნდობას უცხადებენ მემუარებს მათი სუბიექტურობის გამო, „აღქმების ისტორიკოსებისათვის" კი განსაკუთრებულად მიმზიდველია ისინი სწორედ ამ სუბიექტურობის გამო. ამავე მიზეზით აგრეთვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პერიოდული პრესა და სხვა ბეჭდურად ტირაჟირებული ტექსტები ანუ ის ტექსტები, რომლებიც ცირკულირებს ფართო მასებში და, რომელთაც შეუძლიათ ნაციონალური იდეებით ერთობის წევრთა უმრავლესობის ინსპირირება. ნაციები ხომ მასობრივი ფენომენებია, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესიც სხვა არა არის რა თუ არა ნაციონალური იდეით ფართო ფენების გამსჭვალვა.

პირდაპირი ისტორიოგრაფია საკითხს არა აქვს, რადგან არასოდეს ქართულ სინამდვილეში XX საუკუნის პირველი ოცწლეული ქართული იდენტობის ფორმირების ისტორიის კუთხით შესწავლილი არ ყოფილა. "მიტომ ამ პერიოდის შესახებ არსებული ლიტერატურაც ზოგ შემთხვევაში დისერტანტისათვის ასრულებს წყაროს ფუნქციას.

რაც შეეხება წყაროთმცოდნეობით კვლევას და საარქივო ძიებებს: რო-

ცა ისმის საკითხი საზოგადოებრივი აღქმების რეპრეზენტაციის შესახებ, ცხადია, უმჯობესია, კვლევის წყაროთმცოდნეობითი ეტაპი დასრულებული იყოს. მაგრამ ისტორიკოსები ვართ და ყველამ ვიცით, რომ ამგვარი იდეალური ვითარება არასოდეს არ დგება და ისტორიული რეპრეზენტაციის პარალელურად გვიწევს წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და სინთეზი. ჩვენი დისერტანტიც ამავე მდგომარეობაში აღმოჩნდა და მოუწია საარქივო მასალაზეც მუშაობა, განსაკუთრებით იმ სოციალური ჯგუფების აღქმებზე დასაკვირვებლად, რომლებიც ინტელექტუალური საქმიანობით არ იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ რომელთა აღქმები ქართული ერთობის აღქმათა საერთო სურათის წარმოსადგენად ასევე მნიშვნელოვანი იყო. მხედველობაში გვაქვს ქართველი გლეხობა. ამგვარად, დისერტანტს ჩატარებული აქვს ფაქტობრივ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევა და ორივე სფეროში ამჟღავნებს შესაბამის დახელოვნებას.

კვლევის შედეგი მართლაც ძალიან კარგია. კარგად არის ნაჩვენები ქართული ერთობის კოლექტიური აღქმების სურათი საანალიზო პერიოდში. მიხარია, რომ ჩემი ეს აზრი დისერტაციის შესახებ ემთხვევა ოფიციალური ოპონენტების დადებით შეფასებას, აგრეთვე, განმტკიცებულია დისერტაციის ავტორეფერატზე შემოსული გამოხმაურებებით."

ამგვარად, ერთის მხრივ, ჩემი აზრით, ნ. სონღულაშვილის სადოქტორო დისერტაცია არ არის აგრერიგად ხელწამოსაკრავი ნაშრომი. მითუმეტეს, არ არის იგი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მავნე ტენდენციის გამოვლინება, როგორც ამაში ჩვენს დარწმუნებას ცდილობს დ. შველიძე. მეორეს მხრივ, დ. შველიძეს, მისი სამეცნიერო კარიერის გათვალისწინებით, ვერანაირად ვერ მივიჩნევთ ამ ნაშრომის ობიექტურ შემფასებლად. ამასთან, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მას საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდის კვლევის მონოპოლზება სურს. უბრალოდ ვერ აუტანია, რომ ეპოქაზე, რომელიც მისი სამეცნიერო ძიების ობიექტს წარმოადგენდა, დაიწერა მისეული მიდგომებისაგან განსხვავებული გამოკვლევა. მისი რეცენზიის „მესიჯი" გასაგებია: აქ „ფეხის ჩადგმის" ნებას არავის მისცემს.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ნ. სონღულაშვილის გამოკვლევამ დ. შველიძეზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შემოქმედებითი პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით: გასულ წელს აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებები და კონკრე-

ტული კვლევები" (2012 წლის 16-17 ნოემბერი, თბილისი, საქართველო) მან წარმოადგნა მოხსენება „ერის რაობა და ქართველი ერის წარმოშობა".

საკითხის დასმა, რომელსაც სათაური წარმოაჩენს, მიუთითებს ავტორის დაბნეულობას. ნ. სონღულაშვილის დისერტაციიდან მან ბოლოს და ბოლოს ამოიცნო, თუ რა ყოფილა მისთვის საინტერესო პერიოდის გასაღები პრობლემა და ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა მისი გადაჭრა (იმ მასშტაბურ თეორიულ პრობლემასთან ერთად, რასაც ერის კონცეპტის განსაზღვრა წარმოადგენს!). მაგრამ იმაზე კი აღარ იფიქრა, შეეძლო კი მას ამ საკითხის სრულფასოვანი გაშუქება, მაგალითად, ერის რაობის გარკვევა, როცა იგი ინგლისურად ვერ კითხულობს და, შესაბამისად, არც საკითხზე არსებულ თანამედროვე თეორიულ ლიტერატურას იცნობს. ამიტომ გასაკვირი სულაც არაა, რომ დ. შველიძის მოხსენება ძალზე სუსტი გამოდგა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემთვის ეს არაა მთავარი. საინტერესო ის არის, რომ დ. შველიძეს ასე ძალიან მოუნდა სწორედ ეროვნული იდენტობის საკითხის მკვლევრად წარმდგარიყო საერთაშორისო კონფერენციაზე. ასე რომ, დ. შველიძის ამგვარ ტრანსფორმაციას ანუ, მისივე სიტყვები რომ გავიმეორო, „ინტელექტუალურ ტანჯვას" მე სწორედ ნ. სონღულაშვილის დისერტაციის კითხვით მიღებული მძლავრი იმპულსის შედეგად განვიხილავ.

X

ახლა მინდა უშუალოდ შევეხო დ. შველიძის რეცენზიაში გამოთქმულ ზოგ შენიშვნას, კერძოდ მათ, რომლებზეც ჩემი პოზიციის დაფიქსირება ნ. სონღულაშვილის დისერტაციის განხილვის გარეშეც აუცილებლად მეჩვენება.

რაც შეეხება სრული პასუხის გაცემას დ. შველიძის ჰიპერკრიტიკულ რეცენზიაზე, ეს დისერტაციის ავტორის პრეროგატივაა თუ კი, ცხადია, იგი ამას საჭიროდ ჩათვლის ახლა ან მომავალში, სპეციალურად ან რაიმე სხვა პროექტის ფარგლებში. მოკლედ, ეს თავად ნ. სონღულაშვილის გადასაწყვეტია. ამაში მე მას არ და ვერ შეეცილები და არც მის მაგივრად კონკრეტულ შენიშვნებზე პასუხების გაცემაა ჩემი მიზანი.

i

საკითხი, რომლის შესახებ პირველ რიგში, მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც რეცენზენტის მიერ ტერმინთა არადექვატურად გაგება. როგორც ირკვევა, დ. ველი-

ძეს, ბევრი რამ არადექვატურად ესმის ნ. სონღულაშვილის დისერტაციაში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ იცნობს გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობას. ერთ-ერთი ასეთი ტერმინია „ინტელიგენცია", რომელსაც რეცენზენტი აქსიოლოგიურად უდგება და ანიჭებს ექსკლუზიურად დადებით შინაარსს. აქედან გამომდინარე რეცენზენტი უკმაყოფილოა, რომ ნ. სონღულაშვილი ზოგჯერ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტაზე ერთად საუბრობს. დ. შველიძე დარწმუნებულია, რომ ეს დაუშვებელია და კულტურული ელიტა მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს პოლიტიკურისაგან. პირველს იგი პოზიტიურ მოვლენად განიხილავს, განმარტავს, რომ კულტურულ-ინტელექტუალური ნაწილი ანუ კულტურული ელიტა შეადგენს ინტელიგენციას; რაც შეეხება პოლიტიკურ ელიტას, ის ინტელიგენციის კატეგორიას არ შეიძლება მივაკუთვნოთ. ამგვარი გამიჯვნის მართებულობას კი, დ. შველიძის მითითებით, ის მაგალითი აჩვენებს, რომ თუ ინტელიგენციის რიგებში მოვიაზრებთ პოლიტიკურ ელიტასაც, მაშინ ვაჟა-ფშაველა და ფილიპე მახარაძე ერთი ჯგუფის წევრები აღმოჩნდებიან. აი, როგორ მსჯელობს რეცენზენტი:

„ავტორი განმარტავს, რომ „თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი კულტურული და პოლიტიკური ელიტა". სავსებით შესაძლებელია, დავეთანხმებით ჩვენც, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ ორი ჯგუფის იგივეობას. 1900-იან წლებში ინტელიგენცია აღნიშნავდა საზოგადოების კულტურულ-ინტელექტუალურ ნაწილს, ხოლო მისგან მკვეთრად იყო გამიჯნული პოლიტიკური ელიტა. დისერტაციაში ეს ორი ჯგუფი ხშირად ერთად და ერთი მნიშვნელობით მოიხსენიება, რაც მაშინდელ რეალობას არ შეესაბამება. ნ. ჟორდანია, გ. ლასხიშვილი, ს. კედია თუ გ. გოგელია ან ა. ჩხენკელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები იყვნენ და არა ინტელიგენციისა. თუ ჩვენ გვინდა მეცნიერულ სისტემაში მოვაქციოთ მოვლენები, მაშინ მოღვაწეთა აღნიშნული ჯგუფებიც უნდა გავმიჯნოთ, ხოლო თუ მათ შევაერთებთ, მაშინ ვაჟა-ფშაველაც და ფილიპე მახარაძეც ინტელიგენციის წარმომადგენლებად მოგვევლინებიან" (გვ. 431).

ამ ამონარიდით ჩანს, რომ დ. შველიძე პოლიტიკას არ თვლის კულტურის ნაწილად. ამგვარი მსჯელობის არაკვალიფიციურობა, სპეციალისტი მკითხველისათვის ძნელი შესამჩნევი არ არის. მაგრამ ეს მსჯელობა, ჩემი აზრით, არც არის გათვლილი სპეციალისტ მკითხველზე, ის საქმეში ჩაუხედავთა გაღიზიანებას და ნ. სონღულაშვილის საწინააღმდეგოდ მათ დარაზმვას ისახავს მიზნად: ჰოი, საშინელებავ, ვაჟა-ფშაველა და ფილიპე მახარაძე,

ორივე ინტელიგენტებად მოიხსენია? – აღშფოთდება მავანი. აქვე განვმარტავ, რომ აღნიშნულ ისტორიულ პირთა შესახებ დისერტაციაში ამგვარ კონტექსტში საერთოდ არაა საუბარი. რეცენზენტს ისინი თავად მოჰყავს მაგალითად და ამიტომ მეც ქვემოთ დ. შველიძის მიერ მოყვანილ ამ მაგალითს განვიხილავ, თორემ ნ. სონღულაშვილის დისერტაცია, ვიმეორებ, ამ მაგალითთან დაკავშირებით არაფერ შუაშია.

მაგრამ ვიდრე რეცენზიიდან ზემოთ წარმოდგენილი ამონარიდის უფრო არსებით განხილვაზე გადავიდოდე, მინდა აქვე შევნიშნო: ინტელიგენციის ჯგუფში გაერთიანების გარეშეც აღნიშნული პიროვნებები ანუ დიდი ქართველი პოეტი და ცნობილი ბოლშევიკი ლიდერი არაერთი სხვა ჩვენ-ჯგუფის თანაწევრებიც არიან. მაგალითად, ორივენი არიან ადამიანები, ორივენი არიან მამაკაცები, ორივენი არიან ეროვნებით ქართველები. არც ადამიანობა, არც მამაკაცობა, არც ქართველობა არ არის ინტელიგენტობაზე ნაკლებ ფუნდამენტური ჩვენ-ჯგუფები თავისი სოციალური არსით. ის, რომ ერთი და იმავე ჯგუფების თანაწევრები არიან ვაჟა-ფშაველა და ფილიპე მახარაძე, ეს არის ობიექტური მოცემულობა. ამაზე გავლენას ვერ მოახდენს მავანთა მიერ ერთის მოწონების და მეორეს დაწუნების ფაქტი.

როგორც უკვე აღვნიშნე, დ. შველიძე ინტელიგენციის სოციალური ჯგუფის იდენტიფიკაციისას ამოდის აქსიოლოგიური მიდგომიდან. მისთვის ინტელიგენციის ჯგუფი დადებითად მარკირებული ჯგუფია, ამიტომ, მისი შეხედულებით, ინტელიგენტთა ერთობის წევრი არის ეროვნული პოეტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენელი. სწორედ აქედან გამომდინარე, რეცენზენტი კატეგორიულად მოითხოვს ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის მკაფიო გამიჯვნას.

მაგრამ დღეს სოციალური მოვლენების შეფასებითი ანუ აქსიოლოგიური ინტერპრეტაცია უარყოფილია, როგორც არამეცნიერული. შეფასებითი მიდგომის მიხედვით ჯგუფის იდენტიფიკაციის სირთულე ისაა, რომ, ჯერ ერთი, ინტერპრეტაციისას სუბიექტივიზმის გამორიცხვა შეუძლებელია, და, მეორეც, ასეთ შემთხვევაში ჯგუფის დელიმიტაცია მოითხოვს წინასწარ ჩაღრმავებულ ანალიზს და შედეგი, მიუხედავად ანალიზისა, მაინც ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. ნიშანი, რომლის გამოკვეთა, საჭიროებს მნიშვნელოვან წინასწარ კვლევას, ცხადია, არ გამოდგება კრიტერიუმად. ამიტომ შეფასებითი მომენტი უნდა გამოირიცხოს და ჩვენ-ჯგუფის განსაზღვრა მოხდეს იმგვარი ნიშნების საფუძველზე, რომლებიც ყოველგვარი

წინასწარი ძიების გარეშეც თვალსაჩინო და უდავოა.

სოციალურ მოვლენებს უნდა მივუდგეთ არა აქსიოლოგიურად, არამედ ალტიმეტრიკულად. ინტელიგენციის შემთხვევაში ჯგუფის იდენტიფიკაციისათვის ამოსავალი ობიექტური კრიტერიუმი არის ამ ჯგუფის კავშირი გონებრივ შრომასთან და არა ეთიკურობასთან, გენიოსობასთან, ეროვნული იდეის ერთგულებასთან და ა.შ. ინტელიგენტობა ობიექტური მოცემულობაა. Iნტელიგენცია, ეს არის ჯგუფი, რომლის წევრებს გამოარჩევთ არა მაინცდამაინც განსაკუთრებული ინტელექტი ან მაღალი ზნეობრიობა და ა.შ., არამედ შრომითი აქტივობის ხასიათი: ინტელიგენტები არიან გონებრივი შრომის მუშაკები. ამით ისინი განსხვავდებიან ფიზიკური შრომის მუშაკებისაგან. ამ ჯგუფში ერთიანდებიან როგორც დიდი ნიჭის, ასევე საშუალო ნიჭის და საკმაოდ უნიჭო ადამიანებიც; როგორც ზნეობრივად მდგრადნი, ასევე არამდგრადნიც; როგორც რელიგიურნი, ასევე ათეისტებიც; ქალებიც და მამაკაცებიც; ნაციონალისტებიცა და კოსმოპოლიტებიც და ა.შ. ვიმეორებ: აქსიოლოგიური მიდგომა ამ ჯგუფის იდენტიფიკაციისათვის შეცდომაა. ეს ჯგუფი არ აერთიანებს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთა პიროვნული თვისებები საზოგადოების ფასეულებათა შკალაზე განსაკუთრებულად მაღალ პოზიციას იკავებს. საქართველოს უახლესი ისტორიდან ყველამ კარგად ვიცით, რომ ინტელიგენცია შეიძლება იყოს კრიმინალურიც, „წითელიც" და ა.შ.

ამიტომ, ალტიმეტრიკული ანუ არაშეფასებითი მიდგომით, ვაჟა ფშაველა და ფილიპე მახარაძე ინტელიგენციის ჯგუფში აღმოჩნდებიან: როგორც პოეტობა, ასევე პოლიტიკოსობა უკავშირდება გონებრივ შრომას. თუმც, კიდევ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო არც ამ კონკრეტულ დასკვნასთან დაკავშირებით ნ. სონღულაშვილის დისერტაცია არაფერ შუაშია. დისერტაციაში საკითხი იმის შესახებ არის ფილიპე მახარაძე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი თუ არა, საერთოდ არ ისმის.

როგორც ვხედავთ, დ. შველიძის მიერ ტექსტის არასწორად გაგების მიზეზი ისაა, რომ მან არაფერი სმენია სოციალური ფენომენების განხილვისას აქსიოლოგიურ და ალტიმეტრიკულ მიდგომებს შორის განსხვავებაზე და ამიტომ არაადექვატურად იგებს დისერტაციაში გამოყენებულ ტერმინებს.

სწორედ შესაბამისი ცოდნის არქონის გამო რეცენზენტმა ქართული ინტელიგენციის რიგებიდან გამორიცხა პოლიტიკური ელიტა, რომელიც თავიდან სრულიად მიზანმიმართულად დაუკავშირა ექსკლუზიურად ფილიპე მახარაძის პიროვნებას, რათა ამით მკითხველი დაერწმუნებინა ნ. სონღულაშვი-

ლის მსჯელობათა პარადოქსულ მცდარობაში. მაგრამ აქ მისთვის მოულოდნელად დიდ პრობლემას გადააწყდა: მართალია, ინტელიგენციისაგან პოლიტიკური ელიტის გამოთიშვით, ერთმანეთისაგან ვაჟა-ფშაველასა და ფილიპე მახარაძის განცალკევება მოახერხა, მაგრამ ამავე ლოგიკით ინტელიგენციის რიგებიდან გარიცხული გამოუვიდა ქართული პოლიტიკური ელიტის ის ნაწილიც, რომლებიც ეროვნული იდეებისადმი ერთგულებით არის ცნობილი. თავისი მსჯელობის ამ საჩოთირო შედეგს რეცენზენტი კი მიხვდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ უარი ეთქვა თავის უსაფუძვლო კრიტიციზმზე, გამოუვალი ვითარებიდან თავის დაღწევას კიდევ უფრო არაკვალიფიციური მსჯელობით შეეცადა:

„არც პოლიტიკური ელიტა იყო მაშინ ჩვენში ერთიანი კატეგორია. ეს მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური რეალობის სამწუხარო თავისებურება გახლდათ. პოლტიკური ელიტა ორ დაპირისპირებულ ბანაკად იყო გაყოფილი – რევოლუციურ და ეროვნულ ჯგუფებად. ეს თავისებურება, შესაძლოა, იდენტობის დასავლელმა თეორეტიკოსებმა არ უწყოდნენ, მაგრამ „ეპოქის“ სპეციალისტებმა კი უნდა იცოდნენ...“ (გვ. 431-432).

მართლაცდა გასაკვირია ამ მსჯელობის დონე: დ. შველიძე საუბრობს „პოლიტიკურ ელიტაზე“ ანუ გარკვეულ სოციალურ კატეგორიაზე და აქვე ამბობს, რომ ეს არ იყო ერთიანი კატეგორია. აქ რეცენზენტს აშკარად, მისივე სიტყვები რომ გავიმეორო „აზრის გამოთქმის პრობლემა“ აქვს.

პოლიტიკური ელიტის დანაწევრებულობაზე საუბარი ლოგიკურ კავშირში არაა რეცენზიაში წარმოდგენილ დისკურსთან. ეს მსჯელობა რეცენზენტს იმისათვის სჭირდება, რომ როგორღაც თავი დააღწიოს იმ უხერხულ ვითარებას, რომელიც თავადვე შექმნა იმით, რომ პოლიტიკა კულტურას დაცილა და ამის შედეგად ქართული ინტელიგენციის რიგებს „ჩამოაშორა“ ეროვნულ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი. აი, სწორედ იმისათვის, რომ აღნიშნული ნაკლოვანება მკითხველს შეუმჩნეველი დარჩეს, დ. შველიძე იწყებს ელიტის არაერთგვაროვნების საკითხის განხილვას. და მორიგ არაკვალიფიციურ მსჯელობას გვთავაზობს. მას თუ დავუჯერებთ, პოლიტიკური ელიტის არაერთგვაროვნება მხოლოდ ქართული სინამდვილის მახასიათებელი – „საქართველოს რეალობის სამწუხარო თავისებურება“ – ყოფილა.

იმ პერიოდის საქართველოშიც, რომელსაც ნ. სონღულაშვილის დისერტაცია ეხება, და ახლაც მრავალ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება ხასიათდება განსხვავებული პოზიციებით. დღეს ამ კუთხით იშვიათ გამონაკლისად,

ალბათ, ჩრდილოკორეული პოლიტიკური რეალობა შეიძლება მივიჩნიოთ. მაშ, პოლიტიკური ელიტის იდეური არაერთგვაროვნება როგორაა ქართული გამოცდილების ექსკლუზივი? მიჭირს გაკვირვება არ გამოვხატოთ რეცენზენტის ამ დონის „მტკიცებულებათა" გამო. ისევ დირესა და ბეწვის შესახებ სახარებისეული სენტენცია მახსენდება.

დასავლური მეცნიერების მიმართ რეცენზენტის ირონია კი, რომელიც გამოსჭვივის ზემოთ მოყვანილ ამონარიდში, საბჭოური ისტორიოგრაფიაში „ბურჟუაზიული ისტორიკოსებისადმი" არსებულ დამოკიდებულებას მაგონებს. სიტყვა „ეპოქის" ბრჭყალებში ჩასმაც აშკარად იმ საბჭოური ისტორიოგრაფიული დისკურსის გამოძახილია, რომლითაც საქართველოს ისტორიისათვის საანალიზო პერიოდის მნიშვნელობა საგანგებოდ კნინდებოდა. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა ავტორის კრიტიკის ზღვარგადასულმა სურვილმა პროფესორი იქამდეც კი მიიყვანა, რომ მზადაა ქართული იდენტობის წრთობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ხანას წაართვას ეპოქალურობის სტატუსი.

ii

მეორე საკითხიც, არაადექვატურ გაგებას უკავშირდება, რისი მიზეზიც ამ შემთხვევაში არცოდნაზე მეტად არის რეცენზენტის მოჭარბებული ემოცია და წინასწარაკვიატებული განზრახვა, რადაც არ უნდა დაუჯდეს ნ. სონღულაშვილის დისერტაციაში ყველფერი წარმოაჩინოს მხოლოდ უარყოფითი კუთხით. აი, ორი შესაბამისი ამონარიდი დ. შველიძის რეცენზიიდან, რომელშიც იგი თავისი ჩვეული გულმოდგინებით „ამკობს" ნ. სონღულაშვილს:

„52-ე გვერდზე კელავ უცოდინრობის რეციდივმა იჩინა თავი: პროკლამაციები საქართველოშიც ვრცელდებოდა „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეშვეობით". გავახსენებთ ავტორს, რომ 1918 წლის 19 ნოემბრამდე ჟორდანიასა და მისი ამხანაგების დაბალი ეროვნული იდენტობის ხარისხის წყალობით დამოუკიდებელი ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ „რსდმპ" და მისი შემადგენელი ნაწილი – საქართველოს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები" (გვ. 422);

„...უშვებს ჩვენი ავტორი აზრობრივ, შინაარსობრივ, გრამატიკულ-სტილისტურ, ფაქტობრივ და სხვა ხასიათის შეცდომებს. აი, როგორც ახლა, როცა წერს ორგან: „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია სოციალიზმის განხორციელებისათვის იბრძოდაო" და „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ნოე ჟორდანია აღნიშნავდაო" (გვ. 215 და 216). ორივე შემთხვევაში ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ 1918

წლამდე ასეთი პარტია არ არსებობდა და ჩვენ უკვე აღარ ვიცით ეს ავტორის უცოდინარობას დავაბრალოთ, გულმავიწყობას თუ აზრის გამოთქმის პრობლემას" (გვ. 445-446).

განა 1918 წლის შემდგომ კი იცის დ. შველიძემ პოლიტიკური ორგანიზაცია სახელწოდებით „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია"? ჭარტია ასეთი სახელწოდებით არასოდეს არსებობდა. არსებობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. ძნელი მისახვედრი არაა, რომ „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია" ნ. სონღულაშვილის მიერ არაა გამოყენებული პარტიის სახელწოდების აზრით (როგორც ითქვა, ასეთი სახელწოდების პარტია არ არსებობდა). ეს არის მხოლოდ გარკვეული რეალობის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი. „ქართული" არის ატრიბუტი, რომელიც ახდენს რსდმპ-ის ორგანიზაციების მარკირებას რეგიონის მიხედვით. ეს, ვიმეორებ, ძნელი ამოსაცნობი არაა და დ. შველიძეც, ალბათ, მიხვდებოდა ასეთი გაბოროტებით რომ არ კითხულობდეს ახალგაზრდა ავტორის ნაშრომს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სოციალ-დემოკრტია გარკვეული პერიოდში რუსეთის იმპერიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილი იყო, იგი ნამდვილად სპეციფიკურად ქართული მოვლენა გახლდათ. როგორც კარგად აჩვენა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა. 1883-1917" (თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007) ს. ფ. ჯონსმა, ქართული სოციალ-დემოკრატია რუსული სოციალ-დემოკრატიისაგან არსებითად განსხვავებული ფენომენი იყო. საქართველოს ისტორიაში ქართულ სოციალ-დემოკრატიის მნიშვნელობის განსაზღვრა – ეს ძალზე დიდი თემაა და სცილდება ამჯერად ჩემი საუბრის მიზანს. ამიტომ ამ მიმართულებით აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. მხოლოდ მოვიყვან ამონარიდს ზემოთ ნახსენები წიგნიდან იმის საილუსტრაციოდ, რომ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს ქართულმა სინამდვილემ და ამ იდეების მატარებელმა პოლიტიკოსთა ჯგუფმა (ქართველმა მენშევიკებმა) მართლაცდა სპეციფიკურად ქართული შეფერილობა შესძინა:

„1905 წლის რევოლუციის შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა შეივსო ახალი წევრებით თითქმის ყველა კლასიდან თუ სოციალური ფენიდან და ეროვნულ ორგანიზაციად იქცა. სხვა ეროვნების ხალხმა კი თავიანთი წარმომადგენლობის ძებნა სხვა პარტიებში დაიწყეს; სომხებმა – დაშნაკცუტუნში, რუსებმა – სოციალისტურ რევოლუციონერთა თუ სხვა

პატრიოტულ ორგანიზაციებში. მთელს კავკასიაში სოციალ-დემოკრატიამ მხოლოდ საქართველოში შეინარჩუნა მრავალეთნიკურობა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგული გახდა, მაგრამ თავისი შინაარსით ის მაინც ქართული იყო. ამ შინაარსში ასახვა ჰპოვა ქართული გლეხობისა დ მუშათა კლასისათვის დამახასიათებელმა ბუნებამ. მუშების დაცვა საქართველოში საქართველოს ინტერესების დაცვად იქცა. 1905 წლის შემდეგ ადგილობრივმა აქტივისტებმა, თითქოს ხელისცეცებით, ისე დაიწყეს რაღაც ახალი სინთეზის ძებნა, რომლისთვისაც „სოციალიზმი ქართული ელფერით" შეიძლებოდა შეგვერქვა" (გვ. 35).

iii

შემდეგი შენიშვნა, რომელზედ მინდა ყურადღება მინდა გავამახვილო, დაკავშირებულია ქართველი ერის ჩამოყალიბების საკითხთან. დ. შველიძის რეცენზიაში ნ. სონღულაშვილის, როგორც დისერტაციის ავტორის, შესახებ ვკითხულობთ:

„არც ამ თავში და მით უფრო ნაშრომში იგი არსად არ „ასაბუთებს" მარქსისტული კონცეფციის საწინააღმდეგო თვალსაზრისს. ამის მაგივრად ის მხოლოდ იმას ასაბუთებს, რომ „ქართული ერთობის წევრებს შორის კავშირი არსებობდა ყოველ ეპოქაში" და რომ ერთიანობის „აღქმაც" არსებობდა. ავტორი არსად არ ამბობს, წერს ან ასაბუთებს, რომ ქართველი ერი XIX საუკუნემდე არსებობდა" (გვ. 413–414).

ამჯერადაც, დ. შველიძე აშკარად იმედოვნებს იმ მკითხველთა დარაზმვას ნ. სონღულაშვილის წინააღმდეგ, რომელთათვისაც ქართველი ერის XIX საუკუნემდე წარმოშობის დაუსაბუთებლობა უპატიებელი ცოდვაა.

თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისის თანახმად, ერი ახალი დროის დამახასიათებელი ფენომენია, ეთნიკური ერთობების ერებად ჩამოყალიბება მოდერნიზაციის პროცესის დამახასიათებელ, თვისებრივ ახალ მოვლენებს (მაგალითად, როგორიცაა ბეჭდური მედიის გაჩენა) უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, პრემოდერნულ ერებზე საუბარი მხოლოდ პირობითად შეიძლება. რაც შეეხება, მარქსიზმს, ყოველი გამოკვლევის მიზანი არ შეიძლება იყოს მაინცდამაინც ყველა მარქსისტული დებულების დარღვევა, ისევე, როგორც ასეთი მიზანი არ შეიძლება იყოს ყველა მარქსისტული პოსტულატის დაცვა-გამართლება. ერების წარმოშობის დროის საკითხში მარქსისტული პოზიცია ემთხვევა თანამედროვე სოციოლოგიური სკოლების პოზიციას, მარქსიზმს განასხვავებს არა მიდგომა ერების

ჩამოყალიბების ეპოქისადმი, არამედ მთელი რიგი სხვა მომენტებისა და, სასურველია, პროფესორმა ეს იცოდეს.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს რას „ასაბუთებს" ან არ „ასაბუთებს" ნ. სონღულაშვილი. საკითხი სხვა კუთხით არის საგანგაშო: პროფესორს, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალ და უახლესი პერიოდის ისტორიას ასწავლის, ჰგონია: ნაკლია, როცა ვინმე არ ასაბუთებს ქართველი ერის XIX საუკუნემდე არსებობას.

აქვე მინდა დავაზუსტო: იმის თქმა, რომ ქართული ერთობა ერად ახალ დროში ჩამოყალიბდა, სულაც არ ნიშნავს მისი ეთნიკური წარსულის უარყოფას, იმას, რომ ის გაჩნდა ცარიელ ადგილას; არ ნიშნავს ქართული ჩვენ-ჯგუფისა და ქართული თვითცნობიერების არარსებობას წინარე საუკუნეებში. ეს მხოლოდ იმ უდავო ფაქტს ნიშნავს, რომ ახალ დროში ქართველთა თვითცნობიერება გამოიკვეთა შესაბამისი გამოწვევების მიხედვით და ქართული ერთობის კონსოლიდაციის დონემ მიაღწია განსაკუთრებულ, მანამდე ნამდვილად არნახულ, ნიშნულს.

ამგვარად, „ერი" („ერი" – უძველესი ქართული სიტყვა – „ნაციის" გაგებით ანუ მოდერნული ეპოქის ფენომენის აზრით, დაფიქსირებულია უკვე XIX საუკუნეში) სპეციფიკური ტერმინია, რომელიც გამოიყენება ექსკლუზიურად ახალი დროის კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობების აღსანიშნავად. პრეინდუსტრიულ ხანაში ანუ ამ ტიპის ერთობების განვითარების სხვა ეტაპების შესატყვისად, მეცნიერების მიერ გამოიყენება სხვა ტერმინები. რაც შეეხებათ ეროვნულ მოღვაწეებს ანუ ნაციონალისტებს, ისინი უგულვებელყოფენ კოლექტიური-კულტურული იდენტობის მქონე ერთობის სხვადასხვა მდგომარეობის სხვადასხვა ტერმინით აღწერის საჭიროებას სრულიად გასაგები მიზეზის გამო: ისინი ხომ მეცნიერებისათვის აუცილებელ სიზუსტეს არ ესწრაფვიან. ამიტომ ყველა ეპოქისათვის შესაძლებელია, რომ ნაციონალისტი პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწე ქართულ ერთობის მისამართით მხოლოდ ერთ ტერმინს ანუ „ერს" იყენებდეს, მაგრამ მეცნიერის პოზიცია, განსხვავებული უნდა იყოს. მაგალითად, ის რომ რომელიმე პოლიტიკური ლიდერი ან საზოგადო მოღვაწე ან რიგითი ქართველი ქართულ ერთობას ერად მოიხსენიებს ვახტანგ გორგასლის მეფისას და ილია ჭავჭავაძის ეპოქაშიც, ცხადია, სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველთა თვითშეგნების დონე V და XIX საუკუნეებში ერთნაირი იყო. ამ ტიპის მსჯელო-

ბა, რომ ისტორიზმს მოკლებულია და, შესაბამისად, სამეცნიერო თვალსაზრისით, გამოუსადეგარია, მე მგონი, საკამათო არ არის.

მეცნიერები ვერ შეცვლიან, ნაციონალისტურ რიტორიკას და ვერც მის იმპულსს ქართული ჩვენ-ჯგუფის რიგით წევრებზე, მაგრამ თავად ქართულ სამეცნიერო წრეებში დროა დასრულდეს შესაბამისი თეორიული ცოდნის არქონით ნასაზრდოები ფსევდოპატრიოტული დისკურსი ქართველი ერის უხსოვარ დროში ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ქართული ერთობის, როგორც ეროვნული (sic!) ერთობის ფორმირება, ახალი დროის მოვლენაა, თუმც ქართული იდენტობის ისტორია საუკუნეთა სიღრმეში (აიეტის კოლხეთის მიღმა) იკარგება.

iv

რეცენზენტის შემდეგი შენიშვნა, რომელიც მინდა განხილვის საგნად ვაქციო, შეეხება ნ. სონღულაშვილის მიერ სადისერტაციო თემის არჩევანს. რეცენზენტის აზრით, დისერტაციის ქრონოლოგიური ჩარჩო არის იმდენად ფართო, რომ ნაშრომის უხარისხობა გარდაუვალი იყო:

„...ავტორმა ვერ გაითვალისწინა აგრეთვე საკვლევი პრობლემის მეტისმეტი ქრონოლოგიური სიფართოვე. 1900-1917 და 1917-1921 წლების პერიოდების საქართველოს ისტორია ორი სრულიად განსხვავებული და ცალკე შესასწავლი პრობლემებია და მათი სრულყოფილად შესწავლა ერთი სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში არარეალისტური ამოცანაა. ასეთ შემთხვევაში ნაშრომი წინასწარაა განწირული, რომ იყოს მეტისმეტად ზედაპირული, ზოგადი და ფრაგმენტული“ (გვ. 412).

თავად რეცენზენტი ვერ ითვალისწინებს, რომ დისერტაცია ეხება იდენტობის ფორმირების პროცესს. ამგვარ ისტორიულ პროცესზე დაკვირვებისათვის ოცწლიანი პერიოდი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მეტისმეტად დიდად. თუ სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში არ არის მიზანშეწონილი ამ ტიპის პროცესების კვლევა, მაშ სადაა მიზანშეწონილი? საინტერესოა, აგრეთვე რამდენწლიანი პერიოდი მიაჩნია დ. შველიძეს ოპტიმალურად სადოქტორო ნაშრომისათვის? ერთი, ორი თუ სამი? ასეთ შემთხვევაში, ალბათ, მას ექნებოდა შენიშვნა საკვლევი პერიოდის მეტისმეტი სივიწროვის გამო.

არ მიმაჩნია მართებულად სადოქტორო დისერტაციისათვის თემის დავიწროების მოთხოვნა. უნდა იწერებოდეს და იცვებოდეს დისერტაციები, რომლებიც შედარებით ვიწრო პრობლემას (ერთ წყაროს, ერთ პიროვნებას,

ერთ მოვლენას და ა.შ) ეძღვნება და მიზნად ისახავს დეტალების წარმოჩენას, მაგრამ ასევე უნდა იწერებოდეს და იცვებიდეს დისერტაციები, რომლებიც მიზნად ისახავს წყაროთა ჯგუფის, საზოგადოებრივი ფენის ან სულაც მთელი საზოგადოების, ეპოქის და ა.შ. ერთიანად წარმოდგენას. ორივე ტიპის გამოკვლევა საჭირო და ფასეულია, ისინი ერთმანეთს ავსებს, რადგან ისტორიული რეპრეზენტაციისათვის მნიშვნელოვანია, როგორც დეტალი, ცალკეული, ისე დეტალთა ერთიანობა და საერთო ხედი. ვიწრო პრობლემისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში გვაკლია ზოგადი პანორამა, დიდი პრობლემისადმი მიძღვნულ გამოკვლევაში გვესაკლიება დეტალები. ერთი მეორეს გამორიცხავს. შეუძლებელია, ერთ ნაშრომში ყველა დეტალი ზედმიწევნით იყოს აღნუსხული და საერთო ხედი არ დაიკარგოს. ასევე საერთო ხედის ჩვენებისას, შეუძლებელია დეტალები არ გაფერმკრთალდნენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ორივე პროფილის გამოკვლევები არ უნდა იქმნებოდეს. ნ. სონღულაშვილის დისერტაციის მიზანი საუკუნის მეოთხედში ქართული ერთობის იდენტობრივი პერცეფციების ჩვენებაა. მაგრამ მრავალფოკუსიანობის მიზეზით მისი ნაშრომი დასაწუნი არ არის და არ ჩამოუვარდება იმგვარ ნაშრომებს, რომლებიც ერთი საომარი შეტაკების, ერთი საზავო ხელშეკრულების, ერთი საარქივო დოკუმენტის, ერთი ისტორიული პიროვნების გარშემო ტრიალებს.

***

დაბოლოს, ჩვენი პასუხი სათაურში დასმულ კითხვაზე: როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია? მჯობნის მჯობს რა დალევს, მაგრამ მე ვფიქრობ, ნ. სონღულაშვილის დისერტაცია „ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში" პრობლემის ახლებური დასმით, კარგად ფორმულირებული ამოცანებით და საინტერესო შედეგებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის კარგი ნიმუშია.

ხოლო რაც შეეხება რეცენზიას საკვალიფიკაციო ნაშრომზე თუ, საზოგადოდ, სამეცნიერო გამოკვლევაზე, იგი ნამდვილად არ უნდა იყოს ისეთი, როგორიც დ. შველიძის მიერ ნაჩქარევად მომზადებული „ნაგვიანევი" გამოხმაურებაა.

მე ბოდიში მინდა მოვუხადო მკითხველს იმისათვის, რომ პირდაპირ და

ამიტომაც მკაცრად გავეცი პასუხი პროფ. დ. შველიძის რეცენზიას; იმისათვის, რომ მომიწია გამომემზეურეინა ზოგიერთი საჩოთირო ფაქტი. მაგრამ, მერწმუნეთ, ეს კოლეგის უაღრესად უკადრისმა საქციელმა მაიძულა.

ნამდვილი დილემის წინაშე ვიყავი: თქმაც ძნელი იყო და ართქმაც. როგორც მოგეხსენებათ, რუსთაველი თავის ცნობილ სენტენციაში – „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, გადაჭრით არაფერს გვირჩევს, გარდა იმისა, რომ ვითარების გათვალისწინებით უნდა მოვიქცეთ.

ართქმას მე თქმა ვამჯობინე.

მარიამ ჩხარტიშვილი

თბილისი, 2013 წლის 11 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII
თბილისი. 2013

დიმიტრი შველიძე

პასკვილი – პასუხისა და პასუხისმგებლობის ნაცვლად

როგორც მკითხველისთვისაა ცნობილი,, წინამდებარე „შრომების“ VI ტომში გამოვაქვეყნე კრიტიკული რეცენზია ნ. სონღულაშვილის სადოქტორო დისერტაციაზე. ამას წინათ კი, ჩემს რეცენზიაზე პასუხის პრეტენზიით, აღნიშნული სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელმა ქ-ნმა მარიამ ჩხარტიშვილმა გამოაქვეყნა ბროშურა: „როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია ისტორიაში?“

ბროშურის მიზნის შესახებ ავტორი წერს: „ესაა ჩემი სურვილი გამოეესარჩლო ახალგაზრდას, რომელიც რიგი გარემოებების გამო დაუცველია უფროსი კოლეგის წინაშე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვერ შეკადრებს თავის ყოფილ ლექტორს გამოაშკარავოს მისეული კრიტიკის არააკადემიური მოტივაცია, გაუჭირდება სათანადო პირდაპირობით განუმარტოს საზოგადოებას რეცენზენტის მსჯელობის ლაფსუსები სწორედ მასსა და პროფესორს შორის არსებული დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო“ (მ. ჩხარტიშვილი. როგორი უნდა იყოს... გვ. 12).

კიდევ არის ბროშურაში ავტორისეული ფსევდოჰუმანური შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევაფასოთ და რა კრიტერიუმებით, „ახალგაზრდა“ დისერტანტების ნაშომები. ბროშურისა და დისერტაციის ავტორ-ხელმძღვანელი, რომელიც ჩვენ გვდებს ბრალს, „საკუთარი დაუწერელი სტანდარტების“ ქონაში, თვითონ გვთავაზობს სახელმძღვანელო დებულებას: „ისტორიის დოქტორის ხარისხი იმის მაუწყებელი კი არაა, რომ მისი მფლობელი ამინდის შემქმნელი მეცნიერია, არამედ მარტოოდენ იმის, რომ ადამიანს აქვს სათანადო უნარ-ჩვევები აწარმოოს მოცულობითი მეცნიერული კვლევა.“ (იქვე და ამის შემდეგ – გვ. 19).

ავტორის მიერ შემოთავაზებული, პირველ შემთხვევაში, გულამაჩუყებელი შემწყნარებლობისაკენ მოწოდება და მეორე შემთხვევაში, საკუთარი ფან-

ტაზიით შეკოწიწებული სტანდარტი, თავდაყირა აყენებს სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს, რომელიც ერთადერთი კრიტერიუმია სადოქტორო დისერტაციების შეფასებისას. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების VII თავში: „სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა", 21-ე პუნქტში ვკითხულობთ: „21.1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელთაც წვლილი შეაქვთ დარგის განვითარებაში."

ან კიდევ, იგივე „დებულების" 26-ე პუნქტის: „სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების 26.1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

– საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე.

– კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე; კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა.

– მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი."

პირადად ჩვენ, ნ. სონღულაშვილის დისერტაციის შეფასებისას, ამ კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობდით და არა ავტორ-ხელმძღვანელის მიერ შემოთავაზებული საეჭვო ინტერპრეტაციით. რა სურათიც მივიღეთ დისერტაციის შეფასების შედეგად, მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი და მის გამეორებას არ ვაპირებთ. ახლა ჩვენ უფრო სხვა საკითხი გვაინტერესებს, კერძოდ – როგორ დაიცვა დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელმა „დაუცველი" დისერტანტი, უფროსების მხრიდან დაჩაგვრისაგან?

ქ-ნი მ. ჩხარტიშვილი საერთოდ გაექცა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ საუბარს, ჩვენს მიერ წამოყენებულ მრავალრიცხოვან შენიშვნებს, დასკვნებს და ამის მაგივრად 58-გვერდიანი ბროშურა გაავსო ფროიდისტული დაკვირვებებით ჩვენი განწყობილებების, მოტივაციების, ემოციებისა და სხვა ქვეცნობიერი გამოვლინებების ძიებით, კერძოდ, რომ ჩვენ თურმე „არაკეთილგანწყობილი" ვართ, რადგან რეცენზია მთლიანად „ნეგატიურია"; „მოჭარბებული ემოციითა დაწერილი" (გვ. 9); რომ: რეცენზენტი შენიშვნებით „ვერ ძღება" და ნაშრომი „წონასწორობას აკარგვინებს" (გვ.10); რომ რეცენზენტმა „უკიდურესი სისასტიკე" გამოიჩინა (გვ. 14); „ჰიპერკრიტიკულია", „ღვარძლიანიც" (14-15); „დასაძრახია" (გვ. 15); „უკადრისი ფანდი" იხმარა (გვ. 16), „გაბოროტებულია" (გვ. 38)... ერთი მითხარით, სადაა აქ ან მეც-

ნიერება ან აკადემიურობა.

ბროშურის მე-16 გვერდზე ავტორ-ხელმძღვანელი, სხვანაირად როგორა ვთქვა, რაც უკვე ღიმილის მომგვრელიცაა, დეტექტივის ჟანრში ინაცვლებს და იძიებს, როდის და რამდენ დღეში დავწერე რეცენზია და დაასკვნის: „აშკარაა, რომ ეს რეცენზია დაწერილია 2012 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ანუ მასზე დაიხარჯა არა უმეტეს ორი თვისა." (გვ. 16). ავტორს არ აწყობს, რომ წელიწადის დროთა შორის აგვისტოც არსებობს და ეს დალოცვილი თვე ყველაზე შესაფერისია მორჩენილი საქმეების მოსამთავრებლად. რაც შეეხება, ჩემს მიერ დისერტაციის ოპონენტობაზე უარის თქმას, ამისი მიზეზი უკვე განვმარტე და გავიმეორებ: დისერტაციის უჩვეულო ხასიათი იყო.. მისი თითქმის ყოველი გვერდი დეტალურად შესწავლას მოითხოვდა, რადგან თითქმის ყოველ ფურცელზე იყო რამენაირი სახის შეცდომა, ხარვეზი თუ უზუსტობა. ამდენი თავისუფალი დრო კი მხოლოდ ზაფხულში შეიძლებოდა მქონოდა და არა სემესტრის ბოლოსათვის დამახასიათებელი გადატვირთულობის პირობებში. გარდა ამისა, ჩემი მთავარი მიზეზი დისერტაციის დაცვის ჩაშლა არასოდეს ყოფილა, იყო – დისერტაციის შესწავლა და შეფასება.

ადრეც ვფიქრობდი და ახლაც მიმაჩნია: დისერტაციის სისუსტის უმთავრესი მიზეზი ის გარემოება აღმოჩნდა, რომ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი არ არის XX საუკუნის საქართველოს ისტორიის სპეციალისტი. არ ვიცი ქ-მა მარიამმა რამდენჯერ ან საერთოდ წაიკითხა თუ არა სადისერტაციო ნაშრომი, მაგრამ ერთი ცხადია: მას შეუმჩნეველი დარჩა ის შეცდომები, სხვადასვა სახის ნაკლოვანებები, რაც ასე მოჭარბებულად აღმოჩნდა დისერტაციაში და განაპირობა მისი დაბალი მეცნიერული დონე. თუ სამეცნიერო ხელმძღვანელს ეყოფა შესაბამისი კომპეტენცია, დაე მან პასუხი გასცეს ჩემს მრავალრიცხოვან შენიშვნებს და ეს იქნება მეცნიერული პასუხი ჩვენს რეცენზიაზე და არა მისი ფროიდისტული წიაღსვლები, თითქოს ჩვენ გვინდოდა დისერტანტის ხელმძღვანელობა და მსგავსი ფანტაზიები.

მთელს 58-გვერდიან ბროშურაში ავტორ-ხელმძღვანელის მეცნიერულ გამოკამათებას მხოლოდ 10-11 გვერდი უკავია და ჩვენც მას მივაქცევთ ყურადღებას. ავტორი რამდენიმე საკითხში გვედავება.

პირველი: ბროშურის ავტორი ეთანხმება დისერტანტს, რომელიც წერს, რომ „თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი კულტურული და პოლიტიკური ელიტა". ავტორ-ხელმძღვანელი დემაგოგიურად

გვდებს ბრალს, თითქოს ჩვენ ამ ტერმინის წინააღმდეგნი ვიყოთ. ასე არაა, რადგან ჩვენს რეცენზიაში ვწერთ: „საესებით შესაძლებელია, დავეთანხმებით ჩვენც...“

მაგრამ იქვე განვაგრძობთ, რომ „ეს არ ნიშნავს ამ ორი ჯგუფის იგივეობას“ და მის ყველანაირ კონტექსტში ხმარების დაშვებას. აქედან ავტორ-ხელმძღვანელს გამოჰყავს სრულიად არაადეკვატური დასკვნა, რომ თითქოს „დ. შველიძე პოლიტიკას არ თვლის კულტურის ნაწილად“ (გვ. 48). Mარტივი დემაგოგიაა და სიტყვების თამაში. ავტორ-ხელმძღვანელი ხელოვნურ კამათში გვიწვევს, რაც არ არის დაკავშირებული დისერტაციასთან. Dისერტაციის თემატიკასთან ისაა დაკავშირებული, რომ ამ ორი ჯგუფის იგივეობრივად გამოყენება 1900-იანი წლების საქართველოს რეალიების კონტექსტში, სრულიად აბსურდულია. აი მაგალითიც, რომელიც დისერტაციის 117-ე გვერდზეა, ჩვენი რეცენზიის 432-ე გვერდზეცაა ციტირებული და ჩვენმა დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელმა მასში ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ შენიშნა:

დისერტანტი წერს: „XX საუკუნის 10-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის წინა და მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა პოლიტიკური ელიტა, რომელიც საქართველოს გათავისუფლების სახელით გამოდის. საერთოდ, კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიზანი ერთი იყო: ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლება და დამოუკიდებლობის აღდგენა. თუმცა ამ მიზნამდე ისინი სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ“ (ნ. სონღულაშვილის სადოქტორო დისერტაცია: „ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში“. გვ. 117). ამ პერიოდის სპეციალისტებისა და მცოდნეთათვის კარგადაა ცნობილი რომ 1910-იან წლებში ჩვენი „კულტურული და პოლიტიკური ელიტის“ მხოლოდ ერთი ნაწილი აყენებდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს და სწორედ ამიტომ არ შეგვიძლია ამ ტერმინის ხმარება, როგორც ერთი მთლიანი ერთობის მიმართება მიმდინარე რეალიებთან, თითქოს მთელი „კულტურული და პოლიტიკური ელიტა“ მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას, აღნიშნულ პერიოდში. .

დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი გვასწავლის, რომ „პოლიტიკური ელიტა“ ყველგან მრავალფეროვანია და ჩვენში რატომ უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი. აქაც დემაგოგია იმალება. ჩვენ ვსაუბრობთ ტერმინის კონკრეტულ კონტექსტში ხმარების უხერხულობაზე, რომ არ შეიძლება ითქ-

ვას, თითქოს ქართული „პოლიტიკური ელიტის მიზანი ერთი იყო“ – დამოუკიდებლობის აღდგენა, ეროვნული ცნობიერების ამაღლება და სხვა მსგავსი რამ. დროა დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელმა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს რეალიებს გაუწიოს ანგარიში, როცა ამ პერიოდის შესახებაა საუბარი და არა ზოგადი პოლიტოლოგიური ანბანა ასწავლოს სხვებს, თუ რა არის „პოლიტიკური ელიტა“ და მსგავსი, ამ შემთხვევაში, უადგილო კატეგორიები.

ასევე უადგილოა ბროშურის ავტორის ვრცელი მსჯელობა „ინტელიგენციის“ შესახებ, ვურჩევთ დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომ სულაც არ არის საჭირო ინტელიგენციის, როგორც კატეგორიის შესახებ, „აქსიოლოგიური და ალტიმეტრიკული“ მიდგომების განხილვა, რომლის მიხედვითაც ის ადგენს, რომ თურმე „ინტელიგენტები არიან გონებრივი შრომის მუშაკები“ (გვ. 49). როდესაც ამგვარი ელემენტარული ტერმინების განსაზღვრებით დაინტერესდება, შეუძლია ჩვეულებრივ ლექსიკონში ჩაიხედოს.

მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს, რატომ ჩამოვარდა ინტელიგენციაზე საუბარი, განვმარტავ: ნ. სონღულაშვილის სადისერტაციო ნაშრომში, III თავის მეშვიდე პარაგრაფი „ინტელიგენციას“ ეძღვნება. იგი 4 ფურცელს მოიცავს. სხვადასხვა გაზეთებიდან ამოწერილია 13 ციტატა. ჩვენ რეცენზიაში ვწერთ: „რაც შეეხება თვით ინტელიგენციის წარმომადგენლების ეროვნულ შეხედულებებს, მათ დამოკიდებულებას ეროვნული სიმბოლოებისადმი, მახასიათებლებისადმი და ა. შ. (რაც დისერტაციის მთავარი მიზანია – დ. შ), პარაგრაფში ამის შესახებ არაფერია არც ამოწერილი და არც გაანალიზებული. მივიღეთ პარაგრაფი ინტელიგენციის შესახებ, ფაქტებით, რომლებიც ისედაც კარგადაა ცნობილი.“ (იხ., ჩვენი რეცენზია. გვ. 431). ბროშურის ავტორს, როგორც დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ამის შესახებ უნდა გაემახვილებინა თავის დროზე ყურადღება და ახლა კი ამის შესახებ უნდა გასცეს პასუხი და არა ინტელიგენციის აქსიოლოგიური და ალტიმეტრიკული მიდგომების შესახებ, რაც სრულიად უადგილოა ამ შემთხვევაში.

აღარ ვეხები ბროშურა-პასკვილის ავტორის წვრილმან ინსინუაციებს, მაგ., ისეთებს, როცა ერთგან დასავლელი ავტორებისადმი ირონიულ დამოკიდებულებას მაბრა;ლებს, ან მეორეგან XX საუკუნის პერიოდის ისტორიისადმი „ეპოქალურობის სტატუსის“ წართმევის ცდაში მადანაშაულებს და ა. შ. საერთოდ, ავტორ-ხელმძღვანელთან მეცნიერული კამათი, თითქმის წყლის ნაყვის ტოლფასია, რადგან იგი უფრო საკუთარ წარმოსახვებს ეყრდნობა და

არა, წყაროს, დოკუმენტს, ლიტერატურას.

მეორე: ბროშურის ავტორი აკვიატებაში მითვლის, როცა დისერტანტს მივუთითებ, რომ „ქართუ;ლი სოციალ-დემოკრატიული პარტია", რომელსაც ამ სახით ის რამდენჯერმე ახსენებს თავის დისერტაციაში, 1918 წლის ნოემბრამდე არ არსებობდა და ასე არც უნდა მოვიხსენიოთ. ავტორ-ხელმძღვანელი ცდილობს გაამართლოს დისერტანტი და სიტყვების თამაშით ვაგლახობს ეს გააკეთოს. ის მოგვმართავს, განა ამ სახელით შემდეგში კი არსებობდა ეს პარტიაო? მერე განმარტავს, რომ პარტიის ამ სახელით ხმარება, მხოლოდ „გარკვეული რეალობის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი"-აო. ამას მოსდევს ახსნა-განმარტება, რომ თურმე ქართული სოციალ-დემოკრატია სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, იშველიებს სტივენ ჯონსის ავტორიტეტს, თითქოს ეს ავტორი თავის სოლიდურ ნაშრომში, სადმე მოიხსენიებდეს „ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას", 1917 წლამდე პერიოდში. ქ-ნო მარიამ, მოდით ასე შევთანხმდეთ, სანამ ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიას მასწავლიდეთ, მანამდე თუ თქვენი სურვილია, უწოდეთ ხოლმე ჟორდანიას მრევლს „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია", ეს თქვენგან საპატიო უცოდინარობა იქნება, მაგრამ თქვენს დისერტანტს რას ერჩით, რომელიც თქვენ ისედაც სერიოზულად დააზარალეთ.

მესამე: ავტორ-ხელმძღვანელი ბრალს გვდებს, თითქოს ვსაყვედურობდეთ დისერტანტს, რომ ის ქართველი ერის წარმოშობის დროდ XIX საუკუნეს მიიჩნევდეს. ესეც მორიგი ინსინუაციაა. განვმარტავ: თავისი დისერტაციის პირველ თავში, დისერტანტი წერს, რომ ნაშრომის ამ ნაწილში „წარმოდგენილია, თუ როგორ მოიაზრებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბება XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ". მიზანდასახულება სავსებით გასაგებია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ შვიდ გვერდიან თავში, საერთოდ არ არის საუბარი, რას ფიქრობდა ქართული კულტურულ-პოლიტიკური ელიტა ქართველი ერის წარმოშობის, ჩამოყალიბების პირობებისა და დროის შესახებ. სწორედ ამას ვსაყვედურობთ დისერტანტს და არა იმას, რომ იგი ერის წარმოშობის დროდ XIX საუკუნეს მიიჩნევს. არსად, არც ჩვენს რეცენზიაში და არც სხვაგან, ბროშურის ავტორ-ხელმძღვანელი ვერ ნახავს ჩვენს მიერ დაწერილ ერთ წინადადებასაც, რომელშიც ჩვენ ვინმეს ვსაყვედურობდეთ, ასე გვიან რატომ გადმოიტანეთ ქართველი ერის ჩამოყალიბების პერიოდიო — საქმის ამგვარად წარმოჩენა

მხოლოდ ავტორ-ხელმძღვანელის ჩვეული ნეგატიური წარმოსახვების ნაყოფია.

მეოთხე: ეს შენიშვნაც საკვლევი პერიოდის ისტორიაში, საკმარისი გაუთვითცნობიერებლობის ფაქტორს უკავშირდება. საერთოდ უნდა იცოდეს ავტორ-ხელმძღვანელმა, რომ ეროვნული იდენტობის თეორიებში გარკვევა და მის მიერ ინგლისური ენის ცოდნაზე პრიმიტიული აპელირება, სრულიადაც არაა საკმარისი XX საუკუნის საქართველოს ისტორიული რეალიების კვლევისათვის. ავტორ-ხელმძღვანელს უკვირს, როგორ შეიძლება ოცი წელი, ისეთი ფართო და ვრცელი პერიოდი იყოს სადოქტორი დისერტაციისათვის. არა ქ-ნო მარიამ, ჩვენ ეს არც გვიგულისხმია, არც დაგვიწერია, რასაც თქვენ გაკვირვებით წერთ: „ამგვარ ისტორიულ პროცესზე დაკვირვებისათვის ოცწლიანი პერიოდი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მეტისმეტად დიდად." (გვ. 56).

ჩვენ იმ გარემოებას ვგულისხმობდით, რაც თქვენ წაიკითხეთ, მაგრამ წაუყრუეთ – ეს კი მეცნიერისთვის შეუფერებელი დემაგოგიაა. აბა კიდევ წავიკითხოთ ერთად, რას ვწერ რეცენზიაში, რომელიც თქვენცა გაქვთ ციტირებული: „1900-1917 და 1917-1921 წლების პერიოდების საქართველოს ისტორია ორი სრულიად განსხვავებული და ცალკე შესასწავლი პრობლემებია და მათი სრულყოფილად შესწავლა ერთი სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში არარეალისტური ამოცანაა. ასეთ შემთხვევაში ნაშრომი წინასწარაა განწირული, რომ იყოს მეტისმეტად ზედაპირული, ზოგადი და ფრაგმენტული" (იხ: ჩვენი რეცენზია., გვ. 412).

ასეც გამოვიდა და ეს თქვენ ვერ გაითვალისწინეთ, რადგან თქვენი კომპეტენცია არ ეყო XX საუკუნის საქართველოს ისტორიის თავისებურებების გაცნობიერებას. ამიტომაა რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკის რეალიებს დისერტაციაში სულ რამდენიმე გვერდი ერგო და ისიც გაფანტულად.

* * *

მინიმალურადაც ვერ გააბათილა ან უპასუხა ავტორ-ხელმძღვანელმა „ვამოწვევებს" და ვერ დაიცვა დისერტანტი უფროსი მრაგვრელებისაგან. მაგრამ აი აქ გაახსენდა ან ვიღაცამ გაახსენა, რომ ჩვენ საბჭოთა პერიოდში საკანდიდატო დისერტაცია გვქონდა დაცული. ეს გარემოება ნამდვილი განძი აღმოჩნდა ჩვენი ავტორ-ხელმძღვანელისათვის, რომლის მეშვეობითაც მას

შეეძლო, როგორც თვითონ იხმარა ეს გამოთქმა, „ჯავრი ეყარა“ მოწინააღმ-დეგეზე. ამ შემთხვევაში ჩვენზე. ჰოდა მან ორივე ჩემს დისერტაციას თავისი ბროშურა-პასკვილის სოლიდური ადგილი დაუთმო – 16 გვერდი. ჩვენს ოპონენტს, როგორც XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩაუხედავ ისტორიკოსს, ჰგონია, რომ დიდი აღმოჩენა გააკეთა. ჩემი საკანდიდატო დისერტაცია არავისთვის არაა დამალული და კარგადაა ცნობილი სპეციალისტებისათვის.

ამიტომ არ ვაპირებ არც მის მეორედ დაცვას, არც მასზე საუბარს. ჩვენ თვითონ დავწერეთ ამ საკანდიდატო დისერტაციის შესახებ, ჩვენსავე სადოქტორო დისერტაციაში: „1981 წელს დავიცავით საკანდიდატო დისერტაცია: „ქართველი ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის წინააღმდეგ (1895-1907 წწ)“. ნაშრომი იმ სქემის გათვალისწინებით დაიწერა, რომელსაც საბჭოური იდეოლოგია კარნახობდა ისტორიკოსს. როგორც სათაურიდან ჩანს ნაშრომი ძირითადად შეისწავლიდა ბოლშევიკების მიერ ფედერალისტური პარტიის წინააღმდეგ წარმოებული იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიას.“ (დ. შველიძე. „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. 1903-1917 წწ.“ სადოქტორო ნაშრომი. 1997 წ. გვ. 13).

ახლა კი, როგორც XX საუკუნის ისტორიოგრაფიით დაინტერესებულ ჩვენს ოპონენტს, ორიოდე სიტყვით განვუმარტავთ, რით განსხვავდებოდა ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია ჩვეულებრივი „პარტიულ-იდეოლოგიური“ პროდუქციისაგან და რა იყო მასში მეცნიერული. საქმე იმაში გახლავთ, რომ მანამდე, საბჭოურ ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო ფედერალისტების პარტიის „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური“ კვალიფიკაცია, რაც მის რეაქციულობას ნიშნავდა. მთელი ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი მიეძღვნა იმის დასაბუთებას, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იყო – წვრილბურჟუაზიული ხასიათის და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პარტია შეიძლებოდა მოაზრებულიყო როგორც დემოკრატიული ბანაკის შემადგენელი ნაწილი. ეს გარემოება, რომელიც დღეს სასაცილოდ შეიძლება მოეჩვენოს გაუთვითცნობიერებელ მავანს, მაშინ მნიშვნელოვან ნაბიჯად ითვლებოდა და ერთ-ერთი გაბატონებული „პარტიულ-იდეოლოგიური“ დოგმის დაძლევას ნიშნავდა.

ეს ერთი და მეორეც – საბჭოურ ქართულ ისტორიოგრაფიაში, პირველად იქნა შესწავლილი, ბოლშევიკური პარტიის გარდა, სხვა პოლიტიკური პარტიის ისტორიის ერთი პერიოდი, კერძოდ, 1895-1907 წლები. ეს იყო უპ-

რეცედენტო შემთხვევა, როცა „ქართველი ბოლშევიკების ბრძოლის“ ნიღაბქვეშ, შესწავლილი იქნა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წარმოშობის, ევოლუციის, მისი ავტონომიისათვის ბრძოლის ისტორია. “არ-თულ „საბჭოთა“ ისტორიოგრაფიაში პირველად გახდა შესაძლებელი მეტ-ნაკლებად, შეზღუდულად, მაგრამ სპეციალურად, შესწავლილიყო არჩილ ჯორჯაძის, გიორგი ლასხიშვილის, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილისა და სხვა ეროვნული მოღვაწეების პუბლიცისტურ-თეორიული მემკვიდრეობა. ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში, პირველად იქნა შესწავლილი, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ეროვნული და დემოკრატიული პრესის ორგანოები: „ცნობის ფურცელი“, „მეგობარი“, „ისარი“, „შრომა“ და სხვანი, რომელთა წაკითხვა-გამოყენება საბჭოთა ისტორიკოსებისათვის მკრეხელობად ითვლებოდა და დანაშაულის ტოლფასი იყო. კმარა, ეს გარემოებანი ახალი არ არის ამ პერიოდის ისტორიის სპეციალისტებისათვის, ჩვენი ოპონენტი კი, ეს ჩემი სუბიექტური აზრია: მართალია განვუმარტე, მაგრამ თავისი წინასწარი მიკერძოებული პოზიციის გამო, ამ დასაბუთებიდან, ერთ სიტყვასაც არ დაიჯერებს, ან ხმამაღლა არ გაამჟღავნებს.

სხვათა შორის, ბროშურის ავტორს არვ ჩვენი სადოქტორო დისერტაცია მოასწონს, მაგრამ რა ვუყოთ, ბოლოს და ბოლოს, გემოვნების საქმეა. კვალიფიციურ ოპონენტს დასაბუთებას ვთხოვდით მაინც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს აუცილებელი არაა.

ჩვენმა ოპონენტმა ვერც ის გარემოება შეამჩნია ან სპეციალურად არ შეამჩნია, ან კიდევ მკითხველის მოტყუებას ცდილობს, როცა წერს, რომ „თქვენ წარმოიდგინეთ, დ. შველიძის სადოქტორო დისერტაციაც, რომლის ავტორეფერატიც 1998 წლით თარიღდება, იგივე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის იატორიის შესწავლას ისახავს მიზნად, ოღონდ ამჯერად, როგორც დ. შველიძე ხაზგასმით აღნიშნავს, ობიექტურად.“ (გვ. 29). აქაც მოკლეფეხებიანი ტყუილი იმალება. ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია ქრონოლოგიურად მოიცავდა 1895-1907 წლებს, ხოლო სადოქტორო დისერტაცია კი 1903-1917 წლებს. ეს ყველაზე არსებითი განსხვავებაა ამ ორ ნაშრომს შორის. რაც შეეხება „ობიექტურობას“, რა არის გასაკვირი იმაში, რომ XIX-XX საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია, 1990-იანი წლებიდან განთავისუფლდა კომუნისტური იდეოლოგიის წნეხისაგან და ქართველ ისტორიკოსებს ობიექტურად წერისა და აზროვნების შესაძლებლობა მიეცათ. ასე რომ არა, საკითხავი იქნებოდა, როგორ თარგმნიდა ჩვენი ოპონენტი, ენტონი

სმიტის ნაშრომებს.

მაინც, რატომ დასჭირდა ბროშურის ავტორს, ჩვენი ადამისდროინდელი საკანდიდატო დისერტაციის გულდასმით შესწავლა და მისი 32 წლის შემდეგ გაკრიტიკება? მისი პრიმიტიული გათვლით, ეს იქნებოდა ჩვენი, როგორც ისტორიკოსის დისკრედიტაცია. პირველ ნაბიჯს მოჰყვებოდა მეორე ნაბიჯი და ეს განსაკუთრებით სჭირდებოდა ბროშურის ავტორს – ამ შემთხვევაშიც პრიმიტიული გათვლით, მე, როგორც საბჭოთა ავტორს, აღარც მეჭნებოდა სხვისი დისერტაციების, შესაბამისად, მისი აღსაზრდელის დისერტაციის განსჯის მორალური უფლება. ასეც დაწერა, ხომ გახსოვთ: „დ, შველიძეს, მისი სამეცნიერო კარიერის გათვალისწინებით, ვერანაირად ვერ მივიჩნევთ ამ ნაშრომის ობიექტურ შემფასებლად". (გვ. 45).

მინდა თავი დავაჯერო, რომ ეს განაჩენი, ჩვენი ხელმძღვანელი კოლეგის, საქართველოს ისტორიის მიმართულების სრული პროფესორის მიერ არ არის დაწერილი და მისი ადრესატიც სხვაა, მაგრამ ბროშურას ჯიუტად აწერია ავტორის გვარ-სახელი: „მარიამ ჩხარტიშვილი",. მან ერთის ხელის მოსმით გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, თავისი კოლეგა-პროფესორის სამეცნიერო საქმიანობას, ჩვენს 15 წიგნს, 200-ზე მეტ სამეცნიერო სტატიას, ნაშრომს და ა. შ.

სხვათა შორის, ბეწვზე ვარ გადარჩენილი: მე რომ ეს ავადსახსენებელი რეცენზია 2006 წელს დამეწერა და ქ-ნ ჩხარტიშვილსაც იმ დროს „აღმოეჩინა" ჩვენი საკანდიდატო ნაშრომი, უნივერსიტეტში განხორციელებულ მაშინდელ პოლიტიკურ წმენდას ნამდვილად ვერ გადავურჩებოდი. ჩემზე ბევრად დამსახურებული, დარგის არაერთი სპეციალისტი, უნივერსიტეტიდან გააძევეს.. სწორედ მათს ადგილზე გაიხარა ქ-ნ ჩხარტიშვილის სამეცნიერო-მთარგმნელობითმა აქტივობამ. მაშინ ქ-ნი ჩხარტიშვილი მმართველ კასტასთან დაახლოებული პირი გახლდათ და რომ ეთქვა, ეს საბჭოთა რეციდივიც მივაყოლოთ დანარჩენებსო, ალბათ ხათრს არ გაუტეხავდნენ.

ახლა მსგავსი უმსგავსობების გაკეთება ცოტა ძნელია. ადამიანებმა ისწავლეს ერთი ადამისდროინდელი საკანდიდატო დისერტაციისა და დანარჩენი 15 წიგნისა თუ 200 პუბლიკაციის ერთმანეთისაგან გარჩევა, აწონ-დაწონვა და შეფასება. თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი ისწავლეს, რომ საკვლევი პერიოდის სპეციალისტი გაარჩიონ არასპეციალისტისა და არაკომპეტენტური, მით უფრო, ერთი ძალიან გაბრაზებული ქალბატონისაგან.

მაგრამ რადგან დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს და პასკვი-

ლის ავტორს საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის მცოდნის ამბიცია შეაუჩნდა, ჩვენ ვალდებულნი ვართ განვუმარტოთ, მაინც რომელია ე. წ. „პარტიულ-იდეოლოგიური ისტორიოგრაფია“, რით განსხვავდება ასეთი ისტორიოგრაფიული ნიმუშები ვთქვათ, იგივე ჩვენი საკანდიდატო დისერტაციისაგან და ვინ იყენენ ამგვარი, ანუ „საბჭოთა ისტორიოგრაფიის ტიპიური წარმომადგენლები“.

„პარტიულ-იდეოლოგიური“ ისტორიოგრაფიის ნიმუშების გასაცნობად რომ ბიბლიოთეკაში წასვლა-გარჯა არ დასჭირდეს დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს და პასკვილის ავტორს, მას შეუძლია საკუთარი ბინიდან გაუსვლელად გაეცნოს ამგვარი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი „ტიპიური წარმომადგენლის“, ბ-ნ სანდრო ჩხარტიშვილის ნაშრომებს. ბ-ნი ს. ჩხარტიშვილი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

1956 წელს ბ-მა სანდრო ჩხარტიშვილმა გამოსცა ბიოგრაფიული ნარკვევი „გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე“. ავტორი წერდა: „სერგო ორჯონიკიძის დაკარგვა მწვავედ განიცადა ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. სერგოს სახელს სათუთად ინახავენ და ყოველთვის გულთბილი სიყვარულით იხსენებენ საბჭოთა ადამიანები“ (ს. ჩხარტიშვილი. გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე. თბ., 1956. გვ. 94). წიგნის ბოლოს, ავტორი კიდევ ერთხელ აჯამებდა: „მაგრამ ყველზე მთავარი ისაა, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი, თავის გულში დიდი სიყვარულით ინახავს სერგო ორჯონიკიძის სახელს, ამ ყველასათვის დაუვიწყარი მებრძოლის ბოლშევიკის, უსპეტაკესი ლენინელის ნათელ ხსოვნას“ (იქვე. გვ. 95).

1974 წელს ბ-მა ს. ჩხარტიშვილმა გამოაქვეყნა ბროშურა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ხუთწლედის შესრულების დიადი პროგრამა.“ ავტორი მასში წერს: „... მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ნათლად ადასტურებს არა მარტო პარტიის როლისა და მნიშვნელობის შემდგომ ამაღლებას, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობაში, არამედ იმასაც, რომ იგი უდიდეს პასუხისმგებლობასაც კისრულობს ქვეყნის, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკისათვის, მთელი საბჭოთა ხალხის მომავალი ბედისათვის.“ (ს. ჩხარტიშვილი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. თბ., 1974. გვ. 3).

1979 წელს ს. ჩხარტიშვილმა გამოაქვეყნა წიგნი: „საბჭოთა კონსტიტუცია და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა.“ მასში ვკითხულობთ: „საბჭოთა კონსტიტუციამ განამტკიცა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის საფუძვლები, მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, თავისუფლება და მოვალეობები....“ (ს. ჩხარტიშვილი. საბჭოთა კონსტიტუცია და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა. თბ., 1979. გვ. 90).

1985 წელს გამოცემულ წიგნში: „კომუნისტური პარტია შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების შესახებ განვითარებული სოციალიზმის პერიოდში“, ს. ჩხარტიშვილი წერდა: „ეროვნული საკითხი ჩვენში არსებითად დიდი ხანია გადწყვეტილია. საბჭოთა ხალხს აერთიანებს მარქსისტულ-ლენინური იდეურობა, ინტერნაციონალიზმი მათი დაახლოების ძირითადი საფუძველია. ამას ხელს უწყობს ის, რომ ეკონომიკა იქცევა ერთა სახალხო მეურნეობის მექანიზმად, წარმოიშვა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი“. (ს. ჩხარტიშვილი. კომუნისტური პარტია შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების შესახებ განვითარებული სოციალიზმის პერიოდში. თბ., 1985. გვ. 57).

იმისათვის რომ დიდი ფარსმან მეფეებისა და ევსტათი მცხეთელის ეპოქის შესწავლის სფეროდან XIX-XX საუკუნეების დასლართულ ლაბირინთებში უკეთ გაერკვას დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ბროშურა-პასკვილის ავტორი, ჩვენ არ დავზარდებით და მივუთითებთ „პარტიულ-იდეოლოგიური“ ლიტერატურისა და „საბჭოთა ისტორიოგრაფიის“ კიდევ ერთი „ტიპიური წარმომადგენლის ნაშრომებს. ამ წარმომადგენლის ვინაობას ის ადვილად დაადგენს, ჩვენ კი ამ ავტორს ჯერ-ჯერობით ეუწოდოთ „ბ-ნი N“. რამდენადაც ვიცით, „ბ-ნი N“, დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ბროშურის ავტორის აქტიური თანამოაზრეა და ალბათ დიდი წამქეზებელიც, ჩვენს წინააღმდეგ წამოწყებულ საინფორმაციო დივერსიაში.

ჰოდა, ბ-მა N-მა 1982 წელს გამოსცა ბროშურა: „სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“, რომელშიც შავით თეთრზე წერდა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველი ყრილობა უდიდესი მოვლენაა ქვეყნის კომუნისტთა მრავალმილიონიანი არმიის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მისი გადაწყვეტილებანი უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენი საზოგადოების, მთელი პლანეტის ცხოვრებზე, ყრილობა თითქოს მწვერვალია, საიდანაც მოჩანს ახალი სივრცეები“ (სკკპ XXVI ყრილობის

ისტორიული მნიშვნელობა. თბ., 1982. გვ. 3).

აქვე: „1981 წლის 23 თებერვლიდან 3 მარტამდე მოსკოვისაკენ, კრემლის ყრილობათა სასახლისაკენ იყო მიმართული საყოველთაო ყურადღება, სადაც მიმდინარეობდა სკკპ XXVI ყრილობა... ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით, შეხვდნენ მშობლიური პარტიის ყრილობას... მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში გაიმართა, საბჭოთა ადამიანებმა ახალი ძალით გამოხატეს თავიანთი პატრიოტული გრძნობები, სიყვარული და უსაზღვრო ნდობა პარტიისადმი... პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, ლენინის საქმის გამოჩენილი გამგრძობის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ენერგიულ და ნაყოფიერ მოღვაწეობას.“ (იქვე. გვ. 3).

ბ-მა N-მა 1984 წელსაც გამოაქვეყნა წიგნი: „საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალიზმი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“. აქ იმდენი მარგალიტია, რომ ჭირს რომელიმეს გამოცალკევება. მაგ., „ასე მიაბიჯებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ერთიან ძმურ ოჯახში. ლენინური პარტია ადულებს და განამტკიცებს ჩვენი დიადი სამშობლოს ძმური ოჯახია ხალხების ურღვევ ერთიანობას და შეკავშირებას, ხალხებისა რომელთა შთამაგონებელია საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობები, საბჭოთა ადამიანების საერთო ეროვნული სიამაყე“ (საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალიზმი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე. თბ., 1984. გვ. 46)

ან კიდევ: „ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს საიმედო ბურჯს სოციალისტური სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ სსრკ ერევა მომმე ქვეყნების საშინაო საქმეებში ან რევოლუციის ექსპორტს ეწევა სხვა ქვეყნებში, როგორც ამის შესახებ დღენიადაგ გაჰკივიან ბურჟუაზიის იდეოლოგები.“ (იქვე. გვ. 5).

„და კიდევ ერთი ამონარიდი მრავალთაგან: „...დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო სსრ კავშირის შექმნა, რომელმაც თვისებრივად ახალ ურთიერთობას დაუდო სათავე ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის“ (იქვე. გვ. 95).

მე მგონი საკმარისია იმისათვის, რომ დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელმა და პასკვილის ავტორმა ერთხელ და სამუდამოდ დაადგინოს, როგორი იყო საბჭოთა ეპოქის „პარტიულ-იდეოლოგიური“ ისტორიოგრაფია და ვინ იყვნენ მისი „ტიპიური წარმომადგენლები“.

* * *

ახლა კი მინდა ყურადღება მივაპყრო, ერთ არც თუ სასიამოვნო გარემოებას. მკითხველს თვალში მოხვდებოდა ბროშურაში აქა-იქ გაფანტული, ოპონენტისადმი აშკარად შეურაცმყოფელი მიმართვები, ზეწოდებები, პირდაპირი ცილიწამებები, რის გამოც ბროშურის ტექსტი სცილდება სამეცნიერო-აკადემიური სტილის ჩარჩოებს. რამდენიმე ცილისწამებას დავასახელებ.

1. ქ-ნი მ. ჩხარტიშვილი ბრალს მდებს, თითქოს მე ვცდილობდი, დისერტანტს უარი ეთქვა მის ხელმძღვანელობაზე და მე ავერჩიე ხელმძღვანელად.

ეხლა მკითხველს ვეკითხები: პირადად მე, ამგვარი ბრალდება წმინდა წყლის სისულელედ მიმაჩნია და რა ვქნა, ვუწოდო თუ არა ქ-ნ მ. ჩხარტიშვილის ბრალდებას საჯაროდ – სისულელე? განა ეს ნაკლები ცოდვა არ იქნება, ვიდრე ის ცილისწამება, რასაც ოპონენტი ჩემს მიმართ გამოთქვამს? მიუხედავად ამისა, მე მაინც თავს შევიკავებ, არ ვუწოდებ ამ ბრალდებას სისულელეს და მას შევაფასებ როგორც დაუსაბუთებელ, თვითნებურ საქციელს, რაც არ შეეფერება მეცნიერის პრეტენზიის მქონე, ახალგაზრდობის აღმზრდელ ლექტორს.

2. შემდეგი ბრალდება ასე გამოიყურება: მე ისე „გავლიზიანდი" სონღულაშვილის მიერ ჩემი ხელმძღვანელად აურჩეველობით, რომ გადავწყვიტე ის „სამაგალითოდ" დამესაჯა, ისე რომ სხვა დოქტორანტები შემეშინებინა. ამ ბრალდების წამკითხავი, დარწმუნებული არა ვარ, რომ ქ-ნ ჩხარტიშვილს სხვაში არ ვეშლები, ნამდვილად ჩემზე წერს? თუ რომელიმე თავის მეზობელზე, ან ძველ ნაცნობზე... არა, ჩემზე წერს. კვლავ თავს შევიკავებ და მეცნიერულ ეთიკას დავიცავ: ესეც დაუსაბუთებელი, უპასუხისმგებლო განცხადებაა, რაც ეჭვს აჩენს, რომ ბრალმდებელს, ობიექტურობის უნარი საერთოდ აქვს შერჩენილი.

3. ამ მორიგ ინსინუაციას მთლიანად ამოვიწერ: „ამასთან, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მას საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდის კვლევის მონოპოლიზება სურს. უბრალოდ ვერ აუტანია, რომ ეპოქაზე რომელიც მისი სამეცნიერო ძიების ობიექტს წარმოადგენდა, დაიწერა მისეული მიდგომისაგან განსხვავებული გამოკვლევა. მისი რეცენზიის „მესიჯი" გასაგებია: აქ „ფეხის ჩადგმის" ნებას არავის მისცემს" (გვ. 45).

მორიგი ცილისწამებაა. მ. ჩხარტიშვილი ყველაფერზე საუბრობს, გარ-

და მის მიერ მომზადებული უსუსური დისერტაციისა. მისთვის კოლეგებთან კინკლაობა ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში ძნელად იპოვით თანამშრომელს, რომელთანაც მისი ხელმძღვანელი ერთხელ მაინც არ იყოს წაკინკლავებული. ეს მორიგი ინსინუაციაც, ისევე როგორც სხვა ცილისწამებები, „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება", რომ სასამართლოს პრეროგატივას უფრო ეკუთვნიან, ვიდრე მეცნიერული სჯა-ბაასის გარემოს. სანამ მართლმსაჯულებით დავინტერესდებოდეთ, მანამდე ასე გავცემთ პასუხს ინსინუატორს: თუ ქ-ნმა ჩხარტიშვილმა მსგავსი დისერტაციები მოამზადებინა თავის მომავალ დისერტანტებს, ჩემს ე. წ. „მონოპოლისტობას" საფრთხე ნამდვილად არ დაემუქრება.

მაგრამ კიდევ კარგი რომ, საქართველოს ისტორიის სპეციალიზაციის სფეროს სხვა ხელმძღვანელებიც ჰყავს, რომელთა ძალისხმევით, ამ მიმართულებაზე, შესანიშნავი ახალგაზრდები მოვიდნენ და მოდიან. რაც მთავარია, ამ ახალგაზრდებს აქვთ უნარი, თვითონ დაიცვან საკუთარი მეცნიერული შემოქმედება. ქ-ნ მ. ჩხარტიშვილს არც ზოგიერთი მათგანი მოსდის თვალში. ის მზადაა ყველას დაუპირისპირდეს, ცილი დასწამოს. ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების" რედკოლეგიასაც ესხმის თავს და პრეფერენციულობაში სდებს ბრალს.

ცუდუბრალოდ ცდილობს ჩვენი ოპონენტი რომ კოლეგებთანაც დამპირისპიროს: დისერტაციის ოპონენტებთან, სადისერტაციო კომისიის წევრებთან. მე მინდა ყველა მათგანის პიროვნებისა და მოსაზრების პატივისცემა დავადასტურო. ჩემი განხილვის საგანი იყო ის, რაც წავიკითხე – დისერტაცია და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის ბროშურა-პასკვილი, და არა რაიმე სხვა. ამასვე მოვუწოდებ ჩემს ოპონენტსაც – თუ მეცნიერულ ეთიკას ოდნავ მაინც სცემს პატივს, დისერტაციის შესახებ ისაუბროს.

მე მგონი საკმარისია. ბროშურაში სხვა არსებითი არაფერია. Dისერტაციის შინაარსს ავტორი მხოლოდ აქებს, მაგრამ ჩემს მრავალრიცხოვან შენიშვნებზე პასუხის გაცემას ვერ ბედავს. ამას ის იმიტომ არ აკეთებს, რომ მე დაუმარცხებელ პოლემისტად მიმაჩნდეს თავი – არა, უბრალოდ, დისერტაციის რამენაირად სერიოზულად გამოსარჩლება უიმედო საქმეა.

როგორც ჩანს ჩვენს ოპონენტს საერთოდ უჭირს მეცნიერული, აკადემიური ტონით კამათი და ურთიერთობა კოლეგებთან. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ქ-ნ მ. ჩხარტიშვილის პოლემიკა აკად. დავით მუსხელიშვილთან. ქ-მა ჩხარტიშვილმა ამ მიზნით 2005 წელს გამოაქვეყნა ბროშურა:

„წმინდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და VI-VII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. პოლემიკური ნარკვევი“. შემდგომში „ნარკვევის“ საპასუხოდ დავით მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ თარიღი და VI-VII საუკუნეების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი.“, რომელიც კრებულ „ანალებში“ დაიბეჭდა.

მოვიყვანთ რამდენიმე პასაჟს აკად. დ. მუსხელიშვილის ამ წერილიდან, რომელნიც ადასტურებენ, რომ ოპონენტებთან და კოლეგებთან კამათის დროს გამოვლენილი მეცნიერული ეთიკისა და მსჯელობის უგულებელყოფა, ქ-ნ ჩხარტიშვილისათვის ჩვეულებრივი ნორმა ყოფილა. ჩვენ რა თქმა უნდა მხარეებს შორის წარმოებული საკამათო პრობლემების განხილვას არ ვაპირებთ, თუმცა კი ორივე წერილის გაცნობის შემდეგ გაგვიჩნდა გარკვეული პოზიცია. მაგრამ ამჯერად ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს იმ არც თუ სასიამოვნო რამდენიმე შტრიხს, რომელნიც დ. მუსხელიშვილმა შენიშნა ოპონენტს, როცა წერს

„დასასრულ, რამდენიმე სიტყვით სწორედ ამას მინდა შევეხო: ავტორის (ე. ი. მ. ჩხარტიშვილის – დ. შ), მეცნიერული მსჯელობის და პოლემიკის ზნეობრივ მხარეს“ (იხ., დ. მუსხელიშვილი, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ თარიღი და VI-VII საუკუნეების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „ანალები“. 2007. N1. გვ. 94). რა იგულისხმება?

მაგ., ის, რომ მ. ჩხარტიშვილი ანრი ბოგვერაძის მისამართით წერს, თურმე, მკვლევარ ა. ბოგვერაძის „მსჯელობანი არ შეიძლება კვალიფიცირებული იქნან, როგორც მეცნიერული“; რომ თურმე „მისი მსჯელობა გამოირჩევა განსაკუთრებული არაპროფესიონალიზმით“.

ბ-ნ დავით მუსხელიშვილის შენიშვნები მ. ჩხარტიშვილის მიმართ, ფრიად გვეცნობა: რომ მისთვის დამახასიათებელია „დიდი ამბიციები“, „კოკეტობის ნიმუშები და მეცნიერული სნობიზმის გამოვლინება“ (გვ. 100); რომ მ. ჩხარტიშვილის „მსჯელობას ლამის მისტიკური იერი“ აქვს (გვ. 86); მეცნიერი ისე აღუშფოთებია ოპონენტის ზღვარგადასულ უტაქტობას, რომ კითხულობს: „მაშ რა ეწოდება ასეთ ქმედებას? განა ეს ეკადრება მეცნიერს? აქვს კი ასეთ „მეცნიერს“ სხვების კრიტიკის მორალური უფლება?“ (გვ. 94)...

* * *

იცით, ყველაზე ცუდი რა არის მთელ ამ ისტორიაში? ის რომ დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი არ გრძნობს პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ დისერტაციის ყველა ნაკლოვანებათა 90% მისი მიზეზითაა განპირობებული. რეცენზიაშიც ვთქვი ამის შესახებ და ახლაც ვიმეორებ: დისერტანტი ერთ-ერთი სანიმუშო, შრომისმოყვარე და შემსრულებელი მაგისტრანტი იყო, ვისაც კი ვასწავლიდი შესაბამის წლებში. ყველა პირობა არსებობდა, რომ მას მაღალ დონეზე შეესრულებინა სადისერტაციო ნაშრომიც. "მისათვის საჭირო იქნებოდა მ. ჩხარტიშვილთან ერთად, მეორე ხელმძღვანელად ყოფილიყო XX საუკუნის პერიოდში მომუშავე ნებისმიერი ჩვენი მიმართულების მეცნიერი და არა მაინცა და მაინც მე, რის სურვილსაც აკვიატებულად მაბრალებს ჩვენი ოპონენტი, მაგ., ბატონები: ნიკო ჯავახიშვილი, ბონდო კუპატაძე, მიხეილ ბახტაძე, ქ-ნი ქეთევან ნადირაძე. ეს არ გაკეთდა და სწორედ ეს გარემოება აღმოჩნდა დისერტაციის სისუსტის მთავარი მიზეზი.

აქაც კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ განსახილველ დისერტაციას არ ამჩნევია არავითარი კვალი, რომ მას საერთოდ ჰყავდა სამეცნიერო ხელმძღვანელი. ერთადერთი რაშიც ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო, ალბათ ის, რომ მან შეურჩია დისერტანტს თემა – ქართული იდენტობა XX საუკუნის დასაწყისში. ამით დასრულდა მისი ხელმძღვანელობა, რადგან მან ვერ შეამჩნია ის უამრავი ფაქტობრივი, თეორიული, კონკრეტული თუ ზოგადი ხასიათის შეცდომები, უზუსტობები, ფორმულირებები, რაც არ ვაჭარბებ, დისერტაციის თითქმის ყოველ ფურცელზეა. დიახ ეს უნიკალური შემთხვევაა. კერძოდ, სამეცნიერო ხელმძღვანელმა არ იცოდა და არ შეუსწორა დისერტანტს:

– რომ 1900-1921 წლების საქართველოში არ მომხდარა „სხვადასხვა სოციალური ფენების წარმოშობა;" (იხ., განსახ. დისერტაცია. გვ. 7);

– რომ „ქალაქის მნიშვნელობა სახელმწიფოს მნიშვნელობაზე დიდი" ვერანაირად ვერ იქნება (გვ. 26);

– რომ 1918-1921 წლების საქართველოში გლეხის „მთავარი პრობლემა" მიწასთან ერთად არ შეიძლებოდა ყოფილიყო „პირადი თავისუფლება" (გვ. 46);

– რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიას, მარტო „საწყის ეტაპზე" კი არა „ჰქონდა ანტიქართული პოზიცია", არამედ მთელი 25 წლის წლის მან-

ძილზე; (გვ. 39);

– რომ 1900-იან წლებში არ არსებობდა „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია“ (გვერდები: 52, 71, 215, 216). სხვათა შორის, ჯერ-ჯერობით ეს ერთადერთი შენიშვნაა, რაც სამეცნიერო ხელმძღვანელმა მიიღო და უკვე იცის, მაგრამ შეეცადა თავიც და დისერტანტიც რამენაირად გაემარტლებინა;

– რომ ქართველი თავადაზნაურობის „აშკარა“ კრიტიკა არ დაწყებულა 1900 წლიდან (გვ. 100);

– რომ 1900-1917 წლებში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა აღარ გულისხმობდა „პირველ რიგში კულტურით, განათლებით ბრძოლას“, (გვ. 102), პირიქით, სწორედ ამ პერიოდში „პირველ რიგში“ დგება და მიმდინარეობს ქართველი ხალხის პოლიტიკური და რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

– რომ 1900-1917 წლებში ქართველი თავადაზნაურობა ვერ იოცნებებდა და არც ფიქრობდა, რომ „აღედგინა ის გავლენა და პრივილეგიები, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა“ (გვ. 102);

– რომ რუსეთის გაბატონება ქართველი ხალხისათვის არ გამოიხატებოდა „ქრისტიანობის დაკარგვა-გაუქმებაში“ (გვ. 104);

– რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი არ გამოსულა 1907 წელს შემდგარ ჰააგის კონფერენციაზე (გვ. 117);

– რომ 1900-1917 წლებში არ მომხდარა „ნაციონალური ნარატივის ფორმირება“ (გვ. 122). ეს მოხდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო 1900-იან წლებში მიმდინარეობდა მისი შემდგომი სრულყოფის პროცესი, რომელიც შემდგომშიც გრძელდებოდა;

– რომ XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში არ გამხდარა აქტუალური ნაციონალური სიმბოლოები, ნაციონალური იდეალები (გვ. 135), ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო საქართველოში;

– რომ ერვნული პრობლემის კვლევის თეორიული მიდგომის „მთავარი ფუძემდებელი“ არ იყო მიხაკო წერეთელი (გვ. 147), არამედ გახლდათ არჩილ ჯორჯაძე. მიხაკო წერეთელი იყო ეროვნული საკითხის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი საქართველოში;

– რომ 1917 წლის არც ზაფხულისათვი, არც მანამდე და არც 1921 წლამდე, „საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის“ ხელმძღვანელები არ ყოფილან ბოლშევიკები (გვ. 163), არამედ იყვნენ მენშევიკი სო-

ციალ-დემოკრატები.

და ა. შ. და ა. შ. შეცდომათა რიცხვი ბევრად შეიძლება გავზარდოთ მომავალში, თუ კი ამას განსახილველი დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ბროშურა-პასკვილის ავტორი მოინდომებს.

სამეცნიერო ხელმძღვანელს სრული უფლება აქვს მაღალი აზრი იქონიოს განსახილველ დისერტაციაზე, მაგრამ თუ ჩვენთან ამის შესახებ კამათს გადაწყვეტს, წინამდებარე, მეცნიერ-ისტორიკოსისათვის შეუფერებელი პასკვილები კი არ უნდა წეროს, არამედ უპასუხოს ჩვენს მიერ გამოთქმულ და დასაბუთებულ მრავალრიცხოვან შენიშვნებს. ისინი შემოკლებული სახით ქვემოთ მოგვყავს.

1. დისერტაციის პირველი თავი: **ეროვნული პრობლემის ზოგიერთი საკითხი"**, აბსოლუტურად არ პასუხობს თემის დანიშნულებას, მისი შინაარსი არ შეესაბამება მიზანდასახულებას, მასში არ არის განხორციელებული პრობლემის ადეკვატური კვლევა. ავტორს არ „წარმოუდგენია თუ როგორ მოიაზრებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბება XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ" (დისერტაცია. გვ. 15).

2. **მეორე თავის „§1. ქალაქი"** სამეცნიერო-კვლევითი და ანალიტიკური თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას და სიახლეს არ წარმოადგენს, მასში არ არის არც ერთი ახალი დებულება ან აზრი და ეს ხდება არა იმიტომ რომ პრობლემის მართლაც სერიოზულად შესწავლა შეუძლებელია, არამედ იმიტომ რომ ოთხი გვერდი პრობლემის წარმოსაჩენად სრულიად არაა საკმარისი.

3. აღნიშნულ პარაგრაფში: **„სოფელი"**, არ არის არავითარი სიახლე, დასკვნა, მოვლენის ინტერპრეტაცია, რაც დისერტაციას უნდა განასხვავებდეს ჩვეულებრივი სამაგისტრო ნაშრომისაგან. პარაგრაფში ვერ „აღდგა" 1900-1921 წლების ვერც სოფელი და ვერც ქალაქი, რომლის მნიშვნელობაც, ავტორის თქმით: „მთლიანად სახელმწიფოს" მნიშვნელობაზედაც კი დიდია (გვ. 26).

4. III თავის პირველი პარაგრაფი: **„გლეხი"**, უფრო სხვათა მიერ, ძირითადად კი სოციალ-დემოკრატების მიერ გლეხობის შესახებ მოსაზრებებით და ამონაწერებითაა გაჯერებული. არსად ჩანს - თვით გლეხები როგორ აღიქვამდნენ ეროვნულ საკითხს, რა დონის, ხასიათის, ხარისხის ეროვნული იდენტობა გააჩნდათ. ამის შესახებ უამრავი ციტირებები სდუმან და ეს კი

იმას ნიშნავს, რომ კვლევა სულ სხვა გზითაა წარმართული. პარაგრაფის შინაარსი და კვლევა არ პასუხობს ძირითად თემატიკას. მასში ერთი სიტყვაც არაა თქმული გლეხის ეროვნულ-იდენტობრივი ღირებულებების შესახებ: რა ადგილი ეკავა მის ცნობიერებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული თავისუფლების პრობლემას; პარაგრაფი ძირითადად გადმოგვცემს ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებს და ნაწილობრივ ინტელიგენციის შეხედულებებს გლეხობის ყოფაცხოვრების შესახებ. დისერტანტმა საკმაოდ ბევრი იმუშავა, პრესაც დაამუშავა, 19 ციტირებაც მოიყვანა პრესიდან და საარქივო მასალებიდან, მაგრამ მისი მონაპოვარი, გამომზეურებული ამონაწერები, სხვა თემატიკას ეხება და არა ეროვნულ იდენტობას, გლეხკაცის ეროვნულ აღქმებს.

5. პარაგრაფ „პროლეტარში" უმეტესწილად საუბარია სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე, ორგანიზაციებზე, მათს სოციალურ მიზნებზე, მხოლოდ პარაგრაფის დასკვნით ნაწილში, 64-69-ე გვერდებზეა საუბარი ეროვნულ თემატიკაზე (ფრაგმენტულად 59-ე გვერდზეც), რომელიც 1918-1921 წლების პერიოდს ეხება. თემატიკის ამგვარი განაწილება და ბალანსი, აშკარად არაა საკმარისი, რომ აღნიშნული პარაგრაფი ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი დისერტაციის ნაწილად მივიჩნიოთ. პარაგრაფში საერთოდ არაა ნახსენები და ნაჩვენები, თვით ქართველი მუშა-პროლეტარის ეროვნული ღირებულებები, აღქმები, მრავალრიცხოვანი ციტირებებიდან ერთიც არ ეხება ქართველი მუშის ეროვნულ შეხედულებებს, რაც დისერტაციის მთავარ მიზანს და დანიშნულებას შეადგენს. ეს პარაგრაფი მხოლოდ ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის და შემდეგ, ხელისუფლების ისტორიის ეპიზოდებს ეხება.

ამ სახით აღნიშნული პარაგრაფი, ისევე როგორც მანამდელი ნაწილები, რამდენიმე თემატიკის ფრაგმენტების უწესრიგო კრებულს წარმოადგენს, სერიოზული, მრავალრიცხოვანი შეცდომების, ფორმულირებების, მარქსისტულ-ლენინური დოგმების რეციდივების თანხლებით. მათს შორის, ოაზისებივით გვხვდება საინტერესო ამონაწერები იმდროინდელი უმდიდრესი ქართული პრესიდან, რომელნიც, დისერტაციის კვლევით ნაწილს კი არ წარმოადგენენ, არამედ სხვადასხვა თემატიკის სადისერტაციო მასალებს

6. 8-ფურცლიანი „§3. ჯარისკაცი", უნიკალურია დისერტაციის წინაგანხილული ნაწილებისაგან განსხვავებით - ის დისერტაბელურია, ე. ი. დისერტაციის თემატიკას პასუხობს. საუბარია პირველი რესპუბლიკის პერიო-

დის ქართველი ჯარისკაცის ეროვნული ცნობიერების, განწყობის შესახებ. ამონაწერებიც შესაბამისია, მაგ., გენერალ გიორგი კვინიტაძის შეფასებები ქართველი ჯარისკაცების ფსიქოლოგიური განწყობის, ბრძოლისუნარიანობის შესახებ (73) და სხვ.

7. §4. **სამლვდელოება.** ესაა კარგად ცნობილი მოვლენების ფრაგმენტული ჩამოთვლა-კონსტატაცია. ერთადერთი სიახლე, ესაა პრესაში მოძიებული ახალი ამონაწერები, რომლებითაც ძველი დებულებებია ხელახლა დასაბუთებული. იქნებ ესაა ავტორისეული ე. წ. „კომპლექსური ანალიზი"? ამ ნაშრომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსური ანალიზი არის სხვადასხვა კარგად შესწავლილი საკითხების, თემების შესახებ 15-დან 20-მდე ფრაგმენტის ციტირება 1900-იანი წლების უმდიდრესი პრესიდან,

8. რაც შეეხება მეოთხე პარაგრაფს **თავადაზნაურობის** შესახებ, მისი შინაარსი საერთოდ არ პასუხობს დისერტაციის მთავარ მიზნებს: მასში არაა ნაჩვენები ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა შეხედულებები, პოზიციები, მსოფლმხედველობა, მათი ეროვნული იდენტობა, ეროვნული ღირებულებები და ა. შ. ამონაწერები ეხება პოლიტიკური პარტიების ორგანოების მიერ გამოთქმულ პოზიციებს, შეხედულებებს. პარაგრაფში საერთოდ არ ჩანს ქართველი თავადაზნაურობის დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი, ეროვნული მოძრაობისადმი, სახელმწიფოებრიობისადმი, ეროვნული მახასიათებლებისადმი და ა. შ.. ტექსტი შეიცავს მრავალრიცხოვან ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომებს და დებულებებს.

9. **ბურჟუაზიისადმი** მიძღვნილ პარაგრაფში, ჩვენთვის უცნობი დარჩა მთავარი საკითხი: ვინ იყვნენ ქართული ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რას ფიქრობდნენ ისინი ეროვნული ღირებულებების შესახებ და რა პოზიციები გააჩნდათ მის მიმართ; რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ მიმდინარე ეროვნული მოძრაობისადმი, როგორ უყურებდნენ ისინი ისტორიულ წარსულს, ტრადიციებს, რელიგიას, ეკონომიკას, უცხო ბურჟუაზიას და ა. შ. იმ ერთი ამონაწერით კი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო დისერტანტი ჟურნალ „კლდიდან", არამედ მას სწორედ ეს ჟურნალი და გაზეთი „საქართველო" უნდა შეესწავლა და იქიდან ამოეკრიფა ქართული ბურჟუაზიის მსოფლმხედველობრივი ავლა-დიდება. ერთი სიტყვით, დისერტანტმა ამ პარაგრაფშიც საკმაოდ გამრჯედ იმუშავა, ამოიწერა მრავლად ციტატები, რომელნიც სხვა თემატიკას ეკუთვნის და არა წინამდებარე დისერტაციას..

10. ანალოგიური მდგომარეობაა **ინტელიგენციისადმი** მიძღვნილ ქვეთავ-

ში. მსჯელობა და ამონაწერები არ ეკუთვნის ინტელიგენციის წარმომადგენლების ეროვნულ შეხედულებებს, მათს დამოკიდებულებას ეროვნული სიმბოლოებისადმი, მახასიათებლებისადმი და ა. შ. ესაა პარაგრაფი ინტელიგენციისადმი, სხვათა მიერ გამოთქმულ აზრების შესახებ, რაც ისედაც კარგადაა ცნობილი, რის გამოც ნაშრომის ეს ნაწილიც ვერ ჩაითვლება დისერტაციის შემადგენელ ნაწილად.

11. IV თავში ამონაწერები და შინაარსი სრულიადაც არ ემსახურება **„ნაციონალური ნარატივის ფორმირებას“**. მეტიც, ისინი არც შეიძლება ქმნიდნენ ნაციონალურ ნარატივს, რადგან 1900-1917 წლებში არც მომხდარა ნაციონალური ნარატივის „ფორმირება“. თვით საკითხის ამგვარად დასმა ნონსენსია. ნაციონალური ნარატივის, ნაციონალური ბირთვი-იდეების კონსტრუირება, ილია ჭავჭავაძის მთავარი დამსახურებაა, რომელიც მან განახორციელა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამდენად, „ნაციონალური ნარატივის ფორმირების“ პერიოდად მისი გადმოტანა და გადმომისამართება 1900-1910-იან წლებში სხვა არაფერია, თუ არა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაპრიმიტიულების განზრახ თუ უნებლიე გამოვლინება. სხვა ამბავია, რომ ამ პერიოდში გრძელდებოდა დისკურსი ნაციონალური ნარატივის შემდგომი სრულყოფის შესახებ, ეს კი სულ სხვა თემაა. მასში იგულისხმება პოლიტიკური პარტიების შექმნა, მათი ეროვნული იდეოლოგიების ჩამოყალიბება, პროგრამების კონსტრუირება, რაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმაოდაა შესწავლილი და მას დისერტაციის ავტორი საერთოდ არ ეხება.

12. **V თავის §1 „სამშობლო“**. ციტატებით გადავსებულ ამ ნაშრომს და კერძოდ ამ პარაგრაფსაც უფრო მასალები უნდა ეწოდოს. თავისთავად ეს არ გამორიცხავს, რომ ამ ამონაწერების გაკეთებით, ავტორმა სასარგებლო საქმე გააკეთა: მან მოამზადა მასალები. ამგვარი მიდგომით განისაზღვრება დისერტაციის ჟანრიც, თუ ასეთ ჟანრს ითვალისწინებს სადისერტაციო წესდება. წინამდებარე ნაშრომი არის მასალების შეგროვების დონეზე შესრულებული პროდუქცია. ამ მხრივ შესრულებულია შრომატევადი სამუშაო.

13. დისერტანტმა ვერ დაძლია, მან ვერ შეძლო „ეპოქის“ თავისებურებების გაგება-გააზრება. **ქართული ენისა და განათლებისადმი** მიძღვნილ პარაგრაფშიც კვლევა არსებითად მაშინდელი პუბლიკაციებიდან მრავალრიცხოვანი ნაწყვეტების ამოწერით, ციტირებებით ამოიწურება.

პარაგრაფის დასაწყისში ავტორი გვაფრთხილებს: ქართული ენა და

საგანმანათლებლო სისტემა, არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის საგანი და „მათ შორის მეჭდური მედიის საშუალებით". ასეთ ვითარებაში დისერტანტის მიზანი ამ თავშიც ისაა, რაც ნაშრომის სხვა ნაწილებში: „ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე თითოეული ატრიბუტი ერთიან კონტექსტში" განიხილოს. კი მაგრამ თუ ყველა ზემოაღნიშნული და ქვემოაღნიშნული პრობლემები შესწავლილია, განა არა სჯობდა, რომ აღნიშნულ პრობლემათა შემსწავლელი სპეციალისტების დასკვნები და მოსაზრებები დასდებოდა ერთ-ერთ საფუძვლად დისერტაციას? მიუხედავად ამისა ავტორმა შესწავლილის ხელახლა შესწავლა გადაწყვიტა ვითომ, რაც სხვადასხვა თემატიკაზე ამონაწერების ციტირებებით ამოიწურა საბოლოოდ. „ერთიანი კონტექსტი" კი სხვა არაფერია თუ არა, სხვადასხვა თემატიკის შესახებ ამონაწერების უწესრიგო თავმოყრა ერთ ნაშრომში.

14. §3. „სარწმუნოება". ეს ოთხგვერდიანი პარაგრაფი მინიმალურადაც არ პასუხობს ავტორის მიზანდასახულებას, გაეშუქებინა სარწმუნოების მიმართ „საზოგადოების თითოეული სოციალური ფენის თუ ჯგუფის ცნობიერება". ასე რომ ეს პარაგრაფიც მეცნიერულად არაფერისმთქმელია და არავითარ კვლევას არ წარმოადგენს.

15. ვერც თემატურად და ვერც შინაარსობლივად ეს მცირე მონაკვეთი-პარაგრაფი ქალის, დედის საკითხის შესახებ, იდენტობისადმი მიძღვნილი ნაშრომის ორგანულ ნაწილად ვერ ჩაითვლება. იგი არც გენდერის პრობლემას იკვლევს. ციტირებებში მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ განსახილველი პერიოდის ქართველი ქალი-დედები ან კარგად და ან ცუდად ზრდიდნენ სამშობლოს პატრიოტ შვილებს.

16. ეკონომიკურ პარაგრაფში არ ჩანს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დამოკიდებულება და პოზიცია ანუ „საზოგადოებრივი აღქმები" ეკონომიკის განვითარების პრობლემებზე. პარაგრაფში და ნაშრომის სხვა ნაწილებში, ერთი სიტყვაც არ მოიძებნება, რომელიც დაადასტურებდა ან გამოავლენდა, ქართული ბურჟუაზიის ან სხვა ჯგუფთა თუნდაც ერთი წარმომადგენლის პოზიციას, აზრს ან შეხედულებას, ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემების შესახებ. მასში არაა შესწავლილი სოციალური ფენების, კერძოდ, გლეხობის, ვაჭარ-მრეწველების, თავადაზნაურობის, მოხელე-მოსამსახურეებისა და სხვათა აღქმები, შეხედულებები და პოზიციები ქართული ეკონომიკის განვითარების შესახებ.

17. დიდი უმრავლესობა VI თავში მოყვანილი ციტირებებისა და ავტო-

რის მსჯელობისა ეკუთვნის ინტელიგენციის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ცნობილ პუბლიცისტებს. ეს მათი პოზიციებია დაფიქსირებული ნაშრომში და არა საზოგადოებრივი ფენებისა: მუშებისა, გლეხებისა, ქალაქის მოსახლეობისა, მოხელეებისა, ახალგაზრდობისა, ვაჭარ-მრეწველებისა, ხელოსნებისა და სხვათა და სხვათა, რომელთა ნაკრებსაც შეიძლება დაერქვას საზოგადოებრივი აღქმები. თავში წარმოდგენილი არათანმიმდევრული მსჯელობა და ამონაწერები ეკუთვნის „კულტურულ და პოლიტიკურ ელიტის" წარმოადგენლებს, რომელთა ნააზრევი ისტორიოგრაფიისათვის კარგადაა ცნობილი. ასე რომ ნაშრომის ეს ნაწილი მხოლოდ მინიმალურად პასუხობს დისერტაციის დანიშნულებას.

ჩვენ ხშირად აღვნიშნავდით, რომ დისერტაციაში დამოწმებულ-ამოწერილია უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი ციტირებები, ამონარიდები, ამონაწერები, ზოგ შემთხვევაში ორ-სამ ფურცლიანი დოკუმენტები. 230 გვერდიან დისერტაციაში მოყვანილია 350-ზე მეტი ციტირება. ფაქტიურად დისერტაცია ამონაწერებისაგან შედგება და თითქმის ნაშრომის ნახევარს მოიცავს. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომი უნიკალურია.

რაც შეეხება დისერტაციის ე. წ. დასკვნას, მასში არ არის არც ერთი აზრი და წინადადება, რომელიც სიახლეს შეიცავს ან კიდევ ისეთი, რომელიც საეჭვო ღირებულებისა არ იყოს. მასში გამეორებულია ფაქტობრივი და აზრობრივი შეცდომები, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში „მონარქიული სისტემა აღარ არსებობდა"; უარყოფით ისტორიულ მოვლენადაა ფორმულირებული ბატონყმობის გაუქმება; თითქოს კაპიტალიზმის განვითარებამ ფუნქციები შეუზღუდა გლეხობას და ა. შ.

აი იმ შენიშვნათა მოკლე ჩამონათვალი, რის შესახებაც და რომლებზე პასუხებსაც უნდა ეძღვნებოდეს ნებიმიერი მეცნიერული გამოხმაურება, განსახილველი დისერტაციის შესახებ. ვრცლად ჩვენი რეცენზია იხილეთ. იქ ბევრი სიურპრიზი ელოდება მკითხველს და ადასტურებს, რომ დაცული სადოქტორო დისერტაცია, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ის მეცნიერულია.

რაც შეეხება ქ-ნ მ. ჩხარტიშვილის ბროშურა-პასკვილს, მისი სახით, ავტორის არც პასუხი შედგა და არც პასუხისმგებლობა.